



წიგნიერების დიაგნოსტიკური შეფასება და სწავლების სტრატეგიები

რესურსი ლიტერატურის სპეციალისტებისთვის



სტეფანი ლ. მაკანდრუსი



წიგნი ითარგმნა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ“ Tempus-ის (ევროკომისია) საერთაშორისო პროექტის „მულტილინგვურ მასწავლებელთა მომზადების პროგრამების შექმნა და დანერგვა საქართველოსა და უკრაინის უნივერსიტეტებში“ ფარგლებში.

პროექტის ნომერი: 530360-TEMPUS-1-2012-1-GE-TEMPUS-JPCR



Co-funded by the
Tempus Programme
of the European Union

პროექტის კოორდინატორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



კონსორციუმის წევრები: გოთეს ფრანკფურტის უნივერსიტეტი (გერმანია); ლატვიის უნივერსიტეტი (ლატვია); ვილნიუსის უნივერსიტეტი (ლიტვა); ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო); სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო); „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ (საქართველო), ოლეს ჰონჩარის სახ. დნეპროპეტროვსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი (უკრაინა); ლეოვის ივან ფრანკოს სახ. ეროვნული უნივერსიტეტი (უკრაინა).

მთარგმნელი: ივანე გოცი თაშვილი; ნათია გორგაძე; თეკლა გაბუნია.

ყველა საავტორო უფლება დაცულია. გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია ამ გამოცემის ნებისმიერი ნაწილის კოპირება, შენახვა საძიებო სისტემაში, გადაგზავნა ნებისმიერი ფორმით ან საშუალებით, იქნება ეს ელექტრონული, მექანიკური, ფოტოახსნის, ჩანაწერი თუ სხვა.

ქართული თარგმანის საავტორო უფლებას ფლობს:

© სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი;

რედაქტორი კახა გაბუნია.

მისამართი: ქ. თბილისი, მცხეთის ქუჩა № 8/90; ვებგვერდი: www.cciir.ge

ISBN 978-9941-0-9725-6

თბილისი

2017

წიგნიერების დიაგნოსტიკური შეფასებები და სწავლების
სტრატეგიები: წიგნიერების სპეციალისტის რესურსი

სტეფანი ლ. მაკენდრიუსი

INTERNATIONAL



Reading Association

800 BAKKSDALE ROAD, PO BOX 8139
NEWARK, DE 19714-8139, USA
www.reading.org

IRA-ს დირექტორთა საბჭო:

ბარბარა ჯ. უოლკერი, ოკლაჰომას სახელმწიფო უნივერსიტეტი - სტილუოთერი/ტულსა, ტულსა, ოკლაჰომა, პრეზიდენტი • კეტრინ აუ, SchoolRise LLC, ჰონოლულუ, ჰავაი, არჩეული პრეზიდენტი • პატრიცია ს. ედუარდსი, მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ ლანსინგი, მიჩიგანი, ვიცე-პრეზიდენტი • ადელინა არელანო-ოსუმა, ანდეს-მერიდას უნივერსიტეტი, მერიდა, ვენესუელა • კარლ ბრაუნი, კალგარის უნივერსიტეტი, კალგარი, ალბერტა, კანადა • მერიან მანინგი, ბირმინგჰემის ალაბამას უნივერსიტეტი, ბირმინგჰემი, ალაბამა • დონალდ ლ. ლუ, კონექტიკუტის უნივერსიტეტი, სტორსი, კონექტიკუტი • ტაფი ე. რაფაელი, ჩიკაგო ილინოისის უნივერსიტეტი, ჩიკაგო, ილინოისი • დ. რეი რუტცელი, უტას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლოგანი, უტა • ჯენის ფ. ალმასი, კენტაკის უნივერსიტეტი, ლექსინგტონი, კენტაკი • მარშა მურ ლევისი, დაპლინის სკოლა, კანენსვილი, ჩრდილოეთ კაროლინა • ალფრედ ვ. ტატუმი, ჩიკაგო ილინოისის უნივერსიტეტი, ჩიკაგო, ილინოისი • ალან ე. ფარსტრუპი, აღმასრულებელი დირექტორი.

კითხვის საერთაშორისო ასოციაცია ცდილობს, რომ თავისი გამოცემებში თავი მოუყაროს განსხვავებულ თვალსაზრისებს კითხვასთან დაკავშირებით. კითხვის საერთაშორისო ასოციაცია თავისი გამოცემებით ცდილობს, შექმნას ერთგვარი ფორუმი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება წიგნიერების შესახებ მოსაზრებების ფართო სპექტრი. ასეთი პოლიტიკა შესაძლებლობას იძლევა, განსხვავებული შეხედულებები იყოს წარმოდგენილი ასოციაციის მიერ გაცემული თანხმობის გარეშე.

აღმასრულებელი რედაქტორი	კორინ მ. მუნი
ტექნიკური რედაქტორი	ჩარლენ მ. ნიკოლსი
ტექნიკური რედაქტორი	ტორი მელო ბაჩმანი
ტექნიკური რედაქტორი	სტეისი ლინ შარპი
სარედაქციო წარმოების მენეჯერი	სენონ ტ. ფორტნერი
დიზაინისა და კომპოზიციის მენეჯერი	ანეტ შუტცი
პროექტის რედაქტორები:	ტორი მელო ბაჩმანი და ქრისტინა ლამბერტი

© საერთაშორისო კითხვის ასოციაცია, 2008.

ყველა უფლება დაცულია. გამომცემლის უფლების გარეშე აკრძალულია ამ გამოცემის ნებისმიერი ფორმით გამრავლება ან გავრცელება.

გამომცემელი მადლიერი დაგრჩებათ, თუკი მიუთითებთ შეცდომებს, რათა შემდგომ გამოცემებში გამოასწოროს ისინი.

კონგრესის ბიბლიოთეკის გამოსაქვეყნებელი ბაზის მონაცემები: მაკენდრიუსი, სტეფანი ლ. წიგნიერების დიაგნოსტიკური შეფასებები და სწავლების სტრატეგიები: წიგნიერების სპეციალისტის რესურსი / სტეფანი ლ / მაკენდრიუსი. პ. სმ. მოიცავს ბიბლიოგრაფიულ ცნობებსა და ინდექსებს.

ISBN 978-0-87207-608-2

1. ენის ხელოვნება - შესაძლებლობის შემოწმება. 2. წიგნიერების შეფასება. 3. ლექციების დაგეგმვა. I. სათაური.

LB1576.M39713 2008

372.6'044--dc22

2008019084

წიგნს ვუძღვნი ჩემს საყვარელ მეუღლეს, პიტერს და ჩემს ქალიშვილებს, ლაურასა და კეტრინს, მათი მოთმინებისა და ჩემი თანადგომის გამო.

ეს წიგნი დაწერილია ჩემი მეგობრისა და არიზონის უნივერსიტეტის მრჩევლის, მაიკლ ბრედლის, პატივის მისაგებად. კოლეჯში ყოფნისას, სწორედ მისი ხელმძღვანელობისა და მხარდაჭერის წყალობით, მე შევძელი გამეგრძელებინა მისი გზა წიგნიერების საკითხებზე მუშაობისას, ჩემი საკუთარი ცოდნის, პროგრამისა და ხედვის შექმნით. ახლა მე შემიძლია წიგნიერების მომავალ სპეციალისტებს მივცე შესაბამისი ცოდნა, რათა მათ მოახერხონ გაცნობიერებული გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც პოზიტიურად აისახება იმ მოსწავლეთა და მასწავლებელთა ცხოვრებაზე, რომლებთანაც მათ შეხება ექნებათ.

შინაარსი

ავტორის შესახებ	V
წინასიტყვაობა	VI
თავი 1	
შესავალი წიგნიერების შეფასებასა და სწავლებაში	1
თავი 2	
ენისა და ლექსიკის განვითარება	20
თავი 3	
ფონოლოგიური ცოდნა, წიგნიერების სწავლების ბგერითი მეთოდი, სიტყვების ამოცნობა და ემერჯენტული ტექსტის კონცეპტები	53
თავი 4	
ხმამაღლა კითხვა და თავისუფლად კითხვა	84
თავი 5	
წაკითხულის და მოსმენილის გაგება	108
თავი 6	
ემერჯენტულ დონეზე წერის გაგებისათვის	166
თავი 7	
დამოკიდებულებები და მოტივაცია	194
დანართი	
შეფასებები და რესურსები	212
გამოყენებული ლიტერატურა	289

ავტორის შესახებ



სტეფან ლ. მაკენდრიუსი არის სამხრეთ ილინოისის უნივერსიტეტის (ედუარდსვილი) ასოცირებული პროფესორი და განათლების პროგრამის დირექტორი. მის პროგრამაში შედის სამაგისტრო და საბაკალავრო კურსები განათლების სფეროში, რომელიც მოიცავს დიაგნოსტიკურ და შეფასებით განათლებას, სწრაფ, საშუალო დონისა და განათლების ფართო არეალს, ასევე განათლების პროგრამების მართვისა და ორგანიზების სწავლებას. მან შეიმუშავა მაგისტრის ხარისხი განათლების სფეროში, განათლების სპეციალისტთა პროგრამა მაგისტრის შემდგომი საფეხურისთვის და ასევე კუვარის „განათლების კლინიკა“, სადაც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები აფასებენ, აანალიზებენ და ასწავლიან პირველი-მეთორმეტე კლასის მოსწავლეებს კითხვასა და წერას. სტეფანიმ ბაკალავრის, მაგისტრის და დოქტორის ხარისხები ენაში, კითხვასა და კულტურაში არიზონის უნივერსიტეტში მიიღო. ამასთან ერთად, იგი არის გამოცდილი სკოლის მასწავლებელი და წიგნიერების სპეციალისტი.

სტეფანი აქტიურად არის ჩართული განათლების სფეროში. იგი არის პრეზიდენტი სპეციალური ჯგუფისა, რომელშიც შედიან კოლეჯის ინსტრუქტორები კითხვის სფეროში, ლუისისა და კლარკის კითხვის საბჭოს ყოფილი პრეზიდენტი, საერთაშორისო კითხვის ასოციაციისა და ნაციონალური კითხვის კონფერენციის აქტიური წევრი.

მან გამოაქვეყნა წიგნი და სტატიები ილინოისის კითხვის საბჭოს ჟურნალში და „Missouri Reader“-ში. იგი იღებს მონაწილეობას ადგილობრივ, სახელმწიფო, ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში როგორც შეერთებული შტატებში, ასევე ბრიტანეთსა და კოსტა რიკაში. მან შექმნა ადრეული კითხვის ხელის შემწყობი კომპლექტი და სახელმძღვანელო ილინოისის სახელმწიფო განათლების კომისიისთვის, რომელიც გადანაწილდა მთელ შტატში კითხვის სპეციალისტებისათვის, განსაზღვრავდა პირველადი დონის წიგნიერების შეფასებებს და უძღვებოდა შტატის „Illinois Snapshot of Early Literacy“-ს შეფასებას. ამასთან ერთად, იგი არის წიგნიერების კონსულტანტი ილინოისისა და მისურის სკოლებში. მისი მთავარი მიზანია, გაზარდოს წიგნიერება საბავშვო ბაღის ბავშვებიდან დაწყებული, მეთორმეტე კლასის მოსწავლეებით დამთავრებული, წახალისების მეთოდითა და წიგნიერების სპეციალისტთა მეშვეობით, რომლებიც ჩახედულნი არიან წიგნიერების, განათლების პროცესებში და შეუძლიათ მიიღონ ინფორმირებული სასწავლო და პროგრამული გადაწყვეტილებები.

ავტორის საკონტაქტო ინფორმაცია

კითხვებისა და კომენტარების არსებობის შემთხვევაში, დაუკავშირდით სტეფანის შემდგომ მისამართზე: smcandr@siue.edu.com

წინასიტყვაობა

დიაგნოსტიკური წიგნიერების შეფასებები და სასწავლო სტრატეგიები: წიგნიერების სპეციალისტის რესურსები დაწერილია წიგნიერების სპეციალისტებისათვის ან კითხვის ტრენერთათვის, რომლებიც მუშაობენ პედაგოგებსა და მოსწავლეებთან და ხელს უწყობენ მოსწავლეთა ენობრივი, კითხვისა და წერის უნარების გაუმჯობესებას. წიგნიერების ექსპერტობა ან კითხვის მიმართულების სპეციალისტობა, საზოგადოდ, მიიღწევა მაღალი საფეხურის განათლებითა და სერტიფიცირებით - რადგანაც ამ პოზიციაზე მყოფი პიროვნება ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობს არა მხოლოდ კითხვის, არამედ ენობრივი და წერის უნარების განვითარებასაც. მთელ წიგნში ეს პოზიცია მოხსენიებული იქნება **წიგნიერების სპეციალისტად**.

კითხვის საერთაშორისო ასოციაციის (IRA; 2000) ბოლოდროინდელი განცხადების მიხედვით, წიგნიერების სპეციალისტის მოვალეობებში შედის სწავლება, შეფასება და ხელმძღვანელობა. ამ პოზიციას ეხმიანება ბინი (Bean; 2004), რომლის მიხედვითაც, სპეციალისტის როლი არა მხოლოდ მოსწავლეთათვის კითხვის სწავლება, არამედ კლასის, სკოლებისა და საზოგადოების ხელმძღვანელობის უზრუნველყოფაცაა. ბინი ამ როლს შემდეგნაირად განმარტავს:

- **სწავლება:** კითხვის სპეციალისტი ავითარებს კლასში სწავლების მეთოდებს და ერთობლივი მუშაობის საფუძველზე ცდილობს ხარისხიანი კითხვის პროგრამის დანერგვას.
- **შეფასება:** კითხვის სპეციალისტები ზოგადად აფასებენ წიგნიერების პროგრამას და შეუძლიათ კითხვის დონისა და მოსწავლეთა მოთხოვნილებების შეფასება, ამ ინფორმაციის კლასის მასწავლებლებამდე, მშობლებამდე და სპეციალიზებულ პერსონალამდე (ფსიქოლოგები, სპეციალური პედაგოგები ან ენის პათოლოგები) მიტანა.
- **ლიდერობა:** კითხვის სპეციალისტი არის რესურსი სხვა პედაგოგების, მშობლების, საზოგადოებისათვის.

ეს გაფართოებული როლი მოიცავს თანამშრომლობას წიგნიერების სპეციალისტებს, კლასის მასწავლებლებს, სპეციალური განათლების პედაგოგებსა და ენის პათოლოგთა შორის, რათა ხელი შეეწყოს თითოეული მოსწავლის კითხვის უნარის განვითარებას. მამასადამე, ამ წიგნში შესული შეფასებები და სტრატეგიები გათვლილია არა მხოლოდ წიგნიერების სპეციალისტებისთვის, რომლებიც მოსწავლეებთან მუშაობენ, არამედ ის, რესურსის სახით, შეიძლება გამოიყენოს ყველა იმ პროფესიონალმა, რომელიც მუშაობს მოსწავლეებთან, მათ შორის კლასის მასწავლებლებმაც. მას შემდეგ, რაც საწყისი და მიმდინარე მონაცემები გაანალიზდება და შეფასდება, შესაძლებელი ხდება დაინერგოს ისეთი სწავლება, რომელიც მიმართული იქნება თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებსა და მოთხოვნილებებზე. შემუშავდება სპეციალური სტრატეგიები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს, რაც შეიძლება მეტი შეისწავლონ კითხვისა და წერის პროცესის შესახებ.

როგორ შეიქმნა ეს რესურსი?

ეს რესურსი დაფუძნებულია ეფექტური წიგნიერების პრაქტიკის მიმდინარე კვლევებზე, წლების განმავლობაში ჩემ მიერ ამ პრაქტიკის გამოყენებაზე და ჩემი, როგორც საგნის მასწავლებლის, კითხვის სპეციალისტის, კითხვის აღდგენითი პედაგოგის, წიგნიერების

კონსულტანტისა და უნივერსიტეტის წიგნიერების პროფესორის, გამოცდილებაზე. ამ გამოცდილებებმა საშუალება მომცა, ჩავწვდომოდი რთული გადაწყვეტილების მიღების პროცესის არსს, რომელიც გამოიყენება მოსწავლეთა ენობრივი, კითხვისა და წერის უნარების განვითარებაში. მე, როგორც პრაქტიკოსმა, გავაანალიზე, მოვარგე და შევქმენი წიგნიერების შეფასებისა და სწავლების უამრავი სტრატეგია. საწყისი შეფასებები და სტრატეგიები იყო 6-წლიანი ხანგრძლივი დაკვირვების შედეგები ჩემი ინსტრუქციების შედეგიანობასა და სტუდენტთა სწავლის პროცესზე იმ პერიოდში, როდესაც კითხვის სპეციალისტი და წიგნიერების მიმართულების დოქტორანტი ვიყავი არიზონის უნივერსიტეტში (მაკენდრიუსი, 1998).

როგორც წიგნიერების პროფესორმა, მე დავიწყე ენის, კითხვისა და წერის შეფასებებისა და სტრატეგიების ორგანიზება ყოველწლიურად ადაპტირებული კურსის პაკეტებში. თითოეული შეფასება და სტრატეგია წიგნიერების სპეციალისტის პროგრამაში ჩემი და ჩემი სტუდენტების მიერ არის გამოკვლეული, გამოცდილი და სწავლებაზე მორგებული. იმისთვის, რომ თითოეული შეფასება და სტრატეგია კიდევ უფრო გაფართოებულიყო, მორგებოდა სწავლებას ან საერთოდ არ გამოგვეყენებინა მისი უსარგებლობის გამო სტუდენტთა წიგნიერების შეფასებისა და გაღრმავების თვალსაზრისით, გამოვიყენე იმ წიგნიერების სპეციალისტობის კანდიდატების მონაცემები, რომლებიც სკოლის მოსწავლეებთან და, ასევე, უნივერსიტეტის წიგნიერების კლინიკის სტუდენტებთან ამ შეფასებებსა და სტრატეგიებს იყენებდნენ. სწორედ ამ კურსების ერთობლიობა ქმნის ამ წიგნს.

რესურსის ორგანიზების საკითხები

დიაგნოსტიკური წიგნიერების შეფასებები და სწავლების სტრატეგიები აერთიანებს წიგნიერების მრავალფეროვან პროცესს და აკმაყოფილებს კითხვის პროფესიონალების სტანდარტებს (*Standards for Reading Professionals*, IRA, 2003), IRA-სა და ეროვნული კითხვის პანელის საბჭოს სტანდარტებს ინგლისური ენის გაწაფულობაში (*Standards for the English Language Arts*, 1996) და, ასევე, ეროვნული კითხვის პანელის დასკვნებს (National Institute of Child Health and Human Development [NICHD], 2000). ეროვნული კითხვის პანელის მიხედვით, წერა-კითხვის გაუმჯობესებისთვის საჭირო უმნიშვნელოვანესი წიგნიერების პროცესებია: ფონემური გააზრება, ბგერები, მეტყველების თავისუფლება, ლექსიკური მარაგი და მიხვედრილობა. ამასთან ერთად, IRA-მ დაადგინა, რომ ენისა და დამწერლობის ურთიერთკავშირი ასევე მნიშვნელოვანია. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ მოტივაცია და სტუდენტის დამოკიდებულება არ შედიან წიგნიერების პროცესში, ისინი უდიდეს როლს ასრულებენ სტუდენტთა წიგნიერების განვითარებაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოტივაცია და დამოკიდებულება ტექსტისა და მასალის შერჩევას, ამიტომ ამ წიგნში განხილულია ეს თემაც.

თითოეული თავი იწყება სექციით, რომელიც ეხმარება მკითხველს თემის გააზრებაში და მთავრდება შემაჯამებელი სექციით. იმისათვის, რომ მკითხველი ადვილად გაერკვეს, მნიშვნელოვანი სიტყვები, რომლებიც ახსნილია ტექსტში, გამუქებულია.

პირველი თავი განმარტავს წიგნიერებას და წარმოგვიდგენს წიგნიერების პროცესების ზოგად აღწერას. შემდეგ ახსნილია შეფასებების მიზეზები და ტიპები. ბოლომდეა ახსნილი დიაგნოსტიკური სწავლება-გამოყენების შეფასებები და წიგნიერების სწავლების დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება.

მეორიდან მეექვსე თავამდე თითოეულში წარმოდგენილია სხვადასხვა წიგნიერების პროცესი: ენისა და ლექსიკის განვითარება, ფონოლოგიური გააზრება, ბგერები და სიტყვათა იდენტიფიკაცია, ხმამალა და თავისუფლად, გასაგებად კითხვა, წაკითხულისა და მოსმენის გააზრება, ბავშვებში წერის მნიშვნელობის გააზრებასა და წერის მიმართებაზე. ეს პროცესები არ არის ერთმანეთისგან განყენებული, მეტიც, ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული.

თითოეული ეს თავი იყოფა შემდეგ ქვესექციებად: გაგება, მიზანი, შეფასება და სტრატეგია. პირველი სექცია თითოეულ თავში გვაწვდის ზოგად ინფორმაციას სპეციფიკური წიგნიერების პროცესის გაგებისა და გააზრებისთვის. შემდეგ ჩამოთვლილია წიგნიერების თითოეული პროცესის სწავლის მიზანი, რასაც მოჰყვება სტუდენტის წიგნიერების უნარისა და მოთხოვნილებების იდენტიფიკაცია და შეფასება. თითოეულ შეფასებას თან ახლავს მიზანი, პროცედურა, ანალიზი და დასკვნა. ზოგჯერ თან დართულია სრული ან ნაწილობრივი მაგალითი, რომელიც გვეხმარება შეფასებისა და სწავლების შედეგებში უკეთ გარკვევისთვის. სპეციალისტს ეძლევა საშუალება, გამოიყენოს შეფასებათა მონაცემები სწავლების მიზნით, ხოლო სტუდენტებს სასურველი, ინდივიდუალური განათლებისა და წიგნიერების დონის მისაღწევად.

თითოეული თავის ბოლო სექციაში წარმოდგენილია წიგნიერების სპეციფიკური სტრატეგიები, რომლებსაც სპეციალისტები, მასწავლებლები და მოსწავლეები იყენებენ წიგნიერების განვითარებისთვის, დამოუკიდებლად პრობლემების გადაჭრის უნარის გაძლიერებისა და უწყვეტად სწავლის სურვილის ჩამოყალიბებისთვის. *წიგნიერების ლექსიკონი: კითხვისა და წერის სიტყვათა მარაგი* (ჰარისი და ჰოდჯი, 1995)-ზე დაყრდნობით, სტრატეგიები არის გეგმა, რომლის მეშვეობითაც უმჯობესდება სწავლის პროცესი. წიგნიერების ეს სტრატეგიები შეიძლება გამოვიყენოთ როგორც თვითშეფასების, ასევე სტუდენტთა მიმდინარე სწავლის პროცესის შეფასებისთვის.

მართალია, რამდენიმე სტრატეგია ჩემ მიერაა შემუშავებული, თუმცა მათი უმრავლესობა ჩამოყალიბდა კონფერენციების ჩატარების, პროფესიული განვითარების რესურსების კვლევის, გამოქვეყნებული ტექსტების ანალიზის და სხვა პროფესიონალებთან ურთიერთქმედების, კომუნიკაციის პროცესში. დიდი ძალისხმევა ჩაიდო, რათა მიგვეთითებინა წყარო თითოეული სტრატეგიისთვის. შეფასებები და სტრატეგიები შეირჩა ჩემი, როგორც მასწავლებლის, ლექტორის, წიგნიერების კლინიკის ინსტრუქტორის, პირადი გამოცდილების მიხედვით 1990 წლიდან და, ასევე, იმ მასწავლებელთა და სპეციალისტთა დაკვირვებების გავლენით, რომლებიც ამ სტრატეგიებს იყენებენ და შედეგებს მატყობინებენ. ეს სტრატეგიები აღმოჩნდა სასარგებლო არა მხოლოდ იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც წერა-კითხვა უჭირთ, არამედ მათი მეშვეობით ვითარდებოდა, უმჯობესდებოდა ნებისმიერი სტუდენტის სწავლის ხარისხი.

აღსანიშნავია, რომ შეფასებებისა და სტრატეგიების რიგითობის საკითხი მორგებულია სტუდენტებზე. ეს რიგითობა არ არის ნორმებს დაქვემდებარებული, იგი დამოკიდებულია სწავლების მეთოდებსა და სტუდენტთა უნარ-ჩვევებსა და საჭიროებებზე. რომელიმე შეფასება შეიძლება გაუგებარი იყოს სტუდენტისთვის. თუკი დარწმუნებული არ ხართ სტუდენტის უნარ-ჩვევებსა და შესაძლებლობებში, გამოიყენეთ პირველი შეფასება. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ შეფასებების გამოყენება გათვლილია ინდივიდუალურად, შესაძლებელია მათი გამოყენება პატარა ჯგუფებთან და კლასებშიც. აღსანიშნავია, რომ თითოეულ სტრატეგიას მითითებული აქვს ციფრობრივი მაჩვენებელი, რომელიც აღნიშნავს განვითარების დონეს. აქედან გამომდინარე,

სტრატეგიები შეირჩევა არა სტუდენტის აკადემიურ საფეხურის მიხედვით, არამედ სტუდენტის განვითარების დონის გათვალისწინებით.

მეშვიდე თავი ფოკუსირებულია სტუდენტთა მოტივაციისა და დამოკიდებულების ამალგაზე წიგნიერების მიმართ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი თავი, რადგან ყველა წერა-კითხვის სწავლების სტრატეგია, რომელსაც სპეციალისტები და ლექტორები სტუდენტებს შესთავაზებენ, იქნება დროებითი, თუკი სტუდენტები არ არიან მოტივირებულნი და სწავლას სერიოზულად არ უდგებიან. ამ თავში მოცემულია უამრავი შეფასება, სტატია, კვლევა და სტრატეგია, რომლებიც გვეხმარება არა მხოლოდ დავადგინოთ სტუდენტების დამოკიდებულება და მოტივაცია წერა-კითხვისადმი, არამედ შემუშავებულია სტრატეგიები, რომლებიც გვამძლევს საშუალებას, გავზარდოთ მათი მოტივაცია და სწავლის სურვილი.

ზუსტი შეფასებების ასლები და სტრატეგიის გამოყენების საშუალებები ხელმისაწვდომია დანართში. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ თითოეული ეს შეფასება და სტრატეგია ყველა მოსწავლისათვის შესაფერისი ვერ იქნება. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მნიშვნელოვანია სპეციალისტის ფუნდამენტური ცოდნა წიგნიერების თეორიისა და განვითარების საკითხში, მოსწავლის ინტერესებისა და ფონური ცოდნის და ტექსტისა თუ დავალების სირთულის გათვალისწინება. *წიგნიერების დიაგნოსტიკური შეფასებისა და სწავლების სტრატეგიის* მთავარი მიზანია წიგნიერების სპეციალისტსა თუ ნებისმიერ სხვა პედაგოგს ის შეფასებები და სტრატეგიები შესთავაზოს, რომლებიც მაქსიმალურად შეესაბამება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და დაეხმარება მათ, გაიუმჯობესონ წერა-კითხვის უნარები, გახდნენ მთელი ცხოვრების განმავლობაში მკითხველები და გაუჩნდეთ ცოდნის მუდმივად მიღების სურვილი. სპეციალისტს შეუძლია გამოიყენოს ეს წიგნი იმისთვის, რომ დაეხმაროს მასწავლებლებსა და დაინტერესებულ პირებს სწორი შეფასებებისა და სწავლების სტრატეგიების არჩევაში.

თავი 1 შესავალი წიგნიერების შეფასებასა და სწავლებაში

გავიზროთ წიგნიერება

ტექსტის სახით ორგანიზებული წიგნიერება ბევრი ერთმანეთთან ინტეგრირებული პროცესისაგან შედგება. ეს პროცესებია: ენა და ლექსიკა, ფონოლოგიური ცნობიერება და ფონეტიკა, სიტყვების შეცნობა და ადრეული ტექსტობრივი კონცეპტები, ზეპირი მეტყველება და გამართული მეტყველება, წაკითხვისა და მოსმენილის გააზრება, ადრეული წერითი ცნობიერება და წერილობითი თხზულება (იხ. ნახატი 1.1). ამ წიგნში თითოეული ზემოთ აღწერილი პროცესის შეფასება და განვითარება ცალ-ცალკე თავებადაა აღწერილი, თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს პროცესები არაა დამოუკიდებელი, არამედ ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულია და ურთიერთდამოკიდებულია თითოეული პროცესის ცოდნაზე.


ენობრივი განვითარება კი, სკოლაშიც და სკოლის ფარგლებს გარეთაც, მნიშვნელოვან როლს თამაშობს კითხვის გააზრებისა და თხზულების წერის განვითარებაში. შესაბამისად, ლექსიკა და ენა ის პირველი პროცესებია, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. გუდმანი (1968) თვლის, რომ კითხვა ეს არის პროცესი მკითხველსა და წიგნის ენას შორის, რომლის ფარგლებშიც მკითხველი ცდილობს მწერლის ინფორმაციულ გარდაქმნას; როუტმანი (1992) ამ აზრს განავრცობს და თვლის, რომ მკითხველი მწერლის ინფორმაციულ გზავნილს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას უკავშირებს. კითხვისა და წერის პროცესშია ინტეგრირებული გრაფოფონიკა (ასო-ბგერის ურთიერთმიმართება), სინტაქსი (გრამატიკა და წინადადების სტრუქტურა), სემანტიკა (ტექსტის შინაარსი), წინარე, არსებული ცოდნა და გამოცდილება, რომელიც ტექსტის დაძლევის ან მის შექმნას განაპირობებს. ტერმინი ტექსტი, როგორც სასწავლო რესურსი, გულისხმობს ნებისმიერი ტიპის წერილობითი კომუნიკაციის ფორმას და შეიძლება იყოს წარმოდგენილი, როგორც პროდუქტი: წიგნის, ბროშურის, ჟურნალის, გაზეთის, ელექტრონული ინფორმაციის სახით. ამ რესურსის ერთ-ერთ მთავარ მიზანია მოსწავლეებს შორის მეტაკოგნიტური უნარების განვითარება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ საკუთარი მენტალური პროცესების გაცნობიერება და გააზრება იმისათვის, რომ ტექსტის კომუნიკაციის, გაცნობიერებისა და შექმნის დროს, შეძლოს ამ პროცესების მონიტორინგი, რეგულირება და სწორად მართვა. წიგნიერების სპეციალისტის მოვალეობაა, ხელი შეუწყოს წიგნიერების განვითარებას ყველა იმ მოსწავლეს შორის, რომლებიც სკოლაში სწავლობენ. სპეციალისტმა ამას მოსწავლესთან პირისპირ მუშაობით ან სხვა პედაგოგებსა და განათლების პროფესიონალებთან ერთობლივი ძალისხმევით უნდა მიაღწიოს. მოსწავლეების ნაწილს შესწევს უნარი, რომ საკუთარი ენობრივი შესაძლებლობები, კითხვისა და წერის პროცესები იმგვარად განავითაროს, რომ მასალების მინიმალური მოდიფიკაცია, მცირე რაოდენობის სტრატეგია ან დროის პერიოდი დასჭირდება. თუმცა, მოსწავლეების მეორე ნაწილი თქვენგან დამატებით მხარდაჭერას, სპეციალურ მასწავლებელს მოითხოვს ან ლოგოპედი სჭირდება. თუ მოსწავლის დიაგნოზი ამბობს, რომ მას შეზღუდული სასწავლო შესაძლებლობები აქვს, მნიშვნელოვანია, რომ მართებული შეფასება გამოვიყენოთ მოსწავლის მიერ ინფორმაციის დამუშავების დასადგენად და მხოლოდ ამის შემდეგ შევარჩიოთ სპეციალური სტრატეგია, რომელიც მისი წიგნიერების განვითარებისაკენ იქნება მიმართული.

სწავლების პროცესთან დაკავშირებული განსხვავებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების გარკვევა

სწავლასთან დაკავშირებული განსხვავებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის განსაკუთრებით რთული ხდება ინფორმაციის დამუშავება. ნეიროლოგიური

პერსპექტივიდან, სწავლასთან დაკავშირებული შეზღუდული შესაძლებლობები იწვევს ათვისების, დამახსოვრების, ორგანიზების შეზღუდვას ან უნარებისა და ცოდნის არასათანადოდ გამოყენებას.

ნახატი 1.1 წიგნიერების პროცესები



ასეთი შეზღუდვების იდენტიფიცირება აკადემიურ და ინფორმაციის დამახსოვრებასთან, აუდიალური, ვიზუალური და ლინგვისტური დამუშავების პროცესებში ხდება. სწავლასთან დაკავშირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებს აქვთ ნორმალური ან ნორმაზე მეტი ინტელექტი და შეზღუდვა არ არის გამოწვეული ემოციური გაუწონასწორობის, სოციალური ან კულტურული მდგომარეობის, პირველადი ვიზუალური, სმენითი ან მოტორული დარღვევებისგან. იმისათვის, რომ ამ მოსწავლეებმა დასძლიონ პრობლემები ან შეძლონ ფიზიკური შეზღუდვების სწავლასთან შეთავსება, აუცილებელია მათ მიიღონ სრულყოფილი ვიზუალური, სმენითი და ზოგად-ფიზიკური სავარჯიშოები.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ეროვნული გავრცელების ცენტრის მიხედვით, (NICHY, 2004), არსებობს ინფორმაციის დამუშავების ოთხი საფეხური, რომლებიც სწავლაში გამოიყენება:

1. **შენატანი** (input) - ტვინის იმპოსოვრებს ძირითადი გრძობებისა და შეგრძნებებისგან მიღებულ ინფორმაციას. წიგნიერებაში ეს ძირითადად ინფორმაციის ვიზუალური და აუდიალური დამუშავებაა.
2. **ინტეგრაცია** - ეს არის შენატანის ინტერპრეტაცია, როდესაც ინფორმაციის დამუშავება შეიძლება წარმოდგენილი იყოს სეკვენციის, აბსტრაქციის ან ორგანიზების სახით. მოსწავლეებმა, რომლებსაც სეკვენციური შეზღუდვა აქვთ, შეიძლება, რომ ინფორმაცია არასწორი თანამიმდევრობით მოჰყვენენ, სიტყვების რიგითობა აურიონ, ან დაიწყონ თხრობა სწორად და შემდეგ გაჩერდნენ, რადგან ვერ იაზრებენ, რა მოდის შემდეგი. მათ შეიძლება დაავიწყდეთ კვირის დღეების ან ანბანის ასოს რიგითობა. მოსწავლეებს, რომლებსაც აბსტრაქციული ალქმის შეზღუდვა აქვთ, შეიძლება შინაარსობრივი დასკვნების გამოტანა უჭირდეთ. მათ შეიძლება წაკითხონ მოთხრობა, მაგრამ ვერ შეძლონ მისი განზოგადება. მათთვის სირთულეა ხუმრობების, იდიომების ან ქარაგმების გაგება. მოსწავლეები კი, რომლებსაც ორგანიზების შეზღუდვა აქვთ, უჭირთ მცირე ზომის ინფორმაციის კონცეპტუალურ მთლიანობაში ალქმა ან ამ ინფორმაციის შეკავშირება წინარე გამოცდილებასთან. მათ შეიძლება ფაქტების მთელი სერია ისე ისწავლონ, რომ ვერ შეძლონ იმგვარ ზოგად კითხვებს უპასუხონ, რომლებიც ამ ფაქტების გამოყენებას მოითხოვს.
3. **მახსოვრობა** - ეს არის ტვინის საცავი, რომელსაც ინფორმაციის აღდგენის დატვირთვა აქვს. მოკლე მახსოვრობა ინფორმაციას მცირე ხნით ინახავს მას შემდეგ, რაც ჩვენ მას მივიღებთ ან მასზე კონცენტრაციას მოვახდენთ. მაგალითად, ტელეფონის ნომერს ვიმახსოვრებთ ის პერიოდი, რომელიც მის აკრეფას ესაჭიროება. თუ ინფორმაციის გამეორება ხდება, ის გადადის გრძელვადიან მეხსიერებაში, იქ ინახება და მოგვიანებით ხდება მისი აღდგენა. მოსწავლეებს, რომლებსაც

მახსოვრობასთან დაკავშირებული შეზღუდვები აქვთ, უფრო მეტჯერ სჭირდებათ ინფორმაციის გამეორება მისი დასწავლისათვის, ვიდრე სხვებს.

- ინფორმაციის **პროდუცირება** მიიღწევა ენობრივი ან მოტორული აქტივობების (კუნთის ქსოვილების გააქტიურების) საშუალებით. ენასა და მეტყველებასთან დაკავშირებული შეზღუდვები ყოველთვის უკავშირდება მოთხოვნას და მოთხოვნაზე ორიენტირებულ ენას და ნაკლებად სპონტანურ ან ასერტიულ მეტყველებას. ამასთან, მოტორიკასთან დაკავშირებული შეზღუდვები ყოველთვის დიდი კუნთების ცუდი კოორდინაციითაა გამოხატული. ამას გროს-მოტორული შეზღუდვა ეწოდება. ხოლო მცირე კუნთების პრობლემატიკასთან დაკავშირებული შეზღუდვები კი ნატიფი მოტორული შეზღუდვების სახელითა ცნობილი. მოსწავლეები, რომლებსაც მოტორიკასთან დაკავშირებული შეზღუდვები აქვთ, შეიძლება უფრო ნელა წერდნენ ან გაურკვეველი ნაწერი ჰქონდეთ. მათ ხშირად აქვთ ორთოგრაფიული, გრამატიკული და პუნქტუაციური შეცდომებიც.

სწავლასთან დაკავშირებული შეზღუდვების გადანაწილება, მათი გავლენიდან გამომდინარე, ერთ ან რამდენიმე საფეხურად შეიძლება გადანაწილდეს. მოსწავლეებს, რომლებსაც წიგნიერების პრობლემები აღენიშნებათ, შეიძლება დასმული ჰქონდეთ ან, სულაც, არ ჰქონდეთ დასმული რომელიმე შეზღუდვის დიაგნოზი. როგორც წესი, ამ მოსწავლეების იდენტიფიცირება მათი IQ ტესტის განსხვავებული შედეგების საფუძველზე ხდება (სწავლის პოტენციის სტანდარტიზებული ტესტი) და ასევე მათი მიღწევების ქულებით (შედეგების საფეხური, რომელსაც ისინი აღწევენ, ასევე, სტანდარტიზებულ ტესტში). იდენტიფიცირებისა და შეზღუდვის კვალიფიცირების კვალდაკვალ დგება ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა. არსებობს სწავლასთან დაკავშირებული შეზღუდვის რამდენიმე კლასიფიკაცია. ზოგიერთი მოსწავლის დიაგნოსტიკა აჩვენებს, რომ მათ სწავლასთან დაკავშირებული ზოგადი ან არავერბალური შეზღუდვა აქვთ, ზოგს კი კონკრეტული შეზღუდვა აღენიშნება. სწავლასთან დაკავშირებული შეზღუდვა არ შეიძლება ოფიციალურად იქნეს აღიარებული მანამდე, სანამ მოსწავლეები არ მიიღებენ სპეციალურ, კონკრეტულ ინსტრუქციას თითოეულ პროცესთან მიმართებით დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

ვიზუალური პროცესების შეფერხება ან შეზღუდვა იწვევს ვიზუალური ინფორმაციის დამუშავების სირთულეებს, მაგალითად ასოებისა და სიტყვების შეცნობას და შეფასებას, არასაკმარის სივრცით ცნობიერებას ან ვიზუალურ მახსოვრობას. ზოგიერთ მოსწავლისთვის, ასევე, რთულდება იმ განლაგებისა და ფორმის აღქმა, რომელსაც ხედავს. ისინი შეიძლება ასოებს ამოტრიალებულს ან გადანაცვლებულსაც ხედავდნენ. მოსწავლეებმა შეიძლება გამოტოვონ სიტყვები, ერთი და იგივე სტრიქონი ორჯერ წაიკითხონ ან სულაც გამორჩეთ ის.

აუდიალური პროცესების შეფერხება აუდიალური ტიპის შეზღუდვასთან დაკავშირებულ პრობლემებს შეიძლება იწვევდეს (მსგავსი ბგერებისა და სიტყვების გარჩევა, აუდიალური წონასწორობის (შესაბამისი საუბრისა და ფონური ხმების გარჩევა), ან აუდიალური მახსოვრობისა (იმ სიტყვის გახსენება, რომელიც გაისმა).

ბოლო ტენდენციების მიხედვით, საგანმანათლებლო მიზანი ნაკლებადაა ორიენტირებული მოსწავლეების მარკირებაზე შესაძლებლობების მიხედვით და მეტ ყურადღებას აქცევს იმ ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების დოკუმენტირებას, რომლებიც ავთენტური კითხვის ან წერითი დავალების დროს წარმოჩნდება. შესაბამისად, იმ მოსწავლეებისათვის, რომლებსაც კითხვითი სირთულეები აღენიშნებათ, სწავლება განსხვავებული სირთულის საფეხურზე ხორციელდება.

წიგნიერების სპეციალისტი წიგნიერების გუნდის განუყოფელი წევრია და მხარდაჭერას უცხადებს ყველა მოსწავლეს, განსაკუთრებით კი მათ, ვისაც წიგნიერების პროცესებთან დაკავშირებული სირთულეები აქვთ. ჩვენი, როგორც წიგნიერების სპეციალისტის, ერთ-ერთი მთავარი როლი მოსწავლეების ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების შეფასებაა ან ჩვენი მოვალეობაა, სხვა პროფესიონალებს დავეხმაროთ ამ პროცესებში.

შეფასების გაცნობიერება და გააზრება

შეფასება (assessment) ეს არის თვისობრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვების პროცესი მოსწავლეების სწავლასთან დაკავშირებულ მახასიათებლებზე. შეფასების პროცესი ტექსტების, დაკვირვების, სანიმუშო დავალებებისა და სხვა ინსტრუმენტების საშუალებითაა შესაძლებელი. რაც შეეხება შეფასებას (evaluation), ის წარმოადგენს შედეგების ინტერპრეტაციის პროცესს და საშუალება იძლევა, განვსაჯოთ მოსწავლის სწავლა და მასწავლებლის სწავლების ეფექტურობა, გამოვიტანოთ დასკვნები სასკოლო

პროგრამის შესაბამისობასთან დაკავშირებით. შეფასება ასევე იძლევა საშუალებას, დავინახოთ ურთიერთმართება კურიკულუმსა და საგაკვეთილო გეგმას, სასწავლო მასალებსა და აქტივობებს, ასევე შეფასების ინსტრუმენტებს შორის.

შესაბამისად, შეფასება (evaluation) გამოიყენება სწავლებისათვის მნიშვნელოვანი დასკვნების გამოსატანად, კონკრეტული მიზნის გათვალისწინებით, რომელიც მოსწავლის სწავლის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. შეფასება, რომლის განხორციელება შეუძლია მოსწავლეს, კლასის პედაგოგს და სხვა სპეციალისტს, აუცილებლად უნდა ითხოვდეს რაიმე ტიპის მომდევნო ქმედების განხორციელებას (გუნინგი, 2004). ამიტომ არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ მე უპირატესობას ვანიჭებ შეფასების უფრო ზოგად განმარტებას, რომელიც ბლექსა და ვილიამს (1998) ეკუთვნის. ამ განმარტების მიხედვით, შეფასებას მიეკუთვნება ყველა ის აქტივობა და ქმედება, რომლებსაც მასწავლებელი და მოსწავლე ახორციელებენ იმგვარი ინფორმაციის მისაღებად, რომელიც შეიძლება უკუკავშირად იქნეს გამოყენებული ამ მასწავლებლისა და მოსწავლეებისვე სწავლა-სწავლების აქტივობების მოდიფიცირებისათვის. დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეფასების მიზნის ზედმიწევნით გააზრებას და მის სხვებისათვის გაზიარებას, ასევე შეფასების საზღვრების გაცნობიერებას, მონაცემთა ანალიზის მიმართულებებს და ამ მონაცემების გავლენას შემდეგი სწავლებისათვის.

არსებობს შეფასების სამი მიზანი: (1) შეფასება სწავლისათვის (2) შეფასება, რომელიც სწავლის ნაწილს წარმოადგენს და (3) სწავლის შეფასება (კუპერი, 2006).

შეფასება სწავლისათვის გამოიყენება მოსწავლეებისთვის ზეპირი ან წერილობითი უკუკავშირისა და სწავლების შესახებ ინფორმაციის უზრუნველსაყოფად. ის ორი ფაზისგან შედგება, დიაგნოსტიკური, იმავე პირველადი შეფასებისა და განმავითარებელი შეფასებისგან. დიაგნოსტიკური ანალიზი მოსწავლეების კონკრეტული ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების სიღრმისეულად იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. ამ დროს, უმეტესწილად, თვისობრივი მონაცემები გამოიყენება იმისათვის, რომ კონკრეტული საკითხის განსაზღვრა და მისგან გამომდინარე სწავლება განხორციელდეს. ამგვარი შეფასება სწავლების დაწყებამდე და მის პროცესში ხორციელდება. დიაგნოსტიკური შეფასების მაგალითებს წარმოადგენს კითხვის არაფორმალური **ადმრიცხველი** (inventory) და **გააზრების შეფასების** ჩანაწერები. პირვანდელი შეფასების მიზანია, დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა სასწავლო საკითხთან მიმართებით. ამგვარი შეფასება უფრო მეტად მასწავლებლის მიერ არის შემუშავებული და სწავლების დაწყებამდე მოსწავლეებთან ჩატარებული. **ფორმატული**, იგივე **განმავითარებელი**, შეფასება სწავლის მთელი პროცესის მიმდინარეობისას ხორციელდება ჯგუფური სწავლებისა თუ დამოუკიდებელი აქტივობების ფარგლებში და მოსწავლეების სწავლის მონიტორინგს ახორციელებს მეტწილად არაფორმალურად. მოსწავლეებმა, ძირითადად, იციან, რისი შესწავლის მოლოდინი არსებობს მათგან და რა არის შეფასების კრიტერიუმები. განმავითარებელი შეფასება სხვადასხვა რესურსს შეიძლება ეფუძნებოდეს. ესენია: **ადრიცხვის ფურცელი**, **პორტფოლიო**, **მასწავლებლის დაკვირვება** და **დიალოგები**. უფრო მეტად ასეთი შეფასება მოსწავლის მიერ სწავლის პროცესს ამოწმებს და არა მიღებულ შედეგს.

სწავლის პროცესის შეფასება აჩვენებს მოსწავლეების ძლიერ მხარეებსა და საჭიროებებს, ასევე ცვლილებების მოცულობას და განვითარების ინტენსივობას დავალების შესრულების პერიოდში. შეფასების მეორე ფორმა რეალურად არც ერთ არსებულ კატეგორიაში არ ჯდება. ეს არის შეფასება - სკრინინგი, რომელიც რეალურად არ იძლევა ინფორმაციას სწავლებასთან დაკავშირებით, არამედ წარმოადგენს სწრაფ შეფასებას, იმისათვის, რომ განისაზღვროს, არის მოსწავლე დაწესებული ზღვარის მიღმა, ამ ზღვარზე თუ მის უფრო ზედა საფეხურზე. მიუხედავად ამისა, რეალურად დიაგნოსტიკურ შეფასებას თავისი ადგილი უჭირავს სწავლებაში და, შესაბამისად, აუცილებელია მისი დაგეგმვა მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში.

კონკრეტული ღონისძიების გატარების საპასუხოდ, ხშირად ჩატარებული შეფასება პროგრესის მონიტორინგისათვის ამ ტიპის შეფასებას მოითხოვს. ტესტებით შეფასება მარტივად ხორციელდება, რადგან ადგილად შეიძლება ქულის საჯაროდ დანახვა, თუმცა, მეორე მხრივ, ტესტი არ იძლევა არანაირ თვისობრივ მონაცემს მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების ანალიზისათვის, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ, კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე, შესაბამისი სწავლება დაიგეგმოს.

შეფასება, როგორც სწავლის ნაწილი, მთელი პროცესის განმავლობაში ხორციელდება და ძირითად აქცენტს თვითშეფასებაზე აკეთებს. ეს არის მოსწავლის უნარი, დააკვირდეს, გააანალიზოს და განსაჯოს საკუთარი მოსწრება სხვადასხვა კრიტერიუმის ფარგლებში და მიიღოს გადაწყვეტილებები მოსწრების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით (აბრომეიტი, 2001 Abromeit, 2001)

მოსწავლე აფასებს თავის სწავლას და იღებს გადაწყვეტილებას წინ წაიწიოს, განვითარდეს, როგორც ეს მეტაკოგნიციისთვის არის დამახასიათებელი. როსი (1998) თვლის, რომ მასწავლებელმა მოსწავლე უნდა ჩართოს საკუთარი მოსწრების შეფასებისათვის კრიტერიუმების განსაზღვრის პროცესში, ასწავლოს მოსწავლეებს, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ეს კრიტერიუმები მუშაობის პროცესში, უნდა უზრუნველყოს

უკუკავშირი მოსწავლეების თვითშეფასებასთან დაკავშირებით და მიეხმაროს მოსწავლეებს სასარგებლო მიზნების მიღწევასა და სამოქმედო გეგმის დასახვაში. ამ წიგნში მოცემულია რამდენიმე შეფასების მაგალითი, რომლებიც სპეციალურად თანასწორ-შეფასებასა და თვითშეფასების პრინციპებზეა მორგებული.

სწავლის შეფასების ყველაზე მკაფიო ილუსტრაციაა განსაზღვრელი შეფასება, რომელიც იძლევა საბოლოო დასკვნას სწავლების შესახებ. ასევე იძლევა ინფორმაციის სწავლის კონკრეტული ნაწილის დასრულებაზე და აფასებს მოსწავლის სწავლის პროდუქტს კონკრეტულ სტანდარტებზე დაყრდნობით.


მიღწეული შედეგის, სწავლის პროდუქტის შესახებ ინფორმაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლისათვის, თუ მას არ აქვს გაცნობიერებული პროცესის ის ეტაპები, რომლებიც დავალების დასრულებას დაჰყრდა. ასევე მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეებს აქვთ ინფორმაცია შეფასების კრიტერიუმების შესახებ ჯერ კიდევ დავალების შესრულებამდე.

სტანდარტიზებული შეფასება

შეფასება შეიძლება განხორციელდეს როგორც სტანდარტიზებული, ასევე არაფორმალური სახით. სტანდარტიზებული შეფასების პროცესის განხორციელებისას ინსტრუმენტის შემუშავება, ადმინისტრირება და ქულების მიკუთვნება მკაცრად განსაზღვრულ პროცედურებსა და ინსტრუქციებს ეფუძნება. ჩვეულებრივ, ტესტირება ადმინისტრირებას მოითხოვს, ხოლო თავად ტესტის ფორმატი კი ტრადიციული კითხვებისგან არის აგებული. ასეთია, მაგალითად, კითხვები რამდენიმე სავარაუდო პასუხით, რომელიც ნუმეროლოგიის მიხედვით დაწყოილ ან თვისობრივ მონაცემებს იძლევა. სტანდარტიზებული ტესტები ნორმაზე ან კრიტერიუმებზე ორიენტირებული შეიძლება იყოს. ასევე შეიძლება ორივეს -ნორმასა და კრიტერიუმებსაც ერთდროულად ეფუძნებოდეს. ამგვარი ტესტები ყველაზე მეტად სანდო და ვალიდურია (გუნინგი, 2004, იხილეთ სურათი 1.2);

სანდოობა წარმოადგენს რეგულარობის საზომს და უნდა ეფუძნებოდეს შედეგების დამოუკიდებლობის პრინციპს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსწავლე ხელმეორედ გაიმეორებს იმავე ტესტს, შედეგები საგრძნობლად არ უნდა იცვლებოდეს. ვალიდურობა კი განსაზღვრავს, თუ რამდენად ზედმიწევნით კარგად ასახავს ტესტში მოცემული ქულები ცოდნასა და უნარებს, რომელთა გასაზომად არის ტესტი შემუშავებული. ეფექტურ ტესტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შინაარსობრივი ვალიდურობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამგვარი ტესტი ზომავს უნარებსა და სტრატეგიებს იმგვარად, როგორც საკითხის სწავლება განხორციელდა. ნორმაზე ორიენტირებული შეფასების ფარგლებში ხორციელდება მოსწავლეების შედარება იმავე ასაკის ან საფეხურის მოსწავლეების - ცდის პირთა რეპრეზენტატულ ერთობლიობასთან. ნორმაზე დაფუძნებული ტესტირების შედეგების ანგარიში მოიცავს ქულათა მრავალსახეობას. **ნედლი ქულა** წარმოადგენს რიცხვს, რომელიც განისაზღვრება ტესტის თითოეული სწორად გაკეთებული დავალების რაოდენობის მიხედვით. **პროცენტული რეიტინგი** გამოხატავს მოსწავლეების პროცენტულ წილს მისი ასაკის ან იმავე საფეხურის იმ მოსწავლეთა ჯგუფში, რომელმაც შეფასებაში მიიღო მონაწილეობა და რომელმაც საშუალოზე მეტი დააგროვა. **სტატინინი** არის სტანდარტული ქულა, რომელიც წარმოადგენს ქულათა მწკრივის ინტერვალის გათვალისწინებით 9 ქულიან სკალაზე, სტატინინის მნიშვნელობაა 5, ხოლო სტანდარტული გადახრა კი 2. **საფეხურისა და ასაკის ეკვივალენტური ქულა** წარმოადგენს მოსწავლის მოსწრების შესახებ ვარაუდს, რომელიც საშუალო მოსწავლის შემთხვევაში საფეხურისა და ასაკის მიხედვით განისაზღვრება. მიუხედავად ამგვარი განმარტებებისა, რეალურად, შედეგები ყოველთვის მართებული არაა, რადგან თავად ქულები არ არის სტაბილური და სტანდარტიც ასაკისა და საფეხურის მიხედვით იცვლება. მაგალითად, მოსწავლე შეიძლება მოცემული ორი საფეხურის ქვემოთ იმყოფებოდეს და, მიუხედავად ამისა, მაინც საშუალო მაჩვენებლები ჰქონდეს შეფასების მიხედვით. **რეიტინგული ქულა** მოსწავლის მიერ ტესტში მიღებული ნედლი ქულის გარდაქმნის შედეგია, რომელიც ტექსტში მიღებულ ნედლი ქულების სკალაზეა განლაგებული და საშუალებას იძლევა, რიცხვითი შედარება გააკეთოს მოსწავლეებს შორის.

ნახატი 1.2 სტანდარტიზებული შეფასების კრიტერიუმების ერთობლიობის ჩარჩო



მიღწევების ტექსტი ხშირად გამოიყენება ინსტიტუციური შეფასებისათვის და მისი დანიშნულებაა სასკოლო საბჭოს, ადმინისტრაციას და, ზოგადად, საზოგადოებას მიაწოდოს მტკიცებულებები სასკოლო პროგრამის ეფექტურობის შესახებ სასწავლო გეგმისა და პროგრამულ დონეზე. შედეგები იზომება სკოლის კონკრეტული პროგრამის გაცხადებული მისიაზე სწორებით (გუნინგი, 2004). წარსულში სპეციალური განათლების პროგრამაში მოსწავლის განაწილებისათვის ინტელექტის ტესტის შედეგები დარდებოდა მიღწევების სტანდარტიზებულ ტესტს. ამჟამად, მასწავლებლებმა უნდა წარმოადგინონ სოლიდური რაოდენობის ძალისხმევის მტკიცებულებები, რომლებიც ბავშვის ტესტირებამდე ან მისი სპეციალური განათლების პროგრამაში გადანაწილებამდე გასწიეს. ნორმებზე ორიენტირებული ტესტების მონაცემების გამოყენება შეიძლება სხვა ფორმის შეფასებების შესავსებად. თუმცადა, ამგვარი ტესტები მეტწილად მხოლოდ ზოგად ინფორმაციას იძლევა. ასეთი ინფორმაციის მაგალითებია მიღწევების დაახლოებითი დონე ან მიღწევების მოსალოდნელი დონე. ეს მონაცემები ხშირად ვერ ზომავენ კითხვის მიღწევებს განხორციელებული სწავლების ან გამოყენების შესაბამისად. ამგვარი მონაცემები, ასევე, ვერ აფასებს მიღწევებს წერით მიღწევებთან დაკავშირებით სწორედ ამ მიზეზის გამო, ეს წიგნი არ მოიცავს ნორმაზე ორიენტირებული ტესტების ადმინისტრირების საკითხებს.

კრიტერიუმებზე ორიენტირებული შეფასება გამოიყენება მოსწავლის მოსწრების გასაზომად სწავლის მიმართ განსაზღვრულ მოთხოვნებზე ან მოლოდინებზე სწორებით. კრიტერიუმებზე დაფუძნებული ტესტების უმრავლესობა ზომავს ცოდნას, უნარებსა და შესაძლებლობებს სწავლის სტანდარტზე ან შტატის განათლების სააგენტოს ან სასკოლო ოლქის მიერ შემუშავებულ სასწავლო გეგმაზე სწორებით. ტესტის შედეგები გამოიყენება მოსწავლის ცოდნისა და შესაძლებლობების დასადგენად განსაზღვრულ კრიტერიუმებთან მიმართებით. ამის გათვალისწინებით, კრიტერიუმებზე ორიენტირებული ტესტი ბევრად სასარგებლოა, ვიდრე ნორმაზე დაფუძნებული ტესტი სწავლების კუთხით გადაწყვეტილებების მიღებისათვის. გადასალახი ბარიერის ან გამსვლელი ქულის განსაზღვრებისათვის საკამათო კრიტერიუმების არსებობა კრიტერიუმებზე ორიენტირებული ზოგიერთი ტესტის სუსტ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს. მეორე სისუსტე, რომელიც ნორმაზე ორიენტირებული ტესტის შემთხვევაშიც ანალოგიურია, უკავშირდება კრიტერიუმზე დაფუძნებული ტესტის შეფასებისას კითხვის უნარების ან სტრატეგიების ავთენტური სახით შეფასების ლიმიტებს. ტესტების ნაწილში გამოყენებულია საკითხავი მასალიდან მოკლე ნაწყვეტები ან რამდენიმე სავარაუდო პასუხის პრინციპზე აგებული კითხვები. ამგვარი ტესტების თვალსაჩინო მაგალითები მოცემულია ბაზალის ტესტებში ან ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ ტესტირებებში (გუნინგი, 2004).

არაფორმალური შეფასება

არაფორმალური შეფასება არ ეყრდნობა მკაცრად გაწერილი ადმინისტრირების ინსტრუქციებს. ის საშუალებას იძლევა, შეფასდეს ინდივიდუალური მოსწავლე და ამ მოსწავლის ტიპური ქცევა რეალურ სამყაროში არსებული დავალებების შესრულებისას. მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივი მონაცემების განსაზღვრული ნაწილი გამოყენებადია, ეს მონაცემები არ იძლევა სათანადო ინფორმაციის მოსწავლის ხარისხობრივი და ქცევითი მონაცემის შესახებ და არ არის სასარგებლო სწავლების დასაგეგმად. არაფორმალური ტესტი შეიძლება კრიტერიუმზე, განვითარებაზე ორიენტირებული ან ავთენტური სახით იყოს მოცემული (იხილეთ სურათი 1.3).

კრიტერიუმზე ორიენტირებული არაფორმალური ტესტის თვალსაჩინო მაგალითია კითხვის არაფორმალური აღმრიცხველი, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები კითხულობენ დასრულებულ აზრებს და მათი შეფასება სიტყვების სწორად წარმოთქმის, შეცდომათა ანალიზის, თხრობის და გააზრების შესამოწმებელ კითხვებზე თავისუფალი პასუხების შედეგების მიხედვით ფასდება. ამგვარ შეფასებაზე ორიენტირებული ანალიზი კითხვის სწავლების შეცვლის შესახებ ინფორმაციას იძლევა. ასევე შეიძლება განისაზღვროს სწავლების ძლიერი მხარეები და საჭიროებები.


განვითარებაზე ორიენტირებული შეფასება არაფორმალური შეფასების მიღებული ფორმაა. მისი საშუალებით ფასდება, თუ რისი გაკეთება შეუძლია მოსწავლეს შეფასების მომენტში, თავდაპირველ მოსწრებასთან შედარებით. მაგალითად გამოდგება მოსწავლის ნამუშევრების პორტფოლიო, ასევე წინასწარი და საბოლოო ტესტირებები, რომლებიც აჩვენებს მოსწავლის განვითარების მთელ პროცესს.

ავთენტური შეფასება, ასევე, შეიძლება იყოს კრიტერიუმზე დაფუძნებული, იმ შემთხვევაში, თუ რაიმე კრიტერიუმზე ხდება სწორება. ასეთი შეფასების მაგალითია რუბრიკები. რუბრიკები მოიცავს იმ ტიპურ დავალებებს, რომლებიც მოსწავლეების მიერ სკოლაში თუ სკოლის გარეთ ნასწავლი და გამოყენებული კითხვისა და წერის ყველა ფორმას აერთიანებს (ჰიბერტი, ვალენსია და აფლერბახი, 1994).

ზემოთ აღწერილი შეფასების ფორმები ნაკლები ფორმალობით ხასიათდება და ხაზს უსვამს, თუ როგორ სწავლობს მოსწავლე. ფორმალური ტიპის შეფასებიდან განსხვავებით, ისინი არ არიან ორიენტირებულნი მხოლოდ იმ საბოლოო პროდუქტზე, რომელიც მოსწავლის სწავლის შედეგადაა მიღებული (გუნინგი, 2004).

ჩანაწერების გაკეთება (კლეი, 1993), მცდარი კავშირების ანალიზი (miscue analysis) (ფუდმანი, 1987), ზეპირი და წერითი თხრობა, „ვიფიქროთ ხმამაღლა“ ინსტრუქციები, წერითი კომპოზიციები, ანალიზი, დაკვირვება, შემთხვევების ჩანაწერები, აღრიცხვის ფურცელი, სარეიტინგო სკალები, რუბრიკები - ყველა ის ფორმა, რომლებიც ხშირად გამოიყენება ავთენტური შეფასების საშუალებით სწავლის შესაფასებლად.

ნახატი 1.3 არაფორმალური შეფასების კრიტერიუმების ერთობლიობის ჩარჩო



იმისათვის, რომ მოსწავლეების ინტერესები, შეხედულებები და რწმენა განისაზღვროს, კითხვარები და ინტერვიუები შეგიძლიათ გამოიყენოთ. თვითშეფასება, რომელიც ავთენტური შეფასების ფორმას წარმოადგენს, ასევე მეტად მნიშვნელოვანია, თუკი მოსწავლე საკუთარ სწავლასთან მიმართებით

რეფლექსიას ახდენს. ამ დროს მოსწავლე საკუთარი ნამუშევრებისგან შემდგარ პორტფოლიოებს ერთობლიობაში განიხილავს, ისახავს მიზნებს და სახავს გეგმებს სამომავლო სწავლისათვის.

თვითშეფასების ფორმები შეიძლება მოიცავდეს აღრიცხვის ფურცლებს, რუბრიკებს, რეესტრებს, სამუშაო ჟურნალებს, კონფერენციებს, პორტფოლიოებს და სხვა საშუალებებს, რომლებიც მოსწავლის სწავლის შეფასებაზეა ორიენტირებული.

ამ წიგნში არაფორმალური შეფასების უამრავი მაგალითია მოცემული, რადგან ისინი არა მხოლოდ მიმდინარე რაოდენობრივ მონაცემს, მაგალითად, კითხვის დროს, არამედ ხარისხობრივ მაჩვენებლებსაც იძლევა მოსწავლის ენის ფლობის, კითხვისა და წერის შესახებ. მოსწავლის თვითშეფასების ეფექტურად გამოყენება შესაძლებელია თვითგაუმჯობესების სტრატეგიების განვითარებისათვის, რაც მათ წიგნიერებას ავითარებს.

გადაწყვეტილები მიღების ციკლის გაცნობიერება შეფასებისა და სწავლებისათვის

არსებობს ბევრი ისეთი გადაწყვეტილება, რომელთა მიღებაც აუცილებლად გჭირდებათ მოსწავლეების წიგნიერების ათვისებისა და ცხოვრების განმავლობაში სწავლისათვის (პარისი და სხვები, 1992). წიგნიერების ავთენტური შეფასების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება რამდენიმე განვითარებადი ფაზისაგან შედგება. ეს ფაზები კი მომიცავს წიგნიერების სხვადასხვა განზომილების განსაზღვრას, მისი მახასიათებლების იდენტიფიცირებას, წიგნიერი გაწაფულობის დამადასტურებელი ფაქტებისა და მონაცემების შეგროვებისათვის მეთოდების შერჩევას, მოსწავლეების სამუშაო მაგალითებისათვის ქულების მინიჭებას, ინტერპრეტაციასა და მონაცემთა გამოყენებას.


ვოლკერი (2004) სხვადასხვა მეთოდში დიაგნოსტიკოსი მასწავლებლის 5 სხვადასხვა როლს ავლენს: რეფლექსიური, დამგეგმავი, მედიატორი, გამაძლიერებელი (enabling) და ყურადღებიანი (responding). თუ გადაწყვეტილების მიღების ფაზებს (პარისი და სხვები, 1992) და დიაგნოსტიკური სწავლების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების ციკლურობას (ვოლკერი, 2004) ჩაუვლრმავდებით, კითხვის განახლების გაკვეთილის ჩარჩოსა (კლეი, 1993) და კითხვის სკაფოლდინგის გამოცდილების (გრიევი და გრიევი, 1994) მივიღებთ მხედველობაში, შეიძლება ვისაუბროთ წიგნიერების შეფასებისა და სწავლებისათვის გადაწყვეტილების მიღების ციკლზე, რომელიც შევიმუშავე და რომელიც 1.4 სურათში არის მოცემული. ციკლის თითოეული ფაზა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ სწავლება დაფუძნებული იყოს სპეციალური ამოცანების შეფასებაზე და არ ეფუძნებოდეს კონკრეტული პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრულ თანმიმდევრობას.

ფაზა 1: საგანმანათლებლო მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა

ჩვენი, განმანათლებლების, უპირველესი მიზანია, მოსწავლეებისათვის ცოდნის მიცემა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარება იმ გამოცდილების შეძენის საშუალებით, რომელიც მათ მაღალ სააზროვნო უნარებს აუმჯობესებს. ბლუმმა და კრატკოლმა (1956) შეიმუშავეს ბლუმის ტაქსონომია, მეთოდი, რომელიც აზროვნებითი ქცევების კლასიფიკაციას ახდენს. ეს ქცევები მიღებულია, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი სწავლის პროცესში და კოგნიტური მთლიანობის 6 იერარქიულად განლაგებული საფეხურისგან შედგება. სამი ყველაზე დაბალი საფეხურია: ცოდნა, გააზრება და გამოყენება. მაღალი საფეხურებია: ანალიზი, სინთეზი და შეფასება. განათლების ამოცანები და სტრატეგიები სწორედ ამ ტაქსონომიაზე დაყრდნობითაა შემუშავებული.

ბლუმის ტაქსონომიას, აგერ უკვე 50 წელიწადზე მეტია, მასწავლებლები აქტიურად მიმართავენ და მისი საშუალებით წახალისებენ მოსწავლეებს მაღალი სააზროვნო უნარების გამოყენებისათვის. ფორჰენდი (2005) თვლის, რომ მიუხედავად ბლუმის ტაქსონომიის აქტუალობისა, მისი ყოფილი მოსწავლის ლორინ ანდერსონის ხელმძღვანელობით არსებულმა კოგნიტური ფსიქოლოგების ჯგუფმა, რომელიც სასწავლო გეგმის თეორეტიკოსებსა და სწავლების მკვლევრებს აერთიანებდა, ბლუმის ტაქსონომია განახლა. ტაქსონომიის თავდაპირველი ვერსია კოგნიტური პროცესების მხოლოდ ტიპურობას ასახავდა, და არ იძლეოდა სიღრმისეული გააზრების საშუალებას. ანდერსონისა და რკათვოლის (2001) შესწორებული ვარიანტი ტექნოლოგიურ და სტრუქტურულ ცვლილებებს შეიცავს. ის ასევე საშუალებას იძლევა, რომ სახეცვლილი ტაქსონომია დაგეგმვის, სწავლებისა და შეფასებისათვის ფართოდ იქნეს გამოყენებული. საგულისხმოა, რომ ახალ ვერსიაში ექვსივე კატეგორიისათვის არსებითი სახელები ზმნებით შეიცვალა, ორი, ყველაზე მაღალი საფეხური შეანაცვლეს, ქვედა საფეხურებს კი სახელები გადაერქვათ.

სურათი 1.4 გადაწყვეტილების მიღების ციკლი წიგნიერების შეფასებისა და სწავლებისათვის



ცხრილი 1.1 ადარებს ტაქსონომიის თავდაპირველ და სახეცვლილ ვარიანტებს, სადაც შეცვლილი, ანდერონისა და კრატეოლის მიერ აღწერილი განმარტებებიცაა მოცემული (2001, გვ 67-68).

ფორჰანდი (2005) აღწერს სტრუქტურულ ცვლილებებს, თავდაპირველი ერთგანზომილებიან ფორმიდან სახეცვლილ ორგანზომილებიან ფორმას (იხ. ცხრილი 1.2). ცოდნის განზომილებები ზომავს ცოდნის იმ სახეობას, რომელიც იქნება შესწავლილი, მაშინ როდესაც კოგნიტიური პროცესების განზომილებები სწავლობს იმ პროცესებს, რომლებიც სწავლისათვის გამოიყენება.

ცხრილი 1.1 თავდაპირველი და სახეცვლილი ბლუმის ტაქსონომია	
თავდაპირველი სახე შეფასება (სახეცვლილ ვერსიაში ეს არის ერთით დაბალ საფეხურზე).	შეცვლილი სახე შეიქმნას: ელემენტების ერთმანეთთან დაკავშირება იმისათვის, რომ მთლიანი და ფუნქციური ერთიანობა შეიქმნას; ელემენტების რეორგანიზება გენერირების, დაგეგმვისა და პროდუცირების საშუალებით ახალ ტენდენციად ან სტრუქტურად;
სინთეზი	შეფასდეს: კრიტერიუმსა და სტანდარტზე დაფუძნებული განსჯები, რომლებიც შემოწმებისა და კრიტიკის საშუალებით ხორციელდება;
ანალიზი	გაანალიზდეს: მასალის დაყოფა შემადგენელ ნაწილებად; მასალების ერთმანეთთან ურთიერთკავშირის და საერთო სტრუქტურას ან მიზანთან კავშირების დადგენა განსხვავებების იდენტიფიცირების, ორგანიზებისა და მიკუთვნების საშუალებით;
გამოყენება	გამოყენებულ იქნეს: პროცედურების შემუშავების ან გამოყენება განხორციელების საშუალებით შესრულება ან განხორციელება;
გააზრება	გაირკვეს: ზეპირი, წერილობითი და გრაფიკული ინფორმაციული გზავნილებისგან შინაარსის აგება ინტერპრეტირების, მაგალითების მოყვანის, შეჯამების, დასკვნების გამოტანის, შედარებისა და განმარტების საშუალებით.
ცოდნა	დამახსოვრებულ იქნეს: გრძელ მახსოვრობაში არსებული რელევანტური ცოდნის აღდგენა შეცნობა, და გახსენება

ცხრილი 1.2 სახეცვლილი ბლუმის ტაქსონომია						
ცოდნის განზომილება	კოგნიტური პროცესის განზომილება					
	დამახსოვრო	გააზრო	გამოყენო	გაანალიზო	შეფასო	შექმნა
ფაქტობრივი ცოდნა	ჩამოთვალო	შეჯამო	კატეგორიებად დაყო	რიგითობა განსაზღვრო	რეიტინგი შეიმუშაო	დააკავშირო
კონცეპტუალური ცოდნა	აღწერო	ინტერპრეტირება გააკეთო	სცადო, გამოსცადო	ახსნა	დეტალურად შეაფასო	დაგეგმო
პროცედურული ცოდნა	ცხრილებად დაყოფა	გამოცნობა	კალკულაცია	ერთმანეთისგან განსხვავება	დასკვნის გამოტანა	შექმნა
მეტაკოგნიტური ცოდნა	მართებულად გამოყენება	აღსრულება	აგება	მიღწევა	მოქმედება	აქტუალიზაცია

ფიშერი: Fisher, D (2007). Instructional Design – The taxonomy table, Tarvallis, OR: Oregon State University Extended Campus, Retrieved March 17, 2007, from oregonstate.edu/instruct/coursedev/ models/id/taxonomy/#table. Reprinted with permission

ცოდნას ოთხი დონის განზომილება აქვს: ფაქტობრივი, კონცეპტუალური, პროცედურული და მეტაკოგნიტური. კოგნიტური პროცესების განზომილებას კი, 6 სხვადასხვა საფეხური აქვს: დამახსოვრება, გააზრება, გამოყენება, გაანალიზება, შეფასება და შექმნა. ამასთან, ცოდნის ოთხი დონიდან თითოეული განზომილება კიდევაა დაყოფილი 3 ან 4 კატეგორიებად. მაგალითად, ფაქტობრივი დონე იყოფა ფაქტობრივ ცოდნად, ტერმინოლოგიის ცოდნად, კონკრეტული დეტალებისა და ელემენტების ცოდნად. კოგნიტური პროცესების განზომილება ასევე სამიდან ექვს კატეგორიამდე შეიძლება იყოს დაყოფილი; მაგალითად, დამახსოვრების საფეხური თავისთავად კიდევ სამ კატეგორიად არის დაყოფილი: დამახსოვრება, ამოცნობა და გახსენება, ხოლო გააზრების საფეხური კი რვა ცალკეულ კატეგორიად იყოფა. ფორჭენდი (2005) ხსნის, რომ ბადე, რომელიც შედგება 24 ქვეკატეგორიისგან, განსაკუთრებით სასარგებლოა მასწავლებლებისათვის, როგორც წერილობითი ამოცანების, ასევე კურიკულუმთან სტანდარტების მისადაგებისათვის. ფორჭენდისვე (2005) მოსაზრებით, ბლუმის სახეცვლილი ტაქსონომია ნებისმიერი

გაკვეთილის გეგმასა თუ ამოცანას კარგად მიესადაგება. შესაბამისად, ბლუმის შესწორებული ტაქსონომიის გამოყენება გეხმარებათ მოსწავლეების ეფექტურ განვითარებაში სწავლის პროცესის დროს.

ფაზა 2: წიგნიერების მიზნისა და ამოცანების იდენტიფიცირება

სწავლების დაგეგმვამდე უფრო ადრე, თქვენ და სკოლაში არსებული სხვა პროფესიონალები უნდა შეიკრიბოთ ერთად, რომ განსაზღვროთ წიგნიერების სწავლებისა და შეფასების პრინციპები, რაც მიზანი და ამოცანებია პრიორიტეტული ზეპირი მეტყველების, კითხვისა და წერისათვის.

ეს ამოცანები უნდა ეფუძნებოდეს ზრდის, განვითარებისა და სწავლის სავარაუდო ტენდენციებს მისი წერილობითი აღწერის დროს კარგად უნდა იკვეთებოდეს ბლუმის სახეცვლილი ტაქსონომიის მიხედვით მოცემული კოგნიტური პროცესისა და ცოდნის განზომილებები (ანდერსონი და კრატვოლი, 2001).

ზეპირი მეტყველება, კითხვა და წერა დაფუძნებულია წიგნიერების განზომილებებზე და, ასევე, აქვს ის მახასიათებლები, რომლებიც პარისმა და სხვებმა წარმოაჩინეს (1992):

- ჩართულობა ენაში იდეების ზეპირად გაზიარებისა და სხვათა მოსაზრებებზე პასუხის საფუძველზე;
- ჩართულობა ტექსტში წაკითხულის მოსაზრებების წინაშე ცოდნასთან დაკავშირების საშუალებით;
- ჩართულობა ტექსტში იდეების კონსტრუქციულად გამოხატვის საშუალებით სხვადასხვა ჟანრისა და სტილის საკითხების ნაირსახეობის შესახებ წერისას;
- ცოდნა წიგნიერების შესახებ ჟანრის ამოცანისა და სტრუქტურის გააზრების, კითხვისა და წერის სტრატეგიების გამოყენების ცოდნის საშუალებით;
- ორიენტაცია წიგნიერებისკენ დამოუკიდებლად კითხვის, წერისა და სწავლის მოტივაციის დემონსტრირების საშუალებით;
- წიგნიერების მიმართ საკუთარი გრძნობის განვითარება დამოუკიდებელი კითხვისა და წერის ჩვევის ჩამოყალიბებისა და საკუთარი მიღწევების მონიტორინგის საშუალებით;
- თანამშრომლობა დისკუსიებისა საშუალებით მნიშვნელობის შეთანხმებისათვის;
- სასწავლო გეგმის ძირითადი საფუძვლების დაკავშირება კითხვისა და წერის იმ აქტივობების უზრუნველყოფით, რომლებიც მთლიან სასკოლო კურიკულუმშია ასახული;
- კავშირების უზრუნველყოფა წიგნიერების სასკოლო და სახლის დონეებს შორის.

წიგნიერების მიზნისა და ამოცანების ჩამოყალიბებისათვის, მნიშვნელოვანია ინგლისური ენის ხელოვნების სტანდარტის ცოდნა და მისი აღქმა (ინგლისური ენის მასწავლებელთა ეროვნული საბჭო და კითხვის საერთაშორისო ასოციაცია (1996)). შტატის ან სკოლის საოლქო სტანდარტი, რომელიც მეტწილად სასკოლო ან საოლქო ვებგვერდზეა ხელმისაწვდომი, ასევე მნიშვნელოვანია. ხშირად ადმინისტრაცია ითხოვს, რომ ეს სტანდარტები მასწავლებლის საგაკვეთილო გეგმებშიც აისახებოდეს. პარისი და სხვათა (1992) შემდეგი კითხვების გათვალისწინების რეკომენდაციას იძლევიან: რისი ცოდნა ესაჭიროებათ მოსწავლეებს მათი წიგნიერების განვითარების ცოდნისა და კონკრეტული კლასის ფარგლებში თქვენი მოლოდინების გათვალისწინებით? რა საშუალებებით შეუძლიათ მოსწავლეებს წიგნიერების პროცესების დემონსტრირება? ამ შემთხვევაში, რა მახასიათებლები აქვს წიგნიერების შემსწავლელს?

ამის შემდეგ თქვენ და სასკოლო წიგნიერების ჯგუფის დანარჩენმა წევრებმა თანამშრომლების საფუძველზე უნდა შეიმუშაოთ მოსალოდნელი მიზნისა და ამოცანების რუკა თითოეული კლასისათვის. ასევე ჯგუფურად, განსაზღვრეთ ისეთი კონკრეტული ამოცანებით ენის, ლექსიკის, ფონეტიკური ცნობიერების, სიტყვათა იდენტიფიცირების, ზეპირი კითხვის, კითხვის გამართულობის მოსმენის და კითხვის გააზრების, წერითი თხზულებისათვის, რომელიც მართებულია მოსწავლეთა განვითარების შეფასებისათვის.

დაიმოწმეთ ბლუმის შესწორებულ ტაქსონომია (ანდერსონი და კრატვოლი, 2001), იმისათვის, რომ შეიმუშაოთ ცოდნისა და კოგნიტური პროცესების ამოცანები წიგნიერების შესწავლის შესაფასებლად. პერისი და სხვები (1992) სწავლის ამოცანების შეფასებისა და სწავლებისათვის სამ ძირითად ნაწილად ყოფენ: (1) მოსწავლის ქმედებები (2) შინაარსი, და (3) ამოცანის მიღწევისათვის მოთხოვნილი მოსწრების სტანდარტი. შეფასების კრიტერიუმში ამოცანის მესამე ნაწილთანაა დაკავშირებული და აანალიზებს სწავლის მიღწევებს, ასევე განსაზღვრავს იმ კონკრეტულ მახასიათებლებს, რომლებიც ხელს უწყობს ზოგადი შეფასების განხორციელებას; ეს ის სტანდარტებია, რომლებიც სწავლის შესახებ განსჯის საშუალებას იძლევა. მოსწავლის მიღწევები იზომება დადგენილ ამოცანებსა და მიზანზე, განმავითარებელ ზღვრულ მაჩვენებელსა და დამტკიცებულ სწავლის ამოცანებზე სწორებით (ამ წიგნში მოცემულ წიგნიერების პროცესის აღწერის თითოეულ თავში მოცემულია ზოგადი წიგნიერების ამოცანების ჩამონათვალი).

ფაზა 3: განვსაზღვროთ, როგორ და როდის შევასწავლოთ მოსწავლის წიგნიერება

წიგნიერების განვითარების მტკიცებულების მოპოვება შესაძლებელია მრავალი კრიტერიუმსა და განვითარებაზე ორიენტირებული შეფასებით, რომლებიც მოსწავლის მოსწრებას, სწავლის პროცესსა და საბოლოო შედეგს, პროდუქტს აფასებს; ამის მაგალითებია დიაგნოსტიკური აღმრიცხველები, დაკვირვებები, კრიტიკული შემთხვევების ჩანაწერები, ზეპირი კითხვის ჩანაწერები, აღრიცხვის ფურცლები, სარეიტინგო სკალები, საკლასო/სამინაო სამუშაოს მაგალითები, მოსწრების აუდიო და ვიდეო ჩანაწერები, თვითშეფასებები. ეს მაგალითები ამ წიგნშიცაა მოცემული. მოსწავლეების წიგნიერების უნარების შესახებ ინფორმაცია შეიძლება ინდივიდუალური ან ჯგუფური შეფასების საშუალებით მოვიპოვოთ. ასევე ინფორმაციის წყარო თავად მოსწავლეები, მათი ოჯახები, საგნის მასწავლებლები და დამხმარე მასწავლებლები, სხვადასხვა პროფესიონალები.

მოსწავლის სწავლის შესახებ ინფორმაცია (მტკიცებულებები) მთელი წლის განმავლობაში უნდა შეგროვდეს და ორგანიზებულად დალაგდეს მოსწავლის წიგნიერების შესწავლის პორტფოლიოში. მონაცემები უნდა მოიცავდეს დიაგნოსტიკურ შეფასებას, მოსწრებაზე ორიენტირებულ აღრიცხვის ფურცლებსა და რუბრიკებს, თვით-შეფასებებს, ინტერვიუებს, შენიშვნებს დაკვირვების პროცესიდან. ყოველი წლის ან სემესტრის ბოლოს, სპეციალური წიგნიერების შეფასების ადმინისტრირება ასევე შესაძლებელია წიგნიერების ძლიერი მხარეების გაუმჯობესებისა და მიმდინარე საჭიროებების იდენტიფიცირებისა და შეფასებისათვის.

სპეციფიკური შეფასების შერჩევა უნდა ემყარებოდეს მის ლოგიკურ კავშირებს გაცხადებულ მიზანსა და ამოცანებთან. თუ შესაძლებელია, შეფასებებისას უნდა გამოვიყენოთ ავთენტური ზეპირი ენა, კითხვასა და წერაზე ორიენტირებული სავარჯიშოები. ამასთან, შეფასება უნდა იძლეოდეს მტკიცებულებას კონკრეტული ძლიერი მხარისა თუ საჭიროებების შესახებ და უბრალოდ არ უნდა განსაზღვრავდეს ზოგად დონესა და ქულებს.

სიფრთხილით შეარჩიეთ შეფასების ფორმა წიგნიერების გამოცდილებისათვის. უნდა ეცადოთ, რომ რაც შეიძლება ბევრი ინფორმაციის მოპოვება შეძლოთ რაც მცირე მოცულობის დავალებების საშუალებით. ამგვარი მიდგომა დაგეხმარებათ მეტი დრო სწავლას დაუთმოთ და ნაკლები კი - შეფასებას. მიცემული დავალებები უნდა მიესადაგებოდეს ან ახლოს უნდა იყოს მოსწავლეების მიახლოებითი განვითარების ზონასთან, რომელსაც ინგლისურად zone of proximal development ჰქვია და ხშირად აბრევიატურით - ZPD არის მოხსენიებული. ამ ზონის შესახებ მომდევნო გვერდებზე უფრო ვრცლად ვისაუბრებთ. თქვენ უნდა გქონდეთ იმის მოლოდინი, რომ მოსწავლეები შეძლებენ მიცემული დავალებების თუნდაც ნაწილის სწორად შესრულებას. ამასთან, უნდა გესმოდეთ, რომ მოსწავლეებს შეიძლება არ აქვთ ის წინარე ცოდნა, რომელიც აუცილებელია დავალებების 100%-ის სწორად შესრულებისათვის. თუ მოსწავლეები ძალიან ადვილად ასრულებენ დავალებას ან პირიქით, გულგატეხილები არიან მისი სირთულის გამო, შეიძლება სჯობდეს წიგნიერების სამუშაო შეწყვიტოთ ან სხვა, უფრო შესაფერისი დავალებები მისცეთ მოსწავლეებს. ამ წიგნში დავალებების ნუსხა მოცემულია დანართის სახით და ორგანიზებულია იმ შინაარსის მიხედვით, როგორც თავად წიგნი არის აწყობილი. იხილეთ დანართი ამა და ამ გვერდებზე იმ ცხრილის სანახავად, რომელშიც მოცემულია შეფასების ჩამონათვალი, ხოლო მეორე ცხრილში კი მოცემულია შეფასების მიზნების ჩამონათვალი და რა ტიპის მოსწავლე შეიძლება იყო კონკრეტული შეფასების პოტენციური მოსარგებლე.

ყველა გვერდზე ასევეა მოცემული გზამკვლევი კონკრეტული შეფასების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით. ზოგიერთ მათგანს აქვს ზღვრული ქულა, რომელიც გიკარნახებთ, სად უნდა შეწყვიტოთ შეფასება ან პირიქით, მოგცემთ მიმართულებას უფრო და უფრო მაღალი საფეხურის დავალებების ადმინისტრირებისათვის.

ფაზა 4: დიაგნოსტიკური შეფასების ადმინისტრირება, ანალიზი და შეფასება

ქვემოთ მოცემულია ის ზოგადი შეფასების პროცედურები, რომლებიც ამ წიგნში მოცემული წიგნიერების შეფასების სხვადასხვა სახის ადმინისტრირების დროს უნდა გამოიყენოთ. სპეციფიკური ინსტრუქციების სანახავად იხილეთ ყველა კონკრეტული შეფასება. პირველ რიგში, მოიპოვეთ მოსწავლის ენისა და წიგნიერების განვითარების შესახებ ინფორმაცია მშობლების, საგნის მასწავლებლების და პროცესში ჩართული ყველა პროფესიონალისაგან, იმისათვის, რომ შეძლოთ შეფასების სწორად შერჩევა. ასევე, გაარკვიეთ, ხომ არ აქვს მოსწავლეს ვიზუალური, აუდიალური ან სხვა ტიპის სპეციალური ფიზიკური საჭიროება. ამის შემდეგ კი შეარჩიეთ ისეთი შეფასებები, რომლებიც გაწვდიან ინფორმაციას თქვენი სწავლების სწორად დაგეგმვისათვის. ბოლოს და ბოლოს, ყველა შეფასება არ ითხოვს თითოეული მოსწავლის დონეზე ადმინისტრირებას; გადაწყვეტილებები მიიღება განმავითარებელი ზღვრული მაჩვენებლის,

მოსწავლის წიგნიერების განვითარების წინარე ცოდნისა და თითოეული ჩატარებული შეფასების ანალიზის საფუძველზე.

მომზადეთ შეფასებისათვის შესაბამისი გარემო. თუ არსებობს ამის შესაძლებლობა, თითოეული შეფასების ადმინისტრირება კარგი იქნებოდა ინდივიდუალურად, წყნარ, სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. ეს დღევისა და დაბნეულობის ფაქტორსაც ამცირებს. თქვენ მოსწავლის გვერდით და სულ ოდნავ უფრო უკან უნდა იჯდეთ. ხელში გეჭიროთ სპეციალური დაფა საჭერით, რომელშიც ყველა შევსებული ფურცელი ერთად იქნება შეგროვებული. ამგვარ გარემოში თქვენი მოსწავლესთან ინტერაქცია ბევრად უფრო უშუალოა; მარტივად შეგიძლიათ მოსწავლის ქცევაზე დაკვირვება ისე, რომ მოსწავლის ყურადღება დავალებაზეა მიპყრობილი და არ ცდილობს იმის გარკვევას, თუ რას წერთ თქვენ თქვენს ფურცელში. მოსწავლე კომფორტულად უნდა იჯდეს მაგიდასთან და ფეხი იატაკზე უნდა ედებოდეს. თუ მაგიდა ძალიან მაღალია, შეგიძლიათ მის ქვემოთ რაიმე სიმაღლის მიმცემი ბლოკი მოათავსოთ, რომელზეც მოსწავლე ფეხით დაეყრდნობა; იმისათვის, რომ ზედმიწევნით ზუსტი და აკურატული დოკუმენტაცია აწარმოოთ, გამოიყენეთ ოთახი, სადაც აუდიო-ვიზუალური აპარატურაა ხელმისაწვდომი. მინიმუმ, რაც დაგჭირდებათ, აუდიოჩანაწერი მოწყობილობაა, რომელზეც მოსწავლის ზეპირი პასუხების ჩაწერაა შესაძლებელი. თქვენი ჩანაწერები მოსწავლის პასუხებისა და ქცევის შესახებ ფანქრით შეასრულეთ, შემდეგ კი, კიდევ ერთხელ მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს საბოლოოდ შეფასების შესასწორებლად ან ინფორმაციის დასამატებლად.

მაგიდაზე მხოლოდ ის მასალა უნდა იყოს განთავსებული, რომელიც შეფასებისათვის გჭირდებათ. ყველა ამ მასალის ჩამონათვალში უნდა იყოს მინიმუმ 2 წვერგათილი ფანქარი. თუ აუცილებლობა არსებობს, ზოგიერთი ჩუმი კითხვის ან წერილობითი დავალებების ადმინისტრირება ჯგუფებშიც შეგიძლიათ; ასეა თუ ისე, ყველაზე მეტი სასარგებლო ინფორმაცია მოსწავლეების ინდივიდუალური დაკვირვების საფუძველზე გროვდება. ჯგუფური შეფასებების დროსაც კი, ხანდახან განსაკუთრებით სასარგებლოა პერსონალური სამუშაო სივრცეების ორგანიზება მოსწავლეებისათვის, რაც ეხმარება მათ დავალებაზე ჰქონდეთ ყურადღება მაქსიმალურად მობილიზებული. არ ეცადოთ, რომ ყველა შეფასება ერთი სესიის ფარგლებში ჩაატაროთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დააკვირდეთ და შემთხვევების ჩანიშვნა მოახერხოთ თქვენი მოსწავლეების ქცევის შესახებ. თქვენი ამოცანა უყურადღებობის, სტრესის და დაღლის ნიშნების დანახვაც უნდა იყოს. მიეცით მოსწავლეებს საშუალება, თან იქონიონ წყალი, ისარგებლონ საპირფარეშოთი, შეისვენონ, თუკი ამისი საჭიროება გაჩნდა. თავად შეფასების ხანგრძლივობა ძალიანაა დამოკიდებული კონკრეტული შეფასების ტიპსა და, ასევე, იმაზე, თუ რამდენი ხანი შეუძლიათ მოსწავლეებს ყურადღებით ყოფნა. დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისათვის უმჯობესია, თუ შეფასება 30-60 წუთზე დიდხანს არ გაგრძელდება ერთი დღის განმავლობაში და თანაც შესვენებით. უფროსი ასაკის მოსწავლეებს კი, შეუძლიათ 2- საათამდე დრო დაჰყონ შეფასებაზე შესვენებით. თუმცა, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, რომ მოსწავლეების ქცევა იყოს თქვენი გადაწყვეტილებების მიღების მთავარი ხელმძღვანელი.

მიუხედავად იმისა, რომ რეალურად არ არსებობს სპეციფიკური რიგითობა შეფასების ჩატარებისას, რეკომენდებულია, რომ დაიწყოთ ინტერესზე მორგებული შეფასებით. თუ მოსწავლეს არ იცნობთ კარგად, სჯობს, რომ წიგნიერების აღმრიცხველის გამოყენებით დაიწყოთ შეფასება. ამგვარი დამოკიდებულება საშუალებას მოგცემთ, მოსწავლესთან კავშირი დაამყაროთ და დაეხმაროთ მას, შეფასების პროცესში კომფორტულად, მშვიდად იგრძნოს თავი. ასევე სასარგებლოა, რომ თავიდან საკითხავი სიტყვების ჩამონათვალის ადმინისტრირებას შეუდგეთ და მხოლოდ ამის შემდეგ ტექსტის კითხვას. ეს მიდგომა დაგეხმარებათ განსაზღვროთ, რომელიც დონის ტექსტით დაიწყოთ კითხვა. თუ შეფასების პროცესი 30 წუთზე მეტ ხანს გრძელდება, კარგი იქნება, თუ წინასწარ დაგეგმავთ შესვენებას და კითხვისა და წერის დავალებებს ერთმანეთისგან გამიჯნავთ. ასე მოსწავლეები უფრო ჩართულები დარჩებიან მთელი შეფასების განმავლობაში. ყველა კონკრეტული დავალების ადმინისტრირების შემდგომ სწრაფად გადაავლეთ თვალი მოსწავლეების პასუხებს, რათა სწორად გადაწყვიტოთ, რომელი დავალება უნდა მისცეთ მათ შემდეგ. შეფასების სესიის დასრულების შემდეგ კი, გაანალიზეთ და შეაჯამეთ მოსწავლეების წიგნიერების განვითარება შეფასების წინასწარ შეთანხმებული წესის შესაბამისად. მრავალდონიანი შეფასების შემთხვევაში, გააგრძელეთ შემდეგი დონის დავალებების მიცემა მოსწავლეებისათვის მანამდე, სანამ არ მიაღწევთ სწავლების იმ უმაღლეს დონეს, რომლის მიღწევაცაა შესაძლებელი. განსაზღვრეთ მოსწავლეების ძლიერი მხარეები და საჭიროებები წიგნიერების ყველა შეფასების პერსპექტივიდან ინფორმაციის ინტეგრირების საშუალებით შეფასების ფარგლებში ან შუალედებში. დიაგნოსტიკური მონაცემებს გამოიყენებთ სწავლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

ფაზა 5: წიგნიერების გაკვეთილების დაგეგმვა

წიგნიერების გაკვეთილების დაგეგმვისას აუცილებელია, კარგად გვესმოდეს **დიაგნოსტიკური სწავლების** მნიშვნელობა. დიაგნოსტიკური სწავლება შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს: „სწავლებისა და შეფასების ერთდროული გამოყენების პროცესი, რომელიც სწავლების მოდიფიცირების საშუალებას იძლევა და ამით საშუალებას ვაძლევთ მკითხველებს (და წერილობითი ტექსტის ავტორებს, „მწერლებს“), ჩამოუყალიბდეთ დამოუკიდებლად სწავლისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები“ (ვოლკერი, 2004, გვ.5). დაგეგმვისას აუცილებელია ფოკუსირება მთლიანი ენის, კითხვისა და წერის აქტივობებზე. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული უნარისა ან სტრატეგიის სწავლება განსაზღვრული, მუშაობა დაიწყეთ ტექსტებით, რომლებშიც თემის სწავლების მსგავსი მაგალითებია მოცემული. წაიკითხეთ ეს ტექსტი ან ტექსტის ნაწილი, აუხსენით მოსწავლეებს ის შესასწავლი უნარი ან სტრატეგია და შემდეგ მიუბრუნდით იმ ტექსტს, რომელშიც მოსწავლეებმა მასალა უნდა გამოიყენონ ახალი კონტექსტში. აუცილებელია იცოდეთ, რა წინარე ცოდნა აქვთ თქვენს მოსწავლეებს. ასე თქვენ შეძლებთ თქვენი მოსწავლეების ძლიერი მხარეების კოორდინაციას წიგნიერების შესაბამის გამოცდილებასთან.

ვიგოტსკის მიახლოებითი (პროქსიმალური) განვითარების ზონა

ენისა და წიგნიერების შეფასებისა და წინარე სწავლების ანალიზის კვალდაკვალ, თქვენ შეგიძლიათ გამოიტანოთ მიახლოებითი დასკვნები შესაფერისი ამოცანების, სწავლების სტრატეგიებისა და მოსწავლეების მიახლოებითი განვითარების ზონის (ZPD) ძირითადი არელების შესახებ.

ცხრილი 1.3 მიახლოებითი (პროქსიმალური) განვითარების ზონის ტაბულა

მიახლოებითი განვითარების ზონის ქვემოთ	მიახლოებითი განვითარების ზონის ფარგლებში	მიახლოებითი განვითარების ზონის ზემოთ
დამოუკიდებელი დონე: მარტივი	სწავლების დონე: შესაფერისი	იმედგაცრუების დონე: ზედმეტად რთული
მოსწავლე თავად წერს ან კითხულობს	კითხვა და წერა მოსწავლესთან ერთად მიმდინარეობს	კითხვა და წერა მოსწავლისათვის მიმდინარეობს

ვიგოტსკის (1978, გვ. 86) განმარტების მიხედვით, მიახლოებითი განვითარების ზონა (ZPD) ესაა „დისტანცია განვითარების არსებულ საფეხურსა და განვითარების პოტენციურ საფეხურს შორის. ამასთან არსებული განვითარების საფეხური დანახულია პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრის პერსპექტივიდან, ხოლო პოტენციური განვითარება კი, ზრდასრულის ან უკეთესად მომზადებული თანატოლების ხელმძღვანელობაში შეიძლება მიიღწეს“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენი სწავლება უნდა ხორციელდებოდეს იმ პერსპექტივიდან, როდესაც მოსწავლეებს დავალების შესრულებას გარკვეული დახმარების ფონზე ხელეწიფებათ. სურათი 1.3, სადაც მიახლოებითი განვითარების ზონის ტაბულაა მოცემული, კარგად აჩვენებს ამ პრინციპს.

კამბორნის წიგნიერების განვითარების მოდელი

წიგნიერების განვითარების კიდევ ერთი ეფექტური მოდელი კამბორნიმ (1988) შეიმუშავა. ეს მოდელი აჩვენებს, თუ როგორ ხდება წიგნიერების განვითარება. მოსწავლეები წიგნიერებაში ჩართულები იმ შემთხვევაში არიან, თუ ისინი ბოლომდე ჩაიძირნენ ამ საქმიანობაში და წარმოადგენენ ტექსტის აგებულებისა და გამოყენების მრავალ მეთოდსა და სტრატეგიას. მასწავლებელმა უნდა შეინარჩუნოს მაღალი, მაგრამ მისაღწევი მოლოდინები; ამასთან, სწავლაზე პასუხისმგებლობა კვლავ მოსწავლეებს ეკისრებათ. მოსწავლეებს უამრავი შესაძლებლობის გამოყენება ესაჭიროებათ წიგნიერების პროცესების განვითარებისათვის. თქვენ უნდა გქონდეთ მოლოდინები და დაუშვათ მეტ-ნაკლებად დაახლოებითობა, რადგან სწორედ ამგვარად დგება და ხორციელდება სწავლა და სწავლის პროცესი. დაბოლოს, მოსწავლეებს ესაჭიროებათ დროული, კონკრეტული და კონსტრუქციული უკუკავშირი. თუ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტი მუშაობს, ალბათობა იმისა, რომ მოსწავლეები წიგნიერების აქტივობებში საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე, აქტიურად ჩართულები იქნებიან, დიდია. კამბორნის (1988) მოდელის გათვალისწინებით, სწავლების დაგეგმვის პროცესი რამდენიმე ნაბიჯისგან შედგება. პირველი - სწავლების ამოცანების დადგენა მოსწავლეების სწავლისათვის. ამოცანები უნდა ეფუძნებოდეს შეფასებისა და წინარე სწავლების შედეგად განსაზღვრულ ძლიერ მხარეებსა და საჭიროებებს და, ასევე, წიგნიერების განვითარების პრინციპების

ცოდნას. წიგნიერების ამოცანები კონკრეტული უნდა იყოს და ექვემდებარებოდეს დაკვირვებასა და გაზომვას. ამოცანები კითხვის საერთაშორისო ასოციაციისა (IRA) და ინგლისური ენის მასწავლებელთა ეროვნული საბჭოს (NCTE) სტანდარტთან „ინგლისური ენის ხელოვნების სტანდარტი (1996)“, შტატისა და საოლქო სტანდარტებთან უნდა იყოს დაკავშირებული. ბლუმის სახეცვლილი ტაქსონომია (ანდერსონი & კრატჰოლი, 2001), რომელიც სურათზე 1.2 არის მოცემული, ბევრის მომცემია ამოცანებისათვის ზმნების მორგებისათვის, ამოცანებისა, რომლებიც მოსწავლეებს მაღალი აზროვნების უწყვეტობისაკენ უბიძგებენ. მიუხედავად იმისა, რომ შერჩეული კონკრეტული ამოცანები მოსწავლეების საჭიროებებზეა დაფუძნებული, მნიშვნელოვანია, რომ გაკვეთილი წიგნიერების რამდენიმე პროცესის ინტეგრაციის პრინციპით იყოს აგებული.

მეორე - იმის დადგენა, თუ როგორ შეიძლება ამ ამოცანების მიღწევა ფრთხილად, ზუსტად შერჩეული სტრატეგიებისა და სწავლების მასალების გამოყენებით. ამასთან, სტრატეგიებიც და მასალებიც მოსწავლეების მიახლოებითი განვითარების ზონის ფარგლებში უნდა თავსდებოდეს და განსაკუთრებულ აქცენტს ავთენტური კითხვისა და წერის გამოცდილებაზე აკეთებდეს. თქვენი უპირველესი ამოცანა მოსწავლეების ახალ, დამოუკიდებლობის საფეხურზე გადაყვანაა ტექსტების სრული შემეცნების, მათში ჩაწვდომისა და შემუშავების საშუალებით. ამასთან, ნამუშევრები თანდათან უფრო და უფრო კომპლექსური უნდა ხდებოდეს. ასეთი მიზნის მიღწევის ერთ-ერთი გზაა სტრატეგიების ექსპლიციტური სწავლება, რომელიც ფილდინგისა და პირსონის (1994) პასუხისმგებლობისგან თანდათანობითი გათავისუფლებით სწავლების მოდელს ეფუძნება. ეს მოდელი 4 საფეხურისაგან შედგება:

1. დემონსტრირება - მასწავლებელი ხსნის სტრატეგიას და მის მოდელირებას ახორციელებს.
2. პრაქტიკა ხელმძღვანელობის ქვეშ - მასწავლებელი ნელ-ნელა უფრო მეტი პასუხისმგებლობით ტვირთავს მოსწავლეებს დავალების შესრულებისათვის.
3. დამოუკიდებელი პრაქტიკა - მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დამოუკიდებელი პრაქტიკის საშუალებას და აძლევს მათ კონკრეტულ უკუკავშირს.
4. გამოყენება - მოსწავლეები სტრატეგიას რეალური კითხვის (ან წერის) სიტუაციაში იყენებენ.

მოცემული მიზნის მიღწევის კიდევ ერთ გზას წარმოადგენს იმპლიციტური სწავლება, რომლის მაგალითია თქვენ მიერ ხმამაღალი ფიქრის მოდელირება მოსწავლეებისათვის კითხვისა და წერის პროცესში. ამასთან, საშუალება უნდა მისცეთ მათ, გაეცნონ და გაითავისონ ბევრი ის სტრატეგია და მონიტორის ქცევა, რომლებსაც კარგი მკითხველი და მწერალი იყენებს. დარწმუნდით, რომ მოსწავლეებს აქვთ ჩამონათვალი ყველა იმ აქტივობებისა და სტრატეგიისა, რომლებიც თქვენ გეხმარებათ ტექსტის გააზრებასა თუ შექმნაში. აუცილებლად განიხილეთ ეს სტრატეგიების მოსწავლეებთან და მიეცით მათ საშუალება, საკუთარი სიტყვებით წარმოადგინონ თითოეული მათგანი. თქვენ მიერ ხმამაღალი ფიქრის პროცესის მოდელირების კვალდაკვალ, დააკვალიანეთ მოსწავლეები, თავად განახორციელონ ხმამაღლა ფიქრის პროცესი.

რომელი სტრატეგია და სწავლის მოდელიც არ უნდა აირჩიოთ, აუცილებლად უნდა გქონდეთ მოსწავლეებისგან კითხვების მოლოდინი. ამიტომ უნდა იყოთ მზად პასუხებისათვის და უნდა გქონდეთ მომზადებული წინასწარი გეგმა სწავლის სხვადასხვა სტილისა და ინტერესების ინტეგრირებისათვის სწავლის პროცესში.

ასევე, გჭირდებათ თქვენი გაკვეთილების მორგება სწავლების პროცესში თითოეული ინდივიდის საჭიროებაზე. თითოეული მოდიფიკაცია, რომელიც განახორციელებთ, აუცილებლად უნდა ჩაინიშნოთ სამომავლო გამოყენებისათვის.

ამასთან ერთად, შეარჩიეთ შესაფერისი საკითხავი და საწერი მასალა მოსწავლეების სწავლების საფეხურისა და ინტერესის გათვალისწინებით, ისე, რომ ხარაჩოს პრინციპით სწავლებისათვის შესაფერისი სივრცე არსებობდეს, რაც მოსწავლეების წარმატების საწინდარია.

მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, თავად შეარჩიონ საკითხავი ტექსტები, მათი არჩევანი უნდა იყოს დაფუძნებული კითხვისა და წერის სწავლის აუცილებელ პრინციპებზე, რაც სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს მოიცავს, ასე მაგალითად, მხატვრული და არამხატვრული, კლასიკა და თანამედროვე ჟანრები. თქვენ უნდა ეცადოთ ტექნოლოგიების გამოყენებასაც, რათა უკეთ მოამზადოთ ისინი მედიის გამოყენებისათვის. ტექსტები უნდა იყოს კორელაციაში სწავლის სტანდარტების შინაარსობრივ მხარესთანაც. სანამ ტექსტს საკლასო ოთახში შეიტანთ და გამოიყენებთ, წინასწარ უნდა გააანალიზოთ მისი მახასიათებლები და წარმოიდგინოთ ტექსტის წარდგენის, წინარე ცოდნასთან დაკავშირების და მოსწავლეების ჩართულობის უზრუნველყოფის ხერხები (იხილეთ მე-7 თავი ტექსტის შერჩევისა და ანალიზის შესახებ).

ასევე, განსაზღვრეთ სწავლის კონტექსტი, მაგალითად, სად და რა ფორმატით განახორციელებთ სწავლებას. როდის გეგმავთ ინდივიდუალურ, წყვილებში, მცირე ჯგუფებში და მთლიან კლასთან სწავლებას?

სასურველია, თუ ინდივიდუალურ ან მოქნილ ჯგუფებში სწავლების დაგეგმვისას დაეყრდნობით თითოეული მოსწავლის სწავლების კონკრეტულ მიზნებს. დაბოლოს, თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, როგორ შეაფასებთ მოსწავლის სწავლას თითოეულ ამოცანასთან მიმართებით. თქვენ უნდა აღრიცხოთ მოსწავლის მოსწრება და გააკეთოთ შეფასებების დოკუმენტირება ყველა მიმართულებისათვის. მოსწავლეს უნდა გაესაუბროთ და თქვენი აზრი გაუზიაროთ კონკრეტული ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების შესახებ. ცხადია, არ არის აუცილებელი, რომ წიგნიერების ყველა ასპექტი ყველა გაკვეთილის ფარგლებში იფარებოდეს. თუმცა, მეორე მხრივ, სასურველი იქნებოდა, რომ თუ ყველა გაკვეთილზე დაეთმოთ დროს ავთენტურ კითხვასა და წერას.

ფაუნტასის და პინელის წიგნიერების ჩარჩოები არის ეფექტური სასწავლო მასალა, რომელიც წიგნიერების სრული პროგრამის ფრთხილი და ფაქიზი დაგეგმვის საფუძველზე შემუშავდა. ფაუნტასმა და პინელმა შექმნეს წიგნიერების ჩარჩოები მე-2 და მე-3-6 კლასებისათვის, რომლებიც წარმოადგენს ეფექტურ ინსტრუმენტს სწავლების დასაგეგმად. პირველკლასელებისათვის ფაუნტასმა და პინელმა (1996) შეიმუშავეს კითხვისა და წერის სახელოსნო. კითხვის სახელოსნო ოთხი ელემენტისგან შედგება: ხმამაღალი კითხვა, კითხვა რიგრიგობით, მართული კითხვა და დამოუკიდებელი კითხვა. რაც შეეხება წერის სახელოსნოს, ის შედგება რიგრიგობით წერის, ინტერაქციული წერის, მართული და დამოუკიდებელი წერის ელემენტებისგან. აღნიშვნის ღირსია, რომ „მოცემული ელემენტები არ არის ერთმანეთისგან დამოუკიდებელი და საკლასო აქტივობების ფარგლებში საშუალებას იძლევა, მარტივად და თამამად გადავიდეთ ერთიდან მეორე ელემენტზე“ (ფაუნტასი და პინელი, 1996, გვ. 25).

მე-3-მე-6 კლასებისათვის კი ფაუნტასმა და პინელმა (2001) შეუმუშავეს სამი ბლოკისაგან შემდგარი ჩარჩო: ენა და სიტყვათა შესწავლა, კითხვის სახელოსნო და წერის სახელოსნო. ენა და სიტყვების ათვისება მოიცავს რიგრიგობით წიგნიერებას, ინტერაქტიულ რედაქტირებას, ხელით წერას, სიტყვების შესწავლას, მოდელირებულ/რიგრიგობით კითხვას/წერას და ინტერაქტიულ ხმამაღალ კითხვას.

კითხვის სახელოსნო მოიცავს დამოუკიდებელ კითხვას, მართულ კითხვასა და ლიტერატურულ შესწავლას. წერის სახელოსნო მოიცავს დამოუკიდებელ წერას, მართულ წერასა და კვლევას.

წიგნიერების საგაკვეთილო გეგმის ფორმატის მაგალითი წარმოადგენილია დანართის სახით (გვ. 217) და გვასწავლის კონკრეტული საგაკვეთილო გეგმისა შემუშავებასა და მოსწავლის შეფასების დოკუმენტირებას. საგაკვეთილო გეგმის გამოყენება შეგიძლიათ მოსწავლეებთან სწავლების ან სხვა პედაგოგის დახმარებისათვის. გეგმა გამოსადეგია ინდივიდუალურ მოსწავლესა და ჯგუფთან მუშაობისათვის.

საგაკვეთილო გეგმის ელემენტები შეიძლება მოიცავდეს სპეციალურ ამოცანებსა და მასალებს, კონკრეტულ პროცედურებს, შეფასებასა და რეფლექსიას. არ არის აუცილებელი, რომ ყველა ელემენტი ყველა გაკვეთილზე იყოს წარმოდგენილი, თქვენ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება გესაჭიროებათ იმასთან დაკავშირებით, რის სწავლებას აპირებთ და რატომ აპირებთ სწორედ ამ კონკრეტული მასალის/უნარის სწავლებას. სრულყოფილი საგაკვეთილო გეგმა ძალიან დეტალურია და გიბიძგებთ თქვენი ფიქრების განვითარებისაკენ, რათა სწავლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები სრული ინფორმაციის საფუძველზე მიიღოთ. საწყის ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია ყველაფრის ჩაწერა, საბოლოო ჯამში კი, თქვენ შეძლებთ გადაწყვეტილების მიღებას აუცილებელი ელემენტების შესახებ. ასევე მარტივი იქნება საჭიროებების განსაზღვრა და ჩამოწერაც. თქვენი მზაობის მიუხედავად, ყველა ფაზასა და ყველა დროს მოსწავლის სწავლის მიზნისა და შეფასების დოკუმენტირება აუცილებელი პროცედურა იქნება.

ფაზა 6: სწავლების განხორციელება

სწავლების განხორციელებისას აუცილებელია, რომ რეფლექსია კითხვითი აქტივობის დაწყებამდე, პროცესსა და დასრულების შემდეგ მოახდინოთ. თქვენ უნდა შეძლოთ განსაზღვრა, რატომ ასწავლით ისე, როგორც ასწავლით. თქვენ უნდა გაითვალისწინოთ და შეარჩიოთ სწავლების სხვადასხვა ალტერნატივიდან ერთი ისე, რომ წინასწარ განსაზღვროთ თქვენი გადაწყვეტილების თანმდევი შედეგი. ასწავლეთ გონივრულად და აქცენტი წარმატებაზე გააკეთეთ. იფიქრეთ იმაზე, რისი გაკეთება ძალუძთ მოსწავლეებს და არ ჩაეძიოთ უუნარობის მიზეზებს.

შეამზადეთ მოსწავლეები თქვენი სწავლების, როგორც ხარაჩოს, გამოყენებისათვის სწავლის პროცესში. ხარაჩოს პრინციპით დახმარება, რომელიც მოსწავლეების მიახლოებითი განვითარების ზონის ფარგლებში მიმდინარეობს, არის „პროცესი, რომელიც ამზადებს მოსწავლეს ან ახალბედს პრობლემის გადაჭრისა და დავალების შესულებისათვის, იმ მიზნის მიღწევისათვის, რომელიც მისი შესაძლებლობების მაღლა დახმარების გარეშე მუშაობის შემთხვევაში“ (ვუდი, ბრუნერი და როსი 19726, გვ. 90).

ხარაჩოსა თუ სხვა ტიპის დახმარების მოცულობისა და ტიპის მორგება მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე ხდება. თქვენ უნდა განსაზღვროთ, რა შემთხვევაში შეიძლება დახმარებამ/ხარაჩომ წარმატებამდე მიიყვანოს მოსწავლე.

წახალისეთ მოსწავლეების დამოუკიდებელი კითხვა და წერა. სწავლების პროცესშივე შეფასებით, რადგან შეფასება იმდენ ხანს გრძელდება, რამდენსაც მოსწავლე სწავლობს. სწავლების პროცესშივე დააკორექტირეთ სწავლება, იმისათვის, რომ მოსწავლის წარმატება უზრუნველყოთ. ნუ დაელოდებით, როდის დასრულდება გაკვეთილი, იმისათვის, რომ შეფასება გააკეთოთ. სწავლების შესახებ გადაწყვეტილებები დააფუძნეთ მოსწავლის მნიშვნელობის კონსტრუირების უნარს, იმ ინფორმაციის წერილობით წარმოდგენის უნარს, რომელიც კონკრეტულ ტექსტშია მოცემული ან რომელსაც მოსწავლე უკვე იცნობდა.

კლეი (1993) თვლიდა, რომ ხარაჩოს პრინციპით სწავლება ნამდვილი გამოწვევაა, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, განავითარონ თვითგამომყდავების სისტემა და პროცესში გამოიყენონ მრავალი და მრავალფეროვანი ტექნიკა და სტრატეგიები, რომლებიც პრობლემების გადაჭრისათვის არის საჭირო. თქვენ მოსწავლეებს განუვითარებთ დამოუკიდებლად სწავლის, აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარს. მეტაგოგნიტიზმის შემოტანა, პირველ რიგში, საკუთარი აზროვნების თქვენსავე რეაქციას გამოიწვევს კითხვისა და წერის პროცესში. დროთა განმავლობაში კი თქვენ მოსწავლეებსაც მიმართავს იმავეს გასაკეთებლად. შეარჩიეთ სტრატეგიები, რომლებიც სწავლის სტიმულირებას ახდენს მოსწავლეებისათვის ყველაზე მოსახერხებელი მეთოდით. განუვითარეთ დამოუკიდებლობა მოსწავლეებს მათი, როგორც მთხრობელის, მკითხველისა და „მწერლის“ კონცეფციების განვითარების საშუალებით. თითოეული მოსწავლის საჭიროებას ინდივიდუალურად უპასუხეთ. დააკვირდით მოსწავლის წიგნიერებასთან დაკავშირებულ ქცევასაც. გამოიჩინეთ მიმდებლობა ინდივიდუალური განსხვავებების მიმართ იმ საერთოს გათვალისწინებით, რომ ყველა მოსწავლე უნდა მეტყველებდეს ზეპირად, კითხულობდეს და წერდეს.

ფაზა 7: შეფასეთ მოსწავლეების სწავლის ამოცანა

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეების მკაფიოდ განუმარტოთ, რა უნდა გააკეთონ. თუ რელევანტურია, ასევე აუხსნათ, რა კრიტერიუმებით განსჯით მათ ქცევას სწავლის გაუმჯობესებისთვის. ამგვარი განმარტების გარეშე მოსწავლეები შეიძლება დაიბნენ და დრო არაეფექტურად გამოიყენონ იმის გამოცნობაში, რისი სწავლა მოეთხოვებათ. გაკვეთილის მსვლელობის პროცესშიც და მისი დასრულების დროისთვისაც აუცილებელია იმის უზრუნველყოფა, რომ მოსწავლეებმა სწავლის დასრულება, პროცესის დახურვა შეძლონ. ამისათვის კი საჭიროა მასწავლებლის შეფასება ან მოსწავლეების მიერ სწავლის თვითშეფასება. ნებისმიერი ტიპის შეფასება, იქნება ეს ზეპირი, წერილი თუ დაკვირვებით ნაწარმოები შეფასება, მართებულია და შეიძლება წარმოდგენილი იყოს ზეპირი მეტყველების ჩანაწერებით, წაკითხულის თხრობით ან წერილი რეფლექსიით. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ მთავარია არ დაგავიწყდეთ მოსწავლეების პასუხების და ქცევის დოკუმენტირება.

ფაზა 8: მოსწავლის სწავლის ანალიზი და შეფასება

შეფასების ადმინისტრირების დასრულების შემდეგ თვისობრივი და რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი მოგაწვდით კონკრეტულ ინფორმაციას მოსწავლეების ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების შესახებ ენის, კითხვისა თუ წერის მიმართულებით. შეფასების ბევრი ტიპი დაგეხმარებათ განსაზღვროთ მოსწავლის დამოუკიდებელი, ინსტრუქციული და ფრუსტრაციის დონეები როგორც კითხვაში, ისე წერაში. გამომდინარე იმ ბევრი ფაქტორიდან, რომლებიც, მაგალითად, წინარე ცოდნასაც მოიცავს და მოსწავლეების ფუნქციურობის ხარისხზე ახდენს გავლენას, გამოვლენილი დონე მხოლოდ პირობითია. ამასთან, ანალიზი შესაძლებლობას მოგცემთ განსაზღვროთ, რამდენად იყენებს ან უგულებელყოფს მოსწავლე სტრატეგიებს პრობლემის გადაწყვეტის პროცესში. ეს ინფორმაცია ხანდახან შეიძლება კიდევ უფრო ღირებული იყოს, ვიდრე იმის დაგეგმვა, რომელი სტრატეგია ან კონცეფცია ვასწავლოთ კლასში. სხვა ტიპის შეფასებები, მაგალითად, დაკვირვება, შესრულებული სამუშაოს მაგალითები, აღრიცხვის ფურცლები თუ რუბრიკები გვაწოდებს დამატებით ინფორმაციას მოსწავლეების მოსწრების შესახებ ავთენტური ზეპირი მეტყველების, კითხვითი და წერილი დავალებების შესრულებისას. ზეპირი კომენტარები და ხარისხობრივი ქულები, რომლებიც წიგნიერების ამოცანებზეა დაფუძნებული, შეიძლება შევინახოთ დოკუმენტების სახით ან ასევე შევაფასოთ. ქვემოთ მოცემულია წიგნიერების კითხვების მაგალითები, რომლებიც გუნინგის (2004) მიერაა ადაპტირებული და რომლებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ სწავლების ან სხვა მასწავლებლების დახმარებისა - წიგნიერების პროგრამებისა და სწავლების დაგეგმვის, შესწორებისა და გაუმჯობესებისათვის:

- ენის, კითხვის და წერის განვითარების რა საფეხურზეა მოსწავლე ამ წუთას?

- რომელ კლასში იწყებენ მოსწავლეები წერა-კითხვას?
- კითხვისა და წერის დონე დამოუკიდებელია, მართული თუ ფრუსტრაციული?
 - რამდენად შესაბამისია მოსმენითი, კითხვითი და წერითი ლექსიკა აქვთ მოსწავლეებს?
 - გააზრებისა და სიტყვების ანალიზის რომელ სტრატეგიებს იყენებთ?
 - იციან მოსწავლეებმა, როგორ უნდა ისწავლონ?
 - როგორია მოსწავლეების ინტერესი და დამოკიდებულება კითხვისა და წერის მიმართ?
 - მოსწონთ თუ არა მოსწავლეებს განსხვავებული ჟანრის კითხვა და წერა?
 - კითხულობენ და წერენ მოსწავლეები, უბრალოდ, თავისთვის?
 - რა ტიპის წერითი დავალებით შეიძლება მოსწავლეების მოხიბვლა?
 - აუმჯობესებენ თუ არა მოსწავლეები კითხვასა და წერას?
 - რა ძლიერი მხარეები და საჭიროებები აქვთ მოსწავლეებს ენობრივი, კითხვისა და წერის თვალსაზრისით?

ფაზა 9: მოსწავლეების სწავლა-სწავლებაზე რეფლექსია

ბოლო და ბოლოს, თქვენც და მოსწავლეებიც ახდენთ რეფლექსიას მათ სწავლასა და თქვენს სწავლებაზე. ორივე პროცესი და აქტივობა გავლენას ახდენს მოსწავლეებზე. დაუსვით მოსწავლეებს კითხვები, მაგალითად, ჰკითხეთ, რა ისწავლა? დაუსვით კითხვები: რა გავაკეთე ისეთი, რაც სწავლაში დაგეხმარა? რა მოგეწონა ყველაზე მეტად გაკვეთილზე? რა იყო შენთვის ყველაზე რთული? რას შეიძლება უფრო სასარგებლო ყოფილიყო შენთვის? თუ მოსწავლეები ვერც ერთ ამოცანას ვერ აღწევენ, გაესაუბრეთ მათ და სთხოვეთ აგიხსნან, რისი სწავლა მოახერხეს. თქვენს საკუთარ სწავლების პროცესზე რეფლექსია დაგეხმარებათ გაითავისოთ მოსწავლეების სწავლის საკითხები. საკლასო აქტივობებისა და ჩართულობის გაუმჯობესებისათვის, მოსწავლეებს საშუალება მიეცით, მთელი კლასის წინაშე პასუხამდე მცირე ჯგუფებში, საკუთარ პარტნიორებს გაუზიარონ საკუთარი ნაზრები. იმედი უნდა გვქონდეს, რომ გაკვეთილების დასრულების შემდეგ, როდესაც სკოლიდან შინ დაბრუნებულ მოსწავლეს ოჯახის წევრი ჰკითხავს, თუ რა ისწავლა იმ დღეს სკოლაში, მოსწავლეს კონკრეტული პასუხის გაცემა შეეძლება. პერიოდულად შეახსენეთ ოჯახებს, რომ ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი დიალოგია, რომელიც მოსწავლესთან უნდა ჰქონდეთ. გაკვეთილზე თქვენი რეფლექსიისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს: რა გამოვიდა კარგად და რა ვერ გამოვიდა? რა გამოდის კარგად და რა ვერ გამოდის? რა დასკვნები გამოვიტანე ჩემი სწავლებიდან? როგორ შეიძლება სწავლების მორგება მოსწავლეთა იმ საჭიროებებზე, რომლებიც მომავალში შეიძლება წარმოემვათ? დაბოლოს, რა ტიპის სწავლება სჭირდებათ მოსწავლეებს იმისათვის, რომ წიგნიერების განვითარების მომდევნო საფეხურებზე იმოდრონ? ახალი მოსაზრებების გაჩენისათვის, თქვენი პრობლემების გაზიარებისათვის გაესაუბრეთ კოლეგას ან სხვა პროფესიონალს. დაბოლოს, დაუბრუნდით პირველ ფაზას, რომელიც მოსწავლის შედეგების გაზომვას გულისხმობს მიზანთან, ამოცანებსა და განვითარების ზღვრულ მაჩვენებლებთან მიმართებით. აუცილებელია მოსწავლეების პასუხების ინტერპრეტაცია და მათი ეფექტური გამოყენება დროში გაწერილი ინდივიდუალური ზრდისათვის. მონაცემთა გამოყენება ასევე შესაძლებელია მოსწავლეების, კლასების და პროგრამის მონაცემთა შედარებისათვის. იმისათვის, რომ ინფორმაცია სასარგებლო იყოს თქვენთვის, პარისი და სხვები (1992) თვლიან, რომ ჩაწერის, ორგანიზებისა და ხელმისაწვდომი მონაცემების შეფასებისათვის მეთოდების არჩევისას განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო. ეს მეთოდი მოიცავს პროცესების პორტფოლიოსაც, რომელშიც მიმდინარე შეფასების დოკუმენტები და შესაბამისი მონაცემები ინახება ერთად. ასევე გამოსადეგია საარქივო პორტფოლიო, რომელშიც წინა შეფასებების შესახებ მონაცემებია თავმოყრილი და მომდევნო მასწავლებლისათვის გადაცემული. ასევე აკუმულირებული მონაცემები, რომლებიც წარმოადგენს შეფასების მონაცემებს სხვადასხვა წყაროდან და ელექტრონული საცავი/ ბანკი, სადაც მოსწავლეების მონაცემები ელექტრონულად არის მოცემული და დამახსოვრებული.

ზემოთ აღწერილი 3 ინტეგრირებული ფაზისაგან შემდგარი წიგნიერების შეფასების ციკლი დაგეხმარებათ ინფორმირებული სწავლების პროცესში შეფასების გამოყენებაში. შეფასების შედეგები გამოყენებული უნდა იყოს მოსწავლის განვითარების შესაძლებლობების შექმნისათვის. შეფასების მონაცემები კი მოსწავლის სწავლის პროცესში ახალ სასწავლო მიზანსა თუ ამოცანასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ეს შეფასება მოსწავლის ოჯახის ინფორმირებასაც უნდა ახდენდეს მის განვითარებაზე, ხოლო მოსწავლეებს კი ეხმარებოდეს საკუთარი შრომის მონიტორინგსა და შეფასებაში. პირველ ფაზასთან დაბრუნება დაგეხმარებათ პროგრამის ახალი მიზნებისა და სწავლის ამოცანების დანახვასა და დასახვაში.

მზერა მომავლისკენ

შესავალში რეალურად ნიადაგი შევამზადეთ წიგნიერების, შეფასების, დიაგნოსტიკური სწავლების შესახებ ინფორმაციის მოწოდებით წიგნიერების შეფასებისა და სწავლების საკითხებში ჩასაღრმავებლად. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ წიგნიერება ბევრის მომცველი ტერმინია და აერთიანებს ენის, ლექსიკის, ფონემური ცნობიერებისა და ფონეტიკის, სიტყვათა იდენტიფიცირების, გამართული საუბრის, წაკითხულისა და მოსმენილის გააზრების, წერილობითი ნაშრომების ელემენტებს. წიგნიერების დიაგნოსტიკური სწავლება დაფუძნებულია შეფასებაზე, რომელიც ინფორმირებულ სწავლებას განაპირობებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეფასება არ არის სწავლებისგან გამიჯნული, არამედ ხორციელდება სწავლების წინ, პროცესსა და შემდეგ პერიოდებში. სწავლების დაგეგმვისას თქვენ უამრავი და განსხვავებული გადაწყვეტილება უნდა მიიღოთ თქვენ მიერ წიგნიერების განვითარების სტრატეგიების, მასალისა და მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეების ცოდნაზე დაყრდნობით.

თავი 2

ენისა და ლექსიკის განვითარება

გავიაროთ ენობრივი განვითარება

ენის სწავლა არა მხოლოდ სოციალური ფუნქციაა, არამედ ის საშუალებაა ეფექტურ მოაზროვნედ, მკითხველად თუ „მწერლად“ (წერილობითი ტექსტის ავტორად) ჩამოყალიბებისათვის. ჰალიდეი (1975) აღნიშნავს, რომ ენის ფუნქცია ჩვენი გარემომცველი სამყაროს არსის აღმოჩენაა. ენა აუცილებელია ახალბედა მკითხველისა და „მწერლის“ წიგნიერების უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფად ზრდასრულობის პერიოდშიც კი. ის მნიშვნელოვანი კავშირი, რომელიც ენობრივ განვითარებასა და ახალბედა მკითხველს შორის არსებობს, კარგად არის დოკუმენტირებული მოროუს (2005) ნაშრომებში.

მოსწავლეს სჭირდება შესაბამისი ენობრივი ბაზისი იმისათვის, რომ კითხვის სწავლა დაიწყოს. მასწავლებელმაც და მშობლებმაც უნდა ისაუბრონ ბავშვებთან და იკითხონ მათთან ერთად რომ დაეხმარონ ენობრივ გაძლიერებაში. კვლევები ცხადყოფს, რომ ადრეული მკითხველები იმ ოჯახებში იზრდებიან, სადაც მდიდარია ენობრივი გამოთქმები და ხშირად საუბრობენ (დიკინსონი და ტაბორი, 2001). გარდა ამისა, ადრეული მკითხველები ავლენენ თხრობითი ენის ფლობის უნარებს და შეუძლიათ ისტორიის, ამბის მოთხრობა ლიტერატურული იდიომატური გამოთქმების გამოყენებით, როგორებიცაა, მაგ. „იყო და არა იყო რა...“ ან „და ცხოვრობდნენ ქვეყნის დასალიერამდე ბედნიერად“. ამასთან, როდესაც ადრეული მკითხველები ისტორიებს ჰყვებიან, ისინი თხრობის იმავე მანერას და ინტონაციას იყენებენ, რომელსაც გარშემო მყოფი ზრდასრულები ხმამაღლა კითხვის დროს (მოროუ, 2005). ზრდასრულების ხმამაღლა კითხვა გამართულ ზეპირ კითხვასთან არის კავშირში. გარდა იმისა, რომ ენა უზარმაზარ როლს თამაშობს კითხვის გააზრებისათვის, ის გადაამწყვეტია კომუნიკაციისათვის ზოგადად (ჯონსონი, 2001). საშუალო და უფროსი ასაკის მოსწავლეების სწავლებასთან მიმართებით ფაუნტასი და პინელი (2001) თვლიან, რომ ენის ზეპირი გამოყენება დისკუსიის, აზრისა და შეხედულების გაცვლის, კითხვების დასმის, კრიტიკის, აღწერისა და წარმოჩენის დროს წინამორბედის აზრების გაზიარების საშუალებაა წერილობითი ფორმით.

არსებობს ენის ორი ტიპი (1) რეცეფციული ენა, რომელსაც მოსწავლე იგებს და იაზრებს და (2) რომლის პროდუცირებასაც მოსწავლე ახორციელებს.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ სამეტყველო ენის პათოლოგისტი (საქართველოში ცნობილია ლოგოპედის სახელით), ზოგადად ენობრივი სირთულეებთან არის ასოცირებული, ხშირად წიგნიერების სპეციალისტი ან კლასის მასწავლებელი მოსწავლის ენობრივი შეფასებისას ან კლასში ენის განვითარების მხარდაჭერისას სამეტყველო ენის პათოლოგისტის ფუნქციას იღებს თავისთავზე სწავლების დროს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ წიგნიერების სპეციალისტს ჰქონდეს ენობრივი განვითარების კარგი ცოდნა, რომელიც ფუნდამენტის როლს ასრულებს. არსებობს ენის სამი ასპექტი: ფორმა, შინაარსი და პრაგმატიკა.

ენის ფორმა

ენის ფორმა მის სტრუქტურას აღწერს და ლინგვისტური სიმბოლოების დანაწევრება-შეერთების წესებს ეხება მნიშვნელობის მქონე გამოხატულებების მისაღებად. როგორც წესი, ეს სიმბოლოები ზეპირსიტყვიერად (ფონემები/ბგერები), გრაფიკულად (ასოები) და ხელით შექმნილი (ნიშნები) არის მოცემული. ენის კატეგორიის ფორმებია ფონოლოგია, მორფოლოგია და სინტაქსი.

ფონოლოგია

ფონოლოგია არის მეცნიერება ენის ბგერების შესახებ (ბგერითი გადმოცემის ყველაზე პატარა ნაწილი, რომლის ცვლილებასაც შინაარსის ცვლა შეუძლია გამოიწვიოს. (მაგალითად, **ჭ** - სიტყვაში **ჭა** და **ც** - სიტყვაში **ცა**). ფონოლოგია, ასევე, მოიცავს ბგერების კომბინაციასაც იმისათვის, რომ უფრო მსხვილი ნაწილები

ამენდეს, რომელიც მარცვლებისა და სიტყვების სახით არის მოცემული. ფონოლოგია თავის თავში გულისხმობს არტიკულაციას, გამოთქმას და ინტონაციას. არტიკულაცია არის პროცესი, რომელიც წარმოქმნის მეტყველების ჟღერადობას პირის აპარატსა და ხორხში და მისი ჩამოყალიბების ელემენტებია მანერა, ადგილი (საუბარია გამოთქმის დროს ყელისა და პირის აპარატის იმ კონკრეტულ ადგილებზე, რომლებზეც ბგერის გამოთქმას განაპირობებს) და ხმის ტემბრი. არსებობს ინგლისური ენის თანხმოვნების არტიკულაციის განმსაზღვრელი რვა ადგილი: წვეილბაგისმიერი (წარმოითქმება ორივე ტუჩის კონტაქტის შედეგად); ენაკბილისმიერი (წარმოითქმება ქვედა ტუჩისა და ქვედა კბილების კონტაქტის შედეგად; ენისმიერი (ენა და კბილები), სასისმიერი (ენა კბილებს უკან მოთავსებული სასის საპირისპიროდ), ენასასისმიერი (ენა მაგარი (წინა) სასის საპირისპიროდ); უკანასასისმიერი (დამოკიდებულია ენისა და პირის უკანა, რბილი ნაწილის ურთიერთკონტაქტზე) და ხორხისმიერი (ჰაერის განუსაზღვრელი ნაკადი ხახის ან აორტის მეშვეობით).

არტიკულაციის ადგილებისა და საუბრის მანერის ურთიერთგავლენა განაპირობებს ბგერის პროდუცირებას. **არტიკულაციის მანერა** გულისხმობს ენის, ტუჩების, აორტისა და მეტყველების სხვა ორგანოების მონაწილეობას ბგერის წარმოქმნაში, უპირველესად კი - თანხმოვნების წარმოქმნაში. არტიკულაციის ჟღერადობა კი დამოკიდებულია ბგერის წარმოთქმის დროს აორტა ვიბრირებს თუ არა. მაგალითად: /th/ then-ში მჟღერია, ხოლო /th/ thin-ში - ყრუ.

ინგლისურისთვის არტიკულაციის მანერა ხასიათდება ჰაერის შეუზღუდავი თუ ძალიან შეზღუდული ოდენობის ჰაერის ჩასუნთქვით განპირობებული ბგერათა წარმოთქმის მიხედვით.

ინგლისურში არსებობს 8 სხვადასხვა ტიპის არტიკულაცია, დაწყებული ჰაერის უზარმაზარი ნაკადის მეშვეობით წარმოთქმული, მინიმალური ჰაერის ნაკადის მეშვეობით წარმოთქმულით დამთავრებული. ამ ენაში არსებობს მკვეთრი თანხმოვნები, რომელთა წარმოთქმისათვის ჰაერის ნაკადი უცებ წყდება. ეს თანხმოვნებია: /p/, /t/, /k/ (ყრუ) და /b/, /d/, /g/ (მჟღერი). ნაპრალოვანი თანხმოვნების წარმოთქმისას ნაწილობრივ ფერხდება ძლიერი ჰაერის ნაკადის მოწოდება. ასეთი თანხმოვნებია: f/, /th/ in thin, /s/, /sh/, and /h/ (ყრუ) და d /v/, /th/, /z/, და /zh/ (მჟღერი). აფრიკატი თანხმოვნების წარმოთქმა ისე იწყება, როგორც მკვეთრი თანხმოვნები და ისე თავდება, როგორც ნაპრალოვნები. ასეთი თანხმოვნებია: /ch/ (ყრუ) და /j/ (მჟღერი).

მცირე წინაღობით და მიახლოებული ბგერებით ხასიათდება ცხვირისმიერი თანხმოვნები, როგორებიცაა /m/, /n/ და /ng/, რომელთა წარმოთქმისას ჰაერი მოძრაობს არა პირის, არამედ ცხვირის საშუალებით. ასევეა ლიკვიდური ლატერალი, როგორიცაა /l/, როდესაც ენა ეხება კბილებს, ხოლო ჰაერი კი ენის გვერდებიდან გამოდის; ასევე ლიკვიდურია სონანტი /r/, რადგან ბგერა წარმოიქმნება ენის წვერით, ხოლო ჰაერის ნაკადი გვერდებიდან წარმოითქმება ხმოვნის მსგავსი და ქრომატული თანხმოვნები, როგორებიცაა /w/ და /y/ (მჟღერი), და /hw/ (ყრუ), რომლებიც, ასევე, ხმოვნის მსგავსი თანხმოვნები არიან და რომელთა წარმოთქმის დროს ენა სასის თაღთან ახლოსაა. დიფთონგების ბოლო კატეგორიას განეკუთვნება, /ow/ და /oi/, რომლებიც ასევე ქრომატულებია.

მეორე მხრივ, ხმოვნები შეუზღუდავი ჰაერნაკადით ხასიათდება, ხოლო ტუჩები კი შეწყულია. ხმოვნები დაყოფილია ენის სიმაღლის, ენის გაფართოებისა და მისი დაჭიმულობისა და მოშვების მიხედვით. ხმოვნები ასევე განსხვავდება პირის გახსნის ხარისხითაც და შეიძლება იყოს: დახურული, ნახევრად დახურული ნახევრად ღია, მეტწილად ღია და ღია.

საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი (IPA) წარმოადგენს გრაფიკული გამოსახულების სტანდარტული ერთობლიობას და მოიცავს ლათინურ და ბერძნულ სიმბოლოებს, რომლებიც ნებისმიერ ენაში ბგერების ტრანსკრიპტისათვის არის მიღებული. მეტყველების თერაპევტი სწორედ IPA იყენებს ტრანსკრიფციისათვის და შემდეგ ახდენს მოსწავლეების კატეგორიზებას მარცვლების არტიკულაციის საფუძველზე.

თანხმოვნების ტაბულა, რომელიც 2.1 ცხრილშია მოცემული, საერთაშორისო ფონეტიკური ასოციაციის მიერ არის ადაპტირებული, საშუალებას იძლევა ინგლისური ფონეტიკური გამოთქმა სამეტყველო ბგერებად იყოს გამოხატული. ასე კი ის, მეტყველების პათოლოგისტების გარდა, გასაგები და მკაფიოა სხვა პროფესიონალებისთვისაც. ტაბულაზე თქვენ ხედავთ ინგლისური თანხმოვნების წარმოთქმის მანერას, ხმას და პოზიციას. ამ ელემენტების სრული გააზრება და გათავისება ძალიან მნიშვნელოვანია წიგნიერების სპეციალისტისათვის, რომ შეძლოს მოსწავლის მეტყველების ან წარმოთქმის ინტერპრეტირება შესაბამისი სწავლების დაგეგმვისათვის. წარმოთქმის გაუმჯობესების შეფასება ღირებულია სხვა, ჩამანაცვლებელი ასოების წარმოთქმისათვის, რომლებსაც იგივე ადგილი უჭირავთ და იმავე მანერით გამოითქმება, და მხოლოდ სხვა ხმოვანება აქვს. მაგალითად, მოსწავლემ შეიძლება დაწეროს „budado“ ნაცვლად potato-სი. ეს არ არის შემთხვევითი, არამედ დაკავშირებულია /b/ თანხმოვნის ჩანაცვლებით /p/-ს ნაცვლად, ასევე /d/-ს ჩანაცვლებით /t/-ს მაგივრად, რომლებსაც მიახლოებული ბგერითი ფონემები აქვთ, თუმცა, ყრუებს განეკუთვნებიან და არა მჟღერებს. თქვენ შეძლებთ დაეხმაროთ მოსწავლეს სწორი ბგერების გამოთქმაში, თუ

მათ ხელს დაადებინებთ საკუთარ ხორხზე და აგრძნობინებთ იმ განსხვავებულ ვიბრაციას, რომელიც ამ თანხმოვნების წარმოთქმის დროს არსებობს. შემდეგ კი, დაწერთ სწორ ასოს.

ცხრილი 2.1. ინგლისური ენის თანხმოვანი ბგერები

რაგვარობა	მჟღერობა-სიყრუე	საწარმოთქმო ადგილი						
		ბილაბიალური	ლაბიოდენტალური	დენტალური	ალვეოლარული	პალატალური	ველარული	გლოტალური
მკვეთრი	ყრუ	p						
	მჟღერი	b						
ნაპარალოვანი	ყრუ		f					
	მჟღერი		v					
აფრიკატი	ყრუ							
	მჟღერი							
ცხვირისმიერი	მჟღერი	m			n		ng	ng
ლატერალი	მჟღერი							
თავისუფალი უკანაენისმიერი	მჟღერი				r			
„სრიალა“ (Glide)	მჟღერი	w			y			

ხმოვნების ბგერითი ტაბულა, რომელიც 2.2. ცხრილზეა გამოსახული, საერთაშორისო ფონეტიკური ანბანიდანაა ადაპტირებული და ინგლისურის ხმოვნების კატეგორიზაციას წარმოადგენს ენის სიმაღლის, გაფართოვების, დაჭიმულობისა და მოშვების მიხედვით. ტაბულა მნიშვნელოვანია იმის გასაცნობიერებლად, თუ როგორ წარმოითქმება ბგერები.

იმ მოსწავლეებს, რომლებსაც ბგერები ეშლებათ, უნდა ვასწავლოთ ენის სიმაღლეს შორის განსხვავებები და პირის გაღება სხვადასხვა სიფართოვეზე.

ფონოლოგია ასევე მოიცავს სიტყვისა გამოთქმას და ინტონაციას. გამოთქმა, იგივე პრონანსი, არის სიტყვის წარმოთქმის უნარი. მოსწავლეებმა შეიძლება ერმანეთში აურიონ ან არასწორად წარმოთქვან ისეთი სიტყვები, როგორცაა მაგალითად, p_sk_t_spaghetti-ს ნაცვლად... მიუხედავად ამისა, მსმენელს მაინც ესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა. ზოგ შემთხვევაში, მაგალითად, თუ მოსწავლე ამბობს სიტყვა affect-ს, როდესაც გულისხმობს სიტყვას effectis-ს, რეალურად იცვლება მნიშვნელობა.

ცხრილი 2.2. ინგლისური ენის ხმოვანი ბგერები

ხმოვნები	სიტყვები	სიმაღლე	რიგი	დაჭიმულობა	ღიაობა
/ɛ/	key	high	front	tense	retracted
/i/	win	high/mid	front	lax	retracted
/ə/	rebatе	mid	front	tense	retracted
/ɛ/	red	low-mid	front	lax	retracted
/æ/	had	low	front	lax	retracted
/ɔ̃/	moon	high	back	tense	retracted
/ɔ̃/	wood	high-mid	back	lax	retracted
/ɔ̃/	okay	mid	back	tense	retracted
/aw/	law	low-mid	back	tense	retracted
/ɔ̃/	cod	low	back	tense	retracted
ə	about	mid	central	lax	retracted
ʊ	bud	low-mid	central	lax	retracted
/er/	butter (end)	mid	central	lax	retracted
/ɪr/	bird	mid	central	lax	retracted

ინტონაცია კი, პირიქით, წარმოადგენს აქცენტების, ბგერის ტონის, გაერთიანებების თვისებრივ მახასიათებლებს, რომლებიც სიტყვის, ფრაზისა თუ წინადადების შინაარსზე ახდენს გავლენას. ტონი - ხმის ამალღება და ვარდნაა, და სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა მახასიათებელი აქვს. მაგალითად, დასაბუთების, ბრძანების თუ კითხვის დროს სხვადასხვანაირად ჟღერს. აქცენტები კი უფრო მეტადა ფოკუსირებულია მარცვლის დონეზე. აქცენტის კარგი მაგალითია სიტყვები

Dessert და desertor ან “I wouldn’t say that” საპირფონოდ “I wouldn’t say that ფრაზისა”. გაერთიანება არის ბგერების ნაკადი და პაუზები სიტყვებს შორის. ის მოიცავს ბგერების შესაფერის შერევას ან თავად სიტყვაში პაუზის გაკეთებას, მაგალითად სიტყვის note ან an oat. გაერთიანებები ასევე გულისხმობს სწორი პაუზების გაკეთებას სიტყვებს შორის. მაგალითად, წინადადება: My dad coaches soccer” და “Peter, my dad, coaches soccer.” თუ არასწორი მეტყველება დაფიქსირდა, თქვენ შეძლებთ მოსწავლეების დახმარებას ბგერებისა და სიტყვების სწორად გამოთქმაში. თქვენ შეგიძლიათ სწორ არტიკულაციაზე, წამოთქმასა და ინტონაციაზე ინტენსიური მუშაობის წარმართვა ბგერებისა თუ პაუზის დემონსტრირებით, სწორად წარმოთქმის ვიზუალიზაციით და მოყოლით. მოსწავლეებმა შეიძლება სარკესთანაც იმუშაოთ სწორ არტიკულაციაში გასაწაფად ან გამოიყენონ აუდიოჩამწერები, რომ წარმოთქმასა და ინტონაციაში ივარჯიშონ. ასევე სასარგებლოა ბგერათა სიტყვისა და წინადადების კონტექსტში ვარჯიში მოსწავლეებთან ლექსიკაზე ვარჯიშის დროს.

მორფოლოგია

ენის მორფოლოგია ეფუძნება იმ მინიმალურ ნაწილს, რომელსაც ჩვენ მორფემას ვუწოდებთ. თავისუფალი მორფემა შეიძლება იყოს ზმნა, არსებითი, ნაცვალსახელი, ზმინიზედა, ერთი სიტყვით კი, ჩვენი ლექსიკის ნაწილი. შედგენილი მორფემა ხშირად მოიცავს დამატებით ნაწილებს, (პრეფიქსებს, ინფიქსებს, სუფიქსებს), რომლებიც თავისუფალ მორფემებზეა მიმაგრებული. ბრაუნის 14 გრამატიკული მორფემა (ბრაუნი, 1973) მნიშვნელოვანი რესურსია მოსწავლეების ენის ათვისებისა და ლექსიკის გამდიდრების გაცნობიერებისა და მხარდაჭერისათვის. მორფოლოგიური ცნობიერება უკავშირდება მოსწავლის მიერ სიტყვების ამოკრებას კითხვისას ან, უფრო ზოგადად თუ ვიტყვით, სიტყვების დეკოდირების უნარებს. მორფემის ბგერები, წარმოთქმა და მნიშვნელობა სიტყვებში კომპლექსურია და გავლენას ახდენს სიტყვის წაკითხვაზე. კარლისლი და სტოუნ (2005) ეთანხმებიან სხვა ფონოლოგიურ კვლევებს (ნუნსი, ბრაინტი და ბინდმანი, 1997; რუბინი, პატერსონი და კანტორი, 1991; ტრეიმანი და კასარი, 1996), რომელთა თანახმად, სიტყვის წაკითხვასა და წარმოთქმას თანმიმდევრული სწავლება უკავშირდება ფონოლოგიურ, ორთოგრაფიულ, სინტაქსურ და მორფემულ ელემენტებს. ძირითადი სიტყვას დაკავშირების სწავლება მის დამატებებთან და, შესაბამისად, მნიშვნელობის გააზრება, ეხმარება მოსწავლეებს ის უცნობი სიტყვები გააანალიზონ, რომლებიც შეიცავენ ნაცნობ მორფემებს. ეს კი ლექსიკის გაფართოებას უწყობს ხელს.

ტაბულა, რომელიც 2.3 ცხრილზეა მოცემული, აჩვენებს ბრაუნის 14 მორფემას და მისი გამოყენება შეიძლება მორფემის არსებობის ან არარსებობის იდენტიფიცირებისათვის მოსწავლეების მეტყველებაში, ეს კი, თავისთავად, მორფემის სწავლების დაგეგმვაში ეხმარება.

ცხრილი 2.3. ბრაუნის 14 მორფემის მაგალითი.

მორფემა	მაგალითი
Present Progressive (-ing with no auxiliary verb)	Mommy driving
In	Ball in cup
On	Doggie on sofa
Regular plural (-s)	Kitties eat my ice cream. (Forms: /s/, /z/, /əz/)
Irregular past	Came, fell, broke, sat, went
Possessives	Mommy’s balloon broke.
Uncontractible copula (verb to be)	He is. (Response to “Who’s sick?”)
Articles	I see a kitty. I throw the ball.
Regular past (-ed)	Daddy pulled the wagon (All 3 sounds: /ed/, /d/, /t/)
Regular third person (-s)	Kathy hits. (Forms: /s/, /z/, /əz/)
Irregular third person	Does, has
Uncontractible auxiliary	He is. (response to “Who’s going home?”)
Contractible copula	Man’s big. (for “Man is big.”)
Contractible auxiliary	Daddy’s drinking juice. (for “Daddy is drinking juice.”)

ბრაუნი (1973) აცხადებდა, რომ ცხრილზე მოცემულ მორფემებში გაწაფვა 19-50 თვის ასაკში ხდება, თუმცა ზოგჯერ შესაძლებელია სკოლის ასაკის იმ მოსწავლეებშიც გაგრძელდეს, რომლებიც კითხვაში

დახმარებას იღებენ. ასევე შეიძლება შეგხვდეს ინგლისური ენის შემსწავლელებში, რომლებსაც სპეციალური სწავლება სჭირდებათ მორფემების სწორად გამოყენებისათვის.

სინტაქსი

ენის ფორმის მესამე ასპექტი არის სინტაქსი, რომელიც დამყარებულია წინადადების გრამატიკულ სტრუქტურაზე და განსაზღვრავს სიტყვების ფრაზებში და ფრაზების წინადადებებში გაერთიანების წესებს. სინტაქსი მოიცავს წინადადების მახასიათებლებს (არსებით სახელიანი და ზმნიანი ფრაზები), ტრანსფორმაციული წინადადებები (კითხვა, უარყოფა, ვნებითი გვარი - მოქმედებითის საპირისპიროდ), და თეორემები (მოდიფიკატორის დამატება, შეკავშირება, შეკავშირებული და ჩართული თანდებულები).

თუ მოსწავლეებს დავეხმარებით, გაერკვნენ ინგლისურის სტანდარტში მოცემულ სინტაქსში, ჩვენ მათ მოვამზადებთ კითხვის დროს ვარაუდების გამოსათქმელად და წაკითხულის გააზრებისათვის, მოსწავლეებს შეეძლება თანმიმდევრულად დაწერონ და დაასრულონ წინადადებები.

ენის შინაარსი

ენის შინაარსი ხშირად შინაარსის კატეგორიების მიხედვით ანალიზდება (ბლუმი და ლაჰი, 1989). ენის სემანტიკა დაკავშირებულია ლექსიკისა და სიტყვების მნიშვნელობასა და შინაარსობრივი და ფუნქციური სიტყვების გამოყენებასთან. ცხრილ 2.4-ში ის მაგალითებია იდენტიფიცირებული და შერჩეული, რომლებიც თითოეულ შინაარსობრივ კატეგორიას წარმოგიდგენს. ბლუმი და ლაჰი (1978) ასკვნიან, რომ ბავშვებს შინაარსობრივი კატეგორიების კომუნიკაცია 10-დან 40 თვემდე ასაკში შეუძლიათ, თუმცა, რეალურად გვხვდებიან სკოლის ასაკის მოსწავლეები, რომლებსაც კიდევ აქვთ მსგავსი ტიპის პრობლემები. ცხრილი 2.4 გვაჩვენებს იმ დაახლოებით ასაკს, როდესაც მოსწავლეებს შეუძლიათ ამ კატეგორიების კომუნიკაცია. გამომდინარე იქიდან, რომ ასაკობრივი ზღვრები სასკოლო ასაკამდე კატეგორიას მოიცავს, მოსწავლეები, რომლებსაც არ შეუძლიათ ამ კატეგორიების დემონსტრირება, დახმარებას საჭიროებენ შინაარსობრივი კატეგორიების განვითარებაში. ამ ცხრილის გამოყენება შეიძლება იმის განსაზღვრებისათვის, შინაარსობრივ კატეგორიებს მოსწავლეები იყენებენ თუ არა მეტყველებაში.

ცხრილი 2.4 ენის შინაარსობრივი კატეგორიები

შინაარსობრივი კატეგორია	ასაკი (თვეებში)	მოკლე განსაზღვრება	მაგალითი
არსებობა	10-18	საგანი გარემოში გარემოში	„ცუგა“.
არარსებობა	14-30	საგანი აღარ არის მოცემული	„ყველა „წავიდა“.
დაბრუნება, განმეორება	20-40	კავშირშია თავიდან გამოჩენასთან	„ისევაა რძე“
უკუგდება, უარყოფა	24-48	საწინააღმდეგო საქციელი, დაუთანხმებლობა ან უარი	„არა!“ „მე ეს არ მინდა!“
მიუღებლობა	24-48	იდენტურობის, მდგომარეობის ან ნეგატიური დამოკიდებულება	„სულაც არ არის საყვარელი!“
მიკუთვნება/ატრიბუცია	34-38	ხშირად ზედსართავის გამოყენებას მოითხოვს	დიდი კაცი
ფლობა	34-38	საგანი, რომელიც პიროვნებასთან ასოცირდება	დედას მანქანა
მოქმედება	34-38	გულისხმობს მოძრაობას, თუმცა არა ადგილის გამოცვლას	„ნამცხვარი შეჭამა“
ლოკაციური მოქმედება	38-40	მოძრაობა ადგილის გამოცვლით	„მოდით აქ“
ლოკაციური მდგომარეობა	38-40	სივრცული კავშირები	„ცუგა გარეთაა“
მდგომარეობა	38-40	გულისხმობს დამოკიდებულებე- ბის და ურთიერთობების მდგომარეობას გარე მდგომარეობა შიდა მდგომარეობა მიკუთვნებული მდგომარეობა ფლობითი მდგომარეობა	ის დაღლილია მას სცივა ეს გატეხილია ეს ჩემია

რაოდენობა	38-40	რიცხვი ან რაოდენობა	ორი ბაია ჩიტები
შემჩნევა	40*	პირის, საგნის ან მოვლენის მიმართ ყურადღება	დედა დავინახე
დატივი, მიცემითი ბრუნვა	40+	არაპირდაპირი დამატების გამოყენება	„მომეცი (მე) ნამცხვარი“
დამოკიდებული	40+	საგნების, მოვლენები, მდგომარეობის დაკავშირება, ხშირად იწარმოება „და“ და „მიერ“ კავშირების გამოყენებით	„მე მაჩუქეს მანქანა და დათუნია“. „ამას მივიღებ“
დროებითი	40+	დაკავშირებულია დროსთან	გუშინ გამიტყდა
მიზეზობრივი	40+	მიზეზი და შედეგი	გარეთ მივდივარ, ბაჩები უნდა ჩავიცვა.
დაპირისპირებული	40+	ორი დაპირისპირებული მოვლენა/მდგომარეობა	წასვლა მინდა, მაგრამ არ გამოდის
ეპისტემური	40+	ურთიერთობების, კავშირების მენტალური მდგომარეობა (გამოიყენება ზმნები, როგორებიცაა ვიცი, ვფიქრობ, მახსოვს, მაინტერესებს)	„ეს რას ნიშნავს?“ „მე არ ვიცი.“
სპეციფიკა	40+	ერთის მეორისგან გამორჩევა. მოგვიანებით ასევე მოიცავს ორი დამოკიდებული მიზეზის ერთმანეთთან შეერთებას	მე, აი, ეს მინდა. ეს სათევზაო მოწყობილობა გაქვს და შენ ამით თევზაობ.
კომუნიკაცია	40+	შეიცავს კომუნიკაციის გამოხატვულ ზმნებს	დედამ მითხრა, ასე არ მოიქცეო.

ენის გამოყენება და პრაგმატიკა

ენის გამოყენება და პრაგმატიკა ადგენს, თუ როგორ გამოიყენებენ ადამიანები ენას საკომუნიკაციოდ. ენობრივი კატეგორიები ფუნქციური კატეგორიებია, რომლებიც შემუშავებულია იმისათვის, რომ გააანალიზოს ენის მომხმარებელთა პირველადი, საბაზისო ზრახვები გამოთქმების ჩამოყალიბებისას. მაგალითად, როდესაც ადამიანებს სურთ რაღაცის თხოვნა ან აზრის დაფიქსირება, კომენტარის გაკეთება განხილვის საკითხთან მიმართებით ან გარემოს რეგულირება, ანდა, სულაც, უბრალოდ კომუნიკაცია (ფეი, 1986; ჰალიდაი, ლაპი და ბლუმი, 1988). ენის გამოყენების კატეგორიები შეიძლება დავყოთ მტკიცებით (ასერტიულ) კატეგორიებად, რაც გულისხმობს, რომ ინდივიდი პასუხობს თხოვნას ან მტკიცებას (ეი, 1986). სპონტანური ენა წარმოიქმნება, როდესაც ჩვენ ინიცირებას ვუწევთ საუბარს, მაგალითად, ვირჩევთ საუბრის თემას, ვახდენთ ჩვენი აზრების ორგანიზებას, ვპოულობთ შესაბამის სიტყვებს ჯერ კიდევ პირის გახსნამდე. მოთხოვნითი ენა წარმოიშობა მაშინ, როდესაც ვიღაც სხვა ქმნის მდგომარეობას, პირობას, რომელიც კომუნიკაციას მოითხოვს. მაგალითად, როდესაც კითხვაა დასმული, ჩვენ ერთდროულად უნდა მოვახდინოთ ჩვენი აზრების ორგანიზება, ვიპოვოთ შესაფერისი სიტყვები და ვუპასუხოთ. ბავშვი, როდესაც ენობრივი დარღვევები აქვს, შეიძლება ნორმალურად საუბრობდეს იმ შემთხვევაში, თუ ის არის კომუნიკაციის ინიციატორი, მაგრამ პასუხობდეს ყოყმანით მოთხოვნითი ენობრივი სიტუაციის დროს. ყოყმანი კი პაუზების, დასმული შეკითხვის განმეორების თხოვნით, დაბნეული და არაცალსახა პასუხის გაცემით ან სიტყვების ძებნაში ჩაძირვით შეიძლება იყოს გამოხატული.

პრაგმატიკოსები ენას განიხილავენ ადამიანების მიერ სოციალური ინტერაქციის დროს არჩეული ენის მიხედვით და, ასევე, ამ ადამიანების არჩევის ეფექტის მიხედვით სხვებზე (კრისტალი, 1976). ენის ამ მრავალსახეობას ეწოდება რეგისტრი, რომელიც სოციალური ვითარებების მიხედვით განისაზღვრება. ადამიანთა უმრავლესობა რამდენიმე რეგისტრს იყენებს. მაგალითად, მოსწავლეების მასწავლებელთან ან დირექტორთან დიალოგი თანატოლებსა და კლასელებთან დიალოგისგან განსხვავებით უფრო ფორმალური რეგისტრის მაჩვენებელია. აუცილებელია, რომ ეს ფორმალური რეგისტრი სკოლაში ისწავლებოდეს, რათა მოსწავლეებმა კომფორტულად იგრძნონ თავი დამსაქმებელთან, საქმიან ადამიანებთან, პროფესიონალებთან საუბრის დროს. ენა, რომელსაც ადამიანები საუბრისათვის ირჩევენ, რეალურად პოზიტიურად ან ნეგატიურად აისახება იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ სხვები მათ.

ენის ფორმის, შინაარსისა და გამოყენების გააზრება მნიშვნელოვანია წიგნიერების სპეციალისტისათვის, რათა ის ენის განვითარების პროცესის კარგი დამკვირვებელი იყოს. ამავდროულად, წიგნიერების სპეციალისტი შეძლებს სწავლება მოსწავლეების საჭიროებებს მიუსადაგოს და მათ რეცეფციულ ან

პროდუცირების ენობრივ სირთულეებს ეფექტურად მოარგოს. ენის ფორმის, შინაარსისა და გამოყენების ძირითადი ასპექტები რომპკინის (2002) 4 ენის სისტემას შეიძლება დაემატოს, რომელიც 2.5 ცხრილში არის მოცემული და აჯამებს ენის ფონოლოგიურ, სინტაქსურ, სემანტიკურ და პრაგმატულ სისტემებს. ასევე, განსაზღვრავს ძირითად ტერმინოლოგიას და იძლევა ამ ტერმინების სკოლაში გამოყენების ინსტრუქციას.

ჩანაწერი ინგლისური ენის შემსწავლელების შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნში ძირითადი აქცენტი ინგლისურის, როგორც მშობლიური ენის მატარებლებზეა გაკეთებული, ამერიკის შეერთებულ შტატებში ინგლისურის შემსწავლელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. ინგლისური ენის ათვისების შესახებ საბაზისო ცოდნა ძალიან მოხმარება მასწავლებელს, რომ ინგლისურის შემსწავლელებს ეფექტურად დაეხმაროს. იანგი და ჰადავეი (2006) თვლიან, რომ არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ინგლისური ენის შესწავლაზე ახდენს გავლენას. ეს ფაქტორები მოიცავს მოსწავლის ასაკსაც სკოლაში შესვლის დროს, ასევე ბავშვის პირველ, მშობლიურ ენაში, წიგნიერების დონეს და იმ მსგავსებებს, რომლებიც მის პირველ ენასა და ინგლისურს შორის არსებობს შრიფტის, წერის მიმართულების, სინტაქსის, ფონოლოგიისა და პუნქტუაციის სახით.

იანგი და ჰადავეი (2006), კოლიერზე დაყრდნობით (1995), რამდენიმე მიმართულებას გვთავაზობენ ინგლისური ენის ათვისებისთვის:

- აკადემიური ენის მოდელირება და ენისა და შინაარსობრივი კონცეპტების დაკავშირება;
- სტრატეგიული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა და ასევე გააზრების ის ტექნიკები, რომელთა გამოყენებაც შეუძლია მოსწავლეს;
- მოსწავლის წინარე ცოდნის აქტივაციის მნიშვნელობის წამოწევა, მათი მშობლიური ენისა და კულტურის მიმართ პატივისცემის გამოვლენა და მიმდინარე შეფასება შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებით.

თუ მასწავლებელი ენის შემსწავლელი მოსწავლეების შესახებ საკმარის ცოდნასა და ინფორმაციას ფლობს, მაგალითად, მისი ოჯახის, კულტურის ენობრივი ბაზის შესახებ, მას შეუძლია შეარჩიოს და გამოიყენოს ყველაზე ეფექტური სწავლების სტრატეგიები (გვ. 13).

ცხრილი 2.5 ოთხი ენობრივი სისტემის მიმოხილვა

სისტემა	აღწერა	ტერმინის განმარტება	მე-3 კლასში გამოყენება
ფონოლოგიური სისტემა (ფორმა)	ინგლისური ენის ქლერადობის სისტემა, რომელიც 44 ბგერისა და 70 გრაფემისგან შედგება	ფონემა: ბგერის ყველაზე მცირე ნაწილაკი, გრაფემა: წერითი გამოსახულება, რომელიც ერთი ან მეტი ასოს კომბინაციას გულისხმობს.	სიტყვების გამოთქმა რეგიონული და სხვა ტიპის დიალექტების აღმოცენა სიტყვების დეკოდირება კითხვის დროს გამოგონილი მართლწერის გამოყენება ალიტერაციისა და ონომატოპიის კითხვა და წერა.
სინტაქსის სისტემა (ფორმა)	ინგლისურის სტრუქტურული სისტემა, რომელიც განსაზღვრავს სიტყვების კომბინაციას წინადადებაში	სინტაქსი: წინადადების გრამატიკის სტრუქტურა; მორფემა: ენის ყველაზე მცირე, მაგრამ მნიშვნელობის მატარებელი ნაწილი თავისუფალი მორფემა, რომელსაც დამოუკიდებლად შეუძლია სიტყვის ფუნქციის აღება დამოკიდებული მორფემა: მორფემა, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს დაკავშირებული თავისუფალ მორფემასთან	სიტყვათა მიმდევრობა სიტყვებზე უღლების ფორმის დამატება პრეფიქსებისა და სუფიქსების დამატება სიტყვა-ფუძეებზე სიტყვების დაჯგუფება შედგენილი სიტყვების მისაღებად. მარტივი, რთული და შედგენილი წინადადებების თქმა და დაწერა წინადადებების დაკავშირება პირველი, დიდი ასოთი დაწყება და პუნქტუაცია წინადადების დასაწყისისა და დასასრულის გამოსაყოფად
სემანტიკის სისტემა (შინაარსი)	ინგლისური ენის მნიშვნელობითი სისტემა, რომელიც	სემანტიკა: მნიშვნელობა	სიტყვათა მნიშვნელობის სწავლა სიტყვათა მრავლობითი მნიშვნელობების სწავლა

	ლექსიკაზეა ფოკუსირებული		სინონიმების, ანტონიმებისა და ომონიმების შესწავლა ლექსიკონისა და თეზაურუსის გამოყენება შედარებების კითხვა და წერა (მეტაფორები და შედარებები), იდიომები
პრაგმატული სისტემა (გამოყენება)	ინგლისური ენის სისტემა, სადაც ენა იცვლება სოციალური და კულტურული კონტექსტის შესაბამისად	ფუნქცია: მიზანი, რისთვისაც პიროვნება ენას იყენებს. სტანდარტული ინგლისური: ფორმა, რომელიც გამოიყენება სახელმძღვანელოებში, ტელევიზიასა და გაზეთებში. არასტანდარტული ინგლისური: ინგლისური ენის სხვა ფორმები	ენის ცვლა კონკრეტულ მიზნებზე მოსარგებად კითხვითი და წერითი დიალოგები დიალექტების გამოყენებით ინგლისურის სტანდარტული და არასტანდარტული ფორმების შედარება
ტომპკინის გ.ე-ს მიხედვით (2002). ინგლისური ენა და ლიტერატურა: შინაარსისა და სწავლების სტრატეგიები (მე-5 გამოცემა) (გვ. 14). Upper Saddle River, NJ Pearson, Reprinted with permission			

ენობრივი განვითარების ამოცანები

ამოცანების უმრავლესობა გაწერილია იმ პირობის მიხედვით, თუ რისი გაკეთება შეუძლია მოსწავლეს. რეცეფციული ენის ამოცანაზე თვალყურის მიდევნება საკმაოდ რთულია და ამიტომ ეს ამოცანები გაწერილია იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის დახმარება უნდა გაუწიოს სპეციალისტმა მოსწავლეებს, რომ რეცეფციული ენა განუვითაროს.

რეცეფციული ენის განვითარებისათვის მოსწავლემ შემდეგი პირობები უნდა შეასრულოს:

- მდიდარი ენობრივი და ხარისხიანი ლიტერატურის გარემოცვაში უნდა იმყოფებოდეს;
- ენას სიამოვნებასა და ხალისთან უნდა აკავშირებდეს;
- უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ ბგერების დახარისხება შეძლოს, რაც შეიძლება ფონემის შეცნობის აქტივობასაც მოიცავდეს;
- ჰქონდეს ახალი სიტყვების მარაგის მოსმენის საშუალება შესაბამის კონტექსტში;
- ჰქონდეს მოსმენისა და პასუხის გაცემის საშუალება;
- მიჰყვება მითითებულ მიმართულებებს;
- ჰქონდეს წვდომა სტანდარტულ ინგლისურსა და საოჯახო ენობრივ მოდელთან.

გამომხატველობითი ენის გასავითარებლად მოსწავლე უნდა:

- წარმოთქვამდეს სიტყვებს სწორად;
- მეტყველებაში იყენებდეს ბგერების სწორ არტიკულაციას;
- საუბრობს გამართულად, განმეორებების, შესწორებების, შეუსაბამო პაუზებისა და ზედმეტი ჩართული სიტყვების გარეშე;
- იყენებდეს გრძელ, რთულ და კავშირებით წინადადებებს;
- იყენებდეს ფორმალურ ინგლისურს ან სტანდარტის მიხედვით განსაზღვრულ გრამატიკას;
- იყენებდეს ლექსიკური ერთეულების მრავალსახეობას სწორ კონტექსტში;
- აყალიბებდეს დებულებებს და კითხვებს, რომლებიც მარტივად გასაგებია;
- პასუხობდეს კითხვებს ინფორმაციის, მოქმედებისა და განმარტებისათვის;
- ამყარებდეს სწორ კომუნიკაციას სხვადასხვა სიტუაციასა და მოცემულობაში.

ენობრივი განვითარების შეფასებები

წიგნიერების სპეციალისტის როლი დაუფასებელია იმ მოსწავლეების გამოსავლენად, რომლებსაც შეიძლება პოტენციურად ენობრივი სირთულეები ჰქონდეთ. სპეციალისტი იდენტიფიცირებული მოსწავლეების ენობრივი პროგრესის მონიტორინგს ახდენს და ამგვარი მოსწავლეების ენობრივ განვითარებას უწყობს ხელს. ამ წიგნში ზეპირი მეტყველების შეფასების ორი ფორმაა მოცემული: ენაზე დაკვირვების სკალა (მოცემულია დანართში, 219-ე გვერდზე) და ზეპირი მეტყველების პრეზენტაციის შეფასება (იხილეთ დანართის სახით 221-ე გვერდზე). სამეტყველო ენის პათოლოგისტს შესაძლებლობა ეძლევა, ეს ინფორმაცია იმისათვის გამოიყენოს, რომ განსაზღვროს დამატებითი შეფასების საჭიროება. მოცემული მაგალითები და სტანდარტიზებული ენის შეფასების ფორმები საჭიროა იმისათვის, რომ გაანალიზდეს მოსწავლის გამოხატულებით ან რეცეფციულ ენაში კონკრეტული ელემენტები და ამ ანალიზის საფუძველზე შესაბამისი ღონისძიებები გატარდეს მოსწავლის ენის ფლობის გასაუმჯობესებლად. Peabody-ის ნახატებიანი ლექსიკური ტესტი-III (PPVT-III) სტანდარტული ინგლისურის მიმდებლობით ლექსიკას ამოწმებს და 2 წლიდან ზრდასრულობამდე ასაკის ინდივიდის სამეტყველო შესაძლებლობების სკრინინგს ატარებს (ვილიამსი და ვანგი, 1997). წიგნიერების სპეციალისტს შეუძლია ეფექტურად შეუწყოს ხელი მოსწავლის ენის შესწავლას იმ შემთხვევაში, თუ ის იცნობს მოსწავლის ენის ფორმას, შინაარსს და გამოყენებას. წიგნიერების მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი და სამეტყველო ენის პათოლოგისტი ერთად მუშაობენ იმისათვის, რომ მოსწავლის ენობრივი განვითარებას შეაფასონ და მართებული სტრატეგიები შეარჩიონ.

ენაზე დაკვირვების სკალა

მიზანი: პროდუცირების ენაზე დაკვირვების ეს სკალა ენის განვითარების დაკვირვების ფურცელში მოცემული იდეების გამოყენებით შევიმუშავე (ალეი და მაროტცი, 1994), რომლის მიზნობრივი ჯგუფი 3-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვები არიან. სკალა, ასევე, ეფუძნება ლობანის ზეპირი მეტყველების სკალას დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის (ლობანი 1961). შემუშავებული სკალა აფასებს იმ მოსწავლეების ენობრივ განვითარებას, რომლებსაც, შესაძლოა, დაგვიანებული ენობრივი გამოვლენა ან ენობრივი აშლილობა აქვს (სკოლამდელი ან უმცროსი ასაკი).

პროცესის აღწერა: მას შემდეგ, რაც დროის გამოყოფილ მონაკვეთში მოსწავლეს დააკვირდებით, შემოხაზეთ წრე იმ ნომრის გარშემო, რომელიც, თქვენი აზრით, ყველაზე კარგად აღწერს მოსწავლის მიერ გამოყენებულ კომუნიკაციურ ქცევას. სკალა 1-დან 4-მდე ამპლიტუდას მოიცავს. რიცხვი 1-ის შემთხვევაში, რეალურად, არ არსებობს მსგავსი ქცევის მტკიცებულება, ხოლო კომუნიკაცია თვალსაჩინო შეფერხებების ფონზე მინდინარეობს. მტკიცებულებას წარმოადგენს, ასევე, რიცხვი 4, რომელიც აჩვენებს, რომ მოსწავლე მეტწილად ავლენს სწორ ქცევას მეტყველების დარღვევის პრაქტიკულად შეუმჩნეველი ნიშნების ფონზე. ახლა კი ჩამოწერეთ საჭიროებების მიმართულებების მაგალითები. განსაზღვრეთ ძლიერი მხარეები და გამოწვევები ისეთ ენობრივ მიმართულებებში, როგორებიცაა არტიკულაცია, გამოთქმა, გამართული საუბარი, წინადადებების სირთულე, გრამატიკა, ლექსიკა, მტკიცებითი და რეცეფციული კომუნიკაცია. თუ მოსწავლეს 1 ან 2 ქულით აფასებთ თუნდაც ერთ მიმართულებაში, ან 3 ქულას ანიჭებთ რამდენიმე მიმართულებაში, ბავშვი უნდა გადამისამართდეს სამეტყველო ენის პათოლოგისტთან ენისა და მეტყველების შემდგომი შეფასებისათვის. ექსპლიციტური ან იმპლიციტური სწავლება და მოდელირება ის აუცილებელი მიდგომებია, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ მოსწავლესთან იდენტიფიცირებულ მიმართულებებზე მუშაობის დროს.

მაგალითი: ენის დაკვირვების სკალა, მეორე კლასი:

არტიკულაცია, წარმოთქმა და გამართული კითხვა/მეტყველება				ქულა
1. არტიკულაცია: სწორად გამოთქვამს სამეტყველო ბგერებს	1	2	3	4
2. წარმოთქმა: სწორად წარმოთქვამს სიტყვებს და არ აკლებს ან ამატებს ბგერებს	1	2	3	4
3. ლინგვისტური გამართულობა: მეტყველება გამართულია და არ წყდება გამეორებების, შესწორებების, ულოგიკო პაუზების, ფილტრების, როგორიცაა „ისა“ ან „ანუ“	1	2	3	4

ანალიზი: მოსწავლეს ძირითადი ბგერების სწორი არტიკულაცია შეუძლია, გარდა გარკვეული ბგერებისა; წარმოთქვამს D-ს th-ს მაგივრად (dis და არა this) ან ყლაპავს ასო-ბგერა S-ს Bland ბგერების გარემოცვაში (მაგალითად, tar -ს გამოთქვამს star-ის მაგივრად), მთლიანობაში მისი მეტყველება გამართულია, თუმცა ხანდახან აკეთებს პაუზებს და სვამს ფილტრს: ისა - იმ შემთხვევაში, თუ გონებაში აწყობს, რა უნდა თქვას. ამგვარი პაუზებით საუბრობს არა მხოლოდ დამაბულ სიტუაციებში, როგორცაა მაგალითად თანაკლასელების წინაშე საუბარი, არამედ ზოგად სასაუბრო მეტყველებაშიც.

სწავლების მიმართულება: ის, რომ მოსწავლე მეორე კლასშია, გულისხმობს სამეტყველო ენის შეფასების საჭიროებას th და s ბგერების კუთხით. ბავშვს შეუძლია ასოების გამოთქმაზე ივარჯიშოს; ასო th -ზე მუშაობისათვის, ენა წინ წამოსწიოს და კბილებს შორის ბევრჯერ მოათავსოს, s-ზე მუშაობის დროს კი პირი მრავალჯერ მჭიდროდ დახუროს და კბილებთან ენა სწრაფად მიიტანოს. ამის შედეგ კი უკვე თანხმობანთა კონკრეტულ კომპოზიციებზე იმუშაოს: (/st/, /sp/).

სასარგებლოა კინესთეტიკური სტრატეგიების გამოყენება, რაც გულისხმობს მაჯის მიდამოებიდან თითების გასრიალებას მკლავისკენ მოსწავლის მიერ ყველა წარმოთქმული ბგერის პასუხად. /s-s-t/ - გავაჩეროთ თითები იდაყვთან, მხართან /t/ - წარმოთქმისას კი გავაჩეროთ თითები მხართან. ასევე მიზანშეწონილია სიტყვებისა და წინადადებების დაწერა და წაკითხვა /th/ ბგერისა და /s/-სხვა ბგერებთან კომბინაციის გამოყენებით. ასევე, წარსული დროის წინადადებების წაკითხვა და დაწერა წარსულში ბოლოსართი ed-ის გამოყენებით. სასარგებლოა მოსწავლესთან ენობრივ გამართულობასთან დაკავშირებული მორიდებულობის და დისკომფორტის განხილვა. საუბარი ე.წ. „ფილტრ სიტყვა“ ისა-ზე. მოსწავლისათვის საშუალების მიცემა, პასუხის გაცემამდე და კლასის წინაშე ხმამაღალ წარდგომამდე, წინასწარ დაგეგმოს სათქმელი. კლასის ფარგლებში იმავე მიმართულებით დახმარების გაგრძელება.

ზეპირი პრეზენტაციის შეფასება

მიზანი: შეფასების ეს ფორმა აფასებს ზეპირ მეტყველებას ენობრივი, ორგანიზაციული, შინაარსობრივი, ვიზუალური მედიის, მანერისა და აუდიტორიის მონაწილეობის გადმოსახედიდან. შეიძლება მასწავლებლის, თანატოლების ან მოსწავლის თვითშეფასებისათვის გამოყენება (მე-3 კლასიდან და ზემოთ).

პროცესის აღწერა: შეაფასეთ მოსწავლე მოცემული მაგალითის მიხედვით მანამდე, სადაც მის პრეზენტაციას დაგეგმავთ. ორივე - პოზიტიური და ნეგატიური მაგალითების მოდელირება გააკეთეთ თითოეული კომპონენტისათვის. პრეზენტაციის დროს კი სპეციალურად დააკვირდით თითოეულ კომპონენტს და ქულებით შეაფასეთ ისინი. პრეზენტაციის შემდგომ კი, მოსწავლეების თვითშეფასების შემდეგ, თქვენ იწყებთ უკუკავშირს პრეზენტაციის ეფექტურ ელემენტებსა და გაუმჯობესების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

პირველადი შეფასების შემდეგ კონსტრუქტივისტული უკუკავშირისა და ჯგუფური დისკუსიის ჯერია. მომდევნო პრეზენტაციებისათვის იმავე ტიპის შეფასების გამოყენება უკვე ურთიერთშეფასების ან თვითშეფასებისათვის შეიძლება.

პრეზენტაციის მიმდინარეობისას თითოეული ელემენტი შეაფასეთ „+“ -ით იმ შემთხვევაში, თუ ყველა მათგანი იძლეოდა დაკვირვების საშუალებას, გამოიყენეთ (✓) იმ შემთხვევაში, თუ მათი უმრავლესობა იყო წარმოდგენილი. „-“ მინუსის გამოყენება მაშინაა გამართლებული, თუ ელემენტები იშვიათად ან თითქმის არასდროს არ დაფიქსირდა.

აქვეა მოცემული ზეპირი მეტყველების პრეზენტაციის შეფასების მაგალითი. პრეზენტაცია მე-6 კლასისაა და განხილულია თემა:

ქვეყნების ანგარიშები - კუბის პოზიცია	
ქულა	მონაწილემ აჩვენა:
✓	აუდიტორიისათვის შესაბამისი ენა
+	ინფორმაციის თანმიმდევრული გადაცემა აუდიტორიისათვის
✓	სპეციფიკური და შესაბამისი ლექსიკის გამოყენება
+	სიტყვების სწორად წარმოთქმა
+	გრამატიკულად გამართული წინადადებები
-	რთული და შედგენილი წინადადებები, ზედსართავისა და ზმნიზედის, კავშირების, შორისდებულების, თანდებულების გამოყენებით

დაკვირვება: კუბელების ნაცვლად ნახსენები იყო ესპანელები, შესაძლებელი იყო უფრო სპეციფიკური ლექსიკის გამოყენება, წინადადებების სტრუქტურა ძირითადად ერთნაირი იყო და იწყებოდა სიტყვა კუბელებით.

ანალიზი: მოსწავლე ზოგადად ენას იყენებს მართებულად, გრამატიკულად სწორად, აქვს ნათლად გადმოცემის უნარი. თუმცა, მან მოიხსენია ადგილობრივები როგორც ესპანელები და არა კუბელები. ბევრი წინადადება დაწყო სიტყვა კუბით და მის მიერ აგებული წინადადებები საკმაოდ შეზღუდული სტრუქტურით ხასიათდებოდა.

სწავლების მიმართულება: სწავლებისას ყურადღება გამახვილდეს სხვადასხვა წინადადების სტრუქტურების ცვლაზე. მოსწავლისათვის საკუთარი პრეზენტაციის ყურებისა და მოსმენის საშუალება. მას შეუძლია თითოეული წინადადება ახალ ხაზზე დაწეროს და შეისწავლოს პირველი სიტყვა ამ წინადადებაში, ასევე შეისწავლოს წინადადების სტრუქტურები. თავიდან დაწეროს ტექსტი იმგვარად, რომ წინადადებების სტრუქტურები შეცვალოს. იმსჯელოს იმ ლექსიკურ განსხვავებებზე, რომლებიც ენის, ეთნიკური ნიშნის და ეროვნული წარმოშობის მიხედვით არსებობს ადამიანებს შორის.

ენობრივი განვითარების სტრატეგიები

ფაქტია, რომ სპეციფიკური არტიკულაციის, წარმოთქმის, ენის სინტაქსური, პრაგმატული და სემანტიკური სტრატეგიები აუმჯობესებს მოსწავლეების რეცეფციულ და პროდუცირების ენებს. თუმცა, რეალურად, ენის განვითარება ბევრად უფრო ზოგადი სტრატეგიებისა და აქტივობების საშუალებებითაა შესაძლებელი. ენას, უპირველესად, აზრების გადასაცემად ვიყენებთ, შესაბამისად, პირველ რიგში უნდა ვიმუშაოთ იმ ამოცანებზე, რომლებიც კომუნიკაციას უშლის ხელს. არ არის სწორი კითხვისა და წერის ამოცანებზე მუშაობის დაწყება ენის ამოცანების გადაჭრამდე გადავდოთ და არც პირიქით მუშაობაა გამართლებული. ეს პროცესები ერთმანეთთანაა დაკავშირებული და მათი განვითარება შესაძლებელია შესაბამის გარემოში სწორად გამოყენების შემთხვევაში სხვა პროცესების ფონზე. მოსწავლის ენა მეტწილად იმას ასახავს, რაც მას სახლში და თემში ესმის. მიუხედავად ამ ფაქტისა, სკოლა უზარმაზარ როლს თამაშობს ენობრივ განვითარებასა და ფორმალური ენის რეგისტრის სწავლაში.

ჯონსონი (2001) აღნიშნავს, რომ მასწავლებლებმა უნდა შექნან შესაბამისი შესაძლებლობები ბავშვების სხვადასხვა ტიპის თხრობაში ჩართვისათვის. მას უნდა ჰქონდეს სპეციალური გეგმა ზეპირი მეტყველების განვითარებისათვის, ამას კი შესაფერისი საკლასო გარემო და ატმოსფერო სჭირდება. კლასი კარგი ხელისშემწყობი უნდა იყოს ზეპირი მეტყველებისათვის, რადგან „ზეპირი ენა არ არის მხოლოდ გაგება-გაზრების გამოხატულება, არამედ ის ასევეა საშუალება (მოსწავლეების) კომპეტენციების წარმოჩენისათვის (ჯონსონი, 2001, გვ.20).

ზოგადი ენობრივი განვითარების სტრატეგიების საწყისია, რომ მასწავლებელი უნდა იყოს კარგი მსმენელი მოსწავლეებთან საუბრის დროს. აუცილებელია მოსწავლეებს დაანახოთ, რომ ყურადღებით უსმენთ და პასუხი გასცეთ მათ შეკითხვებს. დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვები მეტი და მკაფიო ინფორმაციის მისაღებად. წახალისეთ მოსწავლეები სრული წინადადებებით საუბრისათვის, ენით გრძნობების, ემოციებისა და საჭიროებების გამოსავლენად. ხშირად გამოიყენეთ და ახსენით იმ სიტყვების მნიშვნელობა, რომლებიც მოსწავლეებისათვის უცნობია. ასე თქვენ მათ გაუმდიდრებთ ლექსიკას. დაბოლოს, წახალისეთ მოსწავლეები დიდების „ნამდვილ“ საუბარში მონაწილეობისა და ფორმალური ინგლისური დიალოგისათვის.

განათლება უნდა განიხილებოდეს როგორც სოციალური აქტივობა, სადაც მოსწავლეები ჩართულნი არიან იდეებისა და მოსაზრებების გაზიარებაში, ურთიერთსწავლაში. ეს არ არის ინდივიდუალური აქტივობა, სადაც მასწავლებელი ცდილობს ცოდნა გადასცეს მოსწავლეებს ხოლო მოსწავლეები კი ამ ცოდნას აფრქვევენ. საუბარი და კითხვა ის ორი უმთავრესი აქტივობაა, რომლებსაც მასწავლებელმა უნდა მიმართოს მოსწავლის ენობრივი განვითარებისათვის. საუბარს არ სჭირდება მასალა და ამიტომაცაა, რომ ის არა მხოლოდ საკლასო ოთახში, არამედ ნებისმიერ ადგილას შეიძლება გაიმართოს, იქნება ეს დერეფანი, სასადილო თუ სკოლის სათამაშო მოედანი. მოსწავლეები, რომლებსაც ხანგრძლივი საუბრები აქვთ მოზრდილებსა და თანატოლებთან, ითვისებენ იმ სიტყვებს და ითავისებენ იმ იდეებს, რომლებიც მათ კითხვისა და წერის დროს სჭირდებათ. ნებისმიერი ასაკის მოსწავლისათვის წაკითხვა წარმოშობს კითხვის

სურვილს და იძლევა განათლებით უპირატესობას, ავითარებს ლექსიკასა და კითხვის სტრატეგიებს. კითხვის პრაქტიკა სახალისოა როგორც მსმენელის, ისევე მკითხველისთვისაც. მოსწავლეებისათვის ხმამაღლა კითხვა ასევე ავითარებს, თელი ცხოვრების განმავლობაში მკითხველისა და ახლის შემსწავლელის ფილოსოფიასაც. მოსწავლეებისათვის ხმამაღლა კითხვის სპეციალური სტრატეგიების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-5 თავში: კითხვის და მოსმენის გააზრება. ენის შესწავლისა და განვითარებისათვის მოსწავლეების წახალისება შეიძლება სხვადასხვა ტიპის სიტუაციაში დიალოგების საშუალებით: სტრუქტურული კითხვა-პასუხის პერიოდები, ესთეტიკური საუბრის (ემოციური მიმდებლობა), ეფექტური საუბარი (ინფორმაციის მიწოდება და დარწმუნება), დრამატული საუბრები (ისტორიების მოყოლა). უკანასკნელი განსაკუთრებით საყურადღებოა არტიკულაციის, გამოთქმის, სინტაქსის, პრაგმატიკისა და სემანტიკის განვითარებისათვის.

არტიკულაციის სტრატეგიები

მიზანი: კონკრეტული და სპეციფიკური ბგერების გაუმჯობესება (ნებისმიერი კლასი).

პროცესის აღწერა: განსაზღვრეთ ის ბგერები, რომელთა დამუშავებაცაა საჭიროა და გამოიყენებთ თანხმობებისა და ხმოვანი ბგერების არტიკულაციის ცხრილი 2.1 და 2.2 არტიკულაციის მანერის, ადგილისა და ხმის განსაზღვრებისათვის. მოდელირების საშუალებით აღწერეთ და წარმოუდგინეთ მოსწავლეებს როგორ ხდება ბგერის ან ფონემის არტიკულაცია. მიეცით მოსწავლეებს სარკე ბგერებზე სავარჯიშოდ. აჩვენეთ მოსწავლეებს იმ საგნების სურათები, რომელთა სახელწოდებაც სამუშაო ბგერაზე იწყება. მიეცით მოსწავლეებს ფონემის მაგალითები სიტყვის დასაწყისში, შუაში და ბოლოში. სადაც კი არსებობს ამგვარი საშუალება, მიეცით მოსწავლეებს დავალებად ივარჯიშონ ბგერის არტიკულაციაზე წინადადების ფარგლებში. არ არის აუცილებელი, რომ მოსწავლეებს სწორი არტიკულაცია მანამდე შეეძლოთ, სანამ ბგერის დონეზე განსხვავებების იდენტიფიცირებას შეძლებენ. უბრალოდ, გააგრძელეთ ბგერათა სწორი არტიკულაციის სწავლება კონტექსტში. უფრო ფოკუსირებული სტრატეგიებისათვის, იხილეთ გამოთქმის სტრატეგიები სამეტყველო ენის პათოლოგიისათვის.

მიზანი: გამოთქმის გასწორება სიტყვათა დაბოლოებებში (ყველა კლასი).

ქმედება: განსაზღვრეთ ის სიტყვები, რომელთა წარმოთქმისასაც მოსწავლეებს სირთულეები ექმნებათ. ჰკითხეთ მათ სიტყვების მნიშვნელობა და გააკეთეთ სტანდარტული ინგლისური გამოთქმის მოდელირება თითოეული სიტყვისთვის. როდესაც მოსწავლეები არასწორად გამოთქვამენ სიტყვას, უბრალოდ, გაიმეორეთ მათ მიერ წარმოთქმული სიტყვა სწორად ან გააკეთეთ ადრე შეთავაზებული წინადადების პერიფრაზირება იმავე სიტყვის სწორად გამოყენების საშუალებით. არ დაგავიწყდეთ მეგობრული ტონის შენარჩუნება. გახსოვდეთ, რომ სრულყოფილებას უცებ ვერ მიაღწევთ. გამოთქმასთან დაკავშირებული სირთულეები ხანდახან დიალექტანა კავშირში. შესაბამისად, პირველ რიგში თქვენ უნდა განსაზღვროთ, რამდენადაა მნიშვნელოვანი მოსწავლის გამოთქმის შეცვლა და სტანდარტულ ინგლისურზე გადასვლა. თუ მოსწავლის გამოთქმა სერიოზულად აზარალებს კომუნიკაციას, მაშინ გააკეთეთ სიტყვის სტანდარტული ინგლისურით მოდელირება და სთხოვეთ მოსწავლეს, ცალკე, კონტექსტის გარეშე გაიმეოროს სიტყვა. შემდეგ სცადეთ უკვე წინადადების ფარგლებშიც. თუ მოსწავლე მაინც ვერ ახერხებს სწორად წარმოთქმას, მაშინ სჯობს, სცადოთ სიტყვის მარცვლებად ან ფონემებად დაშლა და ისე წარმოთქმა მოსწავლეებისათვის. ასევე, მოსწავლეების მიერ წარმოთქმული ფონეტიკური და სწორი ფონეტიკური წარმოთქმის ჩაწერაც მართებული მეთოდია. გაუსვით ხაზი იმ მსგავსებებსა და განსხვავებებს, რომლებიც ამ ორ გამოთქმაში არსებობს. ამის შემდეგ კი ამუშავეთ მოსწავლეები სიტყვის წარმოთქმაში როგორც წინადადების ფარგლებში, ასევე კონტექსტში.

სინტაქსური ენობრივი სტრატეგიები

მიზანი: მოსწავლეების მიერ წინადადების სტრუქტურის გაუმჯობესება მეტყველების დროს დაკარგულ ნაწილებზე, სიტყვების არასწორ მიმდევრობაზე, ზმის წარსული ფორმის არასწორ წარმოებაზე, მრავლობითის, საკუთრების, ზედსართავებსა და ზმნიზედებზე პრეფიქსების სწორად წარმოების კუთხეზე ყურადღების გამახვილებით (ყველა კლასის ფარგლებში).

პროცესის აღწერა: იმ სინტაქსური ელემენტების განსაზღვრა, სადაც მოსწავლეები სირთულეებს აწყდებიან.

როდესაც მოსწავლეების ბუნებრივი მეტყველება არასტანდარტულია, წარმოიდგინეთ ის კონტექსტი, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები სტანდარტული წინადადებისათვის დამახასიათებელ გრამატიკას

იყენებენ. შეაფასეთ მოსწავლის სინტაქსი და დარწმუნდით, არის თუ არა მისი სინტაქსი განმეორებადი. ასევე, დაადგინეთ, რამდენად მნიშვნელოვანია მისი კორექტირება. დაეხმარეთ მოსწავლეებს საკუთარი ნათქვამის კონტექსტში წერილობით ტექსტად გადატანაში, შემდეგ კი სტანდარტული ფორმალურ ინგლისურად ჩამოყალიბებაში ასევე წერილობით. მომავალი განხილვებისას მაგალითად მოიტანეთ ეს კონკრეტული სტრუქტურა ტექსტში.

პრაგმატული ენობრივი სტრატეგიები

მიზანი: მოსწავლეების ენობრივი არჩევანის გაუმჯობესება სოციალური ინტერაქციის პროცესში და ამ არჩევანის ეფექტის განსაზღვრა სხვებთან მიმართებით (ყველა კლასი).

პროცესის აღწერა: მასწავლებელი წარმოადგენს ფორმალურ რეგისტრს და მოსწავლეების ეხმარება იმის განსაზღვრაში, თუ როდის არ უნდა გამოიყენონ ფორმალური რეგისტრი. აუხსენით მოსწავლეებს, რომ ინგლისურში ბევრი განსხვავებული რეგისტრი არსებობს. მოსწავლეების ოჯახის წევრებთან საუბარი შეიძლება განსხვავდებოდეს მათ ბებიასთან ან კლასელებთან საუბრისაგან. სკოლაში მოსწავლეებმა უნდა შეისწავლონ ფორმალური რეგისტრი, რომელსაც უწოდებენ სტანდარტულ ინგლისურსაც. ეს საშუალებას მისცემს მათ, ნათლად გაიგონ სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენელთა აზრები. მოსწავლეებმა შეიძლება იცოდნენ განსხვავებები, რომელიც მათი მშობლიური ენის სინტაქსსა და სტანდარტულ ინგლისურის სინტაქს შორის არსებობს. მასწავლებლის ამოცანაა, ნაბიჯ-ნაბიჯ ასწავლოს ეს განსხვავებები. წერა ფორმალური ფორმის კომუნიკაციაზე მეტწილად დაფუძნებული და, შესაბამისად, კარგი იქნება, თუ წერას გამოვიყენოთ იმ განსხვავებების ხაზგასასმელად, რომლებიც სტანდარტულ ინგლისურსა და მოსწავლეების მშობლიურ ენაში არსებობს. დაწერეთ მოსწავლეების ჩვეული გამოთქმები და დაეხმარეთ მათ, იგივე გამოთქმები სტანდარტულ ინგლისურად გადააკეთონ წერილობით.

სემანტიკური ენობრივი სტრატეგიები

მიზანი: მოსწავლეებისათვის გამომსახველობითი, აზრიანი კომუნიკაციის დამყარების შესაძლებლობის მიცემა გარემოსთან, ლიტერატურასა და მედიასთან დაკავშირების საშუალებით (ყველა კლასი).

პროცესის აღწერა:

ქმედება იდეების მოსწავლეებთან/ერთმანეთთან დაკავშირებისათვის: სთხოვეთ მოსწავლეებს საკუთარ თავზე ისაუბრონ - მოჰყვენ ოჯახის, ემოციებისა და გრძნობების, საყვარელი და საძულველი საქმიანობის შესახებ. ამისათვის ურთიერთგაზიარების ან „დანახვება-მოყოლის“ პრინციპი გამოიყენეთ. გამოიყენეთ როლური თამაშების შესაძლებლობა, რაც ოჯახში ცხოვრების, საქმიანობისა და მოგზაურობის წარმოდგენით შეიძლება მიადგინოთ. მოიმარაგეთ თოჯინები, სათამაშოები, ნაჭრის ცხოველები, სხვადასხვა საქმიანობისათვის საჭირო ნივთები მორცხვი და სუსტი მოსწავლეების წახალისებისათვის.

ქმედება იდეების მოსწავლეების გარემოსთან დაკავშირებისათვის: სთხოვეთ მოსწავლეებს, ისაუბრონ სკოლასა და სკოლის გარეთ გარემოში საკუთარ გამოცდილებებზე. წაიყვანეთ მოსწავლეები სუპერმარკეტებში, ფოსტაში, ბანკში, ზოოპარკში, მუზეუმში, ბიბლიოთეკაში ან ჰოსპიტალში და მოგვიანებით განიხილეთ მათთან ერთად, რა გაიგეს ახალი. ობიექტებზე ყოფნისას კი აუხსენით მათ, რა ხდება და რა შეიძლება ცოტა მოგვიანებით კიდევ მოხდეს ამ გარემოში. ათამაშეთ მოსწავლეები ისეთი თამაშები, როგორცაა, მაგალითად, „მე ვუთვალთვალეთ ჩემი მახვილი თვალთ რაღაცას _____“ (აღწერეთ კარგად, რათა დარწმუნდეთ, რომ ისინი შეძლებენ ამ რაღაცის მოძებნას); ან შეარჩიეთ ანბანთან დაკავშირებული თამაშები, სადაც მოსწავლეებმა უნდა იპოვონ საჭირო ზედსართავი ან ზმნიზედა სხვადასხვა ასო-ბგერაზე. გამოკითხეთ მოსწავლეები მათ გარშემო არსებული სამყაროს შესახებ. წახალისეთ ისინი სიღრმისეული ფიქრისა და ამომწურავი, ვრცელი პასუხების გაცემისათვის კითხვების „როგორ, რატომ და აბა, მომიყევი“ საშუალებით. დაგეგმეთ ექსპერიმენტები, გამომსახველობითი ხელოვნების, მუსიკის, საჭმლის მომზადების აქტივობები, რომლებიც დისკუსიებს, ცოცხალ ინტერაქციასა და ლექსიკის გამდიდრებას წახალისებს.

ქმედება ლიტერატურასა და მედიასთან დაკავშირებისათვის. გაუზიარეთ და განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად სხვადასხვა მხატვრული და არამხატვრული ლიტერატურა, მედიაპროდუქცია. დაგეგმეთ თემატური სესიები და მიეცით მოსწავლეებს საშუალება, ჩაერთონ მრავალფეროვან დისკუსიებში ენობრივი განვითარებისათვის. ისაუბრეთ მათთან ერთად შინაარსზე, გრაფიკასა და მათ კავშირზე

ტექსტებთან. დასვით ბევრი კითხვა, რომელიც თავდაპირველად კითხვებით „ვინ, რა, როგორ, როდის, სად“ დაიწყებთ. ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა იყო ტექსტში საკვანძო ინფორმაციული გზავნილი დაავალეთ მოსწავლეებს, მოჰყენონ წაკითხული ამბავი სურათების გამოყენებით ან დამახსოვრებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ისე, რომ ტექსტში მოცემული ენობრივი თავისებურებები არ დაკარგონ. მოსწავლეებს შეუძლიათ თავადაც შეთხზან საკუთარი ისტორიები მიღებული და გავრცელებული თხრობის სტრუქტურების გამოყენებით. ასეთი სტრუქტურებია, მაგ. „იყო და არა იყო რა.... ან უხსოვარ დროს, როდესაც მე შევხვდი....“ უფროსი კლასის მოსწავლეებმა ასევე შეიძლება წერის დროს გამოყენონ სახუმარო ტიპის კონსტრუქციები, მაგ. ერთ ზღაპრულ ქვეყანაში, ერთ მშვენიერ ეპოქაში ერთი მოხუცი კაცი..“ მიეცით მოსწავლეებს საშუალება, ზეპირად გამოხატონ საკუთარი გრძნობები, ემოციები და იდენტობა წაკითხულის მიხედვით ისტორიების მოყოლით, მარიონეტების თეატრისა და დრამის, თითების თეატრის, ენის გასატეხებისა, იუმორისტული ფრაზების, რებუსების, პოეზიის გამოყენებით. სასარგებლოა იმის გაზიარება, თუ რა შეისწავლეს თითოეულ დღეს გაკვეთილზე (სპეციფიკური მიმართულებები, როგორებიცაა მარიონეტების გამოყენება ან ზეპირი პრეზენტაციის გაკეთება, შემდეგ სექციებში უფრო დეტალურადაა განხილული).

ზეპირი მეტყველებისა და წაკითხულის მოყოლის სტრატეგიები მარიონეტების საშუალებით

წყარო: ვებერი, 2001.

მიზანი: ენობრივი განვითარება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში და ზეპირი სამეტყველო ენის დაკავშირება საკითხავ წიგნებთან; გამოხატვის კრეატიულობის, ხმოვანი ინტონაციების, თხრობისა და ასე შემდეგ განვითარებისათვის; ძირითადი იდეის, თანმიმდევრობის, დეტალების, კონტექსტის, ფაზულის და სხვა გააზრების უნარების განვითარებისათვის; წარდგენის, აუდიტორიასთან კავშირის გაუმჯობესებისათვის; საზოგადოებრივი და ზუსტი მეცნიერებების, მათემატიკის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ჯანმრთელობის ცნებებისა და კონცეფციების ინტეგრირებისათვის ენასთან; მშობლების ჩარევისათვის სწავლის პროცესში პროექტებზე დაფუძნებული გაკვეთილების მეშვეობით; სახვითი ხელოვნების კონცეფციებისა და უნარების გამოყენებისათვის მოსწავლეების მიერ შექმნილ მარიონეტებსა და საყრდენებში (მე-3 კლასი).

ინსტრუქციები მარიონეტების შექმნისათვის: მარიონეტებისა და სცენების დიდი რაოდენობაა ხელმისაწვდომი მაღაზიებში. მასწავლებლებს შეიძლება თავადაც ჰქონდეთ მარიონეტების კონკრეტული სახეები, რომლებიც შერჩეულ საბავშვო წიგნების გმირებს შეესაბამება. ბავშვებს შეუძლიათ გამოიყენონ ჩვეულებრივი მარიონეტები ანდა, სულაც, თავად შექმნან საკუთარი თოჯინები დიალოგებიდან გამომდინარე. მარიონეტები შეიძლება სრულიად განსხვავებული იყოს ზომით და ფორმით. ჯოხის საყრდენებზე დამაგრებული და თითებზე/ხელებზე ჩამოსაცმელი, თოჯინები ბოთლის ტანით, დიდაპირიანი თოჯინები, წინდისგან შექმნილი თოჯინები და ე.წ. ხელთათმანი-თოჯინები. ნაჭრის ცხოველები მოსწავლეებმა ათასგვარი სხვადასხვა მასალით, მათ შორის თოჯინებისგან მორჩენილი ნაჭრებით, ორად გადაკეცილი მწვანე ქაღალდითაც კი შეიძლება, რომ გააკეთონ.

პროცესის აღწერა:

ქმედებები წაკითხულის მოსათხრობად: მარიონეტების გამოყენება შესაძლებელია დაწერილი ან ზეპირი ისტორიის მოსათხრობად, საყვარელი ნაწილის განსასახიერებლად, მოთხრობის ემოციურად წაკითხვისათვის, ვითომდა თოჯინას „ალაპარაკებისათვის“. მოსწავლეებისათვის ნაცნობი ისტორიები შეიძლება გადახალისდეს, ანდა მათ თვითონ შექმნან საკუთარი ისტორიები და მარიონეტები „დაასაქმონ“.

ქმედებები მოთხრობის რუკის გამოყენებისათვის: შინაარსის რუკის გრაფებში ჩაწერეთ გმირები, პრობლემები, პირველი მოვლენა, მეორე მოვლენა, მესამე მოვლენა, პრობლემის გადაწყვეტა რუბრიკებად. გააკეთეთ თოჯინები (მარიონეტები, ჯოხზე წამოცმული, თითის, ხელის...). სთხოვეთ მოსწავლეებს, გაითამაშონ ისტორია თოჯინების გამოყენებით. ისტორიის ადაპტაცია შეიძლება მოიცავდეს ახალი ისტორიის შექმნას იმავე პერსონაჟების გამოყენებით, რომელიც კლასის ან ოჯახისათვის დაიდგმება.

ენობრივი განვითარება ზეპირი პრეზენტაციების საშუალებით

მიზანი: ეფექტური ზეპირი პრეზენტაციის უნარების განვითარება ენის ექვსი ძირითადი ელემენტის - ორგანიზების, შინაარსის, ვიზუალური მედიის, მანერისა და აუდიტორიის მონაწილეობის გამოყენებით, იმისათვის, რომ ინფორმაციის გაზიარება მოხდეს თანატოლებს შორის (მე-3 კლასი და ზევით).

პროცესის აღწერა: მოსწავლეებისათვის საკუთარი თავის გამოხატვის საშუალების მიცემა ზეპირი პრეზენტაციების საშუალებით მათთვის ნაცნობ ან ნაკვლევ საკითხებზე. ნაცნობი საკითხები შეიძლება მოიცავდეს ოჯახის ისტორიებს, საყვარელ წიგნს ან საყვარელ საქმიანობას. მოსწავლეებს შეუძლიათ იკვლიონ ზუსტი და საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი მეცნიერებების, მათემატიკის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და სპორტის საკითხებიც. განიხილეთ ქვემოთ მოცემული თითოეული ელემენტი მოსწავლეებთან: ენა, ორგანიზება, შინაარსი, მანერა, ვიზუალური მედია, და მონაწილე აუდიტორია. გამოიყენეთ ზეპირი პრეზენტაციის შეფასება (იხილეთ დანართი მომდევნო გვერდებზე) და მოსწავლეებს მიაწოდეთ ორივე, შესაფერისი და შეუსაბამო მაგალითები ენის ყველა ელემენტთან მიმართებით. აქვე მოცემული მაგალითები:

ენა - გამოიყენეთ აუდიტორიისათვის შესაბამისი ენა. ინფორმაცია აუდიტორიისათვის მკაფიო თანმიმდევრობით უნდა იყოს მოცემული. მეტყველებისას გამოიყენეთ ფორმალური გრამატიკის ფორმები. შეგიძლიათ შემდეგი კითხვები მხედველობაში მიიღოთ და გაითვალისწინოთ: ვინ არის ჩემი მიზნობრივი აუდიტორია? რა იცის ამ აუდიტორიამ საკითხის შესახებ?

ორგანიზება - მნიშვნელოვანია, რომ პრეზენტაციას მკაფიო სტრუქტურული ფორმა ჰქონდეს, რომ ინფორმაცია ადვილად აღქმადი გახდეს აუდიტორიისათვის. შეიცავდეს შესავალს, რომელიც აუდიტორიის ინტერესზე ამახვილებს ყურადღებას და გადმოსცემდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რატომ შეიძლება აინტერესებდეთ თქვენს მიერ წამოწეული საკითხი. მოუყევით თქვენს აუდიტორიას ზუსტად იმის შესახებ, თუ რის თქმას აპირებთ შემდეგ კი მთავარი აზრის, იდეის შესახებ დასკვნა გამოიტანეთ. გახსოვდეთ, რომ კითხვების დასმისათვის საკმარისი დრო უნდა დაგრჩეთ.

შინაარსი - 10 წუთიან პრეზენტაციაში 3 ძირითადი იდეა უნდა გაჟღერდეს. მაგალითად, ოჯახის წარმომავლობისა და ისტორიული პერიოდის შესახებ და მოვლენების გარშემო ძირითადი ეფექტების, მოგონებებისა და გავლენების შესახებ.

მანერა - ივარჯიშეთ სარკის წინ მანამდე, სანამ არ იგრძნობთ თავს კომფორტულად მასალასთან, სანამ არ შეძლებთ ისაუბროთ მკაფიოდ, გასაგებად და ზომიერი ტემპით. ივარჯიშეთ რთული სიტყვების სწორად წარმოთქმაში. ხაზი გაუსვით ძირითად სათაურებს, საკვანძო სიტყვებსა და რამდენიმე შერჩეულ წინადადებას. შეეცადეთ აუდიტორიასთან დაამყაროთ ვიზუალური კონტაქტი, თქვენი მზერა მთელ ოთახს მოიცავდეს და არა მხოლოდ ერთ ან ორ ადამიანს. ასევე, უნდა გახსოვდეთ, რომ ნერვიულ ჟესტიკულაციას უნდა მოერიდოთ.

ვიზუალური მედია - სასარგებლოა რელევანტური ვიზუალური მასალის წარდგენა, რომელიც შინაარსის გამდიდრებისთვის გამოიყენება. გულისხმობს პრეზენტაციის კომპიუტერული ვერსიის ვებლინკის, ვიდეო და ფოტოკადრების, სლაიდების, გრაფიკებისა და ოჯახური ნივთების ან მვირფასეულობის ნიმუშების წარმოდგენას. ამასთან, დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილის საშუალებით განხორციელებული ვიზუალური პრეზენტაცია შესაბამის მოვლენასა თუ საკითხთან რელევანტურად, პარალელურად ხერხდება.

ყოველთვის დაუტოვეთ აუდიტორიას ინტერაქციის საშუალება. ამისათვის უამრავი საშუალება არსებობს, მაგალითად: აუდიტორიისათვის კითხვების დასმა და პასუხი პრეზენტაციის შემდეგ. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ აუდიტორიასაც მიეცეს დრო და საშუალება, დასვას კითხვები.

უკუკავშირი მნიშვნელოვანი ელემენტია პრეზენტაციის უნარების განვითარებისათვის. გამოიყენეთ უკუკავშირის ხუთი საკვანძო ელემენტი თანაკლასელთა (თანატოლთა) ჯგუფების შეფასებისათვის. ამგვარი შეფასება შეიძლება იყოს „ზეპირი პრეზენტაციის შეფასება,“ რომელიც ამავე თავში უფრო ადრე არის აღწერილი.

სტრატეგიები არტიკულაციის, გამოთქმის, სინტაქსის, პრაგმატიკისა და სემანტიკისათვის ენის განვითარებას უწყობს ხელს. სხვა სტრატეგიები, რომლებიც ენის განვითარებისა და გააზრებისთვის გამოიყენება, აღწერილია წიგნის მე-5 თავში, რომლის სათაურია კითხვისა და მოსმენის გააზრება. სტრატეგიები, რომლებიც ლექსიკის განვითარებისკენაა მიმართული და დაკავშირებულია სემანტიკურ სტრატეგიებთან, აღწერილია შემდეგ სექციაში.

ლექსიკის გააზრების გაუმჯობესება

ენის ერთ-ერთი ასპექტი ლექსიკის განვითარებასაც მოიცავს. ლექსიკის შესწავლა გენერაციული პროცესია, რომელიც გულისხმობს ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ და პირდაპირიდან მეტაფორულისკენ უწყვეტ სწრაფვას. ბლენხოვიჩი და ფიშერი (2006) გამოყოფენ ლექსიკური ცოდნის ორ განზომილებას: სიღრმისეულს და მოცულობითს (depth and breadth). ამასთან, ლექსიკის სიღრმისეულობა გულისხმობს რამდენად საფუძვლიანად იცნობთ სიტყვას. მაგალითად, რამდენად შეგიძლიათ სიტყვის ცნობა/ამოცნობა, გამოყენება, განსაზღვრა. ლექსიკის მოცულობა ნიშნავს იმის ცოდნას, თუ როგორ არის სიტყვა სხვა სიტყვებთან დაკავშირებული. მაგალითად: გული, ფილტვები და კუჭი სხეულის ორგანოები არიან.

ნილსენი და ნილსენი (2004) სიტყვათა ორ ტიპზე საუბრობენ: ლიმიტირებული (დახურული) და ინფინიტური (გაფართოებული). ლიმიტირებულ სიტყვებს განეკუთვნება იმგვარი ზოგადად ფუნქციური სიტყვები, როგორებიცაა, მაგალითად, კავშირები, დამხმარე და დამაკავშირებელი ზმნები და ნაცვალსახელები. ამგვარი სიტყვებისგან შემდგარი სერიები 5 წლის ასაკის ბავშვის ლექსიკურ მარაგში შედის და რეალურად, ასეული წლების მანძილზე არ იცვლის ფორმას. ინფინიტური სიტყვები მოიცავს არსებით სახელებს, ზმნებს, ზმნიზედებსა და ზედსართავებს. ამგვარი სიტყვებია გაფართოებული, რადგან ისინი იცვლებიან, იზრდებიან და სხვა სიტყვებთან კომბინაციაში ახალ მნიშვნელობას იღებენ. ინფინიტური სიტყვები ის სიტყვებია, რომლებიც გვინდა, რომ ჩვენს მოსწავლეებს დაუსრულებლად ვასწავლოთ. ბევრი ინგლისური სიტყვა საფუძველს იღებს ლათინური, ბერძნული, ფრანგული, უფრო ახლო წარსულში კი ესპანური ენებიდან. როდესაც ჩვენს მოსწავლეებს ხელს ვუწყობთ დაინახონ კავშირები სიტყვებს შორის, ჩვენ ვებმარებით მათ, გაიმდიდრონ სიტყვათა მარაგი. ლექსიკის სწავლება აუცილებელია და მხოლოდ შემოწმება არ არის საკმარისი (ნილსენი და ნილსენი, 2004). ენა სოციალური აქტივობაა და სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანი, რომ მოსწავლეებმა ერთად იმუშაონ სიტყვის მრავალფეროვანი მნიშვნელობების შესახებ შესათანხმებლად და არა უბრალოდ გადმოიღონ ლექსიკონებში მოცემული მნიშვნელობები. წარმოუდგინეთ მოსწავლეებს სიტყვათა ის პაკეტები, რომლებსაც ერთნაირი ძირი აქვთ და სწორედ ამით დაეხმარეთ მოსწავლეებს, გაიაზრონ ლექსიკური ერთეულები. ასევე კარგი დახმარება იქნება მოსწავლეებისათვის სიტყვების მნიშვნელობის გამოცნობა მათი ფონოლოგიური (სმენითი), ორთოგრაფიული (მართლწერა), სემანტიკური (შინაარსი) მსგავსებებისა და პრაგმატიკის (საზოგადოდ მიჩნეული მნიშვნელობა და ცოდნა ორივე სიტყვის გამოყენებელთა შორის ისტორიული კავშირების შესახებ) ხაზგასმის საშუალებით.

მოსწავლეების მიერ კონცეპტის ცოდნა საჭიროებს ლექსიკასთან ერთად განვითარებას. კონცეპტი ეს არის კატეგორია ან კლასიფიკაცია, რომლის გარშემოც მოვლენები, იდეები და ამოცანებია გაერთიანებული. ამგვარი მოვლენები, იდეები და ამოცანები შეიძლება მაგალითებისა და საერთო მახასიათებლების მიხედვით იყოს კლასიფიცირებული.

კონცეპტის ცოდნა აუცილებლად უნდა განვითარდეს ლექსიკის განვითარების კვალდაკვალ. კონცეპტი მოვლენების, იდეებისა და მოსაზრებების, საგნებისა თუ პირების კატეგორიები ან კლასიფიკაციაა, რომელიც ჯგუფებად არის მოცემული. მათი კლასიფიკაცია იმ მაგალითებისა და საერთო მახასიათებლების მიხედვით, რომლებიც საერთოა ერთსა და იმავე კლასში შემავალი წევრებისათვის (კრანცი და ბალგრენი, 1993). მაგალითებისა და მაგალითებისათვის შეუსაბამო მახასიათებლების იდენტიფიცირება მოსწავლეების მიერ კონცეპტის გააზრებასა და დამახსოვრებას აუმჯობესებს (ზოსი და ანდერსი, 1990).

ლექსიკის გაუმჯობესების ამოცანები

იმისათვის, რომ ლექსიკის განვითარება ეფექტურად წარიმართოს, მოსწავლეებმა შემდეგი ნაბიჯები უნდა გადადგან:

- გამოიყენონ კონტექსტი და წინადადების სტრუქტურა სიტყვათა მნიშვნელობის მისახვედრად;
- გამოიციონ და განსაზღვრონ სიტყვათა მნიშვნელობა პრეფიქსების, სუფიქსებისა და სიტყვათა ფუძის საშუალებით;
- გამოიყენონ ლათინური ფუძე და დანართები იმისათვის, რომ სალექსიკონო სიტყვების ცოდნა გაიღრმავონ;
- გაარკვიონ, თუ როგორ მდიდრდება ინგლისური ენა სხვა ენებიდან სიტყვების შემოტანის საშუალებით;

- განსაზღვრონ საბაზისო სიტყვების სხვადასხვა მნიშვნელობა;
- წარმოადგინონ, თუ როგორ მიჰყვებიან სიტყვები ჩვეულ მახასიათებლებს ახალი მნიშვნელობის შექმნის პერიოდში;
- სიტყვათა მნიშვნელობის იდენტიფიცირება სინონიმების, ანტონიმებისა და მაგალითების საშუალებით;
- სალექსიკონო სიტყვათა დაჯგუფება და ორგანიზება მათი მნიშვნელობის სასწავლად;
- მაგალითების მოყვანა სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობიდან ფიგურალური მნიშვნელობის ცვლილებაზე;
- გაიგონ მეტაფორული ენა;
- კონცეპტების მახასიათებლების, მაგალითებისა და შეუსაბამო მაგალითების განსაზღვრა.

ლექსიკის განვითარების შეფასება

იმდენად, რამდენადაც ინდივიდის ლექსიკური მარაგის შეფასება შეუძლებელია, საკმაოდ რთულია ლექსიკის შეფასებისაკენ მიმართული ტესტების შემუშავებაც. თუმცა, სიტყვის სინონიმის ან ანტონიმის განსაზღვრა შეიძლება ენის საბაზისო ცოდნის ინდიკატორად მივიჩნიოთ. სინონიმებისა და ანტონიმების ლექსიკის შეფასება იძლევა ლექსიკის შეფასების საშუალებას, სადაც კრიტერიუმია კონკრეტული საფეხურის ფარგლებში მოცემულ სიტყვათა ჩამონათვალისთვის სინონიმებისა და ანტონიმების განსაზღვრა. ამგვარი ტესტის ადმინისტრირება შესაძლებელია მოსწავლისათვის სიტყვის წაკითხვის საშუალებით, სადაც ლექსიკასთან ერთად ვზომავთ მოსმენის უნარსაც. ასევე, შესაძლებელია ტესტის ადმინისტრირება, სადაც მოსწავლე თავად კითხულობს სიტყვას და, შესაბამისად, იზომება კითხვის უნარიც. ამგვარი შეფასება შეიძლება მოხდეს ლასტერმა და მაკენდრიუსმა (2004); თავდაპირველი იდეა კი ამგვარი შეფასების შესახებ მოდის გუტროსკას 1982 წლის გამოუქვეყნებელი ნაშრომიდან.

კვლევაში, რომელიც ლასტერმა და მაკენდრიუსმა ჩაატარეს (2004), აჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაცია კლასის მიხედვით დაყოფილ ანტონიმის კითხვის ტესტსა და ყველაზე მაღალი მოსწრების დონის კითხვის რაოდენობრივ აღმრიცხველს შორის გააზრებისათვის (QRI-3, ლესლი და კალდევილი, 2001). იმდენად, რამდენადაც მოსწავლეების ნაწილი კარგად ართმევს თავს ცალკეული სიტყვების კითხვას, მაგრამ მონაკვეთის გააზრების დაბალი მაჩვენებელი აქვს, დასაწყისში კონკრეტული კლასის დონის საკითხავ მონაკვეთს, რომელიც QRI-ზე იყო დაფუძნებული, მოსწავლეები საკმაოდ ნელა კითხულობდნენ და, შესაბამისად, ჩნდებოდა კიდევ ერთი-ორი დამატებითი მონაკვეთის წაკითხვის საჭიროება. სინონიმებისა და ანტონიმების წარმოჩენის ინსტრუმენტის გამოყენება შესაძლებელს გახდოდა QRI-ის ადმინისტრირებისათვის საწყისი დონის განსაზღვრას კლასის მიხედვით. ამასთან, თუ მოსწავლე შედეგების მიხედვით მისთვის შესაბამის დონეზე დაბალს შეესაბამებოდა, გარკვეული ხდებოდა ისიც, რომ ლექსიკის განვითარების კუთხით ახალი სტრატეგიებისა და მეტი ჩარევის საჭიროება არსებობდა.

სინონიმებისა და ანტონიმების ლექსიკის ტესტი

მიზანი: წაკითხული და მოსმენილი ლექსიკის წარმოჩენა (ლასტერი და მაკენდრიუსი, 20014). ეს ტესტები გამოიყენება მოსწავლეების წაკითხული და მოსმენილი ლექსიკის დონის დადგენისათვის (ნებისმიერ საფეხურზე).

პროცესის აღწერა: სინონიმების და ანტონიმების ლექსიკის ტესტის (იხ. ქვემოთ მოცემული დანართები) ადმინისტრირება შესაძლებელია ჯგუფებში ან ინდივიდუალურ მოსწავლეებთან, სადაც მოსმენილი ლექსიკის ტესტის გამოყენება შესაძლებელია საბავშვო ბაღისა და უფრო მაღალი კლასების მოსწავლეებთან, ხოლო კითხვითი ტესტისა კი - პირველკლასელებსა და უფრო მაღალ კლასელებთან.

ტესტის ადმინისტრირება ცალკეულ მოსწავლეებთან. მესამე და უფრო დაბალი კლასის მოსწავლეები კითხულობენ ზეპირად და იწყებენ პირველი დონის ტესტიდან, რომელიც პირველი კლასის მასალას შეესაბამება. მესამე კლასზე მაღალი კლასის მოსწავლეებს შეუძლიათ ჩუმად, თავისთვის წაიკითხონ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ აპირებთ მოსწავლეების სიტყვათა ამოცნობის შეფასებასაც. იმისათვის, რომ უფროსი კლასის მოსწავლეების ტესტირების დრო მაქსიმალურად შეამციროთ, შეგიძლიათ ტესტირება

პირდაპირ მესამე საფეხურის ან მათი კლასის შესატყვისი ტესტით დაიწყო. უფრო დაბალი დონის ტექსტს მიუბრუნდით იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის ქულა ფრუსტრაციის დონის 60%-ს ან 60%-ზე დაბალს აჩვენებს.

თავდაპირველად ის მაგალითები, რომლებიც შეფასებაშია მოცემული, დაწერეთ დაფაზე და გააკეთეთ მოსწავლეებთან ერთად. დაავალეთ მოსწავლეებს, რომ წაკითხონ სიტყვები ყველა მწკრივში და შემოხაზონ ის სიტყვები, რომლებიც იმავეს ან თითქმის იმავეს ნიშნავს, რასაც მათთვის მიცემული სიტყვა (ანტონიმური ლექსიკის ტესტისათვის კი ასწავლეთ მოსწავლეებს, რომ წაკითხონ სიტყვები ყველა მწკრივში და შემოხაზონ ისინი, რომლებიც მოცემული სიტყვის საპირისპიროს ნიშნავს).

მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ ცარიელი სანიშნები იმისათვის, რომ მწკრივებს კარგად მიაყოლონ თვალი. შეფასების დროს, სიტყვათა ყველა მწკრივის თავში დაწერეთ (+) ნიშანი ყველა სწორი პასუხის შემთხვევაში, ხოლო (-) - ყველა არასწორი პასუხის შემთხვევაში. დაწერეთ სწორი პასუხების ჯამი და იანგარიშეთ პროცენტებში საერთოდან სწორი პასუხების წილი იმისათვის, რომ მოსწავლეების მიმდინარე (ფუნქციონალური) დონე განსაზღვროთ:

- დამოუკიდებელი (90%–100%),
- ინსტრუქციული (70%–80%),
- ფრუსტრაციული (60% და ნაკლები).

განგრძელეთ მანამდე, სადაც მოსწავლეები არ მიაღწევენ ფრუსტრაციის დონეს ან ფრუსტრაციის მიზეზი არ გახდება კონკრეტული კლასის დონის იმ სიტყვების განმეორება, რომელთა მოსმენაც მოუწევს მოსწავლეებს თქვენი კითხვისას. იმისათვის, რომ მოსწავლეების მოსმენილი ლექსიკის დონე განვსაზღვროთ, მათი ტესტირება უნდა დავიწყოთ ფრუსტრაციული დონიდან. აუხსენით მოსწავლეებს, რომ თვალი გამოაყოლონ სიტყვებს თითოეულ მწკრივში თქვენი კითხვის დროს და შემოხაზონ ის სიტყვები, რომლებიც იმავეს ან თითქმის იმავეს ნიშნავს, რასაც მოცემული სიტყვა (ანტონიმური ლექსიკის ტესტისათვის - საწინააღმდეგო მნიშვნელობის სიტყვები). გამოიყენეთ სხვადასხვა ფერის კალამი შენიშვნებისა და მოსმენის დავალებების პასუხების შეფასებისათვის. გააგრძელეთ მოსმენის ტესტირება მანამდე, სადაც მოსწავლეებს არ გაუხდება 60% ან უფრო დაბალი ქულები, ანუ, არ მიაღწევენ ფრუსტრაციის დონეს. ის უმაღლესი ქულა, რომელსაც მოსწავლე 70%-სა და უფრო მაღალ ქულებს შორის მიიღებს, არის მოსწავლის კითხვითი ან მოსმენილი ლექსიკის ფლობის დონე. განსაზღვრეთ, რამდენად შეესაბამება მოსწავლეების ლექსიკის ტესტში მიღებული შედეგი მათი კლასის დონეს, ხომ არ არის უფრო მაღალი ან უფრო დაბალი. თუ კითხვის დონე კლასისათვის განსაზღვრულ დონეზე დაბალია, მაშინ საჭიროა ლექსიკის განვითარებისათვის უფრო მეტი ძალისხმევა და ყურადღება ახალი ტესტის წაკითხვამდე და კითხვის პროცესში.

მაგალითი: სინონიმური ლექსიკის ტესტი: კითხვა.

დონე 1 ფუნქციონირების დონე - ინსტრუქციული; ანგარიში: 8/10 = 80.

+/_		A	B	C	D
+	1. see	run	more	look	us
+	2. little	come	long	away	small
+	3. say	talk	goes	like	just
+	4. mom	dog	mother	mary	with
-	5. start	begin	last	round	slow
+	6. big	door	right	fun	large
-	7. hop	hard	ball	dark	jump
+	8. alike	grew	pot	same	most
+	9. glad	happy	sail	rope	hold
+	10. street	time	thin	very	road

დონე 2 ფუნქციონირების დონე - ფრუსტრაციული; ანგარიში: 5/10 = 50.

+/_		A	B	C	D
-	1. go	anything	leave	rest	summer
+	2. pair	read	should	two	middle
-	3. cut	last	round	slow	slice
+	4. thin	shout	skinny	live	under
+	5. hear	kind	magic	help	listen
+	6. car	secret	chew	automobile	juice
+	7. fear	afraid	lunch	yellow	welcome
-	8. stir	hospital	stood	mix	know
-	9. below	live	place	under	took
-	10. all	this	every	find	lunch

ანალიზი: მეორე კლასის მოსწავლეებისათვის ინსტრუქციული დონე პირველი კლასის მასალა აღმოჩნდა, ხოლო ფრუსტრაციის დონეს კი - მეორე ენის მასალა, რომელიც საკითხავი სიტყვებისათვის სინონიმების განსაზღვრას გულისხმობდა. არასწორი პასუხების შემთხვევაში რაიმე კონკრეტული ტიპის ტენდენცია არ აღინიშნება. საჭიროა მეორე დონის ტესტის თავიდან ჩატარება, ოღონდ მისი სმენით ტესტად აღმინისტრირება, რათა დავინახოთ, რამდენად იციან მოსწავლეებმა სინონიმები ზეპირად.

სწავლების გავლენა: სიტყვის ბარათების უზრუნველყოფა სინონიმების შერჩევისათვის, დახურული წინადადებები, რომლებიც განსხვავებული სინონიმებით შეიძლება დაბოლოვდეს, სიტყვათა კრებულები, რომელიც ლექსიკის განვითარების საშუალებას იძლევა.

ზეპირი მეტყველების სტრატეგიები

ლექსიკის სწავლებას მივყავართ მეტი სიტყვის სწავლამდე, კონცეპტის გააზრებამდე და კითხვის გააზრებამდე. ნაიჯის მიხედვით, (1988), ლექსიკის სწავლების განსაკუთრებულად ეფექტური სტრატეგიები მოიცავს ინფორმაციის მიწოდებას სიტყვის მნიშვნელობისა და ეტიმოლოგიის შესახებ (სიტყვათა ისტორია). ამ სტრატეგიის საშუალებით ლექსიკა გამოიყენება სხვადასხვა, განსხვავებულ კონტექსტში, მოსწავლეები კი ახალ-ახალ სამყაროში და განსხვავებულ პერიოდში აღმოჩნდებიან. დადასტურებულია, რომ სიტყვათა შესწავლა კითხვის, პრაქტიკული გამოცდილებისა და დისკუსიების მომენტში ყველაზე ეფექტურია. ცალკეულ სიტყვათა გრძელი სიების დამახსოვრება კი - შედარებით ნაკლებ ეფექტური (ნეიგი,1988). თუ ზოგადად ვისაუბრებთ, ვიზუალური, აუდიალური და კინესთეტიკური მეთოდების გამოყენება ახალი ლექსიკური ერთეულის წარდგენისას ეფექტური მიდგომაა. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ სიტყვა მოცემულია ფუძისა და სართების სახით. თავდაპირველად მიეცით მოსწავლეებს საშუალება, წაიკითხონ სიტყვა კონტექსტში, სწორად გამოთქვან ის. მხოლოდ ამის შემდეგ იმუშავეთ მათთან მათ საკუთარსავე განმარტებებსა და მაგალითებზე. ლექსიკაზე მუშაობის სტრატეგიები იყოფა დიდებსა და პატარებთან მუშაობის სტრატეგიებად. სტრატეგიებიდან ზოგი უფრო მეტად და ზოგი ნაკლებადაა ეფექტური მაღალი-დაწყებითი და უმცროსი კლასის მოსწავლეებისათვის. გარდა ამისა, არსებობს კონცეპტების სტრატეგიებიც, რომლებიც ამოწმებს იმ კატეგორიებს, რომლებშიც მოვლენა, მოსაზრება თუ იდეა ან საგანი ხდება და იმყოფება.

პერსონალური ლექსიკონი

მიზანი: ახალნაწავალი სიტყვების მოთავსება, რომელსაც სამომავლოდ დავეყრდნობით და გამოვიყენებთ (პირველი კლასი და კიდევ უფრო უმცროსი ბავშვები).

პროცესის აღწერა: მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ახალ ლექსიკურ ერთეულს, სიტყვას ისწავლიან, მათ შეუძლიათ დაწერონ ეს სიტყვა და მისი მნიშვნელობა, მაგალითი ან მინიშნება ნახატით თითოეული ანბანის თითოეული ასოსათვის. მაგალითად: ასო-ბგერა „ა“-ს გვერდზე, დაწერეთ ანტონიმი და მისი განმარტება „სიტყვა, რომელიც ნიშნავს საწინააღმდეგოს“. მოიყვანეთ მაგალითი: გაჩერება - წასვლა.

დანერგვა: გააკეთეთ საკლასო ლექსიკონის დაფა, რომელიც იმავე ინფორმაციას შეიცავს.

გამოხატვის სხვადასხვა ფორმა: მსახიობური, ვიზუალური, გამომსახველობითი.

მიზანი ერთია - მოსწავლეებისათვის ლექსიკური ერთეულის, სიტყვის მნიშვნელობის გაგებინება (ნებისმიერი კლასისათვის).

პროცესის აღწერა: დაადგინეთ წესები იმგვარი თამაშებისთვის, როგორებიცაა შარადები, მილტონ ბრადლის სამაგიდე თამაშების გამარტივებული ვერსიები. თამაშები ნახატებით უნდა იყოს უხვად გაფორმებული, იმისათვის, რომ მოსწავლეებმა გამოიცნონ, რას ასახიერებ ან ხატავ.

მაგალითი: ბარათზე დაწერეთ წინადადება (წინადადებები), საიდანაც ლექსიკური ერთეული (სიტყვა) მოცემული და გაუსვით ამ სიტყვას ხაზი. გაიმეორეთ, გამოხატეთ ეს სიტყვა და დაეხმარეთ მოსწავლეებს, გამოიცნონ სიტყვის მნიშვნელობა. მაგალითად: ჰოლის მიხედვით (საჩარი, 1998): მამასახლისმა ფოცხი აიღო თავისი ფურგონიანი მანქანიდან და 'X-Rays' ნაგვის გორაში მიუსვ-მოუსვა, რომ ენახა, კიდევ რაიმე ხომ არ იყო ამ ადგილას დამარხული.“ ამის შემდეგ, მოსწავლეები დაიწყებენ სიტყვების გამოცნობას (გვ. 69). ერთი მოსწავლე განასახიერებს ფოცხის ნაგვის გროვაში რევის სცენას, ხოლო სხვა მოსწავლეები კი შეეცდებიან, გამოიცნონ სიტყვა.

კლოზეს ქმედება

წყარო: ტეილორი, 1953, უოლკერი, 2004.

მიზანი: თავდაპირველი მიზანი უკავშირდებოდა კითხვადობისა და გააზრების გაზომვას საკითხავ მონაკვეთში. ამ სტრატეგიის გამოყენება შეიძლება მოსწავლეების ლექსიკის განვითარებისათვის (მეორე კლასსა და უფრო მაღალ კლასებში).

პროცესის აღწერა: ტექსტში მოცემული მიზნობრივი სიტყვები გადღაბნილია ან ტექსტში არ არის ბოლომდე გამოჩენილი. მოსწავლეებმა ეს სიტყვები უნდა მოძებნონ და ჩასვან. ეს არის კლოზეს მოდიფიცირებული ტექნიკა, რომელიც სემანტიკურ და სინტაქსურ კავშირებს იყენებს გამორჩენილი ლექსიკური ერთეულის, სიტყვის აღდგენისათვის. ამასთან, მოსწავლეებს მიეწოდებათ გრაფოფონიკური მინიშნებები, როგორცაა სიტყვის დასაწყისი ასო ან ასოები. ამგვარი მინიშნებები კი აუმაჯობესებს მოსწავლის მიერ სიტყვის გამოცნობის შესაძლებლობებს. მაგალითად, მიტენი (ბრეტის მიხედვით 1989).


1. He wanted mittens made from _____ as white as snow. (wool)
2. "If you drop one in the snow," she _____, "you'll never find it." (warned)
3. Baba did not want to _____ white mittens. (knit)
4. A hedgehog came _____ along. (snuffling)
5. A big owl, _____ by all of the _____, swooped down. (attracted; commotion)
6. They saw the owl's _____ _____. (glinty talons)
7. Just the sight of the _____ mitten made him _____. (cozy; drowsy)
8. A great bear _____ by. (lumbered)
9. The bear gave an _____ sneeze. (enormous)
10. It was the mitten _____ against the blue sky. (silhouetted)

ლექსიკური ერთეულების, სიტყვების შედარება და შეპირისპირება

მიზანი: ორ სიტყვას შორის მსგავსებებისა და განსხვავებების განსაზღვრა (მეორე და უფრო მაღალი კლასები).

ქმედება: აირჩიეთ და დაწერეთ ორი სიტყვა, შემდეგ კი დაწერეთ, როგორ განსხვავებიან ეს სიტყვები ერთმანეთისგან, რითი ჰგვანან ერთმანეთს. საბოლოოდ, ერთი დებულებით შეაჯამეთ ამ ორი სიტყვის შედარებით მიღებული შედეგები.

მაგალითად: ალტაცებული და ანერვიულებული:



კონტექსტუალური გენერაცია

წყარო: იულკერი, 2004.

მიზანი: სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრა კონტექსტის მიხედვით (პირველი და უფრო მაღალი კლასები).

პროცესის აღწერა: აირჩიეთ ტექსტის მონაკვეთი, რომელშიც ახალი ლექსიკური ერთეულის, სიტყვის მნიშვნელობა ნათელია არსებული კონტექსტიდან გამომდინარე. ამოწერეთ ის სათაურად ან დაბეჭდეთ კომპიუტერში.

ჰკითხეთ მოსწავლეებს, რას ეხება ტექსტის მონაკვეთი. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გიპასუხებენ, ჰკითხეთ: „რატომ ფიქრობთ ასე?“ მოსწავლეები დაწერენ, თუ რას ფიქრობენ სიტყვის მნიშვნელობის შესახებ. ამის შემდეგ კი მოსწავლეები იფიქრებენ, თუ როგორ შეიძლება ამ სიტყვის გამოყენება და განსაზღვრავენ სიტყვებს, რომლებსაც მსგავსი მნიშვნელობა აქვთ.

დანერგვა: ინდივიდუალური სწავლის პირობებში, მოსწავლეები ამოწერენ იმ წინადადებას და გვერდის ნომერს, სადაც სიტყვა იყო გამოყენებული. ისინი დაიწყებენ გამოცნობას, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს სიტყვა. შემდეგ კი შეამოწმებენ საკუთარ ვერსიას ლექსიკონთან ან მასწავლებელთან განიხილავენ სიტყვას. საბოლოოდ კი ისინი სიტყვის მათეულ მნიშვნელობას დაწერენ.


ომონიმების ლექსიკონი

მიზანი: იმ სიტყვების განსაზღვრა, რომლებიც ერთნაირად იწერება და სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ ან სიტყვებისა, რომლებიც სხვადასხვანაირად იწერება და სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ (პირველი და უფრო მაღალი კლასები).

პროცესის აღწერა: აირჩიეთ და დაწერეთ ერთი-ორი სიტყვა-ომონიმი, დაწერეთ მათი მნიშვნელობები და დახატეთ სიტყვები. შემდეგ, გამოიყენეთ ისინი წინადადებაში.

მაგალითი:

მაგალითი:



აფიქსების გასაზღვრა

მიზანი: სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრა აფიქსების (თავსართი, ბოლოსართი) საშუალებით (მეორე და უფრო მაღალი კლასები).

პროცესის აღწერა: მოსწავლეები და მასწავლებლები სიტყვის თავსართს, ბოლოსართსა და ფუძეს წერენ ცალ-ცალკე საინდექსო ბარათებზე. დაეხმარეთ მოსწავლეებს წარმოთქვან და გაიაზრონ სიტყვის სხვადასხვა ნაწილი.

მაგალითი: დაამატეთ პრეფიქსი „re“ ან სუფიქსი „ing“ სიტყვის ფუძეს. მოსწავლეების პერსონალურ ლექსიკონში კი გააკეთეთ ახალი გვერდი სიტყვის აფიქსებისა და ლათინური ფუძისათვის. ავარჯიშეთ მოსწავლეები ტექსტში სიტყვების მოძიებაში და უცნობი, მრავალმარცვლიანი სიტყვების წაკითხვაში.

მსგავსი და საპირისპირო მნიშვნელობის მქონე აფიქსების ილუსტრირება

წყარო: ნელსონი და ნელსონი, 2004.

მიზანი: აფიქსებს შორის შინაარსობრივი განსხვავებების შესწავლა (მე-6 და უფრო მაღალი კლასები).

პროცესის აღწერა: მოსწავლეები ან მასწავლებლები შეარჩევენ პრეფიქსებს, რომლებიც ერთმანეთის ურთიერთსაწინააღმდეგოა. ამის შემდეგ მოსწავლეები თაბახის ქაღალდს ორ ნაწილად გაკეცავენ. ჩამოწერეთ აფიქსიან სიტყვათა ერთი რიგი მარცხენა მხარეს, მარჯვენა მხარეს კი სიტყვები საპირისპირო მნიშვნელობის მქონე აფიქსებით.

მაგალითი: ნელსონი და ნელსონი (2004): პრეფიქსია სუპერ და ქვე: სიტყვები: სუპერი - სუპერმენი, superscript (მინაწერი, ზედა ინდექსი), supercilious (ამპარტავანი), superior (ზემდგომი); sub ქვე: submit (დამორჩილება, ჩაბარება), subdivision (ქვეგანყოფილება), subservient (დაქვემდებარებული), subliminal (ქვეცნობიერი), submerge (ჩაძირვა). მეორე მაგალითში კი მოცემულია ურთიერთსაწინააღმდეგო სიტყვები, მხოლოდ სიტყვის დონეზე: maximum–minimum (მაქსიმუმი-მინიმუმი), inductive–deductive (ინდუქციური-დედუქციური), და accelerate–decelerate (აჩქარება - შენელება).

ლათინური ფუძის მქონე სიტყვების დაბოლოება
(ინდოევროპულ ენათა ოჯახის რომანული ჯგუფის ენებისთვის)

წყარო: ნელსონი და ნელსონი, 2004.

მიზანი: იმ სიტყვების შესწავლა, რომლებსაც ერთი და იგივე ან მსგავსი ლათინური ფუძეები აქვთ: (მე-3 კლასი და ზევით).

პროცესის აღწერა: შეადგინეთ წინადადებები იმ სიტყვებისგან, რომლებსაც მსგავსი ფუძეები აქვთ. წაშაღეთ სპეციფიკური სიტყვები და მიეცით მოსწავლეებს სიტყვების დაფა, საიდანაც უნდა აირჩიონ სიტყვა წინადადების დასასრულებლად.

მაგალითი: სონუსი (sonus)—ლათინური სიტყვა, რომელიც ბგერას უკავშირდება სიტყვის დაფა რეზონანსშია/ზმაურიანი (resounding) /სონატა/სონეტები/ჟღერადი (sonorous)

1. _____ მუსიკალური ნაწარმოებია
2. თუ ეს იდეა _____ შენთან, მაშინ მშვენიერია.
3. ადამიანი, ვისაც _____ ტემბრი აქვს, მიმზიდველი და ეფექტური ხმა აქვს.
4. _____ - ლექსების ტიპია, რომლებიც თითქმის მუსიკასავით ჟღერს მათი რითმიდან გამომდინარე.
5. ყველა გამომსვლელის მოსაზრებას _____ აპლოდისმენტები მოჰყვება.

Word box: resonates/resounding/sonata/sonnets/sonorous

1. A _____ is a musical composition.
2. If an idea _____ with you, it "sounds right."
3. A person who speaks in _____ tones has an imposing and effective voice.
4. _____ are poems that sound almost like music because of their rhythm.
5. All speakers long for their ideas to be met with _____ applause.

ლათინური ფუძის გაკვეთილები

მიზანი: იდენტიური ლათინური ფუძის მქონე სიტყვების იდენტიფიცირება (მესამე კლასი და ზევით).

პროცესის აღწერა: იმ ლათინური ფუძეების შერჩევა, რომლებიც ბევრ სიტყვებში გამოიყენება. დაწერეთ სიტყვები და მათი მნიშვნელობა.

მაგალითი:

ფუძე: Fin	მნიშვნელობა
Definite (განსაზღვრული)	ზუსტი ან მკაფიო, არაზუნდოვანი, შეთანხმებული საზღვრების მქონე
Confine (შეზღუდვა)	ლიმიტის დაკისრება, შევიწროვება, გარკვეულ სივრცეში მოთავსება, ჩაკეტვა, საზღვრები, ლიმიტი
Finale (ფინალი)	მუსიკალური ნაწარმოების ან სპექტაკლის დამამთავრებელი ნაწილი, ბოლო ნაწილი, დასასრული

სიტყვების მორფოლოგია

წყარო: ოგლი და კორეა, 2007.

მიზანი: პრე და პოსტ ტესტების გამოყენება ლექსიკის შეფასებისა და ათვისებისათვის სიტყვების ნაწილებად დაყოფის საშუალებით, რომლებსაც მოსწავლეები სიტყვის მნიშვნელობის გამოსაცნობად გამოიყენებენ (მე-2 კლასი და ზევით).

პროცესის აღწერა: შეარჩიეთ ლექსიკური ერთეულები/სიტყვები ტექსტიდან ან ინსტრუქციული თავში მოცემული ცნებებიდან.

მიეცით მოსწავლეებს სიტყვების დაფა სიტყვის თითოეული ნაწილისათვის. პრეტესტის ფარგლებში დაავალეთ მოსწავლეებს დაყონ სიტყვები ნაწილებად და დაწერონ სიტყვის თითოეული ნაწილის სავარაუდო მნიშვნელობა და, ასევე, თავად სიტყვის სავარაუდო მნიშვნელობა. შემდეგ ეტაპზე, მოსწავლეები შეასწორებენ პირველ ნაწილს (სიტყვების ნაწილებს) საჭიროების შემთხვევაში და მიუწერენ მნიშვნელობას. ამოიწერეთ ციტატები ტექსტიდან და ამ ციტატებისათვის შესაბამისი სიტყვები. მაგალითად: ენტომოლოგი ტექსტიდან „ბაზი“ (ბინგჰამი, მორგანი და რობერტსონი, 2007).

ენტომოლოგისტი			
სიტყვის ნაწილები	ენტომი	ოლოგი	ისტი
სიტყვის ნაწილის მნიშვნელობა	მწერი	შესწავლა	პირი

სიტყვის სავარაუდო მნიშვნელობა: პირი, რომელიც შეისწავლის მწერებს

მნიშვნელობების ლექსიკონი: მეცნიერი, რომელიც სწავლობს მწერებს. კვლევა მწერების კლასიფიკაციის, ცხოვრების ციკლის, დისტრიბუციის, ფსიქოლოგიის, ქცევის, ეკოლოგიის ან მწერების პოპულაციის დინამიკის შესახებ (დუნი, 2007). ციტატა (ამონარიდი) ტექსტიდან: შესაძლოა გამოიძახონ კრიმინალისტი ენტომოლოგისტი შემთხვევის ადგილას მტკიცებულებების მოსაგროვებლად ან შესაძლოა პოლიციამ ნიმუშები გადაუგზავნოს კრიმინალურ მეცნიერს“ (ბინგჰამი, 2007B, გვ. 13).

დაკავშირებული სიტყვები: ენტომოლოგია: მეცნიერება მწერების შესახებ, ბიოლოგი: ადამიანი, რომელიც სწავლობს ცხოვრებას.

ლექსიკის განვითარება

მიზანი: ლექსიკური ერთეულების/სიტყვების განსაზღვრა და გამოყენება (პირველი კლასი და ზევით)

პროცესის აღწერა: დაწერეთ ლექსიკური ერთეული/სიტყვა, ივარაუდეთ მისი მნიშვნელობა, დაწერეთ ლექსიკონში მოცემული მნიშვნელობა და დახატეთ ის. ივარაუდეთ ამ სიტყვის სინონიმები და ანტონიმები, ამის შემდეგ კი, გამოიყენეთ ლექსიკონი და დაწერეთ რეალური სინონიმები და ანტონიმები. დაწერეთ სამი წინადადება თითოეული სიტყვის გამოყენებით და შეცვალეთ ეს ლექსიკური ერთეული სინონიმებით, რომ შეიტყოთ, აქვს თუ არა წინადადებას აზრი.

მაგალითი: აღმოჩენა, გამოაშკარავება (reveal)

სიტყვა: გამოჩენა, გამომჟღავნება, გამოაშკარავება

ივარაუდეთ მნიშვნელობა: რაღაცის ჩვენება

გამოიყენეთ წინადადებაში: მან გაიცინა და თავისი თეთრი კბილები გამოაშკარავა

ლექსიკონით მოცემული მნიშვნელობა: გახადო ნაცნობი; გამოფინო ან აჩვენო

დახატეთ:



ივარაუდეთ სინონიმი: ჩვენება

ივარაუდეთ ანტონიმი: დამალვა

რეალური სინონიმი: ჩვენება, გამოფინა

რეალური ანტონიმი: დამალვა, თავზე დახურვა

გამოიყენეთ სამ სხვადასხვა წინადადებაში, რომ ნათელი გახადოთ მნიშვნელობა:

1. ილუზიონისტმა ხალხის წინაშე კურდღელი გააჩინა.
2. მან ქუდი მოიხადა და თავისი ახალი თმის ვარცხნილობა გამოაჩინა.
3. მან მეგობარს სთხოვა, არასდროს გაემჟღავნებინა მისი საიდუმლო.

დაწერეთ წინადადებები სინონიმების გამოყენებით ან სხვა წინადადებები ანტონიმების გამოყენებით:

1. ილუზიონისტმა ხალხს კურდღელი აჩვენა
2. ილუზიონისტმა კურდღელი ხალხისგან დამალა.

ლექსიკის ბადე ანუ ოთხბლოკიანი ლექსიკა

მიზანი: განავრცეთ სიტყვის მნიშვნელობები (პირველი კლასი და ზევით).

პროცესის აღწერა: თითოეული კონკრეტული სიტყვისათვის, ქაღალდი ოთხ კვადრატად დაყავით. დაწერეთ სიტყვები კვადრატების ცენტრში, წრებში. ოთხ წვერში დაწერეთ მნიშვნელობა, წინადადება,

რომელშიც სიტყვა აღმოაჩინეთ, ახალი წინადადება, რომელიც სიტყვის ცოდნის დემონსტრირებას ახდენს. ბოლო კუთხეში კი დახატეთ სურათი ან გააკეთეთ გასაღები სიტყვის დამახსოვრებისათვის.

ადაპტირებული ვერსია: ბევრი სიტყვისათვის, ქალაქი დახაზეთ 5 სვეტად და თითოეულ სვეტს მიეცით დასათაურება: ლექსიკური ერთეული/სიტყვა; განმარტება/მნიშვნელობა; სიტყვა, რომელზეც გაფიქრებინებთ; წინადადება, რომელშიც გამოიყენებდით; დაბოლოს, ანტონიმი, სინონიმი ან მისი მაგალითი.

ლექსიკასთან დაკავშირებული რისკები

მიზანი: მეტყველების, მართლწერის ან მნიშვნელობის იდენტიფიცირება ლექსიკურ ერთეულებში/სიტყვებში (მესამე კლასი და ზევით).

პროცესის აღწერა: ეს არის ჯგუფური მონაწილეობისათვის განკუთვნილი თამაში და მსგავსია აშშ-ში პოპულარული სატელევიზიო შოუს „საფრთხე“ (game show Jeopardy). გამოიყენეთ შემდეგი კატეგორიები: მეტყველების ნაწილი (დაასახელეთ მეტყველების ნაწილი, მას შემდეგ, რაც სიტყვას წინადადებაში მოუსმენთ); მართლწერა (დაასახელეთ სიტყვები სწორად); გამოიყენეთ (გამოიყენეთ სიტყვა თქვენ მიერ მოფიქრებულ წინადადებაში); სინონიმი (დაასახელეთ ლექსიკური ერთეული/სიტყვა, მას შემდეგ, რაც მოისმენთ მის სინონიმებს); და ანტონიმები (დაასახელეთ ლექსიკური ერთეული/სიტყვა, მას შემდეგ, რაც მოისმენთ ანტონიმებს ამ სიტყვისათვის). ჩაწერეთ პასუხები თითოეულ შესაბამის უჯრაში და სთხოვეთ მოსწავლეებს, დაგისვან შესაბამისი კითხვები.

მაგალითი:

სათაური: ჰიტლერის ქალიშვილი		ავტორი: ჯეკი ფრენჩი (2003)		
მეტყველების ნაწილი	მართლწერა	გამოიყენე	სინონიმი	ანტონიმი
ზმნა (ლაწალაწი) scrunched	s-c-r-u-n-c-h-e-d	ლაპარაკის დროს მას სახე უბრწყინავდა (უბრწყინავდა) (animated)	გაგრძელებული (შეუპოვარი)	ფაქტი (მოსაზრება)
არსებითი სახელი (parka)	p-e-r-m-i-t-t-e-d	ანა სულში ჩამწვდომი ისტორიების მოყოლის ნამდვილი ენთუზიასტია	მოწყენილი (დამწუხრებულად)	მინიმუმი (მაქსიმუმი)
ზმნიზედა დაუზარებლად (obligingly)	g-e-s-t-u-r-i-n-g	მან მალამო დაიდო ჭრილობაზე (მალამო) (ointment)	სევდიანად (დამთრგუნველად)	შეთანხმებული (შესადავებელი)
ზედსართავი სახელი სევდიანი (mournful)	n-e-g-o-t-i-a-i-t-e-d (სტაბილურად) (defensively)	მარკს სტაბილურად ეჭირა თავი, სანამ ეგონა, რომ ჰიტლერს ქალიშვილი ჰყავდა	სამოვარი (მდელი, სათიბი)	მიზანმიმართულად (იმპროვიზირებულად)

ლექსიკის ცოდნის რეიტინგი

წყარო: ბლეჩოვიცი და ფიშერი, 1996.

მიზანი: ყველა ლექსიკური ერთეულის/სიტყვის ცოდნა, რომლებიც საკითხავ ტაბულაზეა მოცემული. მოსწავლეები ადგენენ თითოეული სიტყვის ცოდნის მათეულ რეიტინგს და თითოეული სიტყვის გასწვრივ რეიტინგში სვამენ ✓ ნ ი შ ა ნ ს შესაფერისი კატეგორიის გასწვრივ. კატეგორიები შემდეგნაირად არის მოცემული: შემძლია განსაზღვრა; ვფიქრობ, რომ ვიცი; დამინახავს ან გამიგია; წარმოდგენაც არ მაქვს. წაიკითხეთ ტექსტი და განიხილეთ სიტყვების მნიშვნელობა. როგორც კი მოსწავლეები გაიგებენ სიტყვის მნიშვნელობას, მათ შეუძლიათ თითოეული სიტყვა ჩასვან წინადადებაში და ერთმანეთს გააცნონ სიტყვის მნიშვნელობა.

მაგალითად:

სათაური: იძებნება მად ბლოსომი

ავტორი: ბეტსი ბიარსი, (1991).

სიტყვა	შემიძლია განვსაზღვრო	ვფიქრობ, რომ ვიცი	გამიგია/მომისმენია	წარმოდგენა არ მაქვს
დადანაშაულება				✓
გათხრა			✓	

წინადადებები:

1. მათ დადანაშაულებს გოგონა ნამცხვრის აღებაში, რადგან მას სახეზე ნამცეცები ეყარა.
2. როდესაც ხვრელი ოქრომდე ამოთხარეს, ექსკავაცია დასრულდა.

ლექსიკის თვითკოლექციის სტრატეგია

მიზანი: უცნობი სიტყვის იდენტიფიცირება ტექსტში და შემდეგ მისი განსაზღვრება (პირველი კლასი და ზემოთ)


პროცესის აღწერა: კითხვის დროს მოსწავლეები ამოიწერენ იმ სიტყვებს, რომელთა გამოთქმა არ შეუძლიათ ან მნიშვნელობა არ ესმით და რომლებიც განსაკუთრებით საინტერესოა მათთვის. სიტყვების გასწვრივ ისინი მიაწერენ წიგნის გვერდის ნომერს, რომელზეც სიტყვა წაიკითხეს. იმავეს გაკეთებას შესაძლებელია წებოვან სტიკერებზეც. კლასი ან ჯგუფი კი მსჯელობს სიტყვაზე ტექსტში მანამ, სანამ მნიშვნელობას არ გაიგებს.

მაგალითი: ნიბლიები და თავშეხები კურდღლების კუნძულის კუდზე (ჩინგი, 2002). მოსწავლეებმა წაიკითხეს წინადადება: „ერთადერთი შანსი, რომელიც ჰაპას დარჩა, ჩიტებთან დროის გატარება და მათი დახმარება იყო ყოველდღიურ მძიმე საქმიანობაში. მან მოაგროვა ტოტები ნიბლიებისა და თავშეხებისათვის ბუდეების გასაკეთებლად“ (გვ.3).

ლექსიკის ბორბალი

მიზანი: სიტყვის მნიშვნელობის განვრცობა (ყველა კლასისათვის).

პროცესის აღწერა: დაწერეთ ლექსიკური ერთეული/სიტყვა და მეტყველების ნაწილი ქაღალდის ფურცლის შუაში. მის გარშემო, წრეებში, დაწერეთ სინონიმები, ანტონიმები, მაგალითები და სიტყვის სხვა ფორმები. ასევე, დაწერეთ სიტყვა წინადადებაში და დახატეთ სურათი.



სიტყვაზე ნადირობა

მიზანი: ლექსიკური ერთეულის/სიტყვის მოძებნა და განსაზღვრება კონტექსტში (მეორე კლასი და ზევით).

პროცესის აღწერა: სანიშნ ბარათებზე დაწერეთ ქვემოთ მოცემული დასათარებები თითოეული სიტყვისათვის: ლექსიკური ერთეული/სიტყვა; სად აღმოვაჩინე; წინადადება, რომელშიც სიტყვა იყო გამოყენებული; ჩემი განმარტება.

მოსწავლეები თითოეულ ბარათზე ავსებენ ინფორმაციას დასათარებების მიხედვით. ისინი ასევე განსაზღვრავენ სიტყვის სუფიქსებს და ლათინურ ფუძეებს ტექსტში.

მაგალითი: ლექსიკური ერთეული/სიტყვა: თოხარიკი (palfrey)

სად აღმოვაჩინე: კრისპინი (Avi, 292 გვ. 162);

წინადადება, რომელშიც სიტყვა იყო გამოყენებული: სწორედ იქ დავინახე ქალი, რომელიც შეკაზმულ, შავ თოხარიკზე იჯდა, რომლის ალვირი და უნაგირი მბრწყინავი ვერცხლით იყო მოვარაყებული;

ჩემი განმარტება: ცხენი;

ლექსიკონის განმარტება: პატარა, სამომრავო, შესაკაზმი ცხენი, განსაკუთრებით ქალებისათვის.

მნიშვნელობის მიხედვით დალაგებული სიტყვები

წყარო: უოლკერი, 2004.

მიზანი: ერთი და იმავე ასოთშეთანხმების, მნიშვნელობის ან გრამატიკული ფუნქციის მატარებელი სიტყვების კატეგორიზაცია (ყველა საფეხური);

პროცესის აღწერა: მოსწავლეები და მასწავლებელი გამოარჩევენ საკვანძო სიტყვებს ტექსტიდან და დაწერენ მათ სანიშნ ბარათებზე. შემდეგ მოსწავლეები დაახარისხებენ ამ სიტყვებს ზემოთ აღნიშნული მახასიათებლების მიხედვით. გადაწყობის პრინციპების ასახსნელად მოსწავლეები მოიყვანენ არგუმენტებს, თუ რატომ დააჯგუფეს სიტყვები შერჩეული პრინციპით.

მაგალითი:

სიტყვების ბარათები: ჩამოთვლილი სიტყვები: run, dog, cat, walk, hop, jump, girl, boy (დარბის, ძაღლი, კატა, სეირნობს, ხტუნავს, ასკინკილით ხტუნვა, გოგონა, ბიჭი);

დახარისხება: ძაღლი, კატა, გოგონა, ბიჭი - არსებითი სახელები;

დარბის, სეირნობს, ასკინკილით ხტუნვა, ხტუნავს - ზმნები ან მოქმედებები, რომელთა კეთება შეიძლება.

კონცეპტების განვითარების სტრატეგიები

კონცეპტი, იგივე ცნება, არის კონკრეტული საგნების და აბსტრაქტული, არახელმშესახები იდეების ან გრძნობების მენტალური წარმოდგენა, ვიზუალური გამოსახულება ან იდეა. ვიზუალური და აუდიალური ინფორმაცია ხელს უწყობს კონცეფციების განვითარებასა და ჩამოყალიბებას. ქვემოთ მოცემული სტრატეგიები კი არა მხოლოდ ეხმარება ფართო, ბევრისმომცველი კონცეფციების ჩამოყალიბებას, არამედ ავითარებს მენტალურ პროცესებს სხვადასხვა საგნის ან იდეის იდენტიფიცირების, იდეების ანალიზისა და შერჩევის, მსგავსებების და კავშირების პრინციპების მიხედვით დაჯგუფებისა და გადაჯგუფების და ინფორმაციის სინთეზირების საშუალებით, რომელიც სრულდება დასკვნების გამოტანით და განზოგადებული ცნებების ფორმირებით.

განსაზღვრებების კონცეპტი


წყარო: შვარცი და რაფაელი, 1985.

მიზანი: სიტყვის მნიშვნელობის იდენტიფიცირება კატეგორიების, მიკუთვნებისა და ილუსტრაციებზე დაყრდნობით (მეორე კლასი და ზემოთ);

პროცესის აღწერა: დაწერეთ განსაზღვრული სიტყვა რუკის შუაში. გამოიყენეთ კონტექსტი და ლექსიკონი და შეავსეთ რუკის სამი, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს: რა არის ეს (კატეგორია);

რას ჰგავს ის? (მიკუთვნება) და მოიყვანეთ მაგალითები (ილუსტრაციები). შეიძლება ამას დაემატოს რამდენიმე შედარებითი სიტყვაც.

მაგალითი: აირი.



ოდენოს რუკა

წყარო: ოგლი და კორეა, 2007 (AQ: დაამატეთ გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს);

მიზანი: მოსწავლეების წინარე ცოდნის გააქტიურება პრეტესტის გამოყენების საშუალებით ან იმ ცოდნის განსაზღვრა, რომელიც მოსწავლეებმა პოსტტესტამდე მიიღეს (ყველა კლასისათვის);

პროცესის აღწერა: მოსწავლეები ირჩევენ ჩამონათვალში მოცემულ ტერმინოლოგიურ სიტყვებს სასწავლო მასალიდან და ალაგებენ ამ სიტყვებს შესაბამის კატეგორიებად ან კონცეფციებად. შესაძლებელია იმდენი სიტყვის გამოყენება, რამდენიც მათ იციან ან მხოლოდ ერთი სიტყვა გამოიყენონ ერთი კატეგორიისათვის. ზოგი კატეგორია დარჩება ცარიელი მაშინაც კი, თუ მოსწავლეები ყველა მოცემულ სიტყვას გამოიყენებენ.

მაგალითი: ათროპოდები

ანტენები	ეგზოსკელეტონი	ღვთისმლოცველა	ენტომოლოგისტი	არაქნიდები (ობობას მსგავსნი)	რეგენერაცია (ტყავის, ბრჭყალის ცვლა)
გულმკერდი	ცეფალოტორაქსი (მწერის გულმკერდი)	კიბორჩხალა	მუცლის ღრუ	კრაზანა	მირიაფოდი (მწერთა კლასი)
ენტომოლოგია	მორიელი	კიბოსნაირები	მიგრაცია	მეტამორფოზისი	უხერხემლოები
ობობა	ინსექტა	დამტვერვა	რვაფეხა	ნაერთი თვალი (დამახასიათებელი მწერთა ჯგუფისათვის)	

კლასიფიკაცია

სხეულის ნაწილები

მირიაფოდი	ექსოსკელეტონი
უხერხემლო	გულმკერდი
ობობას მსგავსნი	მუცლის ღრი
მწერი	ცეფალოტორაქსი
კიბოსნაირნი	ანტენები
	ნაერთი თვალი

ართროპოდები

მაგალითი		მეცნიერება და ქცევა
ობობა		დამტვერვა
რვაფეხა		მიგრაცია
მორიელი		ენტომოლოგია
კრაზანა		მეტამორფოზა
კიბორჩხალა		რეგენერაცია
ღვთისმლოცველა		ენტომოლოგი

კონცეპტების რუკა

წყარო: ჯილეტი და ტემპლი, 1994

მიზანი: იერარქიულ კონცეფციებს შორის კავშირების იდენტიფიცირება (მესამე კლასი და ზევით)

პროცესის აღწერა: კონტექსტის, წინარე ცოდნის, ლექსიკონისა და ინტერნეტის გამოყენება კონცეფციების რუკის თითოეული საფეხურის შესავსებად. კონცეფციების შესახებ კითხვებზე პასუხების გაცემით ამ კონცეფციებს შორის არსებული კავშირების დემონსტრირება.

კონცეპტი: გიტარა

ტიპი: მუსიკალური ინსტრუმენტი;

ნაწილია: სიმინთა ოჯახი ან საორკესტრო;

გაკეთებულია: ხისა და სიმებისაგან;

სახეობა: ელექტრონული, კლასიკური, ფოლკლორული;

მისი ნაწილები: ხემები, გრიფი, კორპუსი;

გამოიყენება: მუსიკის შესრულებისთვის;

მაგალითი: გიტარა.

კატეგორიების დიაგრამა

მიზანი: დიაგრამების გამოყენება სიტყვების მნიშვნელობის იდენტიფიცირებისათვის (ყველა საფეხური);

პროცესის აღწერა: ლექსიკური კატეგორიების დამატება ნახატებისათვის;

მაგალითი: ადამიანის სხეულის სისტემა, ჩონჩხი, წყლის ციკლი, პეპლის სასიცოცხლო ციკლი.


ჩამწკრივება

წყარო: ნაიჯი, 1988.

მიზანი: სიტყვებში საფეხურებრივ განსხვავებებს შორის კავშირების ჩვენება (მესამე კლასი და ზევით);

პროცესის აღწერა: მწკრივის შექმნა სიტყვების ხაზისაგან, რომლებიც თანმიმდევრობის პრინციპით განლაგდებიან;

მაგალითი: წყლის ტემპერატურა;



ჯგუფების ჩამონათვალის კლასიფიკაცია

წყარო: ტაბა, 1967, ტინეის და რიდენსის ნამუშევარში (2000).

მიზანი: სიტყვების დალაგება ურთიერთკავშირის პრინციპით და მათი კლასიფიკაცია ამ კავშირების მიხედვით (მეორე კლასი და ზევით);

მაგალითი: სხეულის სისტემა.

საჭმლის მომნელებელი სისტემა	ცირკულაციური სისტემა	სასუნთქი სისტემა
საყლაპავი მილი	გული	ტრაქეა
კუჭი	სისხლძარღვები	ფილტვები
ნაწლავები	არტერიები	ალვეოლი

მნემონიკური ინსტრუმენტები

ამოცანა: მოსწავლეების დახმარება კონცეფციების დახმარებაში ან კონცეფციების ჩამონათვალში მნემონიკური ინსტრუმენტების სწავლის საშუალებით (მესამე კლასი და ზევით);

პროცესის აღწერა: საკითხის იდენტიფიცირება ქვესაკითხების საშუალებით, რომელთა დასწავლაც მოსწავლეებს ესაჭიროებათ რიგითობის მიხედვით. ყველა სიტყვის პირველი ასოს იდენტიფიცირება. წინადადების ან ფრაზის აგება ამ პირველი ასოების გამოყენებით;

მაგალითი: ცხოვრებისეული საგნებისა და მოვლენების კლასიფიკაცია: სამეფო, ტიპაჟი, კლასი, წესრიგი, ოჯახი, გენი, ჯიში. მნემონიკური წინადადება: „ქეთი ჭადრაკს თამაშობს მამის მწვანე პერანგით“.


სქემური სიტყვების რუკა

წყარო: ტირნიე და რიდენსი, 2000.

მიზანი: საკვანძო კონცეფციების იდენტიფიცირება მწკრივების გამოყენებით, რომელიც აჩვენებს, როგორ არიან სიტყვები იერარქიულად დაკავშირებული (მესამე კლასი და ზევით).

პროცესის აღწერა: მიზნობრივი კონცეფციის განვითარება. განსაზღვრეთ კონცეფცია და წარმოადგინეთ. დაიწყეთ იერარქიის აგება. უხელმძღვანელო მოსწავლეებს რელევანტური და არარელევანტური თვისებებისა და ნიშნების განსაზღვრისას და დაასრულეთ რუკის შექმნა დამატებითი მაგალითებით;

მაგალითი: რეპტილიები. კონცეფციების სუბორდინაცია შემდეგნაირი შეიძლება იყოს: ცივისსხლიანი, ხერხემლიანი და ცხოველები იერარქიის თავში: კოორდინირებული, იმავე დონის კონცეფცია იქნება: ამფიბიები, ხოლო ქვეკონცეფციები კი იქნება: ალიგატორები, გველები და ხვლიკები.



სემანტიკური მახასიათებლების ანალიზის მატრიცა

წყარო: ჯონსონი და პირსონი, 1984, ვოლკერის ნამუშევარში 2004;

მიზანი: მოვლენების, საგნების, იდეების ჯგუფებში მსგავსებებისა და განსხვავებების იდენტიფიცირება (ყველა კლასი);

პროცესის აღწერა: იმ ნიშნების იდენტიფიცირება, რომელთა კლასიფიკაცია და მიკუთვნება შეიძლება და რომელიც მათ მსგავსს და განსხვავებულს ხდის. მოახდინეთ ცხოველების კლასიფიკაცია ამ ნიშნების მიხედვით, დასვით ნიშნები პლუსი (+) ან მინუსი (-) თითოეულ უჯრაში ნიშან-თვისებების არსებობა-არარსებობის მიხედვით;

ადაპტირებული ვერსია: გამოიყენეთ სქემატური რუკა სიტყვებისათვის (იხილეთ ქვემოთ)

მაგალითი: ცხოველები.

	ცხოვრობს წყალში	სუნთქავს ჰაერს	დებს კვერცხს	აქვს ბეწვის საფარველი
ვეშაპი	+	+	-	-
სელაპი	+ხანდახან	+	-	+
ზვიგენი	+	-	+	-
თევზი	+	-	+	-
დათვი	-	+	-	+


სემანტიკური რუკა

წყარო: ჯონსონი და პირსონი, 1984, ვოლკერის ნამუშევარში, 2004;

მიზანი: სიტყვის მნიშვნელობის გაფართოვება გრაფიკული ორგანიზაციის გამოყენებით, სადაც ოვალური ფორმით გადმოცემულია კონცეფციები, ისრები და უჯრებში მოცემული სიტყვები კი გადმოსცემს სიტყვის კავშირებს ან მიკუთვნილებებს (მეორე კლასი და ზევით);

პროცესის აღწერა: დაწერეთ კონცეფციები ცენტრში ოვალურ ფიგურაში. მოსწავლეებმა კი უნდა მიუწერონ მახასიათებლები, მაგალითები და ის ინფორმაცია, რომელიც ისრებით არის მიერთებული.

მაგალითი: წიწვოვანი მცენარეები.




ვენის დიაგრამა

მიზანი: ორი ან სამი კონცეფციის შედარება და დაპირისპირება (ყველა კლასი);

პროცესის აღწერა: დახატეთ ორი ან სამი ურთიერთგადამკვეთი წრე. დაასათაურეთ თითოეული კონცეფციის სახელწოდებით. ცენტრში დაწერეთ ის ნიშან-თვისებები, რომლებიც საერთო აქვთ ამ კონცეფციებს;

ადაპტირებული ვერსია: H-ფორმის დიაგრამა. ერთი კონცეფციის ნიშან-თვისებები დაწერილია მარცხნივ, ხოლო მეორესი - მარჯვნივ. მსგავსებები კი ივსება ასო H-ის შუა ნაწილებში;

მაგალითი: ფერადი და შავი ლითონები;



მეტაფორული (ფიგურალური) ენის სტრატეგია

მიზანი: ფიგურალური ენის იდენტიფიცირება და აღწერა: ღიმილი, მეტაფორა, ირონია, როგორც ტექსტშია გამოყენებული (მესამე კლასი და ზევით);

პროცესის აღწერა: იმსჯელეთ მნიშვნელობაზე. დახატეთ სურათები, რომლებიც გადატანითი მნიშვნელობის პირდაპირ მნიშვნელობას გამოხატავენ;

მაგალითი: დამხმარე ამელია ბედელია (პარიში, 1979); ამელია ბედელია ყველაფერს პირდაპირი მნიშვნელობით იღებს. მაგალითად: მის ემა ამბობს: Now I want you to stake the beans. Here is the string to tie them. You can use this saw to cut the stakes. (...მან აიღო ხერხი და პალო 15 ნაწილად გადაჭრა. ... 'დაიჭირე პალო, სანამ ერთად შეეკრავ.' ამელია ბედელიამ და ეფი ლოუმ მარცვლები ერთად შეკრეს - გვ. 135-143).

მოსწავლეებს შეუძლიათ ორი სურათი დახატონ: ერთზე ქალი ცდილობს, მარცვლები ერთმანეთზე გადააბას და მეორე კი ცდილობს, მარცვლები ერთმანეთს გადააბას. მოსწავლეებმა სახელები უნდა დაარქვან თითოეულ ნახატს და ხაზი გაუსვან ჰომოფონურ და ფიგურალურ ენობრივ გამოხატულებებს. კიდევ ერთი მაგალითი პირდაპირი და ფიგურალური ენობრივი გამოხატულებისა: „დამხმარე ამელია ბედელია“ შეიძლება იყოს ამელია, რომელიც იპარავს ან იღებს ყველა ყალბ მონეტას და პირდაპირი მნიშვნელობით შერბის სახლში, როდესაც ბეისბოლს თამაშობს და ფულს დებს მდინარის კალაპოტზე და არა ზანკის შენობაში.

ლექსიკასთან დაკავშირებული სტრატეგიები „მე თვითონ“

მიზანი: უცნობი სიტყვების მნიშვნელობის გააზრება, როდესაც მოსწავლე კითხულობს და მას გვერდით არააინ ჰყავს დამხმარე (ყველა კლასი);

- პროცესის აღწერა: ასწავლეთ მოსწავლეებს, რომ აირჩიონ ერთი ან რამდენიმე სტრატეგია ქვემოთ ჩამოთვლილიდან, რომელიც მათ დაეხმარება სიტყვის მნიშვნელობის გააზრებაში: რამდენჯერმე გადაიკითხეთ წინადადება ან აზრები, რომ დაინახოთ, ხომ არ არის სიტყვის მნიშვნელობა კონტექსტიდან გამომდინარე გასაგები;
- გააკეთეთ ვარაუდები სიტყვის, როგორც მეტყველების ნაწილის, შესახებ;
- დაშალეთ სიტყვა ნაწილებად: პრეფიქსი, ფუძე, სუფიქსი. დაუსვით საკუთარ თავს შეკითხვა, იცით თუ არა ამ სიტყვის რომელიმე ნაწილის, როგორც სხვა სიტყვის ნაწილის, მნიშვნელობა ან ხომ არ იცით სიტყვა, რომელიც იმავე ან მსგავს ნაწილს შეიცავს;

-
- დაადგინეთ, რამდენად მნიშვნელოვანია ამ სიტყვის მნიშვნელობის ცოდნა ტექსტის შინაარსის გასაგებად. თუ ფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია, ჩაიხედეთ ლექსიკონში. მნიშვნელობების წაკითხვის შემდეგ გადაიკითხეთ წინადადება და შეხედეთ, თუ აქვს ამ მნიშვნელობებიდან რომელიმეს წინადადებაში აზრი. დაწერეთ სიტყვა, მიუწერეთ მნიშვნელობა, წინადადება ან დახატეთ, რაც მის დამახსოვრებაში დაგეხმარებათ;
 - თუ გადაწყვეტთ, რომ სიტყვა არც თუ ძალიან მნიშვნელოვანია, წინადადების აზრის გასაგებად გამოთქვით ვარაუდი და კიდევ ერთხელ წაიკითხეთ. შეიძლება სიტყვა კიდევ ერთხელ დაწეროთ და მისი მნიშვნელობა მოგვიანებით ისწავლოთ.

თავი 3

ფონოლოგიური ცოდნა, წიგნიერების სწავლების ბგერითი მეთოდი, სიტყვების ამოცნობა და ემერჯენტული ტექსტის კონცეპტები

ფონოლოგიური ცოდნის შესახებ

ფონოლოგიური ცოდნა, წიგნიერების სწავლების ბგერითი მეთოდი, სიტყვების ამოცნობა და ემერჯენტული ტექსტის კონცეპტები მნიშვნელოვანი ელემენტებია ტექსტების კითხვისა და წერისას. ამ პროცესების სწავლებისას იფიქრეთ *მთელი-ნაწილი-მთელი* მოდელის შესახებ. დაიწყეთ ტექსტით ან იდეით, გამოუმუშავეთ სპეციფიკური უნარები ან ასწავლეთ სტრატეგიები, რომლებიც საჭიროა კონკრეტული ტექსტის წასაკითხად ან დასაწერად, შემდეგ კი გამოიყენეთ ეს უნარები ტექსტის წასაკითხად ან დასაწერად. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესები ურთიერთდაკავშირებულია, მათი განსაზღვრებები (განმარტებები), მიზნები, შეფასება და სტრატეგიები ცალ-ცალკე იქნება წარმოდგენილი მათი უკეთესად გაგების მიზნით. თუმცა, ამ პროცესების ინტეგრირება საჭიროა ამა თუ იმ კონტექსტში სიტყვების ამოცნობისათვის და მათ დასაწერად.

ისეთი ტერმინები, როგორებიცაა ფონოლოგიური ცოდნა და ფონიკა - ხშირად დამაბნეველია. ფონოლოგიური ცოდნა არის უნარი, ამოიცნო, რომ მეტყველება შედგება წინადადებებისაგან, რომლებიც თავისთავად შეიძლება დაიყოს უფრო მარტივ წინადადებებად ან ფრაზებად; წინადადებები შეიძლება დაიყოს სიტყვებად და სიტყვები შეიძლება დაიშალოს ბგერების უფრო პატარა გაერთიანებებად, მაგალითად, მარცვლებად, მარცვლის მისადგომებად *ონსეტად* და *რიმებად* და ცალკეულ ბგერებად ან ფონემებად ((Johnson & Roseman, 2003). ტერმინი onset აღნიშნავს თანხმოვანს ან თანხმოვანთა ჯგუფს, რომელიც გვხვდება სიტყვის პირველ ხმოვან ბგერამდე, მაგალითად, როგორიცაა /st/ სიტყვაში stop. ტერმინი რიმი შეესაბამება ხმოვან-თანხმოვნის ჯგუფს სიტყვის ბოლოს, მაგალითად, as /op/ სიტყვაში stop. რიმი შესაძლოა მხოლოდ ხმოვნებისაგან შედგებოდეს. მაგალითად სიტყვაში see /s/ ონსეტია, ხოლო /ee/ რიმი. ზოგ სიტყვას აქვს რიმი, მაგრამ არა აქვს ონსეტი. ასეთია, მაგალითად, at.

ფონეტიკური ცოდნა ფონოლოგიური ცოდნის ბოლო საფეხურია. ეს არის უნარი, ამოიცნო, რომ წარმოთქმული სიტყვები შეიცავს კონკრეტული ბგერების ანუ ფონემების მიმდევრობას, განარჩიო განსხვავებული ფონემები და შეძლო სიტყვებში ფონემებით მანიპულირება მათი მნიშვნელობის შესაცვლელად (ახალი სიტყვის მისაღებად) (იოპი, 1992; იოპი და იოპი, 2000b). ფონემა მეტყველების უმცირესი ერთეულია, რომელიც განსხვავებს ერთ სიტყვას მეორისაგან ენაში ან დიალექტში. მაგალითად, სიტყვა cat შედგება სამი განსხვავებული ინგლისური ფონემისაგან: /k/, /a/ და /t/. თუ საწყის ფონემა /k/-ს შევცვლით /s/-თი, მივიღებთ ახალ სიტყვას sat, რომელსაც სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. ზოგიერთი ფონემა ძალიან მსგავსია და მათ შორის განსხვავების შემჩნევა ძნელია. მაგალითად, სიტყვებში half და have. ინგლისური ენის შემსწავლელებს შესაძლოა პრობლემები შეექმნათ ისეთი ფონემების გარჩევისას, რომლებიც მათ მშობლიურ ენაში არ არსებობს. „National Reading Panel“-ის მონაცემების მეტაანალიზის ანგარიშის მიხედვით, ფონეტიკური ცოდნა ეხმარება ბავშვებს კითხვის სწავლაში (ერი და სხვ., 2001). თუმცა, ფონემების შესწავლა სიტყვების ან ტექსტების მოსმენის გზით აიოლებს მათ შესწავლას და შემსწავლელი უკეთ გაიაზრებს მათ.

ზოგი ფონემა შეესაბამება კონკრეტულ ასოს. მაგალითად, /a/ სიტყვაში apple, ხოლო ზოგი ფონემა წარმოდგენილია ასოების კომბინაციით. ასეთებია, მაგალითად, /th/ სიტყვაში that ან /oy/ სიტყვაში boy. ბგერების ანუ ფონემების მიმართებას (კორელაციას) ასოებთან *ფონიკა* ეწოდება. თუმცა ეს ტერმინები ურთიერთდაკავშირებულია, ფონოლოგიური და ფონეტიკური ცოდნა აუდიტორული პროცესებია, ხოლო ფონიკა აუდიტორულ-ვიზუალური. ფონიკა ამავე თავში მოგვიანებით უფრო დეტალურად იქნება ახსნილი.

ამოცანები ფონოლოგიური ცოდნის ასათვისებლად

- ფონოლოგიური ცოდნის განვითარებისათვის მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ შემდეგი: ამოიცნონ და აჩვენონ, რომ სამეტყველო ენა (მეტყველება) იყოფა სიტყვებად;
- ამოიცნონ და აჩვენონ, რომ წარმოთქმული სიტყვები იყოფა უფრო პატარა ბგერით ერთეულებად (მაგალითად, მარცვლებად);
- ამოიცნონ და აჩვენონ, რომ წარმოთქმულის დაყოფა ანუ სეგმენტირება შესაძლებელია კონკრეტულ ბგერებად ანუ ფონემებად;
- სმენით განარჩიონ ინგლისური სამეტყველო ბგერები;
- ამოიცნონ და აჩვენონ, რომ შესაძლებელია სამეტყველო ბგერების შერევა (კომბინირება) სიტყვების შესადგენად;
- სმენით განარჩიონ ინგლისური სიტყვები;
- ამოიცნონ და აჩვენონ, რომ ფონემების შეცვლით ახალი სიტყვები წარმოიქმნება;
- ამოიცნონ და აჩვენონ საწყისი, ბოლო და შუა ბგერები მოსმენილ სიტყვებში;
- ამოიცნონ და წარმოთქვან სიტყვები, რომლებსაც ერთი და იგივე საწყისი, საბოლოო და შუალედური ფონემები აქვთ;
- ამოიცნონ და აჩვენონ, რომ რაიმინგ სიტყვების ზეპირად შეიძლება წარმოითქვას საწყისი ბგერის შენაცვლებით ხმოვანი ბგერის წინ; ამოიცნონ და აჩვენონ, რომ წინადადების შესადგენად შესაძლებელია სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირება;
- ამოიცნონ და აჩვენონ, რომ შესაძლებელია წინადადებების დაკავშირება სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დასამყარებლად.

ფონოლოგიური ცოდნის შეფასება (Assessment)

ეს შეფასება განკუთვნილია იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, შეუძლია თუ არა შემსწავლელს, გააერთიანოს, დაეყოს და განასხვავოს ინგლისური სამეტყველო ბგერები. როდესაც შემსწავლელს აძლევენ ამ ტესტს და ვერ იღებს, მინიმუმ, შეფასების ქულათა 70%-ს, შესაძლოა საჭირო იყოს მეტყველების პათოლოგიების სპეციალისტის ან აუდიოლოგის შეფასება იმის განსაზღვრად, ხომ არა გვაქვს სმენის ან აუდიტორული დამუშავების პრობლემა. ეს შეფასება განსაკუთრებით შეესაბამება შემსწავლელს, რომელიც კითხვის და წერის ემერჯენტულ დონეზეა, თუ არ გვაქვს ნიშანი, რომ სტუდენტს აქვს ბგერებად დანაწევრების (დაყოფის), გაერთიანების ან ასოების გამოყოფის პროცესში სირთულეები.

სმენითი (აუდიალური) დანაწევრების ტესტები

მიზანი: ამ ნაწილში აღწერილია აუდიალური დანაწევრების სამი ტესტი (იხ. დანართი, გვ. 233). მოკლე და გრძელი ხმოვნების აუდიალური დანაწევრების ტესტი (იხ. დანართი, გვ. 230); დიფთონგებისა და კონტროლირებული ხმოვნების აუდიალური დანაწევრების ტესტი (იხ. დანართი, გვ. 231); თითოეული ეს შეფასება შექმნილია იმისათვის, რომ განისაზღვროს სტუდენტის უნარი, ამოიცნოს მცირე განსხვავებები ინგლისურ ფონემებს შორის სიტყვებში და განკუთვნილია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის, თუკი დანაწევრების პროცესზე დაკვირვება არ ჩატარებულა. ტესტში გამოყენებულია იგივე ფორმატი, რაც ვეპმანის აუდიალური დანაწევრების ტესტში (Wepman Auditory Discrimination Test; Wepman, 1958, revised in 1973). თითოეული ტესტი მოიცავს სიტყვათა წყვილებს, რომლებიც განსხვავდება მხოლოდ თითო ფონემით ან ერთი და იგივეა. გამომცდელი წარმოთქვამს სიტყვათა წყვილს, ხოლო მოსწავლე ამბობს, არის თუ არა განსხვავება მათ შორის. თანხმობის აუდიალური დანაწევრების ტესტში ერთმანეთს ადარებენ სიტყვებს, რომლებიც განსხვავდება აუდიალურად მსგავსი საწყისი ან ბოლო თანხმობებით. მოკლე და გრძელი ხმოვნების აუდიალური დანაწევრების ტესტში ერთმანეთს ადარებენ ხუთ მოკლე ხმოვანს, ასევე - ხუთ გრძელ ხმოვანს ერთმანეთს და მოკლე და გრძელ ხმოვნებს - ერთმანეთთან. დიფთონგებისა და

კონტროლირებული ხმოვნების დანაწევრების ტესტში ერთმანეთს ადარებენ დიფთონგებს (/ay/, /uy/, /oy/, /ow/) და კონტროლირებულ ხმოვნებს (/er/, /ar/, /or/, /al/, /aw/, /ew/) გრძელ და მოკლე ხმოვნებთან.

პროცესის აღწერა: გამომცდელი ზის მოსწავლის გვერდით, თუმცა იყურება საპირისპირო მხარეს, რომ შემსწავლელმა ვერ დაინახოს, როგორ წარმოითქმის სიტყვები. გამომცდელი ამბობს: „მე ვიტყვი ორ სიტყვას. თქვენ უნდა მითხრათ, ეს ორი სიტყვა ერთი და იგივეა თუ სხვადასხვა.“ ჩაიწერეთ მოსწავლეების პასუხები შემდეგნაირად: ი - იმ შემთხვევაში, როცა იგივეა და ს - როცა სხვადასხვაა. შეაფასეთ პლუს ნიშნით (+) სწორი პასუხები და მინუს ნიშნით (-) მცდარი პასუხები. დონე განისაზღვრება შემდეგნაირად: დამოუკიდებელი (90-100%); ინსტრუქციული (70-90%) და ფრუსტრაციული (69% და ნაკლები). იდენტიფიცირება გაუკეთეთ იმ ფონემებს, რომელთა ერთმანეთისგან გარჩევა მოსწავლეებმა ვერ შეძლეს. დააკავშირეთ სხვა შეფასებების ფონემებთან.

მაგალითი: მოკლე და გრძელი ხმოვნების აუდიალური დანაწევრების ტესტი.

ფუნქციონირების საფეხური: ინსტრუქციული		ქულა: 35/40 = 88%	
პასუხი	/ქულა	პასუხი	/ქულა
1. get-get	o +	21. cake-cake	o +
2. hat-hot	s +	22. jean-June	s +
3. pet-pat	o -	23. high-hay	s +
4. had-had	o +	24. bite-beat	s +
5. nut-not	o -	25. home-home	o +
ფუნქციონირების საფეხური: ინსტრუქციული		ქულა: 35/40 = 88%	

ანალიზი: მეორე კლასის მოსწავლემ შეძლო გამოეცნო ყველა ერთი და იგივე ბგერა და გაერჩია გრძელი ხმოვნები. მოსწავლემ ვერ შეძლო შემდეგი მოკლე ხმოვნების გარჩევა: /e/ და /a/; /u/ და /o/; /i/ და /e/; /e/ და /i/; /a/ და /e/.

ინსტრუქცია: უზრუნველყავით მოკლე ხმოვნების სწავლება ისეთი სტრატეგიების საშუალებით, როგორიცაა, მაგალითად, ნახატების გამოყენება (განხილულია მოგვიანებით ამავე თავში).

ფონემების შეერთების შეფასება

მიზანი: ფონემების დაკავშირების შეფასება (იხ. დანართი. გვ. 232) გამოიყენება იმის დასადგენად, აქვს თუ არა სტუდენტს ფონეტიკური ცოდნა, რომ დააკავშიროს ფონემები სიტყვებში. ეს ტესტი შევიმუშავე იუპ-სინგერის ფონემათა სეგმენტირების ტესტის ფორმატზე დაყრდნობით (Yopp-Singer Test of Phoneme Segmentation (იუპი, 1995). ბგერების დაკავშირება, ანუ სინთეზირება სიტყვების ფორმირებისათვის, ერთ-ერთი სტრატეგიაა, რომელიც გამოიყენება უცნობი სიტყვების გამოსაცნობად (ვოლკერი, 2004). შეფასება, ზოგადად, გამოიყენება, თუ მოსწავლის ქულები 70% ან ნაკლებია პირველი კლასში სიტყვების კითხვაში, ან მას პრობლემები აქვს სიტყვებში ბგერათა დაკავშირებისას.

პროცესის აღწერა: უთხარით მოსწავლეს, რომ აპირებთ ითამაშოთ სიტყვებით. მე ვიტყვი ცალკეულ ბგერებს და თქვენ უნდა მითხრათ მთელი სიტყვა. მაგალითად, თუ მე ვიტყვი „/o/-/l/-/d/“, თქვენ უნდა თქვათ „old.“ ჩაიწერეთ მოსწავლეების პასუხები. ივარჯიშეთ სიტყვებზე ride, go და man. შეფასების ჩატარებისას დასვით პლუს ნიშანი (+) იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე სწორად ახდენს სეგმენტირებას და არასწორი პასუხი აღნიშნეთ მინუს ნიშნით (-), როდესაც სტუდენტი არასწორად აკავშირებს და ჩაწერეთ მისი პასუხი ცარიელ ადგილას. განსაზღვრეთ ის ფონეტიკური ელემენტები, რომელთა სწორად შეერთება (დაკავშირება) მოსწავლეებმა ვერ შეძლეს. აღნიშნეთ, თუ მოსწავლემ ვერ შეძლო რეალური სიტყვის თქმა.

მაგალითი:

+ ან - და პასუხი		+ ან - და პასუხი	
1. c/a/t	+	12. d/ay	+
2. s/ee/d	-see	13. p//a/ce	- play
3. m/i/ne	- my	14. . t/o	+

4.	g/o	+	15. th/r/ee	- მჟღერი (მკვეთრად წარმოთქმული) the
5.	h/e	+	16. j/o/b	- j/oʹ, joʹg

ანალიზი: მეორეკლასელმა მოსწავლემ შეძლო სიტყვების დაახლოების ნახევრის სწორად შეერთება, მათ შორის ყველა 2-ბგერიანი სიტყვისა. დანარჩენები რეალური სიტყვებია, რომელთა ბოლო ბგერები მთლიანად მოაშორეს ან შეცვალეს სხვა ბგერით. მოსწავლემ b შეცვალა g-თი.

ინსტრუქცია: ვინაიდან ბოლო ბგერა გამოტოვებულია ან შეცვლილი, უნდა სცადოთ შემდეგი სტრატეგიის გამოყენება: მოასმენინეთ მოსწავლეს სეგმენტირებულად (დანაწევრებულად) სიტყვა და სთხოვეთ, ამოიცნოს ნახატიანი ბარათი, რომელზეც ეს სიტყვაა წარმოდგენილი. შემდეგ წარმოთქვით სრული სიტყვა. მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე, ამ სიტყვებს სხვადასხვა დაბოლოება უნდა ჰქონდეს. მოსწავლეებმა, აგრეთვე, უნდა დაახარისხონ b და g დაბოლოების მიხედვით. მაგალითად: *bag, crab, pig* და *tub*. შესაძლოა მისი გავრცობა ფონიკის სტრატეგიამდე. გამოიყენეთ მაგნიტი-ასოები ამ სიტყვების შესადგენად. კიდევ ერთი სტრატეგიაა თანხმოვანი-ხმოვანი შედგენილობის სიტყვის შეცვლა თანხმოვანი-ხმოვანი-თანხმოვანი შედგენილობის სიტყვებით. მაგალითად: *see - seed*.

ფონემებად დანაწევრების შეფასება

მიზანი: იუპ-სინგერის ფონემებად დაყოფის ტესტი (The Yopp-Singer Test of Phoneme Segmentation (იუპი, 1995; იხ. დანართი, გვ. 233) გამოყენებულია სტუდენტის ფონეტიკური ცოდნის განსასაზღვრად სიტყვებში რიმ-მოდელების ამოცნობით. სიტყვების დაყოფა თითო ასოთი გადმოცემულ ბგერებად, ანუ ანალიტიკური ფონიკა, არის სტრატეგია, რომელიც გამოიყენება სიტყვების წერისას. ეს შეფასება, ზოგადად, გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც პირველ კლასში სიტყვების წერაში მოსწავლის შეფასების ქულა 70% ან უფრო დაბალია ან სიტყვების დასაწერად მათი სეგმენტირების პრობლემა აქვს.

პროცესის აღწერა: უთხარით მოსწავლეებს, რომ აპირებთ შემდეგ აქტივობის ჩატარებას: მე ვიტყვი სიტყვას და თქვენ უნდა „დაშალოთ“ ის. თქვენვე უნდა მითხრათ სიტყვის თითოეული ბგერა მიმდევრობით. მაგალითად, როცა მე ვიტყვი „old,“, თქვენ უნდა თქვათ „/o/-/l/-/d/.“ ჩაიწერეთ მოსწავლეების პასუხები. ივარჯიშეთ სიტყვებზე *ride, go* და *man*. შეფასების ჩატარებისას დასვით პლუს ნიშანი (+) იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე სწორად ახდენს სეგმენტირებას, ხოლო მინუს ნიშნით (-) აღნიშნეთ, როდესაც სტუდენტი არასწორად აკეთებს სეგმენტირებას. ჩაწერეთ მისი პასუხი ცარიელ ადგილას.

ანალიზი: ჩაინიშნეთ, თუ მოსწავლეს შეუძლია შერეული დიგრაფების დაყოფა, მაგრამ ვერ ახერხებს თანხმოვნებისაგან შედგენილი დიგრაფების დაყოფას.

ფონოლოგიური ცოდნის სტრატეგიები

თუმცა ყველა ეს სტრატეგია აუდიალურია, მათი შეცვლა შეიძლება ფონიკურ აქტივობად, თუკი მოსწავლეებს დავალებით ასოების ან სიტყვების წაკითხვას ან დაწერას. ეს აქტივობები ავითარებს ლექსიკასაც, ამდენად, მნიშვნელოვანია სიტყვების მნიშვნელობების განხილვა სწავლების პროცესში.

აუდიალური დანაწევრება (დაყოფა)

მიზანი: საწყისი, ბოლო და შუალედური ფონემების გამოყოფა (მე-2 კლასის მოსწავლეები).

პროცესის აღწერა: სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ ამოიცნონ საწყისი, ბოლო და შემდეგ უკვე შუა ფონემები იმ სიტყვებში, რომლებიც მათ ესმით საუბრისას ან ხვდებთ წიგნებში. მაგალითად: მოსწავლეებმა უნდა მოისმინეთ საწყის /s/-ს და შემდეგ ამოიცნონ პირველი ბგერები სიტყვებში *sat, sit, sip* და *sad*. გამოიყენეთ სტრატეგიები, რომელთა საშუალებითაც შემსწავლელები ყურადღებას გაამახვილებენ და აღიქვამენ ბგერებს. მაგალითი: წარმოადგინეთ ბგერა/s/ სიტყვაში *sat*, ხოლო შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, წარმოთქვან თითოეული ბგერა ცალ-ცალკე და, აგრეთვე, სხვადასხვა სიტყვაში, სანამ ისინი თავისუფლად არ იგრძნობენ თავს ამ ბგერის წარმოთქმისას და გაიგებენ მის ბუნებას.

ფონემების შერეობა

მიზანი: ფონემების დაკავშირება სიტყვებში (მე-2 კლასი).

პროცესის აღწერა: დაიწყეთ ერთი ფონემის ამოცნობით, მაგალითად, /m/-ilk ან /s/-at, ეტაპობრივად იმუშავეთ სიტყვის თითოეული ფონემის დასაკავშირებლად. სთხოვეთ მოსწავლეებს, ვერბალურად (ზეპირმეტყველებაში) დააკავშირონ ფონემები სიტყვებში. ეს ეხმარება მათ, გაიგონ ან წარმოთქვან სიტყვები.

მაგალითი: რა სიტყვას ქმნის /s/-a~/t/?

ადაპტირებული ვერსია: დაიდეთ თქვენი მარცხენა ხელი მარჯვენა მხარზე და წარმოთქვით პირველი ბგერა, შემდეგ დაიდეთ ხელი იდაყვზე შუა ბგერების წარმოთქმისას და ამის შემდეგ ხელი დაიდეთ მარჯვენა ხელისგულზე და წარმოთქვით ბოლო ბგერა. ახლა გადაიტანეთ ხელი მხრიდან ხელისგულზე ბგერების დასაკავშირებლად.

ფონემების სეგმენტირება

მიზანი: პირველი და ბოლო ფონემებისა და შემდეგ თითოეული ფონემის ამოცნობა სიტყვაში (მე-2 კლასი).

პროცესის აღწერა: დაუსვით შემდეგი შეკითხვა: რა არის პირველი ბგერა სიტყვაში soup? რა არის ბოლო ბგერა სიტყვაში kiss? საწყისი ბგერების იდენტიფიცირება უფრო ადვილია, ვიდრე ბოლოსი. როდესაც სტუდენტები თავისუფლად იგებენ მოსმენილ ფონემებს (თითოეულ მათგანს), სთხოვეთ მათ, დაყონ სიტყვები შემადგენელ ბგერებად და ისე წარმოთქვან. ეს საბოლოო ჯამში შემსწავლელს ეხმარება, რომ დაწეროს სიტყვები.

მაგალითი: goat = /g/-o~/ /t/.

მონეტების დალაგება


მიზანი: სიტყვაში თითოეული ფონემის ამოცნობა და მათი და განცალკევება(grades K–2).

პროცესის აღწერა: მუყაოს ქაღალდის მოკლე მხარის (სიგანეზე) გასწვრივ გააკეთეთ სამი 1" × 1" ზომის ცხრილი სამი ფონემისაგან შედგენილი სიტყვებისათვის. გადააბრუნეთ ქაღალდი და გააკეთეთ ოთხი 1" × 1" ზომის ცხრილი სამ- ან ოთხფონემიანი სიტყვებისათვის ფურცლის გრძელ მხარეს. მოამზადეთ სურათებიანი ბარათები, რომლებზეც წარმოდგენილი იქნება სამი ან ოთხი ფონემისაგან შედგენილი სიტყვები. შეარჩიეთ სურათებიანი ბარათი ქაღალდზე დასადებად და მიეცით მოსწავლეებს მონეტა, რომ დადონ თითოეული ფონემის ცხრილის ქვეშ. წარმოადგინეთ აქტივობა შემდეგნაირად: წარმოთქვით სიტყვა ნელა და თითოეული ბგერის წარმოთქმის შემდეგ ერთი მონეტა დადეთ ნახაზზე. მოსწავლეები იმეორებენ ამ პროცესს და რწმუნდებიან, რომ აქ ზუსტი შესაბამისობაა თითოეული ფონემის წარმოთქმასა და მონეტის დადებას შორის.

მაგალითი:



--	--	--



--	--	--



--	--	--	--

man = /m/ უჯრა 1, /a~/ უჯრა 2, /n/ უჯრა 3

fish = /f/ უჯრა 1, /i~/ უჯრა 2,

/sh/ უჯრა 3

hand = /h/ უჯრა 1, /a~/ უჯრა 2, /n/ უჯრა 3, /d/ უჯრა 4

ადაპტირებული ვერსია: ამ აქტივობის შეცვლა ფონიკურ აქტივობად შესაძლებელია შემდეგი გზით: სთხოვეთ მოსწავლეებს, დაწერონ თითოეული ბგერის შესაბამისი ასოები. დაიწყეთ ფონემებით, რომლებიც ერთი ასოთი გადმოიცემა.

ზეპირად გართმული სიტყვები

მიზანი: რითმების ამოცნობა და გართმვა (grades K–4).

პროცესის აღწერა: გააცანით რითმები კონტექსტში. თავდაპირველად წაუკითხეთ გართმული სტროფი და გამოტოვეთ ბოლო სიტყვა. სთხოვეთ მოსწავლეებს, დაასრულონ, შეავსონ რითმა. სთხოვეთ სტუდენტებს, დაასახელონ მაქსიმალური რაოდენობა სიტყვებისა, რომლებიც სტროფში მოცემულ ერთ-ერთ სიტყვას გართმება.

მაგალითი: „მწვანე კვერცხები და ლორი“ (*Green Eggs and Ham*; Dr. Seuss)

“Would you could you in a boat? Would you
could you with a _____ (goat)?”

შვიდსაფეხურიანი აქტივობა

მიზანი: ფონემების გართმვა, შეერთება, სეგმენტირება, განცალკევება და ფონემათა ჩანაცვლება (მე-2 კლასი).

პროცესის აღწერა: უტხარით მოსწავლეებს: „შეგიძლიათ გამოიცნოთ სიტყვა, რომელიც ჩავიფიქრე?“ . იმის მაგივრად, რომ დაუსახელოთ სიტყვაში გამოყენებული ასოები, წარმოთქვით თითოეული ბგერა ცალ-ცალკე. მაგალითად: /s/ /a/ /t/ (*sat*). შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, მოიფიქრონ სიტყვები, რომლებიც ერთმემა *sat*-ს (*mat, rat*). მოიფიქრეთ რამდენიმე სიტყვა, რომლებსაც იმ დღეს გაკვეთილზე გამოიყენებთ. ჰკითხეთ მოსწავლეებს: „რა არის პირველი ბგერა, რომელიც *sat*-ში გესმით? რომელი ასოთი აღინიშნება ეს ბგერა? რომელია უკანასკნელი ბგერა სიტყვაში *sat*? რომელი ასოთი აღინიშნება ეს ბგერა?“ სთხოვეთ მათ, წარმოთქვან ყველა ბგერა, როგორც ეს გააკეთეთ დასაწყისში: /s/ /a/ /t/. ორი თითოთი ტაშის დაკვრით აღინიშნეთ ბგერები *sat*-ში. შემდეგ იგივე გააკეთეთ რამდენიმე სიტყვაზე, რომლებიც *sat*-ს ერთმემა. დაუსვით კითხვა: „თუ სიტყვას /s/-ს გარეშე წარმოვთქვამთ, რას მივიღებთ?“ ამის შემდეგ შეცვალეთ დასაწყისი ბგერები, მაგალითად, გამოიყენეთ /b/. მიიღებთ *bat*-ს. ჰკითხეთ მოსწავლეებს: „თუკი პირველ ადგილას ჩავსვამ /b/-ს, რომელ სიტყვას მივიღებ?“

გაფართოება: გამოიყენეთ წასაშლელი დაფა და ჩამოწერეთ სიტყვები, რომლებიც ერთმემა „დღის სიტყვას“, ან გამოიყენეთ მაგნიტი-ასოები, რომლებსაც სამზარეულოს მოზრდილ ლანგარზე დაამაგრებთ. სიტყვების დახარისხება შესაძლებელია საზიარო ორთოგრაფიული მოდელების (თუ როგორ იწერება) ან სიტყვათა ოჯახების (ჯგუფების) მიხედვით. თუ ზოგიერთი სიტყვა ირითმება, მაგრამ განსხვავებულად იწერება, ჩაწერეთ ცალკე სვეტში. როდესაც მოსწავლეებს გაუშუქობეს დებათ უნარები, აქცენტი გადაიტანეთ დასაწყისი ბგერის შეცვლასა და თითოეული სიტყვის ცალკეულ ბგერებად დაყოფაზე.

სურათების ნაირსახეობები

მიზანი: ფონემების წარმოთქმისას განსხვავებების გაგება სურათების საწყისი, ბოლო და შუა ბგერ(ებ)ის მიხედვით დახარისხების გზით (მე-2 კლასი).

პროცესის აღწერა: მოსწავლეთათვის ერთი ან ორი საწყისი, ბოლო და შუა ბგერების იდენტიფიცირება, შეფასების მონაცემზე დაყენებით იდენტიფიცირების ან შეფასებისათვის. სთხოვეთ მოსწავლეებს, დახურული ტიპის ნახატებისათვის იპოვონ და დაასახელონ იმ სიტყვების შესაბამისი ნახატი, რომლებიც შეიცავს /p/ ბგერას (*pig, pencil, paper, pan, purse, penguin*). ღია ტიპისათვის კი სთხოვეთ მოსწავლეებს დაასახელონ, რა აქვთ საერთო ნახატების სურათების სახელებს. მაგალითად, თუ მათში გვხვდება -ar *car, star, arm, card, jar*). მოსწავლეებმა უნდა დააჯგუფონ სურათები ორი განსხვავებული ბგერის მიხედვითაც.

ფონიკის გაგებისათვის

ფონიკის არის სწავლების გზა, რომლითაც ისწავლება ენის ბგერებსა და ამ ბგერების შესაბამის ასოებს შორის კავშირი (ურთიერთობა). ფონემა უმცირესი სამეტყველო ერთეულია, რომელიც გავლენას ახდენს სიტყვის მნიშვნელობაზე. გრაფემა, რომელიც ცნობილია, აგრეთვე, ფონოგრამის სახელით, ფონემის წერილობითი სიმბოლოა. ინგლისურში ის შეიძლება იყოს ერთი ასოთი ან ასოთა ჯგუფით გამოხატული. მაგალითად, სიტყვაში knows სამი ფონემაა: /n/, /ɒ/ და /z/, რომლებიც წარმოდგენილია სამი გრაფემით: kn, ow, s. ფონიკის იწყება ასოებისა და ბგერების იდენტიფიცირებით. შემდეგ გამოიყენება სიტყვების წასაკითხად დეკოდირების პროცესში, აგრეთვე კოდირებისათვის სიტყვების წერისას.

გარდა ამისა, ფონიკის მნიშვნელოვანი ფაქტორია კითხვის სასწავლად. ის უნდა დაწყდეს სიტყვათა იდენტიფიცირებისა და ალქმის სხვა სტრატეგიებთან, სინტაქსისა და სემანტიკის ჩათვლით, რათა კითხვის პროცესი გააზრებული გახდეს.

ინგლისური ნახევრადფონეტიკური ენაა, რაც ნიშნავს, რომ ასოებმა ან ასოთა კომბინაციებმა შესაძლოა აღნიშნონ ერთზე მეტი ბგერა, მაგალითად,ough სიტყვებში though და cough. აგრეთვე, ერთი ბგერა შესაძლოა გადმოიცეს ასოების ერთი ან მეტი კომბინაციით. მაგალითად, ate და eight. ამიტომაც მხოლოდ ფონიკის გამოყენება ყველა სიტყვის საიდენტიფიკაციოდ არ არის შესაძლებელი.

ინგლისურში რამდენიმე ტიპის ბგერა ან ფონემა არსებობს და თქვენთვის მნიშვნელოვანია, რომ იცნობდეთ შემდეგ განმარტებებს. განმარტებები აღებულია „წიგნიერების ლექსიკონიდან“ (Literacy Dictionary; Harris & Hodges, 1995). **თანხმოვანი** არის სამეტყველო ბგერა, რომელიც წარმოიქმნება ნაწილობრივ ან მთლიანად დახურული სახმო აპარატის სამეტყველო ტრაქტში, მაშინ როდესაც **ხმოვანი** წარმოითქმება ჰაერის ნაკადის შეზღუდვის ან შეჩერების (შეყოვნების) გარეშე და გამოდის სახმო ტრაქტის გავლით. **გრძელი ხმოვნები** წარმოთქმის დრო შედარებით ხანგრძლივია, რომლის დროსაც ბგერაზე მახვილი მოდის და სახმო სიმები დამაბულია. ინგლისურში ისინი ანბანის ასოთა სახელებიცაა. ისინი ფონეტიკურად წარმოდგენილია მაკრონით (ხმოვნის ხანგრძლივობის ნიშნით) ასოების თავზე: /ā/, /ē/, /ī/, /ō/ და /ū/.

მოკლე ხმოვნებს აქვთ წარმოთქმის შედარებით მოკლე ხანგრძლივობა და ნაკლები მახვილი, სახმო სიმებიც არ არის დაჭიმული. ფონეტიკურად ისინი წარმოდგენილია ასოების თავზე ხმოვნის სიმოკლის აღმნიშვნელი ნიშნით, რომელიც გრაფიკულად u-ს მსგავსია: /ă/, /ɛ/, /ɪ/, /ɒ/ და /ʊ/. **შუა ანუ ნეიტრალური ხმოვანი** შუაცენტრალური ხმოვანია, რომელიც არ არის აქცენტირებული და არც მახვილი დაერთვის. ასეთია, მაგალითად, საწყისი ხმოვანი სიტყვაში alone ან ბოლო ხმოვანი სიტყვაში table. ის წარმოდგენილია შეტრიალებული e-ს სახით - / ə /. **დიფთონგი** არის ხმოვანი ბგერა, რომელიც წარმოითქმება, როდესაც ენა მოძრაობს ან მისრიალებს ერთი ხმოვიდან მეორე ხმოვნისკენ ან ნახევარხმოვნისკენ ერთი მარცვლის ფარგლებში. მაგალითად, სიტყვებში boy და bough. **ხმოვანთა დიგრაფიები ან ტრიგრაფიები** წარმოადგენს ორ ან მეტ ასოს, რომლებიც ერთ ხმოვანს გადმოსცემს. ასეთებია: /ai/, /ea/, /ee/, /ei/, /eigh/, /ey/, /ie/, /igh/, /oa/, /oo/, /ou/ (/ū /), /ow/ (/ō /). კონტროლირებული ხმოვნები ისეთი ხმოვნებია, რომლებიც იცვლიან თავიანთ ბგერით სახეს იმ შემთხვევაში, თუ მათ მოჰყვება /r/, /l/ ან /w/ ბგერები. მქდერი _r ანუ /er/ ბგერა შეიძლება დაიწეროს შემდეგი სახით: ar (grammar), er (her), ir (first), ur (nurse), wor (work), and ear (early). **თანხმოვანთა დიაგრაფა** წარმოადგენს ორ ასოს, ძირითადად თანხმოვნებს, რომლებიც გადმოსცემს ერთ ბგერას. ამ კომბინაციით შესაძლებელია ახალი ტიპის ბგერის წარმოქმნა. ასეთებია, მაგალითად:

ch = /ch/ სიტყვაში chair, /k/ სიტყვაში chorus, /sh/ სიტყვაში chef; wh = /hw/ სიტყვაში what; sh, ti, ci, si = /sh/ სიტყვებში shoe, nation, special, session; si = /zh/ სიტყვაში vision; ph = /f/ სიტყვაში phone; ng = ცხვირისმიერი /n/ ბგერა სიტყვაში sing.

ერთ-ერთი ასო შესაძლოა იყოს „მუნჯი“. მაგალითად: gh = /g/ in ghost; rh = /r/ სიტყვაში rhyme; gn, kn, pn = /n/ სიტყვებში gnat, know და pneumonia' dge = /j/ სიტყვაში edge' wr = /r/ სიტყვაში write mb = /m/ სიტყვაში thumb...

თანხმოვანთშეერთება არის ორი ან მეტი განსხვავებული თანხმოვანი ბგერა, რომელიც წინ უსწრებს ან მოსდევს ხმოვან ბგერებს. მაგალითად, /str/ სიტყვაში street. დაბოლოს, გვაქვს მაგარი და რბილი c და g ბგერები. მაგარი c სიტყვაში cat წარმოდგენილია/k-ს სახით, ხოლო რბილი c სიტყვაში city /s/-ს სახით. მაგარი g სიტყვაში goat წარმოდგენილია /g/ -თი, ხოლო რბილი g სიტყვაში giant /j/. ფონიკის რეზიუმეში წარმოდგენილია ამ ფონეტიკური ელემენტების ცხრილი (იხ. დანართი, გვ. 236).

სიტყვათა იდენტიფიცირების გაგებისათვის

ტერმინები სიტყვათა იდენტიფიცირება და სიტყვათა ამოცნობა ერთი და იგივეა, თუმცა მათ განმარტებებში უმნიშვნელო სხვაობა არსებობს. ჰარისი და ჰოდგესი (Harris & Hodges; 1995) ორივე მათგანს განმარტავენ, როგორც „უცნობი სიტყვის წარმოთქმისა და გარკვეულ დონეზე მისი მნიშვნელობის განსაზღვრის პროცესს“ (გვ. 282). თუმცა, შემდეგ სიტყვათა ამოცნობა განმარტებულია, როგორც „იმ სიტყვების ფორმის, წარმოთქმისა და მნიშვნელობის სწრაფი და იოლი იდენტიფიცირება, რომლებიც ადრე შეგვხვდა ნაბეჭდ ან ხელნაწერ მასალაში“ (გვ. 283).

წარმოთქმის გახსნას მიყვავართ სიტყვების მნიშვნელობის გაგებამდე. შეფასების პროცესში სიტყვების ამოცნობა განსაზღვრება იმ სიტყვების მიხედვით, რომელთა წაკითხვაც მოსწავლეებს შეუძლიათ ავტომატურად, მაშინ როცა სიტყვათა იდენტიფიცირების დემონსტრირება ხდება იმ პროცესის მიხედვით, რომელსაც შემსწავლელი მიმართავენ უცნობი სიტყვის წაკითხვის ან თვითშესწორების მცდელობისას. სიტყვათა იდენტიფიცირება გულისხმობს ბგერით (ფონეტიკურ) ანალიზსა და სინტაქსური და სემანტიკური კონტექსტუალური გასაღებების გამოყენებას.

ბგერობრივი ანალიზი გულისხმობს სიტყვების იდენტიფიცირებას მისი ბგერების მიხედვით, რაც მოიცავს სამეტყველო ბგერების ასოებთან დაკავშირებას და ამ ბგერების გაერთიანებას მარცვლებად და სიტყვებად. სტრუქტურული და ანალოგიების გასაღებები ბგერობრივი ანალიზის მხარდამჭერად მიიჩნევა. სტრუქტურული ანალიზი გულისხმობს ძირების, აფიქსების, შედგენილი (რთული და კომპოზიტური) ფორმების, ცვალებადი (ფლექსიური) და ნაწარმოები დაბოლოებების, კუმშვისა და, ზოგ შემთხვევაში, მარცვლებად დაყოფის იდენტიფიცირებას. მკითხველები, აგრეთვე, იყენებენ ანალოგიებს ნაცნობ სიტყვებთან, რაც ეხმარება მათ ამოიცნონ მათთვის უცნობი სიტყვები. სტუდენტებს შეუძლიათ ონსეტებითა (თანხმოვანი ხმოვნის წინ) და რიმით (ხმოვანი და მომდევნო თანხმოვნები მარცვალში) მანიპულირება. მაგალითად, მოსწავლეს, რომელსაც შეუძლია წაკითხოს cat, შეუძლია შეცვალოს მარცვლის მისადგომი ონსეტი /s/-თი სიტყვა sat-ის კითხვისას. ბგერების ასოთა ჯგუფთან დაკავშირების უნარს, მაგალითად, როგორცაა რიმი /at/, ხელს უწყობს უფრო სწრაფ და ეფექტურ სიტყვათა იდენტიფიცირების პროცესს.

კონტექსტუალური გასაღებების გამოყენება სიტყვათა იდენტიფიცირებისათვის ეყრდნობა სინტაქსურ და სემანტიკურ გასაღებებს გარემომცველ სიტყვებში, ფრაზებში ან წინადადებებში, ისევე, როგორც სურათებსა და სხვა გამოსახულებებში. სემანტიკური გასაღებები ეხმარება მკითხველებს, ივარაუდონ უცნობი სიტყვა მეტყველების რა ნაწილია სიტყვათა რიგის მიხედვით. სემანტიკური გასაღები ეხმარება მკითხველს სიტყვების ტექსტის ან წინადადების თემასთან დაკავშირებაში. მაგალითად, როცა ვკითხულობთ ტექსტს ძაღლების შესახებ, ჩნდება მოლოდინი, რომ ტექსტი შეიძლება შეიცავდეს სიტყვებს ყეფა და ქიცინი. სურათები და ილუსტრაციები გვეხმარება სიტყვების იდენტიფიცირებაში, თუკი გვაქვს ძლიერი ვიზუალური მხარდამჭერა უცნობი სიტყვებისათვის. ტიპოგრაფია, როგორებიცაა, მაგალითად, გამუქებული, დიდი ან დახრილი ასოები, შესაძლებელია გამოდგეს კონტექსტუალურ გასაღებად, რომელთა გამოყენებაც მოსწავლეებს შეუძლიათ სიტყვათა საიდენტიფიკაციოდ, რაც შესაძლოა ძალიან მნიშვნელოვანიც კი იყოს (ტიპოგრაფიის შესახებ საუბარია მე-5 თავში, კითხვისა და მოსმენის გაგება/გააზრება).

კონტექსტუალური გასაღებები მკითხველს საშუალებას აძლევს, ორმაგად შეამოწმოს მის მიერვე იდენტიფიცირებული სიტყვები. მაგალითად, როდესაც მკითხველი პირველად ხვდება სიტყვა scratch-ს, მან დაკვირვებით უნდა წაკითხოს ასოები, გამოიყენოს, რაც იცის ფონიკის და სიტყვის ნაწილების შესახებ და დარწმუნდეს, რომ სიტყვის წარმოთქმა შეესაბამება ასოებს. მკითხველმა ყოველთვის ორჯერ უნდა გადაამოწმოს, რათა დარწმუნდეს, რომ სიტყვა აზრის შეიცავს სინტაქსური და სემანტიკური თვალსაზრისით. კუნინგემმა (1995) შემოგვთავაზა აქტივობების მაგალითები, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება ორმაგად შემოწმების აქტივობების შექმნასა და გაფართოებაში.

დამწყები მკითხველი მყისიერად ძალიან ცოტა სიტყვას ამოიცნობს. თუმცა, ერთი და იმავე სიტყვების მრავალჯერ (განმეორებითად) წარდგენით მყისიერად ამოცნობილი ლექსიკის რაოდენობა იზრდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ თანდათანობით მკითხველები სწავლობენ, ამოიცნონ ის სიტყვები, რომლებიც ძალიან ხშირად გვხვდება ტექსტებში. მარტივი 100 სიტყვა ქმნის 50%-ს იმ სიტყვებისა, რომელთა წაკითხვაც მკითხველებს (მათ შორის ზრდასრულებს) უწევთ. ყველაზე მაღალი სიხშირით გამოყენებული სიტყვების მაგალითებია: The, and, to, you, he, it და said. მზარდ მკითხველებს სჭირდებათ მაღალი სიხშირით გამოყენებული სიტყვების მყისიერად ამოცნობის სწავლა, რადგან ბევრი მათგანი არ არის ფონეტიკურად რეგულარული (წესიერი) (Pikulski, 1997). ფონიკის განზოგადებაზე დაყრდნობით, to უნდა გაირითმოს გი-სთან, said – paid-თან და ა.შ. მოსწავლეებს სიტყვების ამოცნობის უნარი შეიძლება განუვითარდეთ მასწავლებლის მიერ სიტყვებზე მითითებით, თამაშის მსგავსი მრავალგვარი აქტივობით და ამ სიტყვების

წერით. თუმცა, როგორც ჩანს, სიტყვების, განსაკუთრებით მაღალი სიხშირით გამოყენებული სიტყვების, დაუყოვნებელი ამოცნობის უნარი საუკეთესოდ ვითარდება, როცა შემსწავლელი კითხულობს დიდი რაოდენობის ტექსტებს, განსაკუთრებით ისეთებს, რომლებიც შედარებით ადვილია მკითხველებისათვის (კუნინგემი, 1995).

ფონიკისა და სიტყვათა იდენტიფიცირების ამოცანები

ფონიკისა და სიტყვათა იდენტიფიცირების უნარების განსავითარებლად მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ შემდეგი:

- თანხოვანი ასოების სახელებისა და იმ ბგერების იდენტიფიცირება, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ, რბილი და მაგარი c-სა და g-ს ჩათვლით;
- ხმოვნების სახელებისა და იმ მოკლე და გრძელი ბგერების იდენტიფიცირება, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ;
- თანხოვანთა დიაგრაფების ბგერებისა და იმ ასოების იდენტიფიცირება, რომლებიც მათ გამოხატავს;
- ხმოვანთა დიაგრაფების ბგერებისა და იმ ასოების იდენტიფიცირება, რომლებიც მათ გამოხატავს;
- დიფთონგების შესაბამისი ბგერებისა და იმ ასოების იდენტიფიცირება, რომლებიც დიფთონგებს გამოხატავს;
- ბგერების გაერთიანება ფონეტიკურად წესიერი სიტყვების დეკოდირებისათვის;
- ფონიკისა და სიტყვების ცოდნის გამოყენება ფონეტიკურად არაწესიერი სიტყვების დეკოდირებისათვის;
- მაღალი სიხშირით გამოყენებული სიტყვების ავტომატურად ამოცნობა;
- გრაფიკული, სინტაქსური და სემანტიკური მინიშნებებით საკითხავ ტექსტებში ორმაგად გადამოწმებით სიტყვების მნიშვნელობის ამოცნობა;
- სიტყვების დაყოფა ფონემებად სიტყვის მართლწერის წესებით მიღებული ფორმით დასაწერად;
- მაღალი სიხშირით გამოყენებული სიტყვების წერა მართლწერის წესებით მიღებული ფორმით;
- თავისებური მართლწერის სიტყვებისა და ომონიმების წერა სწორად;
- არასწორად დაწერილი სიტყვების იდენტიფიცირება;
- წერის პროცესში იმ სიტყვების შემოხაზვა, რომლებშიც ორთოგრაფიული შეცდომებია დაშვებული და მოგვიანებით ამ შეცდომის გამოსასწორებლად რესურსების მოძიება.

ემერჯენტული ტექსტის ცნების გაგებისათვის

ემერჯენტული წიგნიერების ერთ-ერთი ასპექტია ზოგადი წარმოდგენა, თუ როგორ ფუნქციონირებს ინგლისური წერილობითი ენა და პრინციპები, რომლებიც საჭიროა ტექსტის წასაკითხად და დასაწერად. თუმცა ზოგიერთი ეს პრინციპი შეიცავს საბაზისო ფონიკის, ისინი უფრო ფართო კონცეპტებია, რომლებიც წიგნებსა და სხვა ტიპის ტექსტებთან ურთიერთობისას ვითარდება. კლეიმ (Clay (1997) შემოიღო ტერმინები ნაბეჭდი ტექსტების შესახებ, რათა ემერჯენტული მკითხველი შეეფასებინა და ესწავლებინა მისთვის ისეთი ცნებები, რომ მაგალითად, ნაბეჭდი ტექსტი შეიცავს გზავნილს (შეტყობინებას, ინფორმაციას), მიმართულებას და ხაზიდან ხაზზე გადასვლა კითხვისას წარმოთქმული და დაწერილი სიტყვების შესაბამისობა, ასოებისა და სიტყვების იდენტიფიცირება, პუნქტუაციის იდენტიფიცირება და ასოებისა და სიტყვების გაგების უნარ. მოსწავლეებს შეუძლიათ ბევრი ამ ტექნიკის დემონსტრირება მანამ, სანამ კითხვას ისწავლიან.

ამოცანები ემერჯენტული ტექსტის კონცეპტებისათვის

ემერჯენტული ტექსტის კონცეპტების განსავითარებლად წიგნის გამოყენებით მოსწავლეები შეძლებენ აკეთებენ შემდეგს:

- როდესაც ეკითხებიან, საიდან უნდა დაიწყოთ კითხვა, დემონსტრირებას უკეთებენ, რომ ბეჭდური ტექსტები შეიცავს გზავნილს ტექსტზე და არა სურათზე მითითებით;

- როდესაც მასწავლებელი კითხულობს, აჩვენებენ კითხვის მიმართულებას და ახალ ხაზზე დაბრუნებას თითის მოძრაობით (მიყოლებით) ნაბეჭდ სტრიქონზე მარცხნიდან მარჯვნივ და მარცხენა მხარეს ბრუნდებიან ახალ ხაზზე.
- წარმოაჩენენ წარმოთქმული და ნებეჭდი სიტყვების შესაბამისობას შემდეგნაირად: მიუთითებენ თითოეულ სიტყვას წინადადებაში, როდესაც მასწავლებელი კითხულობს მათ;
- ასოებისა და სიტყვების იდენტიფიცირებას დემონსტრირებას აკეთებენ მოცემული დიდი და პატარა ასოებისა და სიტყვების ჩვენებით წინადადების წაკითხვის შემდეგ;
- წარმოაჩენენ პუნქტუაციური ნიშნების ცოდნას შემდეგნაირად: აჩვენებენ თითოეულ მათგანს და განსაზღვრავენ მათ ფუნქციას;
- წარმოაჩენენ ასოს კონცეპტს შემდეგი გზით: მხოლოდ ერთი ასოს იდენტიფიცირება, ორი ასოს იდენტიფიცირება, პირველი და ბოლო ასოების იდენტიფიცირება;
- დემონსტრირებას უკეთებენ სიტყვის ცნებას მხოლოდ ერთი სიტყვის, ორი სიტყვის, პირველი და ბოლო სიტყვების დემონსტრირებით.

ფონიკისა და ემერჯენტული ტექსტის კონცეპტთა შეფასება

ასოებისა და ბგერების იდენტიფიცირების შეფასება

მიზანი: ასოებისა და ბგერების იდენტიფიცირების შეფასება (იხ. დანართი. გვ. 235) ინდივიდუალური შეფასებაა, რომელიც იძლევა ინფორმაციას მოსწავლის უნარის შესახებ, იდენტიფიცირება გაუკეთოს ყველა დიდ და პატარა ასოს და ბგერას, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ თანმიმდევრობის, რიგის დაუცველად. მისი გამოყენება შეიძლება ყველა მე-2 კლასის მოსწავლესთან და მათთან, ვინც დარწმუნებულები არ არიან ასოების სახელებსა და მათ შესაბამის ბგერებში. ასოები a და g წარმოდგენილია 2 განსხვავებული, მაგრამ ფართოდ გამოყენებული ფონტით (შრიფტით). ამ შეფასების მოდელად გამოყენებულია კლეის ასოების იდენტიფიცირების ტესტი (Clay's (1993) Letter Identification Test).

პროცესის აღწერა: მიეცით მოსწავლეებს ანბანის ცხრილი და მოათავსეთ პატარა ბარათი პირველი რიგის ქვემოთ. უთხარით: „მე მინდა, რომ მითხრათ თითოეული ასოს სახელი და ბგერა ან ბგერები, რომლებიც მათ შეესაბამება.“ მიანიშნეთ პირველ ასოზე და ჰკითხეთ - „ეს რა ასოა“? ჩაინიშნეთ მოსწავლეების პასუხები პასუხების ფურცელზე. ჰკითხეთ - „იცი, რა ბგერას შეესაბამება?“. თუ ასოს ახლავს ასტერიქსი (*), ერთზე მეტი ბგერა შეესაბამება და ჰკითხეთ - „იცი, კიდეც რა ბგერების შეესაბამება?“. თუ მოსწავლემ არ იცის ბგერა, ჰკითხეთ: „იცი, რომელიმე სიტყვა, რომელიც ამ ასოთი იწყება?“ უზიდავთ მოსწავლეებს, გაიხსენონ მოკლე და გრძელი ხმოვნები და ძლიერი და რბილი c და g და y-ის მიერ გადმოცემული თანხმოვანი და ხმოვანი ბგერები. დაწერეთ პლუს ნიშანი (+) ყოველ სწორ პასუხზე და მინუს ნიშანი (-) – არასწორზე. ჩაინიშნეთ თითოეული არასწორი პასუხი. თუ მოსწავლე ამბობს „არ ვიცი“, დაწერეთ აჰ და დააკვირდით, შეეცდება თუ არა რამის გაკეთებას. თუმცა მოსწავლეები არ ფასდებიან სიტყვების ცოდნაში, ამ შეფასების ფარგლებში ინსტრუქციების მიცემისას მათ მიეწოდებათ ნაცნობ სიტყვებსა და პირველ ბგერებს შორის კავშირი.

განახორციელეთ ნაცნობი და უცნობი დიდი და პატარა ასოებისა და ბგერების იდენტიფიცირება. თუ მოსწავლემ არ იცის ასოს შესაბამისი ბგერა, მაგრამ იცის სიტყვა, რომელიც ამ ბგერაზე იწყება, ჩამოთვალეთ სიტყვები, რომლებიც მისთვის ნაცნობია. ეს იქნება პირველი ბგერები, რომლებსაც გამოიყენებს უცნობი ასოს სწავლის პროცესში. შეანაცვლეთ მსგავსი ჟღერადობის ფონემები და მსგავსი დაწერილობის ასოები.

მაგალითი: ასოებისა და ბგერების იდენტიფიცირება, 1-ლი კლასი

	ასო	ბგერა	სიტყვა		ასო	ბგერა	სიტყვა
B	+	+		b	d, s-c +	+	
O*	+	/uː/, აჰ	აჰ	o	+	* /uː/, /o/-	OK +
S	+	+		s	+	+	
A*	+	/aː/, აჰ -	apple +	a*	აჰ, s-c +	/aː/, /aː/ +	
W	+	/duː/-	აჰ	w	+	/duː/-	done -
Z	+	/zeː/-	zebra +	z	t, s-c +	/t/, s-c +	zebra +
F	+	/eː/-	fish +	f	+	/eːf/-	fish +
H	+	/aː/-	აჰ	h	+	/aː ch/-	აჰ

K	+	/kʊ/ +	Katelyn	k	+	/kʊ/+	
J	G	/jʊ/ +	აჰ	j	g	/gʊ/-	go-
U*	+	/yʊ/-	you	u*	+	/yʊ/-	you-
				a*	+	/aʃ/, /a / +	
C*	+	/k/, აჰ -	cat +	c*	+	/k/, აჰ-	me, Cindy +
Y*	აჰ	/wʊ/ აჰ -	no	y*	+	/wʊ/, აჰ-	აჰ
L	+	/lʊ/-	Laura +	l	1-	/wʊ/ აჰ-	-
Q	+	/kʊ-	აჰ	q	p	/p/	აჰ
M	+	+		m	+	+	
D	+	/dʊ/ +		d	b	/b/	bear
N	+	+		n	+	+	
X	+	/eʃ/-	x-ray	x	+	/eʃ/-	x-ray
I*	+	/aʃ/, /eʃ/ -	no	i*	+	-	აჰ
P	+	+	Peter	p	+	+	
E*	+	/iʃ/, აჰ -	Elizabeth	e*	+	/iʃ/, აჰ -	აჰ
G*	+	/g/ +,-	go	g*	+	/g/ +,-	go
R	+ speech?	/w/ speech?	wabbit	r	+ speech?	/w/speech?	wabbit
V	w, s-c +	აჰ -	აჰ	v	+	აჰ -	აჰ
T	+	+		t	f	/f/	fish
				g*	აჰ, 8 -	a -	აჰ
საერთო ქულა 24/26			საერთო ქულა 22/28	ორივე	6	6	/26

ანალიზი:

- ასოები: ამ მოსწავლემ იცის დიდი ასოების უმრავლესობა, გარდა J-სი და Y-სი. მას l და g ციფრები ეგონა; აერია g და j, b და d, f და t. მოსწავლემ თავად გაასწორა b, a და z. მან შეძლო a-ს ორივე ფონტის იდენტიფიცირება;
- ბგერები: მოსწავლემ იცის 6 დიდი და პატარა ასო შესატყვისი ბგერებით;
- უცნობი თანხმოვანი ბგერები: /c/ და /g/ (რბილი ბგერები), /w/, /z/, /f/, /h/, /j/, /y/, /l/. მოსწავლე ხშირად იწყებს ასოს დასაწყისი ბგერით და ამატებს a /_ / -ს დაგრძელების მიზნით. შეცდომა მხოლოდ //თან აღვნიშნე, რადგან სრულიად განსხვავებული ბგერა მიუთითა;
- უცნობი ხმოვანი ბგერები: /e/, /i/, /o/, /u/, /y/. მოსწავლემ შეძლო, იდენტიფიცირება გაეკეთებინა პატარა ასოების შესაბამისი ბგერებისათვის, მაგრამ არა დიდი ასოებისათვის;
- ნაცნობი სიტყვები უცნობი ასოებისათვის: a, z, f, c, l, e, x-ray-ში გამოყენებულია ასო, მაგრამ არა ბგერა.

ინსტრუქცია: დაიწყეთ a, z, f, c და l-ის შესაბამისი ბგერები, რადგან მოსწავლემ იცის სიტყვები, რომლებშიც ეს ბგერებია წარმოდგენილი. ამის შემდეგ აუხსენით ასოების სახელები, გარდა გრძელი ხმოვნებისა. ყოველთვის ასოს სახელის შესაბამისი ბგერით ნუ დაიწყებთ. აუცილებლად ასწავლეთ ბგერები კონტექსტში და დაეხმარეთ შექმნან საკვანძო სიტყვები თითოეული ბგერისათვის.

ფონიკის უნარები მე-3 კლასელებისათვის

მიზანი: მე და Quail Run Elementary სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლებმა შევიმუშავეთ ფონეტიკური ელემენტების ეს საკონტროლო სია დაწყებითი სკოლის ყველა კლასისათვის, ფონიკის უნარები მე-3 კლასელებისათვის (Phonics Skills for Grades K-3; იხ. დანართი, გვ. 236). **პროცესის აღწერა:** მისი გამოყენება შესაძლებელია მიმდინარე ანგარიშისას როგორც მასწავლებლის ინსტრუქციების აღსაწესად, ისე მოსწავლეთა მიერ ფონემების პროცესის შესასწავლად კლასისათვის განკუთვნილი (შესაბამისი) დონის მიხედვით. მარტივად რომ ვთქვათ, მოწმდება თითოეულ ფონეტიკურ ელემენტს როგორ ასწავლიან და როგორ სწავლობენ.

გაანალიზეთ ფონეტიკური ელემენტები, რომელთა ცოდნის განმტკიცებაც შესაძლებელია და ისინი, რომლებიც ტექსტების კითხვისა და წერის პროცესში უნდა ისწავლებოდეს. მოსწავლეების დაჯგუფება შეიძლება იმ ფონეტიკური ელემენტების მიხედვით, რომლებზეც მუშაობაც მათ სჭირდებათ: თანხმოვნები, გრძელი ხმოვნები მუნჯი e-თი, მოკლე ხმოვნები, თანხმოვნების დიგრაფიები და ა. შ.

ინდივიდუალური ფონიკის რეზიუმე

მიზანი: როდესაც ყველა შეფასების პროცესი დასრულდება, ინდივიდუალური ფონიკის რეზიუმეს (იხ. დანართი, გვ. 234; Individual Phonics Summary) გამოყენება შეიძლება გამოტოვებული ფონეტიკური ელემენტების აღსაწერად კითხვის და წერის შეფასებებიდან. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ეს ფონემები უნდა ისწავლებოდეს კითხვისა და წერის პროცესში და არა იზოლირებულად.

პროცესის აღწერა: წიგნიერების შეფასების დასრულების შემდეგ ყვითლად მონიშნეთ კითხვის დროს გამოტოვებული ასოები. ლურჯად მონიშნეთ წერის დროს გამოტოვებული გრაფემები, ხოლო მწვანედ - როგორც წერის, ისე კითხვის პროცესში გამოტოვებულები. წრით მონიშნეთ ელემენტები, რომელთა უშეცდომოდ წაკითხვა და დაწერაც მოსწავლემ შეძლო.

იდენტიფიცირება გაუკეთეთ ფონეტიკურ ელემენტებს, რომელთა წაკითხვა ან დაწერაც მოსწავლეებს შეუძლიათ. ხარვეზების შემთხვევაში განსაზღვრეთ, ხომ არ არსებობს ვიზუალური ან აუდიალური მსგავსებები. დაბოლოს, განსაზღვრეთ, რა მსგავსებებია გამოტოვებულ ელემენტებს შორის წაკითხულსა და დაწერილს შორის. შეარჩიეთ ფონეტიკური სტრატეგიები ამ ელემენტების სწავლის პროცესის მხარდასაჭერად და როდესაც ეს შესაძლებელია, დააკავშირეთ ტექსტთან.

ემერჯენტული ტექსტის ცნებების შეფასება

მიზანი: 25-კითხვიანი შეფასება (იხ. დანართი; გვ. 238) გვამღევეს ინფორმაციას ემერჯენტული ტექსტის ისეთი ცნებების შესახებ, როგორებიცაა მიმართულება, სიტყვისა და მისი ნაბეჭდი ფორმის დაკავშირება; ასოების, სიტყვებისა და პუნქტუაციის ცნებები კონტექსტების მიხედვით. ეს შეფასება ეყრდნობა კლეის (Clay; 1993) კონცეფციას ნაბეჭდ ტექსტებზე დაკვირების შესახებ. კლეის შეფასებისაგან განსხვავებით, ეს უკანასკნელი არ მოითხოვს სპეციალურად გამოცემულ ტექსტებს. შეფასება გამოსადეგია მოსწავლეთათვის, რომლებიც კითხულობენ პირველი კლასის შესაბამის დონეზე ან კიდევ უფრო ცუდად.

პროცესის აღწერა: შეარჩიეთ ნახატებიანი წიგნი, რომლის თითოეულ გვერდზე წარმოდგენილია ნახატები და 2-3 ხაზი ტექსტი. 1-7 შეკითხვებისათვის ჯერ შეკითხვები დასვით, ხოლო შემდეგ წაიკითხეთ. 8-25 შეკითხვებისათვის წაიკითხეთ თითოეული გვერდი და მხოლოდ ამის შემდეგ დასვით შეკითხვები. 15-17 შეკითხვებისათვის შეავსეთ გამოტოვებული ადგილები. ჩაიწერეთ მოსწავლის პასუხები და დაზვიანებული ნიშანი (+), სწორი პასუხის შემთხვევაში და მინუს ნიშანი (-) არასწორი პასუხის შემთხვევაში. თუ რომელიმე ცნება არ გვხვდება, დაწერეთ ა/გ და შეცვალეთ წილადის მნიშვნელოვანი კითხვების საერთო რაოდენობის

იმის შესაფასებლად, თუ რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა ემერჯენტული ტექსტის ცნებები, პასუხი გაეცით შემდეგ კითხვებს: იციან თუ არა მოსწავლეებმა კითხვის (წერის) მიმართულება, სიტყვისა და მისი ნაბეჭდი ფორმის შესაბამისობა და ახალ ხაზზე გადასვლა (1, 3- 10კითხვები). იცის თუ არა მოსწავლემ პუნქტუაციის ნიშნები? (11-14 კითხვები). შეუძლია თუ არა მოსწავლეს სიტყვებისა და ასოების კონტექსტში იდენტიფიცირება და იცის თუ არა განსხვავებები? (15-24 კითხვები). ესმის თუ არა მოსწავლეს, რომ კითხვა შემეცნებითი პროცესია? (1-ლი და 25-ე კითხვები). სწავლების პროცესში გამოიყენეთ ნაცნობი ტექსტი ნასწავლის განმტკიცების/გამძიერების მიზნით, ხოლო უცნობი ტექსტები - სასწავლებლად.

მაგალითი: ემერჯენტული ტექსტის ცნებების შეფასება

სათაური: ხუთი პატარა იხვი; ავტორი: რაფი (1989)

რას აკეთებთ?	რას ამბობთ?	პასუხი
გიჭირავთ წიგნი გარსა-კრის მხრიდან (წინა და უკანა გვერდების შემაერთებელი ნაწილი)	1. რომელია წიგნის წინა ნაწილი?	1. აჩვენებს +
აჩვენეთ ყდა და წაიკითხეთ წიგნის სათაური და ავტორი. წაიკითხეთ წინასიტყვაობა	2. როგორ გგონია, რის შესახებ უნდა იყოს ეს წიგნი? მე წავიკითხავ და შენ შეგიძლია დამეხმარო	2. იხვის +
იპოვეთ პირველი გვერდი სურათებითა და ნაბეჭდი ტექსტით. (წაიკითხეთ ნებისმიერი ტექსტი წინა	3. საიდან ვიწყებ კითხვას? წაიკითხეთ გვერდის ნომერი	3. მიუთითა სიტყვები +

გვერდებიდან, რომლებზეც არ არის ნახატები და შეწყვიტეთ კითხვა)		
დასვით შეკითხვები გვერდზე, რომელზეც არის მინიმუმ 2 ნახტადი ხაზი,	4. მაჩვენე, საიდან უნდა დავიწყო? 5. რა მიმართულებით უნდა ვიკითხო? 6. შემდეგ რა უნდა წავიკითხო? 7. მიუთითე თითოეული სიტყვა, რომლებსაც მე წავიკითხავ	4. მიუთითა 1-ლი სიტყვა + 5. მაჩვენა მარცხნიდან მარჯვნივ მიმართულება + 6. გადაფურცლა გვერდი - 7. ვერ დააკავშირა სიტყვები და წაკითხული -
შემდეგ გვერდზე წავიკითხეთ	8. მაჩვენე პირველი სიტყვა ამ გვერდზე 9. მაჩვენე ბოლო სიტყვა ამ გვერდზე 10. სად არის ნახატის ძირი/ბოლო?	8. მიუთითა 1-ლი სიტყვა + 9. მიუთითა ხაზის ბოლო სიტყვა - 10. აჩვენა ნახატის ძირი/ბოლო +
იკითხეთ მანამ, სანამ არ შეგხვდებათ წერტილი, მძიმე, კითხვის ნიშანი და ბრჭყალები და დაუსვით შეკითხვები	11. რისთვის გამოიყენება (.)? 12. რისთვის გამოიყენება (,)? 13. რისთვის გამოიყენება (?)? 14. რისთვის გამოიყენება („“)?	11. ბოლოში + 12. სიტყვისთვის - 13. კითხვებისათვის + 14. 2 სიტყვისათვის -
იპოვეთ ორი სიტყვა, რომლებიც ერთსა და იმავე გვერდზე გვხვდება დიდი ასოთი დაწერილიც და პატარა ასოთიც. აჩვენეთ დიდი ასოები და დასვით შეკითხვები...	15. შეგიძლია იპოვო იგივე, ოღონდ პატარა ასო? აჩვენეთ (B) 16. შეგიძლია იპოვო იგივე, ოღონდ დიდი ასო? აჩვენეთ (f)	15. უთითებს d-ს - 16. უთითებს F-ს +
იკითხეთ მანამ, სანამ არ იპოვით გვერდს, რომელზეც ორი სიტყვა იწყება ერთი და იმავე პატარა ასოთი. შეარჩიეთ მეორე	17. შეგიძლია იპოვო <u>one</u> ?	17. მიუთითებს out-ს -
სასურველია იპოვოთ გვერდი, რომელზეც მხოლოდ ერთი ნახტადი ხაზია ან დაფარეთ სხვა ხაზები. წავიკითხეთ გვერდი. მიეცით მოსწავლეს ორი ინდექსის ბარათი და აჩვენეთ, როგორ უნდა მიიტანოთ ერთმანეთთან, როგორც ფარდა.	18. მიიტანეთ ერთმანეთთან ბარათები მანამ, სანამ მხოლოდ ერთი ასოს დანახვას არ შეძლებთ. 19. ახლა მაჩვენეთ ორი ასო 20. მაჩვენეთ მხოლოდ ერთი სიტყვა 21. ახლა მაჩვენეთ ორი სიტყვა 22. მაჩვენე სიტყვის პირველი ასო 23. მაჩვენე სიტყვის ბოლო ასო 24. მაჩვენე დიდი ასო	18.d + 19.du+ 20. duck + 21. duck said + 22. Q + 23. k + 24. M+
წავიკითხეთ წიგნის ბოლო	25. რის შესახებ იყო ეს წიგნი?	შეავსეთ ერთი წინადადებით ქულა: 17/25

ანალიზი: მოსწავლემ იცის ემერჯენტული ტექსტის ცნებების უმეტესობა. მან არ იცის ახალ ხაზზე გადასვლა და არასწორად აკეთებს სიტყვებისა და მათი დაბეჭდილი ვარიანტების დაკავშირებას. მან არ იცოდა, რისთვის გამოიყენება მძიმე და ბრჭყალები. მან ვერ განარჩია out და one, თუმცა ისინი ერთსა და იმავე პირველ ასოზე იწყებოდა.

ინსტრუქციები: განუმტკიცეთ ნაცნობი ცნებების ცოდნა და ასწავლეთ უცნობი ცნებები ტექსტის კითხვისას.

სიტყვათა იდენტიფიცირების შეფასება

ფრასის კითხვისთვის განკუთვნილი საყრდენი (მყისიერად შესამჩნევი) სიტყვები და დონეებად დაყოფილი კითხვისთვის განკუთვნილი სიტყვები

მიზანი: ფრასის საყრდენი (მყისიერად შესამჩნევი სიტყვები) (ფრასი, კრესი ფაუნტაკიდისი, 1993) შეიცავს 10 ჩამონათვალს, რომელთაგან თითოეული ინგლისურში 100 ყველაზე ხშირად გამოყენებულ სიტყვას მოიცავს სიხშირული გამოყენების მიხედვით. პირველი 100 სიტყვა შეადგენს წერილობითი ტექსტების ნახევარს. დონეებად დაყოფილი კითხვისათვის განკუთვნილი სიტყვების შეფასება (იხ. დანართი, გვ. 241-

243) შეიცავს შერჩეულ ნიმუშებს ფრანის ჩამონათვალის პირველი 300 სიტყვიდან (იხ. დანართი, გვ. 241-243) და სხვა ხშირად გამოყენებული, ფონეტიკურად წესიერი და არაწესიერი სიტყვებისაგან. არსებობს ცხრასაფეხურიანი ჩამონათვალი, რომელიც ეფუძნება გამოყენების სიხშირესა და დეკოდირების სირთულეს. ეს ჩამონათვალები განკუთვნილი მოსწავლეებისათვის დაწყებული წინასასკოლო ასაკიდან დამთავრებული მე-9-მე-12 კლასებით.

ეს ჩამონათვალები გამოიყენება ნაცნობი საყრდენი სიტყვების, დეკოდირების სტრატეგიებისათვის, ხარვეზების მოდელისა და ფონემა-გრაფემის ურთიერთობის საიდენტიფიკაციოდ. ფრანის საყრდენი სიტყვების მიწოდება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც მესამე კლასისათვის განკუთვნილ ან უფრო დაბალ დონეზე კითხულობენ, რათა დადგინდეს, თუ რამდენად იციან მათ მაღალი სიხშირით გამოყენებული სიტყვები. მისი გამოყენება შეიძლება საკონტროლო ფუნქციითაც ავთენტური კითხვის პროცესში იდენტიფიცირებული ნაცნობი და უცნობი სიტყვების გამოსავლენად. საფეხურებრივად კითხვისათვის განკუთვნილი სიტყვები შეიცავს მხოლოდ ტიპურ მაგალითს ფრანის საყრდენი სიტყვებიდან, თუმცა ეს არის სწრაფი სკრინინგის ინსტრუმენტი და იძლევა ინფორმაციას მოსწავლის სიტყვების კითხვის მიახლოებითი დონის შესახებ.

პროცესის აღწერა: დაგვირდებათ სიტყვების ორი ასლი _ ერთი, რომლიდანაც მოსწავლეები წაკითხავენ და მეორე მოსწავლეთა პასუხების ჩასაწერად. საფეხურებრივი კითხვისთვის განკუთვნილი სიტყვების შეფასებისათვის საჭიროა ცალკე სიტყვების ჩამონათვალი, რომელსაც მოსწავლეები წაკითხავენ. ფრანის საყრდენი სიტყვების ჩამონათვალი დაიწყეთ პირველივე სიტყვიდან. რაც შეეხება დონეებად დაყოფილი კითხვისათვის განკუთვნილი სიტყვების შეფასებას, შეარჩიეთ მოსწავლის ამჟამინდელ დონეზე მინიმუმ ორი დონით დაბალი, თუკი არ გაქვთ მონაცემები, რომ მოსწავლე უფრო დაბალ დონეზე შეიძლება იყოს. ხშირად სასარგებლოა წიგნის სანიშნის ან პატარა ბარათის შეთავაზება მოსწავლეთათვის, რომელსაც ისინი თავისთან იქონიებენ. ემერჯენტული მკითხველისათვის დაწერეთ ან დაბეჭდეთ ბარათზე სიტყვები და მიეცით თითო თითოდ. უთხარით მოსწავლეებს: „წაკითხეთ სვეტში თითოეული სიტყვა და და შემდეგ ბარათი გადააბრუნეთ. მე ვერ დაგეხმარებით. თუკი სიტყვა არ იცით, შეეცადეთ მიხვდეთ. მე ჩავიწერ ყველაფერს, რასაც თქვენ იტყვით.“ შეფასების ფურცელზე, თითოეული სიტყვის თავზე, დაწერეთ პლუს ნიშანი (+) სწორ პასუხზე და მინუს ნიშანი (-) არასწორი პასუხისათვის და ფონეტიკურად ჩაწერეთ თითოეული არასწორი პასუხი. მონიშნეთ ხმოვნები. დაწერეთ (/) ნიშანი, თუ მოსწავლე სიტყვების დეკოდირებებს შორის 2 წამზე მეტ პაუზას გააკეთებს. ეს გვეხმარება საყრდენი სიტყვებისა და დეკოდირებული ან თვითშესწორებული სიტყვების გამიჯვნაში. თუ სიტყვებს თვითონ მოსწავლე ასწორებს, ჩაინიშნეთ მისი ყოველი მცდელობა და დაწერეთ თ-შ (თვითშესწორებული). შეეცადეთ, დაასრულოთ ყველა სიტყვა ერთი საფეხურის ფარგლებში. გააგრძელეთ ფრუსტრაციული დონის მიღწევამდე. კითხვის პროცესის წარმართვისათვის გამოიყენეთ კოდირება და ქულების დაწერა ზეპირი კითხვის პროცესში (იხ. დანართი; გვ. 244). თუ მოსწავლის ქულათა რაოდენობა ჩამონათვალში ან სვეტში 70% ან მეტია, გადადით შემდეგ საფეხურზე. თუ ნაკლებია, დაუბრუნდით წინას, თუ უკვე შეფასებული არ არის.

ეს შეფასება გამოავლენს მაღალსიხშირულ სიტყვებს, რომელთა წაკითხვაც მოსწავლეს შეუძლია ავტომატურად (საყრდენი სიტყვები), ასევე, იმ სიტყვებს, რომელთა იდენტიფიცირებაც მოსწავლეს შეუძლიათ ფონიკისა და სიტყვების ცოდნის საშუალებით. გარდა ამისა, შესაძლოა გამოვლინდეს სტრატეგიების მოდელები, რომლებიც გამოიყენება დეკოდირების დროს და შეცდომების ტიპებიც. ფონიკის ინდივიდუალურ რეზიუმეში შესაძლოა აღირიცხოს, თუ როგორ იცის მოსწავლემ ფონემასა და გრაფემას შორის კავშირი (იხ. დანართი, გვ. 234). გვხვდება სამი სახის ქულა, რომლებსაც მოსწავლეები კითხვაში იღებენ: **ავტომატური ქულა; იდენტიფიცირებული ქულა და საერთო ქულა.** ავტომატური ქულა არის იმ სიტყვების პროცენტი, რომელთა წაკითხვაც მოსწავლეს შეუძლიათ მყისიერად, 1 წამის განმავლობაში. ამ სიტყვებს ხშირად საყრდენ (შესამჩნევ) სიტყვებს უწოდებენ. იდენტიფიცირებული ქულა არის პროცენტი იმ სიტყვებისა, რომელთა სწორად წაკითხვასაც მოსწავლეები ერთ წამზე მეტს ანდომებენ. მოიცავს გარკვეული ყოყმანის შემდეგ სწორად წაკითხულ სიტყვებს, დეკოდირებულ ბგერებს და არასწორ სიტყვებსაც. საერთო ქულა სწორად წაკითხული სიტყვების საერთო პროცენტია. რომელ დონეზეა მოსწავლე, შეიძლება დავადგინოთ სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობის მიხედვით: დამოუკიდებელი (18–20), ინსტრუქციული (14–17) და ფრუსტრაციული - (13 და ნაკლები). ანალიზისას გათვალისწინებული უნდა იყოს ნაცნობი სიტყვები, სტრატეგიები, რომლებიც მოსწავლემ გამოიყენა პრობლემის გადასაჭრელად და გრაფემებისა და ფონემების მიმართების ცოდნა. გარდა ამისა, იდენტიფიცირებული უნდა იყოს ფონეტიკური ელემენტების მოდელები ნაცნობ და უცნობ სიტყვებში.

მაგალითი: მე-6 კლასის მოსწავლე.

სიტყვების კითხვა, საფეხური 4 ავტომატური ქულები: 14/20 = 70%		არსებული დონე: ინსტრუქციული ქულათა საერთო ჯამი: 15/20 სიტყვა = 75%		
+ Been	+ difference	they've they're	+ beautiful	+ piece
+ pretty	know, თ-შ + knew	+ sign	+ brought	+ finally
+ trouble	+ learned	Unusual usually	Exit excited	When whether
+ half	Eight weight	+ whole	+ through	+ tomorrow
სიტყვების კითხვა, საფეხური 5 ავტომატური ქულები: 10/20 = 50%		არსებული დონე: ფრუსტრაციული ქულათა საერთო ჯამი: 11/20 სიტყვა = 55%		
+ heard	+ couldn't	Confused conclusion	+ library	+ environment
+ watched	+ sure	+ laughed	trouble თ-შ + terrible	/exkit/ excellent
/no-edge/ knowledge	+ experience	+ certain	+ athletic	+ difference
spread	high	problem	problem	+
separate	height	probably	opinion	picture

ანალიზი: სიტყვათა კითხვის ჩამონათვალის მესამე საფეხურზე მოსწავლე იყო დამოუკიდებელ დონეზე, ამდენად, მაგალითები დაიწყო მე-4 საფეხურის ჩამონათვალისა. მე-4 საფეხურზე მან ყველა სიტყვა სცადა და როდესაც არ იცოდა ესა თუ ის სიტყვა, უნაცვლებდა სხვა სიტყვას იმავე დასაწყისი ბგერით, რომლითაც ნაჩვენები სიტყვა იწყებოდა. მხოლოდ ორ შემთხვევაში ვერ შეძლო დასაწყისი ბგერების სწორად იდენტიფიცირება, მაგრამ სწორად წაიკითხა ბოლო ბგერები (his/this და weight/eight). ორ შემთხვევაში ის დაუბრუნდა სიტყვებს და ორივე შემთხვევაში მან წარმატებით მოახერხა სიტყვის დეკოდირება (know/knew და trouble/terrible).

როცა სიტყვების ჩამონათვალი გართულდა, მოსწავლემ დაიწყო მეტი სიტყვების შენაცვლება. ორ სიტყვაში მან შეანაცვლა შემოკლებული ნაწილი (we've/we're, they've/they're). მე-5 საფეხურის ჩამონათვალში მან დაიწყო სიტყვების შენაცვლება არარსებული სიტყვებით (acfused/athletic, exkit/excellent, no-edge/knowledge). დროდადრო ის ტოვებდა ან ანაცვლებდა სიტყვის შუა ბგერებს (onion/opinion). ამ შედეგების მიხედვით, მას ნაკლები პრობლემა აქვს სიტყვის საწყისი ბგერებთან დაკავშირებით, თუმცა თანამიმდევრული არ არის სიტყვის შუა და ბოლო ხმოვნებთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ დამატებითი მცდელობისას მან წარმატებით მოახერხა სიტყვების დეკოდირება, თუმცა ამ სტრატეგიას ხშირად არ მიმართავდა.

ინსტრუქციები: მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს დასაწყისი ბგერების შემდეგ არსებულ ბგერებზე და რეალურ სიტყვებზე. თუ თავდაპირველი მცდელობის შედეგად ნამდვილი სიტყვები არ მიიღება, მოსწავლემ კიდევ უნდა სცადოს.

ფრასის წერისათვის განკუთვნილი საყრდენი (მეისიერად შესამჩნევი) და წერისათვის განკუთვნილი დონეებად დაყოფილი სიტყვები

მიზანი: ფრასის საყრდენი სიტყვების (იხ. დანართი; გვ. 241-243) ან დონეებად დაყოფილი წერისათვის წერისათვის განკუთვნილი სიტყვების (იხ. დანართი; გვ. 245) გამოყენება შეიძლება მოსწავლისთვის ნაცნობი დაწერილი სიტყვების, წერის სტრატეგიების, შეცდომების მოდელისა და ფონემა-გრაფემის ურთიერთობის საიდენტიფიკაციოდ. ამ შეფასებით შესაძლებელია მოსწავლის კალიგრაფიის შეფასებაც. განსაკუთრებით ხშირად სთავაზობენ იმ მოსწავლეებს, რომლებიც წერენ მესამე კლასის შესაბამის ან უფრო დაბალ დონეზე იმის გასარკვევად, რამდენად იციან მაღალი სიხშირით გამოყენებული სიტყვები. მისი გამოყენება შესაძლებელია ავთენტური წერის პროცესში იდენტიფიცირებული ნაცნობი და უცნობი სიტყვების საკონტროლოდ (შესამოწმებლად). დონეებად დაყოფილი წერისათვის განკუთვნილი სიტყვები შეიცავს

მხოლოდ ტიპურ მაგალითს ფრასის საყრდენი სიტყვებიდან, თუმცა ეს არის სწრაფი სკრინინგის ინსტრუმენტი და იძლევა ინფორმაციას მოსწავლის სიტყვების წერის მიახლოებითი დონის შესახებ.

პროცესის აღწერა: შეარჩიეთ შესაფერისის ფურცელი (ხაზებიანი ან მათ გარეშე, მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით), რომელზეც მოსწავლე დაწერს. გააკვეციანეთ მოსწავლეს ფურცელი შუაზე ორი სვეტის მისაღებად. ფრასის საყრდენი სიტყვების შესაფასებლად დაიწყეთ პირველივე სიტყვიდან. რაც შეეხება დონეებად დაყოფილი წერისათვის განკუთვნილი სიტყვების შეფასებას, შეარჩიეთ მოსწავლის ამჟამინდელ დონეზე მინიმუმ ორი დონით დაბალი, თუკი არ გაქვთ მონაცემები, რომ მოსწავლე კიდევ უფრო დაბალ დონეზე შეიძლება იყოს. მათთვის, ვინც ემერჯენტულ დონეზე წერს, დაიწყეთ სკოლამდელი ჩამონათვალთ. სანამ კითხვას დაიწყებთ, სთხოვეთ მოსწავლეს, დაწეროს თავისი სახელი და გვარი და სხვა სიტყვები, რომლებიც იცის. წაიკითხეთ სიტყვები თითო-თითოდ. შეახსენეთ მოსწავლეს, რომ დაწეროს სიტყვაში შემავალი ბგერების შესაბამისი ასოები, მაშინაც კი, თუ არ არის დარწმუნებული, სწორად წერს თუ არა სიტყვას. იმ შემთხვევაში, თუ სიტყვა გავრცელებული ომონიმია, მინიშნება აქვს ასტერიქსით (*), მოსწავლეს შესთავაზეთ სიტყვის კონტექსტი. მას შემდეგ, რაც უკარნახებთ სიტყვებს, დაწერეთ პლუს ნიშანი (+) ყოველი სწორად დაწერილი სიტყვის თავზე. არასწორ პასუხზე დაწერეთ სიტყვის თავზე, რაც მოსწავლემ დაწერა. აუცილებლად მიუთითეთ შეზღუდულ ასოებზე (b/d, p/q) და დიდი ასოების შესახებ. ცდებს შორის დაწერეთ მძიმე და თ-შ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვითონ ასწორებს შეცდომას. თუ მოსწავლე აგროვებს 70%-ს ან მეტს ჩამონათვალში ან სვეტში, მიეცით შემდეგი ფურცელი, თუ არადა, წინა ჩამონათვალი, თუ უკვე შეფასებული არ გაქვთ.

მოსწავლის რეალური დონის განსასაზღვრად გამოიყენეთ სწორად დაწერილი სიტყვების რაოდენობა: დამოუკიდებელი (18–20 სიტყვა), ინსტრუქციული (14–17) და ფრუსტრაციული - (13 და ნაკლები). წერის განმავითარებელი საფეხურისათვის 3.1 ცხრილზე დაყრდნობით შეაფასეთ თითოეული სიტყვა. სიტყვების წერის შეფასებები იდენტიფიცირებას უკეთებს მაღალსიხშირულ სიტყვებს, რომლებიც მოსწავლემ ავტომატურად დაწერა, ისევე როგორც იმ სიტყვებს, რომელთა დაწერაც მოსწავლეს შეუძლია ფონიკისა და სიტყვების ცოდნის გამოყენებით. გარდა ამისა, შესაძლებელია სტრატეგიებისა და შეცდომების მოდელების იდენტიფიცირებაც. ინდივიდუალური ფონიკის რეზიუმეში შესაძლებელია, აგრეთვე, აღიწეროს, რამდენად იცის მოსწავლემ ფონემა-გრაფემის ურთიერთმიმართება (იხ. დანართი, გვ. 234). გამოიყენეთ ხელწერის რუბრიკები (იხ. თავი 6 და დანართი, გვ. 270) მოსწავლის ცოდნის მოსალოდნელ სტანდარტთან შესადარებლად გამოავლინეთ ძლიერი მხარეები და საჭიროებები ისეთ საფეხრებში, როგორებიცაა: ასოების მოხაზვა, მიმართულება, განლაგება (სივრცეში), ასოთა შეზღუდვა და დიდი ასოების წერა. შესაძლებელია მონაცემთა კორელირება წასაკითხ სიტყვებთან, ნაკარნახევთან და წერილობით ნიმუშთან. სწავლების პროცესში დაეხმარეთ მოსწავლეს, დაკავშიროს ნაცნობი და უცნობი სიტყვები ავთენტური კითხვისა და წერის კონტექსტში.

ცხრილი 3.1 წერის განმავითარებელი საფეხურის რუბრიკა				
კონვენციური	გარდამავალი	ფონეტიკური	ნახევრადფონეტიკური	წინაფონეტიკური
სიტყვა დაწერილია სწორად ან დაწერილ ტექსტში სიტყვების 90% სწორადაა დაწერილი	წერის მარტივ წესებს ზედმეტად (არასაჭიროდ) იყენებს. ყველა ბგერა გრაფიკულადაა წარმოდგენილი	ხმოვნების გამოყენება; მინიმუმ ბგერების ნახევარი წარმოდგენილია გრაფიკულად	ბგერებისა და სიმბოლოების ურთიერთმიმართება გარკვეულ დონეზე, ერთიდან ორ ასომდე შესაძლებელია ქმნიდეს სიტყვას	ასოები წარმოდგენილია, მაგრამ არა ბგერების შესაბამისად

მაგალითი: მე-3 კლასის მოსწავლე

საფეხური 2, სიტყვების წერა:		არსებული დონე: ინსტრუქციული		
15/20 = 75%				
განვითარების დონე: გარდამავალი				
+ very	+ before	+ right	+ goes	+ always
Arond around	Wercs works	+ great	There their	+ don't
+ where	You use	Wood would	+ who	+ your
+ wanted	+ first	+ please	+ talked	+ long

ანალიზი: ეს მოსწავლე პირველი საფეხურის სიტყვების წერის დამოუკიდებელ დონეზე იყო, ხოლო მე-2 საფეხურის ინსტრუქციულ დონეზე, შეცდომით დაწერა მხოლოდ 5 სიტყვა. ის წერის გარდამავალ დონეზეა მე-2 საფეხურზე, რადგან არასწორად დაწერილი სიტყვების გაგება შესაძლებელია და სიტყვაში შემავალი ყველა ბგერა წარმოდგენილია ასოებით. 2 სიტყვა ომონიმური იყო, ამიტომაც მივეცი წინადადებები, თუმცა მან ვერ შეძლო სწორად დაწერა (*wood/would, their/there*). ერთი ისმოდა მსგავსად (*you/your*). დანარჩენი ორი სიტყვის საწყისი და საბოლოო ბგერები სწორად დაწერა, მაგრამ შუა ბგერები მცდარია (*work/works, around/around*). თუმცა, მესამე საფეხურის ჩამონათვალში ის ფრუსტრაციულ და ფონეტიკურ და გარდამავალ განმავითარებელ წერას შორის იყო, მან დაწერა ასოების უმრავლესობა, ზოგი ასო არასწორი რიგით იყო წარმოდგენილი (*favorite/favorite*), (*friend/friend*), (*doesn't/doesn't*), and (*really/really*). ეს სიტყვები მოსწავლემ უნდა იცოდეს, ამიტომ ჩვენ ვიმუშავებთ, რომ მან ისწავლოს სწორად წერა. ზოგადად, ის ბგერებს წერს, თუმცა არასწორი ასოებით.

ინსტრუქცია: დააჯილდოვეთ (წახალისეთ) მოსწავლე, რომელიც თითქმის ყველა ბგერის შესაბამის ასოს წერს. აქცენტი გააკეთეთ ხმოვნებზე, მაგარ და რბილ /c/-სა და /g-ზე/ და ომონიმებზე. საშუალება მიეცით, შემოხაზონ საკუთარ ნაწერებში სიტყვები, რომლებიც არასწორად ეჩვენებათ. ივარჯიშეთ ამ სიტყვების გამოყენებით კითხვისა და წერის ტექნიკებში.

წინადადებების კარნახის შეფასება

მიზანი: ეს შეფასება (იხ. დანართი, გვ. 247) გამოიყენება წერის დროს გამოყენებული ლექსიკის იდენტიფიცირებისათვის, ისევე როგორც იმის გამოსავლენად, აქვს თუ არა მოსწავლეს იმის უნარი, დაყოს გაგონილი სიტყვები ბგერებად (ფონეტიკური სეგმენტაცია), დაწეროს ასო ან ასოები, რომლებიც ამ ბგერას გადმოსცემენ და სიტყვების ანალოგიების გამოყენება ახალი სიტყვების დასაწერად. ამ წინადადებების შესადგენად ფონოგრამების მაქსიმალური რაოდენობა გამოყენებული ძალიან მცირე რაოდენობით სიტყვებში (ტექსტი მოთხრობის სახითაა მოცემული). კარნახისათვის განკუთვნილი პირველი წინადადება კლეის ეკუთვნის (Clay (1986) და აფასებს 27 ფონემისა და გრაფემების ურთიერთობას. შემდეგი ორის ავტორი მე ვარ. ისინი აფასებენ 50 და 153 ფონემა-გრაფემას შესაბამისად.

პროცესის აღწერა: ტესტის შეთავაზება შეიძლება უფროსი ასაკის მოსწავლეებისათვის, თუ ის მე-5 საფეხურზე დაბლაა წერის დროს გამოყენებული სიტყვების შეფასების მიხედვით. შეარჩიეთ ხაზებიანი ფურცელი (სიგანე მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით). აქ წარმოდგენილია 3 წინადადება კარნახისათვის: ერთი წერის ემერჯენტულ დონეზე მყოფი, ერთი 1-ლი-მე-2 კლასის მოსწავლეებისათვის და დანარჩენი - მე-3- მე-5 კლასელთათვის.

მიეცით მოსწავლეს ხაზებიანი ფურცელი და უთხარით: „ვაპირებ მოთხრობა წაგიკითხო. შემდეგ მე დავბრუნდები დასაწყისში და წაგიკითხავ სიტყვებს თითო-თითოდ. ჩაწერე ყოველი სიტყვა, რომელსაც მე ვიტყვი. თუ არ იცი, როგორ იწერება სიტყვა, საკუთარ თავს უთხარი ეს სიტყვა და დაწერე იმ ბგერების შესაბამისი ასოები, რომლებსაც გაიგებ.“ მოსწავლემ სიტყვები უნდა დაწეროს წინადადების და არა ჩამონათვალის სახით.

კარნახში ქულა დაწერეთ შემდეგი პრინციპით: ერთი ქულა ყოველ სწორად დაწერილ ფონემა-გრაფემის წყვილში. დასვით (✓) ნიშანი ყოველ სწორად დაწერილი სიტყვის თავზე, (-) ნიშანი გამოტოვებული სიტყვებისათვის. არასწორად დაწერილი სიტყვების შემთხვევაში სიტყვის თავზე დაწერეთ მოსწავლის ვარიანტი. დათვალეთ ყოველი სწორად განსაზღვრული ფონემა-გრაფემის შესაბამისობა და შეიტანეთ ქულათა საერთო რაოდენობაში. მოსწავლის მიმდინარე დონე განსაზღვრეთ სწორად დაწერილი გრაფემების მიხედვით: დამოუკიდებელი (90%–100%), ინსტრუქციული (70%–89%), ფრუსტრაციული (69% და ნაკლები). თუ მოსწავლე აგროვებს ინსტრუქციული დონის ან უფრო მაღალ ქულებს, გადადით შემდეგი დონის ტესტზე. გააგრძელეთ ფრუსტრაციული დონის მიღწევამდე. წინადადების კარნახის ანალიზისათვის გამოავლინეთ სწორი და არასწორი გრაფემები/მართლწერის შეცდომები ინსტრუქციების დასაგეგმად. დაწერეთ დამატებითი ინფორმაცია პუნქტუაციისა და დიდი ასოების გამოყენების, კალიგრაფიისა და სიტყვებს შორის მანძილების დატოვების შესახებ. ფონიკის ინდივიდუალური რეზიუმეს (იხ. დანართი, გვ. 234) გამოყენება შეიძლება იმ ფონეტიკური ელემენტების გამოსავლენად, რომლებზეც მოსწავლეს მუშაობა სჭირდება.

მაგალითი ა: სკოლამდელ და დაწყებით კლასებში წინადადებების კარნახი; 1-ლი კლასის მოსწავლე

არსებული დონე: ფრუსტრაციული; ქულათა საერთო რაოდენობა: 16/41 გრაფემები = 39%

✓—f ✓—b — — D— G e t — — — — t — — — — ✓ —M G O— — 2— t — — — — m t — s — — L
I h a v e a b i g d o g a t h o m e . T o d a y I a m g o i n g t o t a k e h i m t o s c h o o l .

მაგალითი ბ: პირველი და მეორე კლასებში წინადადებების კარნახი; მე-3 კლასის მოსწავლე

არსებული დონე: ინსტრუქციული; ქულათა საერთო რაოდენობა: 44/50 გრაფემები = 88%

✓ ✓ ✓ ✓ ✓ ✓ ✓ ✓ ✓ ✓ ✓ ✓
T h e f a r m e r s a w t h e b l a c k a n d w h i t e t o y b o a t o u t o n t h e w a t e r .
w a t e r
✓ f l o t i d ✓ ✓ s h i n e s t i l e b i r g h ✓ ✓ (✓ ✓
I t f l o a t e d u n d e r t h e s h i n y s t e e l b r i d g e t o a s m a l l b e a c h .

ანალიზი ა: ამ მოსწავლემ სცადა ყველა სიტყვის დაწერა, გარდა სიტყვისა *home* და შემლო მინიმუმ ერთი ბგერის ჩაწერა სწორი ასოთი უმეტესობა მათგანისათვის. მან სწორად ჩაწერა ასოები *I, b, t, m, a* და *s*; მან სწორად დაწერა ბგერები, მაგრამ გამოიყენა დიდი ასოები *D, G* (ორჯერ), *M, O* და *L*. მან ჩაანაცვლა ასო *f* *v*-თი და რიცხვი 2 სიტყვით *to*.

ანალიზი ბ: მოსწავლემ შეძლო სწორად დაწერა ბგერების უმეტესობა. მან გაიაზრა, რომ ზეპირად წარმოთქმულ სიტყვას ან ბგერას შეესაბამება დაწერილი სიტყვა ან ასო. მან დიდი ასოები სწორად გამოიყენა და გაიხსენა პუნქტუაციის ყველა ნიშანი. მან სიტყვებსა და ასოებს შორის მანძილები სწორად გამოყო, ამდენად, ნაწერის წაკითხვა ადვილი იყო. მან დაწერა იმ ხუთი სიტყვის დასაწყისი ბგერები, რომლებიც გამოტოვა, მაგრამ შუა და ბოლო ბგერები არასწორი იყო. მას პრობლემები ჰქონდა /*th*/ და /*t*/, /*o*/ და /*oa*/, /*ē*/ და /*y*/, /*h*/ და /*ee*-სთან, ასევე /*br*/-სთან დაკავშირებით და /*gh*/ და /*dge*/ თანხმოვანთა დიაგრამისათვის (ემერჯენტული საფეხურის წერის შეფასების გამოყენება შეიძლება მოსწავლის წერის შესაფასებლად; იხ. დანართი, გვ. 248).

ინსტრუქცია ა მაგალითისათვის: მოსწავლე იწყებს ბგერებისა და ასოების კორელაციას, ამიტომ ის უნდა წავახალისოთ, თავის რვეულში ყოველდღიურად ჩაწეროს სიტყვები, რომლებიც, მინიმუმ, ორი ბგერისაგან შედგება.

ინსტრუქცია ბ მაგალითისათვის: დაიწყეთ სიტყვების შედგენა /*oa*/ და /*ee*/ ხმოვანთა დიაგრამებით (გამოიყენეთ ასოების კარტი). სხვა გაკვეთილზე შეადგინეთ სიტყვები: *y*-ზე დამთავრებული; რომელიც შეიცავს *t*/ და /*th*/ და /*br*/-ს, წარსული დროის *-ed* სამივე ბგერით (/*ed*/, /*d*/, /*t*/), და მოკლე გაკვეთილი /*dge*/-ს შემცველ სიტყვებზე.

ფონეტიკური სტრატეგიები: ასოებისა და ბგერების იდენტიფიკაცია

ფონეტიკური სტრატეგიები იყოფა ქვესაკითხებად: ასოებისა და ბგერების იდენტიფიცირების სტრატეგიები; ფონეტიკური ანალიზის სტრატეგიები, ანალოგია, სტრუქტურული და კონტექსტური სიგნალები, მართლწერისა და ემერჯენტული დონის ნაბეჭდი ტექსტების ცნებების სტრატეგიები.

ზოგადი მიზანი: ბგერებისა და მათი შესაბამისი ასოების სახელწოდებების იდენტიფიცირება. ყველა ეს სტრატეგია გამოსადეგია 1-ლი კლასებისათვის.

ძირითადი ასოებისა და ბგერების იდენტიფიცირება

პროცესის აღწერა: შეარჩიეთ ასოებისა და ბგერების კორელაცია სასწავლებლად მოსწავლის შეფასებაზე დაკვირვებასა და ფონეტიკურ უნარებზე დაყრდნობით (მე-3 კლასის მოსწავლისათვის) (იხ. დანართი, გვ. 236), რაც დაგეხმარებათ დაახლოებით განსაზღვროთ, რა დონის ფონეტიკური ელემენტები უნდა ასწავლოთ. ზოგადად, დაიწყეთ ხშირად გამოყენებული თანხმოვნებით და შემდეგ გადადით სხვა თანხმოვნებზე, ხმოვანთა და თანხმოვანთა დიაგრამებზე, სიტყვათა დაბოლოებებზე, რ-ს მიერ კონტროლირებულ ხმოვნებზე და სხვ. თუ ასოებისა და ბგერების შეფასება (იხ. დანართი, გვ. 229) ჩატარებულია, დაიწყეთ უცნობი ბგერებით, რომლებზე დაწყებული სიტყვებიც მოსწავლეებმა იციან. თითოეული ბგერის გაცნობისას მიუთითეთ მათზე და უთხარით ასოს სახელი, შემდეგ ბგერა ან ბგერები და წარმოთქვით გავრცელებული სიტყვები, რომლებიც

ამ ბგერაზე იწყება. კარგი იქნება, თუ ამ სიტყვების სურათებს ხშირად შესთავაზებთ. მოსწავლეებს წარმოათქმევინეთ ჯერ გუნდურად, თქვენთან ერთად, შემდეგ თქვენი მიზანმიმართულ და ბოლოს დამოუკიდებლად.

ანბანის შესასწავლად განკუთვნილი წიგნები

პროცესის აღწერა: ხმამაღლა წაკითხვით ანბანის შესასწავლად განკუთვნილი წიგნები, შემდეგ მოსწავლეებს წაკითხვინეთ და დაეხმარეთ მათ საკვანძო სიტყვების მოფიქრებაში, როდესაც თავად „შექმნიან“ ასოთა წიგნს.

ნაბეჭდი მასალა გარემოს შესახებ

პროცესის აღწერა: შეაგროვეთ საკვები პროდუქტების ეტიკეტები, საგზაო მოძრაობის ნიშნები, რომლებიც სათამაშოებს ახლავს, საგაზეთო რეკლამები და სხვა მსგავსი მასალა. გამოიყენეთ მოსწავლეებთან სამუშაოდ - დაახარისხეთ და გამოიყენეთ ასოებისა და სიტყვების იდენტიფიცირებისათვის.

საკვანძო სიტყვებიანი დასურათებული ანბანი

პროცესის აღწერა: გამოიყენეთ ან თავად შექმენით დასურათებული ანბანი, რომელზეც წარმოდგენილი იქნება ნაცნობი საგნების შესაბამისი სიტყვები თითოეული ასოსათვის. მოსწავლეები უნდა იცნობდნენ ამ საგნებს, თორემ ვერ გაიხსენებენ საკვანძო სიტყვებს. ხმამაღლა წაკითხვით თითოეული ასო და უთხარიტ “A- /aː/- apple,” და ა.შ.

ასოებისა და სიტყვების ძებნა

პროცესის აღწერა: წიგნის კითხვისას სთხოვეთ მოსწავლეებს, იპოვონ რომელიმე ერთი ასო ან ამ ასოზე დაწყებული სიტყვები. თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ წრიული ფორმის ჩარჩოები ასოებისათვის მუყაოთი, ცვილის ჯოხებით ან პლასტმასის სამაჯურები გამოიყენოთ, რათა თვალთახედვის არეში მოაქციოთ კონკრეტული ასოების ანბანის ცხრილში ან დიდ წიგნში.

ანბანის შესასწავლი წიგნი და პოსტერები

პროცესის აღწერა: მოსწავლეები ამზადებენ წიგნს ან პოსტერს, რომელთა თითო გვერდზე წარმოდგენილია ერთი ასო და იმ საგნების ფოტოები, რომლებიც ამ ასოზე იწყება. შეუძლიათ გამოიყენონ მისაწებელი ასოებიც.

ასოების კონტეინერი

პროცესის აღწერა: შეაგროვეთ ყავის ქილები ან ფეხსაცმელების კოლოფები, ანბანის თითოეულ ასოს დაუთმეთ თითო კოლოფი ან ქილა. დაწერეთ დიდი და პატარა ასოები ცალკე და მოათავსეთ რამდენიმე საგანი, რომელიც ამ ასოზე იწყება, კონტეინერში. კონტეინერები გამოიყენეთ ასოების წარდგინებისათვის. მოსწავლეებს შეუძლიათ მათი გამოყენება დახარისხებისა და ერთმანეთთან დაკავშირების აქტივობებისათვის.

შტამპი (ბეჭედი) ასოების გამოსახულებით

პროცესის აღწერა: მოსწავლეები იყენებენ ასოების შტამპებს (ბეჭდებს) და ბეჭდის დასასმელად განკუთვნილ მელნის დასასხმელ ღრუბლებს (კოლოფში მოთავსებულ) ასოების ფურცელზე ან ალბომში ჩასაბეჭდათ. შესაძლებელია, რომ მათ გამოიყენონ ასოების ფორმის ღრუბელი, რომლებსაც გააფერადებენ და ასოების ფორმის ორცხოხილას ფორმები, რომლებითაც მოამზადებენ ორცხოხილებს ან გამოჭრიან ამ ფორმებით სათამაშო ცომს.

ასოთა „ფილები“ Letter Tiles

პროცესის აღწერა: მოსწავლეს აძლევთ დიდი რაოდენობის ასოების ფილებს (კვადრატის ფორმის მუყაოზე დატანილი ასოები) . ისინი აწყვილებენ დიდ და შესაბამის პატარა ასოებს, ასევე, ალაგებენ ასოებს ანბანთრიგზე. ბოლოს კი იყენებენ ამ „ფილებს“ საკუთარი სახელებისა და ნაცნობის სიტყვების დასაწერად.

ასოების მოხაზვა (გაკეთება)

პროცესის აღწერა: მოსწავლეები ვარჯიშობენ ასოების გაკეთებაში (მოხაზვაში) ჩიბუხის საწმენდი ელასტიური ფერადი ჯოხებით, საპარსი კრემით, ცელოფანის ჩანთაში მოთავსებული ფერადი ქელეთი, ტროტუარზე საწერი ფერადი ცარცით, ჰაერში მოხაზვით, თეთრ დაფაზე წერით. მოსწავლემ უნდა წარმოთქვას ბგერა, რომელსაც თითოეული ასო შეესაბამება ასოებზე ვარჯიშის პროცესში.

აჩვენე და წარმოთქვი

პროცესის აღწერა: დაავალეთ მოსწავლეებს სახლში, მოათავსონ საგნები და სურათები, რომლებიც ერთ კონკრეტულ ბგერას ან ასოს შეესაბამება, ჩანთაში. ისინი უხსნიან ან მიანიშნებენ ხვა მოსწავლეებს, რა არის ჩანთაში და ისინი ცდილობენ გამოცნობას.

ფონეტიკური სტრატეგიები: ბგერითი ანალიზი

ზოგადი მიზანი: სიტყვების იდენტიფიცირება მისი ნაწილების მიხედვით. ემერჯენტული მკითხველებისათვის უკეთესია, თუ ყურადღებას მალალსიხშირულ სიტყვებსა და იმ სიტყვებზე გაამახვილებენ, რომლებსაც რეგულარულად ხვდებიან საკითხავ მასალებში. ქვემოთ მოცემული ზოგადი სტრატეგიები ხშირად ისწავლება მე-3 კლასში, თუმცა უფროსმა მოსწავლეებმაც შეიძლება გამოიყენონ იმ სიტყვებში გასარკვევად, რომელთა გაგებაც კონტექსტის მიხედვით არ შეუძლიათ.

კარგი მკითხველის სანიშნე

პროცესის აღწერა: მიეცით მოსწავლეს კარგი მკითხველის სანიშნე (იხ. დანართი; გვ. 251) და განიხილეთ თითოეული სტრატეგია, რომლებიც მათზეა ჩამოწერილი. დაეხმარეთ მოსწავლეებს, გამოიყენონ ეს სტრატეგიები უცნობი სიტყვების შემთხვევაში. მაგალითად, მათ შეიძლება წარმოთქვან პირველი სამი ბგერა და იფიქრონ მნიშვნელობაზე, რა არის სწორი. თუ ალოგიკური ან არარსებულ სიტყვა გამოდის, სთხოვეთ მოსწავლეებს, დაყონ სიტყვა ნაწილებად ან სცადონ სხვა ბგერის გამოყენება.

წიგნები სპეციფიკური ბგერითი ელემენტებით

პროცესის აღწერა: წიკითხვით პროგნოზირებადი ამბები, რომლებშიც რამდენჯერმეა გამოყენებული სიტყვები, რომლებიც შესწავლილი ასო-ბგერა შესაბამისობის მოდელს შეიცავს. სთხოვეთ მოსწავლეებს, იპოვონ ეს ასოები სიტყვებში. ისეთი წიგნები, როგორცაა, მაგალითად ვილდმისის „Cat on the Mat“ (Wildsmith, 1982) ბავშვებს სტიმულს აძლევს, საინტერესო ამბავი იკითხონ, რომელშიც განმეორებითადაა წარმოდგენილი წინადადების სტრუქტურა, რომელშიც -at-ის შემცველი სიტყვებია წარმოდგენილი (cat, sat, და mat). ფრთხილად იყავით ისეთი წიგნების მიმართ, რომლებიც საგანგებოდაა შექმნილი სპეციფიკური ფონეტიკური ელემენტების სასწავლებლად. მათი წაკითხვა ძნელია, რადგან მათში გადმოცემული ამბები არ არის ბუნებრივი, ისინი შეიცავს ერთი და იმავე მოდელის სიტყვების რიგს: “Nan can fan Dan.” ასეთი წიგნები ვერ დაეხმარება შემსწავლელებს.

სიტყვათა დეკოდირების მოდელირება

პროცესის აღწერა: დაიწყეთ პატარა, ნაცნობი სიტყვებით. დაიწყეთ ასოების კითხვა და წარმოთქმა მარცხნიდან მარჯვნივ, გააკეთეთ ბგერების შერწყმის (ბგერათშეერთების) მოდელირება, მეხსიერებაში სიტყვების მოძიება და სიტყვის წარმოთქმა.

სიტყვების შედგენა და დაშლა

პროცესის აღწერა: მოსწავლეები მაგნიტი-ასოებით ან ბარათებზე დაწერილი ასოებით ადგენენ სიტყვებს. უკეთესია, თუ ხმოვნები და თანხმოვნები განსხვავებული ფერისაა, ამგვარად მოსწავლეები გააცნობიერებენ, რომ ყოველი სიტყვა შეიცავს ხმოვან ბგერას. აურიეთ სიტყვის შემადგენელი ასოები და სთხოვეთ მოსწავლეებს, აღადგინონ სიტყვა. დაიწყეთ 2-3 ასოიანი სიტყვებით, რომლებშიც ერთ ბგერას ერთი ასო შეესაბამება და გადადით უფრო რთულ სიტყვებზე. მას შემდეგ, რაც რამდენიმე სიტყვას ისწავლიან, სთხოვეთ მოსწავლეებს, შეცვალონ დასაწყისი ან დასასრული ან ასოების განლაგება ახალი სიტყვის მისაღებად. დაავალეთ მოსწავლეებს, იპოვონ და წაკითხონ სიტყვა მოთხრობაში.

ბარათი გამოტოვებული ხმოვნით

პროცესის აღწერა: მოამზადეთ ბარათები, თითოზე თითო ხმოვნით. შემდეგ მოამზადეთ ბარათები, რომლებზეც მოთავსებულია სხვადასხვა მოკლე სიტყვის სურათები. სიტყვის სტრუქტურა უნდა იყოს ხმოვანი - თანხმოვანი - ხმოვანი (CVC): (cat, pen, pig, fox, cup). დაწერეთ სურათის ქვემოთ შესაბამისი სიტყვა, მაგრამ დატოვეთ ცარიელი ხაზი, სადაც ხმოვანი უნდა იყოს. სთხოვეთ მოსწავლეებს, იპოვონ და მოათავსონ შესაბამისი ხმოვანი გამოტოვებულ ადგილას.

გამოტოვებული ხმოვნის შერევა და დაკავშირება

პროცესის აღწერა: მოამზადეთ ბარათები, რომლებზეც ხმოვნებია წარმოდგენილი. დაწერეთ სხვადასხვა ხმოვანი თითოეულ გამოტოვებულ სივრცეში ახალი სიტყვების შესადგენად. ჩაწერეთ თითოეული რეალური სიტყვა.

მაგალითი: ამის გაკეთება შესაძლებელია უფრო დიდ ქალაქზე. ხმოვნები უნდა გამოიჭრას ახალი სიტყვების მისაღებად.

h ___ t	b ___ t	t ___ p	c ___ t	
s ___ t	d ___ g	f ___ n	p ___ t	
h ___ m	m ___ p	c ___ b	g ___ t	
a	e	i	o	u

დაჯგუფება ბგერების მიხედვით

პროცესის აღწერა: იპოვეთ მოთხრობა, რომელშიც მოცემულია მრავალი ნიმუში, როდესაც ერთი ფონოგრამა ერთ ან მრავალ ბგერას გამოხატავს: c (/k/,/s/); g (/g/,/j/); ch (/ch/,/k/,/sh/); ea (/ē/, /ĕ/, /ā/); ed (/d/, / ěd/, /t/). მოამზადეთ ბარათები ბგერებისათვის, რომლებზეც წარმოდგენილია მოთხრობაში მოცემული ფონოგრამა (ფონოგრამები), შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, დააჯგუფონ სიტყვების ბარათები შესაბამისი ბგერის ბარათის ქვემოთ. დაავალეთ მოსწავლეებს, მოამზადონ ახალი სიტყვების ბარათები, როცა ტექსტში ახალ სიტყვას იპოვიან. ფონეტიკური წესების სწავლების ნაცვლად, ასწავლეთ მოსწავლეებს, შეანაცვლონ ბგერები. დაიწყეთ ყველაზე გავრცელებული ბგერებით.

მოსწავლის პირადი ცხრილი სიტყვებისათვის

პროცესის აღწერა: გააცანით მოსწავლეებს რამდენიმე მახალსიხშირული სიტყვა, რომლებიც ტექსტში ხვდებათ. სიტყვების გაცნობის შემდეგ მოსწავლეები წერენ სიტყვას შესაბამისი ასოს ქვეშ სიტყვების პირად ცხრილში ან ლექსიკონში მომავალში გამოსაყენებლად. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებმა შესაძლოა დახატონ ნახატებიც მინიშნებისათვის.

კონვერტები ან ყუთები - „სიტყვები, რომლებიც ვიცი“ და „სიტყვები, რომლებსაც ვსწავლობ“

პროცესის აღწერა: მოამზადეთ ორი კონვერტი ან ყუთი წარწერით „სიტყვები, რომლებიც ვიცი“ და „სიტყვები, რომლებსაც ვსწავლობ“. ჩააწყვეთ მათში ბარათები, რომლებზეც შესასწავლი სიტყვები, წინადადებებიდან ამოჭრილი სიტყვები ან საყრდენი (მაღალსიხშირული) სიტყვებია მოთავსებული, რომლებსაც მოსწავლეები ეუფლებიან. როდესაც მოსწავლე შეისწავლის რომელიმე სიტყვას, ეს უკანასკნელი „სიტყვები, რომლებსაც ვსწავლობ“ ყუთიდან გადადის „სიტყვები, რომლებიც ვიცი“ ჯგუფში. შეეცადეთ, „სიტყვები, რომლებსაც ვსწავლობ“ ყუთში არ დატოვოთ 5-7 სიტყვაზე მეტი. დაეხმარეთ მოსწავლეებს, დაყონ ახალი სიტყვები ნაწილებად მათ წასაკითხად.

სიტყვების დაჯგუფება ფონემებისა და სიტყვათა ოჯახების მიხედვით

წყარო: ბეარი, ინვერნიზი, ტემპლეტონი და ჯონსტონი (Bear, Invernizzi, Templeton, & Johnston (2000).

მიზანი: სიტყვებს შორის ბგერობრივი და ვიზუალური მსგავსებებისა და განსხვავებების იდენტიფიცირება (მე-3 კლასელები).

პროცესის აღწერა: შეარჩიეთ სიტყვები, რომელთა დაჯგუფება შეიძლება ვიზუალური ან ბგერობრივი თვალსაზრისით. სთხოვეთ მოსწავლეებს, დააჯგუფონ სიტყვები ხმოვნების ჟღერადობის მიხედვით. შესაძლოა ჩართოთ რამდენიმე გამონაკლისი მართლწერის თვალსაზრისით, როცა ყველაზე გავრცელებულ მართლწერის მოდელებს სწვლობენ.

მაგალითი: დააჯგუფეთ სიტყვები, რომლებიც იწერება -ea-თი სამ ბგერად, მაგალითად: ē/ eat, /ĕ/ bread და /ā / great.

გამოქვეყნებული ლექსიკონები ან გლოსარიუმები

პროცესის აღწერა: აუხსენით მოსწავლეებს ლექსიკონისა და გლოსარიუმის გამოყენება და შემდეგ ავარჯიშეთ. ასწავლეთ მეთაური სიტყვებისა და ტრანსკრიფციის გამოყენება. მხოლოდ სათანადო პრაქტიკის შემდეგ შეიძლება ლექსიკონის ეფექტურ რესურსად გამოყენება (საუკეთესოა მეორე დონის ან უფრო მაღალი დონის მკითხველებისათვის).

ფონიკის სტრატეგიები: ანალოგია და სტრუქტურული სიგნალები

ზოგადი მიზანი: ნაცნობ სიტყვებში ფონეტიკური ელემენტების იდენტიფიცირება და შედარება უცხო სიტყვების კითხვის სასწავლად. ეს სტრატეგიები გამოიყენება პირველი, შუა და ბოლო ფონემების სასწავლად, ისევე როგორც მორფემების (პრეფიქსისა და სუფიქსის). როცა მკითხველი იწყებს საყრდენი (თვალსაჩინო) სიტყვების ამოცნობას, მათ შეუძლიათ ანალოგიების გამოყენება ახალი სიტყვების შესასწავლად. მაგალითად, მოსწავლეს, რომელსაც ბევრჯერ შეხვედრია სიტყვა day და რომელმაც იცის m-ს შესაბამისი ბგერა, ალბათ, შეძლებს may-ს ამოცნობას. ფონემების, ონსეტისა და რიმის ცოდნა ეხმარება შემსწავლელს მარტივი სიტყვებისა და მარცვლების იდენტიფიცირებაში ანალოგიის გზით.

სიტყვათა ოჯახებსა და საწყისი თანხმოვნების შეცვლის („რა სიტყვას მივიღებ, თუ შევცვლი c-ს სიტყვაში cat s-ით?“) აქტივობებში მონაწილეობა ემერჯენტულ მკითხველებს ეხმარება ანალოგიების გამოყენებით ახალი სიტყვების წაკითხვაში. დაიწყეთ პატარა, ნაცნობი სიტყვებით და ასწავლეთ მოსწავლეებს ხმამაღლა წარმოთქვან ასოები, დააკავშირონ ისინი ერთმანეთთან, მეხსიერებაში მოძებნონ სიტყვა. მოდელირება გაუკეთეთ ასოების წარმოთქმას, მათ ერთმანეთთან დაკავშირებას, სიტყვების მეხსიერებაში მოძიებას და შემდეგ წარმოთქვით სიტყვა. ახალი სიტყვების ხმამაღლა წარმოთქმა მოსწავლეებს ახალი სიტყვების დამოუკიდებლად იდენტიფიცირებისა და სწავლის შესაძლებლობას აძლევს. შეარჩიეთ ერთი ან ორი ელემენტი ერთ ჯერზე, რომელზეც აქცენტს გააკეთებთ.

უფრო გაწაფულ მკითხველებს ასწავლეთ სტრუქტურული სიგნალების (მინიშნებების) გამოყენება ახალი სიტყვების დეკოდირებისა და მნიშვნელობის შესასწავლად. ასწავლეთ მოსწავლეებს პრეფიქსებისა და სუფიქსების იდენტიფიცირება და მნიშვნელობა. კითხვის პროცესში დაყავით სიტყვები ნაწილებად (პრეფიქსი, ძირი, სუფიქსი...), განიხილეთ თითოეული აფიქსი. დაუმატეთ სხვადასხვა სუფიქსი სიტყვებს (play, plays, played, playing) მაგნიტი -ასოების ან ბარათებზე დაწერილი სიტყვების საშუალებით. როდესაც სიტყვების შემოკლებას ასწავლით, შეცვალეთ აპოსტროფი და მისი მომდევნო ასოები იმ სიტყვით, რომლის ნაცვლადაც ის გამოიყენება. შემდეგი სტრატეგიები სპეციფიკური სტრატეგიებია, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს, გამოიყენონ ანალოგია და სტრუქტურული სიგნალები (მინიშნებები) უცნობი სიტყვების შემთხვევაში პრობლემების გადასაჭრელად.

სიტყვათა ოჯახი, ფონემა და სტრუქტურული ანალიზი

მიზანი: მოსწავლეების წაკითხულიდან ან დაწერილიდან უცნობი სიტყვების იდენტიფიცირება და მსგავს ნაცნობ სიტყვებთან ან ფონემებთან დაკავშირება (მე-5 კლასი).

პროცესის აღწერა: შექმენით პატარა წიგნი კვადრატული ბარათების გამოყენებით. მიასტეპლერეთ 4-დან 6-მდე მინიგვერდი მარცხნიდან. დაწერეთ ნაცნობი ან საკვანძო სიტყვა გვერდის თავში. სიტყვებს უნდა ჰქონდეთ იგივე რიმი, ონსეტი ან ხმოვანი ბგერები. ყოველ მომდევნო გვერდზე დაწერეთ უცნობი სიტყვა და სხვა სიტყვები იმავე ფონემებით. საჭიროების შემთხვევაში უნდა გაამახვილოთ ყურადღება ფონეტიკურ ელემენტებზე თითოეულ სიტყვაში. შეგიძლიათ სიტყვათა ოჯახის წიგნის მომზადებაც (დაუმატეთ თანხმოვანი ბოლო ბგერებს: m დაუმატეთ eat-ს). ასევე, შეგიძლიათ შექმნათ აფიქსების წიგნი (დაუმატეთ პრეფიქსი un-, რათა მიიღოთ unfair, unhappy, unsure ან სუფიქსი -ly, რათა მიიღოთ quickly, slowly, quietly) ან რთული (შედგენილი) სიტყვების მიხედვით (დაამატეთ fire სიტყვებს house, fly, fighter).

ვიზუალურად მსგავსი სიტყვების შედარება Comparing Visually Similar Words

მიზანი: კითხვის დროს ვიზუალურად მსგავსი სიტყვების არევის შემთხვევაში მათი შესწორება (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: ქაღალდზე ან დაფაზე დაწერეთ ის სიტყვა, რომელიც ტექსტშია მოცემული და ზემოთ დაწერეთ, რა თქვეს მოსწავლეებმა. განიხილეთ მსგავსება-განსხვავებანი ორ სიტყვას შორის. დაავალეთ მოსწავლეებს, წაკითხონ სწორი სიტყვა წინადადებაში.

ნაცნობი და უცნობი სიტყვების დაკავშირება

მიზანი: დაეხმაროთ მოსწავლეებს, დააკავშირონ მათთვის ნაცნობი სიტყვები იმ სიტყვებთან, რომლებიც წერია (ყველა კლასში).


პროცესის აღწერა: როდესაც კითხვის პროცესში მოსწავლე ხვდება უცნობ სიტყვას, რომელსაც იგივე ფონეტიკური ელემენტები აქვს, რაც მისთვის ნაცნობ სიტყვას, დაწერეთ, წარმოთქვით ან მიუთითეთ ეს ელემენტები ნაცნობ სიტყვაში და უთხარი: „რა სიტყვაა? ახალ სიტყვას აქვს იგივე ბგერა. რა არის ახალი სიტყვა?“

H ძმების პოსტერი

მიზანი: თანხმოვანთა დიაგრაფების ბგერების იდენტიფიცირება (მე-3 კლასი).

პროცესის აღწერა: გამოიყენეთ „H ძმების“ ნახატები (იხ. ნახატი 3.1) და აჩვენეთ თითოეული ძმა თხრობის პროცესში: „ეს ძმა თამაშობს მატარებლით და ამბობს /ch/-ს. ეს ძმა უსტვენს თავისი სასტვენით და ამბობს /wh/-ს. ამ ძმას არ უნდა თამაში, ენას გარეთ ყოფს და ამბობს /th/-ს. ეს ძმა კი ამბობს, დედა მოდისო, /sh/.“

მოსწავლეები მიმართავენ პოსტერს თანხმოვანთა დიაგრაფების წასაკითხად ან დასაწერად. მაგალითად, სიტყვა when -ს აქვს იგივე საწყისი ბგერა, რაც ძმას, რომელიც სასტვენს უსტვენს.



განცხადებების დაფა ხმოვანთა ფერმისათვის

მიზანი: ერთი და იმავე ხმოვანი ბგერების კითხვა და წერა საკვანძო სიტყვების დიაგრამის გამოყენებით (მე-3 კლასი).

პროცესის აღწერა: განცხადებების გასაკრავ დაფაზე მოამზადეთ ფერმის სცენა, რომელიც შეიცავს ქვემოთ მოცემული მაგალითიდან ყველა ვიზუალურ გამოსახულებას. ყველა საგანს დაურთეთ საკვანძო სიტყვა ხმოვნებისათვის და გახაზეთ ხმოვნები,

მაგალითი: სიტყვა, რომლის დაწერაც გინდათ, ისეთივეა, როგორც /ā/ hay-ში, /t/ in pail-ში, /ā/ rake-ში, /ē/ sheep-ში, /ē/ wheat-ში, /ē/ field-ში, /ī/ bike-ში, /ī/ light-ში, /ī/ silo-ში, /ō/goat-ში, /ō/ post-ში, /ō/ Scarecrow-ში, /ō/ backhoe-ში, /ow/ cow-ში, /ow/ Mouse-ში, /oo/ goose-სა და boots-ში, /ar/ barn-ში, ან /or/ horse-ში და /er/ farmer-ში.

ადაპტაცირებული ვერსია: შესაძლებელია თანხმოვანთა დიაგრაფებისათვის გამოყენებაც. მაგალითად, /ch/ სიტყვაში chickens ან /sh/ sheep-ში.

ფონეტიკური სტრატეგიები: კონტექსტური გასაღებები

ეს სტრატეგიები ეხმარება მოსწავლეებს ტექსტების კითხვასა და გაგებაში ისეთი კონტექსტური გასაღების გამოყენებით, როგორებიცაა: წინასწარი ცოდნა, წინადადების სტრუქტურა, ლექსიკა, ტექსტში გადმოცემული აზრი და გრაფიკული ინფორმაცია. თუმცა ფონეტიკური გასაღებები მნიშვნელოვანია კითხვისათვის, მოსწავლეებისათვის ძალიან მომგებიანია კონტექსტუალური მინიშნებების გამოყენება. კითხვის პროცესში დაეხმარეთ მოსწავლეებს, წაიკითხეთ და გადაიკითხეთ ტექსტი, რათა მათ მოიძიონ გასაღებები. ეს დაეხმარება მათ უცნობი სიტყვების გაგებაში. შესაძლოა, მათ საკუთარ თავსაც დაუსვან შეკითხვები: „ლოგიკურია თუ არა?“ სწორია თუ არა?“ ეს კითხვები მოსწავლეებს ეხმარება, რომ თვითრეფლექსიურები გახდნენ. ნახატები და გრაფიკები ეხმარება მოსწავლეებს კითხვის პროცესში, ამდენად, წიგნის შერჩევის პროცესში გაითვალისწინეთ, რა დახმარების გაწევა შეუძლია ვიზუალურ მასალას. კითხვის დაწყებამდე სთხოვეთ მოსწავლეებს, დააკვირდნენ ნახატებსა და გრაფიკას, განიხილეთ და ივარაუდეთ, რის შესახებ იქნება ტექსტი. ზოგჯერ დაავალეთ შემსწავლელებს, დააკვირდნენ ნახატსა და გრაფიკას და იფიქრონ ტექსტის შესახებ სიტყვის გასაგებად. ზოგჯერ ემერჯენტული დონის მკითხველისათვის განკუთვნილ წიგნებში სიტყვის თავზე ან მის ადგილას რებუსების ნახატებია წარმოდგენილი, რომ დაეხმაროს დამწყებ მკითხველს. ქვემოთ მოცემული სტრატეგიები ეხმარება მოსწავლეებს კონტექსტუალური გასაღებების გამოყენებით უცნობი სიტყვების ან ცნებების მნიშვნელობის განსაზღვრაში.

მოსალოდნელი (პროგნოზირებადი) ენის მეთოდი

მიზანი: კონტექსტის გამოყენება იმ ტიპის ტექსტების წასაკითხად, რომლებიც შეიცავს მოსალოდნელ (პროგნოზირებად) ან სტანდარტულად გამოყენებულ (კლიშე) ენობრივ ერთეულებსა და ფრაზებს (მე-3 კლასი).

პროცესის აღწერა: მოსწავლეებს დაავალეთ, რომ წაიკითხონ ან შეავსონ სავარაუდო ან სტანდარტულად გამოყენებული (კლიშე) ერთეულებით:

მაგალითი: Brown Bear, Brown Bear, What Do You See? (მარტინი, 1967)
“Brown Bear, Brown Bear, what do you see? I see a _____ looking at me.”

წინადადებების შედგენა

მიზანი: სიტყვების რიგის მიხედვით დალაგება წინადადებების შესადგენად (მე-3 კლასი). **პროცესის აღწერა:** გამოიყენეთ მანიპულატორები, მაგალითად, ბარათები, რომლებზეც სიტყვებია დაწერილი, და დაავალეთ მოსწავლეებს, დაალაგონ სიტყვები იმ თანმიმდევრობით, რომ წინადადება მიიღონ. სახელები და ზმნები შესაძლოა სხვადასხვა ფერის ბარათზე იყოს წარმოდგენილი, რათა მოსწავლემ ყოველ წინადადებაში შეიტანოს როგორც ერთი, ისე მეორე.

წინადადებების დაჭრა

წყარო: კლეი (1993).

მიზანი: სიტყვების, გრაფემებისა და პუნქტუაციის ნიშნების დალაგება წინადადების შესადგენად (მე-3 კლასი).

პროცესის აღწერა: სთხოვეთ მოსწავლეებს, შეარჩიონ წინადადება თავიანთი სურვილით, ან თქვენ თვითონ შეარჩიეთ წინადადება სიმლერიდან, ლექსიდან ან წიგნიდან, რომლის წაკითხვაც მოსწავლეებს გაუჭირდათ. დაწერეთ წინადადება ვიწრო მუყაოზე და დაჭერით ასობად და სასვენ ნიშნებად. დააწერეთ წინადადება კონვერტს. დაავალეთ მოსწავლეებს წინადადების წაკითხვა. გადააბრუნეთ კონვერტი და აღადგინეთ წინადადება. უფრო გასართულებლად შეგიძლიათ გამოტოვოთ სიტყვის დასაწყისი/ბოლო

ბგერები, მარცვალი ან ფონემები (იმის მიხედვით, თუ რაზე მუშაობა სჭირდებათ მოსწავლეებს ყველაზე მეტად). ეს შესაძლოა საშინაო დავალებადც მისცეთ.

მაგალითი: „Cat on the Mat“-დან (ვაილდსმიტი, 1982)
The dog sat on the mat

დაასრულეთ პროცედურა ან გამოიცანით დაფარული სიტყვები

წყარო: ტეილორი (1953); კუნინგემი, ჰალი და სიგმონი (1999).

მიზანი: კონტექსტუალური გასაღებების გამოყენება სიტყვების პროგნოზირებისათვის (ყველა კლასი).

პროცესის აღწერა: კითხვის პროცესში მოსწავლეები ვარაუდობენ უცნობ სიტყვებს ან სიტყვის ნაწილს, რომელიც გამოტოვებულია ან დაფარულია კორექტორით ან წებოვანი ბარათით.

მაგალითი: „Where the Wild Things Are“-დან (სენდაკი, 1963)
They gnashed their terrible _____ and rolled their terrible _____.

ფონეტიკური სტრატეგიები: სიტყვების წერა

ეს სტრატეგიები ეხმარება მოსწავლეებს, რომ თავიანთი აზრები წერილობით გადმოსცენ მიღებული წესების დაცვით ან, თუ ეს წესები არ იციან, მიხვდნენ, თუ როგორ იწერება. მიუხედავად იმისა, რომ მართლწერა მნიშვნელოვანია წერილობითი გზავნილის (მესიჯის) სწორად გადასაცემად, ის მხოლოდ ერთი ასპექტია წერის პროცესისა. წერის უნარის საფუძველია, რამდენად კარგად იცის პიროვნებამ ბგერასა და სიმბოლოებს შორის კორელაცია. ასევე კითხვისას, როდესაც მკითხველმა იცის, როგორ გამოიყურება სიტყვა. მოსწავლეებს უნდა ასწავლოთ, როგორ იწერება მაღალი სიხშირით გამოყენებული სიტყვები კითხვისა და წერის პროცესში და არა განყენებულად. აგრეთვე, მათ უნდა ასწავლონ, რომ უცნობის სიტყვების შემთხვევაში შეიძლება ივარაუდონ (მიხვდნენ), თუ როგორ იწერება ესა თუ ის სიტყვა. მოსწავლეებს წერის პროცესს შეზღუდავს, თუ ისინი მხოლოდ იმ სიტყვებს დაწერენ, რომელთა წერაც უკვე იციან. მართლწერის უნარების განვითარებაში აუცილებელი არ არის მკაცრი მიმდევრობის დაცვა. ნუ დაელოდებით, სანამ მოსწავლე ერთ რომელიმე მოდელში დახელოვნდება, რომ მეორეზე გადახვიდეთ.

ემერჯენტული დონის მკითხველსა და წერილობითი ტექსტის ავტორს შესთავაზეთ მაღალი სიხშირით გამოყენებული ფონეტიკურად წესიერი სიტყვები. შემდეგ უკვე გადადით მაღალსიხშირულ, ფონეტიკურად არაწესიერ სიტყვებზე. ასწავლეთ მოსწავლეებს სიტყვების დაწერისას წარმოთქვან ისინი ცალკეულ ფონემებად და შემდეგ თითო თითოდ ჩაწერონ შესაბამისი ასოები. გააკეთეთ წარმოთქმისა და ჩაწერის პროცესის მოდელირება მოსწავლეებისათვის, როდესაც ისინი წერენ. დაიწყეთ მოკლე სიტყვებით, რომელთა წარმოთქმაც მოსწავლეებს შეუძლიათ, რადგან ასეთი სიტყვები, ჩვეულებრივ, წესიერი ფორმებია. მაგალითად, at, can და go და არა see, was ან have. შემდეგ გადადით „სიტყვათა ოჯახების“ სიტყვებზე და აჩვენეთ, რით ჰგვანან ისინი ერთმანეთს.




ბგერათა უჯრები

წყარო: ელკონინის ვერსიის ადაპტაცია (1973).

მიზანი: სიტყვების წერა და ამოცნობა სიტყვაში არსებულ ფონემებზე დაყრდნობით (მე-3 კლასი).

პროცესის აღწერა: დახაზეთ თოთოეული ფონემისათვის თითო ყუთი. თუ ამ ფონემას ერთზე მეტი ასო გამოხატავს, დაყავით ეს უჯრა dotted ხაზებით, თითო თითო ასოსთვის. სიტყვის ბოლოს მუნჯი -e-თვის დახაზეთ ხაზი, რათა ჩანდეს ბგერის არსებობა. სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ ივარაუდონ სიტყვის დაწერილობა, შემდეგ კი ჩაწერეთ ასოები თითოეულ უჯრაში.

მაგალითი:

													
<table border="1" style="display: inline-table; width: 80px; height: 40px; vertical-align: middle;"><tr><td style="width: 20px; height: 20px;"></td><td style="width: 20px; height: 20px;"></td><td style="width: 20px; height: 20px;"></td></tr></table>				<table border="1" style="display: inline-table; width: 80px; height: 40px; vertical-align: middle;"><tr><td style="width: 20px; height: 20px;"></td><td style="width: 20px; height: 20px;"></td><td style="width: 20px; height: 20px;"></td><td style="width: 20px; height: 20px;"></td></tr></table>					<table border="1" style="display: inline-table; width: 80px; height: 40px; vertical-align: middle;"><tr><td style="width: 20px; height: 20px;"></td><td style="width: 20px; height: 20px;"></td><td style="width: 20px; height: 20px;"></td><td style="width: 20px; height: 20px;"></td></tr></table>				
cat	chair	five											

მაგნიტი-ასოები

მიზანი: ახალი სიტყვების კითხვა და წერა ნაცნობ სიტყვებსა და წერის მოდელებს შორის კავშირებზე დაყრდნობით (მე-3 კლასი).

პროცესის აღწერა: აჩვენეთ მოსწავლეებს, როგორ მიიღება ახალი სიტყვა მარცვლის მისადგომის ონსეტის (საწყისი თანხმოვნების) ან რიმის (ხმოვანი და მომდევნო თანხმოვნები მარცვალში) შეცვლით.

მაგალითი: can (შეცვალეთ საწყისი თანხმოვანი *f, m, pl-თი*) fan, man, plan, plant (დაამატეთ *t*).

კონფიგურაციული უჯრები

წყარო: კუნინგემი, ჰოლი და სიგმონი (Cunningham, Hall, & Sigmon, 1999)

მიზანი: სიტყვების წერა და ამოცნობა მათ კონფიგურაციაზე დაყრდნობით (მე-3 კლასი).

პროცესის აღწერა: ახალი სიტყვები დამახსოვრებაში დასახმარებლად მოხაზეთ მათი ფორმა ან კონტურის იმის საჩვენებლად, თუ რა მოდელი არსებობს ხაზს ზემოთ დასაწერი ასოებისათვის (b, d, f, h, k, l, t), ხაზს ქვემოთა ასოებისათვის (g, j, p, q, y) და სხვა ასოებისათვის, რომლებიც ხაზებს შორის იწერება. შემდეგ დახაზეთ ცარიელი კონფიგურაციული უჯრები, რომლებიც მიუთითებს, რომ ასოები იწერება ხაზს ზემოთ, ქვემოთ ან ხაზებს შორის, რათა დაეხმარათ მოსწავლეებს სიტყვის სწორად დაწერაში. უთხარით მოსწავლეებს სიტყვა და დაავალეთ, ჩაწერონ კონფიგურაციულ უჯრებში. ეს სტრატეგია, უპირველესად, ეხმარება მოსწავლეებს სიტყვის სწორად დაწერაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს სტრატეგია ეხმარება სიტყვების იდენტიფიცირებაში, მისი დამოუკიდებლად გამოყენება არ შეიძლება, რადგან შესაძლებელი არსებობდეს მრავალი სიტყვა, რომლებსაც იგივე კონფიგურაცია აქვთ.

მაგალითი: play და happy



ადაპტაცირებული ვერსია: მოამზადეთ კონფიგურაციული უჯრები და სთხოვეთ მოსწავლეებს, შეარჩიონ სწორი დაწერილობის სიტყვები ჩასაწერად.

წაკითხვით, დაფარეთ და შეამოწმეთ სიტყვები

წყარო: მაკანდრუსი (2004).

მიზანი: სიტყვების წერა და კითხვა მოკლე მეხსიერების გამოყენებით და არა მათი უბრალო კოპირება (ყველა კლასის მოსწავლეებისათვის).

პროცესის აღწერა: შეარჩიეთ ორიდან ხუთამდე მაღალი სიხშირით გამოყენებული სიტყვა, რომელთა დაწერა ან წაკითხვა მოსწავლეებს გაუჭირდათ. ეს შეიძლება იყოს ვიზუალურად მსგავსი სიტყვები. უფრო გაწაფული მკითხველებისათვის ეს შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი შინაარსის შემცველი სიტყვები. ფურცელი გაკვეთთ ოთხ სვეტად. პირველ სვეტში დაწერეთ ორიდან ხუთამდე ახალი სიტყვა სასწავლად. მოსწავლეები რომ წაკითხავენ პირველ სიტყვას, დაფარეთ. წერენ იმავე სიტყვას მეორე სვეტში. გახსენით პირველი სვეტი და შეამოწმეთ, სწორად არის დაწერილი თუ არა სიტყვა მეორე სვეტში. გაიმეორეთ იგივე პროცედურა მე-3 და მე-4 სვეტებში. თუ სიტყვა არასწორადაა დაწერილი, გადაუსვით ხაზი, ხელახლა კითხულობთ, ფარავთ და ხელახლა წერენ.

მაგალითი:

წაკითხვით, დაფარეთ და შეამოწმეთ სიტყვები			
they	Thay they	thay they	they
there	ther there	there	there
their	their	their	their
they're	they'er they're	they're	they're

ადაპტირებული ვერსია: დაჭერით ფაილის ერთი მხარე ოთხ თანაბარ ნაწილად. მოსწავლეები ათავსებენ თავიანთ ფურცლებს თითოეულ ნაწილში. იღებენ თითოეულ ნაწილს, წერენ სიტყვას, დაფარეთ. გახსენით პირველი ნაწილი და შეამოწმეთ სიტყვა.

მომღერალი სიტყვები

მიზანი: სიტყვების წარმოთქმა კინესთეტიკური მოძრაობების თანხლებით სიტყვების კონფიგურაციაზე დაყრდნობით (მე-2 კლასი).

პროცესის აღწერა: სთხოვეთ მოსწავლეებს, წაიმღერონ თითოეული სიტყვის ბგერები. შესაბამისად იმოძრავეთ და ამოძრავეთ მხრები, როდესაც ისინი წერენ სიტყვებს.. მაგალითად, როდესაც წერენ სიტყვას “attic” (სხვენი) ასწიეთ მკლავები მაღლა, ასევე, როდესაც წერენ ხაზს ზემოთა ასოებს (b, d, f, h, k, l და t), მკლავები წინ გასწიეთ, როდესაც წერენ “main floor”(პირველი სართული) -ს ან ხაზზე მოთავსებულ ასოებს (a, c, e, i, m, etc.) და მკლავები დაუშვით დაბლა, როდესაც წერენ “basement”-ს (სარდაფი) ან ხაზს ქვემოთ მოთავსებულ ასოებს (g, j, p, q, and y).

მაგალითი: girl = “g” (მკლავები დაბლა), “i” (მკლავები წინ არის გაწეული), “r” (მკლავები წინ არის გაწეული), “l” (მკლავები მაღლა).

სიტყვების შესასწავლად განკუთვნილი რვეული

წყარო: ბერი (2000).

მიზანი: რვეული განკუთვნილია სიტყვების სასწავლი აქტივობების ჩასაწერად, შეფასებისათვის და რესურსად (მე-5 კლასი).

პროცესის აღწერა: მოსწავლეები თითოეული შესწავლილ ბგერას შესაბამისი მაგალითებით წერენ თითო გვერდზე.

მაგალითი: O; მისი სახელი. boat, stone, so, grow.

სიტყვების კედელი

წყარო: ალინგტონი და კუნინგჰემი (2002).

მიზანი: მისი გამოყენება შეიძლება ექსპლიციტურად ნასწავლი გავრცელებული სიტყვების წერისა და კითხვისათვის განკუთვნილ რესურსად (მე-3 კლასი).

პროცესის აღწერა: გააცანით მოსწავლეებს მაღალი სიხშირით გამოყენებული სიტყვები, რამდენიმე ერთ ჯერზე. წარმოთქვით თითოეული სიტყვა და გამოიყენეთ კინესთეტიკური მეთოდი, რომ მოსწავლეებმა დაიმახსოვრონ, როგორ იწერება სიტყვა. მოათავსეთ სიტყვა სიტყვების კედელზე მათი საწყისი ასოს ქვემოთ. დაავალეთ მოსწავლეებს, გამოიყენონ სიტყვების კედელი, როდესაც წიგნში შეხვდებიან სიტყვას ან იმ სიტყვის დაწერა უნდათ, რომელიც ამ კედელზე არის. სიტყვის კედელზე მოთავსებული სიტყვები წერისას ასოს კონფიგურაციის კონტური ხშირად გამოიყენება, როგორც გასაღები.

მაგალითი: stop



რითმული ინოვაციები

წყარო: ვოლკერი (2004).

მიზანი: წინადადების შევსება ავტორისეულ მოდელზე დაყრდნობით.

პროცესის აღწერა: თქვენ და თქვენი მოსწავლეები გადაწერთ იოლად პროგნოზირებად წიგნს იმავე მოდელის ან ჩარჩოს გამოყენებით, მაგრამ ცვლით საკვანძო სიტყვებს.

მაგალითი: „The Very Hungry Caterpillar“-დან (მალიან შშიერი მუხლუხო“ (კარლი, 1987).

On Monday I ate _____. On Tuesday I ate _____.

საკვანძო სიტყვების წერა

წყარო: ბრედლი და მაკანდრეუსი (1998).

მიზანი: საკვანძო სიტყვების ცხრილის გამოყენება ინგლისურის (მართლ)წერის მოდელების იდენტიფიცირებისათვის, გრძელ და მოკლე ხმოვნებთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვების ცხრილი			
ცხრილი 3.2	ხმოვანი ბგერა	რაოდენობა	განსხვავებული მართლწერა
გრძელი a /ā/		9	day, made, bait, straight, gauge, break, sleigh, obey, veil
მოკლე a /ă/		4	pat, laugh, have, plaid
გრძელი e /ē/		7	scheme, each, bleed, police, key, neither, niece
მოკლე e /ĕ/		5	net, health, friend, heifer, said
გრძელი i /ī/		11	die, mine, aye, aisle, geyser, stein, coyote, kind, light, height, my
მოკლე i /ĭ/		6	pin, give, been, sieve, build, myth
გრძელი o /ō/		9	cone, sew, mauve, soul, boast, dough, brooch, glow, toll
მოკლე o /ŏ/		2	not, wasp
გრძელი u /ū/		3	future, pewter, beauty
მოკლე u /ŭ/		2	nut, some
გრძელი oo /ō/		8	do, blue, broom, brute, bruise, move, through, group
მოკლე oo /ŏ/		3	put, book, could
დიფთონგი /oi/		2	boy, join
დიფთონგი /ow/		3	how, mountain, sauerkraut
ნეიტრალური ხმოვანი / ə /		7	basal, nickel, table, civil, Mongol, cherub, porpoise
მჟღერი /er/		6	her, first, nurse, works, early, grammar
r-ს მიერ კონტროლირებული /ar/		1	arm
r-ს მიერ კონტროლირებული /or/		1	for
l-, w-, და u-ს მიერ კონტროლირებული /aw/		3	all, awful, auto
		8	claw, cause, broad, cough, gone, bought, boss, caught
ბრედლის (1996) გამოუქვეყნებელი სასწავლო მასალების მიხედვით			

პროცესის აღწერა: მოათავსეთ 3.2 ნახაზზე გამოსახული ცხრილი კედელზე და დაურიგეთ მოსწავლეებსაც, რათა ჩადონ თავიანთ წერისათვის განკუთვნილ საქალაქში, რათა გამოიყენონ სიტყვების წერისას. მიაქციეთ ყურადღება, რომ გრძელ ხმოვნებს დაახლოებით ორჯერ მეტი განსხვავებული დაწერილობა აქვთ, ვიდრე მოკლეებს. ამაზე დაყრდნობით შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ მოკლე ხმოვნები უფრო ადვილი სასწავლია, ვიდრე გრძელები.

შეტყობინების წერა

მიზანი: წერის პროცესის მოდელირებაზე დაკვირვების შემდეგ მოსწავლეები შეძლებენ საკუთარი მესიჯის წერას (მე-2 კლასი).

პროცესის აღწერა: სანამ თქვენ წერთ მესიჯს მოსწავლეებისათვის ან მათგან ნაკარნახევ მესიჯს, დაანაწევრეთ სიტყვები მათ შემადგენელ ბგერებად და მოდელირება გაუკეთეთ დაფაზე წერით. წარმოთქვით სიტყვები ნელა, აგრეთვე, წარმოთქვით, როგორ იწერება თითოეული მათგანი. დააკავშირეთ ნაცნობ სიტყვებთან ან მიუთითეთ სიტყვის ნაწილებს შორის კავშირის შესახებ.

მაგალითი: “მე ვაპირებ დავწერო „Dear Class.“ რომელი ბგერით იწყება სიტყვა „dear“? /d/. როგორ ჩაიწერება ეს ბგერა? /d/. ვინაიდან ეს სიტყვა ჩემი მისალმების პირველი სიტყვაა, უნდა დავწერო დიდი D. შემდეგია /ē/, დაწერილია ორი ასოთი ea, როგორც ეს გვხვდება სიტყვაში eat. ბოლო ბგერაა/t/, რომელიც იწერება ასოთი r. ეს პირველი სიტყვაა. ვტოვებ მანძილს. რა არის შემდეგი სიტყვა? Class. იწყება/k/ ბგერით, იწერება c, შემდეგ მოდის /ā/s ორი ss-ით. ახლა კი უნდა დავწერო მძიმე სიტყვის ბოლოს.“ გააგრძელეთ წერის მოდელირება, სანამ მესიჯს არ დაასრულებთ და წაიკითხეთ ერთად.

ადაპტირებული ვარიანტი: მოსწავლეებმა შესაძლოა მორიგეობით უკარნახონ მასწავლებელს დღის გზავნილი და მასწავლებელი გააგრძელებს მისი წერის მოდელირებას.

ფონეტიკური სტრატეგიები: ემერჯენტული დონის ნაბეჭდი მასალის ცნებები

მიმართულება და ზეპირად წარმოთქმული და დაწერილი სიტყვის დაკავშირება

მიზანი: მარცხნიდან მარჯვნივ კითხვა, ასოებსა და სიტყვებს შორის მანძილებს შორის სხვაობის გარჩევა, ერთი დაწერილი სიტყვის დაკავშირება ზეპირად წარმოთქმულ სიტყვებთან და ახალ ხაზზე გადასვლა (1-ლი კლასი).

პროცესის აღწერა: როდესაც სქელტანიან წიგნს უკითხავთ კლასს, გამოიყენეთ პოინტერი, რათა მიუთითოთ, რომ მარცხნიდან მარჯვნივ წაიკითხოთ და კითხვა შემდეგ ხაზზე გააგრძელოთ თითოეულ სიტყვაზე მითითებით. დაავალეთ მოსწავლეებს, თვითონ წარმოადგინონ ეს პროცესი დიდი წიგნების კითხვისას და შემდეგ უკვე ინდივიდუალურად. წარმოთქმულ და დაწერილი სიტყვებს შორის დაკავშირებისას დარწმუნდით, რომ მოსწავლეები სწორად მიუთითებენ ყოველ წაკითხულ სიტყვაზე. თუ დაწერილი და წარმოთქმული სიტყვა არ შეესაბამება ერთმანეთს, მაგალითად, როდესაც სიტყვებში რამდენიმე მარცვალა წარმოდგენილი, შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ ისინი მიუთითებენ მხოლოდ ერთხელ მთელ სიტყვას. დაავალეთ მოსწავლეებს, რომ გადაიკითხონ სანამ თითოს თითოს არ დაუკავშირებენ. მოტივაციის ამამაღლებელი ერთ-ერთი ტექნიკა შესაძლოა იყოს შემდეგი: მიეცით მოსწავლეებს პლასტმასის თითები გრძელი ფრჩხილით, რომელსაც გამოიყენებენ სიტყვის მითითებისას.

ამავე პროცედურების გამოყენება შესაძლებელია წერის სწავლებისას, განსაკუთრებით დაცილებების (მანძილების), ახალ ხაზზე გადასვლის, დიდი ბგერებისა და პუნქტუაციისა.

წინადადებების დაყოფა

მიზანი: წინადადებების დაყოფა ცალკეულ სიტყვებად (მე-2 კლასი).

პროცესის აღწერა: წარუდგინეთ მოსწავლეებს, როგორაა შესაძლებელი მოკლე წინადადებების ცალკეულ სიტყვებად დაყოფა. წარადგინეთ ბარათებით ან სხვა მანიპულატორებით და აჩვენეთ მოსწავლეებს, რომ წინადადება შედგება ცალკეული სიტყვებისაგან და რომ სიტყვათა რიგი მნიშვნელოვანია.

მაგალითი: წინადადება “Frogs eat bugs” „ბაყაყები ჭამენ ჭიამაიას“: შედგება სამი სიტყვისაგან. ასწიეთ თითო ბარათი თითო სიტყვისათვის.

პუნქტუაციის ცოდნა

მიზანი: სწორი ინტონაცითა და სასვენი ნიშნებით აღნიშნული პაუზით კითხვა (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: დაიწყეთ თხრობითი წინადადებით, რომელიც მთავრდება წერტილით. სთხოვეთ მოსწავლეებს, მიუთითონ ყველა წერტილზე, რომლებიც გვერდზე შეხვდებათ. შემდეგ წაიკითხეთ წინადადება, ამოსუნთქეთ ხანგრძლივად ყოველი წერტილის შემდეგ. გაიმეორეთ ეს ჯგუფურად, მთელ კლასთან ერთად. შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ არ შეჩერდნენ ხაზის ბოლოს, თუ ეს წინადადების შუა ნაწილია. შემდეგ კითხვის ნიშანზე გადადით და ეს ტექნიკა გაიმეორეთ კითხვით წინადადებებთან, რომელთა ბოლოსაც კითხვის ნიშანი დაისმის. მოსწავლეებს ყურადღება გაამახვილებინეთ, რომ ხმას უმაღლეს შიგნით შეხვდებიან შემდეგ. გამოიყენეთ იგივე ტექნიკა ძახილის წინადადებებთან, რომელთა ბოლოსაც ძახილის ნიშანი დაისმის. უთხარით მოსწავლეებს, რომ ხმა ჯერ ზემოთ იწევს (მაღლდება), ხოლო შემდეგ დაბლდება. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, წარუდგინოთ მოსწავლეებს მძიმე. სთხოვეთ მოსწავლეებს, მიუთითონ მძიმეებზე. გააკეთეთ პაუზა და ამოსუნთქეთ მოკლედ მძიმის შემდეგ. ყურადღება გაამახვილეთ გრძელ ამოსუნთქვაზე წინადადების შემდეგ და მოკლეზე მძიმის გამოყენების შემდეგ. უფროსი ასაკის მოსწავლეებს ამავე ტექნიკით წარუდგინეთ ორწერტილი და წერტილ-მძიმე. მოსწავლეებს უნდა მიაწოდოთ ინფორმაცია ბრჭყალების შესახებაც, მაგრამ არ არის საჭირო მათზე ყურადღების გამახვილება მანამ, სანამ მოსწავლეები თავისუფლად არ წაიკითხავენ და თავიანთ საკითხავ მასალაში არ შეხვდებათ ეს ნიშანი. სთხოვეთ მოსწავლეებს, მიუთითონ, რომელი ბრჭყალით იწყება ციტატა და რომლით მთავრდება. აუხსენით მოწაფეებს, რომ ბრჭყალების შიგნით მოთავსებული სიტყვები პერსონაჟის ან სხვა პიროვნების სიტყვებია და არა ავტორისა. შემდეგ წაიკითხეთ ყველაფერი, რაც ბრჭყალების გარეშე წარმოდგენილი და მოსწავლეებს სთხოვეთ, წაიკითხონ ბრჭყალებში მოთავსებული ტექსტი.

თავი 4

ხმამალა კითხვა და თავისუფლად კითხვა

ხმამალა კითხვისა და თავისუფლად კითხვის ცნებები


ხმამალა კითხვა - „ხმამალა კითხვის პროცესი ერთმანეთთან ან აუდიტორიასთან კომუნიკაციისათვის“ (ჰარისი და ჰოდგესი; 1995, გვ.173). ამ სოციალური პროცესის დროს ადამიანები კითხულობენ ხმამალა ან განიხილავენ წაკითხულს ინფორმაციის გასაზიარებლად, რათა უკეთ გაიაზრონ ტექსტი ან, უბრალოდ, მიიღონ სიამოვნება მისგან. მართალია, ეს არ არის ამ აქტივობის ძირითადი მიზანი, მაგრამ ხმამალა კითხვის პროცესის სწორად წარმართვის შემთხვევაში შესაძლოა მისი შეფასებისა და სწავლებისათვის გამოყენებაც. როდესაც ინსტრუქციულ დონეზე მყოფი მოსწავლეები მასალას პატარა ჯგუფებში ან ინდივიდუალურად კითხულობენ, ხმამალა კითხვა ეხმარება მათ და სთავაზობს „ხარაჩოს“, გამოიყენონ ინსტრუქციები პრობლემების გადაჭრის უნარების გასავითარებლად.

გუდმანის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაშრომში (გუდმანი; 1965) შესწავლილია ინფორმაციის წყაროები, რომლებსაც მოსწავლეები იყენებენ კითხვის პროცესში. ამ ინტეგრირებულ წყაროებს ეწოდება ენობრივი სიგნალების სისტემა (გუდმანი, 1996), რომელიც დაყოფილია სამ წყაროდ: 1) სემანტიკური (მნიშვნელობა); 2) სინტაქსური (სტრუქტურა ან გრამატიკა და 3) გრაფოფონიკური (სიმბოლო და ბგერა). კითხვის პროცესში კარგი (ეფექტური) მკითხველები აერთიანებენ სემანტიკურ, სინტაქსურ და გრაფოფონიკულ სიგნალებს. ეს სიგნალები ურთიერთქმედებენ მკითხველის ცოდნასთან სიტყვების იდენტიფიცირებისა და გაგების პროცესში (ადამსი, 1990; კლეი, 1991; გუდმანი, 1996; რუმელჰარტი, 1994; იხ. ნახ. 4.1). კითხვის პროცესზე დასაკვირვებლად მოსწავლეებს შეუძლიათ შემდეგი კითხვების გამოყენებით: გადმოსცემს თუ არა აზრს? (სემანტიკა), სწორად არის თუ არა აგებული? (სინტაქსი), სწორად გამოიყურება? (გრაფოფონიკა). სინტაქსისა და სემანტიკის გაცნობა მრავალფეროვანი ტექსტების მოსმენითა და კითხვით საშუალებას აძლევს ძალიან პატარა მკითხველსაც კი, წარმოდგენა შეექმნას ტექსტის ხასიათზე და ივარაუდოს ნაბეჭდ ტექსტებში წინადადებების შინაარსი (სინგერი და რუდელი, 1985). ხმამალა კითხვის სტრატეგიები არის გზა, რომლითაც მკითხველს აზრი გამოაქვს სიგნალების (მნიშვნელების) მიხედვით, დაახლოებით ისეთი სიგნალებისა, რომლებიც გამოყენებულია თვითშესწორების პროცესისა და ჯვარედინი გადამოწმების დროს. ეფექტურ მკითხველებსა და მზარდ მკითხველებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება შემდეგია: ეფექტური მკითხველი იყენებს მრავალფეროვან სტრატეგიებს, რომლებიც შეიცავს ამ სიგნალებსაც, ტექსტის პასაჟის გასაზიარებლად (კლეი, 1991; გუდმანი, 1996; ვოლკერი, 2004).

შესაძლოა, ხმამალა კითხვა ეფექტური იყოს სწავლების პროცესში. ეს არის ტექნიკა, როდესაც მასწავლებლები იწვევენ სხვადასხვა დონის მკითხველებს და ისინი ერთი მეორის მიყოლებით კითხულობენ, თუმცა ზოგი მკვლევარი და განათლების მუშაკი გარკვეულ ეჭვს გამოთქვამს ამ ხერხის მიმართ (ოპიტცი და რასინსკი, 1998). მოსწავლეებს შესაძლოა არასწორი წარმოდგენა შეექმნათ კითხვაზე და მიიჩნიონ, რომ მთავარი მიზანი სიტყვების სრულყოფილად კითხვაა და არა ტექსტის გაგება ეფექტურად კითხვის გზით. მოსწავლეებს აქვთ პრობლემების გადაჭრის ძალიან მცირე შესაძლებლობა, რადგან სხვა მოსწავლეები ხშირად უსწორებენ მათ შეცდომებს. გარდა ამისა, ხმამალა კითხვა იმ ადამიანების წინაშე, რომლებიც უკეთ კითხულობენ, შესაძლოა მოსწავლეში იწვევდეს ღელვას ან უხერხულობის გრძნობას. რადგან რიგრიგობით ხმამალა კითხვას უფრო დიდი დრო მიაქვს, ვიდრე ჩუმად კითხვას, ნაკლები საგაკვეთილო დრო რჩება ტექსტის კითხვის, განხილვისა და გაგებისათვის (ოპიტცი და რასინსკი, 1998). ზოგ მოსწავლეს სხვისი წაკითხული ტექსტის გაგების პრობლემა აქვს, რაც სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული. ზოგი მოსწავლე არ კითხულობს საკმარისად ხმამალა, ზოგი - გაწაფულად, ზოგიც არაეფექტურ სტრატეგიებს იყენებს, ზოგიც კი ძალიან ჩქარა კითხულობს.

ნახატი 4.1.

გ = გაგება



ყველა მოსწავლე ვერ კითხულობს ერთ დონეზე და ვერ იყენებს სტრატეგიებს საკუთარი შეცდომების ეფექტურად გასასწორებლად. ძალიან ძნელია, რომ ყველა მოსწავლე წრეზე ხმამაღლა კითხვის პროცესში ჩართული დარჩეს და ამიტომაც ამ ტექნიკით ძალიან ცოტა მოსწავლე ნახულობს სარგებელს. გარდა ამისა, არ არის მიზანშეწონილი, რომ მოსწავლეებმა და სხვა მოსწავლეებმა მთელი კლასის წინაშე გააკრიტიკონ მკითხველი. ამან ზოგიერთ მოსწავლეში შეიძლება უხერხულობა და დაეჭვება გამოიწვიოს. ამდენად, წრეზე კითხვა არ შეიძლება მივიჩნიოთ ხმამაღლა კითხვის ეფექტურ აქტივობად.

ჩუმი კითხვა Silent reading მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, წაიკითხონ მათთვის ბუნებრივ ტემპში; ივარჯიშონ პრობლემების გადაჭრისა და თავისუფლად კითხვის სტრატეგიებში, რომლებიც უკვე ნასწავლი აქვთ; აქცენტი გააკეთონ გაგებაზე; მეტი დრო ჰქონდეთ, რომ თავისთვის წაიკითხონ, აგრეთვე თავად შეარჩიონ ტექსტები, რაც კითხვის ინტერესს გაუღვივებთ. სწავლების დროს მოსწავლეებს დაუსახეთ ჩუმი კითხვის ამოცანები, შემდეგ კი განიხილეთ თითოეული ნაწილი წაკითხულის გაგების შესამოწმებლად. ამის შემდეგ მოსწავლეებმა შესაძლოა ხმამაღლა წაიკითხონ ტექსტი, რაც დაეხმარება პასუხების მოძიებაში ან ტექსტში მოძიებული ინფორმაციის გადამოწმებაში.

თავისუფლად კითხვა reading fluency - მნიშვნელობის მქონე (შემცველი) ფრაზების შესაბამისი ექსპრესიით (პასაჟში გადმოცემული აზრის მიხედვით) კითხვის უნარი. ასევე, შეუფერხებლად კითხვისა და პრობლემების გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების გამოყენების უნარი, რასაც ხშირად შედეგად მოჰყვება თვითმესწორება. გარდა ამისა, გაწაფული მკითხველები კითხულობენ იმავე ტემპით, როგორც ლაპარაკობენ (ოპტიცი და რასინსკი, 1998).

ამ თავში ყურადღება გამახვილებულია ხმამაღლა კითხვაზე შეფასებისა და სწავლების მიზნით პატარა ჯგუფებში ან ინდივიდუალურად, ასევე ხმამაღლა კითხვისა და კითხვაში გაწაფულობის განვითარებაზე ინფორმაციის გაზიარების ან აუდიტორიასთან ურთიერთობის პროცესში. ხმამაღლა კითხვა უნდა დაწყვილდეს გაგების პროცესის განვითარებასთან (აღწერილია მე-5 თავში).

ხმამაღლა კითხვისა და თავისუფლად კითხვის მიზნები

ხმამაღლა კითხვის მიზნების ეს რეზიუმე აღებულია ოპიტცისა და რასინსკის (1998), გუდმანის (1996) და ჩემი პირადი ნაშრომებიდან. ხმამაღლა კითხვისა და თავისუფლად კითხვის უნარების განვითარებისათვის მოსწავლეებმა უნდა:

- მოისმინონ და წაიკითხონ სხვადასხვა ჟანრის ტექსტები სიამოვნებისათვის;
- მოისმინონ და წაიკითხონ მრავალფეროვანი ჟანრის ტექსტები ლექსისა და გაგების უნარის განსავითარებლად;
- წაიკითხონ ხმამაღლა სხვებთან ინფორმაციის გასაზიარებლად;
- წაიკითხონ ხმამაღლა ტექსტი, რაც დაეხმარება პასუხების მოძიებაში ან ტექსტში მოძიებული ინფორმაციის გადამოწმებაში;

- წაკითხონ ხმამალა ტექსტი, რათა მიანიჭონ სიამოვნება სხვებს;
- წაკითხონ ხმამალა, რათა მასწავლებელმა განსაზღვროს მოსწავლის კითხვისა და მოსმენის (დამოუკიდებელი, ინსტრუქციული) დონე, რათა სათანადო ტექსტები და სწავლების ფორმა შეარჩიოს;
- წაკითხონ ხმამალა მასწავლებლების, თანაკლასელებისა/თანატოლების და საკუთარი თავისათვის, რათა განსაზღვრონ და განივითარონ პრობლემის გადაჭრის სტრატეგიები.
- წაკითხონ ხმამალა საკუთარ კითხვის პროცესზე დასაკვირვებლად;
- თავისუფლად კითხვისას გამოიყენონ შესაბამისი ფორმულირებები, გამოხატვის ფორმები, დაიცვან სიზუსტე და სათანადო ტემპი.

ხმამალა კითხვის შეფასებები

ხმამალა კითხვა შეიძლება შეფასდეს ხმამალა წაკითხულის ჩანაწერში შეცდომების ანალიზით. ხმამალა კითხვის პროცესში გამოყენებული სტრატეგიების შესაფასებლად გამოიყენება საკონტროლო ჩამონათვალი და, აგრეთვე, თავისუფლად კითხვაში შესამოწმებელი ტესტი, რომელიც ამოწმებს გამოხატვის ფორმებს, სიზუსტესა და ტემპს. როდესაც ანალიზის პროცესი დასრულდება, ყველა შეფასების გამოყენება შეიძლება ხმამალა და თავისუფლად კითხვის სასწავლებლად, თავდაპირველად ერთი კონკრეტული ტექსტის კითხვის პროცესში, ხოლო შემდეგ ამ სტრატეგიების უცხო ტექსტებთან გამოსაყენებლად. (მიუხედავად იმისა, რომ გაგება ყოველთვის უნდა ფასდებოდეს ხმამალა კითხვისას, გაგების საკითხები საფუძვლიანად მე-5 თავშია განხილული).

ხმამალა კითხვის ჩანაწერი და ხარვეზების ანალიზი

წყარო: მაკანდრეუსი (2004, 2006).

მიზანი: მოსწავლის ხმამალა კითხვის ჩვევების ზუსტად წარმოდგენა ტექსტის მთლიანობით კითხვისას, რათა განსაზღვროთ სიტყვების სიზუსტე, არსებული დონე კითხვაში და გავანალიზოთ მისი ხარვეზები და კითხვის ჩვევები. ეს საშუალებას გვაძლევს, რომ დავებმართო მოსწავლეებს ინსტრუქციებით, შევარჩიოთ მათი დონისათვის შესაფერისი ტექსტები, რათა გავუუმჯობესოთ ხმამალა კითხვის უნარი. ხმამალა კითხვის კოდირება და ანალიზი განვითარდა ჩაწერის პროცესის (კლეი, 1993), შეცდომების ანალიზითა (გუდმანი და მარევი, 1996) და კითხვის ხარისხობრივი აღმრიცხველის (ლესლი და კალდეელი, 2006) ინტეგრირებით. ამ შეფასების გამოყენება შეიძლება პრეტესტად ან პოსტტესტად ან მიმდინარე შეფასებად, რათა დროის გარკვეულ პერიოდში მკითხველის „ზრდის“ პროცესი განისაზღვროს. ის ეხმარება მასწავლებელს, განსაზღვროს მოსწავლის კითხვის დონე, პრობლემების გადაჭრის უნარები და, აგრეთვე, უნარი, ხმამალა წაკითხოს გაკვეთილში მოცემული ან თავიანთივე შერჩეული ტექსტები. ხმამალა კითხვის ჩანაწერი კითხვის შეფასების მხოლოდ პირველი ნაწილია, ხოლო მეორე ნაწილი გაგების ანალიზს წარმოადგენს და შემოთავაზებულია მე-5 თავში.

პროცესის აღწერა: არსებობს ამ შეფასების ოთხი ნაწილი: ხმამალა წაკითხულის ჩანაწერი, შეცდომების ცხრილის ანალიზი; ხმამალა კითხვისას დაშვებულ ხარვეზთა ანალიზის რეზიუმე და გაგების შეფასება და ანალიზი (განხილულია მე-5 თავში). მოსწავლის ხმამალა წაკითხულის შესაფასებლად შეგიძლიათ მოამზადოთ ჩანაწერი დაბეჭდილ, ორმაგი ინტერვალის მქონე ტექსტზე, ნამდვილი ტექსტის ქსეროასლზე ან ცარიელ ფურცელზე. შეცდომების ცხრილის ანალიზი (იხ. დანართი, გვ 252) მეორე ფორმაა, რომელშიც შეტანილი და გაანალიზებულია თითოეული შეცდომა მათი ტიპისა და სიგნალების (შეცდომის გამოსწორებისა თუ თვითშესწორების) მიხედვით. ხმამალა კითხვისას დაშვებულ ხარვეზთა ანალიზის რეზიუმე (იხ. დანართი, გვ 253) მესამე ფორმაა, რომელშიც შეჯამებულია ქულები და განისაზღვრება მოსწავლის არსებული დონე.

პროცესი, თავისთავად, ოთხ ნაწილადაა დაყოფილი: ტექსტის შერჩევა, ხმამალა კითხვის ჩვევების კოდირება (დაშიფვრა), მიმართულებები და შეცდომებისა და სიგნალების (მინიშნებების) წყაროების ანალიზი.

1. ტექსტის შერჩევა: შეარჩიეთ თანამედროვე, ფართო მკითხველზე გათვლილი წიგნები, წიგნი რომელიმე გამოქვეყნებული სერიიდან ან ელექტრონული ტექსტი, რათა განსაზღვროთ, რომელ დონის მოსწავლის შესაბამისია ტექსტი - ინსტრუქციულისა თუ დამოუკიდებლის. მოსწავლის კითხვის დონის

განსასაზღვრად შეარჩიეთ ეპიზოდი არაფორმალური საკითხავი მასალებიდან ან ტექსტი, რომელიც შეფასებული აქვთ გამომცემელს ან წიგნიერების სპეციალისტს და განსაზღვრული აქვთ, რომელ დონეს შეეფერება ან შეფასებულია „მართული კითხვის დონეების გზამკვლევის“ მიხედვით (ფოუნტასი და პინელი, 1996).

ტექსტის შესაფასებლად შერჩევის პროცესში არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლის უნარზე, წაიკითხოს ტექსტის ეპიზოდი და რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია. გათვალისწინეთ მოსწავლის ინტერესი, წინასწარი ცოდნა და ტექსტის შინაარსი, ლექსიკა და მოსწავლის უნარი, გამოიყენოს თვითმონიტორინგის სტრატეგიები. შეისწავლეთ განსხვავებები თხრობით, განმარტებით, მტკიცებით და აღწერით ტექსტებს შორის. შეარჩიეთ ტექსტები, რომლებიც შეესაბამება მოსწავლის ინსტრუქციულ დონეს და რომელშიც გათვალისწინებულია ლექსიკურ ერთეულთა რაოდენობა ან არამაღალსიხშირული სიტყვების გამოყენება; წინადადების სტრუქტურისა და ცნებების სირთულე; ნახატების, ცხრილებისა და გრაფიკის რაოდენობა; ტიპოგრაფიული მახასიათებლები, როგორებიცაა: ტექსტის ზომა, სათაურები, მუქი და დახრილი შრიფტები (წიგნების შერჩევის საკითხი დეტალურადაა განხილული მე-7 თავში). თუ ტექსტში 300 სიტყვაზე ნაკლებია, გამოიყენეთ სრული ტექსტი, ხოლო უფრო დიდი ტექსტებისათვის შეარჩიეთ რომელიმე თავი ან ეპიზოდი, რომელშიც სიტყვების რაოდენობა შემდეგი პრინციპით იქნება წარმოდგენილი სხვადასხვა კლასის მოსწავლეთათვის:

წინასასკოლო და დაწყებითი: 40-60 სიტყვა

1-ლი კლასი: 100-150 სიტყვა

მე-2 კლასი: 100-200 სიტყვა

მე-3 კლასი: 200-300 სიტყვა

მე-4 კლასი და ზემოთ: 300-400 სიტყვა

ტექსტის შერჩევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ინფორმაციის მიღება გინდათ. ზოგჯერ თხრობითი ტექსტის წაკითხვა უფრო ადვილია, ვიდრე განმარტებითისა, რადგან მკითხველები ასეთი ტექსტის სტრუქტურას უკეთ იცნობენ. თუმცა, განმარტებითი ტექსტების შერჩევა მეტ ინფორმაციას მოგვაწვდის მოსწავლის პრობლემების გადაჭრის სტრატეგიების შესახებ, როდესაც რომელიმე სასკოლო საგანთან დაკავშირებულ ტექსტს ვაკითხებთ. როდესაც თხრობითი და განმარტებითი ტექსტების ეპიზოდებს ვარჩევთ არაფორმალურ საკითხავ რესურსებში, როგორცაა, მაგალითად, კითხვის რაოდენობრივი აღმრიცხველი-4 (ლესლი და კალდეელი, 2006), თავდაპირველად უნდა განვსაზღვროთ მოსწავლის დონე სიტყვათა ჩამონათვალის მიხედვით, ხოლო შემდეგ შევარჩიოთ ტექსტი ან ფრაგმენტი ერთი საფეხურით ქვემოთ. ნაცნობი ტექსტის კითხვა გამოავლენს, საკითხავი მასალის სირთულე შეესაბამება თუ არა მოსწავლის დონეს და იყენებს თუ არა ის ნასწავლ სტრატეგიებს. უცნობი ტექსტების კითხვა გამოავლენს, აქვს თუ არა მოსწავლეს სურვილი, გასწიოს რისკი და მის უნარს, გამოიყენოს და გააერთიანოს სტრატეგიები დამოუკიდებლად (ვოლკერი, 2004). ერთ გვერდზე ერთი ცნების შემცველი ტექსტის შერჩევა, რომელიც შესაბამისადაა დასურათებული, შესაძლოა, აძლიერებდეს ხმამაღლა კითხვის უნარს, ხოლო ვრცელმა ტექსტმა შეიძლება მოსწავლეს ინტერესი გაუქროს. სწორად შერჩეული ტექსტების საშუალებით შეიძლება მიიღოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია სასწავლო აქტივობების დასაგეგმად. გააგრძელეთ ტექსტების კითხვა, სანამ ფრუსტრაციულ დონეს არ მიაღწევთ.

2. ხმამაღლა კითხვის ჩვევის კოდირება: მოცემული კოდირების სისტემა წარმოადგენს მეთოდს, რომლის მიხედვითაც ეპიზოდი უნდა გადაიკითხოთ ზუსტად ისე, როგორც მოსწავლე კითხულობს. მოსწავლის წაკითხული ტექსტის კოდირებისათვის გამოიყენეთ ხმამაღალი კითხვის მანერის კოდირებისა და შეფასების გზამკვლევი (იხ. დანართი; გვ. 244) და ნახეთ, როგორ აღინიშნება თითოეული შეცდომა. ჩაინიშნეთ სიტყვ(ებ)ის თავზე ტექსტში შენაცვლებული, გამოტოვებული, ჩართული, გამეორებული, ყოყმანი და თვითშესწორებული ადგილები. დასვით მძიმე იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს რამდენიმე მცდელობა ჰქონდა. ორ წამზე მეტი თუ იყოყმანა, დაწერეთ / ნიშანი სიტყვებს ან ასოებს შორის. გამეორების შემთხვევაში დაწერეთ გ და ჩასვით წრეში და დახატეთ ისარი უკან მიმართულებით, საიდანაც გამეორება იწყება. შეფასების პროცესში არც ერთი სიტყვა არასოდეს არ უთხრათ მოსწავლეს. ამან შეიძლება იმოქმედოს ფრაგმენტის გაგების პროცესზე. გარდა ამისა, ეს მოსწავლეებს აფიქრებინებს, რომ თუ ცოტა ხანს მოიცდიან, მასწავლებელი უკარნახებს სიტყვას და არ დასჭირდებათ პრობლემების გადაჭრის სტრატეგიებს მიმართონ. როდესაც შეფასების პროცესი არ მიმდინარეობს, თქვენ შეიძლება გარკვეული სტრატეგიული მინიშნებები გაუკეთოთ, რომ პრობლემები გადაჭრან. ამ შემთხვევაში დაწერეთ მ და ჩაწერეთ წრეში. ეს ითვლება შეცდომად. წარმოდგენილი მაგალითი არის შეცდომების კოდირება ბრეტის მოთხრობიდან „ანი და გარეული ცხოველები“ (*Annie and the Wild Animals*, Brett, 1985):

მოსწავლის წაკითხული: Ann fund ✓ cat cuddled (/ III s/t/r/a/n/g/, strong plaks s-c
რეალური ტექსტი: Annie found her ^A curled up in strange places.

ყურადღება მიაქციეთ, რომ მაგალითში რამდენიმე ტიპის შეცდომა გვხვდება. თუ მოსწავლე მართლაც ასე კითხულობს, მაშინ ის ფრუსტრაციულ დონეზეა.

3. მიმართულებები: შეფასებისათვის საჭიროა მასალებია: ტექსტი, რომელიც უნდა წაკითხონ მოსწავლეებმა, ფურცელი, რომელზეც ჩაწერთ ხმამალა კითხვის ჩვევებს, ფურცლის დასამაგრებელი პატარა დაფა; კალამი, კასეტიანი მაგნიტოფონი და ფირი სურვილის მიხედვით, არ არის სავალდებულო. კოდირებისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერი ამ სამი ფორმატიდან: ორმაგი მანძილით დაბეჭდილი ტექსტი, ტექსტის ქსეროასლი ან ცარიელი ფურცელი. თუ იყენებთ ცარიელ ფურცელს, წიგნის თითო ხაზი უნდა შეესაბამებოდეს კოდირების ნიშნების თითო ხაზს. გამოიყენეთ (,) ნიშანი ყოველ სწორად დაწერილი სიტყვისთვის, ხოლო აღნიშნეთ თითოეული შეცდომა სიტყვის თავზე და მათ შორის გაუსვით ხაზი. დაბრძანდით მოსწავლის გვერდით, ოდნავ უკან, რათა დააკვირდეთ კითხვის პროცესს და ჩაიწეროთ ისე, რომ მოსწავლემ ვერ დაინახოს, რას წერო. შემდეგ აუხსენით მოსწავლეს, რა უნდა გააკეთოს: „დღეს შენ წაკითხავ და მე მოგისმენ. ზუსტად ჩავინიშნავ, რასაც იტყვი. მე არ შემიძლია დაგეხმარო, ამიტომ მაქსიმალური კონცენტრაცია გააკეთე რთული ადგილების კითხვაზე. როდესაც კითხვას დაასრულებ, წაკითხულის შესახებ კითხვებს დაგისვამ. ამ მოთხრობას ჰქვია...“ შეგიძლიათ მოკლე მიმოხილვა გააკეთოთ ან კითხვები დასვათ, რათა განსაზღვროთ მოსწავლის წინასწარი ცოდნა. სანამ მოსწავლე კითხულობს, გააკეთეთ მისი წაკითხულის კოდირება. თუ მოსწავლე ძალიან ჩქარა კითხულობს და ვერ ახერხებთ კოდირებას, სთხოვეთ მას, დაუკლოს ტემპს. სანამ კოდირებაში არ გაიწაფებით, კარგი იქნება წაკითხულის აუდიოჩაწერა, რათა შემდეგ გადაამოწმოთ, რომ კოდირება უშეცდომოდაა შესრულებული.

4. ხარვეზების ანალიზი და მინიშნებების (სიგნალების) წყაროები: ხარვეზად მიიჩნევა ნებისმიერი გადახრა, მაგალითად: სიტყვების შენაცვლება, ჩანართები, გამოტოვება, გამეორება და თვითშესწორება. ხარვეზების ანალიზი გვაწვდის ინფორმაციას, რამდენად აკეთებს მკითხველი ტექსტის აზრის კონსტრუირებას. ეს ანალიზი ეყრდნობა რამდენიმე თეორიულ ვარაუდს, რომლებსაც გუდმანი და მარეკი გვთავაზობენ (გუდმანი და მარეკი, 1996) და შეჯამებულია ვოლკერის მიერ (ვოლკერი, 2004): მკითხველები კითხულობენ ტექსტს აზრის კონსტრუირებისათვის; კითხვა არ არის სწორხაზოვანი პროცესი. ზოგი შეცდომა უფრო მნიშვნელოვანია (მძიმეა), ვიდრე დანარჩენი. შეცდომები უნდა შეფასდეს იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად ცვლის ის აზრს; მკითხველები იყენებენ შესწორების სტრატეგიების თანამიმდევრულ მოდელებს, რაც მიანიშნებს, რომ ისინი ტექსტის დამუშავების პროცესში არიან. ამ ანალიზში უნდა გაანალიზდეს შეცდომების ტიპები და გამოყენებული სიგნალების წყაროები.

ყველა ხარვეზი, გარდა გამეორებებისა და ყოყმანისა, უნდა შევიდეს შეცდომების ანალიზის ანკეტაში (იხ. დანართი, გვ. 252). თითოეული ხარვეზის შემთხვევაში ჩაწერეთ მოსწავლის პასუხი, (/) ნიშანი და შემდეგ სიტყვა ტექსტიდან. ჩანართებთან დასვით (^) ნიშანი, ხოლო გამოტოვებულის ადგილას - დეფისი (-). თუმცა გამეორება და თვითშესწორება კითხვის პროცესში შეცდომადაა მიჩნეული და ხელს უშლის თავისუფლად კითხვას, ეს არ არის არასწორი პასუხი, ამდენად, ისინი არ შედის ხარვეზების ანალიზის ანკეტაში. ყოყმანი და პუნქტუაციის ნიშნების გამოტოვება არის გაწაფულობის და არა სიზუსტის საკითხი, ამდენად, ამ ანკეტაში არც ისინი არ შედის. თითოეული შეცდომა აღნიშნეთ (✓) ნიშნით, რომელიც აღნიშნავს შეცდომის ტიპს (თვითშესწორებას, გამოტოვებას, ჩამატებას, დეკოდირებას ან შენაცვლებას). აღნიშნეთ დეკოდირება, თუ მოსწავლე ამოწმებს სიტყვას ან წარმოთქვამს არარსებულ სიტყვას. გამოიყენეთ შენაცვლების ნიშანი, თუ მოსწავლე რეალურ სიტყვას სხვა სიტყვით ანაცვლებს.

სემანტიკური (აზრის), სინტაქსური (სტრუქტურა ან გრამატიკა) და გრაფოფონიკური (ვიზუალური და ხმოვანი) სიგნალები, რომლებიც გამოყენებულია შეცდომების დაშვებისას, იძლევა შესაძლებლობას, შევისწავლოთ, როგორ მიმდინარეობს დამუშავების პროცესი კითხვისას. თითოეული შეცდომისათვის აღნიშნეთ სიგნალი, რომელიც სიტყვასთან მიმართებით პირველი მცდელობისას იყო გამოყენებული. გრაფოფონიკური სიგნალები მიანიშნებს, გამოიყენა თუ არა მკითხველმა სწორი საწყისი (ს), შუა (შ) და ბოლო (ბ) ბგერები. გრაფოფონიკური სიგნალები გამოიყენება, როდესაც მკითხველი სიტყვის შესახებ ვარაუდს გამოთქვამს ვიზუალურ ან ბგერობრივ მსგავსებებზე დაყრდნობით, მაგალითად, *very* და *every*, ან როდესაც მკითხველი ცდილობს წარმოთქვას *o/t/h* სიტყვაში *other*. სინტაქსური სიგნალებით შესაძლებელია ვარაუდის გამოთქმა სიტყვასთან დაკავშირებით წინადადების სტრუქტურასა და გრამატიკული მნიშვნელობის შემცველ სტრუქტურებზე დაყრდნობით. მაგალითად, *run*-ის შენაცვლება *swim*-ით, ორივე მათგანი ზმნაა. მოსწავლე სემანტიკურ სიგნალებს იყენებს იმ ტიპის შეცდომების დაშვებისას, როდესაც მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებს ანაცვლებს, მაგალითად, *little*-ს *small*-ით. ზოგადად, მოსწავლე ეყრდნობა კონტექსტს და საკუთარ გამოცდილებას სემანტიკური შეცდომების დაშვებისას.

ბოლო სვეტი გამოყენებულია იმის აღსანიშნად, ხარვეზების არსებობის მიუხედავად, ტექსტის აზრი შენარჩუნებულია თუ არა. ყველა შეცდომა თანაბარ გავლენას არ ახდენს ტექსტის აზრის გაგებაზე.

მაგალითი:

მოსწავლის წაკითხული: Toad put the covers over his head.

რეალური ტექსტი: Toad pulled the covers over his head.

Put და *pulled* სიტყვებს, ზოგადად, არა აქვთ ერთი და იგივე მნიშვნელობა, მაგრამ ამ წინადადებაში ტექსტის აზრი შენარჩუნებულია და, ამდენად, შეცდომა მისაღებადაა მიჩნეული. არასწორი წარმოთქმა კიდევ ერთი მაგალითია იმისათვის, რომ ტექსტმა შესაძლოა შეინარჩუნოს თავისი აზრი. მაგალითად, /puˈskeˈte /spaghetti-ს ნაცვლად. აგრეთვე, მოსწავლე, რომელიც *going* -ის ნაცვლად *gonna* -ს ამბობს, არ ცვლის აზრს. სიზუსტის (უშეცდომობისა) და ქულების შედარებით შეგიძლიათ გაარკვიოთ, მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომების მიუხედავად შენარჩუნებულია თუ არა ტექსტის აზრი. თუ მოსწავლე გამსვლელ ქულაზე მაღალ ქულას იღებს, შესაძლოა მას უფრო რთული ტექსტები შევთავაზოთ და შემდეგ სიზუსტის ტესტზე ვიფიქროთ.

თუმცა სიტყვების სიზუსტე მნიშვნელოვანია, მთავარი მიზანი მაინც გაგებაა. გაწაფული მკითხველებიც კი უშვებენ შეცდომებს. ვინაიდან ამ შეფასების მიზანი მოსწავლეთათვის შესაბამისი დონის ტექსტის დადგენაა, უნდა განვიხილოთ, რამდენად მისაღებ შეცდომებს უშვებს მკითხველი და ტექსტის აზრის გაგებაში მიღებული ქულებიც. როდესაც უკვე თითოეულ შეცდომას გავანალიზებთ, თითოეული სვეტის მიხედვით განვსაზღვრავთ შემთხვევათა რაოდენობასა და მოსწავლეთა ძლიერ მხარეებსა და საჭიროებებს უცნობი სიტყვების პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისით.

ხარვეზების ანალიზის ანკეტის მონაცემებში მოსწავლეები ქულებს იღებენ: სიტყვების სიზუსტის, მისაღებობის, თვითშესწორების მიხედვით. აგრეთვე, გრაფოფონიკური, სინტაქსური და სემანტიკური სიგნალების გამოყენებით. ხმამაღლა კითხვისას დაშვებული შეცდომების ანალიზის ანკეტა გვამღებს ქულების გამოთვლის ფორმულას (იხ. დანართი; გვ. 252). სიზუსტის ქულის გამოსათვლელად მხედველობაში არ მიიღება თვითშესწორებები, გამეორებები, ყოყმანი და პუნქტუაციის ნიშნების გამოყენება, რადგან ისინი არ ითვლება შეცდომებად სიტყვების სიზუსტის თვალსაზრისით. თვითშესწორებების მცდელობები, გამეორებები და ყოყმანი მიუთითებს, რომ მოსწავლე აკვირდება საკუთარ კითხვის პროცესს და ცდილობს წაკითხულის გაგებას. საბოლოო (გამსვლელ) ქულაში შეგვყავს ყველა სწორი სიტყვა და პლუს ყველა შეცდომა, რომლებიც გაუსწორებლად დავტოვებთ და არ ცვლის ტექსტის აზრს.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეთა სიზუსტის, გაგებისა და გადასალახ (მისაღებ) ქულებს დავადგენთ, შესაძლოა განვსაზღვროთ მათი დონე კითხვაში. ბეტსი (1946) პირველი იყო, ვინც კითხვის სამი დონე შემოგვთავაზა. ის ეყრდნობოდა სიზუსტისა და გაგების ქულებს. ეს დონეებია: დამოუკიდებელი დონე; ინსტრუქციული დონე და ფრუსტრაციული დონე (იხ. ცხრილი 4.1). ამ დონეების იდენტიფიცირების მიზანი იყო მოსწავლეთა კითხვის დონის განსაზღვრა და მათთვის შესაბამისი სასწავლო მასალების შერჩევა. მასალებმა, ერთი მხრივ, გამოწვევა უნდა შეუქმნას მკითხველს, ხოლო, მეორე მხრივ, დაეხმაროს მას.

დამოუკიდებელი დონე - მოსწავლე კითხულობს თავისუფლად, წაკითხულს წარმოთქვამს და ესმის საუკეთესოდ. ამას სხვანაირად რეკრეაციულ (დასვენების) კითხვის დონესაც უწოდებენ. მოსწავლეს, რომელიც დამოუკიდებლად კითხულობს მასალებს, ხშირად დიდი ინტერესი უჩნდება წასაკითხი საკითხის მიმართ.

ამ დონისათვის უნდა შეირჩეს დამატებითი და დამოუკიდებელი კითხვისათვის განკუთვნილი მასალები.

ინსტრუქციულ დონეზე მოსწავლე კითხვის თვალსაზრისით ვითარდება მასწავლებლის ინსტრუქტაჟის პირობებში. ამას მეორენაირად სწავლების დონესაც უწოდებენ. საკითხავი მასალები უნდა შეიცავდეს გარკვეულ გამოწვევებს, მაგრამ არ უნდა იყოს ძალიან რთული. ეს დონე უკავშირდება ვიგოტსკის მიახლოებითი განვითარების ზონის კონცეფციას (იხ. თავი 1). პატარა ჯგუფებში გამოყენებული სასწავლო მასალები უნდა თავსდებოდეს ამ ზონაში.

ფრუსტრაციული დონე - მოსწავლეს ბევრი სიტყვის წარმოთქმა არ შეუძლია და ვერ იგებს მასალას. სასურველია სასწავლო მიზნებისათვის ამ დონეს თავი ავარიდოთ. მასალა ზედმეტად რთულია და მოსწავლის ფრუსტრირებას (იმედგაცრუებას) იწვევს, რის გამოც კითხვაში განვითარების პროცესს აფერხებს. თუმცა, მიზანშეწონილია, მასწავლებელმა ხმამაღლა წაუკითხოს ამ დონის ტექსტები მოსწავლეებს, რომლებიც ამ დონეზე არიან (განხილულია მე-5 თავში). თუკი მოსწავლეებს აინტერესებთ საკითხები, რომლებსაც ეს მასალები ეხება, შესაძლოა, გადაიკითხოთ, მაგრამ სასწავლო მიზნებისათვის მათი გამოყენება მიზანშეწონილი არ არის.

თუმცა, პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ეს დონეები ძალიან მოსახერხებელია მასწავლებლებისათვის ტექსტების შერჩევის პროცესში, უნდა გვახსოვდეს, რომ ძალიან იშვიათად ხერხდება მოსწავლის კითხვის

დონის ზუსტად განსაზღვრა, განსაკუთრებით დაწყებითი დონეების შემდეგ. შინაარსის, ჟანრის ან სტრუქტურის ცოდნა-არცოდნამ შესაძლოა სხვადასხვანაირად იმოქმედოს მოსწავლის უნარზე, წაკითხოს და გაიგოს შერჩეული მასალა. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, წაკითხონ თავიანთივე შერჩეული წიგნები ყველა დონეზე, თუ მათ აინტერესებთ.

თუ მოსწავლე არჩევს ზედმეტად რთულ წიგნს, მიეცით მას არჩევანი, გააგრძელოს კითხვა ან დაეხმარეთ მას, შეარჩიოს მისთვის უფრო შესაფერისი. შემდეგ შესაძლებელია შეცდომების მოდელების იდენტიფიცირება და შესაბამისი ინსტრუქციების შემუშავება. ეს ხელს უწყობს სხვა სიგნალებისა (მინიშნებების) და დამატებითი სტრატეგიების გამოყენებას, რაც აადვილებს გაგების პროცესსა და შეცდომების თვითმესწორებას კითხვის პროცესში. ქვემოთ წარმოდგენილია ხმამალა კითხვის ჩანაწერები და მათი ანალიზი.

ცხრილი 4.1 მიმდინარე დონე			
	დამოუკიდებელი დონე	ინსტრუქციული დონე	ფრუსტრაციული დონე
ვერბალური სიზუსტე	95% - 100%	90% - 94%	89% და ნაკლები
ვერბალური მისაღებობა	98% - 100%	95% - 97%	94% და ნაკლები
გაგება	90% - 100%	70% - 89%	69% და ნაკლები

მაგალითი: ხარვეზების ანალიზის ანკეტა, ხელთათმანი (ბრეტი, 1989).

სახელი/გვარი:	კლასი:						თარიღი:			
სათაური: „ხელთათმანი“, ჯენ ბრეტი (<i>The Mitten by Jan Brett</i>)	სიტყვების რაოდენობა: 310						ტექსტის დონე: DRA დონე 28			
მოსწავლის პასუხები/ ტექსტი	შეცდომების ტიპები						გამოყენებული სიგნალების ტიპები		აზრი შენარჩუნებულია	
1. Nicholas/Nicki		✓				✓	ს	✓	✓	დიახ
2. /k/n_t/knit s-c	✓				✓		შ, ბ			დიახ s-c
3. like/look		✓				✓	ს	✓		
4. turning/tunneling		✓				✓				
5. decided/discovered		✓				✓	ს, ბ	✓		
6. he/a s-c	✓					✓				დიახ s-c
7. something/things s-c	✓						შ, ბ	✓	✓	დიახ s-c
8. with/the s-c	✓					✓				დიახ s-c
9. arg/argue		✓			✓		ს			
10. picture, prediction, pickles/prickles		✓				✓	ს			
11. there/through		✓				✓	ს			
12. evered/eyed		✓			✓					
13. ^A /and		✓			✓					დიახ
14. then/when		✓				✓	შ, ბ			
15. dear/diggers		✓				✓	ს			

16. The/A		✓				✓		✓	✓	დიახ
17. spid/spied		✓			✓		ს			
18. pulled/plumped s-c	✓					✓	ს, ბ	✓		დიახ s-c
19. tight/tightly		✓				✓	ს, შ		✓	დიახ
20. arg/argue		✓				✓	ს			
21. a/an s-c	✓					✓		✓	✓	დიახ s-c
22. corn/acorn s-c	✓					✓	შ, ბ	✓	✓	დიახ s-c
23. snap/shape		(✓				✓	ს, შ			
24. dis/distance s-c	✓					✓	ს			დიახ s-c
25. -/silhouetted		✓	✓							
საერთო:	8	17	1	1	6	16	16	8	6	12, 4 არა s-c

მაგალითი: ხმამაღლა კითხვის (მცდარი კავშირების) ანალიზის შეჯამება

სახელი/გვარი:	კლასი: 3	თარიღი: 10/13
სათაური: „ხელთათმანი“, ჯენ ბრეტი (The Mitten by Jan Brett)	სიტყვების რაოდენობა: 198 310-დან	დონე: DRA 28
ტექსტის ტიპი: თხრობითი ან განმარტებითი	კითხვის მეთოდი: ხმამაღალი, ჩუმი ან მოსმენა	

ხმამაღალი კითხვის შეჯამება

ქულების ტიპი	გამოთვლა	შეფარდება	პროცენტი	მიმდინარე დონე
სიტყვების სიზუსტე	სიტყვები სწორია = სიტყვათა რაოდენობა-გაუსწორებელი შეცდომები სიტყვათა რაოდენობა	181 ----- 198	91%	ინსტრუქციული
ტექსტის აზრი/მისაღებობა	სწორი სიტყვები + გაუსწორებელი აზრი შენარჩუნებულია ხარვეზების შემთხვევაში სიტყვების რაოდენობა	185 ----- 198	93%	ინსტრუქციული

შეცდომების ქულები

თვითშესწორება	თვითშესწორებები/შეცდომათა რაოდენობა	≈	32%	იშვიათად გამოყენებული
გამოტოვება	გამოტოვება /შეცდომათა რაოდენობა	1 25	4%	ძალიან იშვიათად გამოყენებული Rarely used
ჩანართები	ჩანართები/ შეცდომათა რაოდენობა	1 25	4%	ძალიან იშვიათად გამოყენებული
დეკოდირებული ბგერები ან არარსებული	დეკოდირებული ბგერები/შეცდომათა რაოდენობა	6 25"	24%	იშვიათად გამოყენებული

რეალური სიტყვების შინაჯვლობა	შენაცვლებები/ შეცდომათა რაოდენობა	18 25"	64%	ხშირად გამოყენებული
------------------------------	-----------------------------------	-----------	-----	---------------------

სიგნალთა გამოყენების სისტემის ქულები

გრაფოფონიკური	გრაფოფონიკური სიგნალების გამოყენების რაოდენობა	16 25	64%	ხშირად გამოყენებული
	შეცდომების რაოდენობა			
სინტაქსური	სინტაქსური სიგნალების გამოყენების რაოდენობა	8	32%	იშვიათად გამოყენებული
	შეცდომების რაოდენობა	25		
სემანტიკური	სემანტიკური სიგნალების გამოყენების რაოდენობა	6	24%	იშვიათად გამოყენებული
	შეცდომების რაოდენობა	25		

ტექსტის კითხვის დონე			
	დამოუკიდებელი	ინსტრუქციული	ფრუსტრაციული
ხმამალა წაკითხულის სიზუსტე*	95%–100%	90%–94%	89% და ნაკლები
სიტყვიერი (ვერბალური) მისაღებობა	98%–100%	95%–97%	94% და ნაკლები
გაგება	90%–100%	70%–89%	69% და ნაკლები
სიგნალების გამოყენების სისტემის დონე			
75%–100%	ყველაზე ხშირად გამოყენებული სიგნალები		
50%–74%	ხშირად გამოყენებული სიგნალები		
20%–49%	ხანდახან გამოყენებული სიგნალები		
19% და ნაკლები	იშვიათად გამოყენებული სიგნალები		

ანალიზი: მოსწავლის ხმამალა კითხვის დონე შეესაბამებოდა ინსტრუქციულ დონეს. გაგების თვალსაზრისითაც, როგორც ეს შეფასებული და გაანალიზებულია გაგების თავში, ინსტრუქციულ დონეზეა. უცხო სიტყვებთან ხშირად იყენებდა (წარმოთქვამდა) საწყის ბგერებს. ვარაუდებისათვის ზოგჯერ იყენებდა სინტაქსსა და სემანტიკას. მან თავად გაასწორა თავისი შეცდომების 32%, რაც მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია იმ დროსთან შედარებით, როდესაც ის იშვიათად ასწორებდა საკუთარ შეცდომებს. შეცდომების შემთხვევაშიც კი, მის მიერ წარმოთქმული სიტყვების უმრავლესობა რეალურად არსებული სიტყვები იყო. ამავე დროს, რამდენიმე მათგანი მხოლოდ დეკოდირებულ ბგერებს წარმოადგენდა.

ინსტრუქციები: მოსწავლე უნდა შეაქოთ თვითშესწორებების რაოდენობის გამო. მან ხელახლა უნდა წაიკითხოს ის სიტყვები, რომელთა წინა ჯერზე წაკითხვისას რეალური სიტყვა არ ამოიკითხა ან აზრს არ შეიცავდა (უაზრობა იყო). დაფარული სიტყვების გამოცნობა შესაძლოა ეფექტური სტრატეგია იყოს, რომ მოსწავლემ ივარაუდოს სწორი, რეალური სიტყვა.

ხმამალა კითხვის სტრატეგიების შეფასება

მიზანი: კითხვის დროს გამოყენებული სტრატეგიების იდენტიფიცირება განკუთვნილია ნებისმიერი ხმამალა კითხვისათვის, როდესაც სიტყვების სიზუსტის თვალსაზრით მკითხველი ინსტრუქციულ ან ფრუსტრაციულ დონეზეა.

პროცესის აღწერა: როდესაც მოსწავლე ხმამალა კითხულობს, იდენტიფიცირება გაუკეთეთ იმ სტრატეგიებს, რომლებსაც ის მიმართავს სიტყვების გასაგებად. აღნიშნეთ (+) ნიშნით, თუ ეს სტრატეგია

ხშირადაა გამოყენებული; (✓) ნიშნით, თუ იშვიათად, ხოლო (-) ნიშნით - თუ ძალიან იშვიათად ან საერთოდ არაა გამოყენებული.

მაგალითი:

ხმამალა კითხვის სტრატეგიების შეფასება		
+ იყენებს ხშირად	✓ იყენებს იშვიათად	- ძალიან იშვიათად
✓		
✓		
✓		
-		
-		
-		
✓		
-		
-		
✓		
-		
✓		

ანალიზი: მოსწავლე, ზოგადად, ცდილობდა გამოეთქვა უცნობი სიტყვები. ძირითადად, სწორად წარმოთქვამდა პირველ ან პირველ ორ ბგერას. ზოგჯერ ის კითხულობდა და იგებდა ასეთ სიტყვებს, თუმცა, იშვიათად კითხულობდა განმეორებით, ყოფდა სიტყვებს ნაწილებად ან ცდილობდა სხვადასხვა ბგერის წარმოთქმას. მან 12 შეცდომიდან 3-ის შემთხვევაში თვითშესწორებას მიმართა. თვითშესწორების შემთხვევებში სიტყვები თავდაპირველად განსხვავდებოდა ტექსტში მოცემული სიტყვებისაგან.

ინსტრუქცია: გამოიყენეთ ხმამალა კითხვის სტრატეგიების საკონტროლო ჩამონათვალი მასწავლებლებისათვის, კლასელებისა (თანატოლებისა) და საკუთარი თავისთვის, რათა გააუმჯობესოთ სიტყვათა ამოცნობის სტრატეგიების ცოდნა (აღწერილია ამავე თავში მოგვიანებით; იხ. აგრეთვე დანართი, გვ. 255-256). განსაკუთრებული აქცენტი გააკეთეთ განმეორებით კითხვაზე, თუ ტექსტი ძნელი გასაგებია.

გამოქვეყნებული კითხვის არაფორმალური აღმრიცხველი და ემერჯენტული წიგნიერების შეფასება

არსებობს სხვადასხვა სახის კითხვის არაფორმალური აღმრიცხველი, რომელთაგანაც შევარჩიე წიგნიერების შეფასების ოთხი ქვემოთ მოცემული ვარიანტი, რადგან ისინი ყველაზე ეფექტურად მუშაობს მოსწავლის კითხვის პროცესის შეფასებისას: სადამკვირვებლო მიმოხილვა (კლეი, 1978; ილინოისის ადრეული წიგნიერების კადრი (ბარი და სხვები, 2004); განმავითრებელი კითხვის შეფასება (DRA; ბევერი, 2001); და კითხვის ხარისხობრივი აღმრიცხველი-4 (QRI-4; ლესლი და კალდეელი, 2006).

სადამკვირვებლო მიმოხილვა (Observational Survey) კლეიმ ემერჯენტული წიგნიერების შესაფასებლად შექმნა (კლეი, 1978). ამ შეფასებაში შედის ასოების იდენტიფიცირება, ნაბეჭდი ტექსტების კონცეფცია, სიტყვების შესახებ ტესტები, წერის პროცესისათვის განკუთვნილი ლექსიკა, წერითი კარნახი და ტექსტების კითხვა. ჩანაწერები აღებულია 30 საფეხურებრივად დაყოფილი წიგნიდან წინა დაწყებით და მესამე კლასებს შორის. თითოეულ წიგნს ახლავს შესავალი და ჩანაწერი.

სიტყვების სიზუსტის ქულა გამოითვლება შეცდომების ანალიზის შემდეგ.

ილინოისის ადრეული წიგნიერების კადრის (Illinois Snapshot of Early Literacy - ISEL) ავტორები არიან ბარი და სხვები (2004), რომლებმაც ის შექმნეს კლეის შრომებზე დაყრდნობით, თუმცა ის მასწავლებლებისათვის ერთგვარი შესამოწმებელი / დასახარისხებელი ინსტრუმენტია, რომელიც ეხმარება მათ, შეაფასონ ემერჯენტული წიგნიერების ყველა უბანი, რომელთა შესახებაც საუბარია National Reading Panel report-ში (NICHD, 2000). აქ წარმოდგენილია 2 სხვადასხვა ტესტი. საბავშვო ბაღის და პირველი კლასის ტესტები შეიცავს ქვეტესტებს ანბანის ამოცნობაზე, მოთხრობების მოსმენის, ფონემების ცოდნის, ერთმანეთთან დაკავშირების და სიტყვების დასახელების, ასოების შესაბამისი ბგერების, განმავითარებელი წერის,

ლექსიკის, ფრაგმენტის სიზუსტისა და თავისუფლად გაგების შესახებ. მეორე კლასის ტესტი ამოწმებს მართლწერას, სიტყვების ამოცნობას, გაწაფულობას, განვრცობილ წერილობით პასუხებს, ფრაგმენტის სიზუსტესა და გაგებას და ლექსიკას. გაფართოებული კვლევის ფარგლებში, გამსვლელ ქულას იღებდნენ ყოველი დონის დასაწყისსა და ბოლოში. პირადად მე ამ შეფასების პილოტირება და ადაპტაცია განვახორციელე (ISEL ღია რესურსია და მისი მოპოვება შესაძლებელია ინტერნეტში).

განმავითარებელი კითხვის შეფასება - Developmental Reading Assessment (DRA): თუკი მოსწავლე აგროვებს სიტყვების ჩამონათვალის პირველი კლასის შესაბამის ან ნაკლებ ქულას, DRA-ს გამოყენება შეიძლება ტექსტების კითხვისათვის, რადგან ის თითოეულ საფეხურს ყოფს ქვესაფეხურებად. მაგალითად, კითხვის პირველი საფეხური შედგება 1-16 დონეებისაგან. კითხვის ეს დონეები იგივეა, რაც „კითხვის აღდგენის შეფასების მოთხრობებში“ (კლეი, 1979), მაგრამ, მისგან განსხვავებით, გაგების შეფასებასაც შეიცავს. ეს შეფასება გამოსადეგია, როცა ვარჩევთ დონეებად სწორად დაყოფილ მასალას მართული ან დამოუკიდებელი კითხვისათვის, განსაკუთრებით კითხვის ემერჯენტულ დონეზე. ამჟამად ბევრი გამომცემელი განსაზღვრავს წიგნის დონეს, მათ შორის DRA დონეებისა და ფონეტასა და პინელის მართული კითხვის დონეების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ DRA თავდაპირველად შეიქმნა, რათა გაემარტივებინა მე-3 კლასის მოსწავლეებთან გამოყენება, მასში შეზღუდული იყო არამხატვრული ტექსტები და ფართოდ იყო წარმოდგენილი გაგების დროს დაშვებული შეცდომების ანალიზი, როგორც ეს ამ რესურსშია აღწერილი, ის სასარგებლო იქნება მოსწავლის კითხვის პროცესის გასაგებად.

კითხვის ხარისხობრივი აღმრიცხველი-4 - QRI-4: (ლესლი და კალდეელი, 2006) კითხვის არაფორმალური აღმრიცხველია, რომელიც ადგენს მოსწავლის ხმამალა, ჩუმად კითხვისა და მოსმენის დონეებს. ამისთვის ის იყენებს სიტყვათა ჩამონათვალს წინა დაწყებითიდან მე-12 კლასის ჩათვლით და განმარტებითი და თხრობითი ტექსტების პასაჟებს. მიუხედავად იმისა, რომ აქ შედის წინა დაწყებითისათვის შესაფერისი დაბალი დონის ტესტები, DRA-ში, შეტანილია დამატებითი (უფრო რთული) დონე ემერჯენტული მკითხველებისათვის, რომელთა კორელაციაც შესაძლებელია წიგნების დონესთან. დაბალ დონეზე გვხვდება ტექსტები ნახატებით, საშუალო და მაღალი კლასებისათვის - უფრო გრძელი და განსხვავებული შინაარსის ტექსტები. მოსწავლის კითხვის ჩვევების (ქცევის) ანალიზისათვის ხმამალა კითხვის ჩანაწერები მზადდება კითხვის პროცესში და შემდეგ გაანალიზდება მცდარი კავშირები (შეცდომები). პასაჟის გაგების დონე მოწმდება შინაარსთან დაკავშირებული სპეციალური კითხვების საშუალებით, შესამოწმებლად გამოიყენება, აგრეთვე, საკონტროლო კითხვების ჩამონათვალი და, ექსპლიციტური და იმპლიციტური ხასიათის კითხვები მას შემდეგ, რაც მოსწავლე ხმამალა ან ჩუმად წაიკითხავს პასაჟს. გარდა ამისა, მოსმენილის გაგების დონის დადგენაც მნიშვნელოვანია, თუკი მოსწავლეს შეუძლია მისი გაგება, მაშინაც კი, თუ სიტყვების სიზუსტის თვალსაზრისით მისი დონე ფრუსტრაციულია (კვლევის შედეგად დადგინდა, რომ QRI-4-ის წინამორბედში პროცენტულად ყველაზე მეტი მაღალი დონის კითხვები შედის, ვიდრე დანარჩენ 7 არაფორმალური კითხვის აღმრიცხველში (ეპლიგეტი, ქუინი და ეპლიგეტი, 2003).

თავისუფლად კითხვის შეფასება

ამ შეფასებაში სრულყოფილად და ასახული თავისუფლად კითხვის კომპონენტები, შემდეგი ელემენტების გათვალისწინებით: ფრაზების ფორმირება, სიზუსტე და ტემპი, განსხვავებით ზოგიერთი სხვა შეფასებისაგან, რომლებშიც შეფასებულია შეზღუდულად მხოლოდ სწორი სიტყვების 1 წუთში წარმოთქმული რაოდენობა.

თავისუფლად კითხვის შეფასება მასწავლებლებისა და კლასელების (თანატოლების) მიერ

მიზანი: ეს შეფასება შექმნილია ზუტელისა და რასინსკის (1991) სამგანზომილებიან შეფასებაზე დაყრდნობით (იხ. მაკანდრუსი, 2006). ეს უკანასკნელი შეიცავს თავისუფლად კითხვის შემოწმებას შემდეგი თვალსაზრისით: ფრაზების ფორმირება, სიზუსტე და ტემპი, ისევე, როგორც თავისუფლად კითხვის სხვა ელემენტების კომპილაციაში. მისი გამოყენება შეუძლიათ მასწავლებლებს სწავლების იმ ხერხების დასაგეგმად, რომლებიც მოსწავლეებს გაუუმჯობესებს და ჩამოუყალიბებს თავისუფლად კითხვის ჩვევებს, ასევე კლასელებს (თანატოლებს), რათა დაეხმარონ თანაკლასელებს გაწაფულად კითხვის მიღწევაში (იხ. დანართი; გვ. 258).

პროცესის აღწერა: როდესაც მოსწავლე ხმამაღლა კითხულობს პასაჟს, დააკვირდით მის გაწაფულობას და შეადარეთ შემდეგ ინდიკატორებს თავისუფლად კითხვის თითოეული ელემენტისათვის: კითხულობს ფრაზებად (ძირითადად კლაუზას (ზმნა-სახელი) ან წინადადებას), ყურადღებას ამახვილებს პუნქტუაციის ნიშნებზე, რომლებითაც სრულდება წინადადება (წერტილი, კითხვის ნიშანი, ძახილის ნიშანი...), სასვენ ნიშნებზე, რომლებიც წინადადების შუაში წარმოდგენილი (მძიმე, ორწერტილი, წერილ-მძიმე); კითხვის დროს აქცენტს აკეთებს გამომსახველობაზე (ინტონაციაზე); კითხულობს გადაბმულად (მხოლოდ რამდენიმე შეფერხებით), სიტყვებთან დაკავშირებულ პრობლემებს ჭრის სწრაფად (ჩვეულებრივ, თვითშესწორების საშუალებით); კითხულობს დამოუკიდებელ დონეზე (5-ზე ნაკლები ხარვეზი 100 სიტყვაზე); კითხულობს მისაღები ტემპით (და არა სწრაფად) და შეუძლია წაკითხულის გაგება და გადმოცემა. აღნიშნეთ (+) ნიშნით, როდესაც მოსწავლე ზოგადად თავისუფლად კითხულობს, (✓)-ით - როდესაც მხოლოდ ხანდახან კითხულობს თავისუფლად და (-) ნიშნით, როდესაც ძალიან იშვიათად. ტესტის შეთავაზება შესაძლებელია სასწავლო წლის განმავლობაში, რათა სწორად დავგეგმოთ პროცესი და დავაკვირდეთ პროგრესს.

მაგალითი: თავისუფლად კითხვის შეფასება მასწავლებლისა და კლასელების (თანატოლების) მიერ.

სახელი: მაურიცი		თარიღი	
სათაური/ავტორი: რწყილი ; ჯანელ ქენონი, 2005	დონე: მართული კითხვა 0		ჟანრი: თხრობითი
მოსწავლე	ზოგადად თავისუფლად კითხულობს+	ხანდახან კითხულობს თავისუფლად	ძალიან იშვიათად კითხულობს თავისუფლად
კითხულობს ფრაზებად ქულა : ✓	წინადადებებს კითხულობს აზრის შემცველ ფრაზებად ან კლაუზებად.	კითხულობს შერეულად - სწორ ფრაზებად და თითოეული სიტყვის ამოკითხვით/ სიტყვა სიტყვით.	ერთ ჯერზე კითხულობს მხოლოდ ერთ ან ორ სიტყვას
ყურადღებას ამახვილებს პუნქტუაციაზე ქულა : ✓	პაუზას აკეთებს წინადადების ბოლოს გამოყენებულ (წერტილი, ძახილის ნიშანი...)და წინადადების შუაში გამოყენებულ (მძიმე, ორწერტილი...) სასვენ ნიშნებთან	ჩვეულებრივ, აკეთებს პაუზას წინადადების ბოლოს გამოყენებულ სასვენ ნიშნებთან, მაგრამ წინადადების შუაში გამოყენებულებთან - არა.	იშვიათად აკეთებს პაუზას სასვენ ნიშნებთან.
კითხულობს გამომსახველობითადა ქულა: -	კითხულობს სწორი მახვილებითა და ინტონაციით. ცვლის ინტონაციას საჭიროების შემთხვევაში. დრამატიზების საჭიროებისას კითხულობს შესაბამისად. ცვლის ხმას.	გარკვეულ შემთხვევებში კითხულობს შესაბამისი გამომსახველობით; ზოგ შემთხვევაში მახვილსა და ინტონაციასაც ცვლის.	იშვიათად კითხულობს შესაბამისი გამომსახველობით; იშვიათადვე ცვლის მახვილსა და ინტონაციას.

კითხულობს უწყვეტად/გაბმით ქულა: ✓	ბგერებს კითხულობს გადაბმულად. ჩერდება იშვიათად, მხოლოდ მაშინ, როდესაც საჭიროა პრობლემების გადაწყვეტა.	ძირითადად გადაბმით/უწყვეტად კითხულობს, რამდენიმე ადგილას ყოყმანობს და იმეორებს ერთსა და იმავეს.	ბგერებს კითხულობს ტალღისებურად, ტოვებს ზოგ მათგანს. რამდენიმე ადგილას ყოყმანობს და იმეორებს ერთსა და იმავეს.
ეფექტურად იყენებს პრობლემების გადაწყვეტის სტრატეგიებს ქულა: -	პირველივე სტრატეგიის გამოყენების შემდეგ აზრობრივი ხარვეზი თავად შეასწორა.	გამოიყენა ორი-სამი სტრატეგია და აზრობრივი ხარვეზების უმრავლესობა თავად გაასწორა.	გამოიყენა მრავალი სტრატეგია, თუმცა ეს შედეგში არ ასახულა და თვითშესწორება ვერ შეძლო.
კითხულობს საუბრის ტემპში ქულა: ✓	კითხვის ტემპი საუბრის ტემპის იდენტურია. არც ჩქარა კითხულობს და არც ნელა და სხვებისათვის გასაგებია.	კითხვის ტემპი არეულია: ხან ჩქარია, ხან ნელი, ზომიერად ნელია ან ძალიან ჩქარია. ამდენად, სხვებს უჭირთ გაგება.	კითხულობს ნელა და გაჭირვებით.
კითხულობს სიტყვების სიზუსტის დამოუკიდებელ დონეზე ქულა: ✓	კითხულობს სიტყვების სიზუსტის დამოუკიდებელ დონეზე (95% ან მეტი სიტყვების სიზუსტე, 5-ზე ნაკლები ხარვეზი 100 სიტყვაზე).	კითხულობს სიტყვების სიზუსტის ინსტრუქციულ დონეზე (90-94% სიტყვების სიზუსტე, 6-10 ხარვეზი 100 სიტყვაზე).	კითხულობს ფრუსტრაციულ დონეზე (89% ან ნაკლები სიტყვების სიზუსტე, 11 ან მეტი ხარვეზი 100 სიტყვაზე).
შეუძლია წაკითხულის გაგება ან მოყოლა ქულა: -	შეუძლია ტექსტის ყველა ელემენტის მოყოლა ან ძირითადი იდეისა და ძირითადი დეტალების გადმოცემა.	შეუძლია ტექსტის ელემენტების უმრავლესობის მოყოლა ან ძირითადი იდეისა და ძირითადი დეტალების გადმოცემა.	არ შეუძლია ტექსტის მნიშვნელოვანი ელემენტებისა და ძირითადი იდეისა და დეტალების გადმოცემა.

ანალიზი: ამ თხრობითი ტექსტის განმავლობაში მოსწავლე ზოგჯერ კითხულობს ფრაზებად, ითვალისწინებს პუნქტუაციას, კითხულობს უწყვეტად/გაბმით, საუბრის ტემპში და ინსტრუქციულ დონეზე. თუმცა, მოსწავლეს ყურადღება არ გაუმახვილებია გამომსახველობაზე, მაშინაც კი, როდესაც რწყილი ყვირის „ოჰ, არა!“ ან „მოიცადე“. მოსწავლე ტოვებს უცნობ სიტყვებს და იშვიათად მიმართავს თვითშესწორების სტრატეგიებს. მან ვერ შეძლო რწყილის პრობლემების მოყოლა ან გადმოცემა, როგორ დაიცვა დასახლება ჭიანჭველების ლაშქრისაგან.

ინსტრუქცია: მოსწავლეს უნდა ჰქონდეს მეტი შესაძლებლობა, რომ მოუსმინოს გამომსახველობით ხმამალა წაკითხულ მეტ ტექსტს. გარდა ამისა, მას სჭირდება განხილვა და ვარჯიში, თუ სად უნდა

შეცვალოს მკითხველმა ხმა კითხვის დროს ექსპრესიის მისაღწევად. მოსწავლისათვის სასარგებლო იქნება კარგი მკითხველის სანიშნე (იხ. თავი 3. დანართი, გვ. 251) უცნობი სიტყვებისათვის. დაბოლოს, ხმამაღლა ფიქრის სტრატეგიები ან ამბების რუკა დაეხმარება მას, ამბის მთავარი მოვლენებისა და გადაწყვეტების იდენტიფიცირებაში.

მიმდინარე თვითშეფასება თავისუფლად კითხვაში

მიზანი: მიმდინარე თვითშეფასება თავისუფლად კითხვაში (იხ. დანართი, გვ. 259) მასწავლებლებისა და კლასელების (თანატოლების) მიერ თავისუფლად კითხვის შეფასების მსგავსია და ეხმარება მოსწავლეებს, რომ თავადვე შეაფასონ საკუთარი გაწაფულობა კითხვაში და სთავაზობს მათ თავისუფლად კითხვის ინდიკატორებს.

პროცესის აღწერა: მოსწავლეები აკეთებენ საკუთარი წაკითხულის აუდიოჩანაწერს, შემდეგ უსმენენ და აფასებენ შემდეგი პრინციპით (+) - ზოგადად თავისუფლად კითხვა; (✓) - ზოგჯერ; (-) - იშვიათად ქვემოთ მოცემული ინდიკატორების მიხედვით: ვკითხულობ ფრაზებად, ვაკეთებ პაუზას წინადადების ბოლოსა და შუაში გამოყენებულ სასვენ ნიშნებთან. ხმა შევცვალე ექსპრესიის გადმოსაცემად და დავაწყვილე/დავაკავშირე ტექსტში გადმოცემული აზრები და ემოციები. ვკითხულობდი გადაბმით, ვიყენებდი სხვადასხვა სტრატეგიას შეცდომების გამოსასწორებლად, ვკითხულობდი საუბრის ტემპში; შემიძლია სიტყვების უმრავლესობის წაკითხვა და წაკითხულის მოყოლა.

მოსწავლეებს შეუძლიათ ხელახლა წაიკითხონ ტექსტი და შეაფასონ კითხვის პროცესი, რათა განსაზღვრონ, რომელ უბნებზე მიაღწიეს უკეთეს შედეგს.

ხმამაღლა თავისუფლად კითხვის სტრატეგიები

მასწავლებელი და მოსწავლეები კითხულობენ სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს. მასწავლებლები სთხოვენ მოსწავლეებს, წაიკითხონ ნაცნობი წიგნები. შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ მოკლე პაუზა გააკეთონ მიმდინარე, ხოლო უფრო გრძელი - წინადადების ბოლოს გამოყენებულ სასვენ ნიშნებთან. სთხოვეთ მოსწავლეებს, დაფიქრდნენ ყოველი წინადადების შემდეგ, გადმოსცემს თუ არა აზრს. თუ არა, სთხოვეთ მათ, განსაზღვრონ, რაშია პრობლემა. თუ მოსწავლეებს უჭირთ დაიმახსოვრონ ადგილი, რომელსაც კითხულობენ, ურჩიეთ, გამოიყენონ სანიშნე ან თითი მიაყოლონ თითოეულ ხაზს. სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ გააკეთონ თავიანთი წაკითხულის ხმოვანი ჩანაწერი და შემდეგ მოისმინონ საკუთარი წაკითხულის მონიტორინგის მიზნით. შეუქმენით მათ პატარა ჯგუფებში კითხვის შესაძლებლობა. შეეცადეთ, ყოველთვის მიმართონ კითხვის პროცესის თვითრეფლექსიას.

ორი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგია არის: ხარვეზების თვითანალიზი და ჩემ მიერ მომზადებული ხმამაღალი კითხვის სტრატეგიების საკონტროლო ჩამონათვალი (მაკანდრეუსი, 1999, 2002, 2006), რომლებიც დეტალურადაა განხილული შემდგომში. არსებობს ხმამაღლა კითხვის სტრატეგიების სამი სხვადასხვა საკონტროლო ჩამონათვალი: ერთს ავსებს მასწავლებელი; მეორეს - კლასელები (თანატოლები), ხოლო მესამე მოსწავლის თვითშეფასებისათვისაა განკუთვნილი (მაკანდრეუსი, 1998, 2000, 2004; იხ. დანართი, გვ. 255-257). ჩემი მონაცემები ამ საკონტროლო ჩამონათვალების ეფექტურობის შესახებ 1-ლი - მე-8 კლასის მოსწავლეებში აჩვენებს, რომ კითხვაში ჩამორჩენილ მოსწავლეებს, რომელთა მასწავლებლებიც იყენებენ სამივე ჩამონათვალს და სთავაზობენ მოსწავლეებს სტრატეგიების სანიშნეებს, უფრო ხშირად შეუძლიათ თვითშესწორება კითხვის პროცესში, ვიდრე იმ ჩამორჩენილ მოსწავლეებს, რომლებიც არ იცნობენ ამ შეფასებებს. ხმამაღლა კითხვის სტრატეგიების საკონტროლო ჩამონათვალი უფრო მეტია, ვიდრე ინსტრუმენტი. ის არის გზა, რომ გაუმჯობესდეს მოსწავლის კითხვის უნარი რეფლექსიისა და ანალიზის გზით.

კარგ მკითხველსა და სუსტ მკითხველს შორის განსხვავებას განაპირობებს სტრატეგიების მრავალფეროვნება, რომლებსაც ისინი იყენებენ იმ სიტყვებთან მიმართებით, რომელთა წაკითხვაც მათ არ შეუძლიათ. სტრატეგიების ეს საკონტროლო ჩამონათვალი ეხმარება მოსწავლეებს პრობლემების გადაჭრაში და, აქედან გამომდინარე, კითხვის სტრატეგიების ათვისებაში. სტრატეგიები უნდა ისწავლებოდეს ავთენტური ლიტერატურის კითხვის პროცესში. კითხვის სტრატეგიების ასათვისებლად მოსწავლეებს სჭირდებათ ამ სტრატეგიებში ვარჯიში უსაფრთხო, თუმცა გარკვეული რისკის შემცველ გარემოში.

ხარვეზების თვითანალიზი

მიზეზი: ხარვეზების რეტროსპექტიული ანალიზის კონცეპტებზე დაყრდნობით (გუდმანი და მარეკი, 1996), ეს ორი თვითშეფასება შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს, მონიტორინგი გაუწიონ საკუთარ კითხვის პროცესს. პირველი მეთოდი შეიცავს მასწავლებლისა და მოსწავლის ინტერაქციას. მეორე მეთოდში მოსწავლე ანალიზს მარტო აკეთებს.

პროცესის აღწერა: ან თქვენ, ან მოსწავლე არჩევთ საინტერესო ტექსტს, რომელიც ახლოსაა მოსწავლის კითხვის დონესთან. დაწყებამდე ჩაატარეთ ინტერვიუ, რათა განსაზღვროთ მოსწავლის წინარე ცოდნა. გააკეთეთ მოსწავლის წაკითხულის აუდიოჩანაწერი. საწყისი სესიის შემდეგ საჭიროა ხარვეზთა კოდირება ტექსტის ნაბეჭდ ვერსიაზე და იმ ხარვეზთა შერჩევა, რომლებსაც განიხილავთ მათი რეტროსპექტიული ანალიზისას. ზოგჯერ შესაძლოა მოასმენინოთ მოსწავლეს ჩანაწერი და დააპაუზოთ, თუკი ხარვეზი შეგხვდათ. თქვენ და მოსწავლეს შეგიძლიათ ერთად მოისმინოთ და მონიშნოთ ხარვეზები ბეჭდურ ვერსიაში. ამის შემდეგ განიხილეთ ხარვეზები ქვემოთ მოცემული შვიდი შეკითხვის მიხედვით. შეკითხვები ეკუთვნით გუდმანსა და მარეკს (გუდმანი და მარეკი, 1996, გვ. 45):

1. გასაგებია თუ არა ეს შეცდომა?

2. ჰგავს თუ არა შეცდომა/ხარვეზი ინგლისურ ენას? გასწორდა თუ არა ხარვეზი?

თუ ამ კითხვებზე პასუხი არის „არა“, დაუსვით შემდეგი შეკითხვები:

3. ეს შეცდომა ჰგავს თუ არა იმას, რაც იმ გვერდზე/ფურცელზე იყო/ეწერა?

4. ეს შეცდომა ისეთივეა, როგორც ეწერა?

ნებისმიერი ტიპის ხარვეზისათვის დაუსვით შემდეგი შეკითხვები:

5. როგორ გგონია, რატომ დაუშვი შეცდომა?

6. ახდენს თუ არა ეს შეცდომა გავლენას ტექსტის გაგებაზე შენს შემთხვევაში?

7. რატომ ფიქრობ ასე? საიდან იცი?

როდესაც მოსწავლეებს აქვთ მასწავლებელი-მოსწავლის სესიებში გამოცდილება, მათ შეუძლიათ გამოიყენონ შემდეგი ადაპტირებული მეთოდი: მოსწავლე კითხულობს მოთხრობას ან ფრაგმენტს აუდიოჩანაწერში, შემდეგ კი ისმენს ტექსტს.

ყოველ ადგილზე, სადაც მოსწავლე სირთულეს ხვდება, აჩერებს ჩანაწერს და აქცენტს აკეთებს სიტყვებზე. ამის შემდეგ კი მოსწავლე პასუხობს ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებს.

კარგი მკითხველების პოსტერი

მიზანი: იმ სტრატეგიების შეთავაზება, რომელთა გამოყენება შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც მკითხველი ვერ იგებს სიტყვებს და აცნობიერებს, რომ წაკითხული აზრს არა შეიცავს ან არასწორია. პოსტერზე თითოეული ნახატი თითო სტრატეგიას შეეფერება და ეხმარება მოსწავლეებს, საკონტროლო ჩამონათვალში მოცემული სტრატეგია უცხად განსაზღვრონ (იხ. დანართი, გვ. 260).

პროცესის აღწერა: დაკიდეთ კარგი მკითხველის პოსტერი საკლასო ოთახში და ყველა მოსწავლეს მიეცით პირადი სანიშნე კარგი მკითხველისათვის (იხ. თავი 3 და დანართი, გვ. 251). აუხსენით მოსწავლეებს, რომ სათაური „კარგი მკითხველი“ შეირჩა იმიტომ, რომ სწორედ კარგი მკითხველები და არა სუსტები, იყენებენ სტრატეგიებს უცნობი სიტყვების განსაზღვრად და აზრის გამოსატანად წაკითხულიდან. ხმამალა წაკითხეთ მოსწავლეების კითხვის დონის შესაფერისი სტრატეგიები და შესთავაზეთ თითოეული სტრატეგიის გამოყენების მაგალითი მაშინვე, სანამ კითხულობთ.

მოსწავლეებს კითხვის პროცესში შეახსენეთ, რომ გამოიყენონ კარგი მკითხველის სანიშნე, როდესაც უცნობი სიტყვები ხვდებათ ან როდესაც ვერ იგებენ წაკითხულის აზრს. ამ სანიშნის გამოყენება შესაძლებელია ხმამალა კითხვის სტრატეგიების საკონტროლო ჩამონათვალთან ერთად კომბინაციაში.

ხმამალა კითხვის სტრატეგიების საკონტროლო სია

მიზანი: დაეხმაროს მოსწავლეებს სიტყვების ეფექტურად იდენტიფიცირებასა და საკუთარი ხარვეზების შესწორებაში ვერბალური სტრატეგიების გამოყენებით, როდესაც ხვდებათ სიტყვები, რომელთა მნიშვნელობასაც უცებ ვერ იგებენ და საჭიროების შემთხვევაში მიმართონ თვითშესწორებას, როდესაც არ გადმოსცემს აზრს/უაზრობა, არ გამოიყურება ან არ ჟღერს სწორად. ეს ორსვეტიანი საკონტროლო

ჩამონათვალი (იხ. დანართი; გვ. 255) შეიძლება გამოვიყენოთ კითხვის პროცესში, რათა გამოვავლინოთ და გავაანალიზოთ მოსწავლის მიერ გამოყენებული სტრატეგიები უცხო სიტყვებთან მიმართებით (მარცხენა სვეტი) და გამოვავლინოთ და გავაანალიზოთ მინიშნებები (დახმარება), რომლებსაც მოსწავლეებს ვთავაზობთ, რომ სიტყვების იდენტიფიცირებისათვის ახალი სტრატეგიები გამოიყენონ (პირველი და უფრო მაღალი კლასებისათვის) - მარჯვენა სვეტში. კარგი მკითხველების მიერ გამოყენებული სიგნალებისა და სტრატეგიების იდენტიფიცირებითა და მოდელირებით თქვენ შეგიძლიათ შესთავაზოთ მოსწავლეებს „კრიტიკული მომენტის სწავლება“ (გულდმანი და მარეკი, 1996) და ასწავლოთ სტრატეგიები, რომელთაც ისინი შეარჩევნებენ, როდესაც პრობლემების გადაჭრა თავად მოუწევთ.

პროცესის აღწერა: შეარჩიეთ ფრაგმენტი, რომელიც დაახლოებით მოსწავლის კითხვის დონეს შეესაბამება. პირველი შეფასებისას მოსწავლე არ იცნობს სტრატეგიებს კარგი მკითხველის სანიშნიდან. უთხარით მოსწავლეებს, რომ თქვენ აღნიშნავთ ყველაფერს, რასაც ისინი კარგად გააკეთებენ. შემდეგი შეფასებისათვის მიეცით მათ კარგი მკითხველის სანიშნე რესურსად გამოსაყენებლად და უთხარით: „მე ჩავინიშნავ ყველა კითხვისას თქვენ მიერ გამოყენებულ ყველა სტრატეგიას“. დაუსვით შეკითხვა: „სათაურის, ნახატების ან უკვე წაკითხულის მიხედვით, თქვენი აზრით, რის შესახება უნდა იცოს ეს მოთხრობა?“

როდესაც მოსწავლე კითხულობს, გამოიყენეთ ≠ ყოველ სტრატეგიასთან, რომელსაც მოსწავლე იყენებს ჩამონათვალის მარცხენა სვეტში. აღნიშნეთ თვითშესწორების რაოდენობაც. ყოველი გაუსწორებელი ხარვეზისათვის მიუთითეთ, მსგავსია თუ არა ისინი აზრობრივად, სინტაქსურად ან ვიზუალურად. როდესაც მოსწავლე წაიკითხავს ფრაგმენტს ან მის ნაწილს, სთხოვეთ, მოყვეს ტექსტში გადმოცემული მნიშვნელოვანი ამბები ან აზრები.

მოსწავლის მიერ გამოყენებული სტრატეგიების შეფასების შემდეგ გამოიყენეთ მარჯვენა სვეტი ≠ თითოეული მინიშნებისათვის, რომლებითაც მოსწავლეებს დაეხმარეთ სიტყვების სწორად იდენტიფიცირებაში. წარწერა **დალოდების დრო** მარჯვენა სვეტში, მინიშნებების თავზე, შეგახსენებთ, რომ მოსწავლეს მინიმუმ სამი წამი უნდა მისცეთ მოსაფიქრებლად შეცდომის დაშვების შემდეგ, ან მოიცადეთ, სანამ მოსწავლე დაასრულებს იმ წინადადების ან პარაგრაფის კითხვას, რომელშიც მნიშვნელოვანი შეცდომა დაუშვა და შემდეგ შეუსწორეთ. ეს თქვენც გაძლევთ დროს, რომ დაგეგმოთ, რა იქნება ყველაზე ეფექტური მინიშნება, რომელიც მოსწავლეს პრობლემის გადაჭრაში დაეხმარება. აღნიშნეთ, რამდენჯერაც დალოდების დროს მისცემთ. თუ მოსწავლეს დახმარება სჭირდება, ჰკითხეთ: „რომელ სტრატეგიას მიმართავდი სანიშნიდან?“. თუ მოსწავლე ვერ ახერხებს თვითშესწორებას, ურჩიეთ რომელიმე ერთი სტრატეგია და აღნიშნეთ მარჯვენა სვეტში. არც ერთი სიტყვა არ უთხრათ მოსწავლეს, რადგან ის აღარ შეეცდება პრობლემების საკუთარი ძალებით გადაჭრას, თუმცა გააგრძელებთ მინიშნებები მანამ, სანამ მოსწავლე არ მიხვდება სიტყვას.

4.2 ცხრილში წარმოდგენილია მინიშნებები და როდის უნდა შესთავაზოთ ისინი მოსწავლეს. სტრატეგიული მინიშნებები არ არის მოცემული განსაზღვრული მიმდევრობით, არამედ თავდაპირველად ჯერ თქვენ უნდა შეარჩიოთ და შემდეგ მოსწავლემ, რომელი სტრატეგია იქნება საუკეთესო შეცდომების გასწორების თვალსაზრისით.

მინიშნებები სტრატეგიების შესახებ	როდის უნდა შესთავაზოს მასწავლებელმა მინიშნება
დალოდების დრო	მიეცით მოსწავლეს დრო, სანამ რამე მინიშნებას შესთავაზებთ. მინიშნებამდე დააცადეთ, რომ წინადადება ბოლომდე წაიკითხოს.
დააკვირდით სურათებს და იფიქრეთ აღწერილი ამბის შესახებ	გამოიყენეთ ნახატი, დიაგრამა ან წინა შინაარსი, თუკი ისინი დაეხმარება მოსწავლეს უცნობი სიტყვების გაგებაში.
წარმოთქვით პირველი სამი ბგერა (სამი შეირჩა იმიტომ, რომ ეს რაოდენობა გაცილებით ეფექტურია, ვიდრე ვარაუდის გამოთქმა მხოლოდ საწყისი ბგერის მიხედვით და ხშირად უფრო ეფექტურიც კი, ვიდრე მთელი სიტყვის წარმოთქმა)	გამოიყენეთ მაშინ, როდესაც მოსწავლე ხანგრძლივ პაუზას აკეთებს, ან თუ ამის საჭიროებას ხედავთ, როდესაც მოსწავლე პირველ ბგერას წარმოთქვამს.

წაკითხეთ სიგნალების/მინიშნებების შესაკრებად	გამოიყენეთ იმ შემთხვევაში, თუ წინადადების დარჩენილი ნაწილის კონტექსტი დაეხმარება. შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეს, დაიწყოს თავიდან.
დაიწყეთ კითხვა თავიდან	გამოიყენეთ, თუ წინადადების დასაწყისი ან წინა წინადადება დაეხმარება მოსწავლეს.
დაყავით სიტყვა ნაწილებად	გამოიყენეთ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლემ იცის სიტყვების ნაწილები ან მრავალმარცვლიანი
წარმოთქვით სხვადასხვა ბგერა	გამოიყენეთ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე არასწორად წარმოთქვამს ფონემებს. აუცილებლობის შემთხვევაში უთხარით სწორი ბგერა
გადმოსცემს თუ არა აზრს?	გამოიყენეთ მაშინ, როდესაც მოსწავლე აგრძელებს კითხვას და შეცდომა/ხარვეზი გაუგებარია
სწორად გამოიყურება?	გამოიყენეთ მაშინ, როდესაც შეცდომა არ გამოიყურება, როგორც სწორი სიტყვა
სწორად ჟღერს?	გამოიყენეთ, როდესაც ხარვეზი მეტყველების არასწორი ნაწილია.
რომელია პრობლემური ნაწილი?	გამოიყენეთ, როდესაც მოსწავლე სწორად კითხულობს ხარვეზის შემდეგ.
ეს ნაწილი ხელახლა წაკითხეთ	გამოიყენეთ იმის მისანიშნებლად, რომ ადგილი ჰქონდა ერთ ან უფრო მეტ ხარვეზს და მოსწავლემ უნდა განსაზღვროს ისინი.
მართალი ხართ? საიდან იცით?	უმაღლესი მეტაკოგნიტური დონე: თავდაპირველად გამოიყენეთ, როდესაც მოსწავლე მართალია, რათა მან თავად შეაფასოს თავისი კითხვის პროცესი. შემდეგ კი გამოიყენეთ როგორც სწორად, ისე არასწორად წაკითხული ტექსტის (ან მისი ნაწილის) შემთხვევაში.
კიდევ რისი გაკეთება შეგიძლია?	გამოიყენეთ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლემ ვერ შეძლო პირველი სტრატეგიის გამოყენება.
შეაჯამეთ თქვენ მიერ წაკითხული	გამოიყენეთ იმის შესაფასებლად, გაიგო თუ არა წაკითხული მოსწავლემ.

ზოგიერთი მინიშნება ძალიან სპეციფიკურია, ხოლო ზოგი მკითხველს უფრო მეტი მეტაკოგნიციის საშუალებას აძლევს საკუთარი წაკითხულის შესაფასებლად. პრობლემების გადასაჭრელად შესაძლოა საჭირო გახდეს რამდენიმე მინიშნების გაკეთება, რათა მოსწავლეებს პრობლემების გადაჭრაში დაეხმაროთ. საწყის ეტაპზე ეს შეიძლება იყოს ძალიან სპეციფიკური მინიშნებები, მაგალითად: „დააკვირდი სურათს. რომელი ცხოველი მასზე გამოსახული?“ ან „შეეცადე წარმოთქვა გრძელი - ბგერა“. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაიწაფებიან სტრატეგიების გამოყენებაში, შეიძლება უფრო ზოგადი მინიშნებებით დაეხმაროთ: „გადმოსცემს თუ არა აზრს?“ ან „კიდევ ერთხელ სცადე“. თანდათანობით თქვენი დახმარება უფრო მეტაკოგნიტური ხასიათის უნდა გახდეს (მაგალითად, „გადმოსცემს თუ არა აზრს?“), რომ მოსწავლემ მეტი იფიქროს და დამოუკიდებელი გახდეს. მინიშნებები - „მართალი ხარ?“ და „საიდან იცი?“ ხშირად პირველად მას შემდეგ გამოიყენება, როდესაც მოსწავლეებს შეუძლიათ თვითშესწორება, ხოლო თქვენი მიზანია, რომ მათ თავადვე შეაფასონ თავიანთი შეცდომები. მოგვიანებით ეს მინიშნებები შეიძლება მაშინაც გამოიყენოთ, როდესაც მოსწავლე ცდება, მაგრამ არ გინდათ, რომ თქვენ დაგეყრდნოთ და თქვენგან გაიგოს, რომ არასწორად გააკეთა რაღაც.

მარჯვენა სვეტი დაგეხმარებათ იმის გააზრებაში, როგორ მინიშნებებს აძლევთ მოსწავლეებს და რომელი მათგანია ეფექტური თვითშესწორებებისათვის და რომელი არა. თუ მოსწავლე ყველაზე ხშირად გრაფოფონიკურ სიგნალებს იყენებს, შესაძლოა საჭირო იყოს სემანტიკური და სინტაქსური მინიშნებებით დახმარება. მოსწავლეებს უნდა შეახსენოთ, რომ ხელახლა წაკითხვა და თვითშესწორება ძალიან ეხმარება

მათ. სტრატეგიების წარმატებული გამოყენების შემთხვევებიც კი უნდა წახალისოთ, რადგან სანამ მოსწავლეები შეასწორებენ საკუთარ წაკითხულს, მათ უნდა გაიაზრონ, რომ პრობლემა აქვთ.

როდესაც ინსტრუქციების განსასაზღვრად საკონტროლო ჩამონათვალს აანალიზებთ, პირველ რიგში გაარკვიეთ მოსწავლის მიერ გამოყენებული სტრატეგიები და აისახა თუ არა ისინი თვითშეწორების პროცესზე. შემდეგ განსაზღვრეთ ის სტრატეგიები, რომელთა გამოყენებაც მოსწავლეებს შეეძლებოდათ სიტყვების ეფექტურად იდენტიფიცირებისათვის. აგრეთვე, გაანალიზეთ თქვენივე მინიშნებები და შეაფასეთ, მოახდინა თუ არა გავლენა შეცდომების კორექტირებაზე. მიუთითეთ ერთი ან ორი სტრატეგია, რომლებიც მოსწავლემ ხმამაღლა კითხვისას გამოიყენა. ეს შეიძლება იყოს თვითშეწორება ან სტრატეგიები პრობლემის გადასაჭრელად. თუ მოსწავლე არ იყენებს მათ, მიუთითეთ წინადადებებზე, რომლებშიც შეცდომები არ არის დაშვებული და ჰკითხეთ, გადმოსცემდა თუ არა ეს წინადადებები აზრს/ იყო თუ არა აზრის შემცველი.

რადგან შესაძლოა არაპრაქტიკული ან არასწორი იყოს თითოეული შეცდომის განხილვა, პირველ რიგში შეარჩიეთ ისეთები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს აზრის გაგებაზე. სთხოვეთ მოსწავლეს, ხელახლა წაიკითხოს წინადადება, რათა ნახოთ, შეუძლია თუ არა თვითშეწორება. თუ მოსწავლე თვითშეწორებას არ აკეთებს, თქვენ თვითონ წაიკითხეთ წინადადება ზუსტად ისე, როგორც მოსწავლემ წაიკითხა და ჰკითხეთ, რომელია პრობლემური ადგილი. შემდეგ გააგრძელეთ იმ სტრატეგიებზე მინიშნებებით, რომლებიც საბოლოოდ შეცდომების კორექტირებაზე ახდენს გავლენას. ამის შემდეგ დაავალეთ მოსწავლეს, რომ წაიკითხოს წინადადება, რათა გაიაზროს, გადმოსცემს თუ არა ის აზრს, ისმის თუ არა სწორად და გამოიყურება თუ არა სწორად. როდესაც სესია დასრულდება, დაუსვით კითხვა მოსწავლეს, რომელი სტრატეგიების გამოყენება სცადა უცნობი სიტყვების გასაგებად. გაანალიზეთ თქვენი მინიშნებები და შეაფასეთ, აისახა თუ არა ის შეცდომების გასწორებაზე. განსაზღვრეთ ყველაზე ეფექტური სტრატეგიები და მინიშნებები განსხვავებული ტიპის შეცდომებისათვის.

ხმამაღალი კითხვის სტრატეგის საკონტროლო ჩამონათვალი კლასელებისათვის (თანატოლებისათვის)

მიზანი: პატარა ჯგუფებში კითხვის მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეებმა განსაზღვრონ გამოყენებული სტრატეგიები, დაეხმარონ კლასელებს სტრატეგიების გამოყენებაში და, აგრეთვე, იმ სტრატეგიების სწავლება, რომელთა გამოყენებაც შეძლებენ კითხვისას სტრატეგიების გამოყენების პროცესის გასამარტივებლად (პირველკლასელები და უფრო მაღალი კლასის მოსწავლეები). გაცილებით ადვილია, რომ შენიშნო სხვების შეცდომები და გამოყენებული სტრატეგიები, ვიდრე საკუთარი; ამიტომაც კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს საშუალებას მივცემთ, შეაფასონ თანაკლასელების (თანატოლების) კითხვის სტრატეგიები, სანამ საკუთარს შეაფასებენ. ეს საკონტროლო ჩამონათვალი მოსწავლეებს სთავაზობს უფრო მეტს, ვიდრე კლასელებისათვის მათთვის უცნობის სიტყვების კარნახს. აქცენტი უნდა გაკეთდეს სტრატეგიების გამოყენების წახალისებაზე და არა დაშვებულ შეცდომებზე.

პროცესის აღწერა: შეარჩიეთ ფრაგმენტი, რომელიც დაახლოებით მოსწავლის კითხვის დონისაა. პატარა ჯგუფებში მუშაობისას მოსწავლეები დაახლოებით ერთ დონეზე უნდა იყვნენ და თითო დღეს თითო მოსწავლეზე გააკეთეთ აქცენტი. როდესაც მოსწავლე კითხულობს, სხვები უსმენენ, გამოავლენენ გამოყენებულ სტრატეგიებს და აღნიშნავენ კლასელებისათვის განკუთვნილ ხმამაღალი კითხვის სტრატეგიების საკონტროლო ჩამონათვალში (იხ. დანართი, გვ. 255). როდესაც მოსწავლეები გამოავლენენ მკითხველის მიერ გამოყენებულ სტრატეგიებს, ჩამონათვალის შესაბამის ადგილას ათავსებენ მარკას ან იყენებენ მარკერს აღსანიშნად. მკითხველისთვის დალოდების დროის მიცემა დადებით გავლენას ახდენს სტრატეგიების გამოყენებაზე. თუ მკითხველს არ შეუძლია სიტყვის გასწორება დალოდებისათვის განკუთვნილი ადეკვატური დროის განმავლობაში, ჰკითხეთ ჯგუფის წევრებს, ხომ ვერ შესთავაზებენ სტრატეგიებს, რომლებიც დაეხმარება მკითხველს სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრაში. ზოგჯერ ძალიან ეფექტურია სტრატეგიათა კომბინაციის გამოყენება. ჯგუფის წევრები მიანიშნებენ მოსწავლეს, თუ როგორ უნდა გაასწოროს ხარვეზი. როდესაც მოსწავლე ასრულებს კითხვას, საჭიროა მისი წაკითხულის შეჯამება. კლასელები სვამენ ნიშანს, შეძლო თუ არა მკითხველმა ამის გაკეთება.

საკონტროლო ჩამონათვალის ბოლოს შეფასებაა, რომელშიც მოსწავლეები გამოავლენენ ეფექტურ სტრატეგიებს და სტრატეგიებს, რომლებიც შესაძლოა მომავალში გამოადგეთ. ამ აქტივობას მოჰყვება დისკუსია, როგორ და როდის უნდა გამოვიყენოთ ესა თუ ის სტრატეგია. შემდეგი მოსწავლე, დიდი ალბათობით, შეეცდება დამატებითი სტრატეგიების გამოყენებას და დაიწყებს მათ გამოყენებასა და პრობლემების გადაჭრას კითხვის პროცესში.

ხმამალა კითხვის სტრატეგიების ჩამონათვალი თავად მკითხველისათვის

მიზანი: დაეხმაროს მკითხველს, თავად განსაზღვროს სტრატეგიების გამოყენების საკითხი და შეაფასოს, როდის და როგორ გამოიყენოს ესა თუ ის სტრატეგია აუდიოჩანაწერის მოსმენის შემდეგ (1-ლი კლასი და ზემოთ).

პროცესის აღწერა: ეს თვითშეფასება თანაკლასელების მიერ ზეპირი კითხვის სტრატეგიების საკონტროლო ჩამონათვალის მსგავსია და გამოიყენება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მოსწავლე იცნობს სტრატეგიებს და მათ გამოყენებაშიც პრაქტიკულად ივარჯიშა მასწავლებლისა და კლასელების შეფასებებისას, ამდენად, მას შეუძლია უკეთესად შეაფასოს საკუთარი თავი სტრატეგიების გამოყენების თვალსაზრისით. ხმამალა კითხვის სტრატეგის საკონტროლო ჩამონათვალი კლასელებისათვის (თანატოლებისათვის) (იხ. დანართი, გვ. 255) ჰგავს შეცდომების რეტროსპექტიულ ანალიზს (გუდმანი და მარეკი, 1996) იმ თვალსაზრისით, რომ მოსწავლე იწერს თავის წაკითხულს, ხოლო შემდეგ უსმენს ჩანაწერს და აანალიზებს მას. როდესაც მოსწავლეები იყენებენ ხმამალა კითხვის სტრატეგიების საკონტროლო ჩამონათვალს, ისინი მხოლოდ გამოყენებული ან გამოუყენებელი სტრატეგიების იდენტიფიცირებას კი არ აკეთებენ, არამედ ზოგჯერ თავადვე ასწორებენ საკუთარ ხარვეზებს. კლასელების საკონტროლო ჩამონათვალის მსგავსად, მოსწავლეები იყენებენ მარკას ან მარკერს თითოეული სტრატეგიის გამოყენების შემთხვევაში, მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი საკუთარი წაკითხულის ჩანაწერს უსმენენ.

როდესაც საკონტროლო ფურცელი შევსებულია, მოსწავლე არჩევს სტრატეგიებს, რომლებიც მისთვის სარგებლიანია და რომლებიც, მისი აზრით, უფრო ხშირად უნდა გამოიყენოს. თუ მოსწავლეს არ შეუძლია თავად გაასწოროს სიტყვა, იყენებს სკოჩს ან მარკერს მათ მოსანიშნად. ამის შემდეგ თქვენ და მოსწავლე ერთად განიხილავთ გამოყენებულ სტრატეგიებს და სთავაზობთ მას დამატებით მინიშნებებს გაუგებარი სიტყვების მნიშვნელობის მისახვედრად. შეიძლება მოსწავლეების მთელი წლის აუდიოჩანაწერები შეინახოთ. ამით მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, ხელახლა მოისმინონ თავიანთი წაკითხული და შეაფასონ საკუთარი პროგრესი. როდესაც მოსწავლეები გაწაფული მკითხველები ხდებიან, ისინი უფრო ხშირად ასწორებენ საკუთარ შეცდომებს და არჩევენ უფრო ეფექტურ სტრატეგიებს პრობლემების გადასაჭრელად. ძალიან ხშირად მოსწავლეები გაოცებულები რჩებიან, როდესაც ხედავენ, როგორ განვითარდნენ კითხვაში ერთი წლის განმავლობაში.

ზოგადი სტრატეგიები გაწაფულობაში

ქვემოთ მოცემული სტრატეგიები ეხმარება მოსწავლეებს, გაწაფულად (თავისუფლად) წაკითხონ შესაბამისი სიტყვათა კომბინაციით/კავშირით, გამომსახველობით, გაბმულად და ტემპით.

ექოს მეთოდით კითხვა

წყარო: ვოლკერი (2004).

მიზანი: თავისუფლად კითხვის მოდელის შეთავაზება, რომლის გამოყენებაც მოსწავლეებს შეუძლიათ შემდგომში სიტყვების წარმოთქმის, სიტყვათა კომბინაციის/კავშირის, ინტონაციისა და გამომსახველობის იმიტირებით (K-2 კლასის მოსწავლეები).

პროცესის აღწერა: წაკითხეთ წინადადება შესაბამისი სიტყვათა კომბინაციით/კავშირით და ინტონაციით. მოსწავლეები თქვენი მოდელის მიხედვით კითხულობენ იმავე ხაზს მაშინვე, რათა დაიმხსოვრონ, როგორ ჟღერს ტექსტი. თქვენ და თქვენი მოსწავლეები ექოს პრინციპით კითხულობთ ფრაგმენტს. საბოლოოდ, მასწავლებელი ზრდის წასაკითხი ტექსტის მოცულობას.

ჯგუფური კითხვა

წყარო: ოპიტცი და რასინსკი (1998).

მიზანი: კითხვაში გაწაფულობის ხარისხის გაუმჯობესება სხვებთან ერთად მართული ხმამალა კითხვით. ჯგუფური კითხვისას მოსწავლეთა ჯგუფი ერთსა და იმავე ტექსტს ხმამალა კითხულობს

უნისონში. ამის გაკეთება შეიძლება როგორც ერთი ფრაგმენტის, ისე მთელი ტექსტის მიხედვით (K-3 კლასის მოსწავლეები).

პროცესის აღწერა: აირჩიეთ ტექსტი, რომლის ერთობლივი კითხვა ადვილია, მაგალითად, ლექსი, „ივანანას“ ტექსტი და ა. შ. მოამზადეთ ასლი თითოეული მოსწავლისათვის ან მოამზადეთ მისი პოსტერი ან პროექტორის ვერსია. ჯერ წაუკითხეთ ტექსტი ხმამაღლა სტუდენტებს, შემდეგ კი პირველ დღეს წაიკითხეთ რამდენჯერმე ერთობლივად და შემდეგ გაიმეორეთ რამდენიმე დღის განმავლობაში.

დაჭრა / დაყოფა

წყარო: ვოლკერი (2004).

მიზანი: წახალისოს მოსწავლეები, წაიკითხონ აზრის შემცველ/ლოგიკურ ფრაზებად თქვენივე წაკითხული ფრაზების ექოს (გამეორების, კოპირების) მიხედვით. სიტყვების დაყოფა ხელს უწყობს გაგებას პროცესს შედარებით დიდი ერთეულების მოცულობით და არა სიტყვასიტყვითი კითხვით. ეს სტრატეგია განსაკუთრებით გამოსადეგია იმ მოსწავლეთათვის, რომელთაც სიტყვების ამოცნობის თვალსაზრისით პრობლემა არა აქვთ, თუმცა სჭირდებათ წინადადების გაგების დონის გაუმჯობესება (ყველა კლასისათვის).

პროცესის აღწერა: ჩაიწერეთ მოსწავლის მიერ წაკითხული 100-200 სიტყვიანი ფრაგმენტი მოგვიანებით შესაფასებლად. აჩვენეთ მოსწავლეებს, როგორ უნდა წაიკითხოს აზრის შემცველ (მნიშვნელობის შემცველ/ლოგიკურ) ფრაზებად და არა სიტყვების მიყოლებით (სიტყვასიტყვით). გააკეთეთ პაუზა ფრაზებს შორის, მაგალითად, სუბიექტს, შემასმენელს და ნებისმიერ წინდებულებიან ფრაზას შორის. მოსწავლე იმეორებს იმავე ფრაზას. მოსწავლემ უნდა წაიკითხოს ექოს პრინციპით მთელი ფრაგმენტი. შესაძლებლობის შემთხვევაში გაზარდეთ დაყოფილი წინადადებების რაოდენობა, სანამ მოსწავლე გაიმეორებს. როდესაც მოსწავლე თავად მოახერხებს აზრის შემცველ ერთეულების გამოყოფას, მან მასწავლებლის გარეშე უნდა გააგრძელოს კითხვა. ბოლოსაც ჩაიწერეთ მოსწავლის მიერ წაკითხული ფრაგმენტი და სტუდენტთან ერთად შეადარეთ გაწაფულობა, ინტონაცია და აზრების ფორმულირება ორ ჩანაწერს შორის.

თანამშრომლობითი კითხვა

წყარო: ვოლკერი (2004).

მიზანი: ერთად კითხვა, რომლის დროსაც გამოყენებულია ერთობლივი კითხვა და ვარაუდების გამოთქმა და დისკუსია ტექსტის შესახებ. გამოსადეგია იმ მოსწავლეებთან, რომელთაც მოსმენის მაღალი და სიტყვების იდენტიფიცირების შედარებით დაბალი დონე აქვთ (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: თქვენ და თქვენი მოსწავლეები მსჯელობთ, რის შესახებ იქნება ტექსტი. თქვენ კითხულობთ ხმამაღლა, შესაბამისი ინტონაციით. კითხვის პროცესში პერიოდულად შეჩერდით და დაუსვით შემდეგი კითხვები მოსწავლეებს: „როგორ ფიქრობთ, რა მოხდება შემდეგში?“, „ეთანხმებით პერსონაჟს?“ და ა. შ. პირველად წაკითხვის შემდეგ დაუსვით მათ მაღალი დონის ღია კითხვები: „მოთხრობის რომელი ნაწილი მოგეწონათ ყველაზე მეტად? რატომ? რას შეცვლიდით მოთხრობაში?“. მეორედ კითხვისას შეინარჩუნეთ ადეკვატური ტემპი და სთხოვეთ მოსწავლეებს, თქვენთან ერთად წაიკითხონ. დასრულების შემდეგ მოსწავლეებთან ერთად უნდა განიხილოთ რთული ფრაზები და იდეები. მესამედ მოსწავლეები თქვენ გარეშე კითხულობენ, ეხმარებით მინიშნებებით საჭიროების შემთხვევაში.

ენობრივი გამოცდილების მეთოდი

წყარო: რ. ალენი, ვოლკერზე დაყრდნობით (2004).

მიზანი: მოსწავლეთათვის კონტექსტში სიტყვის ამოცნობისა და კითხვაში გაწაფულობის უნარების განვითარება მოსწავლეების მიერ ნაკარნახევი ტექსტის რამდენჯერმე წაკითხვით. მოთხრობას გამოყენებულია სასწავლო ტექსტად, ხოლო მოთხრობათა კრებული მათი პირველი რიდერის ფუნქციას ასრულებს (K-3 კლასი).

პროცესის აღწერა: მოსწავლეების ჩააბით საკითხის ან გამოცდილების შესახებ მსჯელობაში, დაუსვით კითხვები სპეციფიკური დეტალების შესახებ. მოსწავლეები გკარნახობენ ტექსტს, თქვენ კი იწერთ მას. შემდეგ დაუსვით შეკითხვები: „რა მოხდა შემდეგ?“, „ამის თქმა გინდოდათ?“, „ამ ინფორმაციის გამოყენებით როგორ მოთხრობას შექმნიდით?“ თქვენ და თქვენმა მოსწავლეებმა ერთდროულად წაიკითხეთ ტექსტი, რათა გადაამოწმეთ ნებისმიერი გაუგებარი აზრი. შემდეგ უკვე ერთად წაიკითხეთ რამდენჯერმე, რადგან მთელი ტექსტის გამეორება დაეხმარება პროგნოზირებაში დამოუკიდებლად კითხვისას. მოსწავლეები კითხულობენ მოთხრობას დამოუკიდებლად. წინადადებები ან აზრის შემცველი/ლოგიკური ფრაზები შეიძლება დაწეროთ ერთ ხაზზე, შემდეგ დაჭრათ, აურიოთ და შემდეგ რიგის მიხედვით დააწყონ მოსწავლეებმა. ეს ხელს უწყობს მთელი-ნაწილი-მთელი მიდგომით წიგნიერების სწავლებას. მოთხრობების მოძიება შესაძლებელია მოსწავლეთათვის განკუთვნილ ანთოლოგიებში. მას შემდეგ, რაც სიტყვებს კონტექსტში რამდენჯერმე განმეორებით წაიკითხავთ, შეგიძლიათ შეამოწმოთ სიტყვების ჩამონათვალი, მაგრამ ნუ შეაფასებთ სიტყვათა ცოდნას იზოლირებულად.

წყვილებში კითხვა

წყარო: ოპიტცი და რასინსკი; ვოლკერი (ოპიტცი და რასინსკი, 1998; ვოლკერი, 2004).

მიზანი: ინტონაციის, გაწაფულად (თავისუფლად) კითხვისა და ტემპის გაუმჯობესება სინქრონული (ერთდროული) კითხვით (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: უფრო ნელ ტემპში მკითხველი და გაწაფული მკითხველი (კლასელი ან მასწავლებელი), რომელიც მოდელის როლს ასრულებს, კითხულობენ ხმამალა ერთდროულად. კითხვის დაწყებამდე ორივე მათგანი თანხმდება ნიშანზე, რომლითაც ნელ ტემპში მკითხველი მიანიშნებს მეწყვილეს, რომ უნდა დამოუკიდებლად კითხვის დაწყება. მეორე ნიშანი კი იმისთვისაა, რომ მას სჭირდება დახმარება. ნიშნებად შეიძლება გამოყენებული იყოს თავის დაქნევა ან დაკაკუნება. წყვილი იწყებს ერთობლივ კითხვას. ლიდერი ირჩევს ტემპს, რომელიც ტექსტისათვის შესაფერისია. ის აკეთებს ინტონაციისა და აზრის ფორმულირების მოდელირებას. აუცილებლობის შემთხვევაში ლიდერს შეუძლია ნაბეჭდისათვის თითის გაყოლება, თუკი ამის აუცილებლობა არსებობს. როდესაც მოსწავლე, რომელიც ნელა კითხულობს, აღწევს გარკვეულ წარმატებას, მიანიშნებს ლიდერს, რომ შეწყვიტოს ხმამალა კითხვა და აგრძელებს დამოუკიდებლად კითხვას.

განმეორებადი კითხვა

წყარო: მოდიფიცირებულია ვოლკერის ნაშრომი (ვოლკერი, 2004).

მიზანი: ფრაგმენტის ხმამალა წაკითხვა რამდენჯერმე, სანამ მოსწავლე არ წაიკითხავს თავისუფლად და სიტყვების 95%-ს არ გაიგებს უშეცდომოდ ანუ დამოუკიდებელ დონეზე. ეს სტრატეგია ეფექტურია იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც კითხულობენ სიტყვა სიტყვით და სიტყვების უშეცდომოდ გაგებას გარკვეულ დონეზე შეუძლიათ, თუმცა ჯერ ვერ იყენებენ სინტაქსურ და კონტექსტუალურ სიგნალებს (მინიშნებებს) კითხვის პროცესში (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: მოამზადეთ ტექსტის ასლი, რომელზეც კითხვის პროცესში მოსწავლეთა მიერ დაშვებული ხარვეზების აღნიშვნა შესაძლებელი იქნება. მოსწავლეები ფრაგმენტს კითხულობენ ხმამალა, თქვენ კი იწერთ ხარვეზებსა და გაწაფულობის შესახებ ინფორმაციას. საჭიროა კითხვის პროცესის აუდიოჩანაწერის მომზადება, რათა მოსწავლემ აღნიშნოს საკუთარი ხარვეზები და თვალი მიადევნოს ხმამალა კითხვაში პროგრესს დროთა განმავლობაში. განმეორებით კითხვაში ვარჯიში ეხმარება მოსწავლეს, წაიკითხოს გაბმით და ავტომატურად. მოსწავლეები ჩუმად კითხულობენ ფრაგმენტს, სანამ თქვენ ერთ მოსწავლეს უსმენთ ან განიხილავთ მათ შეცდომებს და ეხმარებით მინიშნებებით, რომ გამოასწოროს ისინი. მოსწავლე შემდეგ ხელახლა კითხულობს ხმამალა ფრაგმენტს, თქვენ კი ფერადი ფანქრით ინიშნავთ მის ხარვეზებს. თქვენ და თქვენი მოსწავლე ადარებთ თავდაპირველად წაკითხულსა და საბოლოოდ წაკითხულს და განიხილავთ მოსწავლის პროგრესს. ეს პროგრესი შეიძლება აღინიშნოს როგორც მასწავლებლის მიერ გაწაფულად კითხვის შეფასებაში, ისე თვითშეფასებაში (იხ. დანართი, გვ. 258-259).

ზოგი ავტორი გვიჩვენებს, მოსწავლეებს კითხვისას განვუსაზღვროთ დრო. ჩემი აზრით, ეს ამცირებს კითხვის მიზნების არსს. იმისთვის, რომ მოსწავლემ გაიგოს ფრაგმენტი, მას სჭირდება პრობლემის გადასაჭრელი სტრატეგიების გამოყენება კითხვისას, ამ სტრატეგიებს კი დრო მიაქვთ. როდესაც მოსწავლე ოსტატდება უცნობი სიტყვების გამოცნობაში სხვადასხვა სტრატეგიის საშუალებით, მისი კითხვის ტემპი იზრდება. აქცენტი უნდა გაკეთდეს სიტყვების იდენტიფიცირების, აზრის ფორმულირების, ინტონაციის, გამომსახველობის და სალაპარაკო ტემპის გაუმჯობესებაზე და არა კითხვის ტემპის ამაღლებაზე.

გამომსახველობით კითხვა

მიზანი: წინადადებების სხვადასხვა ექსპრესიით კითხვაში ვარჯიში (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: დაწერეთ ოთხი კატეგორიის სიტყვები ქაღალდის ბარათებზე (ემოციები, ადამიანი, მოქმედებები და სცენები), რაც წარმოაჩენს გამომსახველობით კითხვის სხვადასხვა გზას. დაწერეთ წინადადება დაფაზე და სთხოვეთ მოსწავლეებს, წაკითხონ ხმამაღლა. ამის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, რიგრიგობით ამოიღონ ბარათი ჩანთიდან და წაკითხონ წინადადება იმ ექსპრესიით, რომელიც ბარათზეა მითითებული.

ამ ბარათებზე წარმოდგენილია: ემოციები (აღფრთოვანებული, გაბრაზებული, დაბნეული, მოწყენილი, შეშინებული, ხუმრობის მომენტში; ადამიანები (მოხუცი ქალი, ბავშვი, გოლიათი, აბრაამ ლინკოლნი, ჯუნი ბ. ჯონსი და რომელიმე სხვა წიგნის პერსონაჟი); მოქმედებები (ჩურჩული, ქვითინი, ყვირილი, კანკალი) და სცენები (თქვენ ახლა დაასრულეთ 1-მილიანი გარბენი; ამ წუთას გაიგეთ ყველაზე კარგი ამბავი მსოფლიოში).

მოლაპარაკე წიგნები

წყარო: კარბო (1978); ვოლკერი (2004).

მიზანი: ლექსიკის, სიტყვების ამოცნობისა და თავისუფლად კითხვის უნარის გაუმჯობესება. მოსწავლეები განმეორებთ კითხულობენ და იწერენ ტექსტს, სანამ თავისუფლად კითხვას და წაკითხულის გაგებას არ შეძლებენ (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: შეიძინეთ ან თავად მოამზადეთ ტექსტის აუდიოჩანაწერი. ჩანაწერები უნდა შეიცავდეს ბუნებრივ ფრაზებს და სეგმენტირებული უნდა იყოს იმგვარად, რომ მოსწავლემ შეძლოს დაასრულოს ერთ ჯერზე ერთი სეგმენტის მოსმენა. მიანიშნეთ გვერდის ნომერი, რათა მოსწავლეებმა ადვილად შეძლონ გვერდის პოვნა. ესეც დაეხმარება მათ. მოსწავლეები ნაბეჭდი ტექსტის ხაზებს თითს აყოლებენ და უსმენენ ჩანაწერს ტექსტის საერთო აზრის გასაგებად. შემდეგ სტუდენტები უსმენენ ჩანაწერს და კითხულობენ მანამ, სანამ ტექსტის თავისუფლად წაკითხვას არ შეძლებენ. ისინი იმეორებენ ტექსტს თავისთვის და შემდეგ უკითხავენ მასწავლებელს. მასწავლებელი აფასებს თავისუფლად კითხვაში გაწაფულობასა და გაგების ხარისხს.

კომპიუტერული წიგნები

მიზანი: მოლაპარაკე წიგნების მსგავსია. ეს ინტერაქტიული მოთხრობების კრებულები ეხმარება მოსწავლეებს სიტყვების ამოცნობასა და თავისუფლად კითხვაში (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: მოსწავლეებს შეუძლიათ მათთვის წაკითხული მოთხრობების მოსმენა, სიტყვები ტექსტში მონიშნულია. მოსწავლეებს შეუძლიათ დააწკაპუნონ ნებისმიერ სიტყვაზე და კომპიუტერი წაუკითხავთ მათ ამ სიტყვებს. ბევრი პროგრამა სთავაზობს მოთხრობასთან დაკავშირებულ დამატებით ფონიკის, სიტყვათა ამოცნობისა და ტექსტის გაგების აქტივობებს.

ხმამალა კითხვის სტრატეგიების გაზიარება და დემონსტრირება

ხმამალა კითხვის წახალისების ერთ-ერთი გზა შემდეგია: მასწავლებელი ხმამალა უკითხავს ყოველდღიურად და აჩვენებს მოსწავლეებს თავისუფლად კითხვის მაგალითს, რაც მოიცავს: აზრის ფორმულირებას, ექსპრესიას, ინტონაციას, სიზუსტეს (უშეცდომობას) და სალაპარაკო ტემპს. ქვემოთ მოცემულია ხმამალა კითხვის სტრატეგიების გაზიარებისა და შესრულების სტრატეგიები.

რადიოში კითხვა

წყარო: გრინი, სიარფოსი, ციტირებული ოპიტცსა და რასინსკისთან (გრინი, 1979; სიარფოსი, 1975, ოპიტცი და რასინსკი, 1998).

მიზანი: იმდენად თავისუფლად კითხვა, თითქოს რადიოგადაცემაში მონაწილეობენ (მე-3 და უფრო მაღალკლასელები).

პროცესის აღწერა: დაურიგეთ მოსწავლეებს წინასწარ შერჩეული ტექსტები. მიეცით შესაძლებლობა, რომ რეპეტიცია გაიარონ კითხვაში. მოსწავლე, რომელიც კითხულობს, რადიოწამყვანის როლს ასრულებს, ხოლო დანარჩენები - მსმენელებისას. თითოეული ტექსტის დასრულების შემდეგ მკითხველი წარმართვას დისკუსიას ჯგუფის წევრებთან ტექსტის შესახებ. სასურველია წრიულად კითხვა, ამ შემთხვევაში ყველა მოსწავლე კითხულობს თავის ნაწილს და ტექსტის ყველა ნაწილს განიხილავენ.

სპექტაკლი

წყარო: ვოლკერი (2004).

მიზანი: მოთხრობის პერსონაჟების როლების შესრულება თავისუფლად კითხვისა და გაგების გასაუმჯობესებლად (მე-2 და უფრო მაღალკლასელები).

პროცესის აღწერა: მოსწავლეები ფიქრობენ, როგორი შეიძლება იყოს მოთხრობის დასასრული და შეიძლება თუ არა სხვანაირად დასრულებულიყო. ისინი წარმოადგენენ ეპიზოდებს როლურ თამაშით. სხვადასხვა პერსონაჟის როლის შესრულებისას მოსწავლეები იყენებენ თავიანთ ცოდნას გამოცდილებიდან და ინფორმაციას მოთხრობიდან, რათა წარმოადგინონ საკუთარი ინტერპრეტაციები.

პოეზიასა და სიმღერებში ვარჯიში და მათი წარდგენა / დემონსტრირება

მიზანი: ლექსებისა და სიმღერების სწავლა თავისუფლად კითხვის უნარის გასაძლიერებლად და ენით სიამოვნების მისაღებად (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: დაკიდეთ კლასში ლექსებისა და სიმღერების ტექსტის დიდი პოსტერი, რათა ყველამ შეძლოს მისი დანახვა. წაიკითხეთ თითოეული მათგანი ხმამალა რამდენჯერმე. შემდეგ ჯგუფურად წაიკითხეთ მთელ კლასთან ერთად. ამის შემდეგ დაურიგეთ მოსწავლეებს ასლები ინდივიდუალურად. სთხოვეთ მათ, კითხვაში ივარჯიშონ ან პარტნიორთან ერთად, ან ინდივიდუალურად. ბოლოს, პერიოდულად დაუბრუნდით და წაიკითხეთ ლექსი ან სიმღერის ტექსტი.

პოეზიის სკამი

მიზანი: თითოეულ მოსწავლეს მიეცეთ შესაძლებლობა, გაუზიაროს სხვებს ლექსი და მიზნად დაისახოს თავისუფლად კითხვა (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: შეადგინეთ კალენდარი (განრიგი) და სთხოვეთ მოსწავლეებს, დარეგისტრირდნენ მათთვის ხელსაყრელ დღეს კალენდრიდან, რათა გააცნონ კლასელებს პოეზიის ნიმუშები. მოსწავლე არჩევს ლექსს, ამზადებს მის ფოტოასლს ან გადაწერს ფურცელზე. მოსწავლე ვარჯიშობს კითხვაში მანამ, სანამ არ მოვა მისი დრო, რომ წაუკითხოს სხვებს. კითხვისას მოსწავლე ზის სკამზე, რომელიც კლასის წინ ადგას.

მკითხველის თეატრი

წყარო: ბარჩერზი, ბრაუნი და ბრაუნი, მაკანდრეუსი, ვოლკერი (ბარჩერზი, 1993; ბრაუნი და ბრაუნი, 1996; მაკანდრეუსი, 2004; ვოლკერი, 2004).

მიზანი: პიესების, ლექსების, მხატვრული და არამხატვრული ტექსტების დრამატურგიულად წარმოდგენა. მოსწავლეები ხმამაღლა კითხულობენ თავისუფლად და ინტერპრეტაციით, რათა აუდიტორია გაერთოს და დაკავდეს ამ საქმიანობით. ეს მოტივაციას უმადლებს ნაკლებად მოტივირებულ მოსწავლეებს, ხოლო გაწაფულ მკითხველებს აძლევს შესაძლებლობას, გაეცნონ ახალ ჟანრებს და მახასიათებლებს ინტონაციის, ხმის მოდულაციისა და თავისუფლად ხმამაღლა კითხვის გზით; გარდა ამისა, ეს არის საშუალება, მოსწავლეებმა ერთმანეთთან ითანამშრომლონ და დაამყარონ კომუნიკაცია; ინგლისური ენის შემსწავლელებს შევთავაზოთ ენის მოდელი (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: შეარჩიეთ მოსწავლეთათვის საინტერესო და მათი კითხვის დონის შესაბამისი (ინსტრუქციული დონის, 90% ან მეტი სიტყვების გაგების სიზუსტე) ტექსტები, რათა მათ შემლონ ინტონაციაზე, ხმის ტემბრსა და თავისუფლად კითხვაზე ფოკუსირება. მკითხველთა თეატრისათვის განკუთვნილი სცენარების უმეტესობა ლიტერატურული ნაწარმოებების ადაპტირებული ვარიანტია, თუმცა გვხვდება დრამატურგიული ნაწარმოებებიც. საწყის ეტაპზე შეარჩიეთ ნაშრომები, რომლებიც, რომლებიც სცენარად არის დაწერილი და დაყოფილია რამდენიმე სალაპარაკო ნაწილად. სცენარი არ უნდა იყოს ვრცელი, რათა მისი დასრულება და განხილვა ერთ გაკვეთილზე მოესწროს. არსებობს რამდენიმე ვებგვერდი მკითხველთა თეატრისათვის. აარონ შეფარდი ხსნის მკითხველთა თეატრის პრინციპებს და გვთავაზობს უფასო სცენარებს (აარონი, შეპარდი: www.aaronshep.com). კიდევ ერთი შესანიშნავია რესურსია პიესების ვებგვერდი. ის გვთავაზობს დონეებად დაყოფილ წიგნებს, რომლებიც მკითხველთა თეატრისათვის შესაბამის ფორმატშია წარმოდგენილი. თითოეული გმირის სიტყვები განსხვავებულ ფერშია წარმოდგენილი. ამ წიგნების უფასოდ მიღება შეგიძლიათ ვებგვერდზე: www.playbooks.com.

მკითხველთა თეატრის მზადების პროცესში წინასწარ უნდა გააცნოთ მოქმედი გმირები, გარემო, მოვლენები და პრობლემები ნარატიული ტექსტის შემთხვევაში, ხოლო ძირითადი იდეა და დეტალები განმარტებითი ტექსტის შემთხვევაში. მოსწავლეები ირჩევენ ან მიცემული აქვთ მათთვის შესაბამისი დონის ტექსტებიდან როლები. მათ ურიგებენ ცალ-ცალკე სცენარებს და თითოეული როლი მონიშნულია.

თქვენ მოდელირება უნდა გაუკეთოთ და განიხილოთ ისეთი ელემენტები, როგორებიც წარმოდგენილია მკითხველთა თეატრის რუბრიკაში (იხ. დანართი, გვ. 261): აზრის ფორმულირება, პუნქტუაცია, ექსპრესია/გამომსახველობა, ხმა, სიცხადე, ტემპი, დრო, მიმიკები და სხეულის ენა, ინტერპრეტირება, სცენაზე წარმოდგენა და თანამშრომლობა. ამის შემდეგ მოსწავლეები ჯერ ჩუმად კითხულობენ თავიანთ ნაწილს, ხოლო შემდეგ ხმამაღლა, ოღონდ სხვების გასაგონად არა, ვარჯიშობენ რუბრიკაში მოცემულ ელემენტებში. მოსწავლეები წარმოადგენენ პიესას მინიმალური აპარატურის, კოსტუმებისა და რეკვიზიტების საშუალებით. ვინაიდან მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, დაზეპირება არ სჭირდებათ. ისინი ამბავს გადმოსცემენ ინტონაციითა და აზრის ფორმულირებით. საბოლოოდ, მსმენელებს სჭირდებათ წარმოსახვა ამ შინაარსის გასაგებად. მოსწავლეთა ხმამაღალი კითხვის შეფასება შესაძლებელია მკითხველთა თეატრის რუბრიკის ელემენტების მიხედვითაც.

ადაპტაცია: თქვენ ან თქვენს მოსწავლეებს შეგიძლიათ თავად დაწეროთ სცენარი მოთხრობების, ადაპტირებული მოთხრობების ან ნაცნობი (ნასწავლი) არამხატვრული ტექსტების მიხედვით. ეს ეხმარება მოსწავლეებს სიტყვების ამოცნობაში, რადგან მათ სჭირდებათ ტექსტის რამდენჯერმე გადაკითხვა. ამასთანავე, ამან შეიძლება გააუმჯობესოს ტექსტი გაგების უნარი, რადგან მათ უნდა გადაწყვიტონ, რომელი დიალოგი ან თხრობაა აუცილებელი ტექსტის გასაგებად. შესაძლოა კითხვის სხვადასხვა დონის ელემენტების გამოყენებაც, რათა საშუალება მიეცეთ მოსწავლეებს, ცვალონ კითხვის უნარები ერთსა და იმავე აქტივობაში მონაწილეობის მისაღებად.

თავი 5

წაკითხულის და მოსმენილის გაგება

წაკითხულის და მოსმენილის გაგების ცნება

გაგება რთული სააზროვნო პროცესია, რომელშიც მკითხველი ან მსმენელი ურთიერთქმედებს ტექსტთან აზრის კონსტრუირებისათვის (გამოსატანად). ეს წიგნიერების პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. გაგების უმთავრესი მიზანია „აზრის კონსტრუირება (გამოტანა) გაგებულის მონიტორინგით, ცოდნის მიღებით, მისი აქტიურად გამოყენებით და გააზრების გაუმჯობესებით“ (ჰარვეი და გოუდვისი, გვ. 14).

გაწაფული მკითხველები უკეთ იმახსოვრებენ და იყენებენ წაკითხულს, იმენენ ახალ ცოდნას, დეტალურად ანალიზებენ ტექსტს, მსჯელობენ მისი ავტორის შესახებ და ლაპარაკსა და სხვა ანალიტიკურ პასუხებში იყენებენ წაკითხულს (კეენი და ციმერმანი, 1997).

მეტაკოგნიცია

კითხვის პროცესი შეიცავს მეტაკოგნიციის მაღალ დონეს. ეს გულისხმობს, რომ ვაკვირდებით (ვაცნობიერებთ) საკუთარი აზროვნების პროცესს, როდესაც ვასრულებთ სპეციფიკურ ამოცანებს და შემდეგ ამ ინფორმაციას ვიყენებთ ჩვენი ქმედების გასაკონტროლებლად (მარცანო, 1988). ბეიკერისა და ბრაუნის მიხედვით (ბეიკერი და ბრაუნი, 1984), არსებობს კითხვის პროცესში მეტაკოგნიციის 4 ძირითადი ასპექტი:

1. ვიცნობდეთ საკუთარ თავს, როგორ შემსწავლელს - ვიცოდეთ, რა ვიცით და რა არ ვიცით. გააზრებული გვაქვს მიზეზები, რომელთა გამოც მოგვწონს არ მოგვწონს და შეგვიძლია წინასწარი ცოდნის გააქტიურება.
2. რეგულირება - ვიცით, რა უნდა წავიკითხოთ, როგორ წავიკითხოთ, გვესმის ტექსტის სტრუქტურა და გააზრებული გვაქვს, როგორ უნდა გამოვიყენოთ ეს ინფორმაცია.
3. გაგებულის შემოწმება - საკუთარი მიღწევების შეფასება; იმის გაცნობიერება, თუ: რას ვერ ვიგებთ; რომელია მთავარი ინფორმაცია. საკუთარი თავისთვის კითხვების დასმა იმის გასაგებად, მივალწიეთ თუ არა კითხვის პროცესში დასახულ ამოცანებს.
4. შესწორება - გაგების პროცესის გასაუმჯობესებლად (შესასწორებლად) საჭირო ნაბიჯების გადადგმა. მათ შორის მოიაზრება პრობლემები, რომლებიც უცნობი სიტყვებისა და ცნებების მიზეზითაა გამოწვეული, პუნქტუაციისა და აზრის ფორმულირების არასწორად გაგება, დამაბნეველი მიმართება აზრებს შორის, ძირითადი ან მნიშვნელოვანი აზრების არასწორად გაგება ან არაადეკვატური/ საპირისპირო წინასწარი ცოდნა.

მეტაკოგნიტური ცოდნა გულისხმობს საკუთარი თავისათვის კითხვების დასმას. გამოყენებული უნდა იყოს წიგნიერების სწავლების მთელ პროცესში. გუნინგმა (2004) ახსნა, რომ მეტაკოგნიტური სტრატეგიების სწავლების პროცესში მასწავლებელმა მოდელირება უნდა გაუკეთოს, თუ როგორ იყენებს თავის წინასწარ ცოდნას, როგორ უსახავს საკუთარ თავს კითხვის მიზნებს, ირჩევს კითხვის სტრატეგიებს, იყენებს ამ სტრატეგიებს, მონიტორინგს უკეთებს აზრის კონსტრუირებას (გაგებას), ახორციელებს შესწორებისათვის საჭირო ქმედებებს, აკეთებს ინფორმაციის ორგანიზებას და იყენებს წაკითხულიდან მიღებულ ცოდნას.

სქემის თეორია

ანდერსონის მიხედვით (2004), სქემის თეორია გულისხმობს ინტერაქციას მკითხველის ცოდნასა და ტექსტს შორის, რასაც შედეგად მოჰყვება წაკითხულის გაგება.

არსებობს ორი სახის სქემები: 1) შინაარსობრივი სქემები, რაც გულისხმობს სამყაროს ცოდნას და 2) ფორმობრივი სქემა, რაც გულისხმობს რიტორიკული სტრუქტურების წინასწარ ცოდნას (კარელი, 1983).

მკითხველებს შეუძლიათ სქემების გააქტიურება ან აგება პირდაპირი და არაპირდაპირი გამოცდილების მიხედვით. პირდაპირი გამოცდილებაში იგულისხმება: ექსპერიმენტები/ცდები, საველე გასვლები, ვიდეოჩანაწერები, კომპიუტერული პროგრამები, ინტერნეტის გამოყენება და მოწვეული სპიკერები. ეფექტური არაპირდაპირი გამოცდილება მოსწავლეებისათვის და მათთან ერთად სხვადასხვა ჟანრის ტექსტების კითხვა და დისკუსიების გამართვა შინაარსის გამოსატანად და ფორმობრივი სქემების ასაგებად. მოსწავლეებს სჭირდებათ დახმარება, რათა მათ გამოიყენონ არსებული ცოდნა და გამოცდილება, აგრეთვე ვიზუალიზაცია, რათა ტექსტიდან აზრი გამოიტანონ. ხშირად ეს დახმარება შეიცავს წინასწარ მამოტივირებელი გარემოს შექმნას; ტექსტთან დაკავშირებული ცოდნის გადაცემას; წაკითხულის დაკავშირებას მოსწავლეების პირად გამოცდილებასთან, სხვა ტექსტებსა და სამყაროსთან; წიგნის შესავლის გაკეთებას; ტექსტისა და მისი მახასიათებლების წინასწარ განხილვას; ლექსიკისა და ცნებების წინასწარ სწავლებას; კითხვების დასმასა და ვარაუდების გამოთქმას; მიმართულების განსაზღვრას; კითხვისა და კითხვის შემდგომ პროცესში გაგების სტრატეგიების შეთავაზებას. წაკითხულის გაგების გასაძლიერებლად მოსწავლეებმა უნდა დაამყარონ კავშირი ტექსტსა და საკუთარ თავს, სხვა ტექსტებსა და სამყაროს შორის (ფარისი, ფულერი და ვალტერი, 2004). კარელის (1983) მიხედვით, წინასწარი ცოდნის აქტივაცია განსაკუთრებით ეფექტურია ინგლისური ენის შემსწავლელთათვის გაგების უნარის გასავითარებლად. სთხოვეთ მოსწავლეებს, იფიქრონ, რა იციან საკითხის, ავტორის, ლექსიკის და ტექსტის სტრუქტურის შესახებ.

წინასწარი ცოდნის აქტივაცია და კავშირების დამყარება კითხვის დაწყებამდე, უშუალოდ კითხვის პროცესსა და მისი დასრულების შემდეგ აძლიერებს გაგების პროცესს, რადგან ის ეხმარება მკითხველსა თუ მსმენელს დააკავშიროს ტექსტი და თავისი წინასწარი გამოცდილება და წარმოდგენები, რაც პირდაპირაა დაკავშირებული სქემის თეორიასთან.

წერილობითი ტექსტების კლასიფიკაცია

არსებობს წერილობით ტექსტების ორი ძირითადი სახესხვაობა: მხატვრული და არამხატვრული. მხატვრულ ლიტერატურაში აღწერილი ამბები/მოვლენები არ ეყრდნობა მხოლოდ ფაქტებს. მხატვრული ლიტერატურის ჟანრებია: რეალისტური ლიტერატურა, ისტორიული, სამეცნიერო ფანტასტიკა, ფენტეზი, ფოლკლორული ლიტერატურა (ზღაპრები, ლეგენდები...), პოეზია და დრამატურგია. ამისგან განსხვავებით, არამხატვრული ლიტერატურაში საკითხი წარმოდგენილია ფაქტებზე დაყრდნობით. არამხატვრული ჟანრი შეიცავს ისტორიულ, ბიოგრაფიულ, ავტობიოგრაფიულ ტექსტებს, წერილებს, ესეებს, სამეცნიერო სტატიებს, ინფორმაციულ ტექსტებს, სახელმძღვანელოებს, საინფორმაციო ცნობარებს, ლექსიკონებს, სახელმძღვანელოებს, დოკუმენტურ მოთხრობებს და ჟურნალისტურ ტექსტებს. თუმცადა, ისინი არ მიეკუთვნებიან ტრადიციულ ნაბეჭდ წიგნებს, დოკუმენტური ფილმები, ფოტოები და დიაგრამებიც არამხატვრულ ტექსტებადაა მიჩნეული.

არსებობს ოთხი ძირითადი დისკურსის მოდელი, რომლებიც აღწერენ წერილობითი ტექსტების სახესხვაობებს, კონვენციები (მართლწერა, პუნქტუაცია, დიდი ასოებისა და გრამატიკული ნორმების გამოყენება) და მიზნებს:

1) თხრობითი/ნარატიული, (2) აღწერითი, (3) განმარტებითი და (4) მტკიცებითი. **თხრობითი / ნარატიული** ტექსტი აღწერს გამოგონილი ან რეალური მოვლენების მიმდევრობას მოთხრობის ფორმით. **აღწერითი** ტექსტი გვაძლევს ნათელ დეტალებს ადამიანის, ადგილის, მოვლენის ან გრძნობების შესახებ, რომელთა წარმოდგენა მკითხველს ცოცხლად, დეტალურად შეუძლია. ამ ტიპის ტექსტები საშუალებას აძლევს მკითხველს, აღწერილი გაიაზროს ყველა შეგრძნების გამოყენებით: მხედველობით, ყნოსვით, შეხებით, სმენით ან გემოთი. **განმარტებითი** ტექსტების ავტორთა მიზანი არის საკითხის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მკითხველისათვის, საკითხის აღწერა, ახსნა, განსაზღვრა. ამ ტიპის ტექსტებს მიეკუთვნება: ესე, ჟურნალისტური, დოკუმენტური, ისტორიული ტექსტები, სამეცნიერო სტატიები, ბიოგრაფიები, სახელმძღვანელოებსა და ტექნიკურ ინსტრუქციებში, იურიდიულ და სამედიცინო დოკუმენტაციაში და სხვა საცნობარო ლიტერატურაში მოცემული ტექსტები. დამარწმუნებელი ტექსტები შექმნილია იმისათვის, რომ მკითხველი დაარწმუნონ, რომ რაღაც დაიჯერონ ან იმოქმედონ. ტექსტის ავტორი განიხილავს საკითხს კონკრეტული თვალთახედვის მიხედვით, ხშირად ეს პოზიცია ემთხვევა ან ეწინააღმდეგება გავრცელებულ თვალსაზრისს საკითხის შესახებ. ასეთ ტექსტებს შორისაა საჯარო სიტყვები, რეკლამა და ბიზნესწერილები (თავი 6 მოიცავს სტრატეგიებს, თუ როგორ უნდა ვასწავლოთ მოსწავლეებს ამ განსხვავებული ტიპის ტექსტების შექმნა).

ტექსტის თხრობითი, აღწერითი, განმარტებითი და მტკიცებითი სახეობები შესაძლებელია შეიქმნას სხვადასხვა ფორმით. ეს ფორმებია: ესე, რეზიუმე, წერილი, ბროშურისათვის განკუთვნილი ტექსტები. თითოეული ამ სახეობის მიზანი, ორგანიზაციული სტრუქტურა, გამოყენებული ენა და ბეჭდვის ფორმატი

განსხვავებულია. ტექსტის შეიძლება შეიქმნას მკითხველის გასართობად, ინფორმირების ან დასარწმუნებლად. ტექსტის ორგანიზაციული სტრუქტურის ცოდნა ეხმარება მოსწავლეებს, გაიგონ მისი ძირითადი იდეები. მოსწავლეებს შესაძლოა მოუწიოთ შეცვალონ კითხვის ტემპი და სტილი კითხვის მიზნისა და ტექსტის სტრუქტურის შესაბამისად. ტექსტის ენა დამოკიდებულია მის მიზანზე. ტექსტის ფორმატი, როგორცაა, მაგალითად, ინფორმაციის წიგნის სხვადასხვა ნაწილში განთავსება, ტექსტობრივი მახასიათებლები, გრაფიკა და ტიპოგრაფია, ეხმარება მკითხველს განსაზღვროს, რის შესახებაა წიგნი და რა არის მნიშვნელოვანი. წიგნის ნაწილებს შორის უნდა დავასახელოთ ყდა, სატიტულო გვერდი, სარჩევი, ლექსიკონი, ინდექსი და ბიბლიოგრაფია. ტექსტობრივ მახასიათებლებში შედის სათაურები, ქვესათაურები, შენიშვნები და მინაწერები. გრაფიკული მახასიათებლებია: ილუსტრაციები, ფოტოები, ცხრილები, გრაფიკები და რუკები. ტიპოგრაფიულ მახასიათებლებს შორის უნდა დავასახელოთ შრიფტის ზომა და ტიპი და ისეთი ეფექტები, როგორებიცაა: გამუქებული ან დახრილი ასოებით დაწერილი სიტყვები, ბულეტები და სხვა ელემენტები, რომლებიც განასხვავებს ნაბეჭდ სიტყვებს სხვა სიტყვათაგან.

თხრობითი (ნარატიული) ტექსტის მიმდევრობა შემდეგი სახისაა: დასაწყისი, შუა და ბოლო ნაწილები. მასში აღწერილია მოქმედი პირები, გარემო, გადმოცემულია სიუჟეტი და კონფლიქტი და მისი გადაჭრა. ამ ნაწილებს ხშირად „გრამატიკულ ამბად“ (story grammar) მოიხსენიებენ (ბეკი და მაკკეონი, 1981). სიუჟეტში შეიძლება გამოიყოს მაპროვოცირებელი მოვლენა, მცდელობა, მიმდევრობა და რეაქცია.

უფრო რთული ნარატიული ელემენტებია **დახასიათება, სტერეოტიპები, ტექსტის თემა ან დედააზრი** (ბუსი და კარნოვსკი, 2000). ავტორის სტილი და ენა, ზოგადად, შედარებით არაფორმალურია. ტექსტები შექმნილია კონკრეტული თვალთახედვის მიხედვით და შეიცავს სახეებს, მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს (შედარება, მეტაფორა, ჰიპერბოლა, ირონია). იუმორს, ალუზიას, ტონს, მოტივაციას, განწყობას, მოლოდინს, გაურკვევლობას, დასკვნასა და ჰიპერბოლიზაციას.

განმარტებითი ტექსტები შეიცავს ერთს ან მეტს ქვემოთ დასახელებულ ორგანიზაციულ სტრუქტურათაგან: მაგალითების განზოგადება, კითხვა-პასუხი, პრობლემა - მისი გადაჭრა, აღწერა, მიმდევრობა, პროცესი, კატეგორიზაცია, შეპირისპირება-შედარება ან მიზეზი-შედეგი (კლეტციენი და დრეჰერი, 2004). ეს ორგანიზაციული სტრუქტურები, რომლებიც დომინანტურია განმარტებითი ტექსტებისათვის, შესაძლოა შეგვხვდეს თხრობით და მტკიცებით ტექსტებშიც. თითოეული ამ სტრუქტურის მათი განმარტებები და სიტყვები, რომლებიც მათზე მიანიშნებს, მოცემულია 5.1. ცხრილში, რომელიც გამოყენებულია კლეტციენისა და დრეჰერის ნაშრომიდან (კლეტციენი და დრეჰერი, 2004). განმარტებითი ტექსტების ენა უფრო ფორმალურია, შეიცავს სპეციფიკურ ლექსიკას და უფრო დიდი მოცულობის ინფორმაციაა გადმოცემული. თუმცა, ნარატიული ტექსტების უმრავლესობისაგან განსხვავებით, ფორმატი და ტექსტობრივი მახასიათებლები განმარტებით ტექსტებში (სათაური, გამუქებული მნიშვნელოვანი სიტყვები, ლექსიკონი და გრაფიკული ინფორმაცია) ეხმარება მოსწავლეებს იმის გაგებაში, იციან თუ არა მათი გამოყენება.

ცხრილი 5.1 ტექსტის გავრცელებული ორგანიზაციული სტრუქტურები

ტექსტის სტრუქტურა	განმარტება	სასიგნალო სიტყვები
განზოგადება-მაგალითი	წარმოდგენილია ძირითადი იდეა და მოყვანილია მაგალითები	მაგალითად
კითხვა-პასუხი	წარმოდგენილია კითხვები და მოცემულია მათი პასუხები	ვინ, რა, რატომ, როდის, სად და როგორ
პრობლემა-გადაჭრა	წარმოდგენილია პრობლემა და შემოთავაზებულია მისი გადაჭრის	პრობლემა, რადგან, მიზეზი, გადაჭრა, ამდენად, იმისთვის რომ,
აღწერა	გადმოგვცემს დახასიათებას	ფერი, ზომა, სხვა ზედსართავები
მიმდევრობა	ხსნის რაღაცას დროში მიმდევრობით	პირველად, შემდეგ, ბოლოს, საბოლოოდ, რიცხვითი სახელები
შედარება-დაპირისპირება	გადმოგვცემს, ორი ან მეტი რაღაც როგორ ჰგავს ან განსხვავდება ერთმანეთისაგან	განსხვავებით, როგორც, მსგავსად, ...-თან შედარებით, ისევე, როგორც, მეორე მხრივ...
მიზეზი-შედეგი	აღწერს კონკრეტული მოვლენის მიზეზებს	რადგან, იმიტომ რომ, ამის შედეგად, ვინაიდან, იმისთვის რომ

დამარწმუნებელი ტექსტების თეორიის მიხედვით, ტექსტი შედგება ოთხი ძირითადი ელემენტისგან: 1) მტკიცება; 2) მხარდამჭერი საბუთი (მტკიცებულება); 3) საწინააღმდეგო თვალსაზრისი და 4) არგუმენტები საწინააღმდეგო თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ. მტკიცება ფაქტის პოზიტიური ფორმით გადმოცემა ან ტექსტის ავტორის შეხედულებების დეკლარირებაა. მხარდამჭერი საბუთი (მტკიცებულება) ტექსტის დეტალებშია გადმოცემული და ავტორის შეხედულებას ამყარებს. საწინააღმდეგო თვალსაზრისში წარმოდგენილია, რასაც შეიძლება სხვები ფიქრობდნენ (სჯეროდეთ). ტექსტის ავტორი შემდეგ წარმოადგენს მიზეზებს და ხსნის, რატომ არ ეთანხმება საწინააღმდეგო მოსაზრებას. დამარწმუნებელი ტექსტები ზოგადად იყენებს **არგუმენტი-კონტრარგუმენტის** სტრუქტურას, რომლის ფარგლებშიც ავტორი წარმოადგენს საკითხის დადებით და უარყოფით ასპექტებს. ეს სტრუქტურა ახლოსაა მიზეზ-შედეგობრივ და შედარება-დაპირისპირებით სტრუქტურებთან. ისინიც შეიძლება შეიცავდნენ პრობლემასა და მის გადაჭრას. ავტორი წარმოადგენს პრობლემას და გვთავაზობს მისი გადაჭრის გზებს. შესაძლოა, ავტორმა თავდაპირველად საკითხზე აქცენტი გააკეთოს მისი განხილვის გზით, ხოლო შემდეგ ხელახლა დასვას პერიფრაზირების ან სიმბოლოების გამოყენების საშუალებით. დაბოლოს, ავტორმა ნარატიული ტექსტი უნდა ჩართოს განმარტებით და დამარწმუნებელ ტექსტებში, რათა დააზუსტოს, წარმოადგინოს და განმარტოს თავისი ძირითადი მოსაზრება. დამარწმუნებელი ტექსტის შემთხვევაში ენა დამოკიდებულია აუდიტორიაზე. ის შეიძლება შეიცავდეს ერთ ან მეტ პროპაგანდისტულ ტექნიკას მკითხველის დასარწმუნებლად.

გაგების დონეები

ჩემი მოდელი წიგნიერებაში ეყრდნობა ბლუმის ექვსდონიანი ტაქსონომიის (ბლუმი, 1956) გადამუშავებულ ვერსიას - დამახსოვრება, გაგება, გამოყენება, ანალიზი, შეფასება და შექმნა და მარჯანოს (1988) აზროვნების რვა ნაბიჯს: ფოკუსირება, ინფორმაციის შეგროვება, დამახსოვრება, ორგანიზება (დახარისხება), ანალიზი, გენერირება, ინტეგრირება და შეფასება. ჩემი წიგნიერების მოდელი გაგების პროცესს ყოფს შემდეგ კატეგორიებად: **დაგეგმვა და მონიტორინგი (დაკვირვება), დამახსოვრება, დასკვნების გაკეთება, ანალიზი, შეფასება და შექმნა**. თითოეული ეს კატეგორია შეიცავს მეტაკოგნიციასა და საკუთარი თავისათვის კითხვების დასმას, რათა მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები გაგების პროცესში.

დაგეგმვასა და თვითმონიტორინგს მოსწავლეები კითხვის წინ მიმართავენ. მოსწავლეები სახავენი ამოცანებს კითხვის პროცესისათვის. ამ ამოცანებს შორის შეიძლება იყოს: საკითხის შესწავლა, პრობლემის გადაჭრა, რადიკის გაკეთება ან სიამოვნების მიღება. ისინი წყვეტენ, კითხვის რომელი სახეობა შეეფერება მათ მიზანს: 1) სქიმატიკი (სწრაფი კითხვა ძირითადი აზრის გასაგებად), 2) სკანირების მეთოდით კითხვა (სწრაფი კითხვა კონკრეტული ინფორმაციის მოსაძიებლად); 3) ინტენსიური კითხვა ანუ კითხვა სწავლისათვის, რაც ნიშნავს დაკვირვებულ კითხვას რთული და დეტალური ინფორმაციის დეტალურად გასაგებად; 4) ექსტენსიური კითხვა ანუ კითხვა სიამოვნებისათვის. ეს არის საკმაოდ სწრაფი კითხვის პროცესი მთლიანობაში გასაგებად და სიამოვნების მისაღებად.

მოსწავლეთათვის საბოლოო მიზანი არის, რომ საკუთარ თავს კითხვების დაუსვან და უპასუხონ კითხვის პროცესის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს გაგების პროცესს. **კითხვების (გენერირების) დასმის დროს** მკითხველები საკუთარ თავს უსვამენ კითხვებს ტექსტის სხვადასხვა ასპექტის, მწერლისა და საკუთარი თავის შესახებ, ასევე, აყალიბებენ კითხვის მიზნებს. **კითხვებზე პასუხისას** მკითხველები პასუხობენ საკუთარ ან მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს. კითხვების დასმა და პასუხი მოსწავლეებს აზროვნების პროცესს უწყობს ხელს, აუმჯობესებს ტექსტის გაგებას და აფასებს, რა გაიგეს წაკითხულიდან. ძალიან ხშირად მასწავლებლის მიერ დასმული კითხვები გაგებულის შეფასებას ემსახურება და არა მის განვითარებას. წაკითხულის გაგების გასაუმჯობესებლად კითხვების გამოყენება მოითხოვს უდიდეს ყურადღებას კითხვის პროცესში. კითხვების გამოყენება შესაძლებელია მოსწავლეებს დაეხმაროს, რომ თავად გაუწიონ მონიტორინგი, რა გაიგეს წაკითხულიდან.

წაკითხულის გაგების დაგეგმვისა და მონიტორინგისათვის მოსწავლეები აგროვებენ ინფორმაციას ტექსტიდან მისი დიზაინის, გრაფიკისა და ტექსტობრივი მახასიათებლების წინასწარი განხილვის გზით. მოსწავლეები სვამენ მეტაკოგნიტიურ კითხვებს საკითხის ან ჟანრის შესახებ თავიანთი წინასწარი ცოდნის გასააქტიურებლად, ტექსტის შესახებ ვარაუდის ან მოლოდინის შესახებ, იმის შესახებ, რისი სწავლა უნდათ ტექსტიდან და იმ სტრატეგიების შესახებ, რომლებსაც გამოიყენებენ ტექსტის მონიტორინგისა და გაგებისათვის.

დამახსოვრება - იმ ინფორმაციის გახსენება და (მეხსიერებაში) შენახვა, რომელიც პირდაპირი (ზედაპირული) გზითაა მოცემული, მაგალითად, ექსპლიციტიური ინფორმაციისა. ეს შეიცავს თხრობის ელემენტების იდენტიფიცირებას თხრობით ტექსტში ან ძირითადი იდეისა და დეტალების ამოცნობას განმარტებით და მტკიცებით ტექსტებში. გარდა ამისა, გულისხმობს მოვლენებისა და პროცესების რიგითობის განსაზღვრას, ტექსტის მოყოლასა და შეჯამებას.

დასკვნების გაკეთება - ეს არის უნარი, რომ გამოიტანო დასკვნები, გამოთქვა ვარაუდები, წამოაყენო ჰიპოთეზები, განაზოგადო და ვიზუალიზაცია გააკეთო. მოსწავლეები იყენებენ შინაარსის წინასწარ ცოდნას და ტექსტის სტრუქტურას, რათა მივიდნენ დასკვნებამდე ინფორმაციის შესახებ, რომელიც ტექსტში პირდაპირ (ზედაპირულად) არ არის წარმოდგენილი. მოსწავლეებს შეუძლიათ გაიგონ იმპლიციტური ელემენტები, როგორებიცაა: გმირების მოტივაცია, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და ფიგურატიული ენის მნიშვნელობა. მათ შეუძლიათ კავშირების დამყარება საკუთარ დასკვნებსა და სხვების წარმოდგენებსა და ცოდნას შორის.

ანალიზი - ეს არის უნარი, დააჯგუფო, შეადარო და განსაზღვრო მიზეზშედეგობრივი კავშირები. ის გულისხმობს ტექსტში იდეების იდენტიფიცირებასა და დაყოფას მათ შემადგენელ ნაწილებად და ორგანიზაციულ სტრუქტურებად. ორგანიზაციული სტრუქტურების ცოდნა ეხმარება მოსწავლეს, რომ განსაზღვროს წაკითხული ინფორმაციის მნიშვნელობა და მიიღოს გადაწყვეტილება, ტექსტის რომელი ნაწილს დაუთმოს მეტი ყურადღება. ყველა ინფორმაცია არ არის თანაბრად მნიშვნელოვანი. ზოგი დეტალი მეორეხარისხოვანია, ხოლო ზოგს კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტექსტის გასაგებად.

შეფასება (Evaluation) გულისხმობს განხილვას/აზრის გამოთქმას. მკითხველს შეუძლია დასკვნის გაკეთება ავტორის მიზანსა და მისი მიღწევის გზებზე. ის აფასებს სიზუსტეს სხვა წყაროებსა ან გამოცდილებასთან შედარების გზით. მას შეუძლია გამიჯნოს რეალობა და წარმოსახვა ან ფაქტი და მოსაზრება. მკითხველს შეუძლია ავტორისეული ენისა და სტილის შეფასება, მათ შორის სხვადასხვა პროპაგანდისტული ტექნიკისა.

დაბოლოს, მკითხველს შეუძლია ჩამოაყალიბოს საკუთარი პოზიცია, არის თუ არა ტექსტი ან იდეა ღირებული, სათანადო, მისაღები, საინტერესო ან გასართობი. აგრეთვე, რა უნდა დაიჯეროს და რა - არა. მოსწავლეებს სჭირდებათ დახმარება, რომ ტექსტი შეაფასონ სხვადასხვა პერსპექტივიდან და შეაფასონ და გამოიყენონ თემასთან დაკავშირებული სხვადასხვა წყარო. შეფასების პროცესში მკითხველები სვამენ შეკითხვებს: ვინ არის ავტორი, არის თუ არა ავტორიტეტული ამ საკითხში. ისინი სვამენ კითხვებს გამოცემის თარიღის შესახებ და ახლანდელი ინფორმაციის რელევანტურობის შესახებ. მტკიცებითი ტექსტის შეფასებისას, მკითხველმა უნდა განსაზღვროს, ტექსტის ავტორები იყვნენ თუ არა ობიექტურები, კეთილსინდისიერები და სიმართლეს წერდნენ თუ არა.

შექმნა გულისხმობს კონცეპტებისა და იდეების გამოყენებას რაღაც ახლის შესაქმნელად. ამ დონეზე ივარაუდება წერილობითი ტექსტის შექმნა, ზეპირი პრეზენტაცია, დემონსტრირება და თეატრალურად (არტისტულად) წარდგენა.

ინსტრუქციული ჩარჩო გაგების პროცესის მხარდასაჭერად

არსებობს გაგების პროცესის მხარდასაჭერი რამდენიმე ძალიან მოქნილი ინსტრუქციული ჩარჩო: გაგების პროცესის სტრატეგიების ჩარჩო (დაუოვერი, 1999); „ხარაჩოს პრინციპით“ კითხვის გამოცდილება (გრეივისი & გრეივისი, 1994, ტირნი & რიდენსი, 2005); და მართული (ხელმძღვანელობით) კითხვა (ფოუნტასი და პინელი, 1996). თითოეული ეს ჩარჩო ერთმანეთს ჰკავს იმ თვალსაზრისით, რომ ყველა მათგანში შედის დაგეგმვის ან წინასწარი კითხვის ფაზა წინასწარი ცოდნის გამოსავლენად ან გასავითარებლად და კავშირების დასამყარებლად (მათ შორის თემას, ტესტსა და სტრატეგიებს შორის); აქტიური კითხვის ფაზა ხარაჩო-კითხვებისა და მინიშნებების გამოყენებით; და კითხვის შემდეგი ფაზა: გადახედვა, პასუხები/რეაგირება და ტექსტზე ჩაღრმავებული მუშაობა. დამატებით, მართული (ხელმძღვანელობით) კითხვა, ფოუნტასისა და პინელის მიხედვით (ფოუნტასი და პინელი, 1996), შეიცავს მოსწავლის შეფასებისა და ანალიზის ძალიან მნიშვნელოვან საფეხურს მომავალი ინსტრუქციების დასაგეგმად. ფოუნტასისა და პინელს ეკუთვნით K-2 და მე-3 - მე-6 კლასის (ფოუნტასი და პინელი, 2001) მოსწავლეთა ინსტრუქციული ჩარჩო, რომელიც შეიცავს მართულ კითხვას (იხ. თავი 1). აზრის კონსტრუირებისას ეფექტური მკითხველები სვამენ და პასუხობენ შეკითხვებს კითხვის დაწყებამდე, უშუალოდ კითხვის პროცესში და მის შემდგომ, რათა გააანალიზონ, სინთეზირება მოახდინონ, დასკვნები გამოიტანონ, შეაფასონ ინფორმაცია და შემდეგ ეს ცოდნა გამოიყენონ რაღაც ახლის შესაქმნელად.

გაგების მიზნები კითხვისა და მოსმენის პროცესში

ქვემოთ ჩამოთვლილი ამოცანები დაყოფილია დაგეგმვისა და მონიტორინგის, დამახსოვრების, დასკვნების გამოტანის, ანალიზის, შეფასებისა და შექმნის კატეგორიებად. ზოგი ამოცანა მხოლოდ თხრობითი (ნარატიული), ზოგი კი განმარტებითი ან მტკიცებითი ტექსტისათვისაა დამახასიათებელი და მითითებულია ფრჩხილებში.

დაგეგმვისა და თვითმონიტორინგის მიზნები

კითხვის დაწყების წინ მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ შემდეგი:

- ჩუმიად (თავისთვის) ან ხმამაღლა ჩამოაყალიბონ კითხვის მიზნები;
- წინასწარ შეაფასონ წიგნი ყდის, სატიტულო გვერდის, სარჩევის, ილუსტრაციების, სათაურების, მინაწერების, გრაფიკისა და მუქად დაწერილი სიტყვების მიხედვით;
- განსაზღვრონ ტექსტის ჟანრი: თხრობითია, განმარტებითი თუ მტკიცებითი;
- გაუჩნდეთ მოლოდინი ან ივარაუდონ, რის შესახებ იქნება ტექსტი მისი მაკეტის (განლაგების) მიხედვით (სატიტულო გვერდი, სარჩევი, ინდექსი); გრაფიკის (ილუსტრაციები, ფოტოები, ცხრილები, გრაფიკები და რუკები); ტექსტობრივი მახასიათებლების (სათაურები, მინაწერები, ბულეტენები, მუქად და დახრილად დაწერილი სიტყვები);
- ჩუმიად(თავისთვის) ან ხმამაღლა ჩამოაყალიბონ, რა იციან საკითხის (თემის) შესახებ;
- ჩუმიად(თავისთვის) ან ხმამაღლა ჩამოაყალიბონ, რა უნდათ ისწავლონ საკითხის (თემის) შესახებ;
- ჩუმიად(თავისთვის) ან ხმამაღლა ჩამოაყალიბონ სტრატეგიები წაკითხვის გასაგებად, რომლებსაც გამოიყენებენ ამ ტექსტის გასაგებად;
- ჩუმიად(თავისთვის) ან ხმამაღლა ჩამოაყალიბონ გაგებულის მონიტორინგის სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ წინადადების, აბზაცისა და ფრაგმენტის დონეზე.

დამახსოვრების მიზნები

დამახსოვრების დონეზე გაგების დონის ასამაღლებლად მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ შემდეგი:

- განსაზღვრონ და აღწერონ მოქმედი პირები, ადგილები, დრო (დღე, სეზონი, წელი) (თხრობითი/ნარატიული);
- განსაზღვრონ მოვლენების თანმიმდევრობა ტექსტში (თხრობითი/ნარატიული);
- განსაზღვრონ წამოჭრილი პრობლემა და მისი გადაჭრის გზები. (თხრობითი/ნარატიული და მტკიცებითი);
- განსაზღვრონ და აღწერონ ფაქტები და დეტალები ცოცხალი არსებების, საგნების, ადგილების, მოვლენების, კონცეპტებისა და იდეების შესახებ (განმარტებითი და მტკიცებითი);
- ტექსტში აღწერილი პროცესების თანმიმდევრობა (განმარტებითი);
- განსაზღვრონ სიტყვები ან განმარტონ ცნებები(თხრობითი/ნარატიული, განმარტებითი და მტკიცებითი);
- განსაზღვრონ პირდაპირ გადმოცემული ძირითადი იდეა და მხარდამჭერი დეტალები პარაგრაფში (აბზაცში)ან უფრო ვრცელ ნაწილში (განმარტებითი და მტკიცებითი);
- მოჰყვენ ტექსტი ან ამბავი ან გადმოსცენ აზრები (ყველა ტიპის ტექსტი);
- შეაჯამონ ან პერიფრაზირება გაუკეთონ ტექსტში ან მის რომელიმე ნაწილში ცხადად (ზედაპირულ დონეზე) გადმოცემულ ინფორმაციას (ყველა ტიპის ტექსტი).

დასკვნების (ვარაუდების) გამოტანის მიზნები

დასკვნების გამოტანის დონეზე გაგების ხარისხის გასაუმჯობესებლად მოსწავლეებმა ტექსტი და თავიანთი წინასწარი ცოდნა უნდა გამოიყენონ ქვემოთ ჩამოთვლილი ამოცანების შესასრულებლად:

- გამოიტანონ ლოგიკური ვარაუდები, დასკვნები და შეძლონ განზოგადება (ყველა ტიპის ტექსტი);
- ახსნან პრობლემა ან კონფლიქტი (თხრობითი/ნარატიული);
- ახსნან თემა, სიუჟეტი და გადაწყვეტილება (თხრობითი/ნარატიული);
- ახსნან ძირითადი იდეა და მხარდამჭერი დეტალები (განმარტებითი და მტკიცებითი);
- ახსნან ტექსტში გადმოცემული საკითხი და მისი მიზანი (ყველა ტიპის ტექსტი);
- ახსნან ტექსტის ავტორის ან მოქმედი გმირების თვალსაზრისი (ყველა ტიპის

- ტექსტი);
- ახსნან გამოტანილი დასკვნები მოვლენების, პროცესის ან იდეების შესახებ (ყველა ტიპის ტექსტი);
- გააკეთონ სიტყვების ან ცნებების განმარტებები (ყველა ტიპის ტექსტი);
- გააკეთონ დასკვნები კავშირებისა და მიმართებების შესახებ (ყველა ტიპის ტექსტი);
- დააკავშირეთ მიღებული დასკვნები და სხვათა წარმოდგენები და ცოდნა (მტკიცებითი);
- ახსნან ფიგურატიული ენის ელემენტები: შედარება, მეტაფორა, ჰიპერბოლა, გაპიროვნება... (თხრობითი/ნარატიული და მტკიცებითი);
- ახსნან ავტორის მიერ გამოყენებული იუმორი, ალუზია, რეტროსპექცია, განწყობა, ტონი, თვალსაზრისი, მოტივაცია, მღელვარება, დასკვნები და ჰიპერბოლა (თხრობითი/ნარატიული და მტკიცებითი);
- განაზოგადონ ან ჩამოაყალიბონ ზოგადი წარმოდგენა ადამიანების ზოგად თვისებებზე, ადგილებზე, საგნებსა და მოვლენებზე დაკვირვების გზით;
- ივარაუდონ, რა შეიძლება დაემართოთ გმირებს, რა მოხდება გარემოსა და სიუჟეტის თვალსაზრისით (თხრობითი/ნარატიული);
- ივარაუდონ, რა შეიძლება მოხდეს ტექსტის შემდეგ ნაწილში (ყველა ტიპის ტექსტი);
- გამოთქვან ჰიპოთეზები, ივარაუდონ მოსალოდნელი შედეგები ან გააკეთონ დასკვნები იდეების, პრობლემებისა და მათი გადაჭრის შესახებ (ყველა ტიპის ტექსტი);
- ივარაუდონ, რა შეიძლება მოხდეს ცოცხალი არსებების, საგნების, ადგილების, მოვლენების, კონცეპტებისა და იდეების თვალსაზრისით მომავალში (თხრობითი/ნარატიული და მტკიცებითი);
- გარემოს, მოვლენებისა და იდეების ვიზუალიზება (ყველა ტიპის ტექსტი);
- შეაჯამონ ან პერიფრაზირება გაუკეთონ ნაგულისხმევ ან ექსპლიციტურ ინფორმაციას ტექსტში ან მის რომელიმე ნაწილში (ყველა ტიპის ტექსტი).

ანალიზის მიზნები

ანალიზის დონეზე გაგების ხარისხის გასაუმჯობესებლად მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ შემდეგი:

- გააანალიზონ ან დაახარისხონ მოქმედი გმირები, გარემო, სიუჟეტი და გადაწყვეტილება;
- გააანალიზონ ან დაახარისხონ ძირითადი იდეა და დეტალები ცოცხალი არსებების, საგნების, ადგილების, მოვლენების, კონცეპტებისა და იდეების შესახებ (თხრობითი/ნარატიული);
- გააანალიზონ ან დაახარისხონ სიტყვები და ცნებები (ყველა ტიპის ტექსტი);
- შეადარონ და შეაპირისპირონ მოქმედი გმირები, გარემო, სიუჟეტის დეტალები და გადაწყვეტები ერთი ტექსტის შიგნით და სხვადასხვა ტექსტებს შორის (თხრობითი/ნარატიული და მტკიცებითი);
- შეადარონ და შეაპირისპირონ სიტყვები და ცნებები ერთი ტექსტის შიგნით და სხვადასხვა ტექსტებს შორის (ყველა ტიპის ტექსტი);
- შეადარონ და შეაპირისპირონ მოქმედი გმირები, გარემო, სიუჟეტის დეტალები და გადაწყვეტები საკუთარ ან სხვათა ცხოვრებასთან (თხრობითი/ნარატიული);
- შეადარონ და შეაპირისპირონ ძირითადი იდეები მოქმედი გმირების, გარემოს, სიუჟეტის დეტალებისა და გადაწყვეტების შესახებ საკუთარ ან სხვების ცხოვრებასა და გამოცდილებასთან (განმარტებითი და მტკიცებითი);
- შეადარონ და შეაპირისპირონ სიტყვები და ცნებები საკუთარ და სხვების ცოდნასთან (ყველა ტიპის ტექსტი);
- გამოავლინონ მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ცოცხალ არსებებს, საგნებს, ადგილებს, მოვლენებს, კონცეპტებსა და იდეებს შორის (განმარტებითი და მტკიცებითი).

შეფასების (Evaluation) მიზნები

შეფასების დონეზე გაგების ხარისხის გასაუმჯობესებლად მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ შემდეგი:

- შეაფასონ ახალი ინფორმაცია იმის განსასაზღვრად, სჭირდებათ თუ არა შეიტანონ ცვლილებები საკუთარ ცოდნაში ახალი ინფორმაციის ჩასართავად (ყველა ტიპის ტექსტი).
- განარჩიონ მნიშვნელოვანი და არარელევანტური დეტალები აზნაგში (პარაგრაფში) ან ტექსტის უფრო ვრცელ ნაწილში (ყველა ტიპის ტექსტი);
- განსაზღვრონ ინფორმაციის მნიშვნელობა (ყველა ტიპის ტექსტი).
- შეაფასონ სიტყვებისა და ცნებების მნიშვნელობა (ყველა ტიპის ტექსტი).
- განსაზღვრონ ინფორმაციის სანდოობა (ყველა ტიპის ტექსტი).
- განსაზღვრონ საკუთარი ინტერესი ამბის ან საკითხის მიმართ (ყველა ტიპის ტექსტი);

- შეაფასონ ტექსტი იმის მიხედვით, თუ რა აღმრავს ემოციურ დამოკიდებულებას (ყველა ტიპის ტექსტი);
- დაახარისხონ ინფორმაცია მნიშვნელობის მიხედვით და თუ რამდენად საინტერესოა (განმარტებითი და მტკიცებითი);
- შეაფასონ საკუთარი ინტერესი წერილობითი ტექსტის სტილის მიმართ (ყველა ტიპის ტექსტი);
- განსაზღვრონ, მოვლენები რეალობას ეყრდნობა თუ ფანტაზიის ნაყოფია (თხრობითი/ნარატიული);
- შეაფასონ მასალების სიზუსტე და სისწორე (განმარტებითი და მტკიცებითი);
- განარჩიონ ფაქტები და თვალსაზრისები (მტკიცებითი);
- ამოიცნონ დასაბუთებული, ვალიდური არგუმენტები (მტკიცებითი);
- შეადარონ სხვადასხვა წყაროდან მიღებული მასალები ინფორმაციის შესამოწმებლად ან დასადასტურებლად (განმარტებითი და მტკიცებითი);
- განიხილონ კონკრეტულ მიზანთან ტექსტის შესაბამისობის, ღირებულების, სასურველობის და მისაღებობის საკითხი (ყველა ტიპის ტექსტი);
- შეაფასონ ავტორის თვალსაზრისი და პოზიცია (მტკიცებითი);
- ამოიცნონ სხვადასხვა პროპაგანდისტული ტექნიკა (სახელების შერქმევა, ემოციური ფრაზების გამოყენება, პროპაგანდისტული ტრანსფერი, უბრალო ადამიანებთან თავის გაიგივება ვერბალურად და საქციელით მათი მხარდაჭერის მოსაპოვებლად და ა. შ.) (მტკიცებითი) (პროპაგანდის ანალიზის ინსტიტუტი, 1938).

შექმნის მიზნები

შექმნის დონეზე გაგების ხარისხის გასაუმჯობესებლად მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ შემდეგი:

- გააერთიანონ წინარე ცოდნა წაკითხულიდან მიღებულ ცოდნასთან და მოსაზრებებთან რაღაც ახალის შესაქმნელად (ყველა ტიპის ტექსტი);
- გამოიყენონ წაკითხული ცხოვრებაში პრობლემების გადასაჭრელად ან რაღაცის გასაგებად (ყველა ტიპის ტექსტი);
- გამოხატონ პირადი დამოკიდებულება ტექსტის ან საკითხის მიმართ (ყველა ტიპის ტექსტი);
- გამოიყენონ მოქმედი გმირების, გარემოს, სიუჟეტის და პრობლემის/საკითხის გადაწყვეტის შესახებ ცოდნა ამ ამბის სხვა ჟანრის ტექსტად გადასაკეთებლად ან ახალი ტექსტის შესაქმნელად (თხრობითი/ნარატიული);
- გამოიყენონ საკითხის შესახებ ცოდნა ინფორმაციის სხვა ფორმით წარმოსადგენად. ეს ფორმებია: ცხრილი, გრაფიკა, ილუსტრაცია ან მოდელი (განმარტებითი);
- გამოიყენონ ტექსტის ცოდნა ახალი ინფორმაციის დასამატებლად ან ტექსტის ფარგლებს გარეთ გასასვლელად (ყველა ტიპის ტექსტი).
- გამოიყენონ ტექსტიდან მიღებული ცოდნა პრობლემის გადასაჭრელად, გამოკვლევის ჩასატარებლად, კონცეფციის დემონსტრირებისათვის ან მტკიცებითი ხასიათის ტექსტის შესაქმნელად საჯარო გამოსვლისათვის (განმარტებითი ან მტკიცებითი);
- გამოიყენონ ტექსტი ან ტექსტების კომბინაცია ახალი ნარატიული, განმარტებითი ან მტკიცებითი ტექსტების შესაქმნელად ან ზეპირი კომუნიკაციისა და მხატვრული დანიშნულებით (ყველა ტიპის ტექსტი).

წაკითხულისა და მოსმენილის გაგების შეფასება

წაკითხულის გაგების, რაც, თავისთავად, სტრატეგიული, ინტერაქტიული, საინტერესო და შემოქმედებითი პროცესია, შეფასებაში ასახული უნდა იყოს, რომ წაკითხულის გაგება რთული პროცესია და გულისხმობს მოსწავლის კითხვის უნარის ზრდის დეტალურ ანალიზს. გაგების პროცესი რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული: ადეკვატური წინარე ცოდნა, მნიშვნელოვანი ცნებების ლექსიკის, ორგანიზაციული სტრუქტურებისა და მახასიათებლების ცოდნა; მონიტორინგის სტრატეგიების ეფექტურად გამოყენება; დეკოდირების საბაზისო უნარები და კითხვაში გაწაფულობა (თავისუფლად კითხვა); მოტივაცია და კონცენტრირების უნარი და კარგად განვითარებული ენობრივი და სააზროვნო უნარები (გუნინგი, 2007). გაგების უნარი უნდა შეფასდეს დიაგნოსტიკური შეფასებით, რასაც უნდა მოჰყვეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი (შემაჯამებელი) შეფასებები.

დიაგნოსტიკური ტექსტი არა მხოლოდ მოსწავლეთა კითხვისა და მოსმენის უნარის იდენტიფიცირებაში გვხმარება, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, გამოავლენს გაგების დონეს, გრამატიკული ელემენტების ცოდნას, ძირითადი იდეებისა და დეტალების, ორგანიზაციული სტრუქტურებისა და ცნებებისა და ლექსიკური ერთეულების ცოდნის დონეს და როდის სჭირდებათ მათ მასწავლებლის დახმარება და როდის - არა. დიაგნოსტიკური შეფასება განსხვავებულ ჟანრებში უნდა მოხდეს. ის უნდა შეიცავდეს კითხვებს წინასწარი ცოდნისა და ვარაუდების შესახებ, ტექსტის თხრობისათვის განკუთვნილ საკონტროლო კითხვების ჩამონათვალს და ექსპლიციტურ და იმპლიციტურ კითხვებს გაგების შესამოწმებლად. შესაძლებელია კრიტიკული და შემოქმედებითი კითხვების დასმაც. ამავე მიზნით შეიძლება კითხვის არაფორმალური აღმრიცხველის, მაგალითად, QRI-4-ის (ლესი და კალდველი, 2006), გამოყენება, რადგან ისინი შეიცავს ამ ელემენტებს. იმის შესაფასებლად, თუ როგორ გაიგეს მოსწავლეებმა წაკითხული და მოსმენილი ტექსტი, მასწავლებელს შეუძლია თვითონ შექმნას ტესტი და ნიმუშად გამოიყენოს „მონათხრობისა და დასმული კითხვების გაგების შეფასება“, რომელიც ამ სექციაშია წარმოდგენილი. განმავითარებელი და განმსაზღვრელი (შემაჯამებელი) შეფასებისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი დაკვირვებები და მინაწერები მოსწავლეთა ნაწერებზე ან ტექსტის განხილვები და მასზე რეაქციები, საკონტროლო კითხვები მოყოლილის ან გაგების შესამოწმებლად, მასწავლებლის მიერ შექმნილი ან გამოქვეყნებული ტესტებით ან გაგების სტრატეგიებზე დამყარებული შეფასებით. სტანდარტიზებული ტესტები სრულ სურათს გთავაზობს, თუმცა, ზოგადად, ისინი შეიცავს დაბალი დონის, მრავლობითი არჩევანის ტიპის კითხვებს, რაც საშუალებას არ აძლევს მოსწავლეებს, ჩამოაყალიბონ საკუთარი პასუხები (გუნინგი, 2007). გაგების ეფექტური შეფასება მის სხვადასხვა დონეზე შეფასების შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს.

მონათხრობისა და დასმული კითხვების გაგების შეფასება

მიზანი: მოსწავლეთა წინასწარი ცოდნის ანალიზი ჩუმად და ხმამაღლა კითხვის დაწყებამდე და მისი გაგების შემოწმება კითხვის შემდეგ. ამის შემდეგ მოსწავლე ყვება ტექსტს და პასუხობს გაგებულის შესამოწმებლად დასმულ შეკითხვებს (ზოგჯერ იხედება ტექსტში, ზოგჯერ - არა). მოსმენილის გაგება შეიძლება შეფასდეს მას შემდეგ, რაც მოსწავლე ისმენს თავისუფლად წაკითხულ ტექსტს (შესაძლოა აუდიოჩანაწერის მოსმენაც - სიდი, კომპიუტერული ჩანაწერი და ა. შ.).

მონათხრობისა და დასმული კითხვების გაგების შეფასება (იხ. დანართი, გვ. 262) გამოიყენება, რომ განისაზღვროს მოსწავლის გააზრების უნარი მას შემდეგ, რაც კითხვითი ამოცანა (კითხვის პროცესი) დასრულებულია. ის ეძლევათ მოსწავლეებს, რომელთა კითხვის დონეც წინარე დაწყებითის დონეზე ან მასზე ქვემოთაა. მისი შეთავაზება შეიძლება ნებისმიერი მოსწავლისათვის მათი მოსმენილის გაგების უნარის შესამოწმებლად. ამ შეფასების ჩატარება მიზანშეწონილია რეგულარულად, რათა მოსწავლეთა გაგების დონის მიხედვით ზუსტად შევარჩიოთ ტექსტები და სასწავლო სტრატეგიები.

ვინაიდან ეს შეფასება შექმნილია მასწავლებლის მიერ კონკრეტული ტექსტის ან მისი ნაწილისათვის ან გამოქვეყნებული არაფორმალური კითხვის აღმრიცხველის ნაწილს წარმოადგენს, კონკრეტული შეფასების ფორმა ამ რესურსში არ არის შეტანილი. თუმცა, წარმოდგენილია ნარატიულისა და განმარტებითის მაგალითი, რომელიც ჩემი შექმნილია გაგებულის ანალიზის შეჯამებასთან ერთად (იხ. დანართი, გვ. 262).

პროცესის აღწერა: აირჩიეთ თხრობითი, განმარტებითი ან მტკიცებითი ტექსტი კომერციული ხასიათის წიგნიდან, საცნობარო ლიტერატურიდან ან ინტერნეტგვერდიდან, იმის მიხედვით, თუ გაგების რა ტიპის შემოწმებას გეგმავთ. გაგების დონის განსასაზღვრად გამოიყენეთ კითხვის არაფორმალური აღმრიცხველი, მაგალითად, QRI-4 (ლესი და კალდველი, 2006). ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ფასეული რესურსია, რადგან შეიცავს ფრაგმენტებს თხრობითი და განმარტებითი ტექსტებიდან ყველა დონისათვის. აგრეთვე, წარმოდგენილია წინასწარი ცოდნის შესამოწმებელი კითხვები, მონათხრობის შესაფასებელი და ექსპლიციტური და იმპლიციტური ხასიათის კითხვები. შერჩეული ტექსტი უნდა იყოს სრულყოფილი პასაჟი ან დასრულებული აზრის შემცველი ფრაგმენტი. თუ ტექსტი 300 სიტყვაზე ნაკლებს შეიცავს, გამოიყენეთ სრული ტექსტი. ქვემოთ მოცემულია სიტყვათა რაოდენობები კლასების მიხედვით:

- წინარე დაწყებითი: 40-60 სიტყვა
- კლასი 1: 100-150 სიტყვა
- კლასი 2: 100-200 სიტყვა
- კლასი 3 და ზემოთ, დაახლოებით 200-300 სიტყვა

გადაწყვეტით, ტექსტს ხმამაღლა წაკითხვით მოსწავლეებს, უხმოდ წაკითხვით თუ თავად წაუკითხავთ. თუ მოსწავლე ხმამაღლა კითხულობს, შეგიძლიათ მისი შეცდომების შეფასება (იხ. ხმამაღლა კითხვის ჩანაწერებისა და გაგებულის ანალიზი, თავი 4).

შეადგინეთ წინასწარი ცოდნის განმსაზღვრელი კითხვები და სთხოვეთ, გამოთქვან წინასწარი ვარაუდები ტექსტის შესახებ. შექმენით მონათხრობის შესამოწმებელი კითხვები მნიშვნელოვანი ნარატიული ან განმარტებითი ელემენტებით. შეადგინეთ 6-10 ექსპლიციტური, იმპლიციტური და კრიტიკული შინაარსის კითხვები ტექსტის მნიშვნელოვან კონცეპტებთან დაკავშირებით. ბოლო კითხვა უნდა შეეხებოდეს ტექსტისა და მოსწავლის, სამყაროსა და სხვა ტექსტების ურთიერთმიმართებას. აღნიშნეთ ე-თი ექსპლიციტური ხასიათის კითხვები, ი-თი - იმპლიციტური, ხოლო კ-თი - კრიტიკული. შეგიძლიათ დასვათ კითხვები მნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეულებისა და ცნებების ცოდნის გასარკვევად. გამოიყენეთ აქტიური კითხვის შეკითხვები (აღწერილია ამ თავში), ისევე როგორც ნარატიული ტექსტის გაგებისა და განმარტებითი ტექსტის გაგების ცნობარები (აღწერილია ამავე თავში) და სხვადასხვა დონის კითხვები ბლუმის განახლებული ტაქსონომიიდან (აღწერილია 1 თავში). კარგი ეფექტი აქვს მოსწავლეთა პასუხების აუდიოჩანაწერების გაკეთებას მათი სიზუსტის შესაფასებლად, თუმცა ყოველთვის დაწერეთ მათი პასუხები პროცესის მიმდინარეობისას. დაუსვით მოსწავლეებს წინასწარი ცოდნის შესაფასებელი კითხვები და გარკვეით, რა იცის საკითხის შესახებ. მიეცით მოსწავლეებს ტექსტი, წაკითხვით სათაური და სთხოვეთ, სკანირების მეთოდით წაკითხონ ტექსტი და გამოთქვან ვარაუდი, რის შესახებაა იგი.

ჩაიწერეთ მოსწავლეთა წინასწარი ცოდნა და პასუხები ვარაუდების შესახებ და შეაფასეთ თითოეული პასუხი (+), (✓) და (-) ნიშნებით პასუხების სიზუსტისა და დეტალურობის მიხედვით.

შემდეგ უთხარით მოსწავლეებს: „როდესაც კითხვას დაასრულებთ, მე დაგისვამთ კითხვებს წაკითხულის შესახებ“. თუ მოსწავლე ხმამაღლა კითხულობს, გაიმეორეთ ჩაწერისა და ხარვეზების ანალიზის პროცედურა, რომელიც მე-4 თავშია აღწერილი. თუ ხმამაღლა წაკითხულის გაანალიზებას არ გეგმავთ, წაკითხვით ჩუმად. როდესაც გინდათ გაიგოთ მოსწავლის მოსმენის დონე, ფრაგმენტი არ უნდა ამოწმებდეს კითხვის უნარს. მოსწავლეს ტექსტი უნდა წაუკითხოს პიროვნებამ, რომელიც თავისუფლად კითხულობს ან მოისმინოს კარგი ხარისხის ჩანაწერი.

კითხვის დასრულების შემდეგ უთხარით მოსწავლეს: „მომიყვი ყველაფერი, რაც დაგამახსოვრდა“. შემდეგ კი ჩაიწერეთ პასუხი. გამოიყენეთ მონათხრობის შესამოწმებელი კითხვები, რათა შეამოწმოთ, რამდენად ახსოვს მოსწავლეს ტექსტის ძირითადი ელემენტები. დაუსვით შეკითხვები ტექსტის ირგვლივ, ჩაიწერეთ პასუხები და შეაფასეთ (+) ან (-) ნიშნებით მათი სიზუსტის მიხედვით. სანახევრო შეფასება (პლუსსა და მინუსს შორის) არ იწერება. თუ მოსწავლე არასრულ პასუხს სცემს შეკითხვას, დაწერეთ **მდ (მასწავლებლის დახმარებით)** და დაწერეთ დამაზუსტებელი შეკითხვა, მაგალითად: „კიდევ რამეს ხომ არ დაამატებდი?“. მიეცით საშუალება მოსწავლეს, კიდევ ერთხელ ჩაიხედოს ტექსტში, რათა იპოვოს ინფორმაცია პასუხის გასაცემად. (✓) ნიშნით აღნიშნეთ ნებისმიერი პასუხი, რომელიც ტექსტის გადახედვის შემდეგ გაასწორა.

პედაგოგიური ამოცანების განსაზღვრისათვის თავდაპირველად გააანალიზეთ მოსწავლის წინასწარი ცოდნისა და ვარაუდების სიზუსტე და დონე. გამოიყენეთ (+) ნიშანი ზუსტი და სრულყოფილი პასუხისათვის, (✓) ნიშანი ნაწილობრივი ცოდნისათვის, ხოლო (-) - არცოდნისა და არასწორის პასუხებისათვის. ამის შემდეგ გააანალიზეთ მოსწავლის ტექსტის გაგებისა და ტექსტის გაგებასთან დაკავშირებულ (ექსპლიციტური, იმპლიციტური და კრიტიკული) კითხვებზე პასუხის გაცემის უნარი. შეაფასეთ, მოსწავლე დამოუკიდებელ დონეზეა, ინსტრუქციულზე თუ ფრუსტრაციულზე. ასევე, გარკვეით კითხვის პროცესში მისი ძლიერი და სუსტი მხარეები და არსებული საჭიროებები. მიუხედავად იმისა, რომ მონათხრობისა და გაგების შესახებ შეკითხვები სხვადასხვაა, მათი გამოყენება შეიძლება მოსწავლეთა გაგების მიმდინარე დონის შესაფასებლად. თუ მოსწავლე ახერხებს სწორად მოჰყვეს და უპასუხოს კითხვების 90-100 %-ს, ის გაგების თვალსაზრისით დამოუკიდებელ დონეზეა. თუ ის 70-89%-ს აგროვებს, ის ინსტრუქციულ დონეზეა, ხოლო 69% -ზე და ქვემოთ - ფრუსტრაციულზე.

ფრაგმენტი, რომელსაც მოსწავლე ჩუმად ან ხმამაღლა კითხულობს გაგების ფრუსტრაციულ დონეზე, შეიძლება წაუკითხოთ მას, რათა გარკვეით, შეესაბამება თუ არა მის მოსმენის შესაძლებლობის დონეს. მოსმენის დონე, რომელიც არ არის იდენტიფიცირებული ბეტსის მიერ, არის დონე, რომელშიც მოსწავლე მისთვის წაკითხული მასალის გაგების შესახებ ტესტში იღებს 75%-100%-ს. ამ დონეს პოტენციურ დონესაც უწოდებენ, რადგან თუ მოსწავლე თავისუფლად კითხულობს, ის გაგებასაც შეძლებს. როდესაც სიტყვების სიზუსტისა და გაგების ქულები განსხვავდება, მოსწავლის მიმდინარე დონის განსასაზღვრად ლესლი და კალდველი (ლესლი და კალდველი, 2006) გვთავაზობენ შემდეგ ინსტრუქციებს (იხ. ცხრილი 5.2).

მოსწავლის გაგების ხარისხზე შეიძლება მრავალმა ფაქტორმა მოახდინოს გავლენა. აქტივობების დაგეგმვისას გაითვალისწინეთ შემდეგი ფაქტორები: აქვს თუ არა მოსწავლეს წინასწარი ცოდნა საკითხის შესახებ? შეძლო თუ არა მოსწავლემ ისეთი

ელემენტების გათვალისწინება, როგორებიცაა სათაური, რუბრიკა, ტიპოგრაფია და გრაფიკა ტექსტის შესახებ წინასწარი ვარაუდების გამოსათქმელად? თუ მოსწავლემ ხმამაღლა წაკითხა ტექსტი, შეძლო თუ არა მინიმუმ ინსტრუქციულ დონეზე კითხვა სიტყვების სიზუსტის თვალსაზრისით? შეძლო თუ არა ტექსტის ძირითადი ელემენტების მოყოლა? თუ ვერ შეძლო, რომელი ელემენტები გამოტოვა? შეძლო თუ არა იმპლიციტურ, ექსპლიციტურ და კრიტიკულ კითხვებზე პასუხის გაცემა? გადახედა თუ არა ტექსტს პასუხების შესამოწმებლად ან პასუხების შესასწორებლად? ნარატიული ტექსტი უკეთ გაიგო თუ განმარტებითი? როგორ ურთიერთზემოქმედებენ ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები? სწავლების პროცესში შეარჩიეთ მოსწავლის დონის შესაბამისი ტექსტები და დაეხმარეთ მას, გაიუმჯობესოს ცოდნა ზემოთ ჩამოთვლილ უბნებში (საკითხებში).

ლესლისა და კალდველის კითხვის არაფორმალური აღმრიცხველისა (QRI-4; ლესლი და კალდველი, 2006) და ბივერსის განმავითარებელი კითხვის შეფასება (ბივერსი, 2002) კიდევ ერთი გზაა გაგების დონის შესამოწმებლად. შეფასება ეყრდნობა ხმამაღალ და ჩუმი კითხვისა და წაკითხულის მოსმენის შეფასებას. QRI-4 განსაკუთრებით ღირებულია, რადგან შეიცავს როგორც თხრობითი, ისე განმარტებითი ტექსტების ნაწყვეტებს და, აგრეთვე, შეკითხვებს წინასწარი ცოდნის გასარკვევად, მონათხრობის შესამოწმებელ კითხვებს და ექსპლიციტურ და იმპლიციტურ შეკითხვებს. არაფორმალური კითხვის აღმრიცხველები განსაკუთრებით გამოსადეგია მოსწავლის კითხვის ზოგადი დონის განსასაზღვრად და არა კონკრეტული ტექსტის გაგების შესამოწმებლად. ქვემოთ მოცემული ნარატიული ტექსტი ხმამაღალი კითხვის ჩანაწერის მაგალითის გაგრძელებაა (იხ. თავი 4).

ცხრილი 5.2 ტექსტის კითხვის მიმდინარე დონეები

სიტყვების სიზუსტე	გაგება	საერთო დონე
დამოუკიდებელი	+ ინსტრუქციული =	ინსტრუქციული
დამოუკიდებელი	+ ფრუსტრაციული =	ფრუსტრაციული
ინსტრუქციული	+ დამოუკიდებელი =	ინსტრუქციული
ინსტრუქციული	+ დრუსტრაციული =	ფრუსტრაციული
ფრუსტრაციული	+ დამოუკიდებელი =	ინსტრუქციული
ფრუსტრაციული	+ ინსტრუქციული =	ფრუსტრაციული

ლესლი და კალდველი (2006). *Qualitative reading inventory-4* (4th ed.). Boston: Pearson. გამოყენების უფლებაზე გვაქვს ნებართვა.

მაგალითი: მონათხრობის გაგებისა და კითხვებზე პასუხების შეფასება - ნარატიული ტექსტი

მაგალითი:

სათაური/ავტორი: ხელთათმანი (ბრეტი, 1989) დონე: გკმ 28 (მე-2 კლასის ბოლო)
 ჟანრი: ნარატიული, ზღაპარი
 წინასწარი ცოდნის დასადგენი კითხვები: ვარაუდი: რას ფიქრობ, რის შესახებაა ეს
 წიგნი? არა. ეს მოთხრობა?
 ✓ რა არს ხელთათმანი? ნივთი ხელებისათვის. ცხოველები თოვლში
 — რა არის ქსოვა? არ ვიცი
 + რა ხდება, როცა რამეს კარგავ? დედაჩემი ბრაზდება...

მოსწავლის მონათხრობი: იყო ერთი პატარა ბიჭი. ბებიამ გაუკეთა ხელთათმანები. ის მიცოცავდა ხეზე და დაუვარდა ხელთათმანი. მოვიდა თხუნელა. მოვიდნენ კურდღელი და მარვი. შემდეგ ბუ, მელია, დათვი და თავი. (მ.დ.) კიდევ? (მ.დ.) შემდეგ რა მოხდა? წავიდა სახლში.

კითხვები მონათხრობის შესამოწმებლად:

პერსონაჟები: გარემო:
 ✓ ბიჭი, _ნიკი _ სახლში
 ✓ ბებია, _____ ბაბა _ თოვლიან ტყეში now in the woods
 _ ცხოველები _ კვლავ სახლში

სიუჟეტი:

✓ ბებია ქსოვს თეთრ ხელთათმანებს

- ბებია აფრთხილებს ნიკს, არ დაკარგოს ხელთათმანები
- რადგან ძნელია მათი თოვლში პოვნა
- ნიკი თამაშობს თოვლში
- ნიკი მიცოცავს ხეზე
- ნიკს უბარდება ხელთათმანი თოვლში
- თხუნელა პოულობს ხელთათმანს და დახობავს მასში
- თეთრფეხება კურდღელი პოულობს ხელთათმანს
- თხუნელა ჩივის, რომ არ არის საკმარისი ოთახი,
- მაგრამ კურდღელი შეძვრება.
- ზღარბი პოულობს ხელთათმანს,
- როდესაც სხვები წუწუნებენ, რომ არ არის საკმარისი ოთახი,
- ისინი ხობავენ.
- ბუ, _____ მაჩვი, მელია, დათვი პოულობს ხელთათმანს
- საბოლოოდ თავი პოულობს ხელთათმანს
- ხელთათმანში აღარ არის სხვა ოთახი.
- ნიკი ეძებს ხელთათმანს
- ცხოველების მოქმედებების აღსაწერად იყენებს ზმნებს: თავდასხმა, ხმაური, ჩქარა სიარული, ქმენა, შეგახება, ხელის კვრა.

გადაწყვეტა:

- თავის გამო დათვა დააცემინა.
- ხელთათმანები და ყველა ცხოველი მიფრინავს.
- ნიკი ხედავს ხელთათმანს ჰაერში და იჭერს.
- ნიკი ბებიასთან ხელთათმანით ბრუნდება.
- ბებია ამჩნევს, რომ ხელთათმანი გაწელილია.

გაგებასთან დაკავშირებული კითხვები: ხელთათმანი (ბრეტი, 1989)

შეფასება +/-	შეკითხვა	პასუხი
+	რას აკეთებს ბებია მოთხრობის დასაწყისში? (E)	ქსოვს ხელთათმანებს
-	რის შესახებ გააფრთხილა ნიკი ბებიამ?	არ ვიცი
+	როგორ დაკარგა ნიკიმ ხელთათმანი? (E)	მიცოცავდა ხეზე
+	რომელმა ცხოველებმა იპოვეს ხელთათმანი? (მინიმუმ 5 ცხოველი) (E)	მაჩვი, კურდღელი, მელია, დათვი, თავვი
+	რა გააკეთეს ცხოველებმა, როდესაც ხელთათმანი იპოვეს? (E)	შიგნით შეძვრნენ
-	როგორ ფიქრობთ, რატომ არ გაიხა ხელთათმანი?	დიდი ზომის იყო
-	როგორ იპოვა ნიკიმ ხელთათმანი?	მიწაზე ეგდო
+	როგორ ფიქრობთ, როგორ იგრძნობდა თავს ბებია, ნიკის რომ ხელთათმანი დაეკარგა? (I)	გაბრაზდებოდა, რადგან ხელთათმანი თვითონ მოქსოვა. (უკეთესი პასუხი - რადგან მან გააფრთხილა)

კრიტიკული შეკითხვები (შენიშვნა: არ გამოიყენება ტექსტის გაგების შესაფასებლად, არამედ მისი მიზანია ტექსტის შეფასება და კავშირების დამყარება)

+	თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოს ნიკიმ, რომ კიდევ არ დაეკარგოს ხელთათმანი? (C)	გამოიყენოს პალტოზე მისამაგრებლები
-	თქვენი აზრით, როდის შეიძლება გაიხეს ხელთათმანი სინამდვილეში? (C)	როცა მაში თავი შეძვრება
-	თქვენი აზრით, რატომ შეარჩია ავტორმა ასეთი ილუსტრაციები? (C)	კარგად რომ გამოიყურებოდეს. (გვიამბობს ორ სხვადასხვა ამბავს, ერთია ბებიას შესახებ, რომელიც ქსოვს და მეორეა ცხოველების შესახებ, რომლებიც ხელთათმანში ძვრებიან)
+	რომელია თქვენი საყვარელი ეპიზოდი მოთხრობაში? (C)	როდესაც ყველა ცხოველი ხელთათმანში შეძვრა და ის გადიდა

მაგალითი: გაგებულის ანალიზის შეჯამება - ნარატიული ტექსტი

სახელი: ლაურა	კლასი: მე-3	თარიღი 10/13		
სათაური: ხელთათმანი (ბრეტი, 1989)	სიტყვათა რაოდენობა 198 (310-დან)	გკშ 28		
ტექსტის ტიპი: ნარატიული		კითხვის მეთოდი: ხმამაღალი		
ხმამაღალი კითხვის შეჯამება				
შეფასების ტიპი	გამოთვლა	შეფარდება	პროცენტი	მიმდინარე დონე*
სიტყვების სიზუსტე	სწორი სიტყვები=სიტყვათა რაოდენობას- გაუსწორებელი ხარვეზები სიტყვათა რაოდენობა	181 _____ 198	91%	ინსტრუქციული
ტექსტის აზრი/მისაღებობა	სწორი სიტყვები + გაუსწორებელი ხარვეზები, რომელთა დროსაც აზრი შენარჩუნებულია სიტყვათა რაოდენობა	185 _____ 198	93%	ინსტრუქციული
გაგებულის შეჯამება				
წინასწარი ცოდნა (+, √, —)		✓		
ვარაუდი (+, √, —)		✓		
<ol style="list-style-type: none"> 1. მოყოლა (+, √, —) 2. ნარატიული განმარტებითი 3. პერსონაჟები/ძირითადი იდეა 4. გარემო/დეტალები 5. სიუჟეტი/ძირითადი იდეა 6. გადაწყვეტა/დეტალები 		<ol style="list-style-type: none"> 1. 2. 3. პ= ✓ 4. გ= — 5. ს= ✓ (ცხოველები ხელთათმანში, მაგრამ მეტი არაფერი) 6. გ= — 		
გაგებულის შეფასება	ხელახლა ჩახედვის გარეშე	ხელახლა ჩახედვით*		
<ol style="list-style-type: none"> 1. ექსპლიციტური?: პირდაპირ მოცემული იმპლიციტური?: დასკვნა/ვარაუდი 	<ol style="list-style-type: none"> 4/4 = 100% 2/6 = 33% 6/10 = 60% 	<ol style="list-style-type: none"> _____/____ = ____% _____/____ = ____% _____/____ = ____% 		

სწორად გაგებულის საერთო რაოდენობა 2. კრიტიკული?: შეფასებით*	2/4 = 50%	___/___ = ___%
გაგების მიმდინარე დონე	ფრუსტრაციული	*არ გამოიყენება დონის განსასაზღვრად
გაგების დონეები		
გაგება	დამოუკიდებელი 90%-100%	ინსტრუქციული 70%-89%
		ფრუსტრაციული 69% და ნაკლები

პროცესის ანალიზი: მიუხედავად იმისა, რომ ეს ტექსტი მოსწავლის ინსტრუქციული დონისაა ვერბალური სიზუსტის თვალსაზრისით, გაგების თვალსაზრისით ფრუსტრაციული დონისაა, ამდენად, კითხვის სწავლების ინსტრუქციები უფრო დაბალი დონის ტექსტისათვისაა მიზანშეწონილი.

ინსტრუქციები: აღნიშნეთ, რომ მოსწავლემ შეძლო ტექსტში სწორი ინფორმაციის ამოცნობა. შემდეგ წარუდგინეთ „იფიქრე ხმამაღლა“ მეთოდი და ამ მეთოდის საშუალებით როგორ უნდა გამოიყენონ ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ინფორმაცია და წინასწარი ცოდნა იმპლიციტური ხასიათის კითხვებზე პასუხის გასაცემად. სთხოვეთ მოსწავლეებს აღწერონ, რომელი ინფორმაცია გამოიყენეს მოთხრობიდან და რომელი - წინასწარი ცოდნიდან კითხვებზე პასუხის გასაცემად.

მაგალითი: გაგებულის ანალიზის შეჯამება - განმარტებითი ტექსტი

სათაური/ავტორი: რა არის ჩუკველა?

კლასი: მე-5

(ტიკიუტი, 1994)

მართული კითხვის დონე: T

ჟანრი: განმარტებითი

წინასწარი ცოდნის დასადგენი კითხვები:

ვარაუდი: შენი აზრით, რის შესახებაა ეს ტექსტი?

წაგიკითხავთ ეს წიგნი? არა.

-რა არის ჩუკველა? არ ვიცი.

ხვლიკი (დახედა ყდის წინა მხარეს).

✓ აღწერე უდაბნო. ცხელი ადგილია.

✓ როგორ ადაპტირდებიან ცხოველები თავიანთ გარემოსთან? ისინი იცვლებიან.

✓ კლდოვან ადგილებსა და უდაბნოში.

✓ ძირითადი იდეა: საჭმელი

კითხვები მონათხრობის შესამოწმებლად:

✓ მთავარი იდეა: როგორ გამოიყურება?

დეტალები:

— დიდი თავი.

✓ დიდი, ბრტყელი მუცელი.

— გრძელი, სქელი კუდი.

— დაკიდული კანის ნაკვეები კისერზე, ყელზე და მხარზე.

— კანი უხეში და ქერცლოვანი.

✓ მუქი კანი ყვითელი ან რუხი ლაქებით.

— 18 ინჩის სიგრძის.

— ძირითადი იდეა: როგორაა კლასიფიცირებული

დეტალები:

✓ ჩუკველა ხვლიკია.

— დაკავშირებულია იგუანასთან, მათი ოჯახიდანაა.

— სამეცნიერო სახელი *Sauromalus obesus*

— *sauros* ნიშნავს ხვლიკს, *omalus*- ბრტყელს

✓ ძირითადი იდეა: დასახლება

დეტალები:

— ცხოვრობს აშშ-ს სამხრეთ-დასავლეთში

(კალიფორნია, იუტა, არიზონა და

კალიფორნიის ყურეში).

დეტალები:

✓ ჭამს მხოლოდ მცენარეებს

— ფოთლებს, ხილსა და ყვავილებს

— უყვარს კაქტუსისა და სამკბილა

ლარეიას ყვითელი ყვავილები და

— საკვები ქორისა და დიდი

ფრინველებისათვის

— შეჯვარება 4-7 წლის ასაკში

— მამრი იზიდავს მდედრს თავის

დაკვრით და პოულობს კლდოვან ადგილს,

სადაც ბევრი საჭმელია

— დებს 6-30 კვერცხს სოროში და ავსებს

მას

— სამ თვეში იჩეკებიან

✓ ძირითადი იდეა: გადარჩენა

— შედს სოროში სიცხისგან თავის

დასაღწევად

— ჭამს დილა-სადამოს, როცა არ ცხელა

✓ სოროს იწყობს კლდის ნაპრალებში

✓ ივსებს ფილტვებს ჰაერით და

ვეღარ მიათრევენ

გაგებასთან დაკავშირებული კითხვები: რა არის ჩუკველა? (ბრეტი, 1989).

შეფასება +/-	შეკითხვა	პასუხი
+/-	1. როგორ გამოიყურება ჩუკველა? აღწერეთ მინიმუმ სამი ფიზიკური ნიშანი. (E) დიდი ხვლიკი დიდი თავით, სქელი სხეულით და კუდით.; დაახლოებით 18 ინჩი (46 სანტიმეტრი) სიგრძის. იწონის ჰგირვანქას (1 კგ-ს). დაკიდებული აქვს ნაკვეცი კისერზე, ყელზე და მხრებზე. ჩვეულებრივ, აქვს მუქი, ქერცლოვანი კანი ყვითელი ან რუხი წერტილებით ზურგზე	დიდი ხვლიკი დიდი მუცლითა და დაკიდებული კანით. მ.დ. კიდევ? მთელ ტანზე ლაქები აქვს.
+	2. აღწერეთ მისი დასახლების ადგილი. (E) ცხოვრობს უდაბნოში, განსაკუთრებით კლდოვან ადგილებში.	ცხოვრობს უდაბნოს კლდოვან ადგილებში.
+	3. რომელ ტერიტორიებზე ცხოვრობს? (E) აღმოჩენილია სამხრეთ კალიფორნიაში, სამხრეთ ნევადაში, იუტაში, დასავლეთ არიზონაში, ჩრდილოეთ მექსიკაში და კალიფორნიის ყურეში შემავალ მექსიკის ერთ-ერთ კუნძულზე.	აშშ-ში. მ.დ. კონკრეტულად სად? კალიფორნიაში, არიზონასა და მექსიკაში.
+	4. როგორ ეგუება უდაბნოში ცხოვრებას(I) როდესაც ძალიან ცხელა, მიცოცავს ხვრელებში. იკვებება დილა-საღამოს, როცა არც ძალიან ცივა და არც ცხელა.	როცა ძალიან ცხელა, მიძვრება ხვრელებში.
+	5. თავდაცვის რა საშუალება აქვს თავისი მტრების წინააღმდეგ? (E) ჩადის ხვრელში, ივსებს ფილტვებს ჰაერით. სხეული უსივდება და ვეღარ მიათრევენ.	მიდის კლდოვან ადგილებს შორის, დიდდება და ველარავინ მიათრევს.
+	6. რას ჭამს? (E) ჭამს მხოლოდ მცენარეებს - ფოთლებს, ხილსა და ყვავილებს. ძალიან მოსწონთ ყვითელი ყვავილები.	ჭამენ ყვითელ ყვავილებს. მ.დ. კიდევ? მხოლოდ მცენარეებს.
LB +	7. როგორ ხიბლავს მამრი ჩუკველა მდედრს? (E) უკრავენ თავს და ნიშნავს ადგილს მცენარეებითა და კენჭებით	ეძახიან.
- LB -	8. რა გავლენას ახდენს გარემოს ცვლილება მათ შეჯვარებაზე? (I)	არ ვიცი.
+	9. რა საფრთხეების წინაშე დგანან ჩუკველები? (I) მათზე ნადირობენ ქორები და დიდი ფრინველები. მათი საცხოვრებელი ადგილები ნადგურდება. ადამიანებს ისინი მიჰყავთ შინაურ ცხოველებად.	ფრინველები ჭამენ. მ.დ. კიდევ? ადამიანებს მიჰყავთ.

- LB -	10. თქვენი აზრით, რატომ დებენ ჩუკველები ბევრ კვერცხს? (I) უდაბნო ცხელი და საშიში ადგილია და ბევრი ვერ გადარჩება... შეჯვარებისას ისინი მინიმუმ ოთხი წლისა უნდა იყვნენ.	ბევრი არიან.
+	11. ჩუკველა ბედნიერად იცხოვრებდა იმ ადგილას, სადაც თქვენ ცხოვრობთ? რატომ კი ან რატომ არა? (C)	არა, აქ ძალიან ცხელა და ისინი ვერ გამოიკვებოდნენ.
+	12. როგორ დაიცავდით ჩუკველას? (C)	არ მივცემდი ადამიანებს მათი საცხოვრებლის დანგრევისა და წაყვანის უფლებას.

მაგალითი: გაგებულის ანალიზის შეჯამება - განმარტებითი ტექსტი

სახელი: კატერინი	კლასი: მე-6	თარიღი 4 აპრილი
სათაური: რა არის ჩუკველა? (რიკიუტი, 1994)	სიტყვათა რაოდენობა	დონე: G.R.T კლასი: 5.2
ტექსტის ტიპი: განმარტებითი		კითხვის მეთოდი: უხმო
გაგებულის შეჯამება		
წინასწარი ცოდნა (+, √, —)	✓	
ვარაუდი (+, √, —)	✓	
მოყოლა (+, √, —)	მი= გამოიყურება ✓ დ= ✓	მი= საკვები ✓ დ= -
განმარტებითი მთავარი იდეა (მი) და დეტალები (დ)	მი= კლასიფიცირებულია- მი=დასახლება დ= - დ= ✓	მი=გამრავლება - მი=გადარჩენა ✓ დ= - დ= ✓
გაგებულის შეფასება	ხელახლა ჩახედვის გარეშე	ხელახლა ჩახედვით*
1. ექსპლიციტური?: პირდაპირ მოცემული იმპლიციტური?: დასკვნა	4/6 = 83% 2/4 = 50% 7/10 = 70%	6/6 = 100% 2/4 = 50% 8/10 = 80%
2. სწორად გაგებულის საერთო რაოდენობა	2/2 = 100%	8/10 = 80%
3. კრიტიკული?: შეფასებითი*		
გაგების მიმდინარე დონე	ინსტრუქციული	*არ გამოიყენება დონის განსასაზღვრად
გაგების დონეები		
დამოუკიდებელი 90%-100%	ინსტრუქციული 70%-89%	ფრუსტრაციული 69% და ნაკლები

ანალიზი: ტექსტი მოსწავლის მიმდინარე დონეზე 1 საფეხურით დაბალი დონისაა. მას არავითარი წინასწარი ცოდნა არ ჰქონდა ჩუკველების (ხვლიკების სახეობა) შესახებ და მისი პასუხები, თუ როგორ ადაპტირდებიან ცხოველები თავიანთ გარემოსთან, შეზღუდული იყო. მან მოთხოვნა ჩუმად წაიკითხა. თხოვნის პროცესში აღნიშნა, როგორ გამოიყურება, სად ცხოვრობს, რას ჭამს და როგორ ახერხებს გადარჩენას. მოსწავლეს არაფერი უთქვამს მისი კლასიფიცირებისა და გამრავლების შესახებ. მას არაფერი უთქვამს ბევრი მნიშვნელოვანი აზრისა და დეტალის შესახებ ტექსტიდან. თუმცა, გაგებულის შესახებ კითხვებიდან მან შეძლო პასუხი გაეცა ყველა კითხვისათვის, გარდა 2 იმპლიციტური კითხვისა 4-დან.

შეფასების შემდგომ, ტექსტის გადახედვის მერე, მან შემლო პასუხი გაეცა ორი ექსპლიციტური კითხვისათვის, მაგრამ არა იმპლიციტურისათვის.

ინსტრუქცია: სთხოვეთ მოსწავლეებს, ხმამაღლა წაიკითხონ ის ეპიზოდები, რომლებიც შეიცავს მინიშნებებს იმპლიციტური კითხვების პასუხებზე. აუხსენით, რომ პასუხები პირდაპირ არ არის ტექსტში მოცემული, მაგრამ უნდა გამოეტანათ დასკვნები ტექსტში მოცემული ინფორმაციისა და საკუთარი ცოდნის მიხედვით. გააგრძელეთ ამ დონის მასალებზე მუშაობა და აქცენტი გააკეთეთ იმპლიციტურ კითხვებზე.

არამხატვრული ტექსტების კონცეპტების შეფასება

მიზანი: განვსაზღვროთ, შეუძლია თუ არა მოსწავლეს არამხატვრული ტექსტის ისეთი კონცეპტების იდენტიფიცირება და გამოყენება, როგორებიცაა: სათაური, ავტორი, ილუსტრატორი, სარჩევი, ცხრილები, გრაფიკები, ლექსიკონი, ინდექსი და ტიპოგრაფიული ინფორმაცია (მე-2-მე-8 კლასები).

პროცესის აღწერა: არამხატვრული ტექსტების კონცეპტების შეფასება შესაძლოა ჩაატაროთ ინდივიდუალურად ან ჯგუფში, თუ თითოეულ მოსწავლეს აქვს შერჩეული ტექსტის ასლი. ჩვეულებრივ, არამხატვრული ტექსტი საუკეთესო გადაწყვეტილებაა. შეარჩიეთ ტექსტი, რომელიც შეიცავს შეფასებისას ჩამოთვლილ ელემენტებს. შეფასება შეიძლება წაუკითხოთ მოსწავლეებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი მე-3 კლასის დონეზე ნაკლებად კითხულობენ. თუმცა, მოსწავლეებმა შეიძლება დამოუკიდებლად წაიკითხონ ის და წერილობით უპასუხონ კითხვებს. პასუხების ჩაწერა შეგიძლიათ როგორც თქვენ, ისე მოსწავლეებს. შეაფასეთ (+) ნიშნით სწორი პასუხები. (შენიშვნა: თუ რომელიმე მახასიათებელი ტექსტში წარმოდგენილი არ არის, აღნიშნეთ, ვთქვათ *N/A* ნიშნით და შეცვალეთ წილადის მნიშვნელი კითხვების საერთო რაოდენობის მიხედვით).

მაგალითი: არამხატვრული ტექსტის მაკეტის (დიზაინისა) და ტექსტის მახასიათებელთა შეფასება.

წიგნის სათაური: გავრცელების არეალი: ტროპიკული წვიმების ტყეები

ავტორი: ლიბი რომერო (2005)

	კითხვები	პასუხები	შეფასება
1	წიგნის სათაური:	ტროპიკული წვიმების ტყეები.	+
2	ვინ არის წიგნის ავტორი?	ლიბი რომერო.	+
3	ვინ არის წიგნის ილუსტრატორი?	არ არის მითითებული.	N/A
4	არის თუ არა წარმოდგენილი ინფორმაცია ავტორისა და ილუსტრატორის შესახებ? თუ არის, დაწერეთ ერთი ფაქტი.	არა(მასწავლებელი: (უკანა მხარეს, ყდაზე, არის ავტორის შესახებ ინფორმაცია).	
5	გამოცემის თარიღი?	2005	+
6	რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?	ახალი წიგნია.	+
7	ვინ არის გამომცემელი?	არ ვიცი(მასწავლებელი: შეეცადე, იპოვო).	-
8	სად არის სარჩევი?	აქ (მოსწავლე: აჩვენებს)	+
9	რა ინფორმაციის მოძიება შეიძლება აქ?	რა არის წიგნში და გვერდის ნომერი.	+
10	რომელ გვერდზეა „რა ცხოვრობს ტროპიკული წვიმების ტყეში“?	გვერდი 1-ლი	+
11	სად არის ლექსიკონი?	არ ვიცი.	-
12	რა ინფორმაციის მოძიება შეგიძლია ლექსიკონში?	სიტყვების (მასწავლებელი: კიდევ?) არაფრის.	-
13	განმარტე დასახლება	სადაც ვიღაცები ცხოვრობენ (არ არის წიგნიდან)	-
14	სად არის ინდექსი?	აქ (მოსწავლე: უთითებს)	+
15	რა ინფორმაციის მოძიება შეგიძლია აქ?	სიტყვების (მასწავლებელი: კიდევ?) არაფრის.	-
16	რომელ გვერდზეა <i>deciduous</i> ?	გვერდი 9	+
	სად არის სათაური?	გვერდი 4	+

18	რა ინფორმაციას გაწვდის?	რა არის ტროპიკული წვიმების ტყე.	+
19	რომელი სიტყვებია გამუქებული ან დახრილი?	ტროპიკები.	+
20	რატომ არის მუქად ან დახრილად დაწერილი?	მნიშვნელოვანი სიტყვებია.	+
21	სად არის მინაწერები?	არ ვიცი.	—
22	რა ინფორმაციას გაწვდის?	არ ვიცი.	—
23	სად არის ფოტოგრაფია ან ილუსტრაცია?	(მოსწავლე: უთითებს)	+
24	რა ინფორმაციას გაწვდის?	ღრიალა მაიმუნია	+
25	სად არის დიაგრამა ან რუკა?	(მოსწავლე: უთითებს გვ. 4-ს)	+
26	რა ინფორმაციას გაწვდის?	დედამიწაა. (მასწავლებელი: კიდევ?). ტროპიკული წვიმების ტყეების ადგილია.	+
27	სად არის ცხრილი ან გრაფიკი?	(მოსწავლე: უთითებს გვ. 9-ს)	+
28	რა ინფორმაციას გაწვდის?	წვიმიანი ტყეების შესახებ ინფორმაციას??	-
29	სად შეგიძლია ამ საკითხის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება?	ინტერნეტში	+
30	წიგნის დათვალიერების შემდეგ, როგორ ფიქრობ, რის შესახებაა წიგნი?	წვიმიანი ტყეების. (მასწავლებელი: კიდევ?) სად მდებარეობს და რა ხდება ტყეში.	+
სწორი პასუხები			20/29

ანალიზი: იმის შესაფასებლად და გასაანალიზებლად, ესმის თუ არა მოსწავლეს ტექსტის მაკეტო (დიზაინი) და მახასიათებლები, უპასუხეთ შემდეგ კითხვებს: შეუძლია მოსწავლეს განსაზღვროს ადგილმდებარეობა და გაიგოს მიზანი სატიტულო გვერდზე განთავსებული ისეთი ინფორმაციის შესახებ, როგორებიცაა: სათაური, ავტორი, ილუსტრატორი, გამოცემის თარიღი და გამომცემლობა (1-7 კითხვები)? შეუძლია თუ არა მოსწავლეს, მოძებნოს წიგნის შემდეგი ნაწილები და განსაზღვროს მათი მიზანი: სარჩევი, ლექსიკონი და ინდექსი (8-16 კითხვები)? შეუძლია თუ არა მოსწავლეს, მოძებნოს და განსაზღვროს ტექსტის ტიპოგრაფიული მახასიათებლების მიზანი: სათაურები, მინაწერები, გამუქებული ან დახრილად დაწერილი სიტყვები (17-22 კითხვები)? შეუძლია თუ არა მოსწავლეს, მოძებნოს და აღწეროს გრაფიკული ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ილუსტრაციებში, ცხრილებში, დიაგრამებში (23-28 კითხვები)? შეუძლია თუ არა მოსწავლეს განსაზღვროს, სად შეიძლება ინფორმაციის სხვა წყაროების მოძიება (29-ე შეკითხვა)? აცნობიერებს თუ არა მოსწავლე, რომ კითხვა გაგების/შემეცნების პროცესია და ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ტექსტის კონცეპტების მიხედვით (30-ე შეკითხვა). გამოავლინეთ კონცეპტები, რომლებშიც მოსწავლეები ჯერ კიდევ არ არიან გაჩაფულები და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეთ სწავლების პროცესში.

ინსტრუქციები: აჩვენეთ მოსწავლეს ტექსტის ის მახასიათებლები, რომელთა გამოვლენაც ვერ შეძლო და სთხოვეთ, აღწეროს, რა ინფორმაციას შეიცავს. მაგალითად, მიუთითეთ ავტორის, ილუსტრატორის, გამომცემლობის, ლექსიკონის და მინაწერების შესახებ. შემდეგ განიხილეთ, რა ფუნქცია აქვს თითოეულ მათგანს. ცოდნის გასამყარებლად იგივე შეკითხვები დაუსვით სხვა არამხატვრულ ტექსტთან დაკავშირებითაც, რომელიც ამ მახასიათებლებს შეიცავს.

საკონტროლო კითხვების ჩამონათვალი მართული კითხვისათვის

მიზანი: მართული კითხვისათვის განკუთვნილი საკონტროლო კითხვების (იხ. დანართი, გვ. 264) გამოყენება შესაძლებელია მასწავლებლის ხელმძღვანელობით კითხვის პროცესის შესაფასებლად. ის დაყოფილია სამ კატეგორიად: ჩუმი კითხვა; ხმამაღლა კითხვა და გაგება. ეს კითხვები შექმნილია მრავალი წყაროს გამოყენებით, მათ შორისაა ჩემი საკუთარი, ფოუნტასისა და პინელის (2001) და რობის (2001) შეფასებები.

შეაფასეთ ჯგუფის თითოეული წევრი მართული კითხვის პროცესში. აღნიშნეთ (+) ნიშნით, როდესაც მოსწავლე, როგორც წესი, ამჟღავნებს შესაბამის უნარს, (✓) ნიშნით, როდესაც ზოგჯერ, ხოლო (-) - იშვიათად ან არასდროს. დამატებით კომენტარები განმარტებებით.

მაგალითი: საკონტროლო კითხვები მართული კითხვისათვის	შეფასება:
+ / ✓ / -	
უხმოდ კითხვა	
ფოკუსირებულია დავალებაზე	✓
ირჩევს საკითხავს	+
იყენებს წიგნის ნაწილებს: სარჩევს, ლექსიკონს და ინდექსს ინფორმაციის დასაზუსტებლად უბრუნდება წიგნის წაკითხულ ნაწილებს ინფორმაციის დასაზუსტებლად ან გასაფართოებლად კითხულობს დეტალების მოსაძებნად (და არა მხოლოდ "სკიმინგის" მეთოდით)	
აქტიურად მონაწილეობს ტექსტის განხილვაში	+
თავისი წვლილი შეაქვს დისკუსიებსა და კითხვებზე პასუხის გაცემაში, რაც მიუთითებს, რომ სათანადოდ იგებს ტექსტს	✓
აკავშირებს ტექსტს საკუთარ თავთან, სხვა ტექსტებსა და სამყაროსთან	✓
ხმამალა კითხვა	
<i>სიზუსტე</i>	
იყენებს განსხვავებულ სტრატეგიებს უცნობი სიტყვების გასაგებად	-
კითხულობს ხელახლა, როცა ვერ იგებს ან მიაჩნია არასწორად	✓
თავად ასწორებს ხარვეზებს, რომლებიც ტექსტის გაგებაზე ახდენს გავლენას ყოველ 50 სიტყვაზე 5-ზე ნაკლები შეცდომა	-
იყენებს წყაროებს უცნობი სიტყვების გასაგებად	-
<i>გაჩაფულობა</i>	
კითხულობს ფრაზებად	✓
აკეთებს პაუზას სასვენ ნიშნებთან	✓
ავტორის სტილის მიხედვით ცვლის გამოთქმასა და ინტონაციას	-
ზოგადად, კითხულობს გაბმით და პრობლემებს აგვარებს სწრაფად	-
ტემპს არჩევს მასალისა და მიზნის მიხედვით	✓
კითხულობს საუბრის ტემპში	✓
ხმამალა კითხვა	
ვარაუდობს შინაარსს თავფურცლის, სარჩევის, გრაფიკული ინფორმაციის, სათაურის ან პირველი აბზაცის მიხედვით	✓
განსაზღვრავს ჟანრს და ხსნის, როგორ განსაზღვრავს	+
აკეთებს დასკვნებს/ვარაუდებს და აფასებს მათ კითხვის პროცესში	-
ხელახლა კითხულობს აზრის დასაზუსტებლად	-
იყენებს რესურსებს ან სვამს შეკითხვებს აზრის დასაზუსტებლად	-
შეუძლია ნარატიული ტექსტის ელემენტების იდენტიფიცირება და ახსნა თავისი სიტყვებით	✓
შეუძლია განმარტებითი ტექსტის მთავარი იდეისა და დეტალების იდენტიფიცირება და ახსნა	-
შეუძლიათ განმარტებითი ტექსტის ორგანიზაციული სტრუქტურების იდენტიფიცირება და ახსნა თავისი სიტყვებით	-
შეუძლია ტექსტის რეზიუმირება თავისი სიტყვებით	✓
ადგენს კავშირებს ტექსტის ფარგლებში, სხვა ტექსტებთან, საკუთარ თავსა და სამყაროსთან	✓
აფასებს ტექსტს ავტორის ჩანაფიქრის, შინაარსისა და ინტერესის მიხედვით	✓

ანალიზი: მოსწავლე, ზოგადად, მონაწილეობს ტექსტის ჯგუფურ განხილვაში. დისკუსიების შედეგად უკეთ იგებს ტექსტს. მან უნდა გაითვალისწინოს, რომ როდესაც სიტყვის მნიშვნელობა არ ესმის, უნდა გამოიყენოს ლექსიკონი. სჭირდება დახმარება უცნობი სიტყვების ამოსაცნობად სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ სტრატეგიებზე, რომლებიც შედეგადაც მოსწავლე ახერხებს იმ ხარვეზების თვითშესწორებას, რომლებიც ტექსტის აზრის გაგებაზე ახდენს გავლენას. ის დახმარების შედეგად სწავლობს წიგნის სხვადასხვა ნაწილისა და ვიზუალური ინფორმაციის

გათვალისწინებით ტექსტის შესახებ ვარაუდების გამოთქმას. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის ჟანრის ამოცნობა, თუმცა პრობლემები აქვს ტექსტის სტრუქტურის იდენტიფიცირებისას. ის თანდათან იუმჯობესებს ტექსტის რეზიუმირების, კავშირების დამყარებისა და შინაარსის შეფასების უნარებს. ტექსტის მიმართ მოსწავლის ინტერესიც იზრდება.

ინსტრუქციები: პირველ გაკვეთილზე აუხსენით, როგორ უნდა გამოვიყენოთ სარჩევი, ლექსიკონი, ინდექსი და სათაურები. შემდეგ აჩვენეთ, როგორ უნდა გამოვიყენოთ ეს ინფორმაცია ტექსტის შესახებ ვარაუდების გამოსათქმელად. აუხსენით მოსწავლეს, რომ კითხვის მთავარი მიზანი ავტორის სათქმელისა და იმის გაგებაა, რით ჰგავს ან განსხვავდება ის იმისგან, რაც ჩვენ უკვე ვიცოდით. გამოვიყენოთ სანიშნე კარგი მკითხველისათვის (იხ. დანართი; გვ. 251), რათა მოსწავლეს ასწავლოთ მრავალფეროვანი სტრატეგიის გამოყენება უცხო სიტყვების ან ცნებების გასაგებად.

მოგვიანებით გაკვეთილებზე უნდა აუხსნათ ორგანიზაციული სტრუქტურების ამოცნობისა და ტექსტის ამ სტრატეგიებით გაგების გზები.

ზეპირად გადმოცემული ან წერილობითი ტექსტის ანალიზი

მიზანი: ზეპირად ან წერილობით მოყოლილი ტექსტის ანალიზი.

პროცესის აღწერა: მიეცით მოსწავლეებს ზეპირად მოყოლილი ან წერილობითი ტექსტის ანალიზის ასლი (იხ. დანართი; გვ. 271) და უთხარით: „მითხარით (ან დაწერეთ) ყველაფერი, რაც გახსოვთ ტექსტის შესახებ, მიმდევრობის დაცვით“. (+) ნიშნით აღნიშნეთ, როცა მოსწავლე სრულყოფილად და სწორად გასაუბრებ, (✓) ნიშნით აღნიშნეთ არასრული და ნაწილობრივ სწორი პასუხი, ხოლო (-) ნიშნით - არასწორი და უპასუხოდ დატოვებული. დაამატეთ კომენტარები განმარტებისათვის.

წაკითხულისა და მოსმენილის გაგების სტრატეგიები

სასწავლო პროცესი, რომლის დროსაც მოსწავლე აქტიურადაა ჩართული კითხვების დასმის, ტექსტის შეჯამებისა და სინთეზირების პროცესში, აუმჯობესებს გაგების პროცესს (კენე და ციმერმანი; 2007). ეს რესურსი შეიცავს სტრატეგიებს, რომლებიც ზრდის გაგების პროცესს კითხვის წინ, უშუალოდ კითხვისა და მისი დასრულების ფაზებზე. გაგების სტრატეგიები დაყოფილია შემდეგ ნაწილებად: ვარაუდების გამოთქმის სტრატეგიები, დამაკავშირებელი და ვიზუალიზების სტრატეგიები, კითხვების დასმის სტრატეგიები, დასკვნების გამოტანის სტრატეგიები, კრიტიკულად გააზრების სტრატეგიები, ნარატიული და განმარტებითი სტრუქტურების გაგების სტრატეგიები, ინფორმაციის ორგანიზების სტრატეგიები, ჯგუფურად გაგების სტრატეგიები, ბლუმის ტაქსონომიის სტრატეგიები, შემოქმედებითად მიდგომის სტრატეგიები, ემერჯენტული მოსმენის სტრატეგიები, ზოგადი სტრატეგიები ყველა მკითხველისათვის (გაგების სხვა სტრატეგიები ლექსიკისა და ცნებების გაგებასთან დაკავშირებით იხილეთ მე-2 თავში, ხოლო სტრატეგიები ხმამაღალი კითხვისა და თავისუფლად კითხვის შესახებ - მე-4 თავში). მე-6 თავში შედის წერის სტრატეგიებიც, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია გაგების დონის გაფართოება ტექსტის მიღმა. ზოგი ეს სტრატეგია ცალკე გამოსაყენებლადაა ეფექტური, ხოლო მათი უმრავლესობა კარგ შედეგს იძლევა, როდესაც სხვა სტრატეგიებთან ერთად, თანამშრომლობითი მეთოდის გამოყენებით ვთავაზობთ მოსწავლეებს. ტექსტის გაგებაში მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან.

გაგების სტრატეგიების მიზანია, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მათი დამოუკიდებლად გამოყენება გაგების დონის ასამაღლებლად. ქვემოთ მოცემულია ზოგადი პროცედურები, რომლებიც ყველა სტრატეგიისათვის გამოიყენება:

1. შეარჩიეთ ტექსტი, რომელიც იმავე ჟანრისაა, რომელსაც მოსწავლეები წაიკითხავენ.
2. თქვენთვის წაიკითხეთ ტექსტი.
3. შეარჩიეთ სტრატეგიები, რომლებიც ტექსტის გაგებაში დაგეხმარებათ.
4. ივარჯიშეთ სტრატეგიის გამოყენებაში. ჩაწერეთ თქვენი ნათქვამი, წაკითხული, დაწერილი და გონებაში გაცემული პასუხები.
5. აუხსენით მოსწავლეებს გაკვეთილზე ტექსტის კითხვისა და თქვენ მიერ შერჩეული სტრატეგიის მიზნები.
6. წაიკითხეთ ტექსტი ან ტექსტის კოჰერენტული ნაწილი ხმამაღლა.
7. გააკეთეთ სტრატეგიის გამოყენების მოდელირება. გზადაგზა მიეცით განმარტებები.

8. ტექსტს ნუ დაანაწევრებთ ბევრ ნაწილად, ეს აფერხებს გაგების პროცესს.
9. შეარჩიეთ ტექსტი, რომელიც გაგების თვალსაზრისით მოსწავლის ინსტრუქციულ და დამოუკიდებელ დონეს შეესაბამება.
10. ავარჯიშეთ თქვენი ხელმძღვანელობით ამ სტრატეგიაში, დაუსვით კონკრეტული შეკითხვები გაგების შესახებ.
11. წყვილებში ან დამოუკიდებლად ამუშავეთ ამ სტრატეგიის გამოყენებაში.
12. აუხსენით, როდის, რატომ და როგორ უნდა გამოიყენონ ეს სტრატეგია დამოუკიდებლად.
13. სთხოვეთ მოსწავლეებს, შეინახონ ჩამონათვალი ან რვეული, რომელშიც შესწავლილი სტრატეგიები უწერიათ, შემდგომში გამოსაყენებლად.

ვარაუდების გამოთქმის სტრატეგიები

ვარაუდების რუკები ან ჟურნალები

წყარო: ვოლკერი (2004).

მიზანი: კითხვის პროცესში ვარაუდების გამოთქმა და შემდეგ მათი გადამოწმება ტექსტის გასაგებად.

მაგალითი:

ორმოები (საჩარი, 1998).	
ვარაუდები	გადამოწმება ან დადასტურება
ბიჭები თხრიან ორმოებს ხეების დასარგავად	მათ უნდა გათხარონ ორმოები, რათა ასიამოვნონ რანჩოს პატრონი, რომელიც ეძებს დამარხულ საგანძურს
ის გარბის და ეხმარებიან	ის გარბის და იჭერენ

ქურდები

წყარო: მანცი (2002).

მიზანი: მოსწავლეებს ვაძლევთ აუცილებელ წინასწარ ცოდნას და ვასწავლით ორგანიზაციულ სტრუქტურებს განმარტებითი ტექსტის შესახებ. ამისთვის განვიხილავთ სახელმძღვანელოს ან არამხატვრული ტექსტის რომელიმე ნაწილს.

პროცესის აღწერა: განმარტებითი ტექსტის წაკითხვამდე მოსწავლეები წინასწარ მიმოიხილავენ აკრონიმის თითოეულ ელემენტს, შემდეგ კი 5.1 ცხრილში მოცემულ კითხვებზე ან გონებაში სცემენ პასუხს, ან წერილობით პასუხს აყალიბებენ. ნიმუშისათვის წარმოგიდგენთ ინგლისურ მაგალითს (ტექსტის ნაწილი და კითხვები ნათარგმნია ქართულად).

ცხრილი 5.1	ქურდები	კითხვები
ს	სათაური: რა არის სათაური? რა ვიცი ამ საკითხის შესახებ? რა აკავშირებს წინა თავთან? შეიცავს თუ არა სათაური პოზიციას? რის შესახებ შეიძლება იყოს წიგნი (ჩემი აზრი)	
ქ	ქვესათაურები: რას მეუბნება ქვესათაურები ტექსტის შესახებ? რა საკითხებია განხილული ქვესათაურების ქვემოთ მოცემულ ტექსტებში? როგორ შეიძლება ქვესათაურების გადაკეთება კითხვებად, რომელთაც, დიდი ალბათობით, ქვეთავებში (თავებში) გაეცემათ პასუხი?	
შ	შესავალი: არის თუ არა შესავალი აბზაცი? გვიქმნის თუ არა პირველი აბზაცი წარმოდგენას თავის შესახებ? შესავლის მიხედვით, რის შესახებაა ტექსტი? ვიცი თუ არა რამე ამ საკითხის შესახებ?	
თ	თითოეული აბზაცის პირველი წინადადება: პირველი წინადადების მიხედვით, რის შესახებ უნდა იყოს ეს აბზაცი? (ჩემი აზრი)	

3	ვიზუალური მასალა და ლექსიკა: შეიცავს თუ არა თავი ფოტოებს, ნახატებს, რუკებს, ცხრილებს ან გრაფიკებს? რის გაგება შემიძლია ვიზუალური მასალიდან? რის გაგება შემიძლია ტიტრებიდან (მინაწერებიდან)? ახლავს თუ არა ტექსტს ძირითადი ლექსიკის ჩამონათვალი და მათი განმარტებები? მუქად არის თუ არა დაწერილი მნიშვნელოვანი სიტყვები? ვიცი თუ არა მუქად დაწერილი სიტყვების მნიშვნელობა? შემიძლია თუ არა მუქად დაწერილი სიტყვების მნიშვნელობის განსაზღვრა წინადადებიდან?
3	End-of-chapter questions: კითხვები თავის ბოლოს: რა შეკითხვებია დასმული? რომელი ინფორმაციაა მიჩნეული მნიშვნელოვანად ამ კითხვების მიხედვით? რა ინფორმაცია მივიღე ამ კითხვებიდან? (დაიმახსოვრეთ კითხვები და გააკეთეთ აღნიშვნები, სადაც მნიშვნელოვანი ინფორმაციაა განთავსებული).
რ	Summary: რეზიუმე: რა ვიცი და რას ვიხსენებ რეზიუმეში მოცემული საკითხებიდან?
მანცი (2002). სახელმძღვანელოს განხილვის სტრატეგიები: ვასწავლოთ მკითხველებს, რომ გახდნენ „ქურდები“, 55(5), 434–435. გადმობეჭდილი ავტორის ნებართვით.	

შთაბეჭდილებები ტექსტზე

წყარო: მაკგილენი და დენერი (1987).

მიზანი: მივცეთ მოსწავლეს შესაძლებლობა, ივარაუდოს, რა მოხდება, სანამ ტექსტს ნახავს (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: შექმენით სიტყვების ან 2-3 სიტყვიან ფრაზათა სია ტექსტიდან. ეს სიტყვები და ფრაზები ტექსტის ძირითად ასპექტებს უნდა წარმოაჩენდეს: გარემოს, პერსონაჟთა სახელებსა და აღწერას, სიუჟეტსა და კვანძის გახსნა (გადაწყვეტილება) მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებში. მოსწავლეები ამ სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით ქმნიან მოთხრობას. ისინი სიტყვებსა და ფრაზებს იყენებენ იმავე მიმდევრობით, როგორც ისინი სიაშია წარმოდგენილი. შემდეგ უკითხავენ ერთმანეთს და ადარებენ საკუთარს სხვის ტექსტს.

ტექსტის შესავალი

მიზანი: გამოვავლინოთ და საჭიროების შემთხვევაში მივცეთ მოსწავლეებს წინასწარი ცოდნა. განვსაზღვროთ მოსწავლეებთან ერთად კითხვის მიზნები.

პროცესის აღწერა: კომფორტულად დასხედით თქვენ და თქვენი მოსწავლეები ისე, რომ შეძლოთ სათაურის, ავტორისა და ილუსტრატორის სახელის ამოკითხვა. დაუსახეთ მოსწავლეებს წიგნის კითხვის მიზნები. გადაათვალიერეთ ნახატები, დააკვირდით გრაფიკულ მონაცემებსა და ტექსტობრივ მახასიათებლებს და სთხოვეთ მოსწავლეებს ივარაუდონ, რის შესახებ შეიძლება იყოს ტექსტი. განიხილეთ მნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეულები. რთული და ფონეტიკურად არარეგულარული სიტყვების შესახებ ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა შეიძლება იყოს პირველი ბგერა და მიუთითეთ ტექსტში. დაუმატეთ ან დააკავშირეთ ისეთი ინფორმაცია სხვა წიგნებიდან, რომელიც შესაძლოა მოსწავლეებისათვის ნაცნობი იყოს. ჩართეთ ისინი საკითხის შესახებ დისკუსიაში და დაეხმარეთ, რომ დააკავშირონ ის, რაც იციან, ტექსტში მოცემულ ინფორმაციასთან. სთხოვეთ, რომ იფიქრონ ავტორის, საკითხის, მოვლენების, სტრუქტურის ან ვიზუალურად მსგავსი სიტყვების შესახებ.

არამხატვრული ტექსტის დიზაინი და ტექსტობრივი მახასიათებლები

მიზანი: გამოავლინოთ, იციან თუ არა მოსწავლეებმა არამხატვრული წიგნების ნაწილებისა და ტექსტობრივი მახასიათებლების გამოყენება ტექსტის გაგების გასაძლიერებლად (მე-3 კლასიდან ზემოთ).

პროცესის აღწერა: შეარჩიეთ ტექსტი, რომელიც შეიცავს წიგნის ნაწილებს (სატიტულო გვერდი, სარჩევი, ლექსიკონი, ინდექსი), გრაფიკულ ინფორმაციას (ნახატები, ცხრილები, გრაფიკა), ტიპოგრაფიულ ინფორმაციას (ქვესათაურები, ტიტრები(მინაწერები), მუქი და დახრილი ასოები). თავდაპირველად

მოსწავლეებს გააცანით, ხოლო შემდეგ ავარჯიშეთ ისინი თითოეული მახასიათებლის იდენტიფიცირებასა და თითოეული მათგანის მიზნის განსაზღვრაში.

- სატიტულო გვერდი - წიგნის პირველი გვერდი, რომელზეც მოცემულია სათაური, ავტორი, ილუსტრაციების ავტორი და გამომცემლობა
- შესავალი - წიგნის შესავალი ნაწილი
- სარჩევი - თავების ჩამონათვალი გვერდების მითითებით
- დანართი - დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მოთავსებულია წიგნის ბოლოს
- ლექსიკონი - სპეციფიკური ან უცხო სიტყვები, მათი განმარტებები და წარმოთქმა (ტრანსკრიფცია), დალაგებული ანბანთრიგზე
- ინდექსი - საკითხების ჩამონათვალი, გვერდის მითითებით, დალაგებული ანბანთრიგზე, წიგნის ყველაზე ბოლო ნაწილი
- ბიბლიოგრაფია - წიგნში გამოყენებული ლიტერატურა, დალაგებული ანბანთრიგზე
- სათაურები - სიტყვები, რომლებიც წერია მუქი ასოებით და აჩვენებს, რის შესახებაა მის ქვემოთ განთავსებული ტესტი. არსებობს ორი ტიპის სათაური: (მთავარი) სათაური და ქვესათაური
- ტიტრები (მინაწერები) - სიტყვები, რომლებიც აღწერს ნახატს, ილუსტრაციას, ცხრის ან გრაფიკას.
- მუქი შრიფტით დაწერილი და დახრილი ასოები - განსხვავებული შრიფტით დაწერილი ასოები, რაც ხაზს უსვამს მათ მნიშვნელობას

ეს კონცეპტები უნდა ისწავლებოდეს საბუნებისმეტყველო ან საზოგადოებრივი მეცნიერებების ახალი სახელმძღვანელოს წარდგენისას ან იმ შემთხვევაში, როდესაც წიგნში ბევრი ასეთი მახასიათებელია თავმოყრილი. მაგალითების ჩვენება შეიძლება პროექტორით. დამოუკიდებლად მუშაობისათვის მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ ინდივიდუალური ასლი. მათ უნდა მოემზონ და ახსნან თითოეული კონცეპტი. მასწავლებელი მოძრაობს მოსწავლეებს შორის. განიხილეთ, რატომ არის ეს მახასიათებლები მნიშვნელოვანი და როგორ ეხმარება მკითხველს ტექსტის კითხვასა და წერაში.

მოლოდინების გზამკვლევი

წყარო: ვაკა და სხვ. (2006).

მიზანი: კითხვის წინ მოსწავლეთა მოსაზრებების (ვარაუდების) შეფასება, რათა გავარკვიოთ მოსწავლეთა მიმდინარე ცოდნა ან შეხედულებები. მოლოდინების გზამკვლევი არის ზეპირი ან წერილობითი მოსაზრებების (ვარაუდების) სერია, რომელიც შეიცავს საკვანძო კონცეპტებსა და ლექსიკურ ერთეულებს, რომლებსაც მოსწავლეები პასუხობენ ტექსტის კითხვის დაწყებამდე.

პროცესის აღწერა: მოამზადეთ დოკუმენტი მოსწავლეებისათვის, რომელსაც ისინი წაიკითხავენ ან მოისმენენ. დოკუმენტი უნდა შეიცავდეს მოსაზრებებს (ვარაუდებს) საკვანძო კონცეპტებისა და სიტყვების შესახებ. პასუხები შესაძლოა იყოს შემდეგი ტიპის: ვეთანხმები- არ ვეთანხმები, სწორია-არასწორია, ფაქტი-მოსაზრება ან ლიკერტის სკალირების მეთოდს 1-5-მდე შეფასებით, იმის გათვალისწინებით, რამდენად ეთანხმება მოსწავლე ამა თუ იმ მოსაზრებას. კითხვის დასრულების შემდეგ კიდევ ერთხელ განიხილეთ და შეაფასეთ მოსაზრებები და გაარკვიეთ, მათი რომელი მოსაზრება დარჩა უცვლელი და რომელი შეიცვალა.

მაგალითი: სამდინარო გზა (გოლდიში, 2000).

ჭეშმარიტია თუ მცდარია?

- მისისიპი ყველაზე გრძელი გზაა აშშ-ში (ჰ)
- ამ წიგნში მანქანები დადიან სამდინარო გზაზე (ა, სამდინარო გზა ბარჟებისათვისაა)
- ბარჟებს გადაჰყავთ ბევრი მგზავრი (ა, ბარჟებს გადააქვთ მასალები და საქონელი)
- ხალხი ცხოვრობს მდინარის გასწვრივ ფერმებში, დაბებსა და ქალაქებში (ჰ)
- მდინარით გადაჰყავთ მგზავრები და გადააქვთ საქონელი (ჰ)

მონიტორინგის სტრატეგიები

კითხვის პროცესში მოსწავლეებს უნდა ესმოდეთ, რას ვერ იგებენ, რა არ ესმით და გამოიყენონ სტრატეგიები გაგების პრობლემების გადასაჭრელად. წინადადების დონეზე მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს ხმამაღალი კითხვის სტრატეგიები კარგი მკითხველის სანიშნიდან (იხ. დანართი, გვ. 251) სიტყვებთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად, მაგალითად, წინადადებების გადაკითხვა და გარკვეული პერიოდულობით პაუზების გაკეთება აზრის გამოსატანად. აზრის (პარაგრაფის) დონეზეც მოსწავლეები უნდა შეჩერდნენ, იფიქრონ წაკითხულის აზრზე. მოსწავლემ, შესაძლოა, გადახედოს წაკითხულს ან სქიმინგის მეთოდით გადახედოს ტექსტის წინა ნაწილებს მნიშვნელოვანი ინფორმაციის დასამახსოვრებლად. ნახატების, გრაფიკების, რუკების, დიაგრამების, ცხრილების ან ილუსტრაციების გადახედვა ეხმარება მკითხველს ტექსტის გაგებაში. კონტექსტის ან ლექსიკონის გამოყენება უცხო სიტყვების მნიშვნელობის გაგებას უწყობს ხელს. მათ შეუძლიათ გამოიყენონ ენციკლოპედია, საცნობარო ლიტერატურა ან ინტერნეტი ბუნდოვანი კონცეპტების დასაზუსტებლად. თუ ტექსტი რთული გასაგებია, მოსწავლემ შეიძლება შეამციროს კითხვის ტემპი.

საკუთარი თავისთვის შეკითხვების დასმა

მიზანი: წაკითხულის გაგების მონიტორინგის შესახებ მოსწავლეთა აზროვნების პროცესზე დაკვირვება (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: სთხოვეთ მოსწავლეებს, საკუთარ თავს დაუსვან შემდეგი კითხვები: გავიგე წაკითხული? საიდან ვიცი, რომ წაკითხული გავიგე? მქონდა თუ არა რაიმე სახის პრობლემა რომელიმე სიტყვის კითხვისას ან იდეის გაგებისას? რა გავაკეთე ამ პრობლემის გადასაჭრელად? წარმატებული იყო თუ არა ეს? კიდევ რის გაკეთება შემიძლია?

ყველა კითხულობსთვის

წყარო: კუნინგემი, ჰოლი და სიგმონი (1999).

მიზანი: ტექსტის ნაწილების კითხვა კონკრეტული მიზნისათვის.

პროცესის აღწერა: წარუდგინეთ მოსწავლეებს კითხვები შერჩეული ტექსტის შესახებ. მოსწავლეები კითხულობენ ჩუმად (შესაძლოა ხმამაღლაც, ოღონდ მხოლოდ საკუთარი თავისთვის), სანამ არ იპოვიან გვერდს, აზრს თუ ეპიზოდს, რომელზეც კითხვაზე პასუხია მოცემული. ამის შემდეგ განიხილეთ წაკითხული.

მაგალითი: ჯეკი ჯოინერ-კერსი მოთხრობიდან „და არ ეშინია გაბედვის“: ათი აფროამერიკელი მწერალი ქალის მოთხრობები (ბოლდენი, 1998).

კითხვები	ჩვენ გავიგეთ
წაკითხეთ 189-ე გვერდის ბოლომდე და გაიგეთ, რატომ გადაწყვიტა მღვდელმა მაილსმა ჯეკი ჯოინერის დარწმუნება, რომ ოლიმპიელი გამხდარიყო.	მღვდელი ხელმძღვანელობს საზოგადოებრივ ცენტრს, სადაც ჯეკი სპორტულ სექციებშია გაწევრიანებული. მღვდელმა შენიშნა, რომ ჯეკის ძალიან კარგი სპორტული მონაცემები ჰქონდა. მას ჰქონდა ნიჭი და ხასიათი იმისათვის, რომ ჩემპიონი გამხდარიყო.

იფიქრე-დაწყვილდი-გააზიარე

მიზანი: თანაკლასელებთან აზრების გაზიარებით იზრდება მოსწავლეთა ჩართულობა გაგების პროცესში.

პროცესის აღწერა: წარუდგინეთ მოსწავლეებს სადისკუსიო საკითხი ან დაუსვით შეკითხვები. მოსწავლეები ფიქრობენ დავალებაზე, შემდეგ პოულობენ პარტნიორს და განიხილავენ თავიანთ მოსაზრებებს. მასწავლებელი აკონტროლებს მოსწავლეთა საუბარს და სთხოვს რამდენიმე მოსწავლეს, გაუზიაროს კლასს თავისი მოსაზრებები.

დაკავშირებისა და ვიზუალიზაციის სტრატეგიები

ტექსტობრივი კავშირები

წყარო: ჰარვეი და გოუდვისი (2000).

მიზანი: კავშირების დამყარება ტექსტის კითხვის პროცესში (ანალიზი) (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: აუხსენით მოსწავლეებს, რომ არსებობს სამი ძირითადი ტიპის კავშირი, რომლებსაც ჩვენ ვამყარებთ ტექსტის კითხვის პროცესში:

1. ტექსტის ტექსტთან კავშირი - ეს მახსენებს რაღაცას, რაც წაკითხული მაქვს ...
2. ტექსტის საკუთარ თავთან კავშირი - ეს მახსენებს, როდესაც მე ...
3. ტექსტის სამყაროსთან კავშირი - ამან დამაფიქრა ... შესახებ.

სანამ მოსწავლეებს ტექსტს უკითხავთ, შეჩერდით, მინიმუმ, სამჯერ - თითოეული ტიპის კავშირის საჩვენებლად. აუხსენით მოსწავლეებს კავშირების ტიპები. მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს საკმაოდ პრაქტიკა აქვთ მიღებული ტექსტის საკუთარ თავთან, ტექსტის ტექსტთან და ტექსტის სამყაროსთან კავშირში, შეაფასეთ მათი სწავლის პროცესი. ამისთვის წააკითხეთ მათ ტექსტი და სთხოვეთ, რომ დაწერონ სამი სახის კავშირი ამ ტექსტის მიხედვით.

სტრუქტურირებული მიმოხილვა

წყარო: ბარონი (1969), ციტირებულია გუნინგის (2004) მიერ.

მიზანი: სალექსიკონო სიტყვების გამოყენება ტექსტში მოცემული ახალი იდეებისა და ნაცნობი ინფორმაციის დასაკავშირებლად (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: შეარჩიეთ ორიდან ოთხამდე მნიშვნელოვანი კონცეპტი და მათთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები. შემდეგ წარმოადგინეთ სიტყვები დიაგრამის სახით, რათა აჩვენოთ მათი ურთიერთკავშირის სიტყვების დამაკავშირებელ ხაზებით. დაამატეთ ახალი სიტყვები და აჩვენეთ, როგორ უკავშირდება ახალ სიტყვებს და შეაფასეთ, არის თუ არა ძირითადი კავშირები თვალსაჩინოდ წარმოდგენილი. წარუდგინეთ დიაგრამა მოსწავლეებს და აუხსენით, რატომ გადაანაწილეთ სიტყვები ასე.

ადაპტაცია: ერთი ასეთი ნიმუშის წარდგენის შემდეგ მოსწავლეებმა თვითონ უნდა შექმნან სტრუქტურირებული მიმოხილვა.

გონებრივი სურათები

წყარო: კენე და ციმერმანი (1997).

მიზანი: ტექსტის კითხვის პროცესში ვიზუალიზება და იდეებთან დაკავშირება (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: მოსწავლეები წინასწარ გადაათვალიერებენ წიგნს კითხვის დაწყებამდე. შემდეგ კითხულობენ ტექსტს. შემდეგ წინასწარ განსაზღვრულ ან თავიანთსავე შერჩეულ ადგილას ჩერდებიან და ხატავენ წაკითხულს. წაკითხვის შემდეგ ჩანახატს აჩვენებენ კლასელებს მცირე ჯგუფში.

ვარაუდები გრაფიკაზე დაყრდნობით

მიზანი: ტექსტის შინაარსის შესახებ ვარაუდების გამოთქმა და წინასწარი ცოდნის გააქტიურება (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: მოსწავლეები ფურცლავენ წიგნს და აკვირდებიან თითოეულ ფოტოს, გრაფიკს, ცხრილს, რუკას ან ნებისმიერ ვიზუალურ ინფორმაციას. ამის შემდეგ გამოთქვამენ ვარაუდს ტექსტის მთავარი იდეის შესახებ და კითხვის დაწყების წინ პარტნიორს უზიარებენ იმას, რაც თვითონ გაგიგეს ამ აქტივობით.

კითხვის წინა ეტაპის გეგმა

წყარო: ლანგერი (1981).

მიზანი: საკითხის შესახებ წინასწარი ცოდნის მიწოდება ტექსტის გაგების დონის ამაღლების მიზნით (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: თავდაპირველად ჩართეთ მოსწავლეები დისკუსიაში ისეთი საკვანძო კონცეპტების შესახებ, როგორებიცაა: სიტყვა, ფრაზა ან ნახატები. ამის შემდეგ მოსწავლეები გონებრივი იერიშის გზით ამყარებენ ასოციაციებს კონცეპტებსა და წინასწარ ცოდნას შორის. ჩამოწერეთ მოსწავლეთა პასუხები დაფაზე. ამის შემდეგ მოსწავლეები სიტყვიერად განიხილავენ ამ ასოციაციებს, რათა დახვეწონ და გაიღრმავონ ამ კონცეპტების ცოდნის დონე.

ვიზუალური ან წარმოსახვითი გამოსახულებები

წყარო: ვოლკერი (2004).

მიზანი: აქტიური გაგების უნარის ამაღლება. მხატვრულ ლიტერატურაში სიტუაციებისა და მოქმედების პირების შესახებ წინასწარი ცოდნის გააქტიურება, ხოლო არამხატვრულ ტექსტებში - საკვანძო კონცეფციებისა (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: გამოიყენეთ სიუჟეტურ ხაზთან დაკავშირებული სენსორული სახეები. მაგალითად, წიგნის „მთის შორეულ მხარეს“ (ჯორჯი, 1990) გაცნობა დაიწყეთ შემდეგნაირად: „დახუჭეთ თვალები და წარმოიდგინეთ თქვენი თავი მთაში. რა გესმით, რას ხედავთ? თქვენ სულ მარტო ხართ? როგორ გადაწყვეტთ კვების საკითხს? სად აპირებთ დამინებას?“.

K-W-L (ვიცი - მინდა ვიცოდე - ვისწავლე) და K-W-L+(ვიცი - მინდა ვიცოდე - ვისწავლე პლუს)

წყარო: კარი და ოგლი (კარი და ოგლი, 1987; ოგლი, 1986).

მიზანი: განმარტებითი ტექსტის კითხვის პროცესის მონიტორინგი შემდეგი ხერხებით: წინასწარი ცოდნის იდენტიფიცირება; კითხვების დასმა იმის შესახებ, თუ რის სწავლა უნდათ მოსწავლეებს; იმის დოკუმენტირება, რაც მათ უკვე ისწავლეს (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: ფურცელი დაყავით სამ სვეტად: „რა ვიცი“, „რა მინდა ვიცოდე“ და „რა ვისწავლე“. შემდეგ ჩაიწერეთ მოსწავლეების პასუხები თითოეული სვეტის ქვეშ. K-W-L პლუსის დროს უნდა შექმნათ რუკა ან ქსელი ნასწავლის შესახებ და შეაჯამოთ ტექსტი.

მაგალითი ა: K-W-L -ს ცხრილი: *ბავშვების დრო: ძუძუმწოვრები (ჰაუსელი, 2005).*

რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე	რა ვისწავლე
ძუძუმწოვრები ცხოველები არიან. ძაღლები და კატები ძუძუმწოვრები არიან. დათვებიც ძუძუმწოვრები არიან.	რას ნიშნავს ძუძუმწოვარა?	დ: ძუძუმწოვრები თბილისისხლიანები არიან. მათი ორგანიზმის ტემპერატურა არ იცვლება.
ძაღლები და კატები ძუძუმწოვრები არიან.	კიდევ რომელი ცხოველები არიან ძუძუმწოვრები?	დ: ისინი არიან ხერხემლიანები, რადგან აქვთ ხერხემალი

დათვებიც ძუძუმწოვრები არიან.		
ძუძუმწოვრებს აქვთ ბეწვი*	სად ცხოვრობენ ძუძუმწოვრები?	ჯ: არსებობს 4500 სახის ძუძუმწოვარა
ლომები და ვეფხვები არიან ცხოველები.	რამდენი ძუძუმწოვარაა იქ?	წ: კურდღლები და სელაპები ძუძუმწოვრები არიან
ისინი ცხოვრობენ მიწაზე *		დ: ზოგი ძუძუმწოვარა, მაგალითად ვეშაპი, ცხოვრობს ზღვაში
		დ: ყველა ძუძუმწოვარა სუნთქავს ფილტვებით
		დ: ძუძუმწოვარათა უმრავლესობა იზრდება დედის ორგანიზმში და იბადება ცოცხალი
		დ: ისინი იბადებიან უმწეოები და სჭირდებათ დედის მზრუნველობა
		დ: ისინი იკვებებიან დედის რძით
		ჯ: პრიმატები ქმნიან ძუძუმწოვართა ერთ ჯგუფს
		წ: ადამიანები და მაიმუნები ძუძუმწოვრები არიან
		წ: მგლები, წავები და ლომები ხორცისმჭამელები არიან
		ჯ: მღრღნელები ძუძუმწოვარათა ჯგუფს ეკუთვნიან
		წ: ციყვები ძუძუმწოვრები არიან
		ჯ: ჩლიქოსანი ძუძუმწოვრები ბალახისმჭამელები არიან
		წ: ირემი, ჟირაფი და ძროხა ძუძუმწოვრები არიან
		წ: დამურა ერთადერთი ძუძუმწოვარაა, რომელიც დაფრინავს
		ჯ: ჩანთოსნებს, მაგალითად კენგურუს, აქვთ ჩანთები სხეულზე და ცხოვრობენ ავსტრალიაში
		ჯ: ერთგასავლიანები დებენ კვერცხებს, მაგრამ იკვებებიან რძით

დ = დახასიათება; ჯ = ძუძუმწოვარათა ჯგუფები; წ = ძუძუმწოვარათა წარმომადგენელი; ც = სად ცხოვრობენ? მაგალითი ბ: K-W-L პლუს რუკა: ბავშვების დრო: ძუძუმწოვრები (ჰაუსელი, 2005).

	ძუძუმწოვრები	
დახასიათება	ჯგუფი და მაგალითი	სად ცხოვრობენ
ხერხემლიანები	პრიმატები: ადამიანები და მაიმუნები	ძუძუმწოვარათა უმრავლესობა ცხოვრობს მიწაზე
თბილსისხლიანები	ხორცისმჭამელები: კატები, ძაღლები, ვეფხვი, ლომი	ზოგი ძუძუმწოვარა, მაგალითად ვეშაპი, ცხოვრობს ზღვაში

სუნთქავენ ჰაერით	ბალახისმჭამელები: ირემი, ჟირაფი, ძროხა	მაიმუნები ცხოვრობენ ტროპიკულ ტყეებში
იზადებიან ცოცხლები და უმწეონი	ჩანთოსნები: კენგურუ	ჩანთოსნები ცხოვრობენ ავსტრალიაში
იკვებებიან რძით	მღრღნელები: ციყვი	
აქვთ ბეწვი (უმრავლესობას)	(არსებობს მუშუმწოვართა 4500 სახეობა)	

თქვი რამე!

წყარო: ვოლკერი (2004).

მიზანი: მოსწავლისათვის ტექსტის შესახებ აზრის გამოთქმის შესაძლებლობის მიცემა.

პროცესის აღწერა: მოსწავლეები რიგრიგობით გამოთქვამენ თავიანთ აზრს ტექსტის კითხვისას ინტერვალებში. ეს შეიძლება იყოს კომენტარები წაკითხულის შესახებ, რა არის მოულოდნელი, რას ახსენებთ, რით განსხვავდება იმისგან, რაც აქამდე იცოდნენ ან კითხვები, რომლებიც ტექსტთან დაკავშირებით გაუჩნდათ.

ადაპტაცია: გამოიყენეთ მისაწებებელი ბარათები მათი კომენტარების აღსანიშნად.

გამოხმაურების ჟურნალი

მიზანი: წიგნში გადმოცემული აზრების შესახებ საკუთარი დამოკიდებულებების წერილობით გამოხატვა და, აგრეთვე, კითხვების წერილობითი ფორმით ჩამოყალიბება (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ წიგნი ან მისი ნაწილი და წერილობით გადმოსცენ რეფლექსიები. შესაძლოა ნაწერის გაზიარება თანაკლასელების ან მასწავლებლისათვის.

მართული წერის პროცესი

წყარო: სმიტი და ბინია (1980).

მიზანი: მოსწავლეების წინასწარი ცოდნის გააქტიურება და სინთეზირება. ამის საშუალებით, შესაძლებელია, აგრეთვე, მრავალი მიზანი დავუსახოთ მოსწავლეებს შერჩეული ტექსტის ხელმძღვანელობით კითხვისას (მე-4 კლასი და ზემოთ).

პროცესის აღწერა: განსაზღვრეთ შერჩეული ტექსტის საკვანძო კონცეპტი (მაგ. დაბინძურება). სთხოვეთ მოსწავლეებს, გონებრივი იერიშის საშუალებით გაიხსენონ ამ სიტყვასთან დაკავშირებული ნებისმიერი ასოციაცია და ნებისმიერი პასუხი დაწერეთ დაფაზე (კვამლი, ტბორები, მანქანები, ხმაური, ქარხნები, ოკეანეები, სიკვდილი და დაავადებები). საკლასო დისკუსიებზე დაყრდნობით დააჯგუფეთ პასუხები კატეგორიებად და თითოეული ეს კატეგორია დაასათაურეთ. შემდეგ ეს კატეგორიები გამოიყენეთ ინფორმაციის მიხედვით სქემის (გეგმის) შესაქმნელად. ამის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, დაწერონ 1-2 აზრადიანი ფრაგმენტი ამ სქემაში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. რამდენიმე მოსწავლეს სთხოვეთ, ხმამაღლა წაიკითხოს თავისი ტექსტი. აჩვენეთ მოსწავლეებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მთელმა კლასმა ერთი და იგივე სქემა გამოიყენა, თითოეული პიროვნების ნაწერი განსაკუთრებულია, თავისებურია. საბოლოოდ, სთხოვეთ მოსწავლეებს, წაიკითხონ ტექსტი, რომ შეადარონ გეგმასა და საკუთარ შექმნილ ტექსტთან, განსაზღვრონ, რაში ემთხვევა მათი პირადი და ტექსტის ავტორის აზრები და რაში - არა, გამოავლინონ დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლის მიერ შერჩეულ ტექსტში, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია მათი მოსაზრების მხარდასაჭერად ან დასაზუსტებლად. კითხვის დასრულების შემდეგ შერჩეული ტექსტი ზემოთ დასახელებული თვალსაზრისების მიხედვით განიხილეთ.

მაგალითი: დაბინძურება

1. წყაროები:

- ა. მანქანები
- ბ. ქარხნები

2. პროდუქტები:
 - ა. კვამლი
 - ბ. ხმაური
 - გ. ნაგავი
3. წყლის დაბინძურება
 - ა. გუბურები
 - ბ. ოკეანეები
4. შედეგები
 - ა. დაავადებები
 - ბ. სიკვდილი

კითხვების დასმის სტრატეგიები

ქვემოთ მოცემულია კითხვების დასმის რამდენიმე რეკომენდაცია, რაც ეხმარება მკითხველს გაგების უნარის გაუმჯობესებაში. რეკომენდაციები ეკუთვნის მაკანდრეუსს (2004). არსებობს ოთხი ტიპის კითხვები, რომლებსაც აქტიური მკითხველები სვამენ კითხვის დაწყების წინ, უშუალოდ კითხვის პროცესში და მისი დასრულების შემდეგ: ვარაუდების გამოთქმა, „დაკითხვა“, დაზუსტება და შეჯამება. იმისთვის, რომ თქვენს მოსწავლეებს დაეხმაროთ წაკითხულის გაგებასა და კითხვების დასმაში, გაითვალისწინეთ შემდეგი:

- დაუსვით მეტაკოგნიტიური ხასიათის შეკითხვები, რომლებიც მოსწავლისაგან მოითხოვს ფიქრს იმაზე, თუ როგორ ფიქრობენ.
- დაუსვით შეკითხვები იმის შესახებ, რაც უნდა წაიკითხონ. ეს ხელს უწყობს მაღალ დონის სააზროვნო პროცესებს.
- დაუსვით მნიშვნელოვანი შეკითხვები.
- დაუსვით შეკითხვები, რომლებიც ბუნებრივად გამომდინარეობენ წინა შეკითხვებიდან.
- თავი აარიდეთ დიდი რაოდენობით ისეთი კითხვების დასმას, რომლებიც მოსწავლის ყურადღებას სხვა რამეზე გადაიტანს, მაგალითად: „რას გააკეთებდი ამ სიტუაციაში“?
- დაუსვით კითხვები, რომლებშიც მოსწავლეები გამოიყენებენ წინასწარ ცოდნას და წახალისებს მათ, გამოიყენონ უკვე წაკითხული მასალა.
- დაუსვით ვარაუდების შემცველი კითხვები, რომელთა პასუხიც შესაძლოა იყოს ერთზე მეტი.
- კითხვის პროცესში დაუსვით შეკითხვები აზრის დასაზუსტებლად ან კიდევ უფრო მეტის წაკითხვის სურვილის აღსადრავად.
- დაუსვით ტექსტში გადმოცემულ პრობლემებზე ორიენტირებული შეკითხვები.
- შემოინახეთ აზროვნების პროცესის მაპროვოცირებელი რამდენიმე შეკითხვა, რომლებსაც კითხვის დასრულების შემდეგ დაუსვამთ.
- კითხვის დასრულების შემდეგ მოახდინეთ რეფლექსია და გააანალიზეთ ტექსტი.

შემდგომ ნაწილებში წარმოდგენილია სტრატეგიები, რომლებიც დაგვეხმარება შეკითხვების დასმასა („შექმნასა“) და შეკითხვებზე პასუხის გაცემაში.

შეკითხვები აქტიური კითხვისათვის

მიზანი: ნარატიული და განმარტებითი ტექსტების გაგების პროცესის ხელმძღვანელობა (მარტვა) (მე-3-მე-12 კლასები).

პროცესის აღწერა: არსებობს ექვსი სახის შეკითხვები, რომლებსაც აქტიური მკითხველები სვამენ კითხვის პროცესის დაწყებამდე, უშუალოდ კითხვის პროცესში და მისი დასრულების შემდგომ: ვარაუდების გამოთქმა, ანკეტირება, დაზუსტება, კავშირების დამყარება, შეჯამება და შეფასება. მოსწავლეები ამ კითხვებს იყენებენ თავიანთი წაკითხულის გაგების მონიტორინგისათვის.

ვარაუდების გამოთქმა

ყველა ტიპის ტექსტში - რა მიზნით ვკითხულობ? რა არის ავტორის მიზანი? გრაფიკისა და ტექსტის გათვალისწინებით, რის შესახებ უნდა იყოს ტექსტი?

რა ვიცი ამ საკითხის შესახებ? კითხვის პროცესში ხომ არ იცვლება ჩემი ვარაუდები? რა კითხვები გამიჩნდა კითხვის პროცესში?

ნარატიული - რა მოხდება შემდეგში? რატომ ფიქრობ ასე? რა გავლენა ექნება ამას მოთხრობაზე/ტექსტზე?

განმარტებითი - რის შესახებ იქნება შემდეგი ნაწილი? რა ვიცი ამ საკითხის შესახებ?

ანკეტირება

ყველა ტიპის ტექსტში - რომელი ინფორმაციაა მნიშვნელოვანი ჩემ მიერ წაკითხული ტექსტის აზრებიდან ან ნაწილებიდან? რა კითხვები გამიჩნდა კითხვისას?

ნარატიული - ვინ არის ჩართული? ვინ ყვება ამბავს და რატომ? სად და როდის მიმდინარეობს მოქმედება? რას აკეთებენ მოქმედი პირები? რატომ? რა არის მათი სურვილი? როგორია სიტუაცია ან პრობლემა? როგორ შეიძლება მისი გადაჭრა? როგორ გადაიჭრა პრობლემა?

განმარტებითი - რის სწავლა/გავება მიხდა? რატომ? რა არის ძირითადი იდეა ან საკითხი? რა ვისწავლე/გავიგე თითოეული ნაწილიდან? კიდევ რისი სწავლა/გავება მიხდა? როგორ შემიძლია იმის გამოყენება, რასაც ვსწავლობ? შემიძლია თუ არა, პასუხი გავცე ავტორის შეკითხვებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)?

დაზუსტება

ყველა ტიპის ტექსტში - გავიგე თუ არა წაკითხული? ვხვდები თუ არა, როდესაც წაკითხულს ვერ ვიგებ და შემიძლია თუ არა, საკუთარ თავს დავუხმარო, რომ გავიგო წაკითხული? გესმით თუ არა სიტყვის, ფრაზის, წინადადების აზრი? რომელი სტრატეგიების გამოყენება შემიძლია? თუ ჩემი სტრატეგიები გამოუსადეგარი აღმოჩნდება, სად შეიძლება დახმარების მიღება? შემიძლია თუ არა ნასწავლის ჩემი სიტყვებით გადმოცემა?

კავშირების დამყარება

ყველა ტიპის ტექსტში - როგორ უკავშირდება ტექსტში გადმოცემული ინფორმაცია ჩემს გამოცდილებასა და წარმოდგენებს? როგორ უკავშირდება წიგნის ან ტექსტის ერთ ნაწილში გადმოცემული ინფორმაცია წიგნის მეორე ნაწილის ინფორმაციას? როგორ უკავშირდება წიგნში ან ტექსტში გადმოცემული ინფორმაცია სხვა ტექსტებს? როგორ უკავშირდება წიგნში გადმოცემული ინფორმაცია სამყაროს?

შეჯამება

ყველა ტიპის ტექსტში - შემიძლია თუ არა წაკითხულის ჩემი სიტყვებით გადმოცემა?

ნარატიული - რა ხდება ტექსტის დასაწყისში, შუაში და ბოლოში? რატომ მოხდა ეს? რა იყო თემა? რა იყო ძირითადი პრობლემა? როგორ გადაიჭრა ეს პრობლემა?

განმარტებითი - რის შესახებ იყო ძირითადად ტექსტი? რა დეტალები იყო გამოყენებული ძირითადი აზრის მხარდასაჭერად? რა ახლი ინფორმაცია გავიგე?

შეფასება (Evaluating)

ნარატიული - რა მომეწონა ტექსტში, მოქმედ პირებში ან ავტორის წერის სტილში? ვეთანხმები თუ არა მოქმედ პირთა საქციელს? ვურჩევდი თუ არა სხვებს ამ წიგნის წაკითხვას? რატომ?

განმარტებითი - რა ახალი ინფორმაცია გავიგე? იყო თუ არა ინფორმაცია ზუსტი? საიდან ვიცი? რატომ არის ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანი?

საკუთარი თავისთვის კითხვების დასმა

წყარო: ვოლკერი (2004).

მიზანი: საკუთარი თავისათვის კითხვების დასმით გავების დონის ამაღლება.

პროცესის აღწერა: მოსწავლეები წერენ კითხვებს კითხვის დაწყებამდე და კითხვის პროცესში და პასუხს სცემენ მათ კითხვის დასრულების შემდეგ. ეს შეიძლება გაკეთდეს მისაწებებელ ბარათებზე კლასის მოსწავლეებისათვის ორგანიზებისა და პასუხის გასაცემად.

კითხვა-პასუხის ურთიერთმიმართება (QAR)

წყარო: რაფაელი (1982).

მიზანი: იმ პასუხების ტიპის განსაზღვრა, რომლებიც აუცილებელია გაგებასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხების გასაცემად (მე-4 და უფრო მაღალი კლასის მოსწავლეები).

პროცესის აღწერა: მოსწავლეები კითხულობენ თითოეულ შეკითხვას, განსაზღვრავენ საჭირო პასუხებს და სვამენ შემდეგი ტიპის შეკითხვებს:

- ზუსტად აქ - ექსპლიციტური გაგება - პასუხი ტექსტშია და მისი პოვნა ადვილია;
- იფიქრე და ეძებე - იმპლიციტური გაგება - პასუხი ტექსტშია, მაგრამ მოსწავლეებს სჭირდებათ ტექსტის სხვადასხვა ნაწილის გაერთიანება მის საპოვნელად;
- ავტორი და შენ - იმპლიციტური და კრიტიკული გაგება - პასუხი არ არის ტექსტში და მოსწავლეებმა უნდა გააერთიანონ, რაც მათ იციან და რასაც ავტორი ამბობს;
- ჩემით -შემოქმედებითი გაგება - პასუხი არ არის ტექსტში. მასზე პასუხის გაცემა შესაძლებელია მოსწავლის პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით.

ამის შემდეგ მოსწავლეები პასუხს სცემენ კითხვებს.

ადაპტაცია: მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ მისაწებელი ლენტი „ზუსტად აქ“ კითხვებზე პასუხების მოსანიშნად ტექსტში.

მაგალითი:

სათაური: <i>F Is For Freedom (F ასო, რომლითაც იწყება სიტყვა Freedom (თავისუფლება) ინგლისურში)</i>	ავტორი: რონი შოტერი (Roni Schotter; 2000)
ზუსტად აქ (ექსპლიციტური) ვინ გააღწია მარცვლეულის ერთ-ერთი ტომიდან?	ავტორი და მე (იმპლიციტური) თქვენი აზრით, რატომ ამბობს ამანდა, რომ დაკეტილი კარის უკან საშობაო საჩუქრები უნდა იყოს?
იფიქრე და მოძებნე (ექსპლიციტური) სად მოათავსა მამამ იდუმალი ოჯახი, როდესაც ისინი სახლში შევიდნენ?	ჩემით (იმპლიციტური) შეგიძლიათ თუ არა დაასახელოთ ადგილი თქვენს ან თქვენი მეგობრის სახლში, სადაც დაიმალებოდით?

შეკითხვების ჩამოყალიბების სტრატეგიები

წყარო: ვოლკერი (2004).

მიზანი: ტექსტში გადმოცემული მნიშვნელოვანი აზრების შესახებ კითხვების დასმა და ამ აზრების იდენტიფიცირება.

პროცესის აღწერა: კითხვის დაწყების წინ, უშუალოდ კითხვის პროცესსა და მისი დასრულების შემდეგ მოსწავლეები წერენ და პასუხობენ შეკითხვებს წაკითხულ ტექსტში მნიშვნელოვანი ინფორმაციის შესახებ. შემდეგ ეს კითხვა-პასუხები უნდა შედარდეს მასწავლებლის დაწერილს.

ერთმანეთისათვის შეკითხვების დასმა

წყარო: მანცო (1969).

მიზანი: ეფექტური კითხვების დასმა გაგების დონის ასამაღლებლად.

პროცესის აღწერა: მოსწავლეები და მასწავლებელი კითხულობენ ტექსტს და შემდეგ მორიგებით სვამენ და პასუხობენ კითხვებს კითხვის დაწყების წინ, უშუალოდ კითხვის პროცესში და მისი დასრულების შემდეგ.

**მასწავლებლის ხელმძღვანელობით
შეკითხვების დასმის აქტივობა**

მიზანი: ტექსტის კითხვის პროცესში მისი გაგების პროცესის წარმართვა.

პროცესის აღწერა: დაყავით ტექსტი ნაწილებად. შეჩერდით მნიშვნელოვან ადგილებზე. ჩამოაყალიბეთ შეკითხვები, რომლებსაც მოსწავლეებს დაუსვამთ თითოეული ნაწილის დასრულების შემდეგ.

მაგალითი: რონალდ მორგანი მიდის ღამურასთან. პატრისია რელი (1990).

წიგნის შესავალი	რას თამაშობენ? (ბეისბოლს) თქვენი აზრით, როგორ გრძნობს თავს სურათზე გამოსახული ბიჭი? (ნერვიულობს. სტრაიკაუტის შემთხვევაში შეიძლება დიდხანს ლოდინი დასჭირდეს. შეიძლება შეშინებული იყოს, რადგან შესაძლებელია ბურთი მოხვდეს).
გვერდი 7	როგორ გრძნობს როლანდი ახლა თავს? რატომ? (ის გახარებულია, რადგან ბეისბოლს თამაშობს).
გვერდი 10	თქვენი აზრით, იცის თუ არა ბიჭმა ბეისბოლის თამაში? რატომ? (არა, რადგან ბეისბოლის ბიტა შეცდომით უჭირავს).
გვერდი 13	რა შეიძლება რონალდს გაეკეთებინა მას შემდეგ, რაც გაიგო ვილდის ნათქვამი, რომ ის ყველაზე უარესი მოთამაშეა? (შეეძლო მუშტი დაერთყა ან რამე დაეშავებინა მისთვის).
გვერდი 16	რა მოხდება, თუკი რონალდი არ გაახელს თვალს ბიტას მოქნევის დროს? (ვერ ჩააწოდებს ბურთს, შედეგად სტრაიკაუტს მიიღებს) რატომ ხუჭავს თვალებს? (ბურთის ეშინია. შეიძლება მან სათვალე გაუტეხოს და შემდეგ ვეღარ დაინახავს).
გვერდი 23	რას აკეთებდა რონალდი, როდესაც ბურთისათვის უნდა ეყურებინა? (ჯოხით თამაშობდა და ამ ჯოხით მიწაზე რაღაცებს ხატავდა).
გვერდი 25	რატომ უნდოდათ ბავშვებს. რომ რონალდი მათ გუნდში ყოფილიყო? (რადგან ის ეხმარება მათ, თავი კარგად იგრძნონ).
გვერდი 29	რაში დაეხმარა რონალდს მამა? (თვალების გახელაში).
დასასრული	თქვენი აზრით, როგორ გრძნობს თავს რონალდი მოთხრობის დასასრულს? რატომ? (ბედნიერია, რადგან ის იწყებს კარგად თამაშს და მამა ეხმარება თვალების გახელაში).

რადიოკითხვის პროცესი

წყარო: სტიუარდი და ბორგია (2004).

მიზანი: ტექსტის გაგება პირდაპირი, დასკვნების შემცველი და შეფასებითი კითხვების გამოყენებით.

პროცესის აღწერა: პირველ რიგში, ასწავლეთ შეკითხვების ტიპები: პირდაპირი, დასკვნების შემცველი და შეფასებითი. დაყავით წასაკითხი ტექსტი ნაწილებად თითოეული მკითხველისათვის. სთხოვთ მოსწავლეებს, წაიკითხონ მათთვის განკუთვნილი ნაწილი ჩუმად, ყურადღება გაამახვილონ უცნობ სიტყვებზე. მათ უნდა გამოიყენონ წყაროები ან განიხილონ სიტყვები მნიშვნელობები, შემდეგ კი კიდევ ერთხელ წაიკითხონ ხმადაბლა. მოსწავლეები წერენ კითხვას, რომელსაც სხვა მოსწავლეები მოგვიანებით უპასუხებენ. განიხილეთ ერთად ლაპარაკის და მოსმენის წესები. ამის შემდეგ ერთი მოსწავლე მიკროფონში უკითხავს ტექსტის თავის ნაწილს თანაკლასელებს. დასვით შეკითხვა. კლასი პასუხობს შეკითხვას და სპიკერი ადასტურებს, პასუხი სწორია თუ არა.

ვარაუდების გამოთქმის სტრატეგიები

იფიქრე-ხმამალა

წყარო: ვილჰელმი, ბეიკერი და დუბი (2001).

მიზანი: მეტაკოგნიტური სააზროვნო პროცესების გაზიარება მასწავლებლის ან მოსწავლეების მიერ. ეს პროცესებია: ვარაუდების გამოთქმა, ვიზუალიზაცია, კავშირების დამყარება, გაგების პროცესის მონიტორინგი და თვითშესწორების სტრატეგიების გამოყენება.

პროცესის აღწერა: ხმამალა წაუკითხეთ მოსწავლეებს ტექსტი. სიტყვიერად აღწერეთ თქვენი აზროვნების პროცესი, რომელსაც ვარაუდების გამოსათქმელად იყენებთ, ვარაუდები კი გეხმარებათ ტექსტის გაგებაში. მიუთითეთ ტექსტიდან მონაცემი/მტკიცებულება, რომელსაც თქვენი ვარაუდი ეყრდნობა. კითხვის პროცესში „იფიქრეთ ხმამალა“, რათა მოსწავლეებს აჩვენოთ, როგორ უნდა დააკავშირონ წინასწარი ცოდნა და ტექსტში მოცემული ფაქტები. გაიმეორეთ პროცედურა, სანამ მოსწავლეები თავად არ შეძლებენ ამის გაკეთებას. შეიძლება შემდეგი ტიპის კითხვების დასმა: „რას ნიშნავს ეს? ნება მომეცით, ხელახლა გადავიკითხო. კარგი, მე ვიცი, რომ... შესაძლოა ეს იყოს... მაინტერესებს, რას უნდა ნიშნავდეს...“ ამის შემდეგ მოსწავლეები მუშაობენ თავიანთ პარტნიორებთან, სანამ მათი ჯერი არ მოვა, რომ წაიკითხოთ და სიტყვიერად წარმოაჩინონ ფიქრის პროცესი. მოსწავლეები სტრატეგიაში ვარჯიშობენ ჩუმი კითხვის პროცესში. მათ შეუძლიათ პროცესის შესახებ ჩანაწერები გააკეთონ და შეკითხვები ჩამოწერონ მისაწებელ ბარათებზე. საბოლოოდ, მოსწავლეები ამ სტრატეგიას იყენებენ ყოველდღიურად კითხვის პროცესში. კითხვის დასრულების შემდეგ შეგიძლიათ მოსწავლეებს სთხოვოთ, განიხილონ ეს პროცესები.

მართული კითხვის და ფიქრის აქტივობა

წყარო: გამოყენებულია სტაუფერის ნაშრომი (სტაუფერი, 1969).

მიზანი: ინფორმაციის ამოღება და პასუხების დადასტურება/დამოწმება (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: მოსწავლეები ეყრდნობიან წინასწარ ცოდნასა და ტექსტში მოცემულ ინფორმაციას და გამოთქვამენ ჰიპოთეზებს, რის შესახებ იქნება ტექსტი. ისინი ასაბუთებენ თავიანთ ვარაუდებს. კითხვის დაწყების წინ მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს და აყალიბებენ კითხვის მიზნებს. კითხვის დაწყების წინ შეკითხვები შეიძლება იყოს რის შესახებ შეიძლება იყოს წიგნი, რა შეიძლება მოხდეს შემდეგ, რატომ ფიქრობენ ასე. მოსწავლეები კითხულობენ ტექსტის წინასწარ განსაზღვრულ რაოდენობას და ფიქრობენ წაკითხულზე. ისინი ადასტურებენ ან უარყოფენ თავიანთ ვარაუდებს და მიუთითებენ ინფორმაციას, რომელიც ამას ამოწმებს. კითხვის დასრულების შემდეგ მოსწავლეები ხელახლა განიხილავენ კითხვის მიზნებს, სწორი იყო თუ არა მათი ვარაუდები, განსაზღვრავენ, უნდათ თუ არა შეცვალონ ვარაუდების სახით გამოთქმული მოსაზრებები და გამოთქვამენ ვარაუდს, რა იქნება შემდეგ.

დასკვნის გამოტანის გენერატიული პროცედურა

წყარო: ვოლკერი (2004).

მიზანი: ისეთი აზრების (პარაგრაფების) კითხვა და წერა, რომლებიც მოითხოვს ვარაუდების გამოთქმას (მე-2 და უფრო მაღალკლასელები).

პროცესის აღწერა: შეარჩიეთ დასკვნის შემცველი აზრები (პარაგრაფი). გამოიყენეთ ის მთავარ იდეად და წაკითხეთ მოსწავლეებს (მოკლე დეტექტივები ამ მიზნისათვის საუკეთესო ვარიანტია). აუხსენით, რომ ვარაუდები პირდაპირ არაა ტექსტში მოცემული. ყურადღება გაამახვილეთ სიტყვებზე, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს ამ იდეის განსაზღვრაში. მომდევნო მაგალითებში მოსწავლეები თავად განსაზღვრავენ საკვანძო სიტყვებსა და ვარაუდებს. მოსწავლეებში წყვილებად მუშაობენ და წერენ ვარაუდის შემცველ პარაგრაფს (აზრას) და აცნობენ სხვებს, რათა ივარაუდონ რა მოხდა.

დასკვნების გამოტანისა და კითხვების დასმის სტრატეგიები

მიზანი: დასკვნების გამოტანა (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: სთხოვეთ მოსწავლეებს, ფურცელზე დახაზონ სამი სვეტი. პირველ სვეტში ისინი წერენ კითხვებს კითხვის პროცესში. მეორე სვეტში პასუხობენ კითხვას რა დასკვნის გამოტანა შეიძლება წაკითხულიდან? მესამე სვეტში წერენ მტკიცებულებას, რომელიც მათ დასკვნას ამაგრებს.

შეჯამების სტრატეგიები

მოთხრობის ჩარჩო

მიზანი: დაეხმაროს მოსწავლეებს შექმნან მოდელები შესაბამისი სიტუაციის ან პასუხისათვის ან პასუხებისათვის და მოძებნონ ადგილები ტექსტში, სადაც ინფორმაციის მოძებნა შესაძლებელია.

ერთი და იმავე ჩარჩოს გამოყენება შესაძლებელია კითხვის სხვადასხვა უნარისათვის. როდესაც მოსწავლეები ცდილობენ ჩარჩოს შევსებას, მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, საჭიროა თუ არა და, საჭიროების შემთხვევაში, როდის უნდა მიმართოს ჯგუფი უფრო ექსპლიციტური პასუხებისაკენ. გარკვეული დროის შემდეგ მოსწავლეებს უვითარდებათ ერთი და იმავე ჩარჩოს გამოყენების უნარი, გაგების კონკრეტული უნარებთან ერთად. როგორც დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალება, ჩარჩოების გამოყენება შესაძლებელია მოსწავლეებს დაეხმაროს სხვადასხვა იდეაზე, კონცეპტზე, ინფორმაციაზე მუშაობისას. გარდა ამისა, მოთხრობის ჩარჩო შესანიშნავი ინსტრუმენტია სწრაფი, არაფორმალური შეფასებისათვის (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: მოთხრობის ჩარჩო არის საკვანძო ენობრივი ელემენტებით ერთმანეთთან დაკავშირებული ცარიელი ხაზები. ხშირად ეს ენობრივი ელემენტები გარდამავალი სიტყვებია და მათში ხშირად ასახულია ესა თუ ის კონკრეტული აზრი ან არგუმენტი. როდესაც ჩარჩო შექმნილია, მისი გამოყენება შეიძლება ახალი პასაჟებისთვისაც, თუკი ეს პასაჟები მხარს უჭერს ჩარჩოში ნაგულისხმევ აზრს ან არგუმენტს. მოთხრობის ჩარჩოები განსაკუთრებით ეფექტურია დაწყებით კლასებსა და დამატებით გაკვეთილებზე. ის ეხმარება მოსწავლეებს ინფორმაციის ორგანიზებაში, რათა განსაზღვრონ მნიშვნელოვანი აზრები, განიხილონ მოქმედი პირები და მათი პრობლემები, გააკეთონ შედარებები და შეაჯამონ ფრაგმენტის შინაარსი. მოთხრობის ჩარჩოს ხშირი გამოყენება განსაკუთრებით სასარგებლოა მოსწავლეებისათვის, რომლებსაც პრობლემა აქვთ, რომ შეკითხვის არსი დაიმახსოვრონ ან რომლებიც წერისას სასაუბრო სტილის ენას იყენებენ და არა წერილობითს.

მაგალითი: მოთხრობის ჩარჩო.

მნიშვნელოვანი აზრი ან სიუჟეტი	გარემო
ამ მოთხრობაში პრობლემა იწყება, როცა _____.	მოთხრობაში აღწერილი ამბები ხდება _____-ში/-ზე.
ამის შემდეგ _____.	ის მიმდინარეობს _____ განმავლობაში.
შემდეგ _____.	ვიცი, რადგან ავტორი იყენებს სიტყვებს “_____“.
იმ დროს _____.	სხვა მნიშვნელები, როდის მიმდინარეობს მოქმედება, შემდეგია: _____.
საბოლოოდ პრობლემა მოგვარდა, როცა _____.	
მოთხრობა მთავრდება _____.	

(კუნინგემი, 2003)

(ვიღაც) _____, უნდოდა _____.
 მაგრამ _____. ამგვარად _____.

გმირის დახასიათება	გმირის შედარება
<p>_____ მნიშვნელოვანი (მთავარი) გმირია ამ მოთხრობაში.</p> <p>_____ მნიშვნელოვანია, რადგან (გმირის სახელი) _____ ერთხელ ის _____.</p> <p>შემდეგ _____ ჩემი აზრით, _____ (გმირის სახელი)</p> <p>არის _____ რადგან (გმირის თვისება) _____.</p>	<p>_____ და _____ არიან მოთხრობის 2 გმირი.</p> <p>_____ გმირის სახელია. _____ (გმირის თვისება), ხოლო _____ მეორე პერსონაჟის სახელია. _____ (თვისება).</p> <p>მაგალითად, _____ ცდილობს _____ და _____ კიდევ ცდილობს _____.</p> <p>როდესაც _____ იღებს გაკვეთილს _____ შესახებ.</p>
მოთხრობის შეჯამება (ერთი პერსონაჟის გათვალისწინებით)	საკითხების შედარება
<p>მოთხრობა არის _____ შესახებ.</p> <p>_____ არის მოთხრობის მნიშვნელოვანი (მთავარი) პერსონაჟი.</p> <p>_____ (გმირი)</p> <p>შეეცადა _____ მოთხრობა სრულდება, როცა _____.</p>	<p>_____ და _____ ტექსტის მთავარი იდეებია.</p> <p>_____ არის (ერთი ძირითადი იდეა) _____ (აზრი)</p> <p>_____ (მეორე იდეა) არის _____ (აზრი)</p> <p>ეს ორი იდეა მსგავსია, რადგან _____.</p> <p>ეს ორი იდეა განსხვავებულია, რადგან _____.</p>
საკითხის ანალიზი	ტექსტის შეჯამება ერთი ძირითადი იდეის გათვალისწინებით
<p>_____ ტექსტის მნიშვნელოვანი მოსაზრება/საკითხია.</p> <p>_____ მნიშვნელოვანია, რადგან _____.</p> <p>ერთ-ერთი მაგალითია _____.</p> <p>ის ერთ შემთხვევაში გამოყენებულია შემდეგნაირად _____.</p> <p>მე ვფიქრობ, რომ _____, რადგან _____.</p>	<p>სტატია არის _____ შესახებ.</p> <p>_____ ამ სტატიაში მოცემული მნიშვნელოვანი ფაქტია.</p> <p>_____ (მოვლენა ან ფაქტი)</p> <p>შედეგად მოჰყვა ან განიცადა გავლენა _____.</p> <p>შედეგად _____.</p> <p>_____ (რა მოხდა და რატომ)</p>

მოთხრობის შეჯამება

_____ მოქმედება მიმდინარეობს _____ (ადგილი), _____ (როდის). _____ მნიშვნელოვანი გმირია, რომელიც _____.

პრობლემა ჩნდება, როდესაც _____.

ამის შემდეგ _____.

პრობლემა გადაიჭრა _____ საშუალებით/გზით.

მოთხრობა სრულდება, როცა _____.

ივარაუდე, ორგანიზება გაუკეთე, გაიმეორე, ივარჯიშე და შეაფასე

წყარო: სიმპსონი (1992).

მიზანი: შინაარსის სწავლის აქტიურად დაგეგმვა, მონიტორინგი და შეფასება. საგამოცდო ესეს დასაწერად მომზადება; წერის გამოყენება შინაარსის შესასწავლად (მე-5 და უფრო მაღალკლასელები).

პროცესის აღწერა: მოსწავლეები ვარაუდობენ ესეს შესაძლო შეკითხვებს და აზუსტებენ თავიანთი კითხვის მიზნებს. მათ შეუძლიათ საკვანძო ინფორმაციის ორგანიზება წინასწარ ნავარაუდებ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად; აჯამებენ და სინთეზირებენ უკეთებენ მასალებს ან ქმნიან შეკითხვების კონცეპტების რუკას; იმეორებენ მთავარ მოსაზრებებს, მაგალითებს და სტრუქტურას გრძელვადიან მეხსიერებაში გადასატანად. მოსწავლეებმა უნდა ივარჯიშონ გამეორების ეტაპზე გადამეორებული მასალის დაწერაში. შემდეგ უნდა შეაფასონ თავიანთი პასუხები. ამისთვის მათ უნდა გაითვალისწინონ, როგორ შეაფასებდა მათი მასწავლებელი. პედაგოგმა თითოეული საფეხურის მოდელირება უნდა გააკეთოს.

R.A.P.Q

წყარო: შუმახერი, დენტონი და დეშლერი (1984).

მიზანი: ძირითადი იდეების წაკითხულის შესახებ კითხვების დასმა და პარაგრაფის (აბზაცის) შეჯამება (მე-3 და უფრო მაღალკლასელები).

პროცესის აღწერა: აკრონიმი R.A.P.Q არის ინგლისური სიტყვების: Read (წაკითხე), Ask (კითხე), Put (გადმოეცი (აქ)) და Question (შეკითხვა). ასწავლეთ მოსწავლეებს შემდეგი ნაბიჯები: წაკითხეთ პარაგრაფი; დასვით შეკითხვები ძირითადი იდეისა და მნიშვნელოვანი დეტალების შესახებ; მოიფიქრეთ შეკითხვა წაკითხულის შესახებ. დაწერეთ ბარათზე. ბარათის უკანა მხარეს დაწერეთ პასუხი. მოსწავლეებს შეეძლებათ ბარათით ხელმძღვანელობა.

მაგალითი

წაკითხე მასალის ის ნაწილი, რომელზეც მუშაობ	“ფიქრობენ, რომ ჰოპები ანასაზების შთამომავლები არიან. ეს უკანასკნელი ასწლეულების წინ ცხოვრობდნენ ამ ადგილას. ანასაზების მსგავსად, ისი აშენებენ დიდ ახალშენებს. შენობები რამდენიმე დონისაგან შედგებოდა და მზეზე გამომშრალი ტალახის აგურით და ჩალით იყო აშენებული. მათი სახელია ადობე. პატარა ქალაქები, ჩვეულებრივ, მაღალ ბრტყელწვერიან ბორცვებზე ან კლდის მსგავსი ფერდების მქონე მთებზე იყო აშენებული (სამოგზაურო ატლასი ამერიკელებისთვის. გვ. 52. სტოკი, 1L: რენდ მაკნალი. 1994).
დაუსვი საკუთარ თავს შეკითხვა, რა არის ძირითადი იდეები	ჰოპები, როგორც ჩანს, ანასაზების შთამომავლები არიან.
გადმოეცი ძირითადი იდეები შენი სიტყვებით	ჰოპები, რომლებიც ანასაზების შთამომავლები უნდა იყვნენ, ცხოვრობენ ადობეების ახალშენებში, მთებსა და ბორცვების წვერში.
კითხვა წაკითხულის შესახებ	(ბარათის წინა გვერდი) როგორ გამოიყენება ჰოპების ქალაქები, რომლებსაც პუებლოს უწოდებენ? (ბარათის უკანა მხარეს) შენობები რამდენიმე დონისაგან შედგება და აშენებულია ჩალისა და აგურისაგან. აშენებულია ბრტყელწვერიან მთებზე ციცაბო ფერდებზე, რომლებსაც ციცაბო გვერდები აქვს.

ურთიერთსწავლება

წყარო: პალინკსარი და ბრაუნი (1986).

მიზანი: ვარაუდების გამოთქმა, შეჯამება, დაზუსტება და კითხვების დასმა კითხვის პროცესში (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: პარტნიორთან ერთად მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს, რის შესახებ იქნება ტექსტი ან წაკითხულის მომდევნო ნაწილი. ისინი კითხულობენ ტექსტის ნაწილს და შემდეგ აჯამებენ ერთი ან ორი წინადადებით, რის შესახებ არის ტექსტი და რა არის მთავარი იდეა. მოსწავლეები აზუსტებენ იმას, რაც ვერ გაიგეს (ეს შეიძლება იყოს სიტყვა, ფრაზა ან მთავარი აზრის შემცველი წინადადება (მტკიცება). ამის შემდეგ მოსწავლეები ერთმანეთს კითხვებს უსვამენ წაკითხულის შესახებ.

SQ3R

წყარო: ვოლკერი (2004).

მიზანი: შინაარსის შესწავლა და გაგებისა და სწავლის პროცესის მონიტორინგი (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: აკრონიმი SQ3R შედგება ხუთი საფეხურისაგან:

შეისწავლე (Survey)- წაკითხეთ ტექსტი „სკიმინგის“ მეთოდით ჩარჩოს (a basic structure underlying a system, concept, or text.)

1. განსასაზღვრად
2. შეკითხვა (Question) -მოსწავლეები წერენ შეკითხვებს, რომელთა შესახებ პასუხიც ტექსტში იქნება
3. წაკითხე (Read) - წაკითხე კითხვებზე პასუხის გასაცემად
4. გადმოეცით Recite- ჩამოაყალიბეთ კითხვები და შეძლებისდაგვარად დაწერეთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია
5. განიხილეთ (Review)- განიხილეთ შეკითხვები და პასუხები, შემდეგ კი დაუკავშირეთ ტექსტის ჩარჩოს.

რეზიუმეები

მიზანი: მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი მოკლე რეზიუმეების დაწერა (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: წაკითხეთ ტექსტის ნაწილი და თქვენით დაწერეთ რეზიუმე. შემდეგ აუხსენით მოსწავლეებს, რატომ არის მხოლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეტანილი და რატომ არის ზოგი ინფორმაცია გამოტოვებული. ამის შემდეგ მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში, წყვილებში და ბოლოს ინდივიდუალურად რეზიუმეს შესაქმნელად.

სასწავლო გზამკვლევები

წყარო: ჰერბერი (1978).

მიზანი: ტექსტის კითხვისას გაგების სხვადასხვა საფეხურის განვითარებაში მოსწავლეთა ხელშეწყობა (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: მოსწავლეები გააანალიზებენ შინაარსს და გამოავლენენ ძირითად კონცეპტებსა და მნიშვნელოვან დეტალებს. მასწავლებელი ან თავად მოსწავლეები ქმნიან სასწავლო გზამკვლევს (სახელმძღვანელოს), რისთვისაც ისინი აყალიბებენ კითხვებს გაგების სამივე დონისათვის:

ექსპლიციტური დონის ინფორმაცია მოცემულია უშუალოდ ტექსტში;

იმპლიციტური - იფიქრე და მოძებნე ინფორმაცია;

გამოცდილებაზე დაფუძნებული დონე - თავად მოიძიე ინფორმაცია.

მიეცით მოსწავლეებს გზამკვლევი და ჩართეთ ისინი პატარა ჯგუფურ დისკუსიებში.

სამჯერ კითხვა გეგმის შესადგენად

წყარო: ვოკლერი (2004).

მიზანი: მთავარი იდეისა და მხარდამჭერი დეტალების იდენტიფიცირება და შემდეგ განმარტებითი ტექსტის რეზიუმეს (შეჯამების) დაწერა (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: უთხარით მოსწავლეებს, რომ პირველად წაკითხვის მიზანი თითოეული პარაგრაფის (ლოგიკური აზრის) მთავარი იდეის იდენტიფიცირებაა. ამის შემდეგ თქვენ გაუკეთეთ მოდელირება და ტექსტის ფოტოასლის მინდორზე დაწერეთ მთავარი იდეა. მეორედ კითხვისას მიზანია მხარდამჭერი დეტალების იდენტიფიცირება. მესამედ კი ინფორმაციის ორგანიზება გეგმად (პუნქტებად გაწერილი ჩამონათვალი).

ამის შემდეგ წერეთ ფრაგმენტის რეზიუმეს, რისთვისაც იყენებთ მთავარ იდეას მთავარ წინადადებად და დეტალებს - მათ მხარდასაჭერად. მიუთითეთ არარელევანტური ინფორმაციის შესახებ, რომელიც არ გამოიყენეთ. ამის შემდეგ მოსწავლეები იმეორებენ ამავე პროცედურას და ახალი პასაჟისათვის ქმნიან გეგმას. შეადარეთ მათი დაწერილი თქვენსას.

GIST პროცედურა

წყარო: კუნინგემი (1982).

მიზანი: მოსწავლეებს დაეხმაროთ პარაგრაფის GIST-ის გაგების უნარის განვითარებაში: გენერირება(შექმნა)/ურთიერთქმედება (ინტერაქცია) სქემასა (გეგმას) და ტექსტს შორის.

პროცესის აღწერა: პირველ რიგში, შეარჩიეთ პარაგრაფი (ლოგიკური აზრის). სთხოვეთ მოსწავლეებს, წაიკითხონ პირველი წინადადება და შექმნან მისი რეზიუმე. შემდეგ წაიკითხონ პირველი ორი წინადადება და შექმნან რეზიუმე პირველი ორი წინადადებისათვის. გააგრძელეთ ეს პროცესი პარაგრაფის ბოლომდე. საბოლოოდ კი წინადადებებიდან გადაადით პარაგრაფის რეზიუმეს შექმნამდე.

კრიტიკული გაგების სტრატეგიები

კრიტიკული გაგება არის მკითხველის უნარი, გასცდეს ფრაგმენტში გადმოცემული იდეების საზღვრებს და გამოთქვას ჰიპოთეზა ან გააკეთოს დასკვნა მათ შესახებ. მათ შორისაა ავტორის მიზნის ამოცნობა, ამოცნობის ავტორის მიერ გამოყენებული ორგანიზაციული მოდელები და სიტყვებს, წინადადებებსა და ფრაზებს შორის ექსპლიციტური და იმპლიციტური ურთიერთმიმართება. აქვე იგულისხმება საკუთარ დასკვნებსა და სხვათა წარმოდგენებსა და ცოდნას შორის კავშირების დამყარება, წაკითხულის კრიტიკული ან ანალიტიკური განხილვა, ასევე ტენდენციების აღქმა და ჭეშმარიტებისა და ღირებულებების განსაზღვრა. დაბოლოს, ისეთი ფასეულობების განსაზღვრა, როგორებიცაა სიამოვნების მიღება, პრაქტიკული გამოყენება და განათლება.

ავტორის შესახებ კითხვების დასმა (QTA)

წყარო: ბესკი და მაკეონი (1997), ციტირებულია ტიერნისა და რიდენსის (2000) ნაშრომიდან.

მიზანი: ავტორის ნაწერის შესახებ კითხვების დასმის მოდელირება.

პროცესის აღწერა: გამოავლინეთ, რა იქნება მოსწავლეებისათვის გასაგები და კითხვის პროცესში სად შეიძლება შეექმნათ პრობლემა. შემდეგ დაყავით ტექსტი აზრობრივ ნაწილებად და ჩამოწერეთ მაპროვოცირებელი, დამატებითი და ნარატიული ტიპის შეკითხვები. მაგალითად: რის თქმა უნდა ავტორს აქ? დამაჯერებლად ხსნის ავტორი? როგორ უკავშირდება ეს იმას, რაც ავტორმა წინა ეპიზოდში (ნაწილში) თქვა? გვეუბნება თუ არა ავტორი რატომ? იმის გათვალისწინებით, რაც ავტორმა გვითხრა გმირის შესახებ, როგორ ფიქრობთ, რა მოხდება? როგორ გადმოგვცა ავტორმა, რომ რაღაც შეიცვალა? სწორი მიმართულებით წარმართეთ მოსწავლეების მოსაზრებები და დისკუსიები და ამით დაეხმარეთ მათ ტექსტის იდეების გაგებაში.

დიალოგური ტიპის აზროვნებისა და კითხვის გაკვეთილები

წყარო: კომეირასი (1993), ციტირებულია ტიერნიისა და რეადენსის (2005) ნაშრომიდან.

მიზანი: მოსწავლეთა ჩართვა რეფლექსიასა და კრიტიკული აზროვნების პროცესში ნარატიული ტექსტში გადმოცემული საკითხების კითხვის პროცესში (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: შეარჩიეთ ტექსტი, რომლის განხილვაც მრავალი თვალსაზრისით არის შესაძლებელი და მოსწავლეებისათვის საინტერესო იქნება. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაასრულებენ კითხვას, განიხილეთ მთავარი შეკითხვა - როგორ უნდა მოქცეულიყო კონკრეტული გმირი? განიხილეთ ორი ვარიანტი. ამის შემდეგ მოსწავლეები გაკარნახობენ მიზეზებს, რომელთა გამოც თავიანთი ვარიანტები ჩამოაყალიბეს. თქვენ ჩამოწერეთ დაფაზე ეს მიზეზები. შემდეგ შეაფასეთ მიზეზები. დაწერეთ (ს), თუ სწორია, (მ) - თუ მცდარია და (გ) - გააჩნია რა შემთხვევაში. დაწერეთ (რ), თუ მიზეზი რელევანტურია და (ა) - თუ არარელევანტურია. საბოლოო ჯამში, ყველა მოსწავლე წერს თავის დასკვნას მთავარი შეკითხვის შესახებ. შესაძლოა მოსწავლეებმა ერთმანეთს გააცნონ თავიანთი დასკვნები ზეპირად ან წერილობითი სახით.

კვლევის დიაგრამა

მიზანი: საკითხის სიღრმისეულად შესწავლა რამდენიმე ტექსტიდან (შესაძლოა განსხვავებული თვალსაზრისის გამომხატველიც იყოს) და კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობა (მე-4 კლასელები და ზემოთ).

პროცესის აღწერა: თქვენ და თქვენი მოსწავლეები განსაზღვრავთ საკითხს, აყალიბებთ ორიდან ოთხ შეკითხვამდე, ქმნით კვლევის დიაგრამას და კრებთ ტექსტებს სხვადასხვა წყაროდან. კითხვები შესაძლოა იყოს შემდეგი: რა არის ზღვის ძუძუმწოვრების დამახასიათებელი ნიშნები? რით ჰგვანან დანარჩენ ძუძუმწოვრებს? რით განსხვავდებიან? რის მიხედვით არიან ძუძუმწოვრები დაჯგუფებულნი? შემდეგ გამოკითხეთ მოსწავლეები მათი წინასწარი ცოდნის გასარკვევად და ჩაწერეთ ისინი სათანადოდ ფორმულირებული შეკითხვის ქვეშ. დამატებითი ინფორმაცია იწერება საინტერესო ფაქტებისა და პიროვნებების და მოსწავლეთა ახალი შეკითხვების გრაფების ქვეშ. შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ სხვადასხვა წყაროს და ჩაწერენ, რა ისწავლეს. მოსწავლეები აყალიბებენ შემაჯამებელ შეკითხვებს თითოეული შეკითხვისათვის. ამის შემდეგ ისინი ადარებენ თითოეული წყაროს ინფორმაციას თავიანთ წინასწარ ცოდნას. მოსწავლეები აგრძელებენ შეკითხვების ფორმულირებას და ეძებენ პასუხებს.

საბოლოოდ, მოსწავლეები მოახსენებენ კლასელებს თავიანთ შედეგებს.

მაგალითი:

		საორიენტაციო კითხვები						
წყაროები	საკითხი	1.	2.	3.	4.	საინტერესო ფაქტები და პიროვნებები	ახალი შეკითხვები	
	რა ვიცით							
	1.							
	2.							
	3.							
	შეჯამება							

ჯგუფური გამოკვლევის მეთოდი

წყარო: ვოლკერი (2004).

მიზანი: საკითხის შესწავლა კოოპერაციულ ჯგუფებში და მისი წარდგენა (მე-4 კლასი და ზემოთ).

პროცესის აღწერა: თქვენ ან თქვენი მოსწავლეები ირჩევენ შესასწავლ საკითხს და მოიძიებთ წყაროებს. შემდეგ მოსწავლეები ქმნიან შესასწავლი შეკითხვების სიას. სია შედგენილია საკვანძო კატეგორიებისა და ქვესაკითხების მიხედვით. შექმენით ჯგუფები ქვესაკითხების მიხედვით. მოსწავლეები ირჩევენ საკითხის შესაბამის წყაროებს წასაკითხად. ისინი აჯამებენ ნასწავლს და აცნობენ თანაკლასელებს საგანგებო „სესიებზე“. თითოეული ჯგუფი ქმნის პროდუქტს (ვებგვერდი, პაუერპოინტის პრეზენტაცია, პოსტერი და ა. შ.), რათა გააზიარონ, რა შეისწავლეს ქვესაკითხის შესახებ. ბოლოს კი თქვენ და თქვენი მოსწავლეები აყალიბებთ შემაჯამებელ კითხვებს, რომლებსაც კლასს უსვამთ. მოსწავლეები აკეთებენ წერილობით რეფლექსიას იმის შესახებ, თუ რა ისწავლეს თითოეული ჯგუფიდან.

კრიტიკული რეფლექსიები

მიზანი: ტექსტის შესწავლა შემდეგი თვალსაზრისით: რა გამოწვევებს უქმნის ის შენს წარმოდგენებს/შეხედულებებსა და ფასეულობებს (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: ტექსტის კითხვისას აღნიშნე ყოველ ჯერზე, როდესაც შენი დამოკიდებულებები, წარმოდგენები ან სტატუსი გამოწვევის წინაშე დგება, X ნიშნით აღნიშნეთ მინდორზე. მოკლედ ჩაწერეთ, რა გრძნობა გაგიჩნდა და ტექსტის რა ნაწილმა შეგიქმნა ეს გამოწვევა. დაუბრუნდი მონიშნულ ადგილებს ტექსტში, როდესაც გამოწვევას გრძნობდი. რა მოდელები შენიშნე?

ფაქტი, მოსაზრება ან ვარაუდი

მიზანი: დაეხმაროთ მოსწავლეებს ფაქტისა და მოსაზრების ან ვარაუდის გარჩევაში (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: განსაზღვრეთ ფაქტები, მოსაზრებები და ვარაუდები თქვენი მოსწავლეებისათვის:

ფაქტი: გადმოსცემს ინფორმაციას, რომელსაც შესაძლოა პირდაპირ დავაკვირდეთ ან შევამოწმოთ მისი მართებულობა.

მოსაზრება: გადმოსცემს პირად შეფასებაზე ან წარმოდგენაზე დაფუძნებულ შეფასებას, რომელიც შეიძლება შემოწმდეს ან, შესაძლოა, მისი შემოწმება შეუძლებელი იყოს.

ვარაუდი: ლოგიკური ვარაუდი ან კანონზომიერი მოსაზრება, რომელიც ეყრდნობა ფაქტობრივ ინფორმაციას.

მომზადეთ მთავარი წინადადების (მტკიცების, მთავარი აზრის) ჩამონათვალი, რომელიც შეიცავს თითოეული მათგანის მაგალითებს. სთხოვეთ მოსწავლეებს, თითოეული მათგანის გასწვრივ, შესაბამისად, აღნიშნონ ფ, მ ან ვ. შემდეგ შეარჩიეთ ტესტები, რომლებიც შეიცავს ფაქტებს, მოსაზრებებსა და ვარაუდებს (მაგალითად, საგაზეთო სტატია ან ისტორიული ტექსტი). სთხოვეთ მოსწავლეებს, იპოვონ თითოეული მათგანის მაგალითები.

მტკიცებითი ტექსტის ანალიზის სტრატეგიის არგუმენტების ცხრილი

წყარო: მოსი (2004).

მიზანი: მტკიცებითი არგუმენტების ელემენტების ცხრილი (მე-4 და შემდგომი კლასები).

პროცესის აღწერა: მოამზადეთ მარტივი 4-სვეტიანი ცხრილი. ჩაწერეთ, რას ამტკიცებს ავტორი, რა არის მხარდამჭერი საბუთი, საწინააღმდეგო თვალსაზრისი და საწინააღმდეგო თვალსაზრისის საწინააღმდეგო შეხედულებები.

მაგალითი:

----- (სათაური) ანალიზი

მტკიცება	მხარდამჭერი საბუთი	საწინააღმდეგო თვალსაზრისი
		არგუმენტი საწინააღმდეგო თვალსაზრისის საპირისპიროდ

ნარატიული და განმარტებითი სტრუქტურების გაგების სტრატეგიები

ნარატიული ტექსტის გაგების გზამკვლევი

მიზანი: დაეხმაროს მოსწავლეებს ნარატიული ტექსტის გაგებაში.

პროცესის აღწერა: კითხვის პროცესში და მისი დასრულების შემდგომ მოსწავლეები საკუთარ თავს უსვამენ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს, რაც ეხმარება მათ ტექსტის უკეთ გაგებაში:

მოქმედი პირები:

- ვინ არიან მოთხრობის მთავარი მოქმედი პირები?
- როგორ არიან ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულნი?
- როგორ მოქმედებენ (იქცევიან) პერსონაჟები?
- გმირების ქმედებები, ზოგადად, დადებითია თუ უარყოფითი? მაგალითად, რომელი?
- რომელიმე პერსონაჟი ნაწარმოებში იცვლება (თვისობრივად)? როგორ?
- მომწონს თუ არა პერსონაჟები? რატომ მომწონს ან არ მომწონს?

გარემო

- სად ხდება მოქმედება? იცვლება მოქმედების ადგილი?
- როგორია მოქმედების ადგილი?
- როდის ხდება მოქმედება? საიდან იცით?
- წელიწადის რა დროს ხდება მოქმედება? საიდან იცით?
- ჰგავს თუ არა გარემო თქვენთვის ნაცნობ ადგილებს? რით?

სიუჟეტი

- რა არის ტექსტში გადმოცემული ძირითადი მოვლენები?
- კითხვისას დაუსვით საკუთარ თავს შეკითხვა, რა შეიძლება მოხდეს შემდეგში? რატომ?
- რა პრობლემაა გადმოცემული ტექსტში?
- რა მცდელობები იყო ამ პრობლემის გადასაჭრელად?
- თქვენ რომ პერსონაჟი ყოფილიყავით, რას გააკეთებდით განსხვავებულად?

განწყობა

- რას ვგრძნობდი მოთხრობის თავში, შუაში და ბოლოში?
- რომელი იყო ყველაზე საინტერესო მომენტი?
- რა იყო ყველაზე სამწუხარო, სევდიანი ან უცნაური, რაც მოთხრობაში მოხდა?
- რა დამამახსოვრდება ყველაზე უფრო ამ ტექსტიდან?

სტილი

- რომელ საინტერესო სიტყვებს ან ფრაზებს იყენებს ავტორი?
- რა მომწონს ავტორის წერის მანერაში?
- რა არ მომწონს ავტორის წერის მანერაში?

თემა

- როგორ ფიქრობთ, რატომ დაწერა ავტორმა მოთხრობა?
- შეიცავს თუ არა მოთხრობა გზავნილს? რა არის ეს გზავნილი?

თვალსაზრისი

- ვინ ჰყვება ამბავს?

ავტორი

- რის თქმას ცდილობს ავტორი ამ წიგნის შესახებ?
- რის ცოდნა სჭირდებოდა ავტორს ამ წიგნის დასაწერად?
- გინდათ თუ არა ამ ავტორის სხვა წიგნების წაკითხვა? რატომ?

ილუსტრატორი

- ვინ არის ილუსტრატორი?
- როგორ დაგეხმარათ ილუსტრაციები მოთხრობის გაგებაში?
- მოგწონთ ილუსტრაციები? რატომ მოგწონთ ან რატომ არ მოგწონთ?

რთული ნარატიული ამბის მოყოლა

მიზანი: ტექსტის ელემენტების იდენტიფიცირება (მე-6 და უფროსკლასელები).

პროცესის აღწერა: შეარჩიეთ კლასის დონის შესაბამისი წიგნები და განსაზღვრეთ ტექსტის ელემენტები, რომელთა გამოყენებაც შეიძლება. მოსწავლეებს გააცანით განმარტებები და აჩვენეთ მაგალითები ტექსტში. წაკითხეთ მოსწავლეებს ტექსტი და განიხილეთ. მოსწავლეები ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, ზეპირი ან წერილობითი ფორმით ხსნიან, როგორ არის გამოყენებული წიგნში თითოეული ნაწილი. ქვემოთ მოცემულია სიუჟეტის ელემენტებისა და ლიტერატურული ხერხების განმარტებები:

ალუზია: სხვა მხატვრული ნაწარმოების, ფილმის, ხელოვნების ნაწარმოების ან, უფრო მეტიც, რეალურ მოვლენაზე მითითება.

ექსპოზიცია: გარემოს, სიტუაციის და ძირითადი პერსონაჟების წარდგენა.

კულმინაცია: კონფლიქტის თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო ადგილი. მოქმედების ძირითადი გარდამტეხი მომენტი.

კონფლიქტი: პრობლემა, რომელიც აკონტროლებს ან განაპირობებს მოქმედებებს მოთხრობაში.

დაღმავალი მოქმედება: მოვლენათა მიმდევრობა, რომელიც მოყვება კულმინაციას და სრულდება კვანძის გახსნით.

რეტროსპექცია: მოთხრობის ეპიზოდი, როდესაც მოქმედება წინა დროში ბრუნდება გამოტოვებული ინფორმაციის შესავსებად.

მინიშნება: ავტორი იძლევა მინიშნებებს, რა მოხდება შემდეგ.

ირონია: როდესაც ნათქვამი და ნაგულისხმევი არ ემთხვევა ერთმანეთს, განსხვავდება ერთმანეთისაგან.

განწყობა: განცდა, რომელსაც მკითხველს მოთხრობა აღუძრავს.

მორალი: რასაც მოთხრობა გვასწავლის.

თვალსაზრისი: პერსპექტივა, რომლიდანაც მოთხრობილია ამბავი. დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ ყვება ამბავს.

კვანძის გახსნა: მოთხრობის ის ნაწილი, როდესაც კონფლიქტი გვარდება.

აღმავალი მოქმედება: მოვლენები, რომლებსაც მივყავართ კულმინაციისაკენ, მასში შედის კონფლიქტები ან მთავარი მოქმედი გმირების პრობლემები.

მოულოდნელი ფინალი: შემობრუნება სიუჟეტში ნაწარმოების ბოლოს.

სასპენსი: დამაბულობა ან ინტერესი, რაც აღვიძრავს სურვილს, კიდევ წაიკითხო.

ტონი: ავტორი დამოკიდებულება ან განწყობა ამბის (მოთხრობის) მიმართ.

განმარტებითი ტექსტის გაგების გზამკვლევი

მიზანი: დავეხმაროთ მოსწავლეებს, უკეთ გაიგონ განმარტებითი ტექსტი კითხვების დასმის საშუალებით (მე-3-მე-12 კლასელები).

პროცესის აღწერა: კითხვის პროცესში და მისი დასრულების შემდგომ მოსწავლეები საკუთარ თავს უსვამენ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

ტექსტის სტრუქტურა

- რა ტიპის სტრუქტურაა გამოყენებული ინფორმაციის წარსადგენად?
- ინფორმაცია თანამიმდევრობითაა მოცემული?
- მხოლოდ ინფორმაციის ჩამონათვალაა მოცემული?
- შედარებულია თუ არა ერთმანეთს საგნები (მოვლენები) ან მოცემულია თუ არა ინფორმაცია, რით განსხვავდება საგნები (მოვლენები) ერთმანეთისაგან?
- მოცემულია თუ არა, რა არის ამა თუ იმ მოვლენის გამომწვევი მიზეზი და ამ მიზეზის გავლენა მომხდარზე?
- გადმოცემულია თუ არა პრობლემა და პრობლემის მოგვარების გზები?
- გადმოცემულია თუ არა ძირითადი ამბავი ან საკითხი და მათი მხარდამჭერი დეტალები?

შინაარსი

- ახსენით ორგანიზაციული სტრუქტურები, რომლებზეც თქვენ დადებითი პასუხი გაეცით ზემოთ.
- რა არის წიგნის ან თავის თემა?
- რას გვეუბნება სათაურები თემის შესახებ?
- რომელი ფაქტებია ჩემთვის ყველაზე საინტერესო?
- მინდა თუ არა ამ თემასთან დაკავშირებით სხვა წიგნების წაკითხვა?
- კიდევ რის სწავლა მინდა ამ საკითხთან დაკავშირებით?

ილუსტრაციები და ნახატები

- რა ინფორმაცია მივიღე ილუსტრაციებიდან, ნახატებიდან, ცხრილებიდან და გრაფიკებიდან?
- დამეხმარა ილუსტრაციები ინფორმაციის გაგებაში? როგორ?
- რომელი ილუსტრაციები ან ნახატებია ყველაზე საინტერესო? რატომ?
- რის გაკეთება შეეძლოთ ავტორსა და ილუსტრატორს ინფორმაციის უკეთ გასაგებად?

სიზუსტე (სანდობა)

- რა ინფორმაცია იცით ავტორის შესახებ?
- რა კვალიფიკაცია აქვს ავტორს იმ საკითხში, რომელზეც წერს?
- რის კითხვა მინდა ავტორისათვის?
- რა კვლევის ჩატარება დასჭირდებოდა ავტორს ამ ინფორმაციის გადმოსაცემად?
- გამოცემის თარიღი. შეიცავს წიგნი ახალ (უახლეს) ინფორმაციას?
- სად შეგიძლიათ ამ საკითხზე უახლესი ინფორმაციის მოძიება?
- მოიყვანეთ მაგალითები, რომლებშიც ჩანს, რა გზით ეუბნება ავტორი მკითხველს, წარმოადგენს ფაქტებს თუ მოსაზრებებს.

სტილი

- ვიგებ თუ ვერა ავტორის სათქმელს?
- რა გააკეთა ავტორმა, რის გამოც ტექსტის გაგება გაადვილდა ან გართულდა?
- გინდა თუ არა ამ ავტორის სხვა წიგნის წაკითხვა? რატომ?
- რით ჰგავს და რით განსხვავდება ეს წიგნი სხვა წიგნებისაგან, რომლებიც წაკითხული მაქვს?

განმარტებითი ტექსტის ორგანიზაციული სტრუქტურის იდენტიფიცირება

წყარო: ტიერნი და რეადენსი (2005).

მიზანი: განმარტებითი ტექსტის ორგანიზაციული სტრუქტურების ამოცნობა და გამოყენება ინფორმაციის უკეთ გაგებისა და გამოყენების მიზნით (მე-6 და უფროსკლასელები).

პროცესის აღწერა: შეარჩიეთ ტექსტი, რომელსაც ცხადი განმარტებითი სტრუქტურა აქვს (გამოიყენეთ 5. 1. ცხრილი). დაუხასიათეთ თითოეული სტრუქტურა მოსწავლეებს. ტექსტის სტრუქტურა წარმოადგინეთ „იფიქრე ხმამაღლა“ და მიმანიშნებელი სასიგნალო სიტყვების გამოყენებით (ყოველი ტიპისათვის). მოსწავლეები სწავლობენ ტექსტის სტრუქტურის ამოცნობას მის სტრუქტურაზე დამყარებული შეკითხვების დასმითა და წერით (მასწავლებელი მოძრაობს მოსწავლეებს შორის). ამის შემდეგ მოსწავლეები ქმნიან ტექსტის სტრუქტურის გრაფიკულ ორგანიზატორს ან ფრაგმენტის მონახაზს.

არსებობს ენობრივი მახასიათებლები, რომლებიც დამახასიათებელია განმარტებითი ტექსტებისათვის. გარდა ამისა, განსხვავებულია, ზოგადად, შინაარსის ორგანიზების ფორმაც. სპეციფიკურია, აგრეთვე, მათი მაიდენტიფიცირებელი ენობრივი სტრუქტურები და სიგნალები. განმარტებითი ტექსტის ენა უფრო ფორმალურია და ინფორმაციაც უფრო მეტი რაოდენობათაა გადმოცემული. ავტორის მიზანი და თემა გავლენას ახდენს ენობრივ არჩევანსა და ტექსტის ორგანიზების პრინციპებზე.

გრაფიკული ორგანიზატორები

შემდგომ გვერდებზე წარმოდგენილი გრაფიკული ორგანიზატორების მიზანია დაეხმაროს მოსწავლეებს: იდეების სისტემატიზებაში სწავლის თითოეულ ფაზაზე - გონებრივი იერიშიდან დაწყებული და საბოლოო დასკვნის წარდგენის ჩათვლით; აგრეთვე, დაეხმაროს სტუდენტებს, იფიქრონ ინფორმაციაზე ახლებურად; განსაზღვრონ საკვანძო სიტყვები და აქცენტი გააკეთონ კავშირებზე; გამოიყენონ მიმოხილვისას და გაგების დემონსტრირებისათვის; ერთ ნახატზე ან გრაფიკაზე დიდი მოცულობის ინფორმაციის საჩვენებლად; რედაქტირების, შესწორების დროის შესამცირებლად და გონებრივ რუკაზე სწრაფად დასატანად; გაგების დონის არაფორმალური შეფასებისათვის გამოსაყენებლად; გაგებულის ასახსნელად; და ყველა ამ საშუალების გამოყენება მათი საკუთარი იდეების სტრუქტურირებისათვის.

არსებობს ექვსი ძირითადი სტრუქტურა, რომლებიც ეხმარება ინფორმაციის ორგანიზებას: 1) მარტივი აღწერა; 2) პრობლემის გადაწყვეტა, 3) შედარება-შეპირისპირება, 4) მიმდევრობა, 5) კლასიფიკაცია და 6) მიზეზ-შედეგი. მათი აღწერა, კითხვები, რომლებსაც შესაძლოა პასუხობდნენ და მაგალითები მოცემულია შემდეგ გვერდებზე.


მარტივი აღწერა

ძირითადი მიზანი: კონკრეტული საკითხის მახასიათებლების, თვისებების ან მაგალითების ჩამოთვლა. მარტივი აღწერა შესაძლოა გავაფართოვოთ და მახასიათებლები, თვისებები და მაგალითები აღვწეროთ (დავახასიათოთ). მისი გამოყენება შეიძლება ხშირად გამოყენებული სიტყვების, კითხვებზე (მაგ. რას აღწერ? მისი თვისებები?) პასუხის გასაცემად. მაგალითები: სხივური დიაგრამა, ამბის პირამიდა, ხუთი გრძნობის ცხრილი და სხვადასხვა სახის ამბების რუკა (ყველა კლასში).

სხივური დიაგრამა

მიზანი: ძირითად იდეასთან მიმართებების ჩვენება.


პროცესის აღწერა: დაწერეთ თემა(საკითხი) ცენტრში, ხოლო გარეთა წრეებში დაამატეთ დესკრიპტორები და მაგალითები.



ამბების პირამიდა

პროცესის აღწერა: მიყევით პირამიდის ხაზებს: დაწერეთ ერთი სიტყვით გმირის სახელი; ორი სიტყვით აღწერეთ გარემო; სამი სიტყვით დაახასიათეთ გმირი; ოთხი სიტყვა დაწერეთ ერთ-ერთი მოვლენის აღსაწერად; ხუთი სიტყვა - სხვა მოვლენისა.

მაგალითი: სარა, მაღალი და უბრალო ქალი (მაკლაჩლანი, 1985).



ხუთი შეგრძნების ცხრილი

პროცესის აღწერა: ჩამოთვალეთ დეტალები მოთხრობიდან, რომლებიც დაკავშირებულია ხუთ გრძნობასთან.

მაგალითი: ჰარი პოტერი და ქვა ფილოსოფიური ქვა (როულინგი, 1998).

სმენა	მხედველობა	შეხება	ყნოსვა	გემოვნება
სნიჩი ჰაერში გაზუზუნდა, როცა ნიმბუს 200-ზე ამხედრებული ჰარი მის დაჭერას ცდილობდა	ბუებმა მილიონობით წერილი მოუტანეს ჰარის და მიაწოდეს სახლის ბზარებიდან. ისინი იწვევდნენ ჰარის ჰოგვარტსში.	ჰერმიონს ტანში დენმა დაუარა, როდესაც თავისი ჯოხი გამოიყენა.	ისინი შევიდნენ ამმორებულ საკანში სამთავიანი მძინარე ძაღლის გვერდის ავლით, რათა ხელში ჩაეგდოთ ფილოსოფიური ქვა.	ისინი შემოუსხდნენ ხორცისა და ხილის გემრიელი კერძებით სავსე სუფრას, როდესაც ჰარის გუნდი ტასით დააჯილდოვეს.

სიტყვების დახარისხებით თხრობა

პროცესის აღწერა: თქვენ ან თქვენი მოსწავლეები წერთ მნიშვნელოვან სიტყვებს თითოეული თავიდან. მოსწავლეები ახარისხებენ სიტყვებს მათი ერთმანეთთან მიმართებების მიხედვით და გადმოგვცემს მნიშვნელოვან ინფორმაციას.

ამბების რუკა

წყარო: ვოლკერი (2004).

პროცესის აღწერა: მთელი კლასი ერთად ან ინდივიდუალურად წერს თითოეულ ელემენტს რუკაზე, რომელიც შეიცავს ვერტიკალურ ყუთებს თითოეული ელემენტისათვის მათი მომდევნო ეპიზოდით.

წიგნის სათაური: რონალდ მორგანი მიდის ბეისბოლის ბიტასთან.

ავტორი: პატრისია რეილი გიფი.

გარემო: ბეისბოლის ვარჯიში.

სად: პარკში.

როდის: გაზაფხულზე.

მთავარი მოქმედი გმირ(ებ): რონალდ მორგანი, მწვრთნელი.

სხვა მოქმედი გმირები: დედა, მამა და რონალდის მეგობრები.


მოთხრობის მნიშვნელოვანი მოვლენები:

ამბავი 1	ამბავი 2	ამბავი 3
ის ცუდად თამაშობდა ბეისბოლს	ის არ ახელდა თვალს, როდესაც ბურთს ურტყამდა	მამა დაეხმარა და მან შეძლო ბურთი დაერტყა

მაგრამ ამ მოთხრობაში ყველაზე მნიშვნელოვანია...

გააკეთე მაქსიმალური ნებისმიერ საქმეში, რასაც აკეთებ.

ქაშაყის ფხების რუკა



პროცესის აღწერა: დაწერეთ პასუხები კითხვებზე ვინ, სად, როდის, რა, როგორ და რატომ კითხვებზე თვეზის თითოეულ ფხაზე. ხერხემალზე დაწერეთ მთავარი იდეა.
ვინ, სად, როდის, რა, როგორ, რატომ.
მთავარი აზრის შემცველი წინადადება.

გასაბერი ბურთი

პროცესის აღწერა: გადაუგდეთ მოსწავლეს გასაბერი ბურთი, რომელზეც დაწერილია მოთხრობის ელემენტების შესახებ კითხვები. მოსწავლე პასუხობს შეკითხვას, რომელიც დაწერილია ბურთის იმ ნაწილზე, რომელსაც მისი ხელი ეხება.

ორიგამის მარჩიელი ტექსტის გაგებისათვის

წყარო: www.reallygoodstuff.com

პროცესის აღწერა: კვადრატული ფურცლის გამოყენებით მოსწავლეები ამზადებენ ორიგამის მარჩიელს. დანომრეთ თითოეული კვადრატი ერთ მხარეს 3, 4, 5 და 6 ნომრებით, ხოლო სამკუთხედები მეორე მხარეს – 1-8-ით. დაწერეთ ორიგამის ნაწილებზე: 1.სათაური, 2. ავტორი და ილუსტრატორი,3.გარემო,4.მთავარი გმირის დახასიათება,5.სხვა გმირების დახასიათება. 6.ძირითადი პრობლემა. 7.მოვლენები.8. გადაწყვეტა. მოსწავლეები რიგრიგობით სვამენ კითხვებს და პასუხობენ მოთხრობის ელემენტებთან დაკავშირებულ სიტყვებს.

ადაპტაცია: შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვა საკითხისათვისაც, მაგალითად, სიტყვებისა და მათი განმარტებებისათვის.

მანიპულაციური თხრობა

პროცესის აღწერა: გამოიყენეთ ან თქვენ თვითონ დაამზადეთ მარიონეტი თოჯინები, ნახატები ან ფიგურები. დაალაგეთ მიმდევრობით და მოყვით ან ახსენით მოვლენების მიმდევრობა.

პრობლემის გადაჭრა

ზოგადი მიზანი: ინფორმაციის პრობლემის სახით წარდგენა და ამ პრობლემის გადაჭრის ერთი ან მეტი გზის დასახელება. ამ ტიპის გრაფიკული ორგანიზატორის გამოყენება შესაძლებელია იმის დასაანახად, როგორ იქცევიან და რეაგირებენ ძირითადი გმირები.

პრობლემა-გადაჭრა - ამბების რუკა

პროცესის აღწერა: ამ ტიპის რუკის გამოყენება შეიძლება პრობლემის იდენტიფიცირებისათვის, მთავარი მოქმედი გმირის ქცევისა და რეაგირებების შესასწავლად და პრობლემის გადასაწყვეტად.

მაგალითი: სამი პატარა პეკარი.

ავტორი: სუზან ლოველი.

გარემო	სონორას უდაბნო არიზონაში
გმირები	პირველი პატარა პეკარი, მეორე პატარა პეკარი, მესამე პატარა პეკარი, კოიოტი(მინდვრის მგელი)
პრობლემა	კოიოტს უნდა პეკარების შეჭმა
ამბავი 1	პირველმა პატარა პეკარმა სახლი ააშენა ძირს დაყრილი შამბით
ამბავი 2	კოიოტი ანგრევს სახლს სულის შებერვით და პეკარი მირბის ძმის სახლში

ამბავი 3	მეორე პატარა პეკარმა სახლი ააშენა გიგანტური კაქტუსის ღერებით
ამბავი 4	კოიოტი ანგრევს სახლს სულის შებერვით და პირველი და მეორე პატარა პეკარები მირბიან დის სახლში
ამბავი 5	მესამე პატარა პეკარმა სახლი ააშენა ალიზით (გამოუმწვარი აგურით)
პრობლემის გადაწყვეტა	კოიოტმა ბევრი უბერა სული, მაგრამ ალიზის სახლი ვერ დაანგრია. ის ჩამვრა ბუხრის მილში, მესამე პატარა პეკარმა ბუხარში ცეცხლი დაანთო, კოიოტი აყმუვლდა და გაიქცა. თუ თქვენ როდესმე გაიგებთ კოიოტის ხმას შორეულ უდაბნოში ღამით... თქვენ იცით, რას გახსენებთ!

კითხვა-პასუხით პრობლემის გადაჭრის რუკა

პროცესის აღწერა: დახაზეთ მარტივი ორსვეტიანი ცხრილი. მარცხენა სვეტში წარმოდგენილია კითხვები, ხოლო მარჯვენაში - პასუხები. უნდა დასვათ შემდეგი კითხვები: რა არის პრობლემა ამ მოთხრობაში? რა მცდელობები იყო ამ პრობლემების გადასაჭრელად მოთხრობაში? როგორ გადაჭრა პრობლემა მთავარმა გმირმა? რის შედეგად გადაიჭრა პრობლემა?

მოთხრობათა ქსელი

პროცესის აღწერა: დახაზეთ დიდი წრე შუაში და ჩაწერეთ სათაური და ავტორი. შემდეგ ცენტრალური რგოლის გარშემო დახაზეთ რგოლები და ჩაწერეთ: მთავარი გმირები, გარემო, პრობლემა და პრობლემის გადაჭრა. მოსწავლეები ათავსებენ შესაბამის წრეებში ინფორმაციას და შეუძლიათ გაავლონ ხაზები ცენტრისაკენ, რათა აჩვენონ ინფორმაციების ურთიერთმიმართება.

მაგალითი: არტურის ცხოველების ბიზნესი; ბრაუნი (1990).



მოთხრობის წრიული რუკა

პროცესის აღწერა: დაყავით წრე ექვს ნაწილად და ჩაწერეთ: 1) გმირები, გარემო, ადგილი; 2) პირველი ამბავი და პრობლემა; 3, 4, 5) მცდელობა და შედეგი; 6) პრობლემის გადაჭრა.

შედარება-შეპირისპირება

მთავარი მიზანი: იმის გამოვლენა, რომ მოთხრობაში ორი ან მეტი ელემენტი არის შესწავლილი და მოთხრობის სხვა მოთხრობასთან შედარება განსხვავებებისა და მსგავსებების გამოსავლენად. ამ ტიპის გრაფიკული ორგანიზატორის გამოყენების ერთ-ერთი სახეა ორი გმირის შედარება. კითხვები, რომლებზეც მოსწავლეებმა პასუხი უნდა გასცენ, შემდეგია: რა არის მათი საერთო და განმასხვავებელი თვისებები? მათი რომელი თვისებები შეესაბამება ერთმანეთს? რა თვალსაზრისით/როგორ?

ვენის დიაგრამა

მიზანი: ორი ან სამი ერთეულის შედარება.

პროცესის აღწერა: დახაზეთ წრე თითოეული ერთეულისათვის. ერთეულისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თვისებები ჩახაზეთ წრის დიდ ნაწილში, საზიარო - გადაკვეთის ადგილებში, ხოლო თუ კონცეპტი საერთოა სამივე ერთეულისათვის, ჩაწერეთ ცენტრში.

H- დიაგრამა

მიზანი: ორი საკითხის, გმირის ან ტექსტის შედარება.

პროცესის აღწერა: დაწერეთ დიდი, ორგანოზომილებიანი ასო H. მარცხნივ დაწერეთ 1-ლი საკითხის მახასიათებლები ჩაწერეთ მარცხნივ, მე-2 საკითხისა - მარჯვნივ, ხოლო შუაში მოათავსეთ მსგავსებები.

შედარება-შეპირისპირებითი დიაგრამა

პროცესის აღწერა: შეადარეთ ორი გმირი ან საკითხი. ამისათვის გამოიყენეთ ინფორმაციის კატეგორიზება და გაეცით პასუხი შეკითხვებს: რა მსგავსება აქვთ? რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან? მოსწავლეები ქმნიან სხვადასხვა სახის სქემას. ორი მაგალითი ქვემოთაა მოყვანილი.


მაგალითი ა: „ანა ფრანკის დღიურისა“ (გუდრიჩი და ჰაკეტი, 1996) და „პიტლერის ქალიშვილის“ (ფრენჩი, 2003).

გმირების შედარება

რა მსგავსებაა მათ შორის? ორივე დაბადებულია გერმანიაში. ორივე იმალება.

ანა	რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან? დამოკიდებულებები	ჰეიდი
დედა, მამა, და	ოჯახი ↔	მამა, რომელიც არ აღიარებს მას და მის მიძას
ებრაელი	რელიგია ↔	ივარაუდება, რომ სძულს ებრაელები
დევნილი (შევიწროებული)	ძალაუფლება ↔	მჩაგვრელი
მიმალვაში მყოფს გადააქვს გაჭირვება, მაგალითად, ჩუმადაა მთელი დღე ვიწრო სივრცეში	ცხოვრების სტილი ↔	ცხოვრობს ფუფუნებაში თავის მიძასთან ერთად

მაგალითი ბ: ამფიბია: თვითმხილველის წიგნები - საკითხების შედარება (კლარკი, 2000).



შეჯამება: ბაყაყები და გომბეშოები შორიდან ერთმანეთს კი ჰგვანან, მაგრამ ისინი განსხვავდებიან აქტივობებით, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, კანის ტიპით, ფეხების სიგრძითა და ტერფის აპკით.

თანმიმდევრობა

ძირითადი მიზანი: ტექსტში გადმოცემული ამბების თანამიმდევრობით დალაგება და ამ რიგის მნიშვნელობის განხილვა. ამ გრაფიკული ორგანიზატორის გამოყენება შეიძლება წაკითხული ტექსტის შემთხვევაში ან მოსწავლის მიერ დაწერილი ტექსტის გეგმის შესადგენად. მოსწავლეებმა პასუხი უნდა გასცენ შემდეგ კითხვებს: რა მოხდა? რა მიმდევრობით მოხდა ამბები? როგორი იქნება ქვეტაპები?

მიმდევრობის გრაფიკი

პროცესის აღწერა: მოთხრობაში აღწერილი ამბები ან პროცესები ჩამოწერეთ თანმიმდევრულად.


დროის სკალა

პროცესის აღწერა: დაალაგეთ ამბები ქრონოლოგიური მიმდევრობით. გაუკეთეთ აღნიშვნა თარიღის ან მოვლენის მიხედვით.

ციკლური დიაგრამა

პროცესის აღწერა: დახატეთ ისრების ცირკულარული მოძრაობა, რომელიც აჩვენებს უწყვეტ ციკლს, როგორცაა, მაგალითად, მცენარეების შემთხვევა, რომლებიც ფოტოსინთეზის პროცესში წარმოქმნიან საკვებს. დაუმატეთ სიტყვები ან ნახატები ისრებს შორის.

მაგალითი: „მდინარე: პირველი წიგნი აღმოჩენების შესახებ (ჯეუნესი, 1992).“



მოთხოვნის დაფა

პროცესის აღწერა: დაყავით ფურცელი 2X3 სექციად (ბადედ) . მოიფიქრეთ 6 ძირითადი ამბავი ტექსტიდან და თითოეულ სექციაში ჩაწერეთ ან ჩახატეთ. გაითვალისწინეთ დეტალებიც.

კლასიფიცირება


ძირითადი მიზანი: ტექსტში ინფორმაციის მოძიება და მათი ორგანიზება კლასებად ან ჯგუფებად. ძირითადი კავშირები ერთეულებს შორის შეიძლება გამოავლინოთ შემდეგი ინსტრუმენტების გამოყენებით: კითხვები: რა სახის (ტიპის) საგანია? რა ქვეკატეგორიები არსებობს? რა შეიძლება ამ ქვეკატეგორიაში გაერთიანდეს? (ყველა კლასში).

იერარქიული დიაგრამა

მიზანი: საკითხს, სუბორდინაციულ და კოორდინაციულ იდეებს შორის იერარქიული ურთიერთობის ჩვენება, კონცეპტების ორგანიზება მათი ურთიერთმიმართებების მიხედვით.

პროცესის აღწერა: დახაზეთ უჯრები და ხაზები, რომლებიც აჩვენებს, თუ როგორ არის კონცეპტები ერთმანეთთან დაკავშირებული.

მაგალითი:



იდეების დალაგება

მიზანი: იდეების ორგანიზება მთავარ იდეად, ქვეკატეგორიებად და დეტალებად.

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების 3 შტო								
საკანონმდებლო ხელისუფლება			აღმასრულებელი ხელისუფლება			სასამართლო ხელისუფლება		
ქმნის კანონებს	სენატი	წარმომადგენელთა პალატა	პრეზიდენტი / ვიცე-პრეზიდენტი	კაბინეტის წევრები	15 სახელმწიფო მდივანი	უზენაესი სასამართლო აკვირდება აშშ-ს სასამართლო სისტემას	უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე	უზენაესი სასამართლოს 8 წევრი

კლასტერების ქსელი

მიზანი: მოთხრობის/ტექსტის ძირითადი კონცეპტის იდენტიფიცირება და ამ კონცეპტის შესახებ დეტალების დამატება მასთან დაკავშირებულ წრეებში.

პროცესის აღწერა: ჩაწერეთ მხარდამჭერი დეტალები დამატებით წრეებში. საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ წრეები.

მიზეზი და შედეგი

ძირითადი მიზანი: მიზეზის ან მიზეზებისა და ამ მიზეზის (მიზეზებით) გამოწვეული შედეგის (შედეგების) იდენტიფიცირება. მოთხრობაში ან ტექსტში გადმოცემული მოვლენები დანახულია მათი კავშირების მიხედვით. ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა მიზეზებია და რა გავლენას ახდენს მოვლენებზე? რა შეიძლება მოხდეს შემდეგ? ამბის რუკის გამოყენება შეიძლება იმის საჩვენებლადაც, თუ რა გავლენას ახდენს მოქმედ გმირთა ქმედებები მოვლენებზე.

მიზეზებისა და შედეგების რუკა

პროცესის აღწერა: დაწერეთ მიზეზ(ებ)ი მარცხნივ და შედეგ(ებ)ი - მარჯვნივ.

მაგალითი: **სათაური:** ხალხზე ზემოქმედება, უფრო აქტიურად გამოხატოს აზრი იდა ბელ უელს-ბარნეტი (ჰარნესი, 2003).

მიზეზი	→	შედეგი
ადამიანებს ყიდიდნენ მონებად	→	1865 წელს კონსტიტუციაში შეტანილი შესწორების შემდეგ უკანონოდ გამოცხადდა
ციებ-ცხელების ეპიდემია	→	მშობლები და ძმა დაეხოცნენ
იდას სთხოვეს მატარებლიდან ჩასვლა იმ მიზეზით, რომ შავკანიანი იყო	→	მან შეიტანა სარჩელი რკინიგზის წინააღმდეგ და მოიგო 500\$
გადაწყვეტილება შეიცვალა უზენაეს სასამართლოში	→	მან დაწერა სასამართლოების შესახებ, რომლებზეც შავკანიანებს უსამართლოდ უსჯიდნენ სასჯელს და სასტიკად სჯიდნენ
სკოლა, რომელშიც ასწავლიდა, იდამ დაახასიათა, როგორც გაპარტახებული და ცუდად აღჭურვილი	→	შავკანიანი ბავშვებისათვის განკუთვნილ სკოლაში
სამი შავკანიანი ბიზნესმენი დააპატიმრეს და ჩამოახრჩეს არასწორი ბრალდების გამო	→	მან დაიწყო მტკიცებულებების შეგროვება, რომ 1000-ზე მეტი შავკანიანი ქალი, ბავშვი და მამაკაცი ჩამოახრჩეს
ის შემფოთებული იყო თავისი უსაფრთხოების გამო	→	მან ჩამოაყალიბა ლინჩის წესით დასჯის საწინააღმდეგო საზოგადოებები აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში

ჯგუფურად გაგების სტრატეგიები

ლიტერატურული წრეები

წყარო: შორტი, ჰარსტე და ბურკე (1996).

მიზანი: ჯგუფების ჩართვა მოსწავლის მიერ წარმართულ დისკუსიაში წაკითხულის (ტექსტი შერჩეულია მოსწავლის მიერ) შესახებ (მე-2 და უფრო მაღალ კლასელებთან).

პროცესის აღწერა: ჯგუფის თითოეულ წევრს აძლევენ ფურცელს, რომელზეც წერია მისი როლი: დიკუსიის ხელმძღვანელი, „ფრაგმენტის უფროსი“, დამაკავშირებელი და ილუსტრატორი (არჩევითად შეიძლება ისეთი როლები, როგორებიცაა მკვლევარი, რეზიუმეს ავტორი, მოქმედ გამირთა კაპიტანი, ლექსიკის ოსტატი და მოგზაური (აკვირდება ტექსტში აღწერილ ადგილებს, მარშუტებს). თითოეული როლისათვის ფურცელზე ჩამოწერილია მიმართულების მიმცემი კითხვები და პასუხები. დიკუსიის უფროსი წარმართავს დიკუსიას და ქმნის კითხვების ჩამონათვალს. ამ კითხვებს უსვამს დიკუსიის მონაწილეებს. „ფრაგმენტის უფროსი“ არჩევს საკვანძო ეპიზოდებს ტექსტიდან, რომლებიც საინტერესო უნდა იყოს ჯგუფისათვის. დამაკავშირებელი ფიქრებს იმ გზებზე, რომლებითაც მოთხრობა (ამბები) უკავშირდება თავად მათ, ჯგუფის წევრებს, მათ საზოგადოებასა და გამოცდილებას. ილუსტრატორი ქმნის ნახატებს, დიაგრამებს, ქსელებსა და კარიკატურებს და შემდეგ უხსნის ჯგუფს. რეზიუმეს ავტორი ამზადებს წაკითხულის რეზიუმეს. ლიტერატურული წრის დასრულებისას თითოეული ჯგუფი განსაზღვრავს, რა გაუზიაროს დანარჩენ ჯგუფებს. როლებს მოსწავლეები მონაცვლეობით ასრულებენ, ამდენად, მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ, თითოეული როლი შეასრულონ.

წიგნის კლუბი

წყარო: რაფაელი, პარდო და ჰაიფილდი (2002).

მიზანი: მოსწავლეების ჩართვა წიგნებისა და ჩარჩოს შესახებ მსჯელობაში კითხვისა და წერის უნარების განვითარების მიზნით (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: ჩარჩო 4 ნაწილისაგან შედგება: ჯგუფისათვის გაზიარება, წიგნის კლუბის დიკუსიები, კითხვა და წერა. ჯგუფისათვის გაზიარების ეტაპზე მოსწავლეებს აცნობთ და წარუდგენთ (მოდელირებას უკეთებთ) სტრატეგიებს, მათ შორის კომუნიკაციურ სტრატეგიებს) და აგრეთვე შეთანხმებებსა და ლექსიკას. მოსწავლეები ისმენენ და იყენებენ წიგნიერებისა და განხილვის ენას და განხილვის შედეგებს უზიარებენ კლუბის წევრებს. განხილვის პროცესი არის ავთენტური საუბარი ჯგუფის წევრებს შორის (არ არის აუცილებელი, ჯგუფის შექმნა მოსწავლეთა უნარების მიხედვით). მოსწავლეები სწავლობენ სხვათა აზრების პატივისცემას და არ ეჯიბრებიან ერთმანეთს.

ბლუმის ტაქსონომიის სტრატეგიები

ბლუმის განახლებული ტაქსონომია - კითხვები და სტრატეგიები

მიზანი: ნარატიული და განმარტებითი ტექსტების გაგება ბლუმის სტრატეგიის სხვადასხვა დონის გამოყენებით (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: გამოიყენეთ კოგნიტურ პროცესებთან დაკავშირებული ზმნები, რათა დაგეგმოთ სწავლების მიზნები კითხვის დაწყებამდე, უშუალოდ კითხვის პროცესსა და კითხვის შემდეგ: შექმნა, შეფასება, ანალიზი, გამოყენება, გაგება და დამახსოვრება. არსებობს რამდენიმე სტრატეგია, რომლებშიც გამოიყენებულია აზროვნების ექვსი დონე. ბლუმის განახლებულ ტაქსონომიაზე დამყარებული კითხვების დასმის სტრატეგია (იხ. ცხრილი 5. 3) შეიცავს გზამკვლევს კითხვების დასმის სტრატეგიების, დაწყებული ყველაზე დაბალი დონის კითხვების დასმიდან (დამახსოვრება) ყველაზე მაღალი დონის კითხვებამდე (სინთეზი). ბლუმის განახლებულ ტაქსონომიაზე დაყრდნობით ნარატივის გაგება (იხ. ცხრილი 5.4) შეიცავს წიგნიერების შესახებ კითხვებს და აქტივობებს, რომელთა გამოყენება შეიძლება იმის შესაფასებლად, როგორ გაიგეს მოსწავლეებმა ნარატიული ტექსტი ბლუმის განახლებულ ტაქსონომიის თითოეულ დონეზე. ბლუმის განახლებული ტაქსონომია: აქტივობები ტექსტის გასაგებად, შეიცავს კითხვებს ბლუმის ტაქსონომიის თითოეული დონიდან ტექსტის (მოთხრობის) ელემენტების შესახებ: გმირები და გარემო, ასევე შეკითხვებს ლექსიკის შესახებ. ბლუმის განახლებულ ტაქსონომიაში კითხვებისა და აქტივობების შენაცვლება (იხ. დანართი, გვ. 217), ტაქსონომიის თითოეული საფეხურისათვის მოსწავლეები წერენ ერთ კითხვას ან აქტივობას, რათა წარმოაჩინონ, რომ ტექსტი გაიგეს. პარტნიორები პასუხობენ ერთმანეთის კითხვებს, შემდეგ კი ამოწმებენ ერთმანეთის პასუხებს.

შემოქმედებითად გაგების სტრატეგიები

არსებობს რამდენიმე სტრატეგია, რომელთა გამოყენება შეიძლება ტექსტის მიღმაც ვერბალური, წერილობითი და ვიზუალური კომუნიკაციის გზით.

აქ წარმოდგენილია მხოლოდ ზოგიერთი მათგანი:

- გააცანით ვერბალურად ან წერილობით სხვებს თქვენი საყვარელი, თქვენთვის ყველაზე საინტერესო ან დამაფიქრებელი ნაწილი.
- გააცანით ვერბალურად ან წერილობით სხვებს სცენა, როდესაც პირველად შეხვდით მოქმედ გმირს
- ზეპირად ან წერილობით დაუკავშირეთ თქვენს პირად გამოცდილებას.
- გამოიყენეთ პასუხების ჟურნალი და ჩაწერეთ თქვენი გრძნობები, რა იცით, რა ვერ გაიგეთ, დახატეთ, რა ხდება თავში და შემდეგ სიტყვიერად ახსენით.
- გააცანით სხვებს წიგნები ვერბალური, წერილობითი ან ვიზუალური ანგარიშებით; მოთხრობებით ან საგაზეთო სტატიებით.
- დაწერეთ წიგნის მიმოხილვა, საგაზეთო სტატია, სამოგზაურო ბროშურა, წერილი ავტორთან, წერილი მოქმედ გმირებთან ან ხმამაღლა წასაკითხი რეკლამა.
- შექმენით და დაასურათეთ წიგნის ყდა და ავტორის ბიოგრაფია წიგნისათვის.
- გაიხსენეთ რომელიმე ადგილი წიგნიდან, დაწერეთ ხუთი სიტყვა, რომლებიც აღწერს ამ ადგილს და დახატეთ ნახატი.
- დახატეთ კიდევ ორი ნახატი და დაწერეთ ტიტრები, რომლებიც აღწერს თითოეულ მათგანს.
- შექმენით კომიქსი მოთხრობის ერთი თავის შესახებ.
- დაწერეთ მოთხრობა, რომელიც დამყარებული იქნება სხვა მოთხრობაზე, მაგრამ ექნება განსხვავებული დასასრული, გაგრძელება ან ეყოლება სხვა გმირები, აღწერილი იქნება სხვა გარემო ან პრობლემა.
- დაამზადეთ მარიონეტები და განასახიერეთ მოთხრობა.
- დაწერეთ ლექსი ან სიმღერა წაკითხულზე დაყრდნობით.
- დაწერეთ აკროსტიქული ლექსი. აკროსტიქის ასოებად გამოიყენეთ გმირის სახელის ან თემის დასახელების ასოები.
- იპოვეთ ამავე საკითხზე დაწერილი ან ამ ავტორის სხვა წიგნები.
- წაკითხულის ინტეგრირება გააკეთეთ სოციალური, საბუნებისმეტყველო და მათემატიკური მეცნიერებების კონცეპტებთან.
- გამოიყენეთ ტექსტთან დაკავშირებული სახელოვნებო, სამშენებლო, საჭმლის მომზადებისა და მუსიკალური აქტივობები.

ცხრილი 5.3 კითხვების დასმის სტრატეგიები ბლუმის განახლებულ ტაქსონომიაზე დაყრდნობით		
ბლუმის ტაქსონომიის დონე	საკვანძო სიტყვები	კითხვები
სინთეზი: აერთიანებს ელემენტებს ან ნაწილებს მნიშვნელობის მქონე ერთეულად. ინფორმაციას თავს უყრის (აერთიანებს, კომპილაციას უკეთებს) სხვადასხვა გზით.	ააგე; შექმენი; გააერთიანე; შეადგინე; შეაერთე; ივარაუდე; ჩამოაყალიბე; წარმოდგინე; განავითარე; დაგეგმე; შესთავაზე; შეცვალე; აირჩიე; დაუშვი; გადაწყვიტე; მოიფიქრე; შექმენი; წამოაყენე ჰიპოთეზა; დაალაგე; დააზუსტე; გადაამუშავე; წარადგინე .	რა ცვლილებას შეიტანდი, რომ გადაგეწყვიტა.....? რა მოხდებოდა, თუ..... წარმოდგინე, რომ შეგიძლია ____, რას გააკეთებდი...? შეგიძლიათ დააზუსტო მიზეზი....?
შეფასება: წარმოდგენს და იცავს მოსაზრებას ინფორმაციის განსჯის/განხილვის გზით.	განსაზღვრე; აირჩიე; დაიცავი; განიხილე; დაამტკიცე; გაამართლე; შეადარე; შეფასე; განსაზღვრე ღირებულება; მხარი დაუჭირე; გადაწყვიტე; განმარტე; განსაზღვრე პრიორიტეტები უარყავი; გააკრიტიკე; ივარაუდე; შეაფასე.	როგორ დაამტკიცებ, რომ....? როგორ განსაზღვრავ...? რა ინფორმაციას გამოიყენებ მოსაზრების მხარდასაჭერად? რატომ არის ეს უკეთესი, ვიდრე...? რატომ ფიქრობ, რომ ასე უნდა გეკეთებინა?

<p>ანალიზი: შეისწავლის ინფორმაციას და აცალკევებს ელემენტებს ან ნაწილებს მნიშვნელობის მქონე კატეგორიების გამოყენებით.</p>	<p>გაანალიზე; შეადარე; შეაპირისპირე; დაყავი კატეგორიებად; გააკეთე კლასიფიკაცია; შეისწავლე; გამარტივე; მიმოიხილე; განასხვავე; დაანაწევრე; გაანალიზე დასკვნის მისაღებად; დააკვირდი; გაუკეთე კლასიფიცირება; გამოიტანე დასკვნა; განსაზღვრე მოტივი; გამოიკვლიე; გამოყავი; დააკავშირე; გამოსახე სქემატურად.</p>	<p>რა არის იმის მოტივი, რომ...? რა დასკვნები გამოიტანე? რა საფუძველი გაქვს? შეგიძლია თუ არა, განასხვავო _____ და _____?</p>
<p>გამოყენება: იყენებს აბსტრაქტულ კონცეპტებს/იდებებს ახალ სიტუაციებში პრობლემების გადასაჭრელად. ამისთვის ის იყენებს მიღებულ ცოდნას.</p>	<p>გამოიყენე; გამოავლინე; დაალაგე; გადაჭერი პრობლემა; დაგეგმე; მოახდინე იდენტიფიცირება; მოდელირება გაუკეთე; შეარჩიე, ააგე; აირჩიე; გამოსცადე; გადაიტანე; გამოთვალე; აწარმოე; წარადგინე; დახაზე; დახატე; აჩვენე; შეცვალე; მოამზადე; ინსცენირება გაუკეთე.</p>	<p>როგორ გამოიყენებ...? როგორ გადაჭრი _____ შესწავლილის საშუალებით? რა მიდგომას გამოიყენებდი ... დაკავშირებით? რომელ ფაქტებს შეარჩევდი იმის საჩვენებლად, რომ...? რას გააკეთებდი, თუ...?</p>
<p>გაგება: წარმოაჩენს, რომ ესმის ფაქტები და იდეები ძირითად იდეასთან დაკავშირებით. იყენებს მაგალითებს ან მიმართავს პერიფრაზირებას.</p>	<p>შეადარე; აჩვენე; გააფართოვე; ივარაუდე; ახსენი; შეაჯამე; დააკავშირე; კლასიფიცირება გაუკეთე; ილუსტრირება გაუკეთე; განმარტე; მოყვი; განიხილე; პერიფრაზირება გაუკეთე; შეაჯამე; მიმოიხილე; მოახსენე.</p>	<p>რა თვალსაზრისით შედარებ...? შეაპირისპირებ? რომელი ფაქტები ან იდეები წარმოაჩენს, რომ...? როგორ შეაჯამებდი ...? რომელი წინადადებები წარმოაჩენს, რომ...? ახსენით თქვენი სიტყვებით...</p>
<p>ცოდნა: წარმოაჩენს, რომ ახსოვს ადრე ნასწავლი მასალა. მას ახსოვს ან იხსენებს საჭიროების შემთხვევაში ფაქტებს, ტერმინებს, ძირითად კონცეპტებს და პასუხებს.</p>	<p>ვინ; რა; სად; როდის; სახელი; სათაური; აირჩიე; იპოვე; დააკავშირე; გაიხსენე; გადმოეცი; დაწერე; ჩამოთვალე; წაიკითხე; დაითვალე; აჩვენე; განსაზღვრე; შეარჩიე; აღწერე; გამოავლინე; მიმდევრობით დაასახელე; ციტირება გაუკეთე.</p>	<p>ვინ არიან მოქმედი გმირები? რა მოხდა მოთხრობის ბოლოს? როდის და სად ხდება მოთხრობაში აღწერილი მოქმედება? რა განმარტებაა მოცემული ____-თვის?</p>

<p>ცხრილი 5.4 ნარატიული ტექსტის გაგება ბლუმის განახლებულ ტაქსონომიაზე დაყრდნობით</p>	
<p>სინთეზი: ამ დონეზე მოსწავლეს საშუალება ეძლევა, მოთხრობის სახვადასხვა ნაწილი დააყოს ახალი ფორმით ახალი იდეის ან პროდუქტის მისაღებად. ამ დონეზე მიღწეული წარმატება თვალნათელია, როდესაც მოსწავლეს აქვს უნარი:</p>	<ul style="list-style-type: none"> • შექმნას ახალი მოთხრობა სათაურის მიხედვით, სანამ წაიკითხავს მოთხრობას (წინასწარი სავარჯიშო). • დაწეროს სამი ახალი სათაური მოთხრობისათვის, რომელიც ცხადად ასახავს, რის შესახებაა მოთხრობა. • შექმნას მოთხრობას სარეკლამო პოსტერი, რომელიც ადამიანებს ნაწარმოების წაკითხვის სურვილს აღუძრავს. • შექმნას მოთხრობასთან დაკავშირებული ახალი პროდუქტი. • გადააკეთოს მთავარ მოქმედ გმირთა როლები იმგვარად, რომ მოთხრობაში შედეგები შეიცვალოს. • შექმნას და განასახიეროს დიალოგი ან მონოლოგი, რომელიც გამოხატავს მთავარი გმირ(ებ)ის აზრებს მოთხრობის რომელიმე ეპიზოდში.

	<ul style="list-style-type: none"> • წარმოიდგინოს, რომ თავად არის ერთ-ერთი მთავარი გმირი და ყოველდღიურად წეროს დღიური, რომელშიც აღწერს ფიქრებსა და საქმიანობებს.. • გამოიგონოს პერსონაჟი და შემდეგ მოყვეს, როგორ „ჩაჯდება“ ის მოთხრობაში. • დაწეროს ლექსი და მუსიკა სიმღერისათვის, რომელსაც ერთ-ერთი მთავარი გმირი შეასრულებდა, როკ-ვარსკვლავი რომ ყოფილიყო და შედეგ თავადვე შეასრულოს.
<p>შეფასება: ამ დონეზე მოსწავლეს საშუალება ეძლევა, ჩამოაყალიბოს და წარადგინოს თავისი მოსაზრება, რომელსაც ზურგს უმაგრებს დეტალური, ლოგიკური შეფასება. ამ დონეზე მიღწეული წარმატება თვალნათელია, როდესაც მოსწავლეს აქვს უნარი:</p>	<ul style="list-style-type: none"> • გადაწყვიტოს, ყველაზე ძალიან რომელ გმირთან ენდომებოდა დღის გატარება და რატომ. • განსჯის, გმირი უნდა მოქცეულიყო თუ არა კონკრეტულ სიტუაციაში ისე, როგორც მოთხრობაშია აღწერილი და რატომ. • აფასებს, შესაძლებელია თუ არა, რომ ეს ამბავი მართლაც მომხდარიყო და ასახელებს მიზეზებს. • განიხილავს, როგორ შეიძლება ეს მოთხრობა დაეხმაროს მოსწავლეებს ცხოვრებაში. • აფასებს მოთხრობის ღირებულებას. • ადარებს მოთხრობას ადრე წაკითხულ რომელიმე ნაწარმოებთან. • წერს რეკომენდაციას, რატომ უნდა წაიკითხონ არ წაიკითხონ მოთხრობა სხვებმა.
<p>ანალიზი: ამ დონეზე მოსწავლეს საშუალება ეძლევა, ნაწილებად დაშალოს და განიხილოს მოთხრობა, რათა უკეთესად გაიგოს მთლიანობაში. ამ დონეზე მიღწეული წარმატება თვალნათელია, როდესაც მოსწავლეს აქვს უნარი:</p>	<ul style="list-style-type: none"> • განსაზღვროს მთავარი გმირების ძირითადი მახასიათებლები (მოცემული და/ან ნაგულისხმევი). • განარჩიოს, მოთხრობაში აღწერილი ამბებიდან რა შეიძლება მომხდარიყო და რა არ შეიძლება მომხდარიყო რეალურ ცხოვრებაში. • შეარჩიოს მოთხრობის ყველაზე სახალისო, სევდიანი, ბედნიერი და დაუჯერებელი ადგილები. • განარჩიოს ფაქტი მოსაზრებისაგან. • შეადაროს და/ან შეაპირისპიროს ორი მთავარი გმირი. • შეარჩიოს მთავარი მოქმედი გმირის საქციელი, რომელიც ზუსტად იგივეა, რაც მას თავადაც გაუკეთებია.
<p>გამოყენება: ამ დონეზე მოსწავლეს საშუალება ეძლევა, მოთხრობაში მოცემული ინფორმაცია ახლებურად გამოიყენოს. ამ დონეზე მიღწეული წარმატება თვალნათელია, როდესაც მოსწავლეს აქვს უნარი:</p>	<ul style="list-style-type: none"> • გმირები დაახარისხოს ადამიანებად, ცხოველებად ან ნივთებად და განათავსოს ისინი სქემაზე/დიაგრამაზე. • მთავარი გმირი გადაიყვანოს ახალ გარემოში და დაწეროს/მოყვეს, რით იქნებოდა განსხვავებული მოთხრობა ორიგინალური ვერსიისაგან. • შექმნას ხელით სამართავი მარიონეტები და მოთხრობის რომელიმე ნაწილი განასახიეროს მათი საშუალებით. • აარჩიოს საჭმელი, რომელიც ერთ-ერთ მთავარ გმირს მოეწონებოდა. შეადგინოს მენიუ და გადაწყვიტოს, რა ფორმით მიართმევდა გმირს. • იფიქროს ვითარებაზე, რომელიც გმირთან დაკავშირებითაა აღწერილი მოთხრობაში და დაწეროს, როგორ მოიქცეოდა ამ სიტუაციაში თვითონ გმირისაგან განსხვავებულად. • მოიყვანოს ნაცნობი ადამიანების მაგალითები, რომლებსაც იგივე პრობლემები აქვთ, რაც პერსონაჟებს ნაწარმოებში.
<p>გაგება: ამ დონეზე მოსწავლეს საშუალება ეძლევა, გამოავლინოს, რომ ტექსტი</p>	<ul style="list-style-type: none"> • გაიგოს მოთხრობის სცენების ამსახველი ნახატები და ახსნას ისინი საკუთარი სიტყვებით.

<p>გაიგო. ამ დონეზე მიღწეული წარმატება თვალნათელია, როდესაც მოსწავლეს აქვს უნარი:</p>	<ul style="list-style-type: none"> • ახსნას იდეები და მოთხრობის ნაწილები საკუთარი სიტყვებით. • დახატოს ნახატი, რომელიც ასახავს, რა მოხდა ეპიზოდის ან წიგნში მოცემული რომელიმე ილუსტრაციის წინ ან შემდეგ. • დაწეროს წინადადება, რომელიც ახსნის, რა მოხდა ეპიზოდის ან წიგნში მოცემული რომელიმე ილუსტრაციის წინ ან შემდეგ. • ივარაუდოს, რა მოხდება შემდეგ ეპიზოდში, სანამ წაიკითხავს. • შეადგინოს გრაფიკული დროის გრაფიკი, რომელიც შეაჯამებს, რა ხდება ნაწარმოებში. • ახსნას, რას გრძნობდნენ მთავარი გმირები ნაწარმოების დასაწყისში, შუაში და ბოლოს.
<p>ცოდნა: ამ დონეზე მოსწავლეს საშუალება ეძლევა, გაიხსენოს ძირითადი ფაქტები და ინფორმაცია მოთხრობიდან. ამ დონეზე მიღწეული წარმატება თვალნათელია, როდესაც მოსწავლეს აქვს უნარი:</p>	<ul style="list-style-type: none"> • დააკავშიროს მოქმედ გმირთა სახელები და მათი სურათები. • დააკავშიროს გამონათქვამები და მოქმედი გმირები, რომელთაც ეს გამონათქვამები ეკუთვნით. • „იმეზნება“ პოსტერზე ჩამოთვლის მთავარი გმირის ძირითად მახასიათებლებს. • მოთხრობის სურათები, რომლებიც არეულადაა მოცემული, დაალაგოს სწორი მიმდევრობით. • გაიხსენოს გარემოს შესახებ დეტალები. ამისთვის ის ქმნის იმ ადგილების ნახატებს, სადაც მოქმედება მიმდინარეობდა. • დაწეროს ერთი წინადადება, რომელშიც მოცემული იქნება, რა გააკეთა მთავარმა გმირმა პირველად.

ემერჯენტულ დონეზე მოსმენილის გაგების სტრატეგიები

ბევრი მოსწავლე, განსაკუთრებით ვისაც კითხვის უნარები დაბალ დონეზე აქვს განვითარებული, უკეთესად იგებს, როდესაც ხმამაღლა უკითხავენ, რადგან მათ შეუძლიათ კონცენტრირება გააკეთონ შინაარსზე და არა ტექსტის დეკოდირებაზე. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, მოუსმინონ, განიხილონ და გაიგონ ტექსტი, რომელიც შეესაბამება კითხვისა და ლექსიკის ცოდნის მათ დონეს ან უფრო მაღალ დონეზე, რათა განუვითარდეთ წაკითხულის გაგების უნარი და შეიყვარონ ლიტერატურა. ჰარისისა და ჰოდგესის (ჰარისი და ჰოდგესი, 1995, გვ. 140), მიხედვით, მოსწავლეების მოსმენილის გაგების დონე ამ შემთხვევაში არის უმაღლესი.

- გადაიკითხეთ მათი საყვარელი წიგნები და შესთავაზეთ ახლები.
- სწავლებას ნუ დაიწყებთ ფონიკით, არამედ დისკუსიებით, რათა განუვითარდეთ იდეების განხილვისა და წიგნების გაზიარების ენობრივი უნარები.
- გამოიყენეთ წინადადებების სტრუქტურებსა და შინაარსზე დაფუძნებული ვარაუდები. დაწყებებს, რომელთაც უკეთ აქვთ განვითარებული ენობრივი უნარები, ვარაუდები შეიძლება დაეხმაროთ კითხვაში. მათ შეუძლიათ ცოდნაზე დამყარებული ვარაუდები გამოიყენონ იმის მისახვედრად, რა იქნება ტექსტის შემდეგ ნაწილში.
- წაიკითხეთ ტექსტი გამოთქმით და გამოიყენეთ სხვადასხვა ხმა სხვადასხვა გმირისათვის, რათა მოსწავლეები უფრო მეტად დააინტერესოთ.
- ხელით მიუთითეთ ნახატების დეტალებზე, რომლებიც თქვენი წაკითხულის დემონსტრირებას აკეთებს: „უყურეთ, აქ ორი კატა ხატია“ ან „ეს ის ადგილია, სადაც თავი იმალება“.
- ეცადეთ, ინტერესი გაუჩინოთ მოსწავლეებს ნარატიული და განმარტებითი ტექსტების კითხვისას. მაგალითად, „რა საინტერესოა, რას გააკეთებს ვინი პუპი ახლა?“, ან: „თქვენი აზრით, როგორ გრძნობს თავს მამა?“, „მაინტერესებს, რას აკეთებენ ბაყაყები ზამთარში?“, „თქვენი აზრით, ესაა პრობლემა? რატომ ფიქრობთ ასე?“ და „თქვენი აზრით, რა მოხდება ამის შემდეგ?“. მოსწავლეებს აღუძაროთ ცნობისმოყვარეობა.

- გამოიყენეთ გამოტოვებული სიტყვების ტექნიკა კითხვისას, რათა მოსწავლეებმა თავად შეავსონ. გამოიყენეთ განმეორებადი ფრაზები ან ლექსები, რომლებშიც ბოლო სიტყვები გამოტოვებულია: მაგალითად:

„ქარი ქრის, ქარი -----, ქარი ქრის“ (გალაკტიონ ტაბიძე).

- ისაუბრეთ ნახატებზე და სიტყვებზე, რომლებიც შესაძლოა მოსწავლეებმა არ იცოდნენ: „უყურეთ, აქ ხატია ახალდაბადებული ცხვარი ანუ ბატკანი.“
- მიუთითეთ უცნობ სიტყვებზე და გაარკვეით მათი მნიშვნელობები. გადახედეთ ამ სიტყვებს მოსწავლეებთან ერთად ხშირად და წახალისეთ ისინი, რომ გამოიყენონ საუბარში.
- გააკეთეთ მოკლე კომენტარები კითხვის პროცესში და პასუხი გაეცით მოსწავლეთა კითხვებს.

კითხვის დასრულების შემდეგ ისაუბრეთ წაკითხულის შესახებ. დაუსვით კითხვები: „რომელი ნაწილი მოგეწონათ ყველაზე მეტად?“ ან ისაუბრეთ, რამდენად ჰგავს ან განსხვავდება ტექსტში აღწერილი ამბები მოსწავლეთა ცხოვრებისაგან. დაუსვით კითხვები: „სად იძინებს შენი კატა?“, „რით გგავს მოქმედი გმირი?“. წახალისეთ მოსწავლეები, „წაიკითხოთ“ ნახატები. შემდეგ უთხარით: „თქვენ რატომ არ მიკითხავთ მე? არ დაგავიწყდეთ, უყურეთ ნახატებს.“ უნდა შესთავაზოთ, რომ დახატონ ნახატები, რომლებიც დაკავშირებულია მოთხრობასთან ან მათ ცხოვრებასთან. სთხოვეთ მოსწავლეებს, მოგიყვანონ ნახატის შესახებ და ჩაიწერეთ, რას ამბობენ. დაეხმარეთ მოსწავლეებს, დაწერონ თავიანთი სახელი და გვარი და აზრები ფურცელზე. დააკავშირეთ მათი დაწერილი და სახელოვნებო აქტივობები ერთმანეთთან ორიგინალური გზით. მაგალითად, გააკეთეთ მარიონეტები ტექსტის მიხედვით და ამ გზით დაეხმარეთ მოსწავლეებს ლექსიკის გამდიდრებაში.

ზოგადი სტრატეგიები ყველა მკითხველისათვის

- ხმამაღლა უკითხეთ მოსწავლეებს სხვადასხვა ჟანრის ტექსტები, რომელიც აღემატება მათი ცოდნის დონეს, ეს ეხმარება მათ ენობრივ განვითარებაში.
- გააკეთეთ გაწაფული კითხვის მოდელირება: წაიკითხეთ შესაბამისი გამოთქმით, ინტონაციით ად ტემპით. გამოიყენეთ განსხვავებული ხმები და დიალექტებისათვის დამახასიათებელი მეტყველება დიალოგებში შესაბამის ადგილებში.
- დაეხმარეთ მოსწავლეებს, გაიფართოონ სიტყვების მარაგი, ცოდნა და გამოთქვან თავიანთი აზრები რთული ტექსტების კითხვის (ან მათთვის წაკითხვის) გზით.
- კითხვის პროცესში მიუთითეთ ნახატებზე, დიაგრამებსა და გრაფიკებზე და ისაუბრეთ მათზე.
- მიუთითეთ ლექსიკურ ერთეულებსა და კონცეპტებზე, რომლებიც შეიძლება მოსწავლეებმა არ იცოდნენ.
- ისაუბრეთ წაკითხულსა და მოსწავლეების პირად გამოცდილებას შორის (როგორც პირადი, ისე სხვებისგან გაგონილი) არსებულ მსგავსებებზე.
- გამოიყენეთ ყველა შესაძლებლობა, რომ მიუთითოთ ყველა იმ სიტუაციაზე, რომლებშიც კითხვა ყოველდღიურ ცხოვრებაში კომუნიკაციის აუცილებელი პირობაა (მაგ., ეტიკეტები, ინსტრუქციები, ნიშნები (საგზაო)).
- აჩვენეთ თქვენს მოსწავლეებს, რომ კითხულობთ წიგნებს, ჟურნალებს, გაზეთებს და ელექტრონულ რესურსებს.

თავი 6

ემერჯენტულ დონეზე წერა და თხზულების წერა

ემერჯენტულ დონეზე წერის გაგებისათვის

ემერჯენტულ დონეზე წერა გულისხმობს ნაწერის ფორმებს, როლებსაც სტანდარტიზებული წერის უნარის ჩამოყალიბებამდე იყენებენ: ჯღაბნას, ხატვას, არაფონეტიკური ასოების გამოყენებას, უცნობი სიტყვები წერას „გამოგონილი, ინტუიციური მართლწერით“ (inventive spelling), რომელსაც ადგილი აქვს სტანდარტიზებული (conventional Writing) წერის დაწყებამდე (თეალი და სულზი, 1991). ადრეულ ასაკში წერის უნარები ვითარდება, როდესაც ბავშვები ფურცლებზე იწყებენ ნიშნების გაკეთებას ფურცლებზე გასართობად. ამას მოჰყვება ვიზუალური გზავნილები ფურცელზე და საბოლოოდ ტექსტის შექმნა (მოროუ, 2005). თეალის და სულზის (1991) აღწერილი აქვთ ბავშვების წერის უნარის განვითარების პროცესი. თავდაპირველად, როდესაც ისინი სწავლობენ ასოების მოხაზულობას, წერენ ასოებს მთელ სტრიქონზე წერილობითი შეტყობინების გადასაცემად, ოღონდ ყურადღებას არ აქცევენ ბგერებს, რომლებსაც ეს ასოები წარმოადგენენ. შემდეგ ისინი სწავლობენ, რომ თითოეული ასო კონკრეტულ ბგერას შეესაბამება და მათი შეკავშირებით შეიძლება სიტყვებისა და აზრების გადმოცემა. ბავშვები იწყებენ ვარაუდით ან ფონეტიკურ წერას, რაც, ჩვეულებრივ, შეიცავს სიტყვის ყველაზე უფრო დომინანტურ ბგერებს, მაგალითად, საწყის და საბოლოო ბგერებს. თუმცადა, გარკვეული დრო მიაქვს, სანამ ისინი დაიწყებენ ფონეტიკური გასაღებების გამოყენებას თავიანთივე დაწერილის წასაკითხად და ხშირად ცდილობენ გახსენებას, რა დაწერეს ან იყენებენ სურათებს მათ გასახსენებლად. საბოლოოდ კი ბავშვებს უვითარდებათ უნარი, დაწერონ ბგერების უმეტესობა სიტყვებიდან შეტყობინების გადასაცემად და შეუძლიათ მათი წაკითხვა.

ბავშვებს სჭირდებათ ადრეული გამოცდილება წერასთან დაკავშირებით. ისინი უნდა დააკვირდნენ სხვათა ნაწერებს ინფორმაციის მისაღებად. მნიშვნელოვანია იმის ახსნა, რომ რასაც მოსწავლეები ამბობენ, შეიძლება ჩაიწეროს და რაც ჩაწერილია, შეიძლება წაკითხონ სხვებმა ინფორმაციის მისაღებად. ემერჯენტულ დონეზე წერის მთავარი აქცენტი შეტყობინების გადაცემაა. ამ მიზნის მისაღწევად მოსწავლეებმა თავდაპირველად უნდა ისწავლონ, რომ ბგერებს შეესაბამება ასოები, რომლებიც შეიძლება შეაერთო სიტყვების ან აზრების ჩასაწერად. ემერჯენტულ დონეზე წერის საშუალებით მოსწავლეების წარმოდგენა წერილობითი სისტემის შესახებ იხვეწება (ჯენსენი, 1984), რაც არა მხოლოდ თავიანთი აზრების გადმოცემაში ეხმარება, არამედ ხელს უწყობს მათი ფონიკისა და მართლწერის უნარების განვითარებას (იხილეთ თავი 3). ხელწერა დამატებითი უნარია, რომელიც სჭირდებათ წერის ემერჯენტულ დონეზე მყოფ მოსწავლეებს თავიანთი აზრების გადმოსაცემად.

წერილობითი თხზულების გაგებისათვის

თხზულების წერა არის „აზრების გადმოცემის პროცესი ან შედეგი, რათა ჩამოვყალიბოთ ნათელი და ერთიანი აზრი შეტყობინების ცხადად (ეფექტურად) გადმოსაცემად (ჰარისი და ჰოდგესი, 1995, გვ. 38). წერა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში. როუტმენი (2005) ამბობს: „მე მინდა, რომ ჩემი მოსწავლეები წერდნენ გატაცებით და იოლად. მე მინდა, რომ ისინი იყვნენ მოტივირებული, თავდაჯერებული წერისას და იცოდნენ, რომ წერა ყოველდღიური, სასარგებლო, უფრო მეტიც კი, სასიამოვნო ყოველდღიური საქმიანობაა“ (გვ. 1). წერის სწავლება ზოგჯერ უყურადღებოდაა მიტოვებული სასწავლო კურიკულუმებში და ხშირად უგულვებელყოფილია ეროვნულ და სახელმწიფო საკანონმდებლო და კვლევით ანგარიშებში. NRP ანგარიშში (NICHD, 2000) იდენტიფიცირებულია კითხვის სწავლების 5 ძირითადი უბანი (ფონეტიკური ცოდნა - ფონიკის; გაწაფულობა; ლექსიკა და წაკითხულის გაგება), მაგრამ, სამწუხაროდ, წერა მასში არ არის შეტანილი, როგორც მნიშვნელოვანი საკითხი, თუმცადა კითხვა და წერა ურთიერთდაკავშირებული პროცესებია. როგორც *კითხვის საერთაშორისო ასოციაცია* (International Reading

Association), ისე კითხვის ეროვნული საბჭო (National Reading Council) აღიარებენ წერის ეფექტურად სწავლების ინსტრუქციების საჭიროებას. *კითხვის სპეციალისტთა სტანდარტი (Standards for Reading Professionals)*, რომელიც განახლებულია 2003 წელს (IRA, 2003), ეხება როგორც წერის, ისე კითხვის სწავლების ინსტრუქციებს.

შედგენა (შექმნა) და გაგება ურთიერთდაკავშირებული პროცესებია. მკითხველები და წერილობითი ტექსტების ავტორები „ქმნიან (აყალიბებენ) აზრს“ (ტიერნეი და პირსონი, ციტირებულია ჯენსენის (1984) მიხედვით). მოსწავლეები რაც უფრო ხშირად წერენ და კითხულობენ პარალელურად, მით უფრო მეტს სწავლობენ ორივე მათგანისაგან. მოცემული ჟანრის გაგების უნარი ეხმარება ამავე ჟანრის ტექსტის შექმნაში, ისევე როგორც ტექსტის შექმნის ცოდნა ეხმარება მოსწავლეებს იმავე ჟანრის გაგებაში. თითოეული ჟანრის წარდგენისას ხმამაღლა წაუკითხეთ ეფექტური წერილობითი ტექსტების მაგალითები მოსწავლეებს და განიხილეთ ტექსტის ელემენტები. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები. მასწავლებელმა უნდა მოამზადოს და აუხსნას მათ განმარტებები და საკონტროლო კითხვების ჩამონათვალი. პანმანებს (2006) იდენტიფიცირებული აქვთ წერის ჟანრების ელემენტები, რომლებიც მასწავლებელს ეხმარება განსაზღვროს, თითოეული ჟანრისათვის რომელი ელემენტების სწავლებაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი (იხ. ცხრილი 6.1).

თხზულების წერისას მოსწავლეების დასახმარებლად ყველაზე მნიშვნელოვანი მეთოდია ინსტრუქციებისა და ნათელი განმარტებების შეთავაზება წერის დაწყებამდე. მასწავლებელმა უნდა აუხსნას შეფასების თითოეული კრიტერიუმი შინაარსსა და სხვა წესებთან დაკავშირებით, რომლებიც ნაწერში ფასდება: იდეა და დეტალები, ორგანიზება, წინადადების გამართულობა, ლექსიკური ერთეულების არჩევანი, გრამატიკა, პუნქტუაცია, მართლწერა. ხელწერაზე ყურადღება უნდა გამახვილდეს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მივაწოდოთ. საწყის დონეზე მოსწავლეებს უნდა ასწავლოთ ასოების სწორად მოხაზვა, ხაზებზე წერა და მინდვრის დაცვა. უფრო მაღალ კლასებში მოსწავლეებს უყალიბდებათ ხელწერის საკუთარი სტილი. მაღალ კლასებში ხელწერაზე ყურადღება უნდა გამახვილდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეხმარება მკითხველს, უფრო ადვილად წაიკითხოს.

წერილობითი ტექსტების ჟანრები და ფორმები

წერასა და კითხვაში ჟანრების თვალსაზრისით სხვაობა არ არსებობს, თუმცა, წერის სწავლებისას ზოგი მათგანი უფრო აქტუალურია. მნიშვნელოვანია, რომ კითხვის პროცესის სწავლებისას თითოეული ჟანრის ელემენტები ზუსტად ვასწავლოთ. ეს ეხმარება მოსწავლეს, რომ ეფექტურად გამოიყენოს ეს ელემენტები წერისას. პანმანები (პანმანი და პანმანი, 2006) გამოკვეთენ ტექსტების ტიპებს, რომელთა წერასაც სკოლაში ასწავლიან. ესენია: ესე, ანგარიში და წერილები. ამას დაემატა ტექნოლოგიების საშუალებით წერაც.

წერის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა ესეს წერაა. ესე ამბავს გადმოსცემს (მაგალითად, ნარატიულს) დასაწყისი, შუა და ბოლო ნაწილების საშუალებით. აღწერით ტექსტში აღწერილია ადამიანი, ადგილი, საგანი ან იდეა. განმარტებით ესეში წარმოდგენილია ფაქტები და ახსნილია იდეები, მოცემულია მიმართულება ან განმარტებულია ტერმინები. მტკიცებით ესეში მოცემულია ცდა, რომ მკითხველი დაარწმუნოს რომელიმე თვალსაზრისის მართებულობაში.

წერის კიდევ ერთი სახეობაა ანგარიშების წერა. მოსწავლეები წერენ მოკლე ანგარიშებს გაზეთების ან ჟურნალების სტატიების შესახებ. შეიძლება დაწერონ წიგნების, ფილმების, მუსიკალური ან სხვა ნაწარმოებების რეცენზია (მიმოხილვა). შესაძლოა დაწერონ კონკრეტულ საკითხზე ან ადამიანზე. ანგარიში შეიცავს შესავალს, საკითხის განვითარებას და დასკვნას. უფროსი ასაკის მოსწავლეებს შეიძლება დაავალოთ გამოკვლევის დაწერა, რომელიც ანგარიშის მსგავსია, თუმცა უფრო მეტ ევოლუციურ (განმავითარებელ) აზრს შეიცავს და მოსწავლეები იყენებენ სხვადასხვა წყაროს თავიანთი აზრების დასამტკიცებლად. ტრადიციული წერილობითი ტექსტების გარდა, მოსწავლეებს შეუძლიათ პაუერპოინტის ან სხვა ტიპის მედიაპრეზენტაციის მომზადება იმ ინფორმაციის გასაზიარებლად, რომელიც მათ მიიღეს.

ცხრილი 6.1	წერილობითი ტექსტების ჟანრები
ნარატიული	შესავალი აზრები (პარაგრაფი): იპყრობს მკითხველთა ყურადღებას და აცნობს მოქმედ პირებსა და გარემოს. აზრების ევოლუცია(განვრცობა/განვითარება): გვაწვდის დეტალებს მოქმედი პირების შესახებ და რა შეემთხვათ მათ. აქვე იგება სიუჟეტი. სწორედ ამ ამბავს მივყავართ ტექსტის მთავარ საკითხამდე. დასკვნითი აზრები (პარაგრაფი): აჯამებს ამბავს, გადმოსცემს შედეგებს, გვთავაზობს თვალსაზრისს ან დასკვნას.

<p>აღწერითი</p>	<p>შესავალი აბზაცი (პარაგრაფი): იპყრობს მკითხველის ყურადღებას, იყენებს ნათელ მაგალითებს გარემოს გასაცნობად და გვთავაზობს მიმოხილვას. აბზაცის ევოლუცია(განვრცობა/განვითარება): აქცენტს აკეთებს ერთი ამბის (მოვლენის) დეტალებსა და ავტორის გრძნობებზე (დამოკიდებულებზე). დასკვნითი აბზაცი (პარაგრაფი): ჩამოყალიბებულია დასკვნები.</p>
<p>განმარტებითი</p>	<p>გვადლევს მიმართულებას, როგორ უნდა გავაკეთოთ, რის გაკეთებაც გვინდა, როგორ მივიღოთ, რის მიღებაც გვინდა, როგორ მივიღეთ კონკრეტულ ადგილზე, ხსნის, როგორ მუშაობს ან ხდება რაღაც. შესავალი აბზაცი (პარაგრაფი): განსაზღვრავს ტექსტის საკითხს და გვთავაზობს მიმოხილვას. აბზაცის ევოლუცია(განვრცობა/განვითარება): ხსნის პროცესს და გვაწვდის მხარდამჭერ ფაქტებს. იყენებს გარდამავალ (მაკავშირებელ) სიტყვებს: პირველ რიგში - შემდეგ; ჯერ; შემდეგ; ზოგჯერ. დასკვნითი აბზაცი (პარაგრაფი): განმეორებითაა ჩამოყალიბებული (გამოთქმული) მთავარი საკითხი და მოცემულია დასკვნები.</p>
<p>მტკიცებითი</p>	<p>შესავალი აბზაცი (პარაგრაფი): განსაზღვრულია მიზანი, იდენტიფიცირებულია მკითხველთა აუდიტორია, და სამულოა საკითხი. შეიცავს ინფორმაციას ავტორის შესახებ, შემოთავაზებულია ორი მიზეზი, რომლებიც მხარს უჭერს მოსაზრებას და ავტორის თვალსაზრისი. აბზაცის ევოლუცია(განვრცობა/განვითარება): მოცემულია მთავარი წინადადება, რომელშიც შედის რამდენიმე წინადადება, რომლებიც ხსნის საფუძველს/მოტივს. შემდეგ ეს საფუძველი/მოტივი გამეორებულია, მომდევნო, მე-2 და მე-3 პარაგრაფებშიც, მოცემულია საფუძველი/მოტივი. დასკვნითი აბზაცი (პარაგრაფი): შეიცავს წინადადებას, რომელშიც გამეორებულია მთავარი აზრი და ორი ან სამი წინადადება, რომელიც მხარს უჭერს საფუძველს (მოტივს); ასევე, მოკლედაა გადმოცემული ავტორის მოსაზრება და წარმოდგენილია დასკვნა.</p>
<p>მოკლე ანგარიში, წიგნის შესახებ ანგარიში, გამოკვლევა</p>	<p>მოსწავლე კრებს წყაროებს, აკეთებს შენიშვნების ჩანაწერებს, აჯგუფებს შენიშვნებს (ჩანაწერებს) საკითხის მიხედვით, ადგენს გეგმას სათაურებზე დაყრდნობით და შენიშვნების ჩანაწერებს იყენებს გეგმის შედგენისას. შესავალი აბზაცი (პარაგრაფი): გვაცნობს საკითხს, მკითხველთა აუდიტორიას და რა მიზანი (მიზეზი) ჰქონდა ავტორს ტექსტის შესაქმნელად. გამოკვეთს საკითხს და პასუხს სცემს შეკითხვებს: ვინ, რა, სად, როდის და რატომ. შეიცავს დასკვნით წინადადებას, რომელიც წარმოადგენს გადასვლას შესავალიდან პარაგრაფის ევოლუციამდე(განვრცობა/განვითარებამდე). აბზაცის ევოლუცია(განვრცობა/განვითარება): წარმოდგენილია დეტალები და ციტირებულია წყაროები. დასკვნითი აბზაცი(პარაგრაფი): განმეორებითაა ჩამოყალიბებული (გამოთქმული) მთავარი საკითხი, ახსნილია, რა არის საკითხთან დაკავშირებით უახლესი მიდგომა და რა ისწავლა აქამდე ავტორმა და რის სწავლას აპირებს მომავალში, წარმოდგენილია ავტორის პოზიცია და დასკვნები.</p>
<p>მეგობრული წერილი, საქმიანი წერილი</p>	<p>ადრესატის მისამართი, გამგზავნის მისამართი, სტრიქონი, სადაც რიცხვი და ადგილია მითითებული, მისალმება. შესავალი აბზაცი (პარაგრაფი): ახსნილია წერილის მიზანი. აბზაცის ევოლუცია (განვრცობა/განვითარება): გადმოცემულია თქვენი აზრები. დასკვნითი აბზაცი (პარაგრაფი): შეჯამებულია, რა გინდათ, რომ თქვენმა მკითხველმა იცოდეს ან გააკეთოს. წარმოდგენილია წერილის დამასრულებელი ნაწილი და ხელისმოწერა/ წერილის ავტორის სახელი და გვარი.</p>
<p>რეზიუმე (სამოტივაციო წერილი)</p>	<p>საიდენტიფიკაციო სათაური, კარიერული მიზნები, სამუშაო გამოცდილება, განათლება, სპეციფიკური უნარები, ინტერესები და ჰობი, ჯილდოები და მიღწევები, რეკომენდატორები (საკონტაქტო პირები)</p>

წერილის შედგენა წერის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სახეობაა. წერილს მრავალი მიზეზით წერენ. ის შეიძლება იყოს მეგობრული ან მაღლობის გადასახდელად დაწერილი; ბიზნესწერილში შეიძლება

მოთხოვნილი იყოს რამე ინფორმაცია, საგანი ან წარმოდგენილი იყოს საჩივარი. ის შეიძლება დაწერილი იყოს სამუშაოს მიღების მსურველის მიერ (სამოტივაციო წერილი). წერილების ნაკლებად ფორმალურ სახეობებს მიეკუთვნება ელექტრონული წერილი, ონლაინმესიჯები და ტექსტური მესიჯები. არსებობს წერის ელექტრონული ფორმისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

დაბოლოს, არსებობს აღწერითი ტიპის ნაწერები: ჟურნალისტური ტექსტები, პოეზია, სიმღერების ტექსტები, პიესები, სარეკლამო ტექსტები და სლოგანები. წერის თითოეული ეს სახეობა უნდა ისწავლებოდეს და საჭიროა, აგრეთვე, მოსწავლეებმა ივარჯიშონ მათ შექმნაში. ყველაზე ეფექტური მეთოდია სხვების ნაწერების კითხვა, გაზიარება და განხილვა, როგორ იყენებენ ისინი წერის ამ ფორმებს. ამ ტიპის ტექსტებში მასწავლებელმა აქცენტი უნდა გააკეთოს არა შინაარსზე, არამედ **როგორ** წერენ სხვები. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა გააცნოს საკუთარი ნაწერები, მათ შორის მრავალი სახის ნიმუში. დაბოლოს, მიეცით მოსწავლეებს მაქსიმალურად ბევრი შესაძლებლობა, დაწერონ მრავალი ჟანრის ტექსტი, რომლებიც სხვადასხვა მიზნისათვისაა განკუთვნილი.

წერის პროცესი

სოლეიმ (2000) აღწერა წერის პროცესი ისტორიული პერსპექტივიდან. წარსულში წერა სკოლაში ისწავლებოდა როგორც პროდუქტი და არა პროცესი. წერის პროცესის სწავლას დაიწყო 1970-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც ემიგმა (1971) დაიწყო უფროსკლასელთა წერის პროცესის შესწავლა. ჰარსტემ, ვუდვარდმა და ბურკემ (1984) დაიწყეს იმ ადამიანთა აზროვნების პროცესის შესწავლა, რომლებიც ემერჯენტულ დონეზე წერენ წინასასკოლო ასაკში. „ხმამალა ფიქრის“ პროტოკოლები ეკუთვნით ფლოუვერსა და ჰაიეს (1981), ხოლო შემდეგ განავრცო გრეივსმა (1983). მისი მიზანი წერისას ბავშვებისა და ზრდასრულების აზროვნების პროცესის შესწავლა გახლდათ. ეს იყო წერის პროცესის მოდელი, რომლის მიხედვითაც წერის პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: გამეორება, შავი ნაწერის შექმნა, გადახედვა და რედაქტირება. ამას მოჰყვა გრეივსის (1983) **სახელოსნოს მოდელი წერილობითი ტექსტის ავტორთათვის** (Writers' Workshop Model), ხოლო მოგვიანებით კალკინსმა (1983) დაუმატა განხილვა და გამოქვეყნება. ატველმა (1987) კიდევ უფრო გააფართოვა ეს მოდელი საშუალო საფეხურის მოსწავლეთათვის გამოსაყენებლად. როუტმანმა (2005) კი დაუმატა კონკრეტული ელემენტები, რომლებიც წერის პროცესის სასწავლებლად საჭირო. სრულყოფილი წერის პროცესი გულისხმობს ნაწერის გამოქვეყნებასაც; თუმცა, არ არის აუცილებელი, ყველა წერილობითმა ტექსტმა გაიაროს პროცესის ყველა საფეხური. მოსწავლეებმა უნდა შეარჩიონ ის ელემენტები, რომლებიც მნიშვნელოვანია გამოქვეყნების საფეხურამდე მისასვლელად.

პროცესი შეიცავს წერის დაწყებამდე აქტივობებსაც, პირველ შავ ნაწერს, გადახედვას/შესწორებას, რედაქტირებას, განხილვას, მომდევნო შავი ნაწერის შექმნასა და გამოქვეყნებას. წერის წინა აქტივობების დროს მოსწავლეები განსაზღვრავენ.

ტექსტის მიზანსა და მკითხველთა პოტენციურ აუდიტორიას, ჟანრს (ნარატიული, განმარტებითი, მტკიცებითი და შემოქმედებითი), გონებრივი იერიშის გზით ჩამოწერენ იდეებს, ქმნიან გრაფიკულ ორგანიზატორებს მთავარი იდეებისათვის და სხვა აზრებისათვის წერენ გეგმას. პირველ შავ ნაწერში მოსწავლეები წერენ თითო ხაზის გამოტოვებით, რათა დატოვონ ადგილი შესწორებებისა და რედაქტირებისათვის, ისინი კითხულობენ შავ ვერსიას ხმამალა და ეძებენ საკითხთან დაკავშირებულ ახალ ინფორმაციასა და დეტალებს. შემდეგი ეტაპია გადახედვა-შესწორება. ამ დროს მოსწავლეები რამდენჯერმე კითხულობენ ტექსტს და ყურადღებას ამახვილებენ აზრებზე, ტექსტის ორგანიზებაზე, სიტყვათა არჩევანზე და წინადადებების გამართულობაზე. ამის შემდეგ ისინი კიდევ კითხულობენ და რედაქტირების საფეხურზე ასწორებენ ენობრივ, გრამატიკულ და პუნქტუაციურ, მართლწერისა და აბზაცებში დაშვებულ შეცდომებს. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ კითხულობენ.

განხილვის ეტაპზე მოსწავლეები თავიანთ ნაწერს აცნობენ პარტნიორს და იღებენ მათგან უკუკავშირს. პარტნიორს უნდა ავუხსნათ, რომ ყურადღება გაამახვილოს გადახედვა-შესწორებასა და რედაქტირებაზე. ტექსტის ავტორი შემდეგ კიდევ კითხულობს ნაწერს მის დასახვეწად და იყენებს რედაქტირებისათვის არსებულ საკონტროლო კითხვების ჩამონათვალს, რათა საბოლოო სახე მისცეს მას, როგორც შინაარსობრივად, ისე მექანიკური შეცდომების თვალსაზრისითაც. ამის შემდეგ ტექსტის ავტორი კვლავ პარტნიორს აცნობს თავის ნაშრომს, ხოლო შემდეგ კი მასწავლებელს უკუკავშირისათვის. საბოლოო შესწორება შეაქვთ დასაბეჭდად მომზადების პროცესში. გამოქვეყნების ეტაპზე მოსწავლეები ბეჭდავენ ან ლამაზი კალიგრაფიით გადაწერენ ტექსტს და უმატებენ ილუსტრაციებს ან გრაფიკას. თუ ნაწერი რამდენიმეგვერდიანია, მოსწავლეებს შეუძლიათ გააკეთონ ყდა და სატიტულო გვერდი და აკინძონ თავიანთი ნაშრომი. ბოლოს კი, მოსწავლეები ან ვერბალურად წარადგენენ თავიანთ ნაშრომს, ან აჩვენებენ

აუდიტორიას. ეს არის წერის პროცესის საბაზისო მოდელი, თუმცა წერის სტილიდან გამომდინარე, შესაძლებელია პროცესს დაემატოს სპეციფიკური კრიტერიუმები.

ემერჯენტული წერის მიზნები

მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ შემდეგი:

- დახატონ ნახატები ინფორმაციის გადასაცემად;
- უკარნახონ ტექსტი სხვებს, რათა მათ დაწერონ;
- დაწერონ ასოები, რომლებიც შეესაბამება ზგერებს ან სიტყვებს;
- დაწერონ ასოები სტრიქონებზე აზრების გადმოსაცემად;
- დაწერონ დიდი და პატარა ასოები სწორი მოხაზულობით (თუკი არის ანბანში);
- დაწერონ ასოები და სიტყვები მარცხნიდან მარჯვნივ;
- ახალ ხაზზე დაბრუნდნენ მარცხნივ წერის გასაგრძელებლად;
- დაიცვან მანძილები სწორად ასოებსა და სიტყვებს შორის;
- წერონ „ინტუიციური“ მართლწერით (უცნობი სიტყვების წერისას გამოიყენონ თავიანთი ფონეტიკური ცოდნა და ცოდნაზე დამყარებულ ვარაუდზე დაყრდნობით დაწერონ სიტყვა);
- გამოიყენონ სხვადასხვა რესურსი სიტყვის სწორად დასაწერად;
- წერონ ფრაზები იდეების გადმოსაცემად;
- წერონ წინადადების ჩარჩოების ან მოდელების გამოყენებით;
- წერონ გარდამავალი (ნახევრადფონეტიკური) მართლწერით;
- წერონ მაღალი სიხშირით გამოყენებული სიტყვები სწორად;
- დაიწყონ წინადადებები დიდი ასოთი და დაასრულონ შესაბამისი სასვენი ნიშნით;
- წერონ განსხვავებული მიზნებით;
- წერონ უფრო რთული წინადადებები;
- დაწერონ სამწინადადებიანი ამბავი ერთ საკითხზე;
- დაიწყონ შინაარსობრივი, პუნქტუაციური, მართლწერისა და გრამატიკული შეცდომების ამოცნობა.

თხზულების წერის მიზნები

მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ შემდეგი:

- წაკითხონ ავტორის პერსპექტივიდან და გამოიყენონ ის ცოდნა საკუთარი წერილობითი ტექსტის შესაქმნელად;
- წერონ განსაზღვრული (კონკრეტული) აუდიტორიისა და მიზნისათვის;
- წერონ განსხვავებული ჟანრების ტექსტები: ნარატიული, აღწერითი, განმარტებითი, მტკიცებითი და პოეტური...
 - წეროს ყოველდღიური ცხოვრებისათვის საჭირო ფუნქციონალური ტექსტები: საყიდლების სია, ჩანაწერები, სამადლობელი წერილები და შეავსოს ბლანკები;
 - შექმნას პირადი დღიურები და დიალოგური ჟურნალები (2 მოსწავლე ერთმანეთს უზიარებს ცოდნას, გამოცდილებას ან აზრებს), მოთხრობები, ლექსები, სიმღერები;
 - წეროს დღიურები წაკითხულის შინაარსის შესახებ, ჩანაწერები, წიგნების განხილვა და ესეები, რომლებშიც წარმოჩნდება, რომ გაიგო წაკითხული (მოსმენილი) ტექსტი და კონცეპტები;
 - წეროს ინფორმაციის გასაცემად (გასაზიარებლად) ან მოითხოვოს ინფორმაცია: წერილები, ელექტრონული წერილები, მოსაწვევები, ანგარიშები, პრეზენტაციები, სიტყვები საჯარო გამოსვლებისათვის, მტკიცებითი ესეები და ვებგვერდები.
- გამოიყენონ წერის დაწყების წინა სტრატეგიები: ხატვა, გონებრივი იერიში, დიაგრამების აგება ან მონახაზების გაკეთება და გაზიარება;
- გამოიყენონ შესაბამისი სტრატეგიების შავი ნაწერის შესაქმნელად, მაგალითად, თავდაპირველი იდეების ჩამოყალიბება სრულ წინადადებად;

- გამოიყენონ შესწორების სტრატეგიები...
 - დაწერონ იდეა და დეტალები ცხადად, ორგანიზებულად, გამოიყენონ სწორად შერჩეული გარდამავალი სიტყვები;
 - დაამუშაონ იდეები დეტალების და მხარდამჭერი მოსაზრებების გამოყენებით, აგრეთვე, ადამიანების, საგნების, პროცესებისა და მოვლენების აღწერით;
 - შეარჩიონ ტონი (მეგობრული, ფორმალური, დისტანციური) და ლექსიკური ერთეულები (ყოველდღიური ლექსიკა, შინაარსთან დაკავშირებული სპეციფიკური სიტყვები), წინადადებების მოდელები და წერონ თავიანთი პერსონალური სტილით;
 - გამოიყენონ განსხვავებული ენობრივი სტრუქტურები: ფიგურატიული ენა, დიალოგი, ემოციური აღწერა, იუმორი, მიზეზი და შედეგი, შედარება-დაპირისპირება და თვალსაზრისის გამოხატვა;
 - გამოიყენონ მრავალფეროვანი, სპეციფიკური და საინტერესო სახელები, ზმნები, ზედსართავები და ზმნიზედები.
- წერონ მრავალფეროვანი წინადადების სტრუქტურის გამოყენებით (მაგალითად, რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებები);
- გამოიყენონ რედაქტირების სტრატეგიები გრამატიკული, პუნქტუაციური, მართლწერისა და მკაფიო ხელწერის შესამოწმებლად;
- გაუზიარონ ნაწერი ვერბალურად ან ხელმისაწვდომი გახადონ შემდეგი გზებით: გამოქვეყნება კლასისათვის, ბიბლიოთეკისათვის, საზოგადოებისათვის, გაზეთში ან ინტერნეტში.

ემერჯენტულ დონეზე წერის შეფასებები

ემერჯენტულ დონეზე წერის განვითარების საფეხურის შეფასება

მიზანი: მოსწავლეთა ემერჯენტულ დონეზე წერის ჩვევების შეფასება, დაწყებული მასალების შესწავლიდან დამთავრებული სრული წინადადებების წერამდე, რათა მასწავლებელმა განსაზღვროს, თუ ემერჯენტულ დონეზე წერის რომელ საფეხურზეა მოსწავლე (იხ. დანართი; გვ. 266). ამ შეფასებას, ძირითადად, იყენებენ საბავშვო ბაღისა და პირველი კლასის მოსწავლეებთან. ამ შეფასების შექმნისას დესკრიპტორები გამოყენებულია ბეატის (Beaty;1994) და მოროუს (Morrow; 1993) ნაშრომებიდან.

პროცესის აღწერა: შეკრიბეთ მოსწავლის რამდენიმე წერითი ნამუშევარი. წაიკითხეთ საკონტროლო კითხვების ჩამონათვალში თითოეული დესკრიპტორი და შეაფასეთ (+) ნიშნით, თუ მოსწავლე უნარ-ჩვევას ხშირად იყენებს, (✓) - როცა ხანდახან იყენებს და (-) - როცა იშვიათად ან საერთოდ არ იყენებს.

არსებობს ემერჯენტულ დონეზე წერის უნარის განვითარების ხუთი საფეხური. საბავშვო ბაღის დონეზე 1-4 დონე გვხვდება, ხოლო მე-5 საფეხური მოსალოდნელია პირველ კლასში. მოსწავლე ემერჯენტულ დონეზე წერის იმ საფეხურზეა, რომელზეც ყველაზე მეტი ნიშანი ან (+) ნიშანია წარმოდგენილი. განიხილეთ მოსწავლის ძლიერი მხარეები და საჭიროებები წერისას და დაგეგმეთ ინსტრუქციები, რომლებიც კიდევ უფრო გაამდიერებს მათ ძლიერ მხარეებს და განუვითარებს საჭირო უნარებს. დაამატეთ კომენტარები ინფორმაციის დასაზუსტებლად.

მაგალითი: ეს არის პირველკლასელი ტანიშას (Tanisha) ნაწერების შეფასება. ნაწერები დათარიღებულია 20 აგვისტოთი, 18 სექტემბრით და 20 ოქტომბრით. 20 აგვისტოს მან დახატა ავტოპორტრეტი. მე ვთხოვე, რომ რამე ეთქვა ჩემთვის ამ ნახატზე. მან მიპასუხა: „I play soccer (მე ვეხბურთ ვთამაშობ)“. მე ვკითხე: „იცი, როგორ იწერება „I“ (მე)?“. მან დაწერა *A*. მე ვკითხე: „შეგიძლია დაწერო *play*?“. მან დაწერა *B*. მე ჩავწერე მისი წინადადება ფურცელზე და ვთხოვე, რომ წაეკითხა. მან თქვა „soccer“ და ვერ შეძლო, რომ მიმდევრობით ამოეკითხა სიტყვები. ვკითხე, შეეძლო თუ არა თავისი სახელის დაწერა და მან დაწერა *T*. 18 სექტემბერს მან დაწერა *I P M S*. მე ვკითხე, წაეკითხა დაწერილი და მან მიპასუხა: „I play with my sister“ (მე ვთამაშობ ჩემს დასთან ერთად), ხოლო თავისი სახელის ნაცვლად დაწერა *TAN*.

20 ოქტომბერს მან დაწერა *I GO 2 the PK WMI DG*. ჩემს კითხვაზე, თუ რა დაწერა, მიპასუხა: „I go to the park with my dog.“ (მე მივდივარ პარკში ჩემს ძაღლთან ერთად). მან შეძლო დეტალურად დახატვა, ხოლო საკუთარი სახელი დიდი ასოებით დაწერა.

შეფასება +/-	დესკრიპტორი	დაკვირვების კომენტარები	თარიღი,
საფეხური 2			
	შინაარსი		
+	კარნახობს წინადადებებს ჩასაწერად	8/20	
✓,+	„კითხულობს“ ამბავს თანმიმდევრული ზეპირი ტექსტიდან	8/20, 9/18	
✓,+	განასხვავებს სურათსა და ამბავს ხელწერა	8/20, 9/18	
N/A	სიმბოლოები ან გაკრული ხელით ნაწერი გამოხატავს ასოებს, სიტყვებს ან სიტყვებისაგან შედგენილ სტრიქონებს		
✓	წერს არასწორ ასოებს ან ასოებს, მაგრამ არ შეესაბამება მათ ბგერით მნიშვნელობას	8/20-ში დაწერა <i>AB - I play-ს</i> ნაცვლად	
✓	იწყებს ბეჭდურის მსგავსი ასოების წერას	8/20 A და B	
საფეხური 3			
	შინაარსი		
✓	კარნახობს უფრო სრულყოფილ წინადადებებს ჩასაწერად		
N/A	ასრულებს წინადადების ჩარჩოებს ან კლიშე ფრაზებს (მაგ. ძალი ყვეს; მზე ანათებს)		
3	ხატავს ნახატს, რომლის ამოცნობაც შესაძლებელია	8/20-ში დახატა თავისი თავი	
-	ცდილობს დაასათაუროს ნახატები და დაწეროს ასოები	8/20-ში არაფერი არ დაუწერია, სანამ არ უბიძგეს	
	მართლწერა		
✓	წერს ასოებს სიტყვების ან აზრის გადმოსაცემად	9/18 - სწორად დაწერა დასაწყისი ასოები ოთხიდან 3 სიტყვაში	
✓	ცდილობს „გამოგონილი“ მართლწერის გამოყენებას სიტყვების წერისას და ზოგ შემთხვევაში ბგერებსა და სიმბოლოებს შორის სწორი კავშირებია	9/18 - საწყისი ასო, 10/20 - საწყისი და ბოლო ასო +	
✓,+	ესმის და წერს საწყისი თანხმომავნი ბგერების შესაბამის ასოებს	9/18 - სწორად დაწერა საწყისი თანხმომავნი ბგერები, გარდა w-სი. 10/20 - სწორად დაწერა საწყისი თანხმომავნი ბგერები.	
	ხელნაწერი		
✓	ასოებსა და სიტყვებს შორის მანძილების ცოდნის საწყისი ეტაპი	10/20- იწყებს მანძილების დატოვებას სიტყვებს შორის	
	იცის, რომ ასოების და სიტყვები მარცხნიდან მარჯვნივ იწერება	9/18, 10/20 - წერს ასოებს მარცხნიდან მარჯვნივ	
✓	იწყებს სიტყვების გადაწერას (კოპირებას)	10/20 - სიტყვა <i>the</i> დაწერა სიტყვა <i>wall</i> -იდან	
✓	ასოების უმრავლესობის ამოცნობა შესაძლებელია, თუმცა შეიძლება არეულად იყოს დაწერილი დიდი და პატარა ასოები	10/20 - ასოების ამოცნობა შეიძლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც <i>to</i> -ს ნაცვლად დაწერა <i>2</i> . უმეტეს შემთხვევაში კვლავ იყენებს დიდ ასოებს.	

საფეხური 4

შინაარსი		
✓	წერს თავისსავე შერჩეულ საკითხზე	10/20
N/A	წერს მასწავლებლის მიერ შერჩეულ საკითხზე	
+	ილუსტრაცია ტექსტის შესაბამისია	9/18, 10/20
წინადადების სტრუქტურა		
✓	წერს ერთ მინიმუმ ოთხსიტყვიან წინადადებას	10/20 - რვიდან სამი სიტყვა უწერია სწორად
დიდი ასოები და პუნქტუაცია		
-	ზოგ შემთხვევაში სწორად იყენებს დიდ ასოებს	10/20 - ძირითადად დიდი ასოები
-	ზოგ შემთხვევაში სწორად წერს პუნქტუაციის ნიშნებს წინადადების ბოლოს	10/20 - პუნქტუაციის ნიშნებს არ იყენებს
მართლწერა		
✓	წერს მოკლე წინადადებებს „გამოგონილი“ მართლწერის მიხედვით	10/20
✓	წერს სახელებს და რამდენიმე საყრდენ სიტყვას სწორად	10/20 - დაწერა სახელი, <i>I</i> , <i>GO</i> და <i>the</i> სწორად
✓	წერს სიტყვებს საწყისი და ბოლო თანხმოვნებით	10/20 - რვიდან ექვს სიტყვას სწორი საწყისი და ბოლო ბგერები ჰქონდა
-	წერს ორიოდ სიტყვას ხმოვნის გამოყენებით	ხმოვნები გამოყენებულია მხოლოდ სიტყვებში <i>I GO</i> და <i>the</i>
✓	იწყებს წერილობითი წყაროების გამოყენების სიტყვების დასაწერად	10/20 - დაწერა <i>the</i> სიტყვა Wall-ის გამოყენებით
ხელნაწერი		
✓	ყველა ასოს ამოცნობა შესაძლებელია	10/20 - ყველა ასო, გარდა <i>two</i> -ს ნაცვლად დაწერილი <i>2</i> -სა.
-	ძირითადად იყენებს პატარა ასოებს	10/20 - დიდი ასოები
-	ხაზებს შორის წერის დაწყება	10/20 - არა ხაზებზე
✓	წერს მარცხნიდან მარჯვნივ	9/18 და 10/20 - წერს მარცხნიდან მარჯვნივ
-	იწყებს სწორი მანძილების დაცვას სიტყვებს შორის	10/20 - სიტყვები და ასოები კვლავ შეტყუპებულია

ანალიზი: ეს მოსწავლე პირველ კლასშია. ამ დესკრიპტორებზე დაყრდნობით, ის მე-3 საფეხურზეა წერაში. მისი ნახატი და ტექსტი ერთმანეთს შეესაბამება და გადმოსცემს ამბავს. მან შეძლო თავისი აზრების ჩაწერა. ამ ასოთაგან ბევრი შეესაბამებოდა დასაწყის და ბოლო თანხმოვნებს. მან შეძლო სიტყვა wall გამოეყენებინა სიტყვა the-ს დასაწერად. მოსწავლეს ჯერ კიდევ არ შეუძლია ყველა ბგერის ასოებით გადმოცემა, დიდი და პატარა ასოების სწორად გამოყენება და საერთოდ არ იყენებს პუნქტუაციურ ნიშნებს.

ინსტრუქციები: მოსწავლეს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, ყოველდღიურად ივარჯიშოს თავისი აზრების გამოხატვაში „გამოგონილი“ მართლწერის გამოყენებით. წერისას უნდა წავახალისოთ, რომ წარმოთქვას თითოეული ბგერა და შემდეგ ჩაწეროს იმ ბგერების შესაბამისი ასოები, რომლებიც გაიგო. დაეხმარეთ მათ უცნობი სიტყვების წერისას - მიეცით, მაგალითად, ასოების ლოტო, მათ შორის ხმოვანი ასოებიც. თავიდან მიეცით ფონეტიკურად წესიერი სიტყვები, მაგალითად, dog, თავისივე ტექსტიდან და სთხოვეთ, წაიკითხოს (წარმოთქვას) ასოები, რომლებიც თითოეულ ბგერას შეესაბამება. სიტყვების პატარა ასოებით დასაწერად მიეცით მათ ანბანი, რომელზეც წარმოდგენილია როგორც დიდი, ისე პატარა ასოები. სთხოვეთ მათ, მოძებნონ თითოეული პატარა ასო და გააკეთონ მისი ასლი სიტყვების დასაწერად. გამოიყენეთ მათთვის ნაცნობი წიგნი იმის საჩვენებლად, რომ ყოველი ახალი წინადადება იწყება დიდი ასოთი და ყოველი წინადადება მთავრდება სასვენი ნიშნით. შეარჩევინეთ მას გვერდი საყვარელი ჟურნალიდან, რომელსაც გადაიწერს.

ხელწერის რუბრიკის შეფასება

მიზანი: მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების განსაზღვრა ხელწერის სტანდარტზე დაყრდნობით (მე-4 კლასი).

პროცესის აღწერა: ამ რუბრიკის (იხ. დანართი, გვ. 270) გამოყენება შეიძლება ნებისმიერი ნაწერის ან წერის ნიმუშის შეფასებისას, რათა შევავასოთ მოსწავლის განვითარება ხელწერის თვალსაზრისით. უნდა შევავასოთ იმ კრიტერიუმების გამოყენებით, რომლებიც მოცემულია ქვემოთ. (+) ნიშნით აღნიშნეთ აღმატება, (✓) შეესაბამება და (-) - არ შეესაბამება. გამოიყენეთ სკოლისათვის ადაპტირებული კალიგრაფიისა და გადაბმული ასოების ნიმუშები და შეადარეთ მოსწავლის ხელწერა სტანდარტებს, გამოავლინეთ მისი ძლიერი მხარეები და საჭიროებები. შეფასეთ შემდეგი არეები: ასოების მოხაზულობა, მანძილები ასოებს შორის, მიმართულება, ასოების განლაგება (ადგილის შენაცვლება) და დიდი ასოების გამოყენება. თუმცადა, რადგან წერის მიზანი კომუნიკაციაა, უფრო მეტი აქცენტი გააკეთეთ მკაფიო ნაწერზე და არა კალიგრაფიაზე.

თხზულების შეფასება

მიზანი: მოსწავლის ნაწერის შეფასება მისი აზრების, ნაწერის ორგანიზების, გამოხატვის ინდივიდუალური სტილის, წინადადებების გამართულობის, სიტყვების არჩევანის და მართლწერის/პუნქტუაციის/დიდი ასოების გამოყენების მიხედვით. ეს შეფასება წიგნიერების დონის სრულყოფილად განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია. მასწავლებელსა და მოსწავლეს ის აძლევს საბაზისო მონაცემებს, როგორ შეუძლია მოსწავლეს თავისი აზრების გადაცემა წერილობით. ეს შეფასება შესაძლოა განმეორდეს, მაგალითად, შეფასების ყველა პერიოდში, რათა შევავასოთ მოსწავლის ზრდა და საჭიროებები წერასთან დაკავშირებით.

პროცესის აღწერა: არსებობს სამი ხერხი თხზულების შესაფასებლად: თხზულების შეფასების შეჯამება (რეზიუმე), თხზულების რუბრიკა ავტორისა და მასწავლებლისათვის და წერის პროცესის რუბრიკა ავტორისა და მასწავლებლისათვის.

თხზულების შეფასების შეჯამება (იხ. დანართი, გვ. 271) იძლევა მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების შეჯამებას თხზულების წერისას, რაც ემყარება გარკვეულ მინიშნებებს (კარნახს). შეარჩიეთ, რომელ ჟანრში დაწერს მოსწავლე თხზულებას და შემდეგ დაეხმარეთ შემდეგი ტიპის მინიშნებებით:

- ნარატიული ნიმუშისათვის: “დაწერე შენი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ”;
- აღწერითი ნიმუშისათვის: “დაწერე, რა მოგწონს შენს საყვარელ ლექსში ან სიმღერაში”;
- განმარტებით ნიმუშში: “დაწერე კონკრეტული საკითხის შესახებ ან როგორ უნდა გავაკეთოთ კონკრეტული რაღაც”;
- მტკიცებით ნიმუშში: “დაწერე, რას შეცვლიდი შენს სკოლაში”.

K-1 კლასის მოსწავლეებს სთხოვეთ, ჯერ დახატონ, ხოლო შემდეგ დაწერონ. ვინაიდან ემერჯენტული ნაწერი ძნელი წასაკითხია, სთხოვეთ მოსწავლეებს, წაიკითხონ თავიანთი ნაწერი და თქვენ ჩაიწერეთ მათი ნათქვამი. შეგიძლიათ მოსწავლეებს გააცნოთ თხზულების შეფასების შეჯამება, რათა იცოდნენ, რის მიხედვით შეფასდებიან. აუხსენით, რომ შეაფასებთ როგორც შინაარსს, ისე მართლწერასა და პუნქტუაციას. ამის შემდეგ მოსწავლესთან ერთად შეარჩიეთ თხზულების მიზანი და ჟანრი. დაეხმარეთ მოსწავლეს ზემოთ მოცემული მინიშნებების მსგავსი მინიშნებებით და უთხარით: „მე მინდა, რომ იფიქროთ საკითხზე ან მოვლენაზე, რომელიც თქვენ კარგად იცით. მითხარით, რა საკითხზე გინდათ დაწეროთ. ამის შემდეგ აუხსენით, რომ გადმოსცენ მაქსიმალურად ბევრი დეტალი და სთხოვეთ, წერონ თითო ხაზის გამოტოვებით. დასრულების შემდეგ კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ და შეიტანეთ ცვლილებები, დაეხმარეთ მკითხველებს, რომ გაიგონ თქვენი დაწერილი“. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის დროზე გათვლილი შეფასება, მოსწავლეები წახალისეთ, რომ დაასრულონ წერა და შესწორება მათთვის გამოყოფილ დროში: ეს შეიძლება იყოს კლასების მიხედვით დროის განაწილება (K-1 კლასი: 15 წუთი; მე-2-მე-3 კლასები: 30 წუთი; მე-4-მე-5 კლასები: 45 წუთი; მე-6 - მე-12 კლასები: 1 საათი) ან განვითარების დროის მიხედვით.

ნაწერის ყოველი ელემენტისათვის შეისწავლეთ ინდიკატორები და (+) ნიშნით აღნიშნეთ საუკეთესო, (✓) ნიშნით დამაკმაყოფილებელი და (-) ნიშნით - თუკი სჭირდება მუშაობა ან არასრულყოფილია. მარჯვენა სვეტში ჩაწერეთ აღწერითი განმარტებები თითოეული ელემენტისათვის. ანალიზის სექციაში განსაზღვრეთ ძლიერი მხარეები და საჭიროებები. ასევე, დაწერეთ კომენტარები ნაწერის რაოდენობის (სიგრძის) და წინასწარი ნაწერისა და შესწორებების არსებობის ნებისმიერი მტკიცებულების შესახებ. გააკეთეთ დამატებითი ჩანაწერი, თუკი კალიგრაფია პრობლემურია; შესაძლებელია ხელწერის რუბრიკის (იხ. დანართი; გვ. 270) გამოყენებაც. ამ ინფორმაციის შეფასების გამოყენება შეიძლება გაკვეთილის დასაგეგმად,

რათა ხელი შევუწყოთ სტუდენტის წერის უნარის შემდგომ განვითარებას. თხზულების გამოყენება შესაძლებელია შავ ნაწერად, ხოლო გარკვეული ინსტრუქციების შემდეგ შეიძლება მისი რედაქტირება და შესწორება გამოსაქვეყნებლად.

თხზულების რუბრიკა ავტორისა და მასწავლებლისათვის (იხ. დანართი; გვ. 272) შეიძლება გამოვიყენოთ შინაარსის ელემენტების (იდებები და დეტალები, ორგანიზება, გამოხატვის ინდივიდუალური სტილი, წინადადებების გამართულობა, სიტყვების არჩევანი) და მართლწერის/პუნქტუაციის/დიდი ასოების მიხედვით. გამოვიყენოთ რუბრიკა სახელმძღვანელოდ წერის პროცესში ან მისი დასრულების შემდეგ მოსწავლის ნაწერის საწყისი შეფასებისას. მოხაზეთ მოსწავლე ან მასწავლებელი შეფასების სვეტში. სრული თხზულების წაკითხვის შემდეგ წაკითხეთ თითოეული დესკრიპტორი რუბრიკაში და აღნიშნეთ (+) ნიშნით საუკეთესო, (✓) ნიშნით - დამაკმაყოფილებელი და (-) - სჭირდება გამოსწორება. გახაზეთ თითოეული აღწერითი სიტყვა, რომელიც სწორადაა გამოყენებული. შემდეგ გააანალიზეთ სპეციფიკური მაგალითები თხზულებიდან.

წერის პროცესის რუბრიკა ავტორისა და მასწავლებლისათვის (იხ. დანართი; გვ. 274) გამოვიყენება მოსწავლის წერის პროცესის თითოეული საფეხურის შესაფასებლად, როდესაც ის წყვეტს ნაწერის გამოქვეყნებას.

თხზულების შეფასება წიგნიერების დონის სრულყოფილად განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია. კითხვის სპეციალისტებს ის აძლევს საბაზისო მონაცემებს, როგორ შეუძლია მოსწავლეს თავისი აზრების გადაცემა წერილობით. ეს შეფასება შესაძლოა განმეორდეს, მაგალითად, შეფასების ყველა პერიოდში, რათა შევაფასოთ მოსწავლის ზრდა და საჭიროებები წერასთან დაკავშირებით.

მაგალითი:

One day I was on a hill. As I was going down the hill, I had both feet on the front tire to make it sound like a motorcycle. I started doing a front flip without a helmet.

(ერთ დღეს მე ვიყავი გორაკზე. როდესაც მე ვეშვებოდი გორიდან, ორივე ფეხი წინა ბორბალზე მქონდა, რათა მოტოციკლეტის ხმა გამოეცა. დავიწყე წინა სალტოს გაკეთება ჩაფხუტის გარეშე).

თხზულების შეფასების შეჯამება

მინიშნება: 1-ლი წრე

ნარატიული - „დაწერე შენი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ“.

აღწერითი - „დაწერე ლექსში ან სიმღერა იმის შესახებ, ვინც ან რაც გიყვარს.“

განმარტებითი - „დაწერე კონკრეტული საკითხის შესახებ ან როგორ უნდა კეთდება კონკრეტული რაღაც“.

მტკიცებითი: „დაწერე, რას შეცვლიდი შენს სკოლაში“.

შინაარსი

✓ იდებები და დეტალები: მან აღწერა ოთხი ამბავი გარკვეული დეტალებით, თუმცა არ დაუსრულებია ამბავი.

- ორგანიზება: მან აღწერა ამბის დასაწყისი და მივიდა ამბამდე, თუმცა შემდეგ აღარ აღუწერია და არც დასასრულია წარმოდგენილი.

✓ ავტორის განწყობა: ხვდები, რომ ეს იყო პირადი ისტორია, ამბავი, რომელიც ავტორს შეემთხვა
- წინადადებების გამართულობა: ერთი წინადადება ერწყმის მეორეს. შეცდომით უწერია: “As I was go dawn the hill.” ერთი წინადადება: “I staer did doing a front flip with a owt a hamit” აზრს არ გადმოსცემს, უაზროა.

✓ სიტყვების არჩევანი: გამოყენებული აქვს რამდენიმე ზედსართავი (both, front, motor). მან აღწერა ხმა.

მართლწერა/პუნქტუაცია/გრამატიკა

✓ გრამატიკა: სწორია, გარდა „I staer did doing a front flip...“

✓ პუნქტუაცია: ყველგან სწორია, გარდა წინადადებისა, რომელიც იწყება th “As...”-ით

✓	დიდი ასოების გამოყენება: ყველგან სწორია.
-	მართლწერა: შეცდომათა უმრავლესობის დეკოდირება შესაძლებელია, თუმცა ისინი ჩვეულებრივი სიტყვებია: <i>wos/ was, bowt/ both, tier/ tire, mack/ make, sawnd/ sound, moter/ motor, sicol /cycle, with owt/ without, hamit/ helmet</i> ერთმა შეცდომამ გავლენა მოახდინა მნიშვნელობაზე: <i>staer/ started</i>

სიგრძე: წინადადებების რაოდენობა 4; აზრების რაოდენობა 1 (არასრული);
სიტყვების საშუალო რაოდენობა წინადადებაში: 10; საკითხის გადმოსაცემად შესაფერისი სიგრძე: (დიახ თუ ანა); წინასწარი წერის შესახებ მონაცემები: ამის შესახებ არ უსაუბრია; მონაცემები შესწორებებისა და რედაქტირების შესახებ: მან სწორად შეცვალა *go going*-ით და *dawn down*-ით. მან დაამატა აღწერითი ინფორმაცია *like a motor sicol* (როგორც მოტოციკლეტი) და შეცვალა *with a* შემდეგნაირად: *with out*.

ანალიზი: მოსწავლემ შეძლო თავისი რამდენიმე აზრის გადმოცემა ამბის შესახებ, მაგრამ დაასრულა მოულოდნელად (დაუსრულებლად). მოსწავლემ შეიტანა გარკვეული შესწორებები და გააკეთა რედაქტირება.

ინსტრუქციები: ინსტრუქციები უნდა დაიწყოს ტექსტის ხმამაღლა კითხვით, რათა დარწმუნდეთ, რომ შინაარსის მხრივ ყველაფერი კარგადაა. ამის შემდეგ საჭიროა მუშაობა მოთხრობის დასაწყისზე, შუა ნაწილსა და ბოლოზე. სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ გადახედონ დასაწყის ნაწილს, ეს კარგია დასაწყებად. ფონიკისა და მართლწერის ინსტრუქციები დაიწყეთ სიტყვები, რომლებშიც შედის ხმოვნები, ორი ხმოვნისაგან შემდგარი დიფთონგები და რ-ს მიერ კონტროლირებული ხმოვნები.

ემერჯენტული წერის სტრატეგიები

ემერჯენტული წერა იწყება ჩხაპნით. თუმცა, მოსწავლეები მალე სწავლობენ, რომ წერა შეტყობინების გაგზავნის საშუალებაა, თუ მათ აქვთ შესაძლებლობა, ყოველდღიურად ჰქონდეთ შეხება წერის პროცესის პროცესთან; სხვებს დააწერიან მათი აზრები; აჩვენეთ, რომ წინადადებები შედგება სიტყვებისაგან, სიტყვები - ბგერებისაგან და ბგერების ჩაწერა შეიძლება ასოებით. აუხსენით მოსწავლეებს, რომ თავიანთი აზრების გადმოცემა შეუძლიათ გაგონილი ბგერების ასოებით ჩაწერით. საბავშვო ბაღის (მოსამზადებელი კლასის) მოსწავლეების უმრავლესობა წლის ბოლოსათვის ახერხებს ჩაწეროს სრული წინადადება. ქვემოთ მოცემული სტრატეგიები ეხმარება მოსწავლეებს შეტყობინების (აზრების) გადაცემაში გაგონილი ბგერებისა და ასოების შესატყვისობების გზით. თითოეულ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს დასურათებული ანბანი, რათა გამოიყენონ ნიმუშად ასოების წერისას. კარგია, თუ მოსწავლეებს წერას თავიანთი სახელის წერით დააწყებინებთ, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანი სიტყვაა და საჭიროა ტექსტის ავტორის ან ილუსტრატორის დოკუმენტირებისათვის (ალსარიცხად). ეს სტრატეგიები გამოსადეგია მოსამზადებელი კლასის მოსწავლეებისათვის.

მოსწავლეთა სახელები

მიზანი: საკუთარი სახელების წერის სწავლა, რათა ხელი მოაწერონ თავიანთ ნაშრომებს (K-3 კლასი).

პროცესის აღწერა: ხაზზე დაწერეთ მოსწავლის სახელი და გვარი, გამოიყენეთ სკოლის მიერ შერჩეული კალიგრაფიის სტილი. ანახეთ მათ. აჩვენეთ, როგორ იწერება მათი სახელები და გვარები - პირველი ასო მთავრული ასოთი და დანარჩენი - პატარა ასოებით. დაავალეთ, დაწერონ თავიანთი სახელები და გვარები ფლომასტერით, ცარცით, საღებავით, ფანქრით და კალმით. შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ თავიანთი სახელები და გვარები დააწერონ თავიანთ ნახატებსა და ნაწერებს.

ხატვა და კარნახი

მიზანი: აჩვენეთ მოსწავლეებს, რომ შესაძლებელია მათი ნათქვამის ჩაწერა და ჩანაწერის წაკითხვა (K-2 კლასი).

პროცესის აღწერა: მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დახატავენ ნახატებს, სთხოვეთ მოყვენ ამ ნახატების შესახებ. ჩაწერეთ მათი მონაცემი ფურცელზე სკოლის მიერ შერჩეული კალიგრაფიის სტილის გამოყენებით. შემდეგ წაიკითხეთ თითოეული მათგანის ტექსტი მიუთითეთ თითოეულ სიტყვაზე და სთხოვეთ, „წავიკითხოთ“.

ხატვა და დასათაურება

მიზანი: ბგერებისა და ასოების დაკავშირება სიტყვებში (K-3 კლასი).

პროცესის აღწერა: მიეცით მოსწავლეებს ცარიელი ფურცლები და სთხოვეთ, დახატონ ნახატები და შემდეგ დაასათაურონ. განმავითარებელ საფეხურზე მყოფ მოსწავლეებს ურჩიეთ, დაწერონ საწყისი ბგერის შესაბამისი ასო თითოეული სიტყვისათვის. შეუძლიათ გამოიყენონ დასურათებული ანბანი, რაც დაეხმარება მათ ასოს სწორად შერჩევაში. თუ მოსწავლეები წარმატებით ართმევენ თავს ამ დავალებას, სთხოვეთ დაწერონ ასოები დანარჩენი იმ ბგერებისათვისაც, რომლებიც ესმით. ხშირად ესენი თანხმობენ. საბოლოოდ ისინი იწყებენ შუა ასოების წერასაც.

წინადადების ჩარჩოები

მიზანი: მოსწავლეებისათვის იმ მოდელებისა და სტრუქტურების შეთავაზება, რომლებიც მათ დაეხმარება წინადადებებით წერაში (K-3 კლასი).

პროცესის აღწერა: შეარჩიეთ წინადადება, რომლის დასრულებასაც მოსწავლეები შეძლებენ წიგნში მოცემულ მოდელზე (ნიმუშზე) დაყრდნობით ან საკითხზე დაყრდნობით. დაწერეთ წინადადების ჩარჩო თითოეული მოსწავლის ფურცელზე ან დაფაზე, დატოვეთ ცარიელი ხაზი იმ სიტყვებისათვის, რომლებიც უნდა ჩაწერონ. მაგალითად, *Brown Bear, Brown Bear, What Do You See? ყავისფერო დათვო, ყავისფერო დათვო, რას ხედავ?* ის (მარტინი, Martin, 1967), წაკითხვის შემდეგ მოსწავლეებს შეუძლიათ დაწერონ იგივე წინადადების მოდელი და შეანაცვლონ ფერი და ცხოველი, მაგალითად, Red ant, red ant, what do you see? წითელო ჭიანჭველა, წითელო ჭიანჭველა, რას ხედავ? შემდეგ შეიძლება თავიანთი ნაწერების ილუსტრირება გააკეთონ.

შეტყობინების წერა

მიზანი: წერის პროცესის მოდელირებაზე დაკვირვებით მოსწავლეების სწავლობენ საკუთარი შეტყობინების (აზრის) წერას (K-3 კლასი).

პროცესის აღწერა: როდესაც თქვენ წერთ შეტყობინებას მოსწავლეებისათვის ან მათ ნაკარნახევ შეტყობინებას, დაყავით სიტყვა ბგერებად და დაწერეთ დაფაზე. წარმოთქვით თითოეული სიტყვა ნელა და ზუსტად ისე, როგორც თქვენ დაწერეთ. დააკავშირეთ ნაცნობ სიტყვებთან ან სიტყვების ცალკეულ ნაწილებთან. მაგალითად, უთხარით: „ვაპირებ წერა დავიწყო სიტყვებით *Dear Class*. რომელი ბგერით იწყება სიტყვა *Dear* / d /. როგორ ჩავწერე ეს ბგერა ვინაიდან ეს არის ჩემი მისალმების დასაწყისი, მე გამოვიყენე მთავრული *D*. შემდეგ გავიგე / /, რომელიც იწერება ორი ასოთი *ea*, როგორც სიტყვაში *eat*. ბოლოს კი გავიგე /r/, რომელიც იწერება ასო *r*-თი. ეს სიტყვა დასრულებულია, ამიტომ ვტოვებ სიტყვებს შორის მანძილს. რა არის შემდეგი სიტყვა? *Class*. სიტყვა იწყება /k/ ბგერით და იწერება *c* ასოთი. შემდეგ მოდის /-s/ ორი *s*-თი: *ss*. ამის შემდეგ საჭიროა მძიმე.“ გააგრძელეთ წერის პროცესის მოდელირება შეტყობინების დასრულებამდე და შემდეგ ერთად (გუნდურად) წაიკითხეთ მთელი ტექსტი.

ადაპტირება: მოსწავლეები მორიგეობით კარნახობენ შეტყობინებას და მასწავლებელი კი წერის მოდელირებას აკეთებს.

ემერჯენტულ დონეზე წერა ჟურნალისათვის

მიზანი: მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცეთ, რომ ყოველდღე წერონ ჟურნალისათვის (K-3 კლასი).

პროცესის აღწერა: ეს უნდა იყოს თავისუფალი წერა. ზოგჯერ ძალიან ეხმარება მოსწავლეებს, როდესაც ისინი ხატავენ რაღაცას და შემდეგ წერენ მის შესახებ. უცნობი სიტყვების დასაწერად ასწავლეთ მოსწავლეებს, რომ ნელა წარმოთქვან სიტყვა და შემდეგ კი ჩაწერონ ასოები ყველა იმ ბგერისათვის, როლებიც გაიგეს. მათ შეუძლიათ სხვადასხვა რესურსის გამოყენება. ეს რესურსებია: სიტყვების კედელი, პირადი ლექსიკონი და პოსტერები. მასწავლებელს მომზადებული უნდა ჰქონდეს ფერების, რიცხვებისა და თემატური სიტყვების ცხრილი. თუ თქვენ აწარმოებთ პირად ჟურნალს, გაუზიარეთ თქვენს მოსწავლეებს მისი რომელიმე ნაწილი და სთხოვეთ მათ, დაწერონ თავისი დღის შესახებ.

ემერჯენტულ დონეზე ფუნქციონალური წერა

მიზანი: ავთენტური მიზნებისათვის შექმნილი ტექსტების წერის შესაძლებლობის მიცემა (K-2 კლასი).

პროცესის აღწერა: მოსწავლეები აკეთებენ პროდუქტების სიას, წერენ დღის განმავლობაში გასაკეთებელი საქმეების სიას, სამადლობელ ბარათებს... ისინი თავად წყვეტენ, რა უნდა დააწერონ წერილებს, სამადლობელ ბარათებსა და მოსაწვევებს. მოამზადეთ ქვითრები, რეცეპტები, თვითმფრინავის ბილეთები, მენიუ და პროდუქტების სია თქვენს მოსწავლეებისათვის დასაწერად, სანამ ისინი თამაშობენ.

ხელით წერის სტრატეგიები

თუმცა ხელით წერა წერის პროცესის არცთუ მნიშვნელოვანი ნაწილია, საჭიროა მასზე ყურადღების გამახვილება. წერის მიზანია აზრების გადაცემა და თუ მკითხველი ადვილად ვერ კითხულობს დაწერილს, საჭიროა მან, ვინც წერს, გამასწოროს ხელწერა. აქ წარმოდგენილია რამდენიმე სტრატეგია.

საწერი მოწყობილობა: წერის ემერჯენტულ დონეზე მყოფი მოსწავლეებისათვის ან მათთვის, ვისაც მოტორიკული კოორდინაციის მცირე პრობლემები აქვთ, შეარჩიეთ მსხვილი დიამეტრის ფანქრები, კალამი, ფლომასტერი ან ცარცი. ცვალებით საწერი იარაღები მოსწავლეთა გასახალისებლად. თუ მოსწავლეს არასწორად უჭირავს საწერი ინსტრუმენტი ან ჩაბღუჯული აქვს, წამოაცვით ფანქარს სპეციალური მოწყობილობა. არსებობს ისეთებიც, რომლებსაც ყოველი თითისათვის საგანგებო წამოსაცმელი აქვთ. ამით მოსწავლეები მიეჩვევიან საწერი იარაღების სწორად ჭერას.

ფურცელი: წერის ემერჯენტულ დონეზე მყოფ მოსწავლეებთან მუშაობა დაიწყეთ დაუხაზავ ფურცლებზე, სანამ მათ მიერ დაწერილი ასოები იმ ზომის არ გახდება, რომ ხაზზე დაეტიოს. დაიწყეთ ფართო დახაზული ფურცლებით და შემდეგ, უფრო მოზრდილებთან, გადადით სტანდარტულ, რვეულის ზომის ფურცლებზე. ზოგჯერ დაწყებითი კლასის მოსწავლეთათვის განკუთვნილ რვეულებს აქვთ ამობურცული და ფერადი ხაზები, მაგალითად, მწვანე ბოლოში, ყვითელი შუაში და ლურჯი თავში. ეს ძალიან კარგია, როდესაც მოსწავლეებთან ასოების მოხაზულობაზე მუშაობთ.

ასოების მოხაზულობა: დაიწყეთ დიდი ასოების მოხაზვა ჰაერში, შემდეგ ტროტუარებზე ცარცით ან საღებავით, რომელიც წყლით ირეცხება და ბოლოს კი ფურცელზე. წერის პროცესში სთხოვეთ მოსწავლეს, დაასახელოს ასოს სახელი და ბგერა(ბგერები), რომელიც ამ ასოთია გამოხატული. თუმცა დ'ნეალიანის ხელწერის სტილი ძალიან პოპულარულია სკოლებში, მე დავაკვირდი, რომ ზანერ-ბლოსერი ან წრისა და ჯოხის სტილი უფრო ადვილია მოსწავლეებისათვის. კარგია, თუ მოსწავლეებს ერთად ასწავლით იმ ასოების წერას, რომლებიც ერთნაირი მოძრაობით იწერება. მოსწავლეებმა თვითონვე უნდა შეაფასონ თავიანთი კალიგრაფია. დააწერონ ღიმილაკი იმ სიტყვას ან ასოს, რომელიც საუკეთესოდ გამოუვიდათ. შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ დასხდნენ მოხერხებულად, ფეხები დააწყონ იატაკზე და სკამს მიეყრდნონ. ერთ-ერთი ტექნიკა შემდეგია: ასოების, სიტყვების ან წინადადებების დაწერა ფლომასტერით, რომელიც ფერს ცვლის. სთხოვეთ მოსწავლეებს, გამოიყენონ სხვა ფლომასტერი, რომელსაც ზემოდან გადაუსვამენ ნაწერს და შეცვლის თავდაპირველ ფერს. ეს ეფექტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლე ხელს აყოლებს ორიგინალ ნაწერს. შეგიძლიათ დაუმატოთ ტექსტურა ასოებს, რომ მოსწავლეებმა პასტელით დაწერონ ასოები ლუმინისცენციური ნათების სანათზე.

სთხოვეთ მოსწავლეებს, თითი გააყოლონ ასოებს, რომლებსგანაც მათი სახელი შედგება და მაღალი სიხშირით გამოყენებულ სიტყვებს, ამისთვის გამოიყენონ ტექსტურიანი ასოები ან ფლომასტერები,

რომლებიც ფერს იცვლის. რაც უფრო ადრე იწყებენ მოსწავლეები წერას, მით უკეთესია. თქვენი აზრების გაცნობა სხვებისათვის მამოტივირებელი ფაქტორია გარკვეულად წერისათვის.

მანძილები სიტყვებს შორის: მოსწავლეები იყენებენ სიტყვებს შორის მანძილის დასადგენად თითებს ან სპეციალურად მომზადებულ, მოხატულ ჯოხს, რათა დარწმუნდნენ, რომ სიტყვებს შორის მანძილები სწორადაა დატოვებული.

არეები: მოსწავლეები კეცავენ მარცხენა და მარჯვენა არეს. მათ მასწავლებელმა უნდა აუხსნას, რომ არ გადასცდნენ არეს. მოსწავლეებს ურჩიეთ, რომ ყოველი ახალი სიტყვა დაიწყო ახალ ხაზზე, ნაცვლად იმისა, რომ გადაიტანონ.

თხზულების წერის სტრატეგიები

როუტმანი (2005) აღწერს ხუთ მნიშვნელოვან აქტივობას, რომლებსაც ის მიმართავს, რომ მისმა მოსწავლეებმა კარგად ისწავლონ წერა:

- იმის დემონსტრირება, რომ წერისას ყოველთვის ვფიქრობ მკითხველზე და წერის პროცესს ვხედავ გამჭვირვალეს
- ვაკავშირებ წერას კითხვასთან ლიტერატურის საშუალებით და ყურადღებას ვამახვილებ, რას აკეთებენ ავტორები
- შესაძლებლობას ვაძლევ მოსწავლეებს, თავად აირჩიონ საკითხი, რომელიც აინტერესებთ და ვაძლევ მათ დროს, ისაუბრონ და წერონ მათ შესახებ
- ვასწავლი მოსწავლეებს სტრატეგიებს, რომლებიც მათ სჭირდებათ შავი ნაწერის, რედაქტირების, დახვეწისა და გამოქვეყნებისათვის
- რეგულარულად ვეთათბირები მოსწავლეებს მათ შესაფასებლად: გამოვავლენთ ძლიერ მხარეებს, ვუბრუნებ უკუკავშირს და ვსახავთ საერთო მიზნებს (გვ. 8).

მართული (ხელმძღვანელობით) წერის ბლოკი

წყარო: ფოუნტასი და პინელი (1998).

მიზანი: ისეთი ინსტრუქციების შეთავაზება, რომ მოსწავლეებმა შეიძინონო გამოცდილება ერთობლივად წერაში, ხელმძღვანელობით წერასა და დამოუკიდებლად წერაში (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: ერთობლივად წერისათვის იმუშავეთ მოსწავლეებთან გზავნილის (ინფორმაცია, აზრი, რომლის გადაცემაც უნდათ) და ამბის დასაწერად; შემდეგ ეტაპზე კი ხელი წაშველეთ. ინტერაქტიული წერისას, ისევე როგორც ერთობლივად წერის დროს, თქვენ და მოსწავლეები ერთად წერთ შეტყობინებებსა და ამბებს „საზიარო კალმის“ ტექნიკის გამოყენებით, რაც მოსწავლეებს რთავს წერის პროცესში. ხელმძღვანელობითი წერის ანუ „მწერალთა სახელოსნოს“ პირობებში მოსწავლეები წერის პროცესში რთავენ სხვადასხვაგვარ ტექსტს. თქვენ ხელმძღვანელობთ პროცესს და ასწავლით მინიგაკვეთილებისა და საკლასო კონფერენციების გზით. დამოუკიდებლად წერისას მოსწავლეები თავად წერენ, მათ შორის ამბებს, საინფორმაციო ტექსტებს, ასათაურებენ, რაღაცის სიას და ა. შ.

წერის პროცესი

მიზანი: წერის უნარის გაუმჯობესება წერის პროცესის თითოეული საფეხურის გამოყენებით (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: წერის პროცესში არსებობს მრავალი საფეხური, რაც რესურსებზე დამოკიდებულია. სწავლების პროცესში მე ვიყენებ შემდეგ საფეხურებს: წერის წინა საფეხური; შავი ნაწერის შექმნა; განხილვა; შესწორება; რედაქტირება და საბოლოოდ გამოქვეყნება და გაზიარება. თითოეულ ამ საფეხურს შორის საჭიროა გადაკითხვა. თუმცა, არსებობს ბევრი სტრატეგია ჟანრიდან და მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა გადაიკითხონ თავიანთი ნაწერები, რათა დარწმუნდნენ, რომ ის ზუსტად და ნათლად გადასცემს ინ შეტყობინებას (ინფორმაციას), რომლის გადაცემაც მათ სურთ. წერის უნარების გასაუმჯობესებლად მოსწავლეებმა უნდა წერონ ყოველდღიურად და სხვადასხვა მიზნისათვის. მათ უნდა

მივცეთ წასაკითხად ინ ტიპის ტექსტის ნიმუში, რომლის დაწერასაც აპირებენ. მოსწავლეების შესაფასებლად წერის თითოეულ საფეხურზე შეიძლება გამოიყენოთ „წერის პროცესის რუბრიკა ტექსტის ავტორისა და მასწავლებლისათვის“ (იხ. დანართი; გვ. 274). თუმცა ყველა ნაწერი არ ქვეყნდება, რომელი ნაწერების გამოქვეყნებაც არ ივარაუდება, მათ არ სჭირდებათ მთელი ამ პროცესის გავლა.

ქვემოთ მოცემულია სტრატეგიები, რომელიც ეხმარება წერის უნარების განვითარებას წერის პროცესის თითოეულ საფეხურზე.

სტრატეგიები წერის წინა საფეხურისათვის: წერის წინა საფეხურზე მოსწავლეები განსაზღვრავენ მიზანს, აუდიტორიასა და ტექსტის ჟანრს (ნარატიული, აღწერითი, განმარტებითი, მტკიცებითი თუ პოეტური), შემდეგ აყალიბებენ თავიანთ მოსაზრებებს საკითხთან დაკავშირებით. მოსწავლეებმა უნდა წერონ ავთენტური მიზნებისათვის. წერა ადამიანებს ეხმარება იდეების, ურთიერთობების, კავშირებისა და მოდელების აღმოჩენაში თავიანთ ცხოვრებასა და სამყაროში. წერა ხელს უწყობს კომუნიკაციას აუდიტორიასთან აზრებისა და ინფორმაციის გაზიარებით. აუდიტორია შეიძლება იყოს თანაკლასელები, განათლების მუშაკები, ოჯახი, საზოგადოება, საქმიანი ადამიანები ან ის ადამიანები, რომლებთანაც კონტაქტი მათ შეიძლება არასოდეს ჰქონდეთ. სწავლების პროცესში მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ და შეისწავლონ „მწერლური“ ხერხები იმ ჟანრის მაგალითებიდან, რომელშიც აპირებენ წერას. ამის შემდეგ მოსწავლეები გონებრივი იერიშის გზით ჩამოაყალიბებენ საკითხთან დაკავშირებულ იდეებს, ესაუბრებიან სხვებს, რის დაწერა უნდათ, ხატავენ ნახატებს, ამზადებენ მთავარი იდეების გრაფიკულ ორგანიზატორებს და გეგმის სახით ჩამოწერენ იდეებს თანამიმდევრულად. წერის პროცესის დაგეგმვისას სტუდენტებს შესაძლოა დასჭირდეთ კვლევა, საკითხის შესახებ ლიტერატურის წაკითხვა, ინტერვიუების აღება საკითხთან დაკავშირებით, აქცენტის დავიწროება და გადაწყვეტილების მიღება, რა უნდა ჩართონ ნაწერში. როგი (Rog; 2007) აღწერს მრავალფეროვან სტრატეგიებს წერის წინა საფეხურისათვის: მაგალითად, საკლასო ცხრილის მომზადება, რომელზეც დატანილი იქნება საერთო გამოცდილებები; გაყავით ფურცელი ოთხ ნაწილად და სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ თითოეულ მათგანში უცხად ჩახატონ ნახატი (მაგალითად, საყვარელი ადამიანი, განსაკუთრებული ადგილი, საყვარელი საქმელი, ან ნებისმიერი რამ, რაც მათ უნდათ) და BINGO-ს ბარათების მომზადება, რომლებზეც დაწერილი იქნება იდეები ამბის დასაწყისისათვის.

სტრატეგიები შავი ნაწერის შექმნისათვის: შავი ნაწერის პირველი ვერსიის შექმნისათვის მოსწავლეები წერენ თავიანთ თავდაპირველ აზრებს სრული წინადადებებით. აუხსენით მოსწავლეებს, რომ პირველი შავი ნაწერი შესაძლოა იყოს თავისუფალი წერის ნიმუში, როდესაც ისინი დროის გარკვეულ პერიოდში უწყვეტად წერენ. ასევე, ეს შეიძლება იყოს წერის წინა გრაფიკულ ორგანიზატორებზე ან გეგმაზე დაყრდნობით წერა. ხანდახან ეფექტურია, თუ მოსწავლეები დაწერენ თითო ხაზის გამოტოვებით, რათა ჰქონდეთ ადგილი შესწორებებისა და რედაქტირებისათვის. პირველ ეტაპზე მოსწავლეებმა აქცენტი უნდა გააკეთონ შინაარსზე და არ უნდა იზრუნონ მართლწერაზე. თუ მათ არ იციან, როგორ იწერება სიტყვა, უნდა გამოიყენონ „გამოგონილი“ მართლწერა. ამისთვის ხმამაღლა უნდა წარმოთქვან სიტყვა ბგერებად და დაწერონ თითოეული ბგერის შესაბამისი ასო. ბოლოს ეს სიტყვა უნდა ჩასვან წრეში და დაუბრუნდნენ ბოლოს. ამ საფეხურზე იდეები გაცილებით მნიშვნელოვანია. შავი ნაწერის შექმნის ერთ-ერთ სტრატეგიას გვთავაზობს როგი (2007). ეს არის „ხუთი თითით დაგეგმვა“ (Five-Finger Planner): მოსწავლეები ხატავენ თავიანთი ხუთი თითის კონტურს. ხელისგულზე წერენ საკითხს/თემას, თითოეულ თითზე ამ საკითხთან დაკავშირებულ დეტალებს, ხოლო ცერა თითზე თავიანთ დამოკიდებულებას ამ საკითხთან დაკავშირებით. ამის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ, რა დაწერეს, რათა დარწმუნდნენ, რომ სწორად ჩამოაყალიბეს, რის თქმასაც აპირებდნენ.

განხილვის სტრატეგიები: ამ საფეხურზე, რომელიც რამდენჯერმე შეიძლება განმეორდეს, მოსწავლეები თავიანთ ნაწერს აჩვენებენ თავდაპირველად თავიანთ პარტნიორებს, შემდეგ კი მასწავლებელს უკუკავშირის მისაღებად. უკუკავშირი უნდა შეიცავდეს ნაწერის ძლიერი მხარეების იდენტიფიცირებას. ამას უნდა მოჰყვებოდეს კითხვები იდეებისა და ორგანიზაციული მახასიათებლების შესახებ. რედაქტირების საკითხი განიხილეთ ბოლო განხილვამდე, რომელსაც გამოქვეყნების წინ ჩაატარებთ. თანაკლასელებმა (თანატოლებმა) და მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენონ „იფიქრე ხმამაღლა“ სტრატეგია. ამ დროს ისინი პასუხობენ ან სვამენ შეკითხვებს მოსწავლის ნაწერის შესახებ მისი კითხვის პროცესში. ამ პროცესის მოდელირება თავდაპირველად შეიძლება საკუთარ ნაწერზე ფიქრის დროს, ხოლო შემდეგ ეტაპზე ამავე პროცესის გამოყენება შეიძლება შესწორების საფეხურზე.

შესწორების სტრატეგიები: შესწორება შემდეგი საფეხურია, როდესაც მოსწავლეები კითხულობენ შავ ნაწერს და ასწორებენ შინაარსობრივად. მოსწავლეებმა რამდენჯერმე უნდა გადაიკითხონ და აქცენტი გააკეთონ სპანდელის (Spandel, 2004) 6-პუნქტიანი მოდელის (შინაარსის ელემენტები (იდეები და დეტალები), ორგანიზება, გამოხატვის ინდივიდუალური სტილი, წინადადებების გამართულობა, სიტყვების არჩევანი) და მართლწერის/პუნქტუაციის/დიდი ასოების მიხედვით) პირველ ხუთ პუნქტზე. მოსწავლეები

იწყებენ იდეების დაზუსტებას, შემოწმებას, ზუსტი და სრულყოფილია თუ არა. შესაძლოა, მათ სჭირდებოდეთ ინფორმაციის ორგანიზება და თანმიმდევრობით დალაგება. ნაწერის ჟანრისა და სტილიდან გამომდინარე, მოსწავლეებმა შეიძლება ჩართონ სპეციფიკური ენობრივი და სტრუქტურული ელემენტები. ნაწერი უნდა შეიცავდეს აღწერით და საკითხთან დაკავშირებულ ლექსიკას. ნაწერში უნდა ჩანდეს ავტორისეული გამოხატვის ინდივიდუალური სტილი, ავტორმა უნდა შეარჩიოს საინტერესო და ზუსტი სიტყვები. წინადადებების გამართულობისათვის მოსწავლეებს შეუძლიათ სხვადასხვა ტიპის წინადადებების სტრუქტურებისა და გადასვლების გამოყენება, რომ ერთი აზრიდან მეორეზე გადავიდნენ. შესაძლებელია წინადადებების გაერთიანებისა და გაფართოების სპეციფიკური სტრატეგიების გამოყენება (იხ. მოგვიანებით ამავე თავში).

რედაქტირების სტრატეგიები სიტყვათა შერჩევისათვის: გადაიკითხეთ იმის შესამოწმებლად, არის თუ არა სიტყვები ზუსტი, კონკრეტული და საინტერესო. ერთი სტრატეგიაა თითოეულ წინადადებაში გამოყენებული სიტყვების ცხრილის მომზადება. ცხრილში სათაურებად გაიტანეთ პირველი სიტყვა, სახელი, ზმნა, ზედსართავი, ზმნიზედა ან სიტყვათა რაოდენობა წინადადებაში. თითოეული წინადადებისათვის ჩაწერეთ სიტყვები ჰორიზონტალურად. როდესაც ცხრილი შეივსება, ნათელი გახდება, იყენებთ თუ არა განსხვავებულ საწყის სიტყვებს, სწორად შერჩეულ ზმნებსა და საინტერესო ზედსართავებსა და ზმნიზედებს და განსხვავებული ზომის წინადადებებს და სხვადასხვა სიგრძის წინადადებებს.

გრამატიკის, პუნქტუაციისა და მართლწერის რედაქტირების სტრატეგიები: მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ საკონტროლო ჩამონათვალები, მაგალითად, საწყის დონეზე ნარატივის შესწორებისა და რედაქტირების საკონტროლო ჩამონათვალი ან საკონტროლო ჩამონათვალი უფრო უფრო მაღალი დონისათვის

(იხ. დანართი; გვ. 275-276), რაც დაეხმარება მათ, აქცენტი გააკეთონ რედაქტირების ერთ კონკრეტულ ტიპზე ერთ ჯერზე. საკონტროლო ჩამონათვალის წარდგენისას შეარჩიეთ ტექსტი, რომელიც მისაღებია ჟანრის თვალსაზრისითაც და კლასის დონის მიხედვითაც. განიხილეთ ჩამონათვალის თითოეული ელემენტი და ერთად შეაფასეთ ნაწერი. შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, მეწყვილესთან ერთად შეაფასონ ნაწერი, საბოლოოდ კი მოსწავლეები ინდივიდუალურად მუშაობენ. მოსწავლეებმა უნდა გადაიკითხონ თავიანთი ნაწერები რამდენჯერმე სხვადასხვა მიზნით. პირველ გადაკითხვაზე ყურადღება უნდა გაამახვილონ წინადადების სტრუქტურაზე. კიდევ ერთი სტრატეგიაა ბოლოდან თავისკენ კითხვა, სიტყვასიტყვით. ეს ეხმარება არასრული ან უაზრო (აზრის არშემცველი) წინადადებების გამოვლენას. თითოეული წინადადება ყურადღებით უნდა შევამოწმოთ პუნქტუაციის თვალსაზრისით. თავდაპირველად წარმოთქვით სიტყვა და დარწმუნდით, რომ ყველა ბგერა დაწერილია. მართლწერისათვის საუკეთესო სტრატეგიაა რესურსების გამოყენება. მოსწავლეებმა უნდა ხედავდნენ, რომ სიტყვა, რომლის დაწერაც უნდათ, შეტანილია წიგნში ან სიტყვების კედელზე. ამის შემდეგ შეუძლიათ ლექსიკონებისა და მართლწერის შემოწმებელი ელექტრონული პროგრამების გამოყენება.

მოსწავლეებს შეუძლიათ რედაქტირებისა და შესწორების სანიშნეების გამოყენება (იხ. დანართი; გვ. 277). პირველი სანიშნე ემერჯენტული დონისათვისაა განკუთვნილი, ხოლო მეორე - ნარატიული/ამბების ტექსტის შესამოწმებლად და რედაქტირებისათვის. წერის წინ გაიარეთ თითოეული საფეხური მოსწავლეებთან ერთად. წერის პროცესში მოსწავლეები იყენებენ საკონტროლო ჩამონათვალს და წერის დასრულების შემდეგ თავადვე აფასებენ საკუთარ ნაწერს. ხაზი გაუსვით, რომ პირველი ნაბიჯი არის დაწერილის გადაკითხვა. ეს არის მოსწავლეთა წერილობითი ნამუშევრის გამოსწორების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

გაზიარებისა და გამოქვეყნების სტრატეგიები: მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს ჰყავდეთ აუდიტორია, რომელიც მათ ნაწერს წაიკითხავს. მოსწავლეებმა ზეპირად უნდა გააცნონ სხვებს თავისი ნაწერი ან გახადონ ხელმისაწვდომი კლასში, ბიბლიოთეკაში, გაზეთში ან ონლაინპუბლიკაციის სახით წასაკითხად. ახალგაზრდა ავტორთა კონფერენცია, რომელიც აშშ-ს შტატების უმრავლესობაში იმართება, კიდევ ერთი ფორუმი, სადაც მოსწავლეები ერთმანეთს თავიანთ ნაწერებს უზიარებენ. *ავტორის სკამის* სტრატეგია შემდეგში მდგომარეობს: მოსწავლე ზის სკამზე კლასის წინ და აცნობს თანაკლასელებს თავის ნაწერს. აუდიტორია უსვამს შეკითხვებს ავტორს და პირიქით. მოსწავლეებს შეუძლიათ წაუკითხონ ნაწერი თანატოლებს, უმცროსი კლასის მოსწავლეებს და თავიანთი ოჯახის წევრებს. უფრო მეტიც, მოსწავლეებს შეუძლიათ მოაწყონ წარმოდგენა პოეზიის ან შემოქმედებითი წერის/კითხვის მიხედვით. მოსწავლეებს მოსწონთ, როდესაც ილუსტრირებას უკეთებენ თავიანთ ნაწერებს და შემდეგ კინძავენ წიგნად. აკინძვისას შეიძლება გამოიყენონ სტეპლერი, მიაწებონ ან შეკერონ. ყდად შეიძლება ჩვეულებრივი ქაღალდის, მუყაოს, ნაჭრის ან სხვა რომელიმე ტიპის ქაღალდის გამოყენება. წიგნები შეიძლება მომზადდეს სხვადასხვა ფორმისა

და ზომის. წიგნები შეიძლება გამოიფინოს კლასში ან სკოლის ბიბლიოთეკაში, რათა სხვებმაც ნახონ და წაიკითხონ.

წერილობითი ტექსტების პორტფოლიო

მიზანი: არსებობს ნაწერების (წერილობითი ტექსტების) ორი ტიპის პორტფოლიო: პროცესის და საჩვენებელი. პროცესის პორტფოლიო გამოიყენება მოსწავლეთა წერის პროცესის ხელმძღვანელობისათვის და მის შესაფასებლად. ის იძლევა მონაცემებს წერის პროცესში კონკრეტული, სპეციფიკური ინსტრუქციების მიწოდების შესახებ. საჩვენებელი პორტფოლიო მოსწავლეების მიერ გამოქვეყნებული ნაწერებისათვის გამოიყენება (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: მოსწავლეები თვითონვე ქმნიან საკუთარ პორტფოლიოს. ისინი ამზადებენ ყდას და აწერენ თავიანთ სახელებს. წერის პროცესის პორტფოლიო შესაძლოა შეიცავდეს ბევრ დოკუმენტს, მათ შორის მოსწავლის მიერ შედგენილ საკითხების სიას, რომლებზეც აპირებს წერას; ღია დაბოლოებიანი მინიშნებები; ნახატები და გრაფიკული ორგანიზატორები ნაწერის დასაგეგმად; იმ ავტორებისა და წიგნების ჩამონათვალი, რომელთა სტილიც მოსწავლეებს მოსწონთ; საინტერესო სიტყვების ჩამონათვალი, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია წერის პროცესში (ზმნები, ზმნიზედები, ზედსართავები); მაღალი სიხშირით გამოყენებული სიტყვების ჩამონათვალი, რომელსაც მოსწავლეები მართლწერისათვის გამოიყენებენ; შესწორებისა და რედაქტირების შესამოწმებელი საკონტროლო სია; მოსწავლეთა ნაწერების შესახებ ჩანაწერები; მოსწავლეთა ჟურნალისათვის დაწერილი და წერის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე დაწერილი ტექსტები; განხილვის ფორმები და ნაწერის შეფასებები, მაგალითად, თხზულების შეფასების შეჯამება (იხ. დანართი; გვ. 271); თხზულების შეჯამების რუბრიკა (იხ. დანართი; გვ. 272) და წერილობითი პროცესის რუბრიკა წერილობითი ტექსტის ავტორისა და მასწავლებლისათვის (იხ. დანართი; გვ. 274). წერის პროცესის პორტფოლიო უნდა გამოიყენებოდეს ყოველდღიურად. საჩვენებელი პორტფოლიო შეიცავს სარჩევს და მოსწავლეების გამოქვეყნებულ ნაწერებს, გამოქვეყნების თარიღებს. ამდენად, თქვენ და თქვენს მოსწავლეებს საშუალება გექნებათ, დააკვირდეთ დროის განმავლობაში მიღწეულ პროგრესს.

წერილობითი ტექსტების ჩანაწერები

წყარო: სოლეი (2000).

მიზანი: მოსწავლის ნაწერების შეახებ ჩანაწერის წარმოება (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: მოსწავლეები ცხრილში ყოველდღიურად წერენ შემდეგი ტიპის ინფორმაციას: თარიღი, საკითხი და წერის საფეხური; მომდევნო დღის გეგმები, კარგად შესრულებული სამუშაო და რაზე მუშაობაა საჭირო.

მაგალითი:

თარიღი	საკითხი და წერის საფეხური	რაზე მუშაობა მინდა ხვალ
9/10	ჩვენი კემპინგის ტურის შესახებ ტექსტის პირველი ვერსია	ტექსტის გადაკითხვა და შესწორება
კარგად შემოიღია	ვმუშაობ ამ საკითხზე	ვგეგმავ, რომ ვისწავლო
წერის პროცესის განმავლობაში არ ავცდენივარ საკითხს, ვიყავი ფოკუსირებული საკითხზე.	დავამატო ბანაკის გარემოს აღსაწერად დეტალები და გადმოვცე, როგორ შემოდიოდა ენოტი კარავში.	გართობის აღმნიშვნელი ახალი სიტყვები.

ცალკეული ეპიზოდების შესახებ ჩანაწერები

მიზანი: მოსწავლეების წერის პროცესზე თქვენი დაკვირვებები ჩაწერა. მაგალითად, მათი აზროვნებისა და სხვებთან ინტერაქციის პროცესი (მე-3 და უფრო მაღალი კლასები).

პროცესის აღწერა: დაწერეთ ცალკეული კომენტარები მოსწავლეთა აზროვნებისა და წერის პროცესის შესახებ (იხ. დანართი; გვ. 281).

წყვილებში (ერთობლივად) განხილვის შეჯამება

მიზანი: სტუდენტების დახმარება წყვილებში (ერთობლივად) რედაქტირებაში. ამ ტიპის ჩანაწერები შესაძლოა იყოს მოსწავლეთა წერის პორტფოლიოს ნაწილი (მე-2 და უფროსკლასელები).

პროცესის აღწერა: მოსწავლეები წყვილებში სვამენ და პასუხობენ კითხვებს განხილვის შეჯამების შესახებ ფორმიდან (იხ. დანართი; გვ. 262). თხზულების შეფასება (იხ. გვ. ///) შეიძლება ჩაატაროს შეფასების თითოეული პერიოდის ბოლოს და შემდეგ გააანალიზოთ მოსწავლის წერის თვალსაზრისით განვითარების ზრდა და საჭიროებები დროის პერიოდში.

წერილობითი ჟანრების სტრატეგიები

მიზანი: მოცემული ჟანრის ტექსტის წერისას შესაფერისი სტრუქტურებისა და ელემენტების გამოყენება (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: თითოეული ჟანრის გაცნობისას ხმამაღლა წაუკითხეთ ამ ჟანრის ეფექტური ტექსტი და განიხილეთ თითოეული მათგანის ელემენტები. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შეაფასებენ და უნდა გავაცნოთ და ავუხსნათ რუბრიკის ან საკონტროლო ჩამონათვალის ელემენტები (წერილობითი ჟანრის ელემენტები 6.1 ცხრილში იმის საიდენტიფიკაციოდაა, თუ რომელი სპეციფიკური ელემენტები უნდა ასწავლოთ ამა თუ იმ ჟანრში).

მართული (ხელმძღვანელობით) წერის პროცესი

წყარო: სმიტი და ბეანი (1980), ციტირებულია ტიერნისა და რეადენსთან (2000).

მიზანი: შინაარსის დაკავშირებით მოსწავლის შეფასება და შინაარსისა და წერილობითი გამოხატულებების სწავლება ხელმძღვანელობით, ინსტრუქციების გზით. ეს აიოლებს ტექსტური მასალის სინთეზსა და დამახსოვრებას (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: პირველ რიგში, ჩაიწერეთ ყველაფერი, რასაც მოსწავლეები ამბობენ, რა უნდა შეისწავლონ საკითხის შესახებ. ამის შემდეგ მოსწავლეები წერენ მთავარი იდეისა და დეტალების მონახაზს ან ამზადებენ გრაფიკულ ორგანიზატორს და წერენ ერთ-ორ პარაგრაფს. მასწავლებელი აანალიზებს ტექსტს შინაარსისა და მართლწერის მიხედვით. ამისთვის ის იყენებს თხზულების რუბრიკას ტექსტის ავტორისა და მასწავლებლისათვის (იხ. დანართი; გვ. 272), შემოწმებისა და რედაქტირების საკონტროლო კითხვების ჩამონათვალს (იხ. დანართი; გვ. 275), ან თქვენ მიერ შედგენილ ჩამონათვალს, რომელიც შექმნილია ჟანრისა და წერის მიზნების მიხედვით. რუბრიკისა და საკონტროლო კითხვების ჩამონათვალის შესაქმნელად მოსწავლეებთან ერთად განიხილეთ და ჩამოაყალიბეთ კრიტერიუმები, ინდიკატორები და სკალები. კარგია, თუ კლასს მისცემთ წერილობით ნაშრომებს და გამოიყენებენ რუბრიკას ან საკონტროლო კითხვების ჩამონათვალს. წერის დაწყების, განვითარებისა და დასრულებისათვის შევქმენი თხზულების წერის რუბრიკა ტექსტის ავტორისა და მასწავლებლისათვის, ასევე - ტექსტის ავტორისა და მასწავლებლისათვის (იხ. დანართი; გვ. 272-274). ანგარიშის წერისათვის შევადგინე ანგარიშის წერის საკონტროლო კითხვების ჩამონათვალი

შესწორებისა და რედაქტირების საკონტროლო კითხვების ჩამონათვალი (იხ. დანართი; გვ. 275-276). ამისათვის გამოვიყენე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით პროექტზე დაფუძნებული სწავლების ვებგვერდი (Project Based Learning website by Advanced Learning Technologies (2006),

pbllchecklist.4teachers.org). ეს ვებგვერდი საშუალებას იძლევა, შეარჩიოთ კრიტერიუმები და თავადაც დაამატოთ ისინი საკონტროლო კითხვების ჩამონათვალს ან რუბრიკას, რომლებითაც სხვადასხვა ნაწერს ან პროექტს შეაფასებთ. შინაარსისა და წერილობით გადმოცემის სასწავლად მოსწავლეები კითხულობენ საკითხის შესახებ ტექსტიდან. თვალსაზრისო ადგილას გამოფინეთ გეგმა ან გეგმების მიხედვით შექმნილი კომპილაციური ვარიანტი, ასევე რუბრიკა ან საკონტროლო კითხვების ჩამონათვალი შინაარსის, ორგანიზაციული მხარის, სიტყვების არჩევანის, მართლწერის, გრამატიკის და ნაწერის სხვა ასპექტების შესაფასებლად. ამის შემდეგ თქვენ და თქვენი მოსწავლეები ახალ იდეებს ამატებთ პარაგრაფის შესწორებისა და რედაქტირებისათვის. საბოლოოდ, მოსწავლეები თავად ამოწმებენ თავიანთ პარაგრაფს.

წინადადების სტრუქტურის წერის სტრატეგიები

ნახევარი წინადადების წერა

წყარო: ფითზპატრიკი (1999).

მიზანი: მარტივი წინადადების ქვემდებარისა და შემასმენლის განსაზღვრა (1-ლი - მე-5 კლასები).

პროცესის აღწერა: მოამზადეთ პოსტერი „ააგეთ წინადადება“, რომელზეც ნაჩვენებია, რომ ვიღაცა რაღაცას აკეთებს. დაამაგრეთ პოსტერი დაფაზე, დაწერეთ მის გასწვრივ არასრული წინადადება და დატოვეთ საკმარისი ადგილი გამოტოვებული სიტყვებისათვის. განიხილეთ წინადადებების ნაწილები. აუხსენით, რომ წარმოდგენილი წინადადებები არასრულია და ქვემდებარე (ვიღაც, რაღაც) ან შემასმენელი (კეთება-ყოფნა) გამოტოვებულია. სთხოვეთ მოსწავლეებს, გამოვიდნენ დაფასთან და წარმოსახვის გამოყენებით გამოიცნონ, რომელი ქვემდებარე და შემასმენელია გამოტოვებული თითოეულ წინადადებაში. გააცანით მათი პასუხები სხვებსაც, დაწერეთ შესაბამისი სიტყვები დაფაზე. დაასრულეთ აქტივობა ცალკე უჯრების დახაზვით თითოეული ქვემდებარისა და შემასმენლის ირგვლივ.

მაგალითი:

სასაცილო კლოუნი _____ ატარებდა ახალ მანქანას.

დიდი შავი დათვი _____ ცურავს მდინარეში.

წინადადებების გაფართოება

მიზანი: წინადადებების გართულება და მეტი დეტალების გამოყენება (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: მოდელირებისათვის დაწერეთ სახელი და ზმნა. სთხოვეთ მოსწავლეებს, დაამატონ სიტყვები, რათა მიიღონ საინტერესო წინადადება. დაუმატეთ ზედსართავები, ზმნიზებები, თანდებულები, ნაცვალსახელები და ა. შ. მოსწავლეები რედაქტირებას უკეთებენ თავიანთსავე ნაშრომს წინადადებების გაფართოებით.

წინადადებების გაერთიანება

წყარო: ვოლკერი (2004).

მიზანი: დავებმართო მოსწავლეებს, რომ გააერთიანონ წინადადებები რთული და შედგენილი წინადადებების მისაღებად, რომლებიც აზრებს შორის ურთიერთმიმართებას წარმოაჩენს (1-ლი და უფრო მაღალი კლასები).

პროცესის აღწერა: გამოიყენეთ მოსწავლეების ნაწერებიდან მაგალითები და აჩვენეთ, როგორ შეიძლება განმეორებული სიტყვების ან ფრაზების მოშორება და წინადადებების გაერთიანება კავშირებისა და წინდებულების საშუალებით. მოსწავლეები თავიანთ ნაწერს რედაქტირებას უკეთებენ წინადადებების გაერთიანების გზით.

ვემებ ჩემსავე წინადადებებს

მიზანი: წინადადების ტიპებისა და მეტყველების ნაწილების განსაზღვრა საკუთარ ნაწერებში (მე-2 კლასი და ზემოთ).

პროცესის აღწერა: სთხოვეთ მოსწავლეებს, გადახედონ საკუთარ პორტფოლიოებს და იპოვონ წინადადების თითოეული ტიპის მაგალითები და გადაწერონ: თხრობითი წინადადება; უარყოფითი წინადადება; ბრძანებითი წინადადება; წინადადება, რომელიც შეიცავს შედგენილ ქვემდებარეს; წინადადება, რომელიც შეიცავს შედგენილ შემასმენელს; შედგენილი წინადადება; წინადადება, რომელიც შეიცავს კონკრეტულ სახელს; წინადადება, რომელიც შეიცავს საკუთარ სახელს; წინადადება, რომელიც შეიცავს კონკრეტულ სახელს, რომელიც არ ბოლოვდება ს-ზე; წინადადება, რომელიც შეიცავს კრებით სახელს; წინადადება, რომელიც შეიცავს დანართს; წინადადება, რომელიც შეიცავს შედარებას; წინადადება, რომელიც შეიცავს ფიგურატიულ ენას. ამის შემდეგ სთხოვეთ, დაწერონ 10 სიტყვა, რომელთა წერაც ისწავლეს. შესაძლებელია დავალოთ მხოლოდ რამდენიმე მათგანის მოძიება ან გამოქვეყნებულ ტექსტებში მოძებნა.

პარაგრაფის (აბზაცის) წერის სტრატეგიები

ოთხ კვადრატში წერა

წყარო: გოულდი და გოულდი (1999).

მიზანი: წერის წინა და ორგანიზაციული უნარების განვითარება საკითხთან დაკავშირებული დეტალების წერისას. ამ სტრატეგიის გამოყენება შეიძლება ნარატიული, განმარტებითი, მტკიცებითი და აღწერითი ტექსტების წერისას (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: გაკვეთთ ფურცელი ოთხ თანაბარი ზომის კვადრატად და შუაში ჩაწერეთ საკითხი. ბოლო კვადრატში ჩაწერეთ გრძნობები ან მოსაზრებები საკითხის შესახებ. შემდეგ დახატეთ ნახატი თითოეულ კვადრატში, რომელიც წინადადებას აღწერს. ბოლოს კი გამოიყენეთ ინფორმაცია, რომელიც ოთხკვადრატის ორგანიზატორზე მოცემული მთელი ტექსტის დასაწერად. ეს სტრატეგია შეიძლება გამოიყენოთ სიტყვების, ფრაზების ან მთელი წინადადების თითოეულ კვადრატში ჩასაწერად.

მაგალითი: საკითხი - ძაღლის მოვლა დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს. ყუთი 1 - პირველ რიგში, დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ მათ აქვთ საჭმელი და წყალი ყოველდღე. ყუთი 2 - შემდეგ, დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ მისი საცხოვრებელი ადგილი სუფთაა და საჭირო ფართი აქვს. ყუთი 3 - მათ სჭირდებათ ვარჯიში ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. ყუთი 4 - კარგი მოვლის სანაცვლოდ პატრონი იღებს ძაღლის სიყვარულსა და ყურადღებას.

ექვსწინადადებიანი აკორდეონის ტიპის პარაგრაფი (აბზაცი)

წყარო: აუმენი (2005).

მიზანი: ექვსწინადადებიანი პარაგრაფის შექმნა. პარაგრაფი შეიცავს მთავარი მოსაზრების შემცველ წინადადებას, ორ დეტალს, მაგალითებს ან ახსნას და მთავარი წინადადების განმეორებას (მე-2 კლასელები და ზემოთ).

პროცესის აღწერა: შეარჩიეთ ნაწერი, რომელიც გამოდგება ნიმუშადა/მინიმუმად. დაურიგეთ მოსწავლეებს ფერადი პატარა, გრძელი დასაწებებელი ქაღალდები, რომლებიც შეესაბამება შუქნიშნის ფერებს შემდეგი თანმიმდევრობით: მწვანე, ყვითელი, წითელი, ყვითელი, წითელი მწვანე. მწვანე აღნიშნავს დაიწყებს და მოსწავლეები წერენ მთავარი მოსაზრების შემცველ წინადადებას. ყვითელი ნიშნავს შეანელებს. დაასახელეთ მიზეზი, დეტალი ან ფაქტი და გამოიყენეთ გარდამავალი სიტყვები. წითელი ნიშნავს გაჩერდით, ახსენით და დაასახელეთ მაგალითი. მეორე ყვითელ ხაზზე მოსწავლეები წერენ სხვა მიზეზს, დეტალს ან ფაქტს; წითელზე - მეორე ყვითელ ქაღალდზე მოცემულის ახსნას ან მაგალითს წერენ. მეორე მწვანე ფურცელი კი ნიშნავს დაბრუნდით უკან და დაწერეთ წინადადება, რომელიც მკითხველს შენს მთავარ მოსაზრებას შეახსენებს. ამის შემდეგ მოსწავლეები წერენ პირველ შავ ვარიანტს ამ წინადადებების გამოყენებით.

ნარატიული, აღწერითი და შემოქმედებითი წერის სტრატეგიები

ნარატიული წერის გზამკვლევი

მიზანი: ნარატიული ტექსტის დასაწერად ორგანიზაციული სტრუქტურების შეთავაზება/გაცნობა (მე-2 კლასელები და ზემოთ).

პროცესის აღწერა: მოსწავლეები პასუხობენ კითხვებს, რომლებიც 6.2 ცხრილშია მოცემული წერის დაწყებამდე, უშუალოდ წერის პროცესში და წერის დასრულების შემდეგ. პირველი შავი ვარიანტის დასრულების შემდეგ მოსწავლეებმა უნდა წაიკითხოთ, შეასწორონ აზრობრივად, გაარედაქტირონ გრამატიკულად და მართლწერის თვალსაზრისით და გააცნონ სხვებს.

ცხრილი 6. 2 ნარატიული წერის გზამკვლევი	
ნაწილები	კითხვები, რომლებსაც უნდა უპასუხოთ
გარემო	სად და როდის მიმდინარეობს მოქმედება? განსაზღვრეთ და აღწერეთ დეტალები (ადგილი, დროის მონაკვეთი, წელიწადის დრო, დღის მონაკვეთი)
ამბის დაწყება	რა მოუვიდა/შეემთხვა გმირს, რის გამოც რაღაც გააკეთა?
პრობლემა	რა არის პრობლემა?
მოქმედ პირთა გრძნობები	გმირის გრძნობები მომხდართან დაკავშირებით (ემოციები, მიზნები, სურვილები, განზრახვა, ფიქრები)
მოვლენები/ამბები	რას აკეთებს/აკეთებენ გმირი/გმირები? რიგითობის დაცვით მოყვეთ ამბავი და ყურადღება გაამახვილეთ ხუთ გრძნობაზე.
მცდელობა	რას აკეთებენ გმირები პრობლემის გადასაჭრელად?
დამატებითი მცდელობა	კიდევ რას აკეთებენ ამ პრობლემის გადასაჭრელად?
შედეგი	რა მოჰყვა შედეგად ამ მცდელობებს? არსებობს რამე გართულებები?
გადაწყვეტილება	რას გრძნობს გმირი შედეგთან დაკავშირებით?

შეცვალე დასასრული

მიზანი: ავტორისეული წერის სტილის გამოყენება მოდელად და ამბის დასასრულის შეცვლა (მე-2 კლასელები და ზემოთ).

პროცესის აღწერა: ტექსტის ბოლომდე წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები წერენ დასასრულის საკუთარ ვერსიას.

ტექსტის გადაკეთება

მიზანი: ტექსტის გადაწერა ერთი ან მეტი ელემენტის შეცვლით (მე-2 კლასელები და ზემოთ).

პროცესის აღწერა: პირველ რიგში, მოდელირება გაუკეთეთ პროცესს ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა ვერსიის გაცნობით, მაგალითად, „კონკიას“ ან „სამი გოჭის ამბის“. შემდეგ განიხილეთ საერთო და განსხვავებული ელემენტები ვერსიებში. მაგალითად, გმირები და გარემო შესაძლოა განსხვავებული იყოს. პრობლემა შესაძლოა იმგვარად იყოს მოდიფიცირებული, რომ ახალ გარემოს მოერგოს.

წერა მოქმედი გმირის პოზიციიდან

მიზანი: ხასიათის ელემენტების გამოვლენა, როდესაც მოსწავლე მოქმედი გმირის როლს ირგებს და ამგვარად წერს (მე-2 კლასელები და ზემოთ).

პროცესის აღწერა: მოსწავლე ერთ-ერთი გმირის როლს ირგებს და წერილს სწერს ავტორს ან სხვა პერსონაჟს. მოსწავლეები განიხილავენ გმირის ქმედებებს, გრძნობებს, სინანულს, შეზღუდვებს, სწრაფვას და გარეგნობას. ისინი, აგრეთვე, მსჯელობენ, როგორ აფასებენ სხვა გმირები ამ პერსონაჟს და როგორ ექცევიან. ამის შემდეგ მოსწავლე ამ პერსონაჟის პოზიციიდან წერილს სწერს ავტორს ან სხვა პერსონაჟს და ატყობინებს, როგორ გრძნობს თავს, რას განიცდის და რის გაკეთება ენდომებათ მათ.

ძვირფასი დღიური

მიზანი: კითხვისა და წერის ინსტრუქციების დაკავშირება შერჩეულ პერსონაჟებზე დღიურის წერების გზით (მე-2 კლასელები და ზემოთ).

პროცესის აღწერა: აუხსენით მოსწავლეებს, რომ დღიურში იწერება დღის ამბები და გრძნობები. მოსწავლე იწყებს დღიურის წერას წიგნის პერსონაჟისათვის (მის როლშია). ქვემოთ მოცემულია შესაძლოა კითხვები, რომელთა განხილვაც შეიძლება ჟურნალისათვის წერაში და მისი მორგება შეიძლება წიგნზე ან

საკითხზე: როგორი დღე გქონდა? ერთი განცდა, რომელიც დღის განმავლობაში დაგეუფლა. მოხდა რამე განსაკუთრებული? (აღწერეთ ამბავი), სად იყავი? (გარემო), შენი აზრით, რატომ მოხდა ეს? არის კიდევ რაღაც, რის მოყოლაც გინდა? დღიურის წერის დროს მოსწავლეები აქტიურად ერთვებიან ამბის მიმდინარეობაში და „ხდებიან“ პერსონაჟები.

პირადი ნარატივების რუბრიკა

მიზანი: მოქმედების დაწყების, განვითარების (აღმასვლისა) და დასრულების გამოყენებით პირადი ნარატივების წერა (მე-2 კლასელები და ზემოთ).

პროცესის აღწერა: დაწერეთ მაგალითი ან პრობლემა, რომელიც თქვენ გქონდათ. აჩვენეთ მოსწავლეებს სათაური/რუბრიკა და დაეხმარეთ, განსაზღვრონ პრობლემა, მოქმედების განვითარება და დასასრული თქვენს ტექსტში. შემდეგ დაავალეთ მოსწავლეებს, დაწერონ პერსონალური ნარატივი საკუთარი პრობლემის შესახებ, მოვლენები, რომელთაც ხელი შეუწყვეს პრობლემის მოგვარებას და როგორ მოგვარდა პრობლემა.

მაგალითი: ჩვენ გადავვადით ახალ სახლში და ძალი სახლიდან გაიქცა. მოქმედების განვითარება - ჩვენ წავედით მის საძებნელად. დავურეკეთ პოლიციას და დავკიდეთ მისი ფოტოები. დაგვირეკა კაცმა, რომელმაც გვითხრა, რომ ძალი იპოვა. დასასრული - ჩვენ წავედით მის სახლში და ძალი წამოვიყვანეთ, დავკიდეთ ახალი ნიშანი და შევამოწმეთ სახლი, რომ ძალს ვეღარ მოეხერხებინა გაქცევა.

პირადი ჟურნალები

მიზანი: მოსწავლეებს ვაძლევთ შესაძლებლობას, წერონ თავიანთ შერჩეულ საკითხებზე თავიანთი მიზნების შესაბამისად (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: დაურიგეთ მოსწავლეებს ბლოკნოტები და მიეცით დრო, რომ ყოველდღიურად წერონ. საბავშვო ბაღის მოსწავლეებსაც კი შეუძლიათ თავიანთი გარემოდან რესურსებისა და ფონემ-გრაფემის კორელაციის შესახებ საკუთარი ცოდნის გამოყენება თავიანთ ჟურნალებში ნახატების დასახატად და დასაწერად. როდესაც არ იციან რომელიმე სიტყვის მართლწერა, დაწერეთ მოსმენილი ბგერები და შემდეგ შემოხაზეთ სიტყვა შესამოწმებლად.

დიალოგების ბლოკნოტი/ჟურნალი

მიზანი: მოსწავლეებს მივცეთ შესაძლებლობა, მუდმივად იყვნენ კომუნიკაციაში ჩვენთან (1-ლი კლასი და ზემოთ).

პროცესის აღწერა: მოსწავლეები და მასწავლებელი საკითხის შესახებ - ჯერ მოსწავლე, შემდეგ - მასწავლებელი წერს. საკითხი შეიძლება თავად შეარჩიონ ან თქვენ უკარნახოთ. ეს დავალება ყოველკვირეულად შეიძლება შესრულდეს. თქვენ შეგიძლიათ მორიგეობით დაავალოთ მოსწავლეებს, რათა დრო გქონდეთ თითოეული მათგანისათვის პასუხის გასაცემად.

წერილის წერა

მიზანი: ავთენტური მიზნებისათვის წერა და წერილისათვის სწორი ფორმატის შერჩევის უნარის დემონსტრირება (1-ლი და უფრო მაღალი კლასები).

პროცესის აღწერა: მოსწავლეები სწერენ წერილებს კალმის მეგობარს, ავტორებს, მეგობრებს და ოჯახის წევრებს. წერილის წერილს ელემენტები წინასწარ აქვთ შესწავლილი. წერილის გაგზავნა შეიძლება ფოსტით ან ელექტრონული ფოსტით.

გამოიყენეთ თქვენი შეგრძნებები

მიზანი: აღწერითი ტექსტის შექმნა შეგრძნებების წარმოსახვის გამოყენებით (1-ლი კლასი და ზემოთ).

პროცესის აღწერა: სთხოვეთ მოსწავლეებს, შეარჩიონ თავისი ცხოვრებიდან ერთი ამბავი და თითოეული შეგრძნების ქვემოთ, სვეტში ჩაწერონ სიტყვა ან ფრაზა, რომელიც ამ მოვლენას აღწერს. შემდეგ კი დაწერონ პირადი ნარატივი.

მაგალითი: ავარია ველოსიპედით

მხედველობა	სმენა	ყნოსვა	გემოვნება	შეხება	ემოცია
ირემი გამოხატა, ერთმანეთი ვერ დავინახეთ	მანქანის ველოსიპედთან შეჯახების ხმა; საბურავების გასკდომის ხმა	დამწვარი რეზინის; ასფალტის	სისხლის გემო პირში	მუხრუჭებზე დაწოლა; შეჯახება მძიმე ლითონთან; ჭრილობა სახესა და სხეულზე; ტკივილი	დაბნეულობა

დაასათაურეთ ემოციები

წყარო: ნევინგჰემი (2008).

მიზანი: ნაწერში ავტორის პოზიციის გამოხატვის უნარის განვითარება (მე-2 კლასი და ზემოთ).

პროცესის აღწერა: დაწერეთ ქვემოთ მოცემული ემოციების აღმნიშვნელი სიტყვები ბარათზე: *ბედნიერება; აღფრთოვანება; შიში; დაბნეულობა; გაბრაზება; მოწყენილობა; ეჭვიანობა; მტრობა; სიხარბე; სიხარული; თანაგრძნობა; შიმშილი; შვება; კმაყოფილება; სიყვარული; სინანული; დარდი; მადლიერება; პანიკა; სირცხვილი; ემპათია; სიმპათია; იმედი; მღელვარება; მარტოობა; გაცემა; დანაშაული; სიამაყე; ინტერესი; წყენა; შოკი; დაღლა; რწმენა; დაწუნება და სინდისის ქენჯნა.* მიეცით თითოეულ მოსწავლეს ბარათი. მოსწავლეები წერენ პარაგრაფს, რომლებიც აღწერს ბარათზე მოცემულ ემოციებს. შემდეგ კი უკითხავენ კლასს და სხვები ცდილობენ გამოიცნონ ემოციის შესაბამისი სიტყვა. მოსწავლეებმა თავად უნდა დაუმატონ მინიმუმ ერთი ემოციის აღმნიშვნელი სიტყვა შემდეგ ნარატიულ ან აღწერით ტექსტს.

შედარებები და მეტაფორები

მიზანი: შედარებებისა და მეტაფორების ინტერპრეტირება და წერა (მე-5 კლასი და ზემოთ).

პროცესის აღწერა: მოსწავლეებს მიეცით პოეტური ნიმუშები, რომლებიც შეიცავს შედარებები და მეტაფორები. დაუსვით მოსწავლეებს შემდეგი ტიპის კითხვები: რა გზას იყენებს ავტორი, რომ დეტალები ცოცხლად გადმოსცეს? რომელია სიტყვები, რომლებიც კარგად აღწერს (მაგალითების ჩამონათვალი)? როგორ დაწერდით საგნების (მოვლენების, ადამიანების) შედარებას? ამის შემდეგ გააცანით შედარებისა და მეტაფორის განმარტება. აჩვენეთ შედარებებისა და მეტაფორების ჩამონათვალი და სთხოვეთ, განსაზღვრონ თითოეულ შემთხვევაში რომელი რომელია, აგრეთვე, რა არის შედარებული მაგალითებში.

მთელ კლასს დაუსვით შეკითხვა, შეარჩიონ ტელეპერსონა ან ისტორიული პირი და გამოიყენონ შედარებები და მეტაფორები ამ პიროვნების აღსაწერად. ამის შემდეგ მოსწავლეები თვითონ წერენ შედარებებსა და მეტაფორებს და აცნობენ სხვებს. შეაფასეთ მოსწავლეების პასუხი: გამოიყენეს თუ არა შედარებებში ვით ან როგორც? არის თუ არა პიროვნების შესახებ მათ მიერ შერჩეული ინფორმაცია ზუსტი?

ჰიპერბოლა

მიზანი: ჰიპერბოლების იდენტიფიცირება და განსაზღვრა, როდის არის საჭირო მათი გამოყენება წერისას (მე-5 კლასი და ზევით).

პროცესის აღწერა: ჰიპერბოლის, როგორც გაზვიადების ან გადაჭარბებული შეფასების, გამოვლენა და გააზრება, რომ მისი პირდაპირ გაგება არ შეიძლება. ჰიპერბოლის ნარატიულ ტექსტში გამოყენება დასაშვებია, მაგრამ არა ესესა და ანგარიშში. მოუყვანეთ მაგალითები: „მილიონჯერ გითხარი, ნუ აზვიადებ“ ან „ეს ყუთი ერთი ტონაა.“ გააცანით მაგალითები პოეზიიდან ან მოთხრობებიდან. შესთავაზეთ მაქსიმალურად ბევრი მაგალითი და განიხილეთ მათი შინაარსი. ამის შემდეგ მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ და წერენ ლექსს ან მოთხრობას, რომლის პერსონაჟებიც ჰიპერბოლას იყენებენ რამდენჯერმე.

 ლექსები და სიმღერები

მიზანი: ლექსებისა და სიმღერების წერა (მე-2 კლასი და ზემოთ).

პროცესის აღწერა: წაკითხვით რამდენიმე ლექსი ან სიმღერის ტექსტი, შემდეგ კი კლასი წერს ლექსს ან სიმღერას. მოსწავლეები თავად წერენ ან გადაწერენ საკუთარ ლექსებსა და სიმღერას. მაგალითები შეიცავს შემდეგ იდეებს:

აკროსტიხი: შეარჩიეთ საკითხი და დაწერეთ სიტყვები ან ფრაზა ამ საკითხის შესახებ, ისე, რომ გამოიყენეთ (საკითხის) სახელის ყველა ასო.

Relaxing in a chair

Escaping reality

Anticipating the climax

Delighting in my favorite book

ჰაიკუ - იაპონური ლექსი, რომელიც შედგება 3 ტაეპისაგან. პირველი და ბოლო ტაეპები 5-მარცვლიანია, ხოლო მეორე - 7-მარცვლიანი.

A pond under trees

the sound of a frog jumping

in cool, green water

ლიმერიკი - ირლანდიური იუმორისტული ლექსი, რომელიც შედგება 5 ტაეპისაგან და აგებულია A-A-B-B-A რითმულ მოდელზე.

There once was a man from Nantucket

Who kept all his cash in a bucket.

But his daughter, named Nan,

Ran away with a man

And as for the bucket, Nan took it.

სინქვეინი - 5-ტაეპიანი ლექსი, რომელიც შეიცავს ზედსართავებს, ეხება ერთ თემას და აგებულია შემდეგი მოდელის მიხედვით:

ტაეპი 1 - ერთსიტყვიანი სათაური (ორი მარცვალი).

ტაეპი 2 - ორსიტყვიანი ფრაზა, რომელიც აღწერს სათაურს ან, უბრალოდ, შეგიძლიათ გამოიყენოთ ორი სიტყვა (ოთხი მარცვალი).

ტაეპი 3 - სამსიტყვიანი ფრაზა, რომელიც აღწერს სათაურთან დაკავშირებულ მოქმედებას ან, უბრალოდ, მოქმედებას (ექვსი მარცვალი).

ტაეპი 4 - ოთხსიტყვიანი ფრაზა, რომელიც აღწერს თემასთან დაკავშირებულ გრძნობებს ან, უბრალოდ, გრძნობების გამოხატველი სიტყვები (რვა მარცვალი).

ტაეპი 5 - ერთი სიტყვა, რომელიც სათაურთან არის დაკავშირებული (ერთი მარცვალი).

ლექსი სახელზე - ლექსი შენს შესახებ, რომელიც აგებულია შემდეგი მოდელის მიხედვით:

ტაეპი 1- შენი სახელი.

ტაეპი 2 - "ეს ნიშნავს", შემდეგ კი სამი ზედსართავი, რომლებიც გახასიათებს.

ტაეპი 3- "ეს არის რიცხვი" და შემდეგ შენ მიერ შერჩეული ნებისმიერი რიცხვი.

ტაეპი 4 - "ის არის, როგორც" და აღწერეთ ფერი, მაგრამ არ დაასახელოთ.

ტაეპი 5 - "ეს არის" და დაასახელე რაღაც, რაც შენ თვითონ განგიცდია და რის გახსენებაც ღიმილს გგვრის.

ტაეპი 6- "ეს არის მოგონება" და დაასახელე ადამიანი, რომელიც მნიშვნელოვანია ან მნიშვნელოვანი იყო შენთვის.

ტაეპი 7- "ვინ მასწავლა" ორი აბსტრაქტული ცნება (მაგალითად, პატიოსნება).

ტაეპი 8 - "მან როდის" და აღნიშნეთ რაღაც, რაც ამ პიროვნებამ გააკეთა, რითაც გამოავლინა მე-7 ტაეპში აღწერილი თვისებები.

ტაეპი 9 - "ჩემი სახელია" და დაწერე შენი სახელი.

ტაეპი 10 - "ეს ნიშნავს" და დაწერეთ ერთი ან ორი მოკლე წინადადება და დაასახელოთ რაღაც მნიშვნელოვანი, რისიც გჯერათ ცხოვრების შესახებ.

თანამშრომლობით წერის სტრატეგიები

მონაცვლებით წერა

წყარო: ვოლკერი (2004).

მიზანი: ტექსტის შექმნა მოსწავლეთა ჯგუფისა და მასწავლებლის მიერ ერთობლივად (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: წერა განსაზღვრულ დროში, მაგალითად, ხუთ წუთში. თითოეული პიროვნება რიგრიგობით აგრძელებს ამბავს. თავდაპირველად კითხულობენ, რაც უკვე წერია და მხოლოდ ამის შემდეგ აგრძელებენ ამბავს. დასრულების შემდეგ მასწავლებელი ტექსტს უკითხავს კლასს.

ნარატიული ტექსტის წერა „წერტილ-წერტილ“

მიზანი: თანამშრომლობით, ერთობლივად წერა ადამიანების, ადგილების ან პრობლემების შესახებ, რომლებსაც მოსწავლეები უზიარებენ კლასს (მე-2 კლასი და ზემოთ).

პროცესის აღწერა: მიმოიხილეთ ტექსტის ელემენტები მოქმედ პირებთან, გარემოსა და პრობლემასთან დაკავშირებით და შეარჩიეთ სამი ფერის მრგვალი ფორმის სტიკერები (მაგალითად, ყვითელი, წითელი და ლურჯი) ამ ელემენტების გამოსახატად. დააკარით ბარათებზე ეს წერტილები და დაურიგეთ თითოეულ მოსწავლეს. ისინი, ვისაც ყვითელი წერტილი შეხვდა, წერენ პიროვნების სახელს. მოსწავლეები, რომელთაც წითელი წერტილები შეხვდათ - ადგილს, ხოლო ვისაც ლურჯი წერტილები - პრობლემას. შექმენით სამკაცნიანი ჯგუფები, რომლებშიც სამივე „ფერის“ მოსწავლე იქნება გაერთიანებული. მოსწავლეები აცნობებ ჯგუფის წევრებს, რაც დაწერეს. აუხსენით მოსწავლეებს, რომ დაწერონ ამბავი ამ სამი ელემენტის გამოყენებით და ამ გზით დააკავშირონ წერტილები.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაასრულებენ ტექსტის წერას, აცნობენ კლასს თავიანთ ნაწერებს. მოსწავლეები გაოცებულები დარჩებიან, იმდენად განსხვავებული აღმოჩნდება ტექსტები ერთმანეთისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ერთი და იმავე ელემენტებისაგან შედგება.

ადაპტირება: შექმენით ჯგუფები, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება ერთზე მეტი პრობლემა, ადგილი ან პიროვნება. როდესაც ჯგუფი დაწერს პირველ ამბავს, სთხოვეთ მოსწავლეებს, გადანიცვლონ ახალ ჯგუფებში და დაწერონ ახალი ამბავი ამ ელემენტების გამოყენებით.

პარტნიორთან ერთად წერა

მიზანი: თანამშრომლობით წერა სწორი გრამატიკისა და მოთხრობის ისეთი ელემენტების გამოყენებით, როგორებიცაა: სიუჟეტი, გარემო, მოქმედი გმირები, კულმინაცია და ა. შ. (მე-2 კლასი და ზემოთ).

პროცესის აღწერა: დაყავით მოსწავლეები წყვილებად და მიეცით თემა ან დაფაზე დაწერეთ მინიშნებები დასაწყისისათვის. პირველი მოსწავლე წერს თემას ან მინიშნებას და შემდეგ იწყებს ამბის წერას. დროის გარკვეული მონაკვეთის შემდეგ მასწავლებელი უხსნის, მოსწავლეებს, რომ ის, ვინც წერს, უნდა გაჩერდეს და გადასცეს ფურცელი მეწყვილეს, მაშინაც კი, თუკი წინადადება დასრულებული არ აქვს. მეორე მოსწავლე კითხულობს, რა დაწერა მისმა მეწყვილემ და აგრძელებს ამბავს. ეს გრძელდება დროის თითქმის ამოწურვამდე. კარგია, რომ მოსწავლეებს შეახსენოთ, როდესაც დარჩენილი აქვთ დროის ნახევარი და შემდეგ ხუთი წუთი, რათა მათ პარტნიორებს შეახსენონ, რომ დროა იფიქრონ თავიანთი ამბის დასრულებაზე.

ადაპტირება: ეს არის საუკეთესო აქტივობა, რომელიც მიმართულია ტექსტის წერის კონკრეტულ უბნებზე. ერთ ჯერზე შესაძლებელია ხაზგასმული იყოს ციტირება და მეტყველება, ხოლო მეორეჯერ - მოქმედება.

განმარტებითი ტექსტის წერის სტრატეგიები

განმარტებითი ტექსტის წერის გზამკვლევი

მიზანი: განმარტებითი ტექსტების დასაწერად ორგანიზაციული სტრუქტურების გაცნობა (1-ლი კლასი და ზემოთ).

პროცესის აღწერა: მასწავლებელი არჩევს მოკლე ტექსტებს განმარტებითი ტექსტის ხუთი სტრუქტურის მიხედვით: აღწერა, თანამიმდევრობა, შედარება, მიზეზი და შედეგი და პრობლემა და მისი გადაჭრა. მოსწავლეები განსაზღვრავენ, რომელი ტიპის ტექსტია და გამოავლენენ სიტყვებს (საკვანძო/გასაღები სიტყვები), რომლებიც ამას მიაწინებებს. შემდეგ ისინი ირჩევენ ტექსტის ერთ-ერთ სტრუქტურას, რომელსაც, თავიანთი მიზნიდან გამომდინარე, იყენებენ ტექსტის დასაწერად. ისინი პასუხობენ ტექსტის სტრუქტურის შესახებ კითხვებს, რომლებიც მოცემულია განმარტებითი ტექსტის წერის გზამკვლევაში, კითხვის დაწყებამდე, უშუალოდ კითხვის პროცესში და მისი დასრულების შემდეგ (იხ. ცხრილი 6.3). მოსწავლემ აუცილებლად უნდა გამოიყენოს გასაღები სიტყვები. პირველი შავი ვერსიის შემდეგ უნდა გადაიკითხონ და შეასწორონ აზრობრივად, გრამატიკულად და მართლწერის თვალსაზრისით და გააცნონ სხვებს.

„მოგზაური“ პარაგრაფები

მიზანი: მოსწავლეების მიერ ძირითადი იდეისა და მხარდამჭერი დეტალების განხილვა და ჩამოყალიბება პარაგრაფში. მოსწავლეები ვარჯიშობენ დეტალების წერაში, რომლებსაც იყენებენ მხარდამჭერ დეტალებად პარაგრაფში. ასევე, ისინი ვარჯიშობენ სრული წინადადებების წერასა და პუნქტუაციური ნიშნების სწორად გამოყენებაში. მოსწავლეებს აძლევენ ძირითად იდეას და ისინი წერენ მხარდამჭერ დეტალებს ჯგუფურად (1-ლი კლასი და ზემოთ).

ცხრილი 6.3 განმარტებითი ტექსტის წერის გზამკვლევი		
მოდელი	აღწერა	გასაღები სიტყვები ან ფრაზები
აღწერა	ავტორი აღწერს საკითხს (თემას) მახასიათებელთა, მაგალითად, თავისებურებების, ან მაგალითების ჩამოთვლით	მაგალითად; მახასიათებლებია
თანამიმდევრობა	ავტორი ჩამოთვლის საგნებს ან მოვლენებს რიცხობრივი ან ქრონოლოგიური მიმდევრობით	თავდაპირველად მეორედ მესამედ შემდეგ დაბოლოს
შედარება	ავტორი ხსნის, რით ჰგავს ერთმანეთს ორი ან მეტი საგანი/მოვლენა/ადამიანი და/ან როგორ განსხვავდება ერთმანეთისაგან	განსხვავებული განსხვავებით მსგავსად იგივეა, რაც მეორე მხრივ
მიზეზი და შედეგი	ავტორი ჩამოთვლის ერთ ან მეტ მიზეზს და მისგან გამოწვეულ ერთ ან რამდენიმე შედეგს	მიზეზები, რომელთა გამოც თუ... მაშინ შედეგად ამის გამო რადგან
პრობლემა და მისი გადაჭრა	ავტორი ასახელებს პრობლემას და ჩამოთვლის მისი გადაჭრის ერთ ან რამდენიმე გზას. ამ მოდელის ვარიაციას	პრობლემა ისაა, რომ დილემა ისაა, რომ საკითხი გადაწყვეტილია...

	წარმოადგენს კითხვა-პასუხის ფორმატი: ავტორი სვამს შეკითხვას და თავადვე პასუხობს	კითხვა... პასუხი
--	--	------------------

პროცესის აღწერა: მომზადებისას დაწერეთ ხუთი ძირითადი იდეა ქალაქის ხაზებზე ან ბარათებზე. მაგალითად: „ამინდი სახიფათოდ გამოიყურებოდა“ ან „ბავშვებმა წვეულებაზე შესანიშნავად გაატარეს დრო“. დაყავით მოსწავლეები 5-კაციან ჯგუფებად. გაუნაწილეთ თითო მთავარი იდეა თითო მოსწავლეს. მიეცით თითოეულ მოსწავლეს 1 წუთი, რომ დაწეროს მხარდამჭერი დეტალი მთავარი იდეისათვის. როდესაც დრო ამოიწურება, უთხარით მოსწავლეებს, გაუცვალონ ფურცელი ჯგუფის სხვა წევრს. მიეცით კიდევ ერთი წუთი, რომ წაიკითხონ ახალი მთავარი იდეა და მისი მხარდამჭერი დეტალი და დაამატოს ახალი მხარდამჭერი დეტალი. შემდეგ ისევ უნდა გაცვალონ ფურცლები გააგრძელებს ასე, სანამ თითოეული მოსწავლე ხუთივე მთავარ იდეაზე არ დაწერს მხარდამჭერ დეტალებს და თავისი საწყისი (პირველი) ფურცელი უკან არ დაუბრუნდება.

ადაპტირება: სთხოვეთ მოსწავლეებს, გააცნონ თავიანთი ნაწერები კლასს. თანაკლასელები ყურადღებით უსმენენ მხარდამჭერ დეტალებს და ცერის მაღლა აწევით, ცერის გვერდზე გადახრით ან ცერის დაბლა დაწევით გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას, ხოლო შემდეგ განიხილავენ ამ დამოკიდებულებების მიზეზებს.

შინაარსის ჟურნალი

მიზანი: ყოველდღიური ჟურნალის წარმოება შინაარსის სასწავლადად (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: მოსწავლეები წერენ თითოეული საგნის შესახებ და გადმოსცემენ თავიანთ აზრებსა და ასახავენ სწავლის პროცესს.

გაზეთები და საინფორმაციო ბიულეტენები

მიზანი: მოსწავლეებმა დაწერონ ტექსტი, რომელიც კონკრეტულ ამბავთან დაკავშირებით უპასუხებს შეკითხვებს ვინ? რა? როდის? რატომ და როგორ? (1-ლი კლასი და ზემოთ).

პროცესის აღწერა: მოსწავლეები ქმნიან საკლასო გაზეთს და აქვეყნებენ თავიანთ დაწერილ განმარტებით ტექსტს იმის შესახებ, რას სწავლობენ და მომავალი ღონისძიებების/ამბების შესახებ. აქვე შესაძლებელია შემოქმედებითი (მხატვრული) ნაწერის გამოქვეყნებაც.

ადაპტირება: ნარატიული ტექსტის კითხვისას მოსწავლეები წერენ საგაზეთო სტატიას ტექსტში გადმოცემული ამბების შესახებ.

ანგარიშები

მიზანი: კონკრეტულ საგანში საგნობრივი შინაარსის ცოდნის დონის ამაღლება (1-ლი კლასი და ზემოთ).

პროცესის აღწერა: მოსწავლეები იკვლევენ და ანგარიშს წერენ სხვადასხვა თემის შესახებ. შეახსენეთ მათ, რომ ჩართონ ისეთი ტექსტობრივი მახასიათებლები, როგორებიცაა სათაურები, ილუსტრაციები, გრაფიკები, ცხრილები და სიტყვარები.

რეცეპტების წიგნები და ინსტრუქციების (როგორ გავაკეთოთ) წიგნები

მიზანი: კონკრეტული ინსტრუქციების, დირექტივების წერა (1-ლი კლასი და ზემოთ).

პროცესის აღწერა: მოსწავლეები კითხულობენ მაგალითებს და შემდეგ წერენ საკუთარ რეცეპტებს ან „წიგნებს“, თუ როგორ უნდა გააკეთონ რაღაც.

Powerpoint და მედია პრეზენტაციები

მიზანი: ტექნოლოგიების გამოყენება ინფორმაციის წარსადგენად ვიზუალურად მიმზიდველი სახით (მე-4 კლასი და ზემოთ).

პროცესის აღწერა: ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტის შესახებ ინფორმაციის სხვებისთვის გასაცნობად მოსწავლეები ამზადებენ პოუერპოინტის პრეზენტაციას.

ვებგვერდები ან ბლოგები

მიზანი: პერსონალური ან საკლასო ვებგვერდის ან ბლოგის შექმნა მოსწავლეთა ნაწერების გასაზიარებლად (მე-2 კლასი და ზემოთ).

პროცესის აღწერა: მასწავლებლები და მოსწავლეები ქმნიან საკუთარ ვებგვერდებს ან ბლოგს ან საკლასო ვებგვერდს ან ბლოგს. საკლასო ვებგვერდი /ბლოგი შენარჩუნებული/მხარდაჭერილი უნდა იყოს მასწავლებლის მიერ და რეგულარულად ემატებოდეს ინფორმაცია საკლასო ან სასკოლო ღონისძიებების შესახებ. კომენტარები, დავალებები, მასწავლებლისა და მოსწავლეთა ნაწერები, ინფორმაცია მშობლებისათვის, ფოტო და ვიდეომასალა.

ბლოგი ვებგვერდია, მაგრამ ინფორმაცია განთავსებულია შებრუნებული ქრონოლოგიური პრინციპით. მკითხველებს შეუძლიათ დატოვონ კომენტარები ინტერაქტიული ფორმით ბლოგში. ზოგ ბლოგში შესაძლებელია განხილული იყოს კონკრეტული საკითხი და შეასრულოს ონლაინდღიურის როლი.

მტკიცებითი ტექსტის წერის სტრატეგიები

მტკიცებითი ტექსტის წერის გზამკვლევი

მიზანი: მტკიცებითი ტექსტის დასაწერად საჭირო ორგანიზაციული სტრუქტურების გაცნობა (მე-2 კლასი და ზემოთ).

პროცესის აღწერა: მასწავლებელი არჩევს მოკლე მტკიცებით ტექსტებს. მოსწავლეები გამოავლენენ მტკიცებით ელემენტებს ტექსტში. ამის შემდეგ მათ შეუძლიათ შეარჩინონ საკითხი, რომელიც მათთვის მნიშვნელოვანია (მაგალითად, რატომ უნდა მიიღონ მონაწილეობა სკოლის შემდეგ აქტივობებში). ისინი პასუხობენ კითხვებს, რომლებიც მოცემულია მე- 6.4 ცხრილში წერის დაწყების წინ, უშუალოდ წერის პროცესში და მისი დასრულების შემდეგ. პირველი შავი ვარიანტის დასრულების შემდეგ წაიკითხეთ ტექსტი, გაასწორეთ აზრობრივად, გრამატიკულად და პუნქტუაციურად და გაუზიარეთ სხვებს.

ცხრილი 6.4 მტკიცებითი ტექსტის წერის გზამკვლევი	
ნაწილები	კითხვები, რომლებსაც პასუხი უნდა გასცეთ
მტკიცება და შესავალი	როგორია ჩემი აზრი (წარმოდგენა)? რატომ არის ეს მნიშვნელოვანი თქვენთვის?
მხარდამჭერი საბუთი	რა მიზეზების გამო მჯერა?
საპირისპირო თვალსაზრისი	როგორია სხვების აზრი (წარმოდგენა)?
არგუმენტები საპირისპირო თვალსაზრისის წინააღმდეგ	რაში არ ვეთანხმები მათ?
შეჯამება	რა მინდა, რომ გააკეთოთ?

მტკიცებითი ტექსტების ძალა

წყარო: ნორისი და ბროკი (2001).

მიზანი: მოსწავლეთა ჩართვა ინტერნეტის გამოყენებით მტკიცებითი ტექსტების კითხვისა და წერის პროცესში, შესაბამისი ტექნიკის ანალიზი და კვლევა; კრიტიკული კითხვის უნარების გამოყენება რეკლამებისა და სტატიების გააზრების პროცესში (დეკონსტრუქციისათვის), განსხვავების მოძებნა ნათქვამსა

და ნაგულისხმევს, ფაქტსა და მოსაზრებას შორის; ჩამოყალიბება, თუ რა გავლენას ახდენს მედიასაშუალებებში გავრცელებული მტკიცებითი შინაარსის ტექსტები ადამიანებზე და როგორ მანიპულირებს ადამიანების აზროვნებით; ეფექტური რეკლამის შემცველი საბოლოო მულტიმედია ან ვებგვერდის პროექტის შექმნით ნასწავლის გამოყენება; სარეკლამო და მტკიცებითი ტექსტების, რომლებიც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, შესწავლა (მე-4 კლასი და ზემოთ).

პროცესის აღწერა: ეს არის სამკვირიანი პროცესი. დასაწყისში მასწავლებელი და მოსწავლეები ეძებენ ჟურნალებსა და ინტერნეტინფორმაციას, რომლებშიც მოცემულია რეკლამები და სტატიები. მტკიცებით ტექსტებში გამოყენებული სხვადასხვა ტექნიკის წარდგენის შემდეგ მოსწავლეები ადარებენ და აპირისპირებენ რეკლამაში გადმოცემულ იდეებს. მოსწავლეთა ჯგუფები ირჩევენ როლს - ფოტოგრაფს, იურისტს, პოეტს, პოლიტიკოსს, კომიკოსს ან გაზეთის რეპორტიორს - და შემდეგ შეისწავლიან ინტერნეტსა და სხვა წყაროებში. თითოეული გუნდი ერთობლივად მუშაობს ეფექტური რეკლამის შემცველი მულტიმედიის ან ვებგვერდის პროექტის შექმნაზე, ხოლო მასწავლებელი კი უსვამს კითხვებს, რათა მიმართულება მისცეს მათ კვლევასა და პროექტს. მოსწავლეები ფასდებიან ქვემოთ მოცემულ შეკითხვებზე პასუხების მიხედვით: რა არის მტკიცებითი ტექსტი? ახალი შესაძლებლობები 21-ე საუკუნეში რა გამოწვევების წინაშე აყენებს რეკლამას? რის გამოა თქვენი პროექტი ეფექტური მტკიცებითი ტექსტის მაგალითი? განიხილეთ, რამდენად მნიშვნელოვანია მტკიცების სხვადასხვა ტექნიკა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

წერილი რედაქტორს ან საარჩევნო სიტყვა

მიზანი: მტკიცებითი შინაარსის წერილი წერა, რომლის მიზანია დაარწმუნოს მკითხველი ავტორის მოსაზრებაში (მე-3 კლასი და ზემოთ).

პროცესის აღწერა: მოსწავლეები წერენ წერილს ან სიტყვას, რომლითაც არწმუნებენ ვიღაცას, რომ რაღაც გააკეთოს. ეს ტექსტი შეიძლება წერილობით გაიგზავნოს, ან ზეპირი მოხსენების სახით გაეცნოს მსმენელს.

თავი 7 დამოკიდებულებები და მოტივაცია

დამოკიდებულებებისა და მოტივაციის გაგებისათვის

მოსწავლეთა დამოკიდებულებები და მოტივაცია კითხვისა და წერის მიმართ უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია, რომლებიც გავლენას ახდენს მათი კითხვისა და წერის უნარზე. დადებითმა დამოკიდებულებამ და მოტივაციამ შესაძლოა კომპენსაცია გაუკეთოს შედარებით სუსტად განვითარებულ უნარებს, ხოლო უარყოფითმა დამოკიდებულებებმა შესაძლოა ხელი შეუშალოს მოსწავლეს იმ ცოდნის გამოყენებაში, რომელიც მას აქვს და ახალი ინფორმაციის მიღებაში (პარიზი, ოლსონი და სტივენსონი, 1983, ციტირებულია ლიფსონსა და ვიქსონში, 2003). ატრიბუციის თეორიის მიხედვით, პიროვნების მოლოდინებს მოვლენის შედეგთან დაკავშირებით, გრძნობებს გამოცდილებასთან დაკავშირებით და მოტივაციას მომავალ გამოცდილებასთან მიმართებით უდიდესი გავლენა აქვთ მათ სწავლის პროცესზე (ვინოგრადი და ნიქუეთე, 1988). **შემენილი უმწეობა** (Learned helplessness) გავლენას ახდენს კითხვასა და სხვა პრობლემებზე.

ვინოგრადი და ნიქუეტეც (1988) ასკვნიან, რომ შემენილი უმწეობა მოქმედებს კითხვისა და სხვა ტიპის პრობლემებზე.

თვითეფექტურობა (Self-efficacy), ბანდურას მიხედვით (ბანდურა, 1994), არის ადამიანის რწმენა საკუთარ შესაძლებლობაში, რომ მას შეუძლია კონკრეტულ დონეზე შეასრულოს თავისი ამოცანა, და გავლენას ახდენს მოვლენებზე, რომლებსაც ზეგავლენა აქვთ მათ ცხოვრებაზე.

თვითეფექტურობა განსაზღვრავს, როგორ გრძნობენ ადამიანები თავს, მათ ფიქრებს, საქციელსა და მოტივაციას. ადამიანები, რომლებიც ღრმად არიან დარწმუნებულნი საკუთარ შესაძლებლობებში, რთულ დავალებას აღიქვამენ გამოწვევად, რომელსაც უნდა უპასუხოთ და არა საფრთხედ, რომელიც თავიდან უნდა აიცილოთ. ამის საპირისპიროდ, ადამიანები, რომელთაც ეჭვი ეპარებათ საკუთარ შესაძლებლობებში, ცდილობენ დაემალონ რთულ ამოცანებს და განიხილავენ მათ, როგორც საფრთხეს. ციმერმანის მიხედვით (ციმერმანი, 2000), სოციალურ-კოგნიტური თეორიის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ურთიერთდამოკიდებული ურთიერთობები კოგნიტურ, ქცევით და გარემო ფაქტორებს შორის ხელს უწყობს სწავლის მიმართ თვითრეგულაციის ჩამოყალიბებას. კოგნიტური ფაქტორები გავლენას ახდენს,

აქვთ თუ არა მოსწავლეებს დადებითი დამოკიდებულება საკუთარი შესაძლებლობების მიმართ. შეუძლიათ თუ არა, დაისახონ გამოწვევების შემცველი სასწავლო ამოცანები, ნაცვლად ადვილად შესასრულებელი გეგმებისა, რომლებიც არ შეიცავს არავითარ გამოწვევას; აქვთ თუ არა მოსწავლეებს რწმენა საკუთარ შესაძლებლობებსა და იმისა, რომ შეუძლიათ იმის სწავლა, რაც ევალებათ? შეუძლიათ თუ არა მეტაკოგნიციის გამოყენება, როდესაც საკუთარ აზროვნების პროცესზე ფიქრობენ? ფლობენ თუ არა პრობლემების გადაჭრის სტრატეგიებს? აღიქვამენ თუ არა მოსწავლეები დავალებასა თუ სწავლას ფასეულად და აქვთ თუ არა მათ მიმართ დადებითი დამოკიდებულება? მასწავლებელს შეუძლია უდიდესი ზეგავლენა მოახდინოს მოსწავლის თავდაჯერებულობაზე. ამისთვის უნდა დაეხმაროთ მათ დავალებებისა და მასალების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში.

ქცევითი (ბიჰევიორისტული) ფაქტორები გავლენას ახდენს იმაზე, გამოიყენებს თუ არა მოსწავლე სწავლის პროცესში თვითმონიტორინგს, შეუძლია თუ არა განსაჯოს, რას და როგორ სწავლობს; რა რეაქცია აქვს დავალებასთან ან სწავლის პროცესთან დაკავშირებით. თვითრეგულაციის ხელშესაწყობად შესთავაზეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებისაგან მოითხოვს მაღალი დონის ჩართულობას. გააცანით გეგმების დასახვისა და სწავლის პროცესის თვითშეფასების სტრატეგიები. საკმარისი არ არის მხოლოდ სწავლის პროდუქტის (შედეგის) შეფასება. სტუდენტის რწმენა, რომ შეუძლია თვითრეგულატორული სტრატეგიების გამოყენება, გავლენას ახდენს მათ თავდაჯერებულობაზე და

სასწავლო ამოცანებისადმი მიდგომაზე. ეს კი კორელაციაშია წერასა და კითხვაში წარმატებასთან (ციმერმანი, ბანდურა მარტინეს-პონსი, 1992).

დაბოლოს, გარემო ფაქტორები გავლენას ახდენს იმაზე, აქვს თუ არა მოსწავლეს დადებითი დამოკიდებულება სასწავლო კლიმატის მიმართ. ამ კლიმატზე გავლენას ახდენს მოსწავლის განცდა, მისაღებია თუ არა ის მასწავლებლისა და თანაკლასელებისათვის (თანატოლებისათვის), მათი ფიზიკური კომფორტი და წესრიგი. თქვენმა გადაწყვეტილებებმა საკლასო გარემოს მოწყობისა და მოსწავლეებთან ურთიერთობის სტილის შესახებ შესაძლოა ჩამოაყალიბოს მოსწავლის პოზიტიური დამოკიდებულება სწავლისადმი და აუმაღლოს მოტივაცია.

დამოკიდებულებებისა და მოტივაციის ამოცანები

მოსწავლეები აკეთებენ შემდეგს:

- დეკლამირებას უკეთებენ, რომ სჯერათ, რომ ისწავლიან იმას, რასაც დაავალბენ;
- ისახავენ გამოწვევის შემცველ და არა იოლად მისაღწევ სასწავლო ამოცანებს;
- მონიტორინგს უწევენ საკუთარ სწავლის პროცესს;
- წარმოაჩენენ პრობლემების გადაწყვეტის უნარებს;
- აფასებენ თავიანთ სწავლის პროცესს;
- იღებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხელს უწყობს სწავლის პროცესის მიმდინარეობას;
- ერთვებიან კითხვის, წერის, ლაპარაკისა და მოსმენის აქტივობებში, რომელთაც თავადვე არჩევენ;
- ერთვებიან მასწავლებლის მიერ შერჩეულ კითხვის, წერის, ლაპარაკისა და მოსმენის აქტივობებში;
- იყენებენ კითხვას, წერას, ლაპარაკსა და მოსმენას თავიანთი ყოველდღიური მოვალეობების შესასრულებლად;
- კითხულობენ, წერენ, ლაპარაკობენ და უსმენენ სიამოვნებისათვის;
- კითხულობენ, წერენ, ლაპარაკობენ და უსმენენ ინფორმაციის გასაზიარებლად და სასწავლად.

დამოკიდებულებისა და მოტივაციის შეფასებები

ამ თავში გთავაზობთ აღმრიცხველებს, რომელთა გამოყენებაც მასწავლებლებს შეუძლიათ მოსწავლეთა დამოკიდებულებების, რწმენისა და მოტივაციის განსაზღვრად კითხვისა და წერის პროცესთან მიმართებით, რათა დაგეგმონ შემდგომი ინსტრუქციები: ინტერესისა და აქტივობების აღმრიცხველი, სკოლისადმი დამოკიდებულების აღმრიცხველი; კითხვის მიმართ ინტერესის აღმრიცხველი: დაწყებით, და კითხვის მიმართ ინტერესის აღმრიცხველი: საშუალო დონეზე და მაღალ კლასებში (იხ. დანართი; გვ. 284). გარდა ამისა, აქვე მოცემულია მრავალი ინტერვიუ და კვლევა. ინტერვიუსა და კვლევების ჩატარების პროცედურები, ზოგადად, ერთი და იგივეა, მაგრამ მათი მიღწევა შესაძლებელია ამ სამი გზიდან ნებისმიერით:

1. ამ შეფასების ჩატარება უმჯობესია ინდივიდუალური ინტერვიუების სახით, რომლებშიც თქვენ კითხულობთ შეკითხვებს და იწერთ მოსწავლეთა პასუხებს. ეს მეთოდი უზრუნველყოფს ყველაზე ზუსტი ინფორმაციის შეკრებას და არ მოითხოვს მოსწავლეთაგან, რომ თავად ჩაწერონ თავიანთი პასუხები.

2. მოსწავლეებს შეიძლება საშინაო დავალებად მისცეთ ეს შეფასებები. ისინი ავსებენ მშობლების დახმარებით. ამ დროს მშობლებს შესაძლებლობა ეძლევათ, ესაუბრონ შვილებს მათი ინტერესების შესახებ. მშობლები, შესაძლოა, დაეხმარონ შვილებს თავიანთ ოჯახურ გამოცდილებაზე დამყარებული მინიშნებებით.

3. შეიძლება შეფასდეს მოსწავლე, რომელიც კითხულობს მე-2 კლასის ან უფრო მაღალ დონეზე, დამოუკიდებლად შესავსებად. თუმცა, მოსწავლემ, შესაძლოა, არ წაიკითხოს და არ უპასუხოს მათ დაფიქრებულად და ბოლომდე, როდესაც დამოუკიდებლად ავსებს.

თავდაპირველად გააანალიზეთ შეფასება, რომელიც შინაარსზეა დამყარებული. მოსწავლეების პასუხების მიხედვით გადაწყვიტეთ, როგორ გამოიყენებთ ამ ინფორმაციას სწავლების პროცესში, მათ შორის მასალების შერჩევისას და დისკუსიების საკითხების განსაზღვრისას. მეორე - თუ მოსწავლეთა შეფასება ზეპირად ჩატარდა, დააკვირდით მათ მეტყველებასა და ენას და გადაწყვიტეთ, არის თუ არა შემდგომი შეფასება საჭირო. მაგალითად, გაიგო თუ არა მოსწავლემ კითხვები ან წესები? შეძლო თუ არა მოსწავლემ, იოლად გაეცა პასუხი შეკითხვებზე, მნიშვნელოვანი შეფერხებებისა ან გაუცემელი პასუხების გარეშე? გამოიყენა თუ არა მოსწავლემ მრავალფეროვანი ლექსიკა და წინადადებების სტრუქტურები? იყო თუ არა

მეტყველება ნათელი და შესაბამისი მოცულობის? მოსწავლეთა ინტერესებისა და უნარების შესწავლით მასწავლებელს შესაძლებლობა ეძლევა, ინდივიდუალურად მიუდგეს თითოეულ მოსწავლეს - შეურჩიოს ან ურჩიოს საინტერესო წიგნები და საკითხები დასაწერად.

ინტერესისა და აქტივობების აღმრიცხველი

მიზანი: მოსწავლეთა შესახებ ისეთი ინფორმაციის შეგროვება, როგორცაა: ოჯახის წევრებისა და მათი ცხოველების სახელები, ასევე მოსწავლეთა ინტერესები და აქტივობები (ყველა კლასში).

პროცესის აღწერა: იხილეთ ზემოთ განხილული ზოგადი პროცედურების ადმინისტრირების შესახებ. რეკომენდებულია, რომ ინტერესისა და აქტივობების აღმრიცხველი (იხ.დანართი; გვ. 282) უნდა გამოვიყენოთ ნებისმიერი სხვა შეფასების წინ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არ იცნობთ მოსწავლეს. მოსწავლეები თავს მშვიდად გრძნობენ, როდესაც შეფასება იწყება მათ შესახებ კითხვების დასმით, რომლებსაც არ შეიძლება ჰქონდეთ არასწორი პასუხი. ჩვეულებრივ, ეს შეფასება ერთხელ უნდა მისცეთ მოსწავლეებს და შემდეგ გადაეცეთ მათ, ვინც მოსწავლეებთან მუშაობს. ყველა პასუხი სასარგებლოა იმისათვის, რომ შევარჩიოთ მოსწავლეთათვის საინტერესო წიგნიერების მასალები, აგრეთვე, კარგი დასაწყისია საუბრისათვის. ოჯახის წევრებისა და ცხოველების სახელები შეიძლება გამოვიყენოთ რესურსად წერის პროცესში - მოსწავლეები ისწავლიან მართლწერის ზოგიერთ წესს. ბოლო ორი შეკითხვა ეხება დროს, რომელსაც მოსწავლეები უთმობენ კითხვასა და წერას სკოლის გარეთ.

სკოლისადმი დამოკიდებულების აღმრიცხველი

მიზანი: მოსწავლის სკოლისადმი დამოკიდებულების იდენტიფიცირება. რვა შეკითხვა და მინიშნებები, ზოგადად, ღია ტიპისაა, რათა მოსწავლეებს მიეცეთ განსხვავებული პასუხების გაცემის საშუალება (იხ. დანართი; გვ. 283).

პროცესის აღწერა: დაუსვით მოსწავლეს შეკითხვები და ჩაიწერეთ მისი პასუხები. გადახედეთ ადმინისტრირების ზოგად პროცედურებს. გამოიყენეთ ეს ინფორმაცია იმის განსასაზღვრად, მოსწავლეს, ზოგადად, უარყოფითი დამოკიდებულება აქვს სკოლისადმი თუ დადებითი. მოსწავლეებმა, რომელთაც დადებითი დამოკიდებულება აქვთ, შესაძლოა უფრო სწრაფად მიაღწიონ მნიშვნელოვან წარმატებას, ხოლო მათ, ვისაც უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ, შესაძლოა სჭირდებოდეთ წარმატებული გამოცდილება, სანამ გააგრძელებენ.

კითხვის მიმართ ინტერესის აღმრიცხველი

მიზანი: ლიტერატურის იმ ჟანრების განსაზღვრა, რომელთა კითხვა და მოსმენაც მოსწავლეებს უყვართ. არსებობს კითხვის მიმართ ინტერესის ორი სხვადასხვა აღმრიცხველი: კითხვის მიმართ ინტერესის აღმრიცხველი: დაწყებითი, რომელიც განკუთვნილია მოსწავლეებისათვის K-5 კლასებში (იხ.დანართი; გვ. 284) და კითხვის მიმართ ინტერესის აღმრიცხველი: საშუალო და მაღალი კლასების საფეხური, რომელიც განკუთვნილია მე-6 - მე-12 კლასის მოსწავლეებისათვის (იხ. დანართი; გვ. 285).

პროცესის აღწერა: უთხარით მოსწავლეებს: „ეს არის ტექსტების ტიპების ანუ ჟანრების ჩამონათვალი. მე წავიკითხავ თითოეულ მათგანს და მითხარით, გინდათ თუ არა წაიკითხოთ ან მოისმინოთ. მე ან თქვენ თვითონ ვსვამთ მოდიმარ ღიმილს :) **დაიხ** პასუხის შემთხვევაში და მოწყენილ ღიმილს :(უარყოფითი პასუხის შემთხვევაში.“ თუ ძალიან ბევრ დროს არ წაიღებს, შეგიძლიათ მოსწავლეებს მისცეთ არჩევანის საშუალება, ვინ გააკეთებს აღნიშვნას. დაწყებითი დონის აღმრიცხველის ბოლოში მოცემულია დამატებითი მინიშნებები. ამ დროს მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს: „ვაპირებ, რომ წავიკითხოთ რამდენიმე მოსაზრება (აზრი). თუ ისინი სწორია (მართალია), ან თქვენ, ან მე ვაკეთებთ აღნიშვნას :) ნიშნით, ხოლო თუ მცდარია - :(ნიშნით.“ გადახედეთ ადმინისტრირების ზოგად პროცედურებს და გააანალიზეთ შედეგები, რათა შეარჩიოთ ისეთი ლიტერატურა, რომელიც საინტერესო იქნება მოსწავლეებისათვის და ბიძგს მისცემს მათ, წაიკითხონ გასართობად.

ინტერვიუ წიგნიერების პროცესთან დაკავშირებით

მიზანი: განსაზღვრა, კითხვის და წერის რომელ სტრატეგიებს ფლობენ მოსწავლეები, რომელია მათი ძლიერი მხარეები და რა საჭიროებები აქვთ. ეს 10-კითხვიანი ინტერვიუ ეყრდნობა კაროლ ბურკეს კითხვის პროცესთან დაკავშირებულ ინტერვიუს (გუდმანი, ვატსონი და ბურკე, 1987). მისი შეთავაზება შეიძლება მოსწავლეებისათვის, რომელთა კითხვის დონე შეესაბამება პირველკლასელთა კითხვის დონეს ან უფრო მაღალია (იხ. დანართი; გვ. 286).

პროცესის აღწერა: მოსწავლეებს დაუსვით შეკითხვები და ჩაიწერეთ მათი პასუხები. გადახედეთ ადმინისტრირების ზოგად პროცედურას. შედეგები გამოიყენეთ იმის განსაზღვრად, რომელი წყაროს გამოყენებისაკენ აქვს მიდრეკილება მოსწავლეს - ფონიკის, გრამატიკის, აზრის თუ მათი კომბინირებისაკენ. დასვით შემდეგი კითხვები: აკეთებს თუ არა მოსწავლე აქცენტს გრაფოფონიკაზე ან სიტყვების ხმამაღლა წარმოთქმაზე? ფოკუსირებულია თუ არა მოსწავლე სემანტიკასა და სინტაქსზე და ცდილობს თუ არა ამ გზით სიტყვების მნიშვნელობის გამოცნობას ან წინადადებისათვის შესაფერისი სიტყვების შერჩევას? ახსენა თუ არა მოსწავლემ სტრატეგიების კომბინირება? თუ ახსენა, მოსწავლეს ინტეგრირებული, კომპლექსური შეხედულება აქვს კითხვის პროცესზე. წერის სექციაში დასვით შემდეგი კითხვები: ცდილობს თუ არა მოსწავლე, სწორად დაწეროს სიტყვები? ცდილობს თუ არა მოსწავლე, გადასცეს თავისი აზრები წერილობითი ფორმით? აკეთებს თუ არა მოსწავლე აქცენტს კალიგრაფიაზე და ასოების სწორად გამოსახვაზე (ფორმირებაზე)? რა არის მოსწავლის ძლიერი მხარეები. რა საჭიროებები აქვთ მოსწავლეებს და როგორ დაეხმარებით ამ თვალსაზრისით სწავლების პროცესში? რა სტრატეგიებს იყენებს მოსწავლე, მისივე თქმით, წერის პროცესში? შეადარეთ ის, რასაც მოსწავლე ამბობს სტრატეგიებთან, რომლებიც სხვა შეფასებებისას წარმოჩნდა. სწავლების პროცესში განამტკიცეთ გამოყენებული სტრატეგიები და შეახსენეთ იმ სტრატეგიების შესახებ, რომლებიც არ გამოუყენებიათ.

.მაგალითი: ინტერვიუ წიგნიერების პროცესთან დაკავშირებით

კითხვის პროცესთან დაკავშირებული შეკითხვები
როდესაც კითხვისას უცნობი სიტყვა გხვდება, რას აკეთებ? კიდევ რამეს ხომ არ აკეთებ? - ვაკვირდები ნახატს.
როდესაც კითხვისას რაღაც არ გესმით, რას აკეთებ? კიდევ რამეს ხომ არ აკეთებ? - წარმოვთქვამ. ვფარავ სიტყვის ბოლოს ნაწილს.
როგორ დაეხმარებოდი ადამიანს, რომელსაც პრობლემები აქვს კითხვისას? - ვეტყვი სიტყვას, რომელზეც გაჭედილები არიან, თუკი ვიცი.
შენი აზრით, რა გამოგდის კარგად კითხვის პროცესში? რატომ? - შემიძლია დიდი სიტყვების წაკითხვა, რადგან შემიძლია მათი წარმოთქმა.
რას შეცვლიდი კითხვასთან დაკავშირებით? რატომ? - მინდა უფრო სწრაფად ვკითხულობდე, როგორც მოლი.
წერის პროცესთან დაკავშირებული შეკითხვები
როდესაც წერის პროცესში სირთულეს აწყდები, რას აკეთებ? კიდევ რამეს ხომ არ აკეთებ? - ვცდილობ ვიპოვო სიტყვა პოსტერზე ან ლექსიკონში.
როდესაც წერით დავალებას გაძლევენ, რას აკეთებ პირველად? შემდეგ? ამის შემდეგ? უკანასკნელად? - ვაწერ ჩემს სახელსა და გვარს. შემდეგ ვიწყებ ფიქრს, რა დავწერო და ვწერ.
როგორ დაეხმარებოდი ადამიანს, რომელსაც პრობლემები აქვს წერისას? - მივცემდი ლექსიკონს.
შენი აზრით, რა გამოგდის კარგად წერის პროცესში? რატომ? - კარგად ვწერ ასოებს. ხალხი მეუბნება, რომ კარგად ვწერ.
რას შეცვლიდი წერასთან დაკავშირებით? რატომ? - მინდა, რომ სიტყვებს ყოველთვის უშეცდომოდ ვწერდე. მე ხშირად ვუშვებ შეცდომებს.
<i>გუდმანის, ვატსონის და ბურკეს მიხედვით (1987).</i>

კითხვის პროცესთან დაკავშირებული კითხვების ანალიზი: ეს მოსწავლე ამბობს, რომ იყენებს სამ სხვადასხვა სტრატეგიას უცნობი სიტყვების გასაგებად: უყურებს ნახატს, წარმოთქვამს და ფარავს მის დაბოლოებას. ის ფიქრობს, რომ კარგი მკითხველი ის არის, ვინც იცის სიტყვები და კითხულობს სწრაფად. ის განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ფონიკაზე.

ინსტრუქციები მასწავლებელთათვის კითხვასთან დაკავშირებით: განუმტკიცეთ მოსწავლეებს ნაცნობი სტრატეგიების ცოდნა და ურჩიეთ ისეთი სტრატეგიების გამოყენება, როგორებიცაა: გააგრძელებთ კითხვა;

დაბრუნდით უკან და იფიქრეთ, რა არის ლოგიკური (აზრიანი). ამ კომენტარებში არ ჩანს იდეა, რომ კითხვის მიზანი არის რამის სწავლა ან სიამოვნების მიღება/გართობა და არა ჩქარა კითხვა. სწავლების პროცესში ეს აუცილებლად უნდა გავაგებინოთ მოსწავლეებს.

წერის პროცესთან დაკავშირებული კითხვების ანალიზი: მოსწავლე იყენებს სხვადასხვა წყაროს სიტყვების დასაწერად. მას მიაჩნია, რომ ის კარგად წერს, რადგან კარგი კალიგრაფია აქვს. გარდა ამისა, მიაჩნია, რომ სიტყვების სწორად წერა მნიშვნელოვანია.

ინსტრუქციები მასწავლებელთათვის წერასთან დაკავშირებით: შეაქეთ მოსწავლე სიტყვების წერისას წყაროების გამოყენებასა და აკურატული ხელწერის გამო. თუმცადა, კარგი კალიგრაფია ძალიან კარგია, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია მოსწავლეს ესმოდეს, რომ წერის მთავარი მიზანი აზრების გადმოცემაა. მას უნდა მივცეთ შესაძლებლობა, რომ წეროს იდეების გადმოსაცემად და უნდა ვაჩვენოთ, როგორ შეიძლება უცნობი სიტყვების წერა ვარაუდზე დაყრდნობით და შემოხაზოს სიტყვები, რომელთა მართლწერაში დარწმუნებული არ არის.

კითხვისა და წერის მიმართ დამოკიდებულებების შესახებ გამოკითხვა

მიზანი: K-6 კლასის მოსწავლეთა შეფასება კითხვისა და წერისადმი მათი დამოკიდებულებების თვალსაზრისით. ამ რესურსთან ერთად დამატებით შეიძლება დაწყებით დონეზე კითხვის მიმართ დამოკიდებულებების კვლევის (მაკკენა და კეარი, 1990) და ელემენტარულ დონეზე წერის მიმართ დამოკიდებულებების კვლევა (კეარი, კოფმანი, მაკკენა და ამბროსია, 2000).

პროცესის აღწერა: სთხოვეთ მოსწავლეებს, უპასუხოთ 20-კითხვიან შეფასებას. ისინი წრეს შემოხაზავენ გარფილდის კომიქსის ნახატზე, რომელზეც საუკეთესოდ წარმოადგენს გრძნობებს სიხარულიდან გაანალიზებთ მოსწავლეთა დამოკიდებულებებზე დამყარებული ქულები აკადემიური და გართობის მიზნით წერასა და კითხვაში.

დადებითი დამოკიდებულებებისა და მოტივაციის ჩამოყალიბება

მოსწავლეები, რომელთაც დადებითი დამოკიდებულება აქვთ, წარმატებულები არიან კითხვაში და აქვთ გარკვეული არჩევანი კითხვის, წერის, ლაპარაკისა და მოსმენის თვალსაზრისით. ისინი, ჩვეულებრივ, უფრო ადვილად მიდიან რისკზე და შესაძლოა მათთვის გამოწვევა იყოს მიახლოებითი განვითარების ზონის საზღვართან მიახლოება და შეიძლება ისწავლონ დაჩქარებული ტემპით. ამის საპირისპიროდ, მოსწავლეები, რომელთა დამოკიდებულებაც არ არის პოზიტიური და ნაკლებად წარმატებული გამოცდილება აქვთ, შესაძლოა, საჭიროებდნენ მეტ დახმარებასა და პრაქტიკას. მათ უნდა შევთავაზოთ ინსტრუქციულ დონეზე მცირე რაოდენობით ცვლილებები და მეტი არჩევანის საშუალება იმასთან დაკავშირებით, თუ რას გააკეთებენ. გარდა ამისა, დადებითი დამოკიდებულების მქონე მოსწავლეები სწავლობენ უფრო დაჩქარებული ტემპით იმათთან შედარებით, ვისაც ნაკლებად პოზიტიური დამოკიდებულებები აქვთ. სასწავლო კლიმატის, დავალებებისა და მასალების შევსების გზით შეგიძლიათ აუმაღლოთ მოსწავლეს მოტივაცია და გაუუმჯობესოთ დამოკიდებულება სწავლისადმი.

სასწავლო კლიმატი

სასწავლო კლიმატი აღნიშნავს, რომ მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ განცდა, რომ ისინი მისაღები არიან მასწავლებლისა და თანატოლებისათვის და, აგრეთვე, მათ საჭიროებას, რომ კლასში ფიზიკურად კომფორტულად გრძნობდნენ თავს. მარზანო (1992) მიიჩნევს, რომ მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს გაუმლიეროს განცდა, რომ ისინი მისაღები არიან შემდეგი გზით: მიესალმეთ მოსწავლეებს, როდესაც ოთახში შემოდიან, წამოიწყეთ საუბარი, ამისთვის მოიკითხეთ ისინი ან მათთვის საინტერესო საკითხებს შეეხეთ. სწავლების პროცესში დაამყარეთ თვალებით კონტაქტი, მიმართეთ მათ სახელებით და მიუახლოვდით მათ სასწავლო აქტივობების მიმდინარეობისას.

მასწავლებელს შეუძლია მხარდამჭერი, უსაფრთხო გარემოს შექმნა: გამოეხმაურეთ მოსწავლეთა შეკითხვებს, კომენტარებსა და პასუხებს პოზიტიურად, მიეცით დრო გამოძახებამდე. დააფასეთ მოსწავლის პასუხი, გაიმეორეთ ან პერიფრაზირება გაუკეთეთ მის მიერ დასმულ კითხვებს, დაეხმარეთ მინიშნებების ან კარნახის გზით კითხვებზე პასუხის გაცემასა და პრობლემების გადაჭრაში. მოსწავლეებისაგან ნუ მოელოთ

უზადოდ და სწრაფად კითხვას. შეცდომებისა და ხარვეზების გამოყენება შესაძლებელია მათ სწავლის პროცესზე დასაკვირვებლად, რის საფუძველზეც მასწავლებელი ეხმარება შესაბამისი პრობლემების გადაჭრის სტრატეგიების სწორად შერჩევაში. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ ძალიან ბევრი შესაძლებლობა, რომ ივარჯიშონ კითხვაში, წერაში, ლაპარაკსა და მოსმენაში ავთენტური მიზნების მიხედვით.

დაეხმარეთ მოსწავლეებს, განუმტკიცდეთ რწმენა, რომ მისაღებები არიან თანატოლებისათვის. ამისათვის წახალისეთ ისინი, პატივი სცენ ერთმანეთს, ერთად იმუშაონ, დაეხმარონ ერთმანეთს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უმცროსკლასელებთან მუშაობა იმისათვის, რომ ერთმანეთს მოეპყრონ პატივისცემით, რისთვისაც, პირველ რიგში, კლასელებმა ერთმანეთი მეგობრებად უნდა მოიხსენიონ. მასწავლებელმა შემდეგი შინაარსის წინადადებებით უნდა წახალისოს ისინი: „მეგიძლია დაეხმარო შენს მეგობარს და აჩვენო, რომელ პარაგრაფში შეიძლება პასუხის პოვნა?“ ან „ჩვენი მეგობარი კატერინა დღეს ავად არის და სახლშია. დამეხმარეთ, რომ მივწეროთ ღია ბარათი გამოჯანმრთელების სურვილით“. მნიშვნელოვანია, რომ ყველა კლასში აღნიშნოთ, როდესაც მოსწავლეები და კოლეგები ეხმარებიან სხვებს ან კარგად ექცევიან. აგრეთვე, უნდა შეჩერდეთ და ყურადღება გაამახვილოთ ნებისმიერ ნათქვამზე ან საქციელზე, რომელმაც სხვას შეიძლება გული ატკინოს. მოსწავლეთა საკუთარი თავისადმი დამოკიდებულება ხშირად განსაზღვრავს იმას, თუ რას ამბობენ და როგორ ექცევიან სხვები მათ. კლასიდან გასვლის წინ უსურვეთ სასიამოვნო დღე და უთხარით, რომ მოუთმენლად ელოდებით მათთან ხელახლა შეხვედრას.

მოსწავლეთა ფიზიკური კომფორტის შესაქმნელად დაკვირვებით გაანაწილეთ ავეჯი, რათა გააადვილოთ მოძრაობა ჯგუფური ან ინდივიდუალური მუშაობის დროს. დარწმუნდით, რომ მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სკამები, მერხები ან მაგიდები კარგი სიმაღლისაა, რათა მოსწავლეებმა თავი კომფორტულად იგრძნონ. გამოყავით და მოაწყვეთ საკლასო ბიბლიოთეკის ადგილი, კომპიუტერები და საწერი და გამოსაქვეყნებელი მასალები. გამოფინეთ მოსწავლეთა ახალი ნამუშევრები კლასში. ყურადღებით შეარჩიეთ კედელზე დაკიდებული თვალსაჩინოებები, რათა ისინი იყოს საინტერესო და აზრის შემცველი, მაგრამ ნუ გადაამეტებთ. მოამზადეთ საკლასო მასალები, რომ მოსწავლეებს იოლად მიუწვდებოდეთ ხელი მათზე. გამოყავით დრო დასვენებისათვის, ტუალეტში წასასვლელად ან წყლის დასალევად. დაბოლოს, მოსწავლეებს რომ შეექმნათ მოწესრიგებულობის განცდა, ნათლად აუხსენით, რა მოლოდინები გაქვთ მათ დავალებებთან და ქცევასთან დაკავშირებით. ეს უნდა ასწავლოთ დასაწყისშივე და შემდეგ განუმტკიცოთ მთელი წლის განმავლობაში.

სასწავლო დავალებები

მასწავლებელს შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს მოსწავლეთა დამოკიდებულებებსა და მოტივაციაზე, თუკი ის დაკვირვებით შეარჩევს შესაბამის დავალებებს. დავალებები უნდა იყოს შინაარსიანი, საინტერესო და ავთენტური. დავალებების შესარჩევად, პირველ რიგში, კარგად უნდა იცოდეთ მოსწავლეთა ინტერესები, დავალების შესასრულებლად საჭირო წინასწარი ცოდნა და შინაარსი, მოსწავლეთა მიმდინარე ცოდნის დონე და მათი უნარი, გამოიყენონ სტრატეგიები პრობლემების გადასაჭრელად. ამის მიღწევა შეიძლება დიაგნოსტიკური ან ფორმატიული შეფასებების მონაცემებისა და დაკვირვებების გამოყენებით. ამის შემდეგ უნდა შეარჩიოთ აზრიანი, საინტერესო და მოსწავლეთა მიახლოებითი განვითარების ზონის შესაბამისი დავალებები. მოსწავლეებს შეუძლიათ წარმატებით შეასრულონ დავალება, საჭიროების შემთხვევაში უფროსების ან უფრო მცოდნე თანატოლის დახმარებით.

სწავლების პროცესში გამოიყენეთ *მოვალეობების თანდათანობითი განვითარების მოდელი* (gradual release of responsibility model). მოლოდინები უნდა იყოს რეალისტური, გადმოცემული ცხადად და საჭიროების შემთხვევაში სათანადო დახმარებაა საჭირო. პირველ რიგში, დაეხმარეთ მოსწავლეებს თავიანთი წინასწარი ცოდნის გააქტიურებაში, მიაწოდეთ დამატებითი ინფორმაცია და მოდელირება გაუკეთეთ მოსწავლეების მიერ შესასრულებელ დავალებას. ამისათვის გამოიყენეთ *იფიქრე ხმამაღლა* სტრატეგია ანუ გაახმოვანეთ აზრები, რომლებიც გიჩნდებათ კითხვისა და წერის პროცესში. შემდეგ მოსწავლეები მასწავლებლის ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ. მასწავლებლებივე სთავაზობენ მათ სტრატეგიებს, რომელთა გამოყენებაც მათ შეუძლიათ სწავლის პროცესის მონიტორინგისა და დავალების წარმატების შესასრულებლად. მიეცით მათ შესაძლებლობა, ივარჯიშონ თავიანთი კლასელების დახმარებით, ხოლო თქვენ შესთავაზეთ რეფლექსიური კითხვები და უკუკავშირი. თუმცა მოსწავლეებისათვის შექება მნიშვნელოვანია, ისინი გაცილებით თავდაჯერებულები ხდებიან, როდესაც თავად გრძნობენ, რომ რაღაც კარგად გააკეთეს. თუ მოსწავლემ იცის თქვენი მოლოდინების შესახებ, მათ შორისაა მათი აზროვნების პროცესის მონიტორინგიც, ისინი, დიდი ალბათობით, აქტიურად ჩაერთვებიან სწავლის პროცესში და გაუჩნდებათ მოტივაცია, გააგრძელონ სწავლა. ბოლოს კი, მოსწავლეები დამოუკიდებლად ასრულებენ

დავალებას და მასწავლებელი და თანაკლასელები აფასებენ, რა ისწავლეს და ერთად განსაზღვრავენ ძლიერ მხარეებსა და საჭიროებებს. თუ მოსწავლეებმა წარმატებით შეასრულეს დავალება, ისინი კმაყოფილები არიან მიღწეულით. მათ აქვთ განცდა, რომ უპასუხეს მაღალ, თუმცა რეალისტურ მოლოდინებს. ამის შემდეგ შეგიძლიათ მოსწავლეებს დაუსახოთ ახალი ამოცანები და შეურჩიოთ სავარჯიშოები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება ადრე ნასწავლი ინფორმაცია. თუ მოსწავლეებს პრობლემები აქვთ, განსაზღვრეთ სად სჭირდებათ თქვენი დახმარება და ხელახლა აუხსენით განსხვავებული გზით.

თუმცა ყოველთვის გამართლებული არ არის, მოსწავლისათვის დავალების ტიპის შერჩევის შესაძლებლობა; ეს არა მხოლოდ არჩევანის საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, არამედ მხედველობაში იღებს სწავლის განსხვავებულ სტილებს. მაგალითად, თუ მოსწავლეები სწავლობენ მეცნიერებების ან სოციალური მეცნიერებების რომელიმე ნაწილს, მათ უნდა წარმოაჩინონ, რა გაიგეს სხვადასხვა ტიპის პროექტის საშუალებით: პრეზენტაციით, ანგარიშებით, მაკეტებით, თამაშით და ა. შ. ხელმძღვანელობითი არჩევანის დროს ჰკითხეთ მიეცით მოსწავლეებს ვარიანტები, საიდანაც აირჩევენ ან ჰკითხეთ, რომელი დავალების შესრულება ურჩევნიათ პირველად.

მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ შერჩეული მასალები

დავალების მიმართ მოსწავლეების დამოკიდებულება და მათი მოტივაცია ხშირად დაკავშირებულია შერჩეულ (მათ შორის მოსწავლეების მიერვე შერჩეულ) საკითხავ და საწერ მასალასთან. ქვემოთ მოცემულია რჩევები სასკოლო და საკლასო ბიბლიოთეკისათვის რეკომენდებული ტექსტების ტიპების შესახებ, რატომ უნდა იკითხოთ მოსწავლეებმა მრავალფეროვანი ტექსტები, ტექსტების შეფასების კრიტერიუმები და კითხვადობისა და ტექსტის დონის გაზომვის მეთოდები.

ტექსტების ტიპები საკლასო და სასკოლო ბიბლიოთეკისათვის

კითხვით მოსწავლეები იღებენ ცოდნას სამყაროს, კონკრეტული საკითხის, ლექსიკის, წერილობითი ტექსტის ენისა და ფორმის შესახებ (ისბე - ISBE Monograph, 2000). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს ხელი მიუწვდებოდეთ სხვადასხვა ჟანრის, დონისა და ფორმატის წიგნებთან საკლასო და სასკოლო ბიბლიოთეკებში. 7.1 ცხრილში მოცემულია მნიშვნელოვანი ჟანრები. ტექსტები ძალიან საინტერესო უნდა იყოს მოსწავლეთათვის და უნდა შეიცავდეს ავთენტურ მულტიკულტურულ ლიტერატურას, განსაკუთრებით კი იმ ტიპის ლიტერატურას, რომელშიც წარმოდგენილია მოსწავლეთა განსხვავებული კულტურები და ინტერესები. ხელსაყრელია (კარგია), თუ გექნებათ ერთი და იმავე ავტორის ან ერთსა და იმავე თემაზე დაწერილი წიგნები, რადგან ეს სტიმულს აძლევს მოსწავლეებს, წაიკითხოთ დამატებითი ლიტერატურა. შესწავლილ საკითხთან დაკავშირებული მრავალფეროვანი ტექსტები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, შეადარონ და შეაპირისპირონ სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია.

ცხრილი 7.1 ლიტერატურის ჟანრები	
მხატვრული ანუ ნარატიული	არამხატვრული ანუ ინფორმაციული
ტრადიციული ლიტერატურა:	საინფორმაციო წიგნები:
მითები	მეცნიერება და ბუნება: ბიოლოგია და ადამიანის აგებულება, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერება და სამყარო და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და ტექნოლოგიები
რელიგიური მოთხრობები	სოციალური მეცნიერებები
ბალადები და ფოლკლორული სიმღერები	საზოგადოება და კულტურა
ტრადიციული საბავშვო ლექსები და გამოცანები	ნატიფი და გამოყენებითი ხელოვნება
ლექსები და პოემები	სპორტი
პიესები	ისტორია
ხალხური ზღაპრები: ზღაპრები ცხოველების შესახებ, ზღაპრები, იგავები, ამბები ჭკუასუსტი პერსონაჟების მონაწილეობით, ამბები სულების	გეოგრაფია

მონაწილეობით, ეპიკური ნაწარმოებები, საგმირო ლეგენდები...	
ფენტეზი: ცხოველების მონაწილეობით, სათამაშოების მონაწილეობით, საოცარი მოგზაურობები და წარმოსახვითი ადგილები, საგმირო ფენტეზი, ზებუნებრივ და წარმოსახვით დროსთან დაკავშირებული ფენტეზი, სამეცნიერო ფენტეზი და სივრცესთან დაკავშირებული ფენტეზი	მთავრობა და მოქალაქეობა
თანამედროვე ხალხური ზღაპრები	ადამიანის განვითარება და ქცევა
ვესტერნი	ენა და კომუნიკაცია
რომანტიკული	მათემატიკა: დახარისხება და სტრუქტურირება; კონცეფციებისა და ღირებულების დალაგება და კანონზომიერებების დადგენა; მათემატიკური ოპერაციები (მიმატება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა); წილადები, ათწილადები და პროცენტები; გაზომვები (სიგრძე, ფართი, მოცულობა, წონა)
საშინელებათა	ალგებრა
თრილერი	გეომეტრია
მისტერიები/საიდუმლოები	ვარაუდები და ალბათობა
თანამედროვე რეალისტური ლიტერატურა	გრაფიკა და ცხრილები
ისტორიული ჟანრის მხატვრული ლიტერატურა	პრობლემების გადაჭრა
ადრეულ ბავშვობაში წასაკითხი წიგნები:	ბიოგრაფია და ავტობიოგრაფია:
კონცეპტუალური წიგნები: ცხოველები, ფორმები, ფერები, ანტონიმები, წინდებულები, ადამიანის აგებულება...	პოლიტიკური ლიდერები, სპორტსმენები, გასართობი ინდუსტრიის წარმომადგენლები, სამხედრო ლიდერები, რელიგიური ლიდერები, მოგზაურები, მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები, უარყოფითი ადამიანები და სხვა ისტორიული პირები
შესავსები წიგნები	
ანბანის შესასწავლი წიგნები	
ციფრებისა და თვლის შესასწავლი წიგნები	
სიმღერები	
საბავშვო ლექსები	
წიგნები, რომლებშიც მოცემულია თამაშები, როლებშიც თითების მოძრაობაა გამოყენებული	
ნახატებიანი წიგნები ტექსტის გარეშე	
ნახატებიანი წიგნები	
წყაროები: ლექსიკონები; განმარტებითი ლექსიკონები; ენციკლოპედიები; ალმანახები; ატლასები; რუკები; გლობუსი; გაზეთები; ჟურნალები; ბროშურები; რეცეპტები; ინსტრუქციები; ინტერნეტი; კითხვისა და წერისათვის განკუთვნილი კომპიუტერული პროგრამები; მასწავლებლისა და მოსწავლეების მიერ შედგენილი წიგნები და მასალები	

უკანასკნელი კვლევები ადასტურებს, რომ განმარტებითი წიგნების რაოდენობა ნარატიულთან შედარებით საკლასო ბიბლიოთეკებში გაცილებით მცირეა (დეუკი.2000). მხატვრულ ლიტერატურასა და პოეზიასთან ერთად, საკლასო ბიბლიოთეკაში თავმოყრილი უნდა იყოს განმარტებითი შინაარსის წიგნები, გაზეთები და რესურსები მეცნიერებების, სოციალური მეცნიერებებისა და მათემატიკის შესახებ, რათა მოსწავლეებს მათი წაკითხვის სურვილი გაუჩნდეთ. გარდა ამისა, აქვე უნდა მოვათავსოთ კლასში მომზადებული ან მოსწავლის მიერ მომზადებული წიგნები. საკლასო ბიბლიოთეკაში წიგნები შეიძლება დავაწყოთ თემატურად, რათა გაადვილდეს წიგნების შერჩევის პროცესი. გარდა ამისა, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ისეთი რესურსები, როგორებიცაა დასურათებული ლექსიკონები და სხვა ენების ლექსიკონები, განმარტებითი ლექსიკონები; ენციკლოპედიები; ალმანახები; ატლასები; რუკები; გლობუსი; გაზეთები;

ჟურნალები; ბროშურები; რეცეპტები; ინსტრუქციები; ტექნოლოგიები, ინტერნეტისა და კომპიუტერული პროგრამების ჩათვლით.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები გაეცნონ ხარისხიან ლიტერატურას. შემდეგი რესურსები შეიცავს მოსწავლეთათვის განკუთვნილ მაღალხარისხოვანი განმარტებითი და ნარატიული წიგნების ჩამონათვალს:

კლუბიენი და დრეჰერი (2004), გუნინგი (2000), ჰიდლეი (2000) და გრიფითსი (1991). ამერიკის ბიბლიოთეკების ასოციაცია და ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების ასოციაცია აჯილდოებს ავტორებსა და ილუსტრატორებს. ამ აჯილდოების ჩამონათვალისა და კრიტერიუმების მოძებნა შეგიძლიათ ინტერნეტში შემდეგ მისამართზე: www.ala.org/ala/alsc/awardsscholarships/literaryawds/literaryrelated.cfm. აჯილდოებს შეიცავს, მაგრამ არ არის შეზღუდული, შემდეგ პრიზებს:

- ჯონ ნიუბერის სახელობის მედალი გადაეცემა ავტორს ამერიკულ საბავშვო ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.
- რენდოლფ კალდეკოტის სახელობის მედალი გადაეცემა განსაკუთრებული დასურათებული საბავშვო წიგნის მხატვარს.
- კორეტა სკოტის სახელობის სამეფო წიგნის პრიზი გადაეცემათ აფროამერიკელ მწერალსა და ილუსტრატორს გამორჩეული საგანმანათლებლო შინაარსისა და შთაგონების მომტანი წიგნისათვის.
- პურა ბელპრეს სახელობის პრიზი გადაეცემათ ლათინოამერიკელ მწერალსა და ილუსტრატორს, რომელთა ნაშრომებიც საუკეთესოდ გამოხატავს, აღწერს ლათინოების კულტურულ გამოცდილებას ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის განკუთვნილ ლიტერატურულ ნაწარმოებში.
- რობერტ ფ. სიბერტის სახელობის პრიზი საინფორმაციო წიგნისათვის ყოველწლიურად გადაეცემა ავტორ(ებ)სა და ილუსტრატორ(ებ)ს ინგლისურ ენაზე გამოცემული ყველაზე ღირებული საინფორმაციო ხასიათის წიგნისათვის.
- თეოდორ სეუს გეისელის ყოველწლიური პრიზი ყოველწლიურად გადაეცემა ავტორ(ებ)სა და ილუსტრატორ(ებ)ს ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული დამწყები მკითხველებისათვის განკუთვნილი წიგნისათვის.

სპეციალური პრიზი გამოავლენს საუკეთესოთა შორის საუკეთესო საბავშვო წიგნს, ჩანაწერებს, ვიდეოჩანაწერებს და კომპიუტერულ პროგრამებს.

გარდა ამისა, წიგნებს აჯილდოებენ სხვა ორგანიზაციებიც:

- კითხვის საერთაშორისო ასოციაცია და საბავშვო წიგნების საბჭო; მასწავლებლების არჩევანი, ბავშვების არჩევანი და მოზარდების არჩევანი, წიგნების ჩამონათვალი (www.reading.org/resources/tools/choices_childrens.html)
- საბავშვო წიგნების საბჭოს წიგნების ჩამონათვალი და პრიზები (www.cbcbooks.org)
- მეცნიერებების მასწავლებელთა ეროვნული ასოციაცია საუკეთესო Trade Books წიგნი მეცნიერებებში მოსწავლეთათვის (K-12) (www.nsta.org/publications/ostb/).

ბიბლიოთეკის ორგანიზება. მისათვის, რომ დაეხმაროთ მოსწავლეებს წიგნების შერჩევაში, შეგიძლიათ ბიბლიოთეკაში წიგნები დააწყოთ დონეების მიხედვით და მოსწავლეებს მცირე მეგზურობა (დახმარება) გაუწიოთ. წიგნები შეიძლება გადაანაწილოთ კალათებში ან ყდაზე დააწებოთ ფერადი ფურცლები, რომლებზეც მითითებული იქნება წიგნი დონე. თუმცაღა შესაფერისი დონის წიგნების შერჩევა მოსწავლეთათვის მნიშვნელოვანია, მათი მოტივირებისათვის არანაკლებ (თუ უფრო მეტად არა) მნიშვნელოვანია, ჰქონდეთ შესაძლებლობა, თავად შეარჩიონ მათთვის საინტერესო წიგნები.

წახალისეთ მოსწავლეები, წაიკითხონ სხვადასხვა სახის ლიტერატურა. ხელი შეუწყვეთ მოსწავლეებს, რომ გაუჩნდეთ სხვადასხვა საკითხის, ჟანრის ან ავტორის ტექსტების კითხვის ინტერესი. გააცანით მოსწავლეებს ჟურნალის ან საგაზეთო სტატიები. ესაუბრეთ წიგნების შესახებ და დაავალეთ მოსწავლეებს, თვითონაც ისაუბრონ საკუთარ შერჩეულ წიგნებზე. სთხოვეთ მოსწავლეებს, შეისწავლონ ავტორი ან საკითხი და შემდეგ გააცნონ თანაკლასელებს. განსაზღვრეთ მოსწავლეთა ინტერესები და ურჩიეთ, რა წაიკითხონ. კურიკულუმში მოცემული თემების ან მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით შეარჩიეთ მათთან დაკავშირებული წიგნები. სთხოვეთ მოსწავლეებს, გაუზიარონ სხვებს ინფორმაცია, რომელიც ინტერნეტიდან მიიღეს და დაკავშირებულია საკლასო გამოცდილებასთან ან თემასთან. სთხოვეთ მოსწავლეებს, შეარჩიონ ლექსები, ანექდოტები და გამოცანები კლასისათვის წასაკითხად. მიეცით მოსწავლეებს შესაძლებლობა, განიხილონ ტექსტი და დააკავშირონ თავიანთ ცხოვრებასთან, სხვა ტექსტებსა და ზოგადად ცხოვრებასთან. მიეცით შესაძლებლობა, იკითხონ ინდივიდუალურად, წყვილებში და პატარა ჯგუფებში. საკლასო ბიბლიოთეკაში გამოსაჩენ ადგილას დადეთ ახალი გამოცემები.

რატომ უნდა გვქონდეს მხატვრული ტექსტები საკლასო ბიბლიოთეკაში?

ძალიან ბევრი მოსწავლისათვის მხატვრული ანუ ნარატიული ტექსტები სახალისო საკითხავია და ეხმარება მათ წარმოსახვის გაუმჯობესებაში. ზღაპრები და საბავშვო ლექსები თაობიდან თაობას გადაეცემა. მათ უმრავლესობაში ამბები და მოვლენები პროგნოზირებადი, წინასწარ განსაზღვრულია და ხშირად შეიცავს განმეორებულ სტრიქონებს, რის გამოც ამ ტიპის ტექსტები ადვილად წასაკითხია. უმცროსი ასაკის მოსწავლეთათვის რეკომენდებულია წიგნები, რომლებსაც ბედნიერი დასასრული აქვთ, ხოლო შემდეგ სვიფტის „გულივერის მოგზაურობა“, მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი“, ჯეკ ლონდონის „წინაპართა ძახილი“ და ჟულ ვერნის „ოცი ათასი კილომეტრი წყალქვეშ“, ასევე, უფრო თანამედროვე ნაწარმოებები, მაგალითად, როულინგის „ჰარი პოტერი.“ სკოლასა და სახლში საბავშვო წიგნების უმეტესობა მხატვრული ნარატივებია.

რატომ უნდა გვქონდეს არამხატვრული ტექსტები საკლასო ბიბლიოთეკაში?

უმეტესობა, რასაც ბავშვები სკოლის გარეთ კითხულობენ, არამხატვრული ანუ განმარტებითი ტექსტებია. ასევეა ზრდასრულების შემთხვევაშიც (ჰარვეი, 1998). ვინაიდან დაწყებითი კლასების პროგრამებში ძირითადად მხატვრული ტექსტებია შეტანილი, როდესაც მოსწავლეები უფროს კლასებში გადადიან და საგნობრივ შინაარსთან დაკავშირებულ ტექსტებსა და მასალებს ხვდებიან, ბევრ მათგანს უჭირს არამხატვრული ტექსტის გაგება (კასველი და დუკი, 1998; როგი, 2003). მაღალ კლასებში არამხატვრულ ტექსტებთან დაკავშირებული სირთულეები, შესაძლოა, გამოწვეული იყოს დაწყებით კლასებში გამოცდილების ნაკლებობით (კასველი და დუკი, 1998; დონოვანი და სმოლკინი, 2001). თანამედროვე ბავშვებმა რომ შეძლონ ინფორმაციისა და მოწინავე ტექნოლოგიების ხანაში თავის დამკვიდრება, მათ სჭირდებათ ძალიან კარგად იცნობდნენ არამხატვრულ ტექსტებს (მოსი, ლეონე და დიფილიო, 1997).

პატარა ბავშვებს აქვთ იმის უნარი, რომ იკითხოთ არამხატვრული ტექსტები, ხოლო თუ მასწავლებელი მისცეს მას მრავალგვარ შესაძლებლობას, რომ ჩაერთოს ამ ტექსტების კითხვის პროცესში, მათი უნარი, გაიგონ არამხატვრული ტექსტები, მკვეთრად იზრდება (დუკი და კეისი, 1998; კამილი და ლეინი, 1997 ციტირებულია იოპთან და იოპთან, 2000). არამხატვრული ტექსტების კითხვის სარგებელი არ არის მხოლოდ შინაარსის გაგება, ის მოტივაციასაც უმაღლესს ბავშვებს. დოირონი (1994) გვთავაზობს, რომ არამხატვრული ტექსტების მოცულობა უნდა გაიზარდოს, აფექტური მიზნებიდან გამომდინარე. ის ამტკიცებს, რომ არამხატვრული წიგნების კითხვა ჩართული უნდა იყოს ხმამაღლა მართულ (ხელმძღვანელობით) და დამოუკიდებლად კითხვის პროცესებში, რადგან მოსწავლეებს აინტერესებთ, რა ხდება მათ გარშემო სამყაროში.

იოპების (იოპი და იოპი, 2000) აზრით, არამხატვრულმა ტექსტმა შეიძლება გააძლიეროს ბავშვის ინტერესი და ჩამოაყალიბოს ისინი უფრო მიზანდასახულ და აქტიურ მკითხველებად. აშშ-ს ეროვნული სტანდარტისა და კანონმდებლობის მიხედვით, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებმა დაწყებითი კლასის მოსწავლეებს შესთავაზონ გამოცდილება და ტექსტები, რომლებიც მათ გაუჩენს კითხვის მოტივაციას და არა მხოლოდ კითხვის უნარების გასავითარებლად. მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს ფასეული საგნობრივი ცოდნის მისაღებად საჭირო ინფორმაციითაც. ვინაიდან არამხატვრული ტექსტები სახელმწიფო და რეგიონალურ ტექსტებში ყველაზე დიდ ნაწილს იკავებს, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა სწავლების პროცესში საკმაოდ დრო დაუთმოს მათ. გარდა ამისა, ერთსა და იმავე თემაზე დაწერილი მხატვრული და არამხატვრული ტექსტების დაწყვილება, ინტერაქტიურ სტრატეგიებთან ერთად, შესაძლოა დაეხმაროს მოსწავლეებს ტექსტის გაგებასა და მისგან სიამოვნების მიღებაში (კამპი, 2000; ტაბერსკი, 2000).

ტექსტის შეფასების კრიტერიუმები

შეარჩიეთ ხარისხიანი ტექსტები მოსწავლეთათვის, ამისათვის დიზაინი უნდა იყოს მიმზიდველი, შინაარსი დეტალური/ზუსტი და ნათლად ორგანიზებული. გაითვალისწინებთ შემდგომი ასპექტები თითოეული ტექსტის შეფასებისას:

მიმზიდველი დიზაინი. შეიცავს თუ არა ტექსტი ხარისხიან, მიმზიდველ ილუსტრაციებს, ფოტოებს, რუკებს, ნახაზებს ან გრაფიკებს? ეხმარება თუ არა ილუსტრაციები ტექსტის გაგებას? ნათლადა თუ არა დასათაურებული და შესაფერისად არის თუ არა ინტეგრირებული ტექსტში? არის თუ შრიფტი ადვილად წასაკითხი? არის თუ არა ტექსტი განთავსებული ისე, რომ მკითხველისათვის ადვილად აღსაქმელი იყოს? დიზაინის საუკეთესო მაგალითად გამოდგება წიგნი „ქარიშხალი და ტორნადო“ (ჩალონერი, 2004).

ეს ტექსტი შეიცავს ფოტოებს, მოდელებს, ილუსტრაციებსა და ექსპერიმენტებს, რომლებიც დაკავშირებულია ქარიშხალსა და ტორნადოსთან, მათ შორისაა ქარიშხალ კრისტინას დეტალებიც.

მიზიდიველი (საინტერესო) ენობრივი სტილი. ენობრივი სტილი მოსწავლეთათვის მიზიდიველი და მათი ინტერესის ან კითხვის დონის შესაბამისი უნდა იყოს. საინტერესოდ გადმოსცემს თუ არა ავტორი საკითხს? არის თუ არა ავტორის ენა და სტილი მოსწავლეთა ასაკისა და განვითარების შესაბამისი? არის თუ არა ტექსტები სირთულის თვალსაზრისით სხვადასხვანაირი - დაწყებული ადვილად წასაკითხი ნახატებიანი წიგნებიდან რთულ, დამოუკიდებელი და ინსტრუქციული დონის ტექსტებამდე და ხმამაღლა და გადასათვალისწინებელ წიგნებამდე. მაღალი დონის წიგნების გაგება შესაძლებელია ნახატებზე დაკვირვებით ან უფრო ძლიერი თანაკლასელი უკითხავს წიგნის ნაწილს ან მთლიანად წიგნს დანარჩენებს.

არამხატვრული ტექსტების დეტალური/ზუსტი შინაარსი. ტექსტის სიზუსტის შესახებ უპასუხეთ შემდეგ კითხვებს: არის თუ არა შინაარსი ზუსტი? არის თუ არა ფაქტობრივი ინფორმაცია მკვეთრად გამოჩენილი გამოგონილისაგან? რა წყაროებს იყენებს ავტორი? არის თუ არა მოცემული თანამედროვე ინფორმაცია? არის თუ არა შინაარსი მოსწავლეებისათვის შესაფერისი? მასალები ზუსტად ასახავს თუ არა ადამიანებს შორის განსხვავებულობებს? თავს არიდებს თუ არა ავტორი სტერეოტიპების ასახვას? მიმართულია თუ არა მასალები განსხვავებული ინტერესების, სოციალური, კულტურული, ეთნიკური და ენობრივი წარმომავლობის მოსწავლეებისაკენ? დაკავშირებულია თუ არა მასალები კურიკულუმის საკითხებთან და აძლევს თუ არა სწავლის სხვა შესაძლებლობებს მოსწავლეებს?

არამხატვრული ტექსტების ნათლად ორგანიზება. თუმცადა არამხატვრული ტექსტების ორგანიზება განსხვავდება ერთმანეთისაგან, ნებისმიერი მათგანის სტრუქტურა უნდა იყოს ნათელი. შეიცავს თუ არა ტექსტი სარჩევს, ინდექსს, ლექსიკონსა და დამოწმებულ ლიტერატურას? შეიცავს თუ არა სათაურებს, ქვესათაურებს ან ბულეტებით გადმოცემულ ინფორმაციას? გამოყენებულია თუ არა მუქი და დახრილი ასოები მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადმოსაცემად? ყველა ეს ორგანიზაციული სტრუქტურა ეხმარება მკითხველს ტექსტის უკეთ აღქმაში. ფრიმანი (1990) და ჰარვეი (1998) აღწერენ არამხატვრული ტექსტების გამოყენების მნიშვნელობას კლასში. კობრინს (1995) თავის რესურსების წიგნში აღწერილი აქვს 800-ზე მეტი არამხატვრული წიგნი. მაკანდრეუსი (2004) გვთავაზობს არამხატვრული წიგნების ჩამონათვალს დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის. მოსწავლეებს უყვართ „საბავშვო ნეშენალ გეოგრაფიკის“ (*National Geographic Kids*), „ნეშენალ ჯეოგრაფიკი - მსოფლიოს“ (*National Geographic World*), „რეინჯერი რიკი“ (*Ranger Rick*), „ბავშვებისათვის განკუთვნილი დრო“ (*Time for Kids*) და ცხოველების შესახებ ჟურნალები (მაგალითად, *Zoobooks*).

მხატვრული ტექსტის ელემენტები. წაიკითხეთ და შეაფასეთ ტექსტი შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით: სიუჟეტი სარწმუნოა თუ არა? შეიცავს თუ არა სპეციფიკურ დეტალებს? სძლევს თუ არა მთავარი გმირი პრობლემას და უწყევს თუ არა ამისთვის გარკვეული სირთულეების გადალახვას? ჰგვანან თუ არა პერსონაჟები რეალურ ადამიანებს? არის თუ არა გარემო ადგილისა და დროის შესაფერისად გადმოცემული? არის თუ არა თემა საყურადღებო? ბუნებრივია თუ არა ტექსტის ენა? კითხვისას შეგიძლია თუ არა შენი თავის დანახვა ტექსტში? (კითხვები აღებულია ნორტონისაგან (1995).

ტექსტების კითხვადობისა და დონეების განსაზღვრის გაზომვა

ტექსტის კითხვადობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. უმთავრესია მკითხველის ინტერესი ტექსტისადმი ანუ არჩევანი. წინასწარი ცოდნა, რომელიც მკითხველს მოეთხოვება, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ფრაგმენტის სიგრძე და ინფორმაციის სიმჭიდროვე (მაგალითად, დასამუშავებელი ინფორმაციის ან მაგალითების რაოდენობა) გავლენას ახდენს კითხვადობაზე. დამატებითი ფაქტორებია, აგრეთვე, შინაარსის ტიპი და გზა, რომლითაც ახალი სიტყვებია გამოყენებული. ჟანრი (მაგ., მხატვრული, არამხატვრული) ან ფრაგმენტის ფორმატი (მაგ; განმარტებითი, ნარატიული, მტკიცებითი), აგრეთვე, ანგარიშგასაწევი ფაქტორებია. ორგანიზაციულმა სტრუქტურებმა (მაგ; სათაურები, დიაგრამები, ნახატები) შესაძლოა აამაღლოს კითხვადობის ხარისხი. წერის სტილი და გრამატიკული სტრუქტურები (პროგნოზირებადი წინადადებების მოდელები და სიტყვების არჩევანი, რთული სტრუქტურები, რომლებშიც ცხადად ჩანს მიზეზ-შედეგობრიობა), აიოლებს ტექსტის გაგებას. ტექსტის კითხვადობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ტექსტზე, არამედ მკითხველზეც.

თუმცა, ტექსტის კითხვადობა არ შეიძლება განისაზღვროს ერთი კონკრეტული მოსწავლის მიხედვით, წიგნებისათვის შეიძლება დადგინდეს კითხვის მიახლოებითი დონე. ისტორიულად, მაკგუფის საკითხავებიდან დაწყებული (მაკგუფი, 1879), წიგნები კლასის დონეებად დაყოფილი იყო ისეთ ფაქტორებზე დაყრდნობით, როგორებიცაა: მასწავლებლების აზრით, რა უნდა იცოდნენ ბავშვებმა და რას უნდა

კითხულობდნენ კონკრეტულ ასაკში, თუმცა წიგნების დაყოფისას თანამიმდევრული მიდგომა არ გამოიყენებოდა. 1977 წელს ედვარდ ფრაიმ შექმნა კითხვადობის ფორმულა და გრაფიკი, რათა დახმარებოდა ტექსტის სირთულეების შეფასებაში. ეს დამყარებული იყო მარცვალთა რაოდენობაზე თითოეულ წინადადებაში და წინადადებათა რაოდენობაზე 3 ასიტყვიან ტექსტში (ფრაის კითხვადობის გრაფიკი შეგიძლიათ იხილოთ ფრაის, კრესისა და ფოუნტოუკიდის, აგრეთვე ვოლკერის ნაშრომებში: ფრაი, კრესი და ფოუნტოუკიდი, 1993; ვოლკერი, 2004). იმ დროიდან შექმნილია კითხვადობის რამდენიმე ფორმულა. ზოგიერთ მათგანში გათვალისწინებული იყო სიტყვათა (რომლებიც არ შედის ხშირად გამოყენებულ სიტყვათა ჩამონათვალში) რაოდენობა. ეს და სხვა ფორმულები გამოიყენებოდა წიგნების დონის განსასაზღვრად. გამომცემლებმა დაიწყეს წიგნების დონის აღნიშვნა წიგნის ბოლოს. ინგლისურად მას ხშირად *R.L.* (reading level - კითხვის დონე) ნიშნით აღნიშნავენ და გვერდით უწერია მარტივი ციფრი, რომელიც აღნიშნავს კითხვის დონეს ან ათწილადი, რომელიც აღნიშნავს თვეების რაოდენობას ამ კლასის დაწყებიდან. მე-7.2 ცხრილში მოცემულია შედარება დაწყებითი კლასებისათვის განკუთვნილ განსხვავებული ტიპის წიგნებს შორის. აქ ერთმანეთსაა შედარებული კლასები, **კითხვის აღდგენის დონეები** (Reading Recovery levels - კლეი, 1993), **მართული კითხვის დონეები** (Guided Reading levels - ფოუნტასი და პინელი, 1996), **განმავითარებელი კითხვის შეფასების დონეები** (ბიევერი, 2001), **ბაზალურის ეკვივალენტური დონეები** და **ლექსაილის დონეები** (პოპულარული მეთოდი, რომელიც ზომავს მოსწავლის კითხვის უნარს).

ცხრილი 7.2 კითხვის დონის კორელაციის გრაფიკი					
კლასი	კითხვის აღდგენა	ფოუნტას-პინელის ხელმძღვანელობითი კითხვა	განმავითარებელი კითხვა (DRA)	ბაზალური ეკვივალენტი	ლექსაილი
საბავშვო ბავშვი	A,B	A	A	მზაობა	
	1		1		
	2	B	2	წინადაწყებითი	
	3	C	3		
1-ლი კლასი	4	D	4	წინადაწყებითი 2	
	5		6	წინადაწყებითი 3	
	6		E		დაწყებითი
	7	8			
	8	F		1-ლი კლასი	
	9				
	10		12		
	11	G	H	200-299	
	12	I			
	13				14
14	16				
მე-2 კლასი	18	J, K	20	მე-2 კლასი	300-399
	20	L, M	28		400-499
მე-3 კლასი	22	N	30	მე-3 კლასი	500-599
	24	O, P	34		600-699
			38		
მე-4 კლასი	26	Q, R, S	40	მე-4 კლასი	700-799
მე-5 კლასი	28	T, U, V	44	მე-5 კლასი	800-899
მე-6 კლასი	30	W, X, Y		მე-6 კლასი	900-999
მე-7 კლასი	32	Z		მე-7 კლასი	1000-1100

მე-8 კლასი	34	Z	მე-8 კლასი
www.slc.k12.ut.us/staff/larmad/science/Link%20Files/Reading_correlation(1)%5B1%5D.pdf . დაბეჭდილია ლარი მადენის, სოლტ ლეიკ სიტის სასკოლო გაერთიანების სამეცნიერო ხელმძღვანელის, ნებართვით.			

თუ ტექსტის დონე არ არის განსაზღვრული, მისი დონის განსაზღვრის ერთ-ერთი გზაა კითხვადობის ფაქტორების გათვალისწინება. ეს ფაქტორებია: ინტერესი, წინასწარი ცოდნა და სირთულე. ეს არის ზოგადი კრიტერიუმები, რომელთა საშუალებითაც წიგნებს დონეებად ყოფენ - დაწყებული საბავშვო ბაღიდან, დასრულებული მე-12 კლასით. კლეიმ (1993), რომელმაც შექმნა კითხვის აღდგენის პროგრამა, შეისწავლა ასობით ტექსტი და შეიმუშავა თავისი ნუმერაციის სისტემა, რომელიც მე-2 კლასის წიგნებს რამდენიმე განსხვავებულ დონედ ყოფდა. მე-7.3 ცხრილი გვაძლევს ინფორმაციას კითხვის აღდგენის დონეების შესახებ, რომლის მიხედვითაც მოგვიანებით ჩამოყალიბდა დონეებად დაყოფის სისტემების საფუძვლები. მოგვიანებით, მსგავსი სისტემა გამოიყენა ბივეარმა (2001) თავის განმავითარებელი კითხვის შეფასების (DRA) წიგნების დონეებად დასაყოფად. ფოუნტასმა და პინელმა, რომლებიც კითხვის აღდგენის მასწავლებელთა ტრენერები არიან, შექმნეს დონეებად დაყოფის სხვა სისტემა ასობის გამოყენებით, რომელსაც ხელმძღვანელობით კითხვის დონეები ჰქვია. ფოუნტასის და პინელის (Fountas and Pinnell, 1996) ტექსტი გვთავაზობს ინსტრუქციებს ასობის მიხედვით წიგნების დონეებად დაყოფის შესახებ. A დონე განკუთვნილია წინა დაწყებითი კლასებისათვის, ხოლო Z - მე-6 კლასებისათვის. კითხვადობის ყველაზე ცნობილი ფორმულა ეკუთვნის ფრაის და ცნობილია ფრაის კითხვადობის სკალის სახელით (Fry's Readability Scale). უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად არსებობს კითხვადობის განსასაზღვრი მრავალი კომპიუტერული ფორმულა. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ ფორმულას არ შეუძლია, მხედველობაში მიიღოს მოსწავლის ფონური/წინასწარი ცოდნა და ინტერესი და ამდენად, მათი გამოყენებისას საჭიროა სიფრთხილე.

ფრაის კითხვადობის სკალა (Fry's Readability Scale; ფრაი, 1977). ემყარება წინადადებებისა და მარცვლების რაოდენობაზე 100-სიტყვიან პასაჟში. სკალის ნახვა შეგიძლიათ ინტერნეტისამართზე school.discovery.com/schrockguide/fry/fry.html.

კითხვადობა Microsoft Word-ის გამოყენებით. გახსენით Word პროგრამა, program, key in text passages at random with approximately 100 words per passage. დარწმუნდით, რომ იყენებთ ორიგინალურ ტექსტში გამოყენებულ ყველა პუნქტუაციის ნიშანსა და პარაგრაფებს. შედით Tools-ის მენიუში და და გადადით Option-ზე. შემდეგ დააწკაპუნეთ Spelling and Grammar-ზე და შეამოწმეთ Show readability statistics.” დააწკაპუნეთ OK-ზე. მონიშნეთ ტექსტი. ჩამოშალეთ Tools და გადადით Spelling and Grammar-ზე (შენიშვნა: თუ არა გაქვთ დაშვებული მართლწერის ან გრამატიკული შეცდომა, დააწკაპუნეთ YES -ზე ტესტირების გასაგრძელებლად). გამოჩნდება უჯრა, რომელიც წვდომას მოგცემთ Flesch-Kincaid Grade Level-ზე. მეტი სიზუსტისათვის, შეამოწმეთ მინიმუმ სამი ნიმუში წიგნის სხვადასხვა ნაწილიდან.

ცხრილი 7.3 კითხვის აღდგენა და განმავითარებელი კითხვის შეფასება	
დონე	აღწერა
1-4	ტექსტის თანმიმდევრულად დალაგება, ერთი ან ორი ტიპის წინადადებების მოდელელებში ვარჯიში (ვცვლით ერთიდან ორამდე სიტყვას), ზეპირი ენობრივი სტრუქტურები, ნაცნობი საგნები და მოქმედებები, ილუსტრაციები უდიდეს მხარდაჭერას წარმოადგენს.
5-8	ვარჯიში ორი-სამი ტიპის წინადადებების მოდელელებში (ფრაზები შეიძლება შეცვალაოთ), საწყისი და დამასრულებელი წინადადებები, აქცენტი ვერბალურ ენობრივ სტრუქტურებზე, ბევრი ნაცნობი საგანი და მოქმედება, ილუსტრაციები წარმოადგენს მხარდაჭერა ელემენტებს ზომიერიდან მნიშვნელოვან დონემდე.
9-12	ვარჯიში სამი ან მეტი ტიპის წინადადებების მოდელელებში (განმეორებადი ფრაზები ან რეფრენები), ზეპირი და წერილობითი ენობრივი სტრუქტურები შერეულად ან ფანტასტიკური მოვლენები ნაცნობი გამოცდილებებიდან. ილუსტრაციები ზომიერ მხარდაჭერას წარმოადგენს.
13-15	მრავალფეროვან წინადადებათა მოდელელები (შესაძლებელია განმეორებადი ფრაზები და რეფრენები), ან განმეორებადი მოდელელები, რომლებიც კრებითი

	სახით/მრავალი ერთადაა წარმოდგენილი, წერილობითი ენობრივი სტრუქტურები, ზეპირი სტრუქტურები ასახულია დიალოგებში, ტრადიციული/კლასიკური მოთხრობა და სალიტერატურო ენა, რამდენიმე თემის შესაბამისი სპეციალიზებული ლექსიკა, ილუსტრაციები დაბალიდან საშუალომდე მხარდაჭერას წარმოადგენს.
16-20	დეტალურად გადმოცემული ეპიზოდები და ამბები, ვრცელი აღწერები, კავშირები ნაცნობ მოთხრობებთან, სალიტერატურო ენა, უჩვეულო, რთული ლექსიკა, ილუსტრაციების დაბალ მხარდაჭერას წარმოადგენს.
პეტერსონის (1988). მიხედვით (ტექსტის მახასიათებლები, რომლებიც ეხმარება დამწყებ მკითხველებს). გამოუქვეყნებელი სადოქტორო დისერტაცია, ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. გამოქვეყნებულია ნებართვით.	

ATOS (Advantage-TASA Open Standard). ამ კომპიუტერულ ფორმულაში გამოყენებულია სიტყვათა რაოდენობა წინადადებაში და სიტყვათა საშუალო დონე. მისი ნახვა შეგიძლიათ ინტერნეტისამართზე www.renlearn.com.

Lexile Scale. ეს კომპიუტერული ფორმულა ზომავს წინადადებების სიგრძესა და სიტყვათა გამოყენების სიხშირეს. იხილეთ მისამართზე www.lexile.com.

Degrees of Reading Power. ზომავს წინადადებების სიგრძესა და იმ სიტყვათა რაოდენობას, რომლებიც შეტანილია დეილის ჩამონათვალში და რომლებიც ნაცნობია მეოთხეკლასელთათვის, ასევე ასოთა საშუალო რაოდენობას სიტყვებში. საგნობრივ წიგნებთან დაკავშირებით იხილეთ www.tasaliteracy.com.

Readability Plus Formulas. Micro Power and Light Co-ს ამ პროგრამის გამოყენებით თქვენ შეგიძლიათ ტექსტის სკანირება ან დაბეჭდვა და შემდეგ კითხვადობის ფორმულის შერჩევა (Dale-Chall, Flesch, Fry Graph, FOG, SMOG, Powers-Sumner-Kearl, FORCAST, და Spache) მიახლოებითი დონის/საფეხურის დასადგენად. ეს პროგრამა საშუალებას აძლევს პედაგოგს, შეადაროს პასაჟი დონეებად დაყოფილ ლექსიკურ ერთეულთა ჩამონათვალს და გამოავლინოს სიტყვები, რომლებიც ამ ჩამონათვალში არ არის შეტანილი.

დონეებად დაყოფილი წიგნების ჩამონათვალი. ქვემოთ მოცემული ვებგვერდები შეიცავს დონეებად დაყოფილი წიგნების ჩამონათვალს. დონეებად დაყოფილი წიგნების საუკეთესო ბაზისათვის გადადით მისამართზე registration.beavton.k12.or.us/lbdb/. კითხვის აღდგენა და საფეხურებად დაყოფილი წიგნების ჩამონათვალი იხილეთ მისამართზე www.pps.k12.or.us/curriculum/literacy/leveled_books.

დონეებად დაყოფილი წიგნების ჩამონათვალი (Scholastic Reading Counts) აქვს ელექტრონული კატალოგი, რომელშიც წიგნები დალაგებულია ავტორის, სათაურის, საკვანძო სიტყვების, ინტერესების, კითხვის დონის, ხელმძღვანელობით კითხვის დონისა და ლექსაილის დონის მიხედვით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ src.scholastic.com/ecatalog-ს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა წიგნის დონე მიახლოებითია და მოსწავლეთა წარმატება კონკრეტული წიგნის კითხვისას შესაძლოა მნიშვნელოვნად იყოს დამოკიდებული წინა გამოცდილებაზე შინაარსთან მიმართებით, ლექსიკისა და ტექსტის სტრუქტურის ცოდნაზე.

მართული (ხელმძღვანელობით) კითხვის დონეები. გამოიყენეთ ფოუნტასისა და პინელის „წიგნების შესაბამისობა მკითხველთან: დონეებად დაყოფილი წიგნების გამოყენება ხელმძღვანელობითი კითხვის პროცესში, K-3“ (*ფოუნტასი და პინელი*, 1999) იმის სასწავლად, თუ როგორ უნდა დაყოთ წიგნები დონეებად. ეს რესურსი შეიცავს წიგნების ჩამონათვალს, რომელიც დალაგებულია სათაურის, ავტორისა და დონეების მიხედვით. მათი ვებგვერდი, www.FountasandPinnellLeveledBooks.com, შეიცავს ინფორმაციას დონეებად დაყოფილი 18000 წიგნის შესახებ, რომელთა მოძიება შეიძლება დონის, სათაურის, ავტორის ან გამომცემლობის მიხედვით.

გამომცემლობების მიერ ინტერნეტში გამოქვეყნებული დონეები. მოძებნეთ სათაურის მიხედვით წიგნები და ნახეთ, აქვთ თუ არა გამომცემლობებს წიგნები დონეებად დაყოფილი. ბევრ გამომცემლობას (Wright Group, Scholastic, Sundance Publishing, Troll, და New Bridge) თავიანთ ვებგვერდებზე უდევთ აქვთ თავიანთი წიგნების ჩამონათვალი შესაბამისი დონეებით.

შედარების მიხედვით დაყოფა დონეებად (Leveling by Comparison). შეადარეთ ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა წინადადების სტრუქტურა და ლექსიკა ნაცნობ დონეებად დაყოფილ წიგნებსა და იმ წიგნებს შორის, რომლებიც არაა დონეებად დაყოფილი. დონეებად დაყოფის ნებისმიერი მეთოდის გამოყენებისას ყოველთვის გაუწიეთ ანგარიში თქვენს პროფესიულ შეფასებას და დაყავით წიგნები დონეებად მოსწავლეებსა და ტექსტთან მიმართებით თქვენი პირადი გამოცდილების გათვალისწინებით.

მიმდინარე დონე

ტექსტიდან მაქსიმალურად ბევრი სარგებლის მისაღებად საუკეთესო ვარიანტია, თუ ყველა დონეზე ტექსტს დააკავშირებთ მოსწავლეთა ინტერესებსა და ცოდნის მიმდინარე დონესთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბეტსმა (1946) განსაზღვრა სამი მიმდინარე დონე: დამოუკიდებელი, ინსტრუქციული და ფრუსტრაციული. მოსწავლეები დამოუკიდებელ დონეზე კითხულობენ, როდესაც მათი მიერ სიტყვათა გაგების სიზუსტე უტოლდება 95-100%-ს, ინსტრუქციულ დონეზე - 90%-94%-ს, ხოლო ფრუსტრაციულ დონეზე სიტყვათა გაგების სიზუსტე 89%-ზე დაბალია. ჩუმი ან დამოუკიდებელ დონეზე კითხვისას მოსწავლეებმა უნდა შეარჩიონ წიგნები დამოუკიდებელი დონის ფარგლებში, ხოლო საკლასო ოთახში სწავლებისათვის მოსწავლეებმა უნდა შეარჩიონ ინსტრუქციული დონის წიგნები. როდესაც მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს, წიგნები ფრუსტრაციული დონის უნდა იყოს. ამას უნდა მოჰყვეს წიგნის განხილვა. განხილვის შემდეგ კი მოსწავლეებმა უნდა შეძლონ მისი გაგება. წიგნი, რომელსაც ხმამაღლა უკითხავთ, შედარებით რთული უნდა იყოს, რათა გაიზარდოს მოსწავლეთა დაინტერესება, გაფართოვდეს ენობრივი ცოდნა და, საზოგადოდ, ცოდნა. გარდა ამისა, ეს ძალიან ეფექტურია თავისუფლად კითხვის სადემონსტრაციოდ და ახალი ფრაზების გასაცნობად.

იმის შესამოწმებლად, თუ კითხვის რომელ დონეს შეესაბამება წიგნი, შეიძლება ხმამაღლა კითხვისა და გაგების შეფასების გამოყენება (იხ. დანართი, გვ. 255-257), რათა განვსაზღვროთ მოსწავლის მიმდინარე დონე ტექსტის კონკრეტულ პასაჟში. თუ მოსწავლე პასაჟს დამოუკიდებელ დონეზე კითხულობს და მთლიანად ესმის, ის, ალბათ, შეძლებს ტექსტის თავისით წაკითხვასაც. თუკი ტექსტის ფრაგმენტს კითხულობს ინსტრუქციულ დონეზე და გარკვეულ დონეზე ესმის, ტექსტის წაკითხვას შეძლებს დახმარებით. თუ მოსწავლე ფრუსტრაციულ დონეზე კითხულობს და ცოტა რამეს იგებს, საჭიროა ახალი ტექსტის შერჩევა, მათთვის ტექსტის წაკითხვა ან დასურათებული წიგნის დათვალიერება და საინტერესო ნაწილების წაკითხვა.

სტრატეგიები დამოკიდებულებისა და მოტივაციისათვის

მოსწავლეების მიერ შერჩეულ თემაზე კითხვის, წერისა და ლაპარაკის მოტივირებისათვის მნიშვნელოვანი სტრატეგიებია მათი ძლიერი მხარეების, საჭიროებებისა და ინტერესების განსაზღვრა. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, რომ მათ მივცეთ საშუალება, თავად შეარჩიონ თემა და მასალები. შესაძლებელია, მოსწავლეებს სჭირდებოდეთ გარკვეული დახმარება, როდესაც არჩევენს აკეთებენ. შესაძლოა, ასეთი დახმარება მშობლებსაც სჭირდებოდეთ იმის განსაზღვრად, რა არის მათი შვილებისათვის შესაფერისი. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე სტრატეგია, რომლებიც აძლიერებს მოსწავლეთა მოტივაციას და აუმჯობესებს დამოკიდებულებას წიგნიერების აქტივობების მიმართ.

მოსწავლეთა ძლიერი მხარეების, საჭიროებებისა და ინტერესების განსაზღვრა

მოსწავლეთა შეფასება შესაძლებელია შეფასებებსა და ინტერესებზე დაკვირვებით, ინტერაქციითა და ანალიზით. ზოგი მათგანი ამ წიგნშიცაა აღწერილი. ვინაიდან წარმატება განაპირობებს წარმატებას, მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგმა მიზნები, სტრატეგიები და მასალები შეარჩიოს მოსწავლეთა მიახლოებითი განვითარების ზონის (ZPD) ფარგლებში ან ინსტრუქციულ დონეზე. ამის გაკეთება შესაძლებელია არაფორმალური და მიმდინარე შეფასებებით და იმგვარი ინსტრუქციების გამოყენებით, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება სწავლაში. მოსწავლეებზე დაკვირვებითა და მათთან საუბრით მასწავლებელი არკვევს მათ ინტერესებს. ჩართეთ ეს თემები დისკუსიებსა და საგაკვეთილო პროცესში. მოძებნეთ ამ საკითხებთან დაკავშირებული მასალები და მიეცით შესაძლებლობა, წერონ მათთან დაკავშირებით. მაგალითად, თუ იცით, რომ მოსწავლეს ცხენები უყვარს, უთხარით: „არსებობს ვალტერ ფარლის წიგნი შავი ულაცის შესახებ, რომელიც მე ძალიან მომეწონა. განსაკუთრებით საინტერესოა იმის გაგება, რა ემართებათ მათ, როდესაც ოკეანეზე უწევთ მგზავრობა.“ თუ პედაგოგი მაგალითებს დაფაზე წერს, შეუძლია დაწეროს მოსწავლის სახელი და კიდევ რაღაც, რაც მის შესახებ იცის. სათანადო ინსტრუქციები მოსწავლეებს სწავლის მიმართ დაინტერესებას ზრდის.

მოსწავლის მიერ შერჩეული საკითხავი მასალები

ქვემოთ წარმოდგენილია ხუთი შეკითხვა, რომლებიც მასწავლებელმა უნდა ასწავლოს მოსწავლეებს, რათა დაეხმაროს მათ საკითხავი მასალების სწორად შერჩევაში:

1. საინტერესოდ გამოიყურება თუ არა წიგნი?
2. არის თუ არა წიგნი ისეთივე რთული, როგორც სხვა წიგნები, რომლებიც აქამდე წამიკითხავს? ამისთვის გამოიყენეთ „ხუთი თითის წესი“: წაიკითხეთ დაახლოებით 50 სიტყვა და ყოველ სიტყვაზე, რომელსაც ვერ გაიგებთ ან ვერ წაიკითხავთ, ასწიეთ ერთი თითი მაღლა. ხუთი ან მეტი აწეული თითი მიუთითებს, რომ ტექსტი ძალიან რთულია.
3. მესმის, რა არის ნათქვამი წიგნში?
4. შემიძლია თუ არა წაკითხულის ახსნა?
5. ვირჩევ თუ არა სხვადასხვა ჟანრისა და ავტორის საკითხავ მასალებს?

მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ თავად შეარჩიონ მასალები, მაშინაც კი, როდესაც ისინი არ არიან კითხვის ინსტრუქციულ დონეზე. იოლი ან დამოუკიდებელ დონეზე საკითხავი წიგნები გასართობად კითხვის შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს და კარგია თავისუფლად კითხვაში სავარჯიშოდ, ხოლო უფრო რთულმა წიგნებმა შესაძლოა აღუძრას მოსწავლეებს ინტერესი და ბიძგი მისცეს მათ, რომ სცადონ უფრო რთული ტექსტების კითხვა და მრავალფეროვან ლექსიკასთან გამკლავება.

წიგნების დონეებად დასაყოფად განკუთვნილი სანიშნები მშობლებისათვის

ბავშვები სკოლიდან შინ ბევრი წიგნით ბრუნდებიან. მშობლებმა შესაძლებელია არ იცოდნენ, კითხვის რომელი დონის წიგნებია მათი შვილისათვის შესაფერისი. მასწავლებლის მოვალეობაა, რომ მშობელს აუხსნას, როგორ უნდა იკითხონ ბავშვებმა შინ. მე შევქმენი სამდონიანი ტექსტის შესარჩევი სანიშნე (იხ. დანართი; გვ. 287) მშობლების დასახმარებლად: „წამიკითხე!“ (იმ წიგნებისათვის, რომლებიც ძალიან რთულია მოსწავლეთათვის, შეესაბამება მათ ფრუსტრაციულ დონეს, თუმცა აინტერესებთ), „წაიკითხე ჩემთან ერთად!“ (წიგნები, რომლებიც დაახლოებით შეესაბამება მოსწავლის ინსტრუქციულ დონეს) და „შემიძლია ჩემით წავიკითხო!“ (წიგნები, რომლებიც მოსწავლეს უკვე წაკითხული აქვს ან შეუძლია დამოუკიდებლად წაიკითხოს).

მაგალითად, თუ მოსწავლეს ბიბლიოთეკიდან მიაქვს წიგნი, რომელიც მის კითხვის დონეს აღემატება, ჩაუდეთ „წამიკითხე!“ სანიშნე შინ წაღებისას. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ თავად აირჩიონ წიგნები საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით, მაშინაც კი, როდესაც წიგნები მათთვის ძნელი წასაკითხია. თუ მოსწავლე კითხულობს წიგნის უდიდეს ნაწილს და არ ესმის მხოლოდ რამდენიმე სიტყვა, ჩადეთ „წაიკითხე ჩემთან ერთად!“ სანიშნე. თუ მოსწავლემ რამდენჯერმე გადახედა წიგნს ან მისი დამოუკიდებლად კითხვის დონეზეა, ჩადეთ „შემიძლია ჩემით წავიკითხო!“ სანიშნე. სავარაუდოდ, ეს სანიშნეები მშობლებს გაუადვილებს ზოგიერთ პრობლემასთან გამკლავებას. ასევე, კარგი იქნება, თუ წიგნიერების სპეციალისტი და მასწავლებელი სახლში გაატანენ ბავშვს კარგი მკითხველის სანიშნეს (იხ. დანართი; გვ. 251).

შინ წაკითხულის ყურნალი

მოსწავლეთა სახლში წაკითხულის მონიტორინგისათვის შეგიძლიათ ბავშვს შინ გაატანოთ მარტივი ფორმის სახლში კითხვის „ყურნალი“ (იხ. დანართი; გვ. 288). ჩაწერეთ მასში თარიღი, წიგნის სათაური და დონე. ოჯახის წევრი ისმენს ბავშვის წაკითხულს და უკიდურეს მარჯვენა სვეტში აღნიშნავს, რამდენად კარგად კითხულობს ბავშვი (+), (-) და (✓) ნიშნების გამოყენებით და ადასტურებს ხელმოწერით. ამ უკუკავშირის მიხედვით წიგნიერების სპეციალისტი ან მასწავლებელი არეგულირებს სახლში გასატანებელი წიგნების დონეს. მაგალითად, მოსწავლე, რომლის შესახებ ინფორმაცია 7.1 ცხრილშია მოცემული, წარმატებით კითხულობდა კითხვის ადღენის დონის მე-16 და მე-17 წიგნებს, რაც შეესაბამება ხელმძღვანელობით კითხვის I დონეს. როდესაც მასწავლებელმა ის გადაიყვანა ადღენითი კითხვის მე-18 ანუ კითხვის J დონეზე, წიგნი ზედმეტად რთული აღმოჩნდა. მასწავლებელმა კიდევ უნდა სცადოს იმავე დონის ტექსტები წაიკითხოს. თუ შემდეგი მათგანიც რთული იქნება, მაშინ ერთი დონით ნაკლები წიგნები უნდა შესთავაზოს.

წერის გამოცდილება

იმისათვის, რომ მასწავლებელი მოსწავლეებს დაეხმაროს წერისადმი დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებასა და მოტივაციის ამაღლებაში, უნდა მისცეს მათ მაქსიმალურად ბევრი შესაძლებლობა, წერონ ავთენტური მიზნებით, უფრო ფართო აუდიტორიისათვის და არა მხოლოდ მასწავლებლისათვის და შეეძლოთ იმის შერჩევა, თუ რის დაწერას აპირებენ (წერის სპეციფიკური სტრატეგიები აღწერილია მე-5 თავში). მოსწავლეებმა უნდა წერონ ყოველდღიურად, მათ შორის თავისუფალ თემებზე (მაგალითად, ჟურნალისათვის ან დღიურები). მართალია, ფორმულების მიხედვით წერა გარკვეულ დახმარებას უწევს მოსწავლეებს, მაგრამ ხშირად მას შედეგად მოჰყვება არაბუნებრივი და არაშემოქმედებითი ნაწერი, ამდენად, მიეცით მოსწავლეებს გამოხატვის თავისუფლება. მე-7.1 ცხრილში ჩამოთვლილია ლიტერატურული ჟანრები. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ ამ ჟანრებში წერონ. წერის დაწყებამდე იმ ჟანრის ტექსტის კითხვა და მისი განხილვა, რომელშიც თავად უნდა დაწერონ ტექსტი, ეხმარება მოსწავლეებს, გაიაზრონ თითოეული ჟანრის ძირითადი ელემენტები. მოსწავლეთათვის ძალიან მნიშვნელოვანია, ისაუბრონ და გონებრივი იერიშის გზით ჩამოთვალონ იდეები წერის დაწყებამდე. ეს მათ სურვილს უჩენს, ჩაერთონ წერის პროცესში და უმაღლებს მოტივაციას.

ცხრილი 7.1. შინ წაკითხულის „ჟურნალი“		
სახელი: კატერინა		
ინსტრუქციები: მოუსმინეთ, როგორ კითხულობს ბავშვი, ისაუბრეთ ამბავზე, ხელი მოაწერეთ ფორმას და აღნიშნეთ (+) ნიშნით, თუ ძალიან კარგად წაკითხა, თითქმის ყოველგვარი დახმარების გარეშე; (✓) ნიშნით - როდესაც საკმაოდ კარგად წაკითხა, მცირე დახმარებით და(-) ნიშნით, როდესაც გაუჭირდა წაკითხვა და მნიშვნელოვანი დახმარება გახდა საჭირო. შემდეგ დღეს ეს „ჟურნალი“ და წიგნი დააბრუნეთ სკოლაში.		
თარიღი	სათაური და დონე კითხვის აღდგენის დონე = RR ხელმძღვანელობით კითხვის დონე = GR ხარისხის დონე = GL	ხელმოწერა და შეფასება + / ✓ / -
25 აგვისტო	პატარა დათვის კოცნა (მინარიკი; RR 16 , GR I, GL 1.8)	ხელმოწერა; ✓
26 აგვისტო	ჩემი ვიზიტი დინოზავრებთან (ალიკი; RR 16, GR I, GL 1.8)	ხელმოწერა; +
27 აგვისტო	ჩემს საკუჭნაოში კომმარია (მაიერი; RR 16, GR I, GL 1.8)	ხელმოწერა; +
28 აგვისტო	მშიერი, მშიერი ზვიგენები (კოული; RR 17, GR I, GL 2.0)	ხელმოწერა; ✓
29 აგვისტო	როგორ იზრდებიან კნუტები (სელსამი, RR 18, GR J, GL 2.1)	ხელმოწერა; -

ქვემოთ წარმოდგენილი შეკითხვები ეხმარება მოსწავლეებს შესაფერისი საწერი ან საუბრის თემებისა და ჟანრების შერჩევაში:

1. მაინტერესებს თუ არა შერჩეული საკითხი?
2. მაქვს თუ არა ცოდნა ამ საკითხზე ან მიმიწვდება თუ არა ხელი რესურსებზე, რომელთა საშუალებითაც ვისწავლი?
3. წაკითხული მაქვს თუ არა ამ ჟანრის ნიმუშები?
4. მაქვს თუ არა წერისა და ლაპარაკის გამოცდილება სხვადასხვა ჟანრში (ნარატიული, განმარტებითი, აღწერითი, მტკიცებითი)?

სთხოვეთ მოსწავლეებს, რომლებიც ემერჯენტულ დონეზე წერენ, რომ დახატონ ნახატები და შემდეგ მოყვნენ, რა დახატეს. მათ შეუძლიათ დაწერონ უცნობი სიტყვები თავიანთი აზრების გადმოსაცემად თავიანთსავე ფონეტიკურ ცოდნაზე დაყრდნობით. თუ ამ აზრების ამოკითხვა ძნელია, წაუკითხეთ ეს

გვერდი, ასე მათ შეიძლება წაიკითხონ ის აზრები, რის გადმოცემასაც ემერჯენტულ დონეზე მყოფი მოსწავლე ცდილობდა. უფროსმა მოსწავლეებმა წერის დაწყებამდე შეიძლება მოამზადონ ამბების რუკა ან გრაფიკული ორგანიზატორები, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება მათ. ყველა ნაწერის გამოქვეყნება არ არის საჭირო. აუდიტორიას ხშირად აქვს სურვილი, რომ გაეცნოს ტექსტს, ამიტომ მიეცით მოსწავლეებს საშუალება, გაუზიარონ თავიანთი ნაწერები კლასელებს, მეგობრებს, მასწავლებლებს, სკოლელებს, ოჯახს და საზოგადოების სხვა წევრებს.

ლაპარაკისა და მოსმენის გამოცდილება

მოსწავლეებს სჭირდებათ ყოველდღიური და მდიდარი გამოცდილება ლაპარაკსა და მოსმენაში. აგრეთვე, მათ უნდა ჰქონდეთ არჩევანი ამ თვალსაზრისით. თითოეულ მოსწავლეს ყოველ გაკვეთილზე უნდა ჰქონდეს ლაპარაკის შესაძლებლობა. ეს შეიძლება განხორციელდეს იფიქრე-დაწყვილდი-გაუზიარე სტრატეგიის საშუალებით, რომლის დროსაც მასწავლებელი სვამს კითხვას ან წამოაყენებს თეზისს (მოსაზრებას). ამის შემდეგ თითოეული მოსწავლე ფიქრობს მის შესახებ, შემდეგ კი მეწყვილისაკენ ბრუნდება და ელაპარაკება ამ საკითხზე. ამ სტრატეგიის გამოყენება რეგულარულად შეგიძლიათ მოსწავლეებთან შემდეგი მიზნით: ისინი ერთმანეთს უყვებიან, რა ისწავლეს გაკვეთილზე და როგორაა ეს ცოდნა დაკავშირებული მათ ცხოვრებასთან. მოსწავლეებმა უნდა იმუშაონ პატარა ჯგუფებშიც, სადაც მეტი ინტერაქციაა შესაძლებელი და მხოლოდ მასწავლებელს არ უსმენენ. ბიძგი მიეცით მოსწავლეებს, რომ ჩაერთონ საკლასო და ჯგუფურ დისკუსიებში; მნიშვნელოვანია, რომ თავიანთი აზრები სხვებსაც გაუზიარონ. ასწავლეთ მათ, როგორ უნდა გახდნენ კარგი მსმენელები: გაიმეორონ ნათქვამი და დაუსვან კითხვები მოსაუბრეს ან პრეზენტატორს. დაავალეთ მოსწავლეებს, რომ შეარჩიონ მათთვის საინტერესო საკითხები საჩვენებლად, მოსაყოლად ან პრეზენტაციისათვის. წინასწარ დაგეგმილ ღონისძიებებში ჩართეთ კლასელები, ოჯახებისა და საზოგადოების წევრები, რომლებიც წარმოადგენენ რაღაც საკითხს ან სხვებს მოუსმენენ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეები კითხვის, წერის, ლაპარაკისა და მოსმენის პროცესში უფრო აქტიურად ერთვებიან და მათი მოტივაცია იმატებს, როდესაც ხვდებიან, რომ ამის გაკეთება შეუძლიათ, რომ ეს ყველაფერი მნიშვნელოვანი და საინტერესოა; როდესაც ისინი ხვდებიან, რომ ისინი მისაღები და აღიარებული არიან მასწავლებლებისა და თანაკლასელების მხრიდან და გრძნობენ მათგან მხარდაჭერას; როცა მათ აქვთ არჩევანი და ამ არჩევანში გათვალისწინებულია მათი განსხვავებული ინტერესები და გამოცდილება. მასწავლებელს მოსწავლის დახმარება შეუძლია პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნით; მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გაცნობით; სათანადო დავალებების, მასალებისა და სტრატეგიების შერჩევით; კითხვის, წერის, ლაპარაკისა და მოსმენის აზრიან (გააზრებულ) პროცესში ჩართვით. შეფასება და სტრატეგიები ამ რესურსში არ არის განსაზღვრული მხოლოდ წიგნიერებასთან დაკავშირებით მოსწავლეთა მოტივაციისა და დამოკიდებულებების გასაუმჯობესებლად, არამედ მიზნად ისახავს, რომ დაეხმაროს მათ, ჩამოყალიბდნენ, ზოგადად, კარგ მკითხველებად და შეძლონ კარგად წერა.

შეფასებები და რესურსები

და ნ ა რ თ ი

შეფასებები და მასთან დაკავშირებული წიგნიერების პროცესები	213	ხმამაღალი კითხვის სტრატეგიების საკონტროლო ჩამონათვალი მასწავლებელთათვის	255
შეფასების მიზნები	215	ხმამაღალი კითხვის სტრატეგიების საკონტროლო ჩამონათვალი მოსწავლეებისათვის	256
წიგნიერების გაკვეთილის გეგმის ნიმუში	217	ხმამაღალი კითხვის სტრატეგიების საკონტროლო ჩამონათვალი თავად მკითხველისათვის	257
